
# ლევან სანიკიძე




ქართველთა
ისტორიულ-ეპიკური
თავგადასავალი

წიგნი პირველი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1982

9(C41)
ე(47.922)(0:8)
ს 262

„უქარქაშო ხმლები" მხატვრულად (დოკუმენტური პროზის ჟანრში) დაწერილი საქართველოს ისტორიაა. იგი მოგვითხრობს ქართველი ხალხის თავგადასავალს სხვა „ახლობელ" და „შორებელ" ხალხებთან ურთიერთობის ფონზე. ავტორი ემყარება ძველი და ახალი საისტორიო მწერლობის მიღწევებს („ქართლის ცხოვრება", ძველი ქართული მწერლობის უსაჩინოესი ძეგლები, ელინურ-ელინისტური, რომაულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროები, ევროპელ და აზიელ ავტორთა ცნობები, ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული მონაპოვარნი).

„უქარქაშო ხმლები" გამოდის ოთხ წიგნად. წინამდებარე პირველი წიგნი მოგვითხრობს ქართველი ხალხის თავგადასავალს უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე.

მეორე გამოცემა

C 70301—214
M 601 (08)81 ბრძ. № 614/352—79

მე დასაწყისი ჩემი არ მახსოვს,
და არც არასდროს აღვესრულები.

გ ო ე თ ე, პ რ ო მ ე თ ე.

...ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგურემან და მოყვითან, იშვით თუალჭრელ და ერემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშუებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნ; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრიაბათა შინა კადნიერნი, მკეირცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლ~გ ეჯს ი~დ ჟამს გაირბენს. სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა. სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკუეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ: საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი...

ვახუშტი ბაგრატიონი

## წინაბეჭ

და მე შევსძახე: — ჰოი, სულნო, მოგვიარულოვდით, თუ შესაძლოა, რომ გისილოთ და შეგესიტყვოთ!

დ ა ნ ტ ე.

გაკერპდა, გაჯიუტდა და დაბერდა ღამე — დედაი მარადიულ ძმათა მარჩბივთა, ძილისა და სიკვდილისა.

მე კი ისევ ვუზივარ საწერანით და საწიგნობელით მძიმედ დატვირთულ მაგიდას.

მარჯვნივ „ვეფხისტყაოსანი“ მისვენია;

მარცხნივ — „ქართლის ცხოვრება“;

გარშემო — ქართველი ხალხის თავგადასავლის მაუწყებელი წიგნები, ხელნაწერები, მატიანეები, უწყებანი, ოპუსები და ფოლიანტები: ძველი ქართული მწერლობის უსაჩინოესი ძეგლები, ანტიკური (ელინურ-ელინისტური, რომაულ-ლათინური) და ბიზანტიური წყაროები, ევროპელ და აზიელ ავტორთა ცნობები, ახალი დროის მეცნიერული მიკვლევანი;

პირდაპირ, კედელზე — დაღლილად დაშვებული საქართველოს რუკა, ივანე ჯავახიშვილის კურთხეული ხელით გამართული და გაწაფული.

ჩემო კეთილო მკითხველო! მოდით, ერთხელ კიდევ დავაკვირდეთ ამ რუკას. ხომ მოგვაგონებს იგი რომელიღაც ზღაპრულ ტოტემს, ზღვას რომ ჩასანთქავად ჩასჩიდებია განიერად გაშლილი ყბებით? ხოლო ტანი ტოტემისა — ლაღად გაშლილი საომარი დროშაა, სალაშქრო გზაზე გაჭენებული მხედრობის წინ რომ აღუმართავს ფოლადისმკლავიან მედროშეს...

და ყველა ერთად — ეს რუკა, ეს „ქართლის ცხოვრება“, ეს ქართული და არაქართული წყაროები, წერილები, ცნობები, უწყებანი, ოპუსები, ფოლიანტები და მატიანენი — ათი ათასობით და ასი ათასობით გარდასულ ადამიანთა, ანუ ხალხთა სულს მოიცავენ და მოიქცევენ ქაღალდის ფურცლებად დატკეპნილ ტანში.

აღდგენას, აღდგომას, ხელახალ აღორძინებას და გაცოცხლებას გვთხოვენ მე და ჩემს მკითხველს ამ ქაღალდებში ჩაწურული უთვალავ ადამიანთა სულნი.

სულისა და სხეულის მთლიანობაში აღდგენას ითხოვენ, აღორძინებას მთლიანობის სიმშვენიერით (ნაწილებისგან კი მხოლოდ ლეში შესდგებაო, — ამბობს ენგელსი).

და მეც, ამ ყვითელ კაბადონებზე დალექილ წინაპართა სულის ბღავილში, ერთხელ კიდევ მენიშნება და მეჭეშმარიტება ეს ნააზრევნი:

არისტოტელე — „ისტორიის მხატვრული ასახვა უფრო მეცნიერული და მართებულია, ვიდრე ზუსტი ისტორიული აღწუსხვა. პოეტური ხელოვნება იჭრება თვით საქმის ნამდვილ არსში, მაშინ როდესაც ზუსტი აღწუსხვანი მხოლოდ წვრილმანთა ჩამოთვლას იძლევა“;

მომზენი — „ისტორიკოსი ხელოვანი უფროა, ვიდრე მეცნიერი“;

სტეფან ცვაიგი — „ჩვენ პატივს ვცემთ ისტორიას, ვითარცა ყველა დროის უდიდეს პოეტსა და შემოქმედს“;

კარლეილი — „ისტორია იგივე პოეზიაა, ოღონდ მისი პოეტურად გადმოცემა უნდა შეგეძლოს“;

ბურკჰარდტი — „ისტორია დიდი მასშტაბის პოეზიაა, უმშვენიერესი მხატვრული კომპოზიციების ჯაჭვით“;

ანდრე მორუა — „მოსაწყენად გადმოცემული ისტორია პირქუშ სასაფლაოდ იქცევა...“.

ან, შორს რად მივდივართ, როცა ჩვენი უსაჩინოესი წინაპარი-მემატიანენი — ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი და ვახუშტი ბაგრატიონი — თავიანთ საისტორიო თხზულებებს წერდნენ არა უსულგულო, ლექსიკურად ღარიბ-ღატაკი „სოფლურითა“, „უშუერითა“ და „ლიტონითა სიტყვითა“, არამედ სწორედ მხატვრულად — „ხელოვნებითა რიტორობისათა“ და „ჯეროვნად რიტორობისა“; მათთვის მთავარი იყო არ დამახინჯებულიყო მხოლოდ „ნივთნი საქმეთანი“ (ისტორიული სინამდვილე), თორემ სხვა მხრივ ყოველი „ნივთი“ და „საქმე“ უეჭველად მხატვრული სიტყვით უნდა „განშვენებულიყო“ და „გარდაჰკაზმულიყო“. (თვით ივანე ჯავახიშვილი — თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური სჯულმდებელი — აღფრთოვანებულია „ქართლის ცხოვრების“ რჩეულ ავტორთა „მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით“ და მომხიბლავი „მაღალ-ხარისხოვანი მოთხრობით“.).

როგორც ეტყობა, მაღალი ნიჭითა და სიბრძნით აღსავსე ჩვენს წი-

ნაპარ ისტორიკოსებსაც კარგად ესმოდათ, რომ ისტორიის მფარველი მუზა — კლიო — მაინცდამაინც მუზა იყო ხელოვნებისა, და იწერებოდა მათის ხელით ისტორიანი „ხელოვნებითა რიტორობისათა“, ანუ „ნივთნი საქმეთანი“, მაღალმხატვრული სიტყვიერებით „განშვენებულნი“ და „გარდაჰკაზმულნი“. დიახ, ისინიც თურმე იმ დროს წერდნენ იმ „სტილით“ და „ჟანრით“, რასაც შემდგომ „დოკუმენტური პროზა“ დაერქვა.

და მეც მკითხველს საგანგებოდ ვთხოვ, აქედანვე დაბეჯითებით დაიმახსოვროს: „დოკუმენტური პროზა“ (ანუ „ნივთნი საქმეთანი“ მხატვრული ხელოვნებით „განშვენებულნი“) მხოლოდ ისტორიული სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას გულისხმობს და არა არარსებული „ისტორიის“ გამოგონებას.

და ეს წიგნებიც, რომელთაც მე ჩვენი წინაპრების სულის ღია ფერფლის „აღდგომის წილად“ ვწერ, თავიდან ბოლომდე, გნებავთ თავისი „ნივთთა მხატვრულობით“, რ ე ა ლ უ რ-ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი დ გ ა ნ ა ნ. მათში თანმიმდევრული მხატვრული თხრობით გადმოიცემა ის, რაიც („ნივთნი საქმეთანი“) მეცნიერებას დღემდე ძირითადად დაუდგენია და მიუკვლევია. ამიტომ მკითხველი მათ ბ ო ლ ო მ დ ე უ ნ დ ა ე ნ დ ო ს. წიგნებში ლეგენდაც შეხვდება მკითხველს, ლეგენდა — პოეტური ტყუპისცალი ისტორიისა, — მაგრამ ის, ვინც ამ წიგნთა „მონელებას“ უგულისყურო „გადარბენით“ არ დააპირებს, იგი ლეგენდისა და სინამდვილის საზღვარსაც იოლად გაარჩევს.

ავტორი უფლებას იტოვებს, ზოგი მოვლენა, ხასიათი, გინა „სული“, თავისი საკუთარი, ახლებური გააზრებით და შეფასებით წარუდგინოს მკითხველს. საქართველოს აქამდე ცნობილ „ძირითად ისტორიასთან“ ერთად მჭიდრო მთლიანობაში ავტორს შემოაქვს ბევრი მანამდე გაფანტული, მიკვლეული ან მიუკვლეველი საისტორიო მოვლენა, გამორჩევით — ქართველთა ნამოღვაწარნი საქართველოს სამანებს გარეთ (თუნდაც — „მჭედელნი „უცხო თესლთა“ ისტორიისა“).

საქართველო!

უმშვენიერესი და უჯანსაღესი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა!

თითქოს იგი, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, საგულდაგულოდ აღზევებული სულით და უნატიფესად დახვეწილი ხე-

ლით, საგანგებო თავდავიწყებით შესდგომოდეს ამ საოცარი, მისგანვე დროშისდარად გამოკვართულ-გაფრენილი ქვეყნის დახატვას.

მისი მცენარე, მისი ცხოველი, მისი წიაღი — უხვი, მდიდარი, მრავალფერი და მრავალსახე.

იგი გაშლილა ევროპისა და აზიის გზაკვეთილზე, ვითარცა მარადისი მაერთებელი უმტკიცესი რგოლი ამ ორი დიდი, ცივილიზებული კონტინენტისა.

სწორედ იმიტომ სუნთქავს მთელი მისი ისტორია ევროპისა და აზიის განუყრელად შერწყმული სულით.

დასავლეთით და აღმოსავლეთით, მის მშვენიერ ცისგვამში ორი ზღვის სუნთქვა ერთვის ერთმანეთს — შავი ზღვისა და კასპიის ზღვისა.

ჩრდილოეთიდან ციურ ებგურად დასდგომია „მთათა ხელმწიფე კავკასიონი“ (ესქილეს სიტყვებია).

სამხრეთის საზღვრად — ანტიკავკასიონი, წინა აზიის შუა წელი, ანატოლია, სომხეთი, ერანი.

მთა და ბარი ამა ქვეყნისა, მისი მაღლობი და დაბლობი, ტყე და ველი, ყანა და მინდორი, კლდე და კონცხი, ტბა და მღვიმე, სახნავი და საძოვარი, ყინვა და რილო-ჭრილო, თოვლი და მოლი — ყოველივე კოსმიური სიმფონიით შერთვია ერთურთს.

მისი მდინარეები ორი დიდი წყალძარღვის, მტკვრისა და რიონის მხარდამხარ, ვერცხლის ზოსტერებად გაწვართულნი მიილტვიან ორივ ზღვისაკენ.

აქ ცხოვრობს ქართველი ხალხი — უძველესი ხალხთაგანი დღემდე მოღწეულ კაცობრიულ მოდგმათა შორის.

ისე ვითარცა უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედი ბერძენი ხალხი შექმნილა სამი ნათესაური გვარტომობისგან:

იონიელთაგან,

დორიელთაგან,

ეოლიელთაგან, —

ასევე სრულიად ქართველი ხალხი წარმოიქმნა სამი მთავარი, ერთსისხლიერ და ერთხორციელ ქართული გვარტომობისგან:

ქართებისაგან,

სვანთაგან,

მეგრ-ზანთაგან.

მრავალ საუკუნეთა სარბიელზე ეს სამი დიდი გვარტომობა შეიქნა მომცველ-გამაერთიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კი

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელდებით უცხოვრია საქართველოს მიწა-წყალზე.

დედამიწის სხვა შვილთა გვერდით, ათასეულ წელთა სარბიელზე, გარეგნების დასამორჩილებლად, ქართველ კაცს იარაღად უკეთებია:

ქვა,
სპილენძი,
ბრინჯაო,
რკინა.

გამოუვლია ორივე გვარი — დედისეულიც, მამისეულიც.

პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძიმესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და ძლე სხეულით მოიწევდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებისაკენ.

მოდიოდა ვითარცა:
მონადირე და მესაქონლე,
მშვილდოსანი და მახვილოსანი,
გუთნისდედა და მევენახე,
ხურო და მჭედელი,
ხელოსანი და ხელოვანი,

მოთაყვანე მშობელი პუნებისა და მოტრფიალე სამყაროული სიმშვენიერისა.

აღმერთებდა:
ცხოველთაგან — ხარს,
ფრინველთაგან — არწივს,
მცენარეთაგან — ვაზს,

ცის მნათობთაგან — მზეს, მთვარესა და ცისკრის ვარსკვლავს (სძულდა ცთომილი კუდიანი, ნაწლავნაყარი)...

ბოლოს, ქართველმა კაცმა განიერი ნაბიჯით შედგა ფეხი მსოფლიურ მატიანეში, ძველთაძველ თანმიმდევრულ წერილობით ისტორიაში — წინაბერძნულ და ძველბერძნულ „კოსმიურ თავგადასავლებში“, მრავალსახოვან, მშვენიერ თქმულებებში.

სწორედ ბერძნებმა, მთელი მსოფლიოს უპირველესმა „ნათლიებმა“, ქართველთა სამშობლოს დასანათლავად აარჩიეს აქ მობინადრე ადამიანთა ყველაზე მნიშვნელოვანი და სისხლპორციული მოსაქმეობა: მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა — კაცობრიული კულტურული მეურნეობის ყველაზე დიდი დარგი!

და ბერძნებმა საქართველოს უწოდეს გეორგია — მიწათმოქმედთა ქვეყანა.

გეორგია!

მსოფლიო ისტორიაში დაივანა სამარადჟამოდ ამ სახელმა.

კეთილო მკითხველო, ამ მშვენიერი და მრავლისმეტყველი სახელდებით, ავტორს სურდა თავისი წიგნებისთვის ეწოდებინა გეორგიადა — ეპიკურ-ისტორიული თავგადასავალი ქართველი ხალხისა.

მაგრამ ბოლოს, მიზეზთა „სხვათა და სხვათა", მაინც „უქარქაშო ხმლები" დაერქვა ჩვენს წინაპართა „სააღდგომო" წიგნებს. ალბათ, იოლი ასახსნელია სახელი ესე: აკი ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი სისხლნაჯერი ისტორია ეს იყო ბრძოლა განუწყვეტელი ხმალთაკვეთებით უცხო თესლთაგან მშობელი ქვეყნისა და კერის გადასარჩენად. ქართულ ხმალს, მისი პატრონის მარად დაუსვენარი ცხოვრებით აღძრულსა და გაშიშვლებულს, საუკუნეების მანძილზე დავიწყებული ჰქონდა ქარქაში. სწორედ ქარქაშდავიწყებული ხმლის საარაკო სიქველემ დაიხსნა, დაიფარა და ააღზევა სიუკვე ქართული გუთნისა, სიწმინდე ოჯახური კერისა, სიბრძნე კალმისა, სიმშვენიერე ყალმისა, სიმტკიცე საჭრეთელისა, სიმკვრივე მკლავისა, სინათლე გონებისა. ერთი სიტყვით, ათასეულობით წელთა სარბიელზე ქართული ხმალი იდგა შეურცხვენლად შეურცხვენელი ქართველი ხალხის მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის სადარაჯოზე.

უქარქაშო ქართულმა ხმალმა იხსნა და მოიტანა დღემდე „ორივე ბუნება" ქართველი კაცისა: „ბუნებაჲ კაცობრივი" და „ბუნებაჲ საღმრთოჲ" (იოანე დამასკელი).

„უქარქაშო ხმლები" ათი კარისაგან შედგება:

ფესვები
კარიბჭენი
აღმართი
ზეგანი
მწვერვალები
დამრეცი
დაღმართი
ყოფნა-არყოფნა
მჭედელნი „უცხო თესლთა" ისტორიისა
იქმენინ, საქართველო!

მაშ, ინებე, კეთილო მკითხველო, ჩვენი წინაპრების „აღდგომის წილად“ წიგნები ესე, დაწერილნი:

სინათლე — სინათლედ,
ჩრდილი — ჩრდილად,
ღირსება — ღირსებად,
უღირსოება — უღირსოებად,
სიმაღლე — სიმაღლედ,
სიმდაბლე — სიმდაბლედ,
სიკეთე — სიკეთედ,
უკეთურობა — უკეთურობად,
მადლი — მადლად,
ცოდვა — ცოდვად.

ყოველივე — „გარეშე გარისხებისა და მიკერძებისა“ — „sine irae et studio“.

ესე არს ფიცი ავტორისა, ფიცი — „ვეფხისტყაოსანზე“ ხელის დადებით.

26 მაისი 1974 წლისა

ვღელავ და ვძრწი მათ. მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

კონსტანტინე გამსახურდია.

# წიგნი პირველი


ფესვები
კარიბჭენი
ალმართი
ზეგანი
მწვერვალები




# ქარი პირველი

უფრო ძველ ამბათა ზუსტი გამორკვევა არ მოხერხდა დროის სიშორისა გამო.

თუკიდიდე.

## ავზა პირველი

### წიგნი ოქროს საწმისისა

ნამდვილს მოვითხრობთ, გარნა ისეთს, — ზღაპარივით მოგეწყენებათ.

ოვიდიუსი.

**სახლეული აიეტისა**

გეორგიადას იწყებს კოლხეთი — დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

დასაწყისი არის სამიათას ხუთასწლოვანი — ნაყოფი ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაკირული მითის, ლეგენდის, ისტორიისა.

ფასის მთიდან მომდინარე ფასისი — რიონი, საქართველოს დედა-მდინარე: რამეთუ იგი საქართველოს დიდ წყალ-ძარღვთაგან ერთად-

ერთია, რომელიც საქართველოში იწყება და საქართველოშივე სრულდება, შავ ზღვასთან შერთვით.

ზედ შუა წელზე დედა-მდინარე მთებში შესკვნილ საკინძეს იხსნის, ფიცხელ მუხლს ისხლეტს, ზავთიან ყიჟინას იცხრობს და წყნარი, განიერი რუსხმულით მიტორტმანებს ვრცლად გაშლილ დაბლობზე.

სწორედ აქ, მთისა და ბარის შესაყარში, ევროპისა და აზიის გზაკვეთილზე, იდგა ქალაქი ქუთაია — ქუთაისი, სატახტო „ოქროს ქვეყნად“ წოდებული კოლხეთისა.

მაშინდელი კოლხეთისა და ქუთაისის მცხოვრებნი „ღვთისთესლიერ“ ბერძენ გმირთა თანამედროვენი და თანატოლნი არიან. კოლხეთის მეფეს, აიეტს მზე-ჰელიოსის ძეს უწოდებენ. ჰელიოსის ასული, აიეტის და, პასიფაე, ცოლად ჰყავს ზევსის შვილად წოდებულ მინოსს, კრეტის სახელგანთქმულ მბრძანებელს. ჯერ კიდევ არ შობილან ამ ქვეყნად შემდგომში სახელგანთქმულ ტროას ომის გმირები: აგამემნონი და მენელაოსი, აქილევსი და პატროკლე, ოდისევსი და დიომედე, აიაქსი და ჰექტორი.

კაცთა მოდგმის სამბრძანებლოში ორი იყო ყველაზე დიდი მბრძანებელი — აღმოსავლეთში მზის ძე აიეტი, დასავლეთში ზევსის ძე მინოსი.

ოქროს ქვეყანას ეძახდნენ კოლხეთს. კავკასიონიდან დაქანებულ მდინარეებს მოჰქონდათ ქვიშა ოქროსი. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებდნენ და ოქროს ქვიშა მოჰყვებოდა ოქროს საწმისებს.

ოქროს ქვეყანა იყო კოლხეთი და ჰელიოსის ნაშიერებიც ოქროს სხივებს ისროდნენ თვალთაგან.

ოქროს თვალსხივოსანი შვილები ჰყავდა მეფე აიეტს: ტახტის მემკვიდრე აფსირტე და ორი ასული — ქალკიოპე და მედეა.

გრძელდება მოყვრობა და მეგობრობა ბერძენთა და კოლხთა.

საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა უფლისწული ფრიქსე, ორქომენელი ათამანტის ძე. იგი ოქროსმატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთში და აიეტს თავშესაფარი სთხოვა. გულუხვმა და გულმოწყალე მეფემ ლტოლვილი უცხოელი კიდევაც შეივრდომა და სიძედაც დაისვა — ცოლად შერთო თავისი უფროსი ქალი ქალკიოპე, ხოლო ოქროს

ვერძი, აიეტის ბრძანებით, კოლხმა ქურუმებმა ღრუბელთა ბატონს შესწირეს და მისი ტყავი, ოქროს საწმისად წოდებული, ცადატყორცნილ მუხაზე დაჰკიდეს.

ოთხი შვილი ჰყავდათ ქალკიოპეს და ფრიქსეს, ოთხივე ვაჟი — არგოსი, ქუთისორე, მელასი და ფრონტისი.

როცა ფრიქსე მოკვდა, კოლხებმა მისი ცხედარი, კოლხური წესით, ხარის ტყავში გაახვიეს და მაღალ ხეზე დაჰკიდეს.

შვილები, მით უფრო ვაჟები, პირად მამის გვარზე და კვალზე დგებიან. მამა ბერძენი იყო. შვილებიც თურმე შეფარვით ბერძნობდნენ, ბოლოს, საბერძნეთში გასამგზავრებლად აიეტს ხომალდი სთხოვეს, ვითომცდა იქაური მემკვიდრეობის დასაპატრონებლად. აიეტმაც მისცა ხომალდი შვილიშვილებს.

ზღვაზე ამოვარდნილმა ქარტეხილმა ხომალდი ერთიანად დალეწა, თვითონ ფრიქსეს ვაჟები კი არეტიადის კუნძულზე გარიყა.

### არგონავტები

ზღვისა და მიწის ბედისწერამ სწორედ იმავ დღეს ამ კუნძულზე მოიყვანა საბერძნეთიდან წამოსული ხომალდი „არგო", ორმოცდაათი „არგონავტით". გმირებს სათავეში ედგა ახალგაზრდა, მშვენიერი და მამაცი იასონი, უფლისწული თესალიის ქალაქ იოლკოსიდან. მიდიოდნენ კოლხეთს, საიდანაც საბერძნეთში უნდა წაეღოთ ოქროს საწმისი — სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა, სიმძლავრისა და სიდიადისა. თუ ამ დავალებას არ შეასრულებდა, იასონი ვერ მიიღებდა იოლკოსის სამეფო ტახტს, რომელიც მისთვის ბოროტ ბიძას, პელიასს, წაერთმია.

დიდად გაიხარეს მოსულებმაც და დამხვდურებმაც. ფრიქსე და იასონი ნათესავებიც იყვნენ. არგონავტები კოლხეთისაკენ მიმავალ გზაზე უკეთეს მეგზურებს ვერც ინატრებდნენ.

ბერძენი ფრიქსეს ვაჟები მოუძღვნენ ბერძენ არგონავტებს კოლხეთის მიწაზე.

„არგო" ფასისში შეაცურეს და ლერწმიანში შეაყენეს. იასონმა გმირთაგან ტელამონი და ავგია ამოარჩია, ფრიქსეს ვაჟები გაიყოლია და ქუთაისისაკენ გაეშურა. ხშირი ტყე-მაღნარი გაიარეს და კოლხთა სატახტოსაც მიადგნენ.

იდგა ბრწყინვალე ქალაქი ფასის-რიონზე.

გაოცებული შესცქეროდნენ უცხოელნი.

კოლხები სტუმრებს შეეგებნენ და შეუძღვნენ.

შუაგულ ქალაქში აღმართულიყო აკროპოლისი და სამეფო სრასასახლე. სასახლის მარჯვნივ და მარცხნივ ორი მაღალი სახლი იდგა, იშვიათი ოსტატობით გარანდულ მარმარილოს პერანგებში ჩასმული და მრავალსახოვანი რელიეფებით მოკაზმული. მარჯვენა სახლში თვით მეფე აიეტი და დედოფალი იდია ცხოვრობდნენ, მარცხენაში კი — უფლისწული აფსირტე და მეფის ასულნი.

სასახლის ეზოში ვაზის ტალავრები გადახლართვოდნენ ერთმანეთს. ტალავერთა ქვეშ ოთხი შადრევანი მოჩქუხდა: რძისა, ღვინისა, ზეთისა და წყაროს წყლისა.

### მედეა და იასონი

ყველაზე დიდი საოცრება, რაც ბერძნებმა კოლხეთის სატახტოში იხილეს, იყო აიეტის უმრწემესი ასული მ ე დ ე ა, უმშვენიერესი ქალწული, ბრძენი აქიმი-მკურნალი, ფლორა-ფაუნის საოცარი მესაიდუმლე, ციურ სხეულთა მჩხიბავი, ასტროლოგი, გულთმისანი და წი-ნასწარმეტყველი,

იასონმა იხილა მედეა და გახევდა.

მედეამ იხილა იასონი და... იგი სხვად იქმნა, სულ სხვად.

მისთვის ამ ქვეყნად უკვე აღარაფერი არსებობდა. იყო მხოლოდ იასონი. აღარ იყო არც კოლხეთი, არც ჭუთაისი, არც საბერძნეთი; არც იოლკოსი, არც ცა, არც მიწა, არც ღმერთი, არც კაცი. არ არსებობდა არავინ და არაფერი. ანდა თუ კიდევ მაინც რაიმე არსებობდა ამ ქვეყანაზე, ყველაფერი მხოლოდ იმ ერთადერთისათვის, ვისაც იასონი ერქვა.

მსახურებმა სასტუმრო აბანოებში შეიყვანეს იასონი, ტელამონი და აეგია. თბილი წყალი ამოჩქუხდა ქათქათა დრუნგილის აბაზანებში. გმირები შიგ ჩაეშვნენ. უმძიმესი ლაშქრობით დაქანცულნი უნეტარეს ტკბობას მიეცნენ. განიბანეს, განიწმინდეს. ტანში უზღვავი ძალა იგრძნეს. შეიმოსნენ და დამშვენდნენ.

აიეტმა ტკბილად მიიღო სტუმრები. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ასე შორეული სტუმრობის მიზეზი გამოჰკითხა.

იასონმა გაბედა და ოქროს საწმისი ითხოვა.

აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხელახალმა მუდარამ გული ჰოულბო და ბოლოს ასე ბრძანა:

ბერძენი უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს საწმისს, თუ იგი შეძლებს ჩაიდინოს გმირობა, რომელსაც თვითონ აიეტი ძალიან ადვილად ასრულებს ხოლმე: მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას აიეტის ცეცხლისმფრქვეველი და სპილენძისფეხებიანი ხარები, ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში დახნას, თან გველეშაპის კბილები სთესოს და მათგან აღმოცენებული დევგმირები მახვილით გაჟლიტოს.

ასეთი რამის აღსრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ ანგარიშმიუცემლად მაინც დათანხმდა.

საგონებელში ჩავარდნილ ბერძენ გმირსა და მის მხლებლებს მოულოდნელი მხსნელი გამოუჩნდათ.

ეს იყო მედეა, რომელსაც უკვე გადაეწყვიტა ყველაფერი გაეწირა უცხოელი ვაჟკაცისათვის. მან საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა იასონს. ხოლო ვინც მედეასეული ჯადო-წამლით სხეულს დაიზელდა, მას ვერც მახვილი გასჭრიდა, ვერც ცეცხლი დასწვავდა, მთელს სხეულშიც ღვთაებრივი ძალ-ღონე და სიმამაცე ჩაუსახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს სისხლით გამძღარ მიწაზე აღმოცენებული ყვავილისაგან ამზადებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საკრებულოს თვალწინ იასონმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა: ცეცხლის მფრქვეველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მიწაც ნახევარ დღეში დახნა-დათესა და ხნულიდან აღმოცენებული გიგანტებიც სულ ერთიანად გაჟუჟა.

მაგრამ თვითონ გრძნეულებას ნაზიარები აიეტი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ქალიშვილის დახმარებით შესძლო ბერძენთა წინამძღოლმა ხიფათიდან თავის დაძვრენა. ამიტომ მან გადაწყვიტა უცხოელების გაჟლეტა.

მედეამ ეს შეიტყო. ქალაქიდან იდუმალ გავიდა და „არგონავლეთა" ბანაკს მიადგა. იქ ყველაფერი ამცნო მათ. მერე იასონი მუხასთან მიიყვანა, საწმისის მცველი გველეშაპი წამლის შეფრქვევითა და შელოცვით დააძინა და იასონს ოქროს საწმისი ჩამოახსნევინა. ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ დაედგომებოდა და აღარც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სულით და ხორცით უცხოელს დარჩა. მუხლმოყრილმა იასონმაც მხურვალედ შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული მეუღლე და ესოდენ განუზომელი ერთგულების დამფასებელი იქნებოდა...

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს კოლხთა ფლოტი და ღაშქარი დაადევნა თავისი ვაჟის, აფსირტეს სარდლობით, მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე, ვითომდა მოსალაპარაკებლად, მიიტყუეს და მუხანათურად მოჰკლეს (ჩასაფრებულმა იასონმა ზურგიდან აძგერა მახვილი). უმეთაუროდ დარჩენილმა კოლხებმა ალყა გაარღვიეს და სამშვიდობოს გააღწიეს.

### მედეა უცხოობაში

ამის შემდგომ არგონავტებმა ისევ და ისევ მედეას „ყოვლისშემძლეობის“ მეოხებით კვლავ უთვალავ ხიფათს სძლიეს და მიაღწიეს ქალაქ იოლკოსს, სადაც იასონს მეფობა უნდა მიეღო. მაგრამ მისმა ბიძამ პელიასმა, რომელსაც ტახტი უკანონოდ ეპყრა, ძმისწულს კვლავ უარი უთხრა მეფობის დათმობაზე.

გაგულისებული იასონი ისევ მედეას შეუჩნდა, რათა მას რაიმე ეღონა პელიასის თავიდან მოსაშორებლად. მედეამაც არ დააყოვნა და თავისი გრძნეულების მოშველიებით პელიასი მისსავე ქალიშვილებს დააჩეხვინა.

ყველა მიხვდა, მოხუცი მეფის მოკვლა იასონის ჩაგონებით რომ მოხდა. ამიტომ იასონი იძულებული შეიქნა თავისი ოჯახით იოლკოსიდან გადახვეწილიყო და კორინთოს მეფეს შეჰკედლებოდა.

გავიდა შვიდი წელი. მედეას და იასონს უკვე ორი ვაჟი ჰყავდათ: მერმეროსი და ფერესი. ბედნიერი ცოლ-ქმარი თითქოს დამშვიდდა და დაწყნარდა. თითქოს მობრუნდა ბედისწერის ბორბალი კოლხი ქალის საკეთილდღეოდ. მედეას შვილებისა და ქმრის უსაზღვრო სიყვარულში გული მობრუნებოდა. თავისი გაეტანა შვიდ წელს: წარსული მწუხარება, ეჭვი და საშმუნავი გაეთელა და გაექარწყლებინა.

მაგრამ თვალთმაქცი ბედისწერა იმ შვიდი წლის მანძილზე თურმე უარეს უბედურებას უმზადებდა უბედობაში აჩემებულ ქალს.

ბოლო ხანს იასონს მოუსვენრობა დასჩემდა, ძილი დაჰკარგა. თუ წასთვლემდა, ბოდავდა და ოხრავდა, სიტყვაძვირობდა, შინ გული აღარ უდგებოდა, სახიდან ნაღვლის ღრუბელი არ შორდებოდა.

მედეა ამაოდ ცდილობდა ქმრის გულის კარი გაეღო და შიგ ახალი დარდის მიზეზი ამოეკითხა. ემუდარებოდა, წუხილი მისთვის გაეზიარებინა, კვლავინდებურად ნაღვლისაგან განკურნებას ჰპირდებოდა.

მაგრამ მედეა ვერ ხვდებოდა, რომ იასონის სწორედ ამ ახალ სა-

ნაღვლის ვერა ძალით ვერ განკურნავდა. რა იცოდა კოლხმა ქალმა, თუ მის ქმარს პატივმოყვარეობის ჭია უხრავდა გულს.

კორინთოს მეფე კრეონს ჰყავდა ლამაზი ასული, სახელად კრეუსა. იასონს მისი ცოლად შერთვა გადაეწყვიტა. ამ გზით აპირებდა იგი, კრეონის სიკვდილის შემდგომ, კორინთოს მბრძანებელი გამხდარიყო.

იასონმა კრეონის სასახლეში სიარულს მოუხშირა. ჯერ კიდევ მომხიბლავმა ვაჟკაცმა მალე აღაგზნო სიყვარული კრეუსას გულში. კრეონიც დათანხმდა, თავისი ქალი ცოლად მიეცა სახელოვანი გმირისათვის.

ეს ამბავი უბედურ მედეას კრეონის ერთმა მსახურმა შეატყობინა. თან მეფის ბრძანებაც მიიღო: დაუყოვნებლივ გადახვეწილიყო კორინთოდან.

მედეასათვის — გულთმისანი, ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი გრძნეულისათვის — მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, თუ ვისთვის და რისთვის გაუწირავს ყველაფერი, რასაც კი მისთვის მშობლიური ერქვა...

დიდხანს ტიროდა მედეა. სიმწარეში ყველაზე მეტად იგრძნობ თურმე სამშობლოს დაკარგვას; თურმე ტყუილად ნუ შეეცდები თავი შეაყვარო ვიღაც უცხოს, როცა შენი მშობლიურის სიყვარული ვერ დაგიფასებია; როცა მშობელი დედის რძე უარგიყვია, დედინაცვალი უცხოს ძუძუს რატომ მოგაწვდის! სამშობლოდან გაქცეულს მშობლიური ქვეყანაც დაგივიწყებს და სამშობლოს ნაცვალიც მისთვის უცხოს ცხვირწინ კარებს გამოგიხურავს!

„გზასაცდენილი სიყვარულის მსხვერპლი შევიქენ და ახიც არის!“ მაშ, მედეას ვაგლახი სიცოცხლე ვაგლახად თავდება!

...მეორე დღეს მედეა აღარ ტიროდა. ახლა ის სულ სხვა იყო, ვიდრე წუხელის, როცა ქმრის ღალატი შეიტყო. სახე გაქვავებოდა, თვალები ცეცხლით ანთებოდა, შუბლი დაძაბროდა. მაგრამ ეტყობოდა, გრძნეულის სულში რაღაც მძიმე ფიქრი გამალებით იბრძოდა და იხარშებოდა. ბოლოს ფიქრი დადუღდა, განელდა და გაიწმინდა.

მედეამ მას უწოდა „შურისძიება“!...

მედეა იასონს მშვიდად და ტკბილად შეხვდა. მალე მან გაოცებული და დაბნეული ქმარი დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწარე ხვედრს. მერე, ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ბრწყინვალე ოქროს

გვირგვინი ძვირფასი ქვებით მოოქვილ ურნაში ჩაალაგა და იასონს ჩააბარა: ეს საჩუქრები შენს საცოლეს მიართვიო ძღვნად.

...იასონი თავისი ვაჟებით სასახლეში მივიდა. კრეუსას საჩუქრები ბავშვებმა გადაასცეს, აქაოდა, როგორც იასონი ფიქრობდა, კრეუსა უფრო ლმობიერად მიიღებსო გერებს.

კრეუსას, როგორც კი სადედოფლო წამოსასხამით და გვირგვინით მოირთო, მაშინვე ცეცხლი მოედო და საშინელი წამებით დაიწვა. ასევე დაეშართა მეფე კრეონსაც, როცა იგი ცეცხლმოდებული შვილის სხეულს შეეხო.

როგორც კი საშინელი აგონია დამთავრდა, რომელიღაც კორინთელმა იყვირა:

„კორინთელებო, ვინ მოუტანა მეფის ასულს ეს მოწამლული საჩუქრები?“

მედეას ბავშვები ელდაცემულნი მაშინვე გარეთ გაცვივდნენ.

„აი, თურმე ვინ!“

„გრძნეული კოლხი ბარბაროსის შვილები!“

ატყდა ღრიანცელი. რამდენიმე მახვილგაშიშვლებული კორინთელი გამოეთო მედეას ვაჟებს.

სირბილისგან და შიშისგან გულამოვარდნილმა ბავშვებმა ტაძარში შეასწრეს და საკურთხეველს მთელის ტანით შემოესალტნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცოუ კაცთკვლა, უბრალოდ ხელის შეხებაც კი ღმერთებისადმი უდიდესი მკრეხელობა იყო.

მაგრამ, აი, შეცვივდნენ კორინთელები, მახვილები აღმართეს და... სიკვდილსშეყრილ ბავშვთა შემაზრზენმა წივილმა შეარყია ტაძარი. სისხლის ტრობში, ყელგამოჭრილნი და ერთმანეთზე გადაჭდობილნი, ეყარნენ კოლხი ქალისაგან ნაშობნი...

ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო; კორინთელებს ბავშვთმკვლელობის სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას — უმაგალითოდ გეემული და ლახვარცემული სიცოცხლე.

იგი ერთ ხანს ათენში ცხოვრობდა, მეფე ეგეოსის სასახლის კარზე. მერე ადგა და სულ წავიდა საბერძნეთიდან.

**მედეას დაბრუნება**

საით?

კოლხეთში!

სულგრძელია მადლი სამშობლოისა!..

არავინ იცის, როგორ, რა გზებით, რა საშუალებით დაბრუნდა უცხოობაში განადგურებული მარტოსული მისგანვე ნაღალატევ სამშობლოში.

მშობლიური მიწის ყივილი ჰქონდა, ალბათ, სანთლად და საგზლად ნაგვიანევად თვალახელილ ქალს.

როგორც კი მშობელ მიწაზე ფეხი დაუდგამს, კვლავ აღორძინებულა მისი გრძნეული სული.

ჩვენ არ ვიცით, რა ძალამ დასცა მზიური აიეტის ხელმწიფობა, მაგრამ ამას კი გვარწმუნებენ, რომ მედეამ კვლავ აღადგინა კოლხეთის ტახტზე მშობელი მამის მბრძანებლობა.

არც ის ვიცით, რისთვის ან სად, რა პირობებში ერკინებოდნენ ერთიმეორეს კოლხები და სავრომატები, მაგრამ, მედეას გრძნეულების ხელშეწყობით, კოლხთა ლაშქარმა ბრძოლის ველიდან განდევნა თურმე ურიცხვი მტერი.

არარა ვიცით, როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა" მედეამ — ჩვენთვის ცნობილმა „პირველმა ქართველმა ქალმა".

ხოლო მისი დიადი მამის, მზიური ხელმწიფის, ჩვენთვის ცნობილი „პირველი ქართველი მეფის", აღსასრულს გვამცნობს მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე,
აქ გააპატიოსნა ღმერთთა ყოვლისდამთრგუნველმა
ბედისწერამ.

**„დიდსა მიემთხვია მაძაგებელსა"**

განვლო მრავალმა საუკუნემ და მედეას გვემული სული ისევ შეაშფოთეს... კიდევ უარესი წვისა და დაგვის კოცონზე დასდეს.

ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის საბერძნეთში გამოჩნდა დიდი მწერალი-ტრაგიკოსი ე ვ რ ი პ ი დ ე, რომელმაც თავისი მხატვრული შემოქმედების მრწამსად ქალის ბუნების გახსნა აირჩია. ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირნი ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მათ არ იციან საზღვრები არც სიყვარულში და არც სიძულვილში. ევრიპიდეს ქალთა ტიპები განსაკუთრებით მძვინვარე და აგრესიული არიან შურისძიების დროს. ისინი არავითარ ბოროტებას არ ერიდებიან, ოღონდ-კი უკიდურესი ტანჯვა-ვაებით მიუგონ შეურაცხმყოფელთ. თკი

თონ ევრიპიდემ ერთ თავის პერსონაჟ ქალს ათქმევინა: „არაფერს ისე სრულყოფილად და დახვეწილად არ აკეთებენ ქალები, როგორც ბოროტებას“. ან სხვაგან კიდევ სხვა ქალი ამბობს: „ათას იდეალურ ქალს ერთი მახინჯი მამაკაცი სჯობიაო“. მრავალი ასეული „ქალთმოძულური“ სენტენციებისათვის ევრიპიდეს თანამედროვენი დაჯერებით იმეორებდნენ მის შეფასებას არისტოფანეს ერთ-ერთი კომედიიდან: ევრიპიდემ ქალები ისე გალანძღა და ლაფში ათრია, რომ ქმრები, თეატრიდან დაბრუნებისას, ეჭვებით აღძრულნი ეცემიან ცოლებს და ათასგვარ ბოროტებაში სდებენ ბრალსო. ბოლოს და ბოლოს, ევრიპიდეს მის სიცოცხლეშივე დაარქვეს „მიზოგინი“ — „ქალთმოძულე“. ტრადიცია გადმოგვცემს, რომ ქალები ქუჩაში მოსაკლავად დასდევდნენ ევრიპიდეს. ბოლოს მისი სიკვდილის შესახებაც ასეთი ხმები დადიოდა: ევრიპიდე ქალებმა ხელთ იგდეს და ნაკუწებად აქციესო. სხვები კი ამბობდნენ: ქალებმა ევრიპიდე ცოფიან ძაღლებს დააგლეჯინესო. ერთი სიტყვით, ქალებმა სასტიკად გადაუხადეს მათი ძაგების დიდ მესაყვირეს...

და აი, ევრიპიდემ ხელთ აიღო მისგან დაახლოებით ათასი წლის წინათ კორინთოში დატრიალებული ტრაგიკული ამბავი და თავის „მიზოგინურ“ შემოქმედებითს ქვაბში ჩაუშვა ხელახალი გადახარშვისა და გარდასახვისათვის.

ასე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია „მედეა“, რომელშიც მეფე აიეტის ასული მოღალატე ქმრის მიმართ შურისგების გაუგონარ, შემაზრზენ ფორმას მიმართავს.

ევრიპიდე ჯერ ნამდვილი თქმულების ხაზს გაჰყვა და მედეას მისი მეტოქე კრეუსა (იასონის საცოლე) და მამამისი კრეონი მოაკვლევინა; ხოლო ამის შემდგომ, ნამდვილად მომხდარი ამბის (კორინთელებმა რომ მედეას ბავშვები დახოცეს) ნაცვლად, მედეას საკუთარი შვილებიც დაახოცვინა. მთავარი ევრიპიდესათვის ის იყო, რომ ქალს ჩაედინა უკიდურესი შურისმგებლობა. შვილები დაეხოცა მოღალატე ქმრისათვის, ხოლო იგივე შვილები რომ მედეას შვილებიც იყვნენ, ამას — დედაშვილურ სიყვარულს — „დაქვემდებარებული მდგომარეობა“ უნდა სჭეროდა „მთავარი მოტივისადმი“ — შურისმგებლობისადმი.

მაშ, ევრიპიდემ პირველმა გამოიგონა შემაზრზენი ამბავი, თითქოს კოლხმა მედეამ ყელები დასჭრა საკუთარ შვილებს! (ევრიპიდეს ამ „ცოდვის“ შესახებ გადმოგვცემენ ძველი დროის მეცნიერები და მწერლები: კრეოფილე, პინდაროსის სქოლიასტი. პარმენისკე, პავსანია, კლავდიუს ელიანუსი. ეს უკანასკნელი იმასაც გვარწმუნებს, რომ

კორინთელებმა ევრიპიდეს ხუთი ტალანტი (დაახლოებით, 75.000 მან. ოქრო.) მისცეს, რათა ბავშვების დახოცვა დედისთვის დაებრალებინა, ხოლო მათთვის ჩამოერეცხნა ბავშვთმკვლელობის სისხლიანი ლაქა...

მაშ, ევრიპიდეს „მიზოგინობას“ ემსხვერპლა მართალი ამბავი კოლხი მედეას შესახებ. ბერძენი მწერლის დიდმა მხატვრულმა ძალამ დაიწუების ფერფლით დაჰფარა სინამდვილე კოლხი ქალის ტრაგედიისა.

ამრიგად, ოცდათოთხმეტი საუკუნე დადის ქვეყანაზე სამანელი თავგადასავალი „პირველი ქართველი ქალისა“; დადის იგი ორმაგი წიაღსვლით: ათი საუკუნე საკუთარი, ნამდვილმომხდარი უბედურებითა და ოცდაოთხი საუკუნე — ევრიპიდესგან თავსმოხვეული შვილთამკვლელობის უმძიმესი ტვირთით...

ა ზ მ ა მ ე ო რ ე

## ფიგნი კოლხთა და იბერიელთა

**დიაოხი, კოლხა, სპერი**

ეს დრამატული ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა სწრაფ აღზევებას ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებიდან (დაახლოებით, 3 500 წლის წინათ).

ეს ის დრო იყო, როცა მცირე აზიაში „ზღვის ხალხების“ შემოსევებმა ჯერ დაასუსტეს და შემდეგ სავსებით დაანგრიეს ოდესღაც მძლავრი ხეთთა სამეფო. ამით ისარგებლა კოლხური მოდგმის ძლიერმა ტომმა — მ ე ს ხ ე ბ მ ა. ისინი მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ, მკვიდრად განსახლდნენ და საფუძველი მოუმზადეს მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში (დაახლოებით, 3 300 წლის წინათ), დღევანდელი არზრუმისა და მის სამხრეთ ტერიტორიებზე შეიქმნა ძლიერი ქართული ტომობრივ-სახელმწიფოებრივი ვაერთიანება — დ ი ა ო ხ ი (შემდგომში — ტ ა ო), რომელიც ექვსასი წელი იგერიებდა წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოთა — ასურეთისა და ურარტუს შემოტევებს.

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში (დაახლოებით 2 800 წლის წინათ) დიაოხი სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ახალმა მძლავრმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დააპყრო და შეიერთა. ეს იყო კ ო ლ ხ ა, ანუ კოლხეთი, რომელსაც სახელი ამ დროისათვის ქართველ ტომთაგან ყველაზე გამძლავრებულმა კოლხებმა მისცეს. კოლხთა გარდა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდნენ დანარჩენი ქართული ტომებიც: მოსხები (მესხები) და ტაოხები (ტაოელნი), მოსინიკები და სანიგები, ტიბარენები და ხალიბები, ქარდუხები და მაკრონები.

ახლა კოლხასა და ურარტუს შორის გაჩაღდა მძიმე ბრძოლები, მაგრამ ჩრდილოეთიდან გადმოჭრილმა კიმერიელთა ნიაღვარმა დააზავა და შეაკავშირა წაკიდებული მეზობლები. მალე კიმერიელებს სკვითთა და მიდიელთა შემოსევები მოჰყვა.

კოლხაც და ურარტუც დაეცნენ.

მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც დღეგრძელი აღმოჩნდა. იგი ახალი პოლიტიკური ქმნადობით განაგრძობდა არსებობას.

ძველი წელთაღრიცხვის VII — VI საუკუნეების მიჯნაზე (დაახლოებით, 2 600 წლის წინათ), ისევ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ზემო წელზე, ქართის ტომებმა ს ა ს პ ე რ ე ბ მ ა, ანუ ი ბ ე რ ე ბ მ ა, შექმნეს ს პ ე რ ი ს სამეფო.

სპერის მეზობლად მაშინ ორი მძლავრი სახელმწიფო არსებობდა: ირანული მიდია და მცირეაზიული ლიდია. ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს მიდიელები და ლიდიელები გადამწყვეტი ბრძოლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ მდინარე ღალისის პირას. მაგრამ ბრძოლა არ შედგა, რადგან მზის დაბნელებამ დაასწრო და „რაკი უფალმა ბრძოლა არ ინება“, მოწინააღმდეგენი უომრად შეთანხმდნენ, სასაზღვრო ხაზად მდინარე ღალისი გამოეცხადებინათ.

ვერც მიდიამ და ვერც ლიდიამ ვერ შეჰბედეს სასპერთა სახელმწიფოს საზღვრებს.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა წინააზიელ ხალხთა ღვთისრისხვა — დიდი კიროსი, რომელმაც საფუძველი დაუდო სპარსეთის სახელმწიფოს და მის მბრძანებელ აქემენიანთა დინასტიას. სპარსელებმა დაიპყრეს მიდია, ლიდია, მესოპოტამია, დასავლეთ წინა აზია, შემდგომ ეგვიპტე და ბოლოს — შუა და ცენტრალური აზია ინდოეთამდე.

სამხრეთ-დასავლეთელი ქართველებიც აქემენიანთა სამბრძანებლო

საზღვრებში მოექცნენ. ისინი სპარსეთის მეთვრამეტე-მეცხრამეტე სატრაპიებში შედიოდნენ, ხარკს იხდიდნენ და საჭირო შემთხვევაში სპარსელებს ლაშქრად მიჰყვებოდნენ.

**კოლხეთი და იბერია**

დასავლეთ საქართველომ ჭოროხიდან კავკასიონამდე ახალი სახელმწიფოებრიობით განაგრძო ცხოვრება. ეს იყო ე გ რ ი ს ი ს, ანუ კ ო ლ ხ ე თ ი ს სამეფო.

სპარსელ აქემენიანებს კოლხეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

უფრო ადრე, VII საუკუნიდან, ქართულ საზღვაო სანაპიროებზე უკვე საქვეყნოდ დაწინაურებულმა ბერძნებმა იწყეს გამოჩენა. შავი ზღვის სამხრეთით და აღმოსავლეთით დაარსდნენ სავაჭრო ახალშენები და კულტურული ცენტრები: სინოპი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფასისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი).

ქართული სამყარო დიადი ბერძნული ცივილიზაციის მოკავშირე და მონაწილე შეიქნა.

იმავე VI საუკუნეში აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველთაგან შეიქმნა ქ ა რ თ ლ ი ს, ანუ ი ბ ე რ ი ი ს სახელმწიფო, იბერიელები არავის ბატონობას არ ცნობდნენ, არც მიდიელებისას, არც სპარსელებისას. ქართლის სახელმწიფო ჯერჯერობით სავსებით „თავისუფალ მამულიშვილებს“ ზრდიდა და ავაქაცებდა.

ქართლის თავადი ქალაქი იყო დიდებული მ ც ხ ე თ ა.

ქართველთა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარე თითქოს მტკიცედ ჩადგა თავის კალაპოტში.

მაგრამ წინა აზიის მრავალტომოვან ხალხთა სისხლიან-მეომრული, მარადჟამეულ მღელვარე საუკუნეები ახალი ხოცვა-ჟლეტით აღსავსე ფურცლებით გრძელდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის 334 წელს მთელი მსოფლიო შეარყია მანამდე არნახული და არგაგონილი დაპყრობელის გამოჩენამ. მაკედონიის ტახტზე დაჯდა ოცი წლის ჭაბუკი ალექსანდრე, მომცრო ტანით და აღიელი თვალებით (ცალი შავი და ცალი ცისფერი), გენიალური გონებითა და აქილევსური შემმართებლობით. მას თავგამოდებით სურდა და სწამდა, რომ მსოფლიო ისტორიის სოლისტის როლს უეჭველად აღასრულებდა.

წამოვიდა ალექსანდრე ბერძნულ-მაკედონური ლაშქრით, აზიაში შემოიჭრა, სპარსული არმიები ზედიზედ დაამარცხა და გააცამტვერა,

დაიპყრო მცირე აზია, სირია-ფინიკია, ეგვიპტე, მესოპოტამია, ცენტრალური და შუა აზია და, ბოლოს, ინდოეთის დიდი ნაწილიც.

ბალკანეთიდან ფენჯაბამდე ხალხი არ დარჩენილა, მაკედონელთა უღელი არ დასდგომოდეს კისრად.

ხოლო ქართველები მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი დამპყრობელის მბრძანებლობასაც გადაურჩნენ.

323 წელს ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა და მისგან შექმნილი მსოფლიო მონარქიაც მისივე გვამის გაცივებამდე დაიშალა. ალექსანდრეს მემკვიდრეობის ნანგრევებზე ე. წ. ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური) სახელმწიფოები წარმოიქმნენ. ამათგან უმთავრესი იყვნენ სირია, ეგვიპტე და მაკედონია. სირია, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე წვდებოდა, დაემორჩილა ალექსანდრეს ერთ-ერთ სარდალს, სელევკოსს, საიდანაც წარმოდგა სელევკიდების დინასტია.

მცირე აზიაშიც რამდენიმე ელინისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო პონტოს სამეფო.

პონტოს სახელმწიფო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსაელეთით შეიქმნა და ძირითადად ქართველური ტომებით (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, სანიგები, შკვითინები, კოლხები, ტაოხები და სხვ.) იყო დასახლებული, მაგრამ რაკი იქ, სხვა ელინისტურ ქვეყანათა მსგავსად, სახელმწიფო ენად ბერძნული ენა მოქმედებდა, ქართველები პონტოელებსაც „ბერძნებს“ უწოდებდნენ.

### წიგნი ფარნავაზისა

შენ, პე, ფარნავაზ ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი.

გრიგოლ ორბელიანი.

მცხეთაში მაშინ მამასახლისი იჯდა, სახელად სამარა.

პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი აზონ, ტომით პონტოელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძნად“ წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლ სარდლადაც მიიჩნევდნენ.

მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით.

დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა.

დაახოცვინა მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

ასე დაჯდა აზონ ქართლის ერისთავად. დაჯდა და მცხეთის აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი — გაც და გაიმ.

მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟი დარჩა, სახელად — ფარნავაზი.

დედამ მაზით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველობაში გაზარდა. ვაჟკაცობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.

მალე ფარნავაზს ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ვაჟკაცს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს, მეომარსა და ხელმოუცარავ მონადირეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკაცონი. თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

დედას აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან.

„შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაი თუ მოგკლან!“ შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი დედას ამშვიდებდა, ამხნევებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად მისდევდა ტყესა და ღრეში.

ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას:

ვითომ იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გასასვლელი არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ფარნავაზს წელზე შემოერტყა, განზიდა და გაიყვანა; მერე სადღაც ტრამალ ველზე გავიდა და შედგა; უცებ მზე ზეციდან ძირს დაეშვა და ფარნავაზის წინ მის სიმაღლეზე დადგა; ჰაბუკმა მზისკენ ხელი გაწვართა, პირზე სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და პირი იმ მზიურნამცვრევით დაიბანა!..

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტევა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დილმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოუვარდა. მონადირემ წამსვე მშვილდ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები თბილისის ტაფობისაკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა.

ერთი მოწყვეტით ჩამოსხლტა ჯოგს. მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, მწუხრის ჟამს, ვეღარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაიკრიფა. ფარნავაზიც მივიდა, ცხენიდან გარდახდა და დაუძლურებულ ნადირს კისერზე მკლავი გადაჰხვია.

ის ღამე ერთად გაათიეს კაცმა და ნადირმა.

დილით კოკისპირული წვიმა დაასხა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო, — თავშესაფარს რასმე ეძებდა.

უცებ მან კლდის ძირში ქვა-ნაშალი შენიშნა. თითქოს კლდეში შესასვლელი ოდესღაც ვიღაცას ამოექოლოს.

სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამორღვევას შეუდგა. იგი შევიდა გამოქვაბულში და გაიხარა, რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მაგრამ უფრო დიდი სიხარული მას წინ ელო.

როცა ფარნავაზმა გამოქვაბულს თვალი უფრო გულისყურით მოავლო, დაინახა საგანძური აურაცხელი ოქრო-ვერცხლისა!

გაოცებულმა და სიხარულით აღვსილმა ჭაბუკმა გამოქვაბულის კარი ისევ ამოქოლა და სახლისკენ გაქუსლა. იქ მან დედას და თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი.

ხუთი ღამის განმავლობაში ფარნავაზს, მის დებსა და დედას, ყველასაგან საიდუმლოდ და შეუმჩნევლად, გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი გამოქვაბულიდან. გამოჰქონდათ და სხვა, მათთვის უფრო მარჯვე და საიდუმლო ადგილზე ინახავდნენ.

როცა ეს საქმე მოათავა, ფარნავაზმა თავისი მსახური აფრინა დასავლეთ საქართველოში და ეგრისის მაშინდელ ერისთავს, ქუჯის შეუთვალა:

„მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებულ სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტავი ესე და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

ქუჯიმ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემონათვალზე და პასუხიც ასეთი აახლა:

„აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი დედისა და დების თანხლებით მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთში გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმ-

რები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის დასამხობად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან ფარნავაზს ასე უთხრა:

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო შე ქვეშევრდომი შენი“.

ქუჯის დიდსულოვნებითა და სიბრძნით აღტაცებულმა ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები, კავკასიონითგან მოირთო ოვსნი და ლეკნი, რომლებიც აზონს დახარკულნი ჰყავდა.

ეტყობა, აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა მტკიცე ერთიანობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთში გადავიდა და იქ გამაგრდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სალაშქრო სამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა სირიის მაშინდელ ხელმწიფეს, ა ნ ტ ი ო ქ ე I ს ო ტ ე რ ს. ამანაც ფრიად გაიხარა ქართველთა ახალგაზრდა ბელადის ძღვენითა და სამოკავშირეო წინადადებით. მან ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, უძვირფასესი გვირგვინი გამოუგზავნა და თან თავის ქვეშევრდომ სომხეთის მმართველთ ფარნავაზისთვის დამხმარე ძალთა გაგზავნა უბრძანა.

ფარნავაზი ქუჯის თანხლებით, ქართველთა გაერთიანებული ძალებით, დაიძრა არტანუჯისაკენ.

აზონიც ელოდებოდა პონტოდან მიღებული ახალი საომარი ძალებით.

ბრძოლა მოხდა ა რ ტ ა ა ნ ი ს, „ქაჯთა ქალაქის“ მახლობლად. სისხლიანი რკინა ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილიც განადგურდა. დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მთელი კლარჯეთი თავის დედას — ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ თ ა დ ი ნ ა ს ტ ი ი ს დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეების მიჯნაზე.

ფარნავაზი ჯერ მხოლოდ 27 წლისა იყო, მაგრამ ახლად წარმოქმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებდა.

იგი გამეფებისთანავე შეუდგა შინასახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებას.

მან ჯერ განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დაჰყო საერისთაოებად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ერისთავები. სულ იყო რვა საერისთავო: არგვეთი (შორაპანსა და ლიხს ზორის), კახეთი (არაგვსა და ჰერეთს შორის), ხუნანი (გარდაბანი, მდ. ბერდუჯიდან თბილისსა და გაჩიანამდე), სამშვილდე (ტაშირი და აბოცი), წუნდა (ჯავახეთი, კოლა და არტაანი), ოძრხე (სამცხე და აჭარა), კლარჯეთი (არსიანითგან შავ ზღვამდე) და ეგრისი (სამეგრელო და სვანეთი. სწორედ ეგრისის ერისთავი იყო ქუჯი).

შიდა ქართლს (თბილისიდან ტაშისკარამდე), ვითარცა ცალკე საერისთავოს, განაგებდა სპასპეტი, მთავარსარდალი, რომელიც იმავე დროს ყველა საერისთავოთა ზედამდგომად და მეფის პირველ ვაზირად ითვლებოდა.

ჟამიდან ჟამზე თვითონ მეფე პირადად ეწვეოდა ხოლმე საერისთაოებს, ადგილზე მოიკითხავდა და გაიკითხავდა ყველა საჭირბოროტო საკითხს. უფრო ხშირად იგი სტუმრობდა კლარჯეთს და ეგრისს.

ფარნავაზი მეგობრობდა და მოყვრობდა თავის ერთგულ თანამებრძოლებთან, მოკავშირეებთან და ქვეშევრდომებთან. მას ცოლად ჰყავდა ჩრდილო კავკასიელ დურძუკთა ბელადის ასული, ხოლო თავის დათაგან ერთი ოვსთა მეფეს მისცა ცოლად, მეორე — ერთგულ ქუჯის, ეგრისის ერისთავს.

ფარნავაზმა ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მან გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი აკროპოლისი არმაზ-ციხე, სადაც აღმართა ახალი კერპი არმაზ. მეფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელიც კი მანამდე მტრის შემოსევას, თუ სტიქიურ უბედურებას დაენგრია. ამას გარდა, დაიწყო ახალ ციხეთა და ქალაქთა მშენებლობა. ასე აშენდა შორაპნისა და დიმის ციხეები. ეგრისის ცენტრში ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ციხე-გოჯი.

იმავე IV—III საუკუნეთა მიჯნაზე ფარნავაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, რასაკვირველია, ქართულ ანბანზე დაფუძნებული. ჯერჯერობით მხოლოდ ეს არ ვიცით დაზუსტებით: ფარნავაზმა ქართული ანბანი, ვითარცა ქართული მწიგნობრობის უცილობელი საძირკველი, ადრეული საუკუნეებიდან აიღო (რაც უფრო სარწმუნოა), თუ თვითონ მის დროს შეიქმნა, მისი მითითებითა და ხელმძღვანელობით. ასეა, თუ ისე, ერთი რამ სავსებით უეჭველია:

ქართული ანბანი, — რომლის საფუძველზედაც ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“, — არაუგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დამდეგისა, ძალაში შედის, ვითარცა სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვლენა.

65 წელი იმეფა ფარნავაზმა და მიიცვალა 92 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს მისგანვე აღმართული არმაზის ფერხთა ქვეშე.

### საურმაგ და მირიან

ფარნავაზის შემდგომ გამეფდა მისი ვაჟი საურმაგ, რომელიც ენერგიულად იღვწოდა სახელოვანი მამის დიდი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის.

მაგრამ ქვეყნის შიგნით, მეფესა და ერისთავთა შორის, მაინცადამაინც დიდი სიმტკიცე არა ყოფილა, რამდენიმე ერისთავი შეითქვა კიდეც სამეფო ხელისუფლების დასამხობად. საურმაგმა საკუთარი ძალები არასაკმარისად მიიჩნია და ხელშემწე ძალთა შესაკრებად ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაეშურა. იგი ჯერ დედის თანხლებით მივიდა დურძუკეთის ბელადებთან, რომლებიც მას ბიძებად (დედის ძმანი) ერგებოდნენ. აქვე საურმაგს ქართლიდან ფეხდაფეხ მოჰყვნენ ფარნავაზის ერთგული წარჩინებულნი. მოვიდნენ, მეფეს მტკიცე ერთგულება შეჰფიცეს და ურჩთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ბრძოლა მოითხოვეს.

საურმაგი შეხვდა ოვსთა მეფესაც, რომელიც მისი მამიდაშვილი იყო.

ბოლოს, საურმაგი ერთგულ ქართლოსიანთა, დურძუკთა და ოვსთა გაერთიანებული ლაშქრით მოაჯანყეებს შეება და სასტიკადაც გაანადგურა. ჩრდილო კავკასიელთა ტომები საურმაგმა ერთგულებისათვის

კავკასიონს გადმოღმა გადმოიყვანა და დიდოეთიდან სვანეთამდე დედაწულიანად განასახლა. მალე ისინი ადგილობრივ ტომებში აღირივნენ და სავსებით გაქართველდნენ.

საურმაგის შემდგომ ქართლის ტახტზე დაჯდა მისი მემკვიდრე მ ი რ ი ა ნ პ ი რ ვ ე ლ ი, „ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი“.

მირიანის მეფობისას ჩრდილო კავკასიელთა და ქართველთა მშვიდობიანობა და მოყვრობა დაირღვა. დურძუკნი და ჭართალელნი, ერთ ურდოდ შეკრულნი, დარუბანდზე გადმოიჭრნენ და კახეთს შემოესივნენ. მირიანმა სასწრაფოდ აწვია ერისთავნი, შეჰყარა ლაშქარი: ცხენოსანნი და ქვეითნი; ქართველთა ჯარებს შეურია საურმაგისგან გადმოსახლებული ჩრდილოელნი და დაიძრა დურძუკეთისაკენ.

მოპირდაპირენი ერთმანეთს შეხვდნენ დარიალის ჩრდილო შემოსასვლელთან. მირიანი ცხენიდან გარდახდა და მოწინავე ქვეით ლაშქარს ხმალამოწვდილი გაუძღვა. ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი. თვითონ მეფე იბრძოდა, „ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“. ქართველმა ქვეითებმა მოწინააღმდეგე ხელჩართულში ჩაკაფეს და უკუაქციეს. გაქცეულ მტერს მეფის ბრძანებით მხედრობა გამოუდგა და სავსებით გაანადგურა. დურძუკეთი და ჭართალი მორჩილქმნა. მირიანმა დარიალის გადმოსასვლელნი ქვის ციხე-ზღუდეებით ჩაჰკეტა და ჩარაზა.

ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე

## წიგნი პონტოელ ქართველთა

### პირველი პონტოელნი

ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნე იდგა.

ფარნავაზიანებს დიდი ბრძოლების წარმოება უხდებოდათ ამ დროს გაძლიერებულ მეზობლებთან: პართიელებთან, სომხებთან, პონტოელებთან.

განსაკუთრებული როლი II — I საუკუნეების მსოფლიოს, წინა

აზიისა და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებაში, შეასრულა პონტოს ელინისტურ-ქართულმა სამყარომ.

უკვე ითქვა, რომ პონტოს ქვეყანა მდებარეობდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ სინოპიდან მდინარე ჰოროხამდე. ამ ტერიტორიებზე ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: კოლხები, ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, სანიგები, შკვითინები, დრილები და სხვ.

პონტოს დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა IV—III საუკუნეთა მიჯნაზე (იმ დროს, როცა მცხეთაში ტახტზე დაჯდა ფარნავაზი). პონტოს სამეფო დინასტიის დამაარსებელი იყო მითრიდატე პირველი, რომელმაც მისცა სახელი მთელ პონტოურ დინასტიას — მითრიდატიდების დინასტია.

მითრიდატეს შემდეგ მეფობდა მისი შვილი არიობარზანი (266—256 წწ.), მას შემდგომ კი — მითრიდატე II (256—210 წწ.). ამ დროს სელევკიდური სირიის ამპარტავანი მბრძანებლები, რომლებიც მანამდე პონტოს ქვეყანას თავის სამფლობელოდ თვლიდნენ, იძულებული ხდებიან პონტო ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოდაც ცნონ და მისადმი მტრობა მეგობრობითა და მოყვრობით შეცვალონ.

II საუკუნის დამდეგს დასავლეთიდან დაიძრა მსოფლიოს ახალი მძლავრი დამპყრობელი — რომი. 190 წელს რომაელებმა ქ. მაგნეზიასთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს სელევკიდური სირიის ჯარები და ხელი მიჰყვეს აზიაში „რომაული წესრიგის“ დამყარებას. რომაელებთან თავიანთი დამხმარე ძალებით გაეშურნენ აზიის წვრილ-წვრილ სახელმწიფოთა — პერგამოსის, ბითინიის, პაფლაგონიის და კაპადოკიის მმართველები. მათ რომს მორჩილება გამოუცხადეს და სამაგიერო საჩუქრებიც მიიღეს.

იმ დროისათვის აღმოსავლეთში ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც რომაელთა ჩამოსახლებას მტრულად შეხვდა, იყო პონტოს სამეფო. პონტოს მაშინდელ მეფეს, ფარნაკეს (190—170 წწ.) რომაელებისათვის არც დამხმარე ძალები გაუგზავნია, არც სხვა რაიმე კავშირი გაუბამს მათთან. უფრო მეტიც: ფარნაკემ დაიწყო ომი რომის მფარველობის ქვეშ მყოფი პერგამოსის (მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი) წინააღმდეგ. „ფარნაკეს ომი“ (182—179 წწ.) პირველ ხანებში პონტოელთა დიდი წარმატებით მიდიოდა, მაგრამ ბოლოს პერგამოსის, კაპადოკიის, ბითინიის, გალატიისა და პაფლაგონიის კავშირმა, რო-

მის დახმარებით, ფარნაკე დაამარცხეს და წინა წლებში დაპყრობილ ტერიტორიებზე ხელი ააღებინეს.

150 წელს პონტოს სამეფო ტახტზე ავიდა მითრიდატე V ევერგეტი, რომელმაც რომისადმი მტრული დამოკიდებულება მეგობრული ურთიერთობით შეცვალა. იგი ყოველ საჭირო შემთხვევაში რომს დამხმარე საომარ ძალებსაც უგზავნიდა. ამის გამო რომის სენატმა მითრიდატე ევერგეტი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა.

ევერგეტმა პონტოს სატახტო რეზიდენცია, რომელიც მანამდე ქალაქ ამისოსში იმყოფებოდა, სინოპში გადაიტანა. აქვე შეუდგა იგი კაპადოკიის დაპყრობისათვის სამზადისს. მეფემ თავისი ახლო მეგობარი სარდალი დორილაოსი საბერძნეთში გაგზავნა დაქირავებული ჯარების ჩამოსაყვანად, თვითონ კი პონტოური ლაშქრით დაუყოვნებლივ შეიჭრა კაპადოკიაში (მცირე აზიის ცენტრში). მეფე გამარჯვებული დაბრუნდა სინოპში.

ის ღამე ზეიმ-ღრეობით დაიწყო და სამგლოვიარო ზარით გათენდა. ნაომარი და ნაქეიფარი მეფე მითრიდატე ევერგეტი სარეცელზე იწვა გულში მახვილგარჭობილი.

ეს ამბავი მოხდა 120 წელს.

შეთქმულნი არ უპოვნიათ, რადგან არ უძებნიათ.

დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ მკვლელთა მეთაური თვითონ დედოფალი, პატივმოყვარე და გულზვიადი ლაოდიკე არისო. საეჭვო მაინცადამაინც არაფერი იყო: ქვრივმა დედოფალმა სამგლოვიარო თავსაბურველი სამეფო ჯიღა-დიადემით შეიცვალა, ტახტზე დაბრძანდა და კანონიერ მემკვიდრეს, ღვიძლ შვილს, ავი თვალი დაადგა.

მითრიდატე ევერგეტს ლაოდიკესგან რვა შვილი დარჩა — ორი ვაჟი და ექვსი ქალი. ვაჟებსაც ორივეს მითრიდატე ერქვა. წესისამებრ, სამეფო ტახტი ეკუთვნოდა უფროსს, რომელიც იმ ტრაგედიის ჟამს თერთმეტი წლისა გამხდარიყო.

### დიდი პონტოელი

მალე მთელი მსოფლიოს ცაზე ზარებს დაარისხებს მისი მჭუხარე სახელი: მითრიდატე VI ევპატორი დიდი დიონისე.

იგი დაიბადა ძველი წელთაღრიცხვის 132 წელს, ქალაქ სინოპში. მამის დაღუპვიდან კიდევ ორ წელს შეძლო ყმაწვილმა უფლისწულმა

შეთქმულთაგან დახლართული სასიკვდილო ხვანჯებისგან თავის დაღწევა. ერთხელ გულღრძო დედამისის დავალებით თორმეტი წლის ბიჭი გაუხედნელ, გაგიჟებულ ცხენზე შესვეს, უბელოდ, უაღვიროდ: ხელში მშვილდ-ისარი მისცეს და გაფრენილი ცხენიდან განუწყვეტელი ისრის სროლა უბრძანეს. მითრიდატემ სრულიად უმარცხოდ შეასრულა ეს დავალება. მერე საჭმელში საწამლავი შეუყოლეს, მაგრამ მისმა ჩაკირულმა სხეულმა შხამიც მოინელა. მალე მან თვითონ დაიწყო ქიმიური ცდები საწამლავთა და ანტისაწამლავთა გამოსაყვანად. ცხოვრების ყოველი კუნჭულიდან ჩასაფრებული სიკვდილის მომლოდინე, პირში ლუკმასაც არ ჩაიდებდა, თუ თან ანტისაწამლავს არ შეაყოლებდა. მისი სხეული შხამებს ისე შეეჩვია, რომ უცილობელ ჟამს, თავის მოკვლისთვის მისი ხელითვე დამზადებული საწამლავი, რომლის ერთი წვეთი სპილოსაც კი ძირს დასცემდა, უბრალო მწარე წყლად გადაიქცა. მაგრამ მანამდე რამდენი რამ უნდა გადახდომოდა თავს და თვითონ თავის მხრივ რამდენი რამ უნდა მოეხვია თავზე მაშინდელი შფოთიანი მსოფლიოსათვის.

ცამეტი წლის ბიჭი სულ გაექცა სიკვდილის ბუდედ ქცეულ სასახლეს და მთა-ველსა და ტყე-ღრეს მისცა თავი. შვიდი წელი მისი ცხოვრებისა საოცარ ლეგენდათა სამოსელში გაეხვია. არავინ იცოდა, სად ათევდა ღამეს, რას სჭამდა, რა ეცვა, რა ეხურა. ნადირთა შორის ცხოვრობდა, თვითონ განადირებული; მათთან „ასპარეზობაში", რბენაში, რკენაში, ღრენა-კბენაში იზრდებოდა და იკაჟებოდა მისი უზარმაზარი, გიგანტური სხეული. არც ერთი წამით არ ივიწყებდა, რომ მას ეძებდნენ, ამიტომ მუდმივ იცვლიდა ღამის სათეველ ბუნაგს და ნაპრალს. მაგრამ თვითონ უჩინოქმნილმა კარგად იცოდა, რა ხდებოდა სინოპის კარზე, მის მტრულ ბანაკში კიდევ შემორჩენილიყვნენ მამამისის ერთგული მეგობრები, რომლებიც ყოველ საჭირო ცნობას აწვდიდნენ ლტოლვილ უფლისწულს.

და აი, ერთხელ, მეგობრებთან დათქმულ დღეს, სინოპის სასახლეში ერთბაშად გაჩნდა ოცი წლის ბუმბერაზი. იგი ჯიქურ მიეჭრა მეფე-დედას, თავიდან გვირგვინი მოჰგლიჯა, ტახტიდან აიტაცა და დილეგისაკენ გაიქანა. იმავე დღეს სიკვდილით დასაჯეს ახალგაზრდა მეფის ყველა ნამდვილი და საეარაუდებელი მოწინააღმდეგე.

მალე მთელმა ქვეყანამ შეიტყო პონტოელი გვირგვინოსნის საქმენი საგმირონი.

მეფე პირველი იყო უპირველეს მოლაშქრეთა და ათლეტთა შო-

რის: მკლავგაუდრეკი მოკრივე და მოფარიკავე, მიზანმიუმცდარი მოისარი და მოშურდულე, დაუღალავი მორბენალი. შეეძლო მთელი დღეების განმავლობაში მშიერ-მწყურვალს ეჯირითნა ცხენთა გამოცელით. მისებრ არავის შეეძლო ოსტატური მართვა და გიჟური სრბოლა თექვსმეტმერნიანი ეტლისა.

იყო უებრო ბრძოლის ველზე სიმამაცით და შემმართებლობით; თუმცა მისი გოლიათური სხეული მტერ-მოისართა მოხვრხებული სამიზნო იყო; ამიტომ ხშირად გამოჰქონდათ ბრძოლის ველიდან დაჭრილ-დაფლეთილი. მაგრამ ჭრილობებს გასაოცარი სისწრაფით იშუშებდა და კვლავ ხელახალი მხნეობით და სიკისკასით მიილტვოდა ბრძოლის ველისკენ. ომიდან თუ ასპარეზობიდან დაბრუნებული ახალ შეჯიბრს მართავდა სანადიმო სუფრასთან, — და იქაც ტოლი არ ჰყავდა.

იყო უგანათლებულესი მეცნიერი, უბადლო რიტორი და მეცნიერება-ხელოვნების მფარველი-მეცენატი. ბრწყინვალედ იცოდა 22 ენა (პლინიუსი იმასაც კი ამბობს, 50 ენა იცოდაო). ამდენ ენაზე შეეძლო თარჯიმნის დაუხმარებლად ეწარმოებინა სამოსამართლო საქმენი და სიტყვით მიემართა თავისი მრავალხალხოვანი ჯარებისათვის. შვიდწლოვანმა „ველად გაჭრამ“ ბუნება შეაყვარა და შეასისხლხორცა. ბუნების შესანიშნავ მკვლევარს „ბუნებისმეტყველების ისტორიაც“ დაუწერია. წელთადაღმართზე მემუარებს წერდა. იგი დიდგემოვნებიანი შემფასებელი იყო უმაღლესი ხელოვნებისა და კულტურისა; გამორჩევით უყვარდა ელინურ-ბერძნული სულიერი და ნივთიერი სამყარო. იგი დიდის თავგამოდებითა და რუდუნებით კრებდა ხელოვნების ნატიფ ძეგლთა ძვირფას კოლექციებს. მეფე, თვითონ დიდად განსწავლული მეცნიერებასა და ხელოვნებაში, გარშემორტყმული იყო პოეტებით, ისტორიკოსებით, ფილოსოფოსებით, მხატვრებით, სკულპტორებით, მსახიობებით. აწყობდა მათ შორის შეჯიბრს, პაექრობას, აჯილდოებდა გამარჯვებულთ და ამხნევებდა ხელმოცარულთ.

მაგრამ ყველა ამასთან ერთად მითრიდატე ევპატორი იყო სასტიკი, ეჭვიანი და გულქვა ტირანი; თავაშვებული მოთაყვანე ბოჰემისტური ტრფიალებისა, ჰარამხანის გიჟი რაინდი, ლოთი და მრუში...

მითრიდატე გამეფებისთანავე დიდის ენერგიით შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. უპირველესად ყოვლისა, მან შექმნა ძლიერი სახმელეთო ლაშქარი და საზღვაო ფლოტი. მისმა საომარმა ძალებმა პირველი ნათლობა მიიღეს ტავრიდის (ყირიმი) ნახევარკუნძულზე.

ამ დროს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბერძნულ ქალაქებს,

რომლებიც „ბოსფორის სამეფოში“ ერთიანდებოდნენ, ძლიერად აწვებიან მეზობლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი სკვითურ-სარმატული ტომები. ტავრიდელმა ბერძნებმა დახმარება მითრიდატეს სთხოვეს. პონტოელმა მეფემ ანგარიში არ გაუწია რომის ადრინდელ ბრძანებას — „აზიელმა მეფეებმა ფეხი არ შესდგან ევროპის მიწაზეო“ — და 110 წელს თავისი მამაცი სარდლის, დიოფანტეს მეთაურობით გაგზავნა ლაშქარი ყირიმში.

დიოფანტემ რამდენიმე შეტაკებაში სასტიკად დაამარცხა სკვითები, სარმატები, როქსოლანები და მთელი ყირიმის ნახევარკუნძული მითრიდატე ევპატორს დაუმორჩილა. იქვე, კტენუნტის კონცხზე მან დააარსა ციხე-ქალაქი, რომელსაც თავისი ხელმწიფის საყვარელი ზეღსახელის (ევპატორი) მიხედვით უწოდა ევპატორია.

სკვითების მეფე პალაკოსმა დასახმარებლად მიმართა რომს. რომის ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და მითრიდატეს მოსთხოვა ჯარების გამოყვანა ტავრიდიდან. პონტოელმა თავის მხრივ ახალი შეტევით უპასუხა.

107 წელს ბოსფორის სამეფოში იფეთქა მონათა აჯანყებამ სავმაკის მეთაურობით. მითრიდატემ ისარგებლა ყირიმელი მონათმფლობელების თხოვნით და კვლავ გაგზავნა ძლიერი ფლოტი და ჯარი ისევ დიოფანტეს სარდლობით. პონტოელებმა აჯანყებული მონები დაამარცხეს. დიოფანტემ სავმაკი შეიპყრო და მითრიდატეს გაუგზავნა. პონტოელებმა ყირიმი ხელახლა დაიპყრეს და მეოტიის (აზოვის) ზღვის შემოგარენიც შემოიმტკიცეს. მანამდე უძლეველმა სკვითებმა მითრიდატე ევპატორის მბრძანებლობა ცნეს. ამის შემდეგ ისინი მითრიდატეს ლაშქარში ხშირად არიან მოხსენიებული ხან ქვეშევრდომებად, ხან. მოკავშირეებად.

რომის ხელისუფლებამ ეს პირველი „აზიური აბი“ მწარედ ჩაყლაპა.

ამის შემდგომ მითრიდატეს სარდლებმა და დიპლომატებმა მთელი შავი ზღვის აუზის ყოველი მხარე შემორკინეს: ზოგი მახვილით მორჩილქმნეს, ზოგიც „თაფლაკვერით“ მოისადაგეს.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამდეგს, როგორც ეტყობა, საქართველოს ერთიანობა დარღვეული იყო; ქართლი და კოლხეთი ცალკე პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. სწორედ ამით უსარგებლია მითრიდატე ევპატორს, რომელმაც 90-იანი წლების მახლობლად კოლხეთი თავის სამფლობელოებს შეუერთა.

მითრიდატე კოლხეთის სამმართველოდ ყოველთვის ყველაზე რჩეულსა და ახლობელ კაცს გზავნიდა.

პონტოს მეფეს კოლხეთიდან შეეძლო გაეტანა გემთსაშენი ხე-ტყე, საყოველთაოდ ცნობილი ძელქვა, სელი, კანაფი, თაფლი, ცვილი... შეეძლო თავისი ჯარისა და ფლოტის რიგებში ჰყოლოდა მამაცი, „შმაგად მეომარი“ კოლხი მეომრები და ზღვაოსნები.

იმავე ხანებში მითრიდატემ მეგობრული კავშირი შეჰკრა იბერიასთან, პართიასთან და დიდ სომხეთთან, ხოლო მცირე სომხეთი დაიპორჩილა და შეიერთა.

ერთ დღეს მეფე უეცრად გაუჩინარდა, მოხეტიალე-მოგზაურის ტანსაცმელში გამოწყობილმა შემოიარა მთელი მცირე აზია. საკვირველი სისწრაფითა და სიბეჯითით სწავლობდა სხვადასხვა ხალხთა ენებს, ზნე-ჩვეულებებს, განწყობილებას რომაელთ და პონტოელთ მიმართ. სწავლობდა ყოველი ქვეყნისა და ქალაქის ადგილ-მდებარეობას, ბუნებრივ პირობებს, გეოგრაფიულ გარემოს და მათს საერთო მდგომარეობას, უპირველესად, სამხედრო თვალსაზრისით.

გავიდა შვიდი თვე. მეფეზე აღარაფერი ისმოდა. ამ ხნის განმავლობაში პონტოს სასახლის კარზე ხმა დაირხა, მეფე მოკვდაო. მითრიდატეს მეუღლემ, რომელსაც უკვე ტახტის მემკვიდრე შესძენოდა, საყვარლები გაიჩინა და მათთან დროსტარებაში ლანძღვა-გინებით იხსენიებდა დაკარგულ ქმარს.

და აი, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა მითრიდატე. შემოეგება დედოფალი. ზღურბლზე ფეხის შედგმისთანავე ფიალა მიაწოდა, მშვიდობით დაბრუნებისა და ახლადშობილი უფლისწულის დასალოცავად. ფიალა საწამლავით იყო სავსე. მაგრამ მითრიდატე ქალის სიძულვილისაგან ქალის სიყვარულმა იხსნა. იგი შეჰყვარებოდა ერთ მსახურ გოგონას, რომელმაც წინასწარ საიდუმლოდ ამცნო, რასაც უმზადებდა მეუღლე-დედოფალი. მეფემ ფიალა შეაბრუნა და დედოფალს ძალით დაალევინა. იქვე მოღალატე დედოფლის საყვარლებიც დახოცა. ამრიგად, მითრიდატემ ეს „ბოროტებაც ბოროტებით განკურნა“.

89 წელს მითრიდატემ ხელში ჩაიგდო ბითინია (მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით), კაპადოკია და უშუალოდ მიადგა ყოფილ პერგამოსის სამეფოს, რომელიც „პროვინცია აზიას“ სახელით რომის სამფლობელოთა საზღვრებში შედიოდა.

რომსა და პონტოს შორის ომი გარდუვალი შეიქნა.

ასე დაიწყო პირველი „მითრიდატული ომი“ 88 წელს.

## „პირველი მითრიდატული“

ომის პირველ წელს პონტოელებმა რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხეს რომაელთა და ბითინიელთა ჯარები. მითრიდატემ შეიპყრო რომაელი კონსულები ქვინტუს ოპიუსი და მანიუს აქვილიუსი.

მანიუს აქვილიუსი მითრიდატემ ვირზე უკუღმა შესვა, ქვეყანაზე დაატარებდა და აძახებინებდა: მე ვარ მანიუს აქვილიუსი, რომაელი კონსული, ომის გამჩაღებელიო. ბოლოს მეფემ ბრძანა: ეს კაცი ოქროზე იყო დახარბებული და პირში მდუღარე, გამდნარი ოქრო ჩაასხითო. ბრძანება სისრულეში მოიყვანეს.

87 წელს პონტოელებმა სულ გააძევეს რომაელები მცირე აზიიდან. ეგეოსის კუნძულებიდან და საბერძნეთიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ რომი ჰკარგავდა თავისი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, ხოლო მის ხარჯზე, მცირე აზიისა და ბალკანეთის დამორჩილებით, შავი ზღვის აუზთან ერთად, მითრიდატე ქმნიდა თავის, საკუთარ „პონტოს იმპერიას“.

ეს იყო პონტოს სახელმწიფოს ძლიერების მწვერვალი.

86 წელს მითრიდატესთან საომრად დასავლეთიდან დაიძრა დიდი რომაული არმია მრისხანე სარდლისა და პოლიტიკოსის, ლუციუს კორნელიუს სულას მეთაურობით.

საბერძნეთში საშინელი ბრძოლები გაჩაღდა. ქალაქ ორქომენთან გამართულ ხოცვა-ჟლეტაში პონტოელთა გააფთრებული იერიშებით შეძრწუნებული „მსოფლიო მბრძანებლები“ შედრკნენ და უკუიქცნენ. მაშინ სულა ჩამოხტა ცხენიდან, აიტაცა საომარი დროშა და საშინელი ხმით შეჰღრიალა უკუქცეულ მეომრებს:

„მე აქ მოვკვდები მშვენიერი სიკვდილით, რომაელებო, ხოლო თქვენ, როცა გკითხავენ, თქვენს სარდალ სულას სად უღალატეთო, არ დაგავიწყდეთ უპასუხოთ: როდესაც ის ორქომენთან იბრძოდა-თქო“! — შესძახა და გადაეშვა მტრის შუაგულში.

მთავარსარდლის ასეთმა თავგანწირვამ ბრძოლის ველისკენ შემოაბრუნა რომაელები. მითრიდატეს სარდლებმა, დორილაოსმა და არქელაოსმა, ვერ გამოიყენეს პირველი წარმატებანი და ბრძოლა წააგეს.

რომიდან ახალ-ახალი არმიები მოისწრაფოდნენ აზიისაკენ. მითრიდატე იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. სულასაც რომში დაბრუნე-

ბა ეჩქარებოდა და საზავო წინადადება სიხარულით მიიღო. მითრიდატემ რომს დაუბრუნა ყველა რომაული სამფლობელო ბალკანეთსა და მცირე აზიაში (84 წ.).

### „მეორე მითრიდატული“

სწორედ იმ ხანებში მითრიდატეს წინააღმდეგ მღელვარება დაიწყო კოლხეთში, სადაც მმართველად, თვითონ კოლხეთის თხოვნით, დანიშნული იყო მეფის ძე, სახელად აგრეთვე მითრიდატე. როგორც ეტყობა, პონტოელმა უფლისწულმა მდგომარეობა მომწიფებულად ჩათვალა და კოლხეთის ოდინდელი დამოუკიდებლობის აღდგენა სცადა. მეფემ დროზე შეიტყო მემკვიდრის განზრახვა და იგი კოლხეთიდან გაიწვია. ერთხანს ოქროს ბორკილებით ჰყავდა დაბორკილი. მერე სიკვდილით დასაჯა.

„კოლხური საქმეებით“ აფორიაქებულ ევპატორს კვლავ რომაელებთან მოუხდა რკენა. რომაელმა სარდალმა ლუციუს მურენამ 83 წელს ახალი ომი წამოიწყო, რომელსაც ისტორიაში „მეორე მითრიდატული ომი“ დაერქვა.

მურენა შეიჭრა პონტოს საზღვრებში და ოთხასი სოფელი გაძარცვა და ააოხრა. მითრიდატემ ლაშქარი შეჰყარა და ღალისის პირას მტერი სასტიკად დაამარცხა. რომაელები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და მახლობელ მაღლობზე გამაგრდნენ. პონტოელებმა ის მაღლობიც აიღეს და მტერი კვლავ გააქციეს. მითრიდატემ ფრიგიამდე მისდია დამარცხებულებს. შემდეგ კაპადოკიაში შეიჭრა და იქიდანაც განდევნა რომაელები.

რომმა ზავი ითხოვა და მითრიდატეც დათანხმდა, რადგან კოლხეთში მღელვარება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. ომის შეწყვეტისთანავე მეფე კვლავ აღმოსავლეთისაკენ გაეშურა, კოლხეთში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად.

### „მესამე მითრიდატული“

74 წელს მცირე აზიაში კვლავ ატყდა საომარი ყიჟინა და იარაღის ზათქი-ზრიალი. დაიწყო „მესამე მითრიდატული ომი“. რომელიც 11 წელი (74—63 წწ.) გაგრძელდა. რომაელები და პონტოელები კვლავ ეკვეთნენ ერთიმეორეს. დიდ რომაულ არმიებსა და ფლოტს

მოუძღოდნენ კონსულები — ლუციუს ლიცინიუს ლუკულლუსი და მარკუს ავრელიუს კოტა.

მითრიდატემ ზღვის ღმერთის, პოსეიდონის სადიდებლად ზღვაში ჩაუშვა წყვილი თეთრი ცხენი, მერე ჯარებს სიტყვით მიმართა და დაიძრა ქ. ქალკედონისაკენ, სადაც არმიითა და ფლოტით იდგა კონსული ავრელიუს კოტა.

ბრძოლა ზღვაზეც და ხმელეთზეც ერთსა და იმავე დღეს მოხდა. კოტამ ვეღარ გაუძლო პონტოელთა მძაფრ იერიშებს, რომელსაც თვით უმამაცესი მეფე მიუძღოდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მან ძლივს შეასწრო ქალკედონის კედლებში; ქალაქის კარები სასწრაფოდ ჩაჰკეტა და შიგნიდან დასჭყიოდა გარეთ დარჩენილ თავის მეომრებს, თავგანწირვით იბრძოლეთო სამშობლოს სახელდიდებისათვის. მისი ლეგიონერები ქალაქის კარიბჭეს მიაწყდნენ, კედლებს ეხეთქებოდნენ და ხსნას ითხოვდნენ. პონტოელთა ისარი მიზანს არ ცდებოდა და რომაელთა სისხლი უხვად იღვრებოდა. მათი უმრავლესობა გაიჟლიტა. ძლივს გადარჩა რამდენიმე სამხედრო მეთაური, რომელთაც წელში თოკები ჩააბეს და ისე აათრიეს ქალაქის კედლებზე.

იმავე დღეს პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ზღვაზეც. მათ დაამსხვრიეს სპილენძის ჯაჭვისაგან შეკრული ჯებირი: დასწვეს რომაელთა ოთხი ხომალდი, ხოლო დანარჩენი 60 გემი მთელი თავისი ეკიპაჟით ბუქსირით გამოიბეს და წამოიყვანეს.

მაგრამ მალე ამის შემდგომ მეორე კონსულმა, ნიკიერმა და მამაცმა ლუკულუსმა, შეძლო წონასწორობის აღდგენა. მან დაამარცხა და უკუაქცია მითრიდატე. რამდენიმე შეტაკების შემდეგ მეფემ რომაელებთან ომი დროებით წაგებულად ჩათვალა და სომხეთს მიაშურა. მან ვერ მოახერხა თან წაეყვანა თავისი ოჯახის წევრები, რომლებიც ქალაქ ფარნაკეაში დარჩნენ. მეფეს ისღა დარჩენოდა, თავისიანთა დასახსნელად სიკვდილი გაეგზავნა: მას დიდ სირცხვილად მიაჩნდა, მისი სახლობა რომაელებს ტყვედ ჩავარდნოდათ და რომის ქუჩებში ლუკულუსის ტრიუმფში სამარცხვინო ტყვეებად გაეტარებინათ.

და აი, ტყვეობისათვის განწირულთა წინაშე გამოცხადდა მითრიდატეს ერთგული კარისკაცი, საჭურისი ბაკხიდე, რომელმაც მეფის სახელით უბრძანა მათ დაუყოვნებლივ მოეკლათ თავი, ვისაც როგორი სიკვდილით სურდა. აქ იყო მითრიდატეს ორი ცოლი — მონიმე და ბერენიკე. მონიმემ მოიხსნა დედოფლის დიადემა, რომელიც ერთ დროს მითრიდატემ თავისი ხელით დაადგა თავზე, და სცადა იმით ჩამოეხრ-

ჩო თავი. მაგრამ დიადემა გაწყდა და ქალმა ტირილით შესძახა: „ოჰ, ძონძო, შენ ამისთვისაც გამოუსადეგარი გამოდექ!". ეს თქვა და ანიშნა ბაკხიდეს, რომელმაც მაშინვე საკუთარი ხელით დაახრჩო იგი. ბერენიკემ და მისმა დედამ საწამლავი დალიეს. ასევე საწამლავით სავსე თასები დასცალეს მითრიდატეს დებმა, როქსანამ და სტატირამ. როქსანა სიკვდილის უმძიმეს წუთებში ლანძღავდა და წყევლიდა თავის გულქვა ძმას, ხოლო სტატირა აქებდა მას, რომ ასეთ მძიმე დღეებშიც არ დაივიწყა ისინი მეფემ, რომელმაც იზრუნა, რათა რომაელებს ხელთ არ ეგდოთ და არ შეებღალათ სახელოვანი მეფის სახლეულნი.

მითრიდატე მივიდა სომხეთს, სადაც მბრძანებლობდა მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი) და მოკავშირე ტ ი გ რ ა ნ II, რომელმაც მას თავის დროზე რიგიანად ვერც მოკავშირეობა გაუწია და ვერც მოყვრობა. ტიგრანმა სიმამრს თავშესაფარი მისცა, მაგრამ პირადად არ მიიღო და მით უფრო არც რომის წინააღმდეგ გაჰყვა საომრად.

მითრიდატე ამაოდ ცდილობდა რომის წინააღმდეგ შეეკრა ძლიერი კავშირი პონტო-პართია-სომხეთს შორის. ანდა, დამარცხებულ მეფეს მის მოშურნე და მეტოქე მეფეთაგან რა დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა, როცა მას უღალატა და რომაელებს მიემხრო ღვიძლი შვილი, სახელად მ ა ხ ა რ ე, რომელიც მამას ბოსფორის (ყირიმის) მმართველად ჰყავდა დანიშნული!

რომაელებმა დალაშქრეს პონტო და შეიჭრნენ სომხეთში.

ტიგრანი ახლა კი მიხვდა მითრიდატეს სიმართლეს, რომელიც მას მრავალგზის აფრთხილებდა: როცა რომაელები მე გამანადგურებენ, მერე შენც გწვდებიან ყელშიო.

სიძე-სიმამრი ერთმანეთს შეხვდნენ და ძლიერ მტერთან ახალი საომარი გეგმის შედგენას ჩაუჯდნენ. მაგრამ კვლავ ვერ მორიგდნენ: მითრიდატე, რომელსაც რომაელებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, მტერთან გაჭიანურებული ომის წარმოებას მოითხოვდა, ხოლო ტიგრანი, დარწმუნებული უეჭველ გამარჯვებაში, დაუყოვნებლივ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვაზე იდგა.

მართლაც ტიგრანმა დიდძალი ლაშქარი შეჰყარა და მიუახლოვდა მისგანვე დაარსებულ ახალ სატახტო ქალაქს ტიგრანოკერტს, რომელიც უკვე რომაელთაგან ალყაში იყო მოქცეული.

ლუკულუსმა თავისი არმია გაჰყო, ერთი ნაწილი ალყის გასაგრძელებლად დასტოვა, მეორეს კი თვითონ უსარდლა და სწრაფი მარშით

დაიძრა იქვე მაღლობზე დაბანაკებული მოწინააღმდეგისაკენ. ტიგრანმა მოიერიშე მტერს თვალი დაადგა და დაცინვით თქვა:

„თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრია, ხოლო თუ მტრები არიან — მეტისმეტად ცოტაა“.

მაგრამ ეს ხუმრობა ხუმრობად დარჩა და ტიგრანი სასტიკად დამარცხდა.

რომაელებმა მალე ტიგრანოკერტიც აიღეს და სომხეთის ველ-მინდერებს შეესივნენ. ტიგრანი კვლავ შეხვდა მითრიდატეს და ამიერიდან მისი დამჯერე და თანამორწმუნე გახდა. ისინი გაჭიანურებულ, თირეშულ-პარტიზანულ საომარ ტაქტიკას დაადგნენ და მალე ამას მათთვის სასარგებლო შედეგებიც მოჰყვა.

სომეხთა მეფეს თავის თანამემამულეთა გარდა მხარში ედგნენ მოკავშირენი, რომელთაგან მას ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა შუბოსანი იბერიელებისა და მოისარი მარდებისა.

სანამ ტიგრანი თავის ქვეყანას იცავდა, მანამ მითრიდატე პონტოში დაბრუნდა და იქ მდგარ რომაულ ციხიონებს შეება, მეფემ ჯერ გაშმაგებით შეუტია ქალაქ ქაბეირაში განლაგებულ რომაელებს, რომელთაც მარკუს ფაბიუს ადრიანე სარდლობდა. რომაელმა სარდალმა უკიდურესი გაჭირვების პირობებში მონებს თავისუფლება მიანიჭა და მათი თანხლებით ბრძოლა განაგრძო. საშინელ ჩხუბაში მითრიდატეს ცხენი დაუჭრეს, მაგრამ დაცემას დაასწრო, გადმოხტა და მახვილამოწვდილმა, ომახიანი საომარი ყიჟინით მოუწოდა თავისიანებს ახალი იერიშისაკენ. რომაელები შედრკნენ და გაიქცნენ. სწორედ ამ დროს მეფეს შურდულით ნატყორცნი ქვა კოჭში მოხვდა და ჩაიჩოქა. კვლავ წამოიჭრა და კიდევ უფრო გამძაფრებით მიეჭრა მტერს. მაგრამ უეცრად ისარმა გაიზუზუნა და მითრიდატეს შიგ თვალში ჩაერჭო, იგი დაეცა, ბრძოლა მაშინვე შეწყდა. ადრიანე დაჭრილთა და მოკლულთა სიმრავლის გამო ვეღარ ბედავდა კვლავ ბრძოლად გასვლას, ხოლო პონტოელები თავს იკავებდნენ მეფის მძიმე მდგომარეობის გამო. დაჭრილ მითრიდატეს სკვითი ექიმბაშები გველის შხამით მკურნალობდნენ. მეფე რამდენიმე დღეში ფეხზე დადგა და ქაბეირადან ისევ დაიფრინა რომაელები, მალე ამის შემდეგ რომაელი სარდლები — ადრიანე, ტრიარიუსი და სორნაციუსი — თავიანთი ლეგიონებით გაერთიანდნენ და მითრიდატეს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს 67 წელს, გაზაფხულზე, ქალაქ ზელასთან, მდინარე ირისისა და სკოტას მთას მახლობლად.

საბრძოლო ნაღარა პირველად რომაელებმა დასცეს და სწრაფ შეტევაზე გადავიდნენ. მთაზე დაბანაკებული პონტოელები ერთბაშად დაეშვნენ და მტერს თავგანწირული კონტრშეტევა შეაგებეს. ბრძოლას სასწორი დიდხანს უშედეგოდ ქანაობდა. მითრიდატემ, რომელიც ხან აქ და ხან იქ, ყველგან, სადაც მისიანებს უჭირდა, უეცრად გაჩნდებოდა და თავისი მეომრული შემართებით ყველას საომარ ცეცხლს უკიდებდა, ბოლოს გასტეხა რომაელთა წინააღმდეგობა და მათი ქვეითი ლაშქარი მდინარე ირისის ჭაობიან-ლაქაშებიან ნაპირებში შეარეკა. მკერდამდე დაფლული რომაელები პონტოელთა ისრებისაგან სრულიად გაიჟლიტნენ. ტრიარიუსის მხედრობამ, რომელსაც უმთავრესად ქვეითი კოჰორტების იმედი ჰქონდა, ბრძოლის ველიდან მოჰკურცხლა. მითრიდატეც გამოედევნა თავისი ცხენოსნებით, რომაელთა მხედრობასაც განადგურება არ ასცდებოდა, მაგრამ ამ დროს რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა (ასეულის მეთაურმა), რომელსაც პონტოურ ტანსაცმელში გადაცმულს მეფის მცველებში გაძრომა მოეხერხებინა, ამბედრებულ და ბრძოლის ცეცხლით გატაცებულ მითრიდატეს მოულოდნელად მძლავრად აძგერა მახვილი გვერდში. თავზეხელაღებული რომაელი პონტოელებმა იქვე აჰკუწეს და მძიმედ დაჭრილი მეფე ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. ამ შემთხვევამ მითრიდატეს სარდლები შეაძრწუნა და მათ რომაელებზე გამოდევნებული მხედრები უკანვე გამოიწვიეს.

შეშფოთებული მეომრები დაჭრილ მეფეს ეხვეოდნენ და სასოწარკვეთას ეძლეოდნენ. მაშინ მითრიდატე მკურნალის მხარზე დაყრდნობილი მაღლობზე ავიდა, იქიდან თავის მეომრებს ეჩვენა და ანუგეშა, რომ მისი მდგომარეობა არც ისე მძიმეა. მერე მან საყვედურებით აავსო თავისი სარდლები, რომლებმაც „ასე უმიზეზოდ“ გამოიწვიეს ჯარები ბრძოლიდან. იმავე დღეს მითრიდატე მოახტა ცხენს და კვლავ დაძრა გამარჯვებით გალაღებული ჯარები მტრის ბანაკისკენ. სიკვდილს გადარჩენილმა რომაელებმა გაქცევით უშველეს თავს.

ამასობაში სომხეთში მოლაშქრე ლუკულუსს საკუთარი ლეგიონერები აუჯანყდნენ და იძულებული გახდა უკანვე გამობრუნებულიყო.

მითრიდატემ და ტიგრანმა კვლავ დაიბრუნეს თავიანთი სამეფოები.

66 წელს რომში აღმოსავლეთის მთავარსარდლობა გადაეცა სახელოვან გნეიუს პომპეიუსს, რომელიც მანამდე არნახული სიდიდის არმიებითა და ფლოტით მიადგა მცირე აზიას. ამ უმძიმეს ჟამს მითრიდატეს და ტიგრანს კვლავ მოესწროთ ურთიერთწაკიდება და

გათიშვა. პომპეიუსსაც უფრო იოლად შეეძლო თავისი უზარმაზარი ძალებით ცალ-ცალკე გაენადგურებინა გათიშული გვირგვინოსნები.

მითრიდატემ 100 000 რომაელის წინააღმდეგ 30 000-მდე პონტოელის გამოყვანა შეძლო. რამდენიმე მცირე შეტაკების შემდეგ პონტოელებმა დაიწყეს უკანდახევა აღმოსავლეთისკენ. ისინი დღისით თავს აფარებდნენ მიუვალ ტყე-ღრეებს, ხოლო ღამით შეუსვენებლივ მიჰქროდნენ. პომპეიუსიც ღამით ვერ ბედავდა ხელი შეეშალა ლტოლვილთა მოძრაობისათვის.

რომაელები მითრიდატეს წამოეწივნენ ევფრატის ზემო დინების ერთ ხეობაში და ყოველი მხრიდან გზა გადაუჭრეს მას.

პომპეიუსი მომდევნო დღეს აპირებდა შეტევის დაწყებას, მაგრამ მას შემოეხვივნენ ლეგატები (თანაშემწეები) და დაუწყეს დარწმუნება, რომ ღამით დასხმოდნენ მოწინააღმდეგეს. მთავარსარდალი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა.

პონტოელები შესჩვეოდნენ იმას, რომ რომაელები ღამით თავდასხმას ვერ ბედავდნენ და ამიტომ სრულიად უზრუნველად მიეცნენ ძილს.

შუაღამისას მტრის არმია საბრძოლო ყიჟინითა და იარაღის ზათქით თავს დაეცა პონტოელთა ბანაკს. მითრიდატეს მეომრები მოულოდნელობისაგან პანიკით მოცულნი შეუდგნენ იარაღის ასხმას და ამხედრებას, ჰორიზონტზე დაშვებული მთვარე პონტოელებს სხივებს თვალებში სცემდა, რომაელებს ზურგიდან ანათებდა. უზარმაზარი ჩრდილებით წინაღმართულ რომაელ მეომრებს სინათლისაგან და ძილისაგან თვალმოჭრილი პონტოელები ისარს ვერ ახვედრებდნენ. მითრიდატეს ბანაკი საზარელ სასაკლაოს დაემსგავსა. ბეწვზე ეკიდა მეფის სიცოცხლეც. რომაელთა რჩეულმა რაზმებმა რკინის საღტეში მოაქციეს ის. ყოველ წუთს შეპყრობა ელოდა მეფეს, ზედიზედ ეცემოდნენ ერთგული მცველები. მეფე არაჩვეულებრივი სიმამაცითა და სიმხნევით ებრძოდა მოზღვავებულ მტერს. მის გვერდით გასაოცარი ვაჟკაცობით იბრძოდა ერთგული და საყვარელი მხევალი ქალი ჰ ი პ ს ი კ რ ა ტ ი ა. ეს ქალი ყველგან თან ახლდა მეფეს, უვლიდა მას, მის ცხენს და მასთან ერთად ებმებოდა მტერთან თავგანწირულ ბრძოლებში. სწორედ ამიტომ ეძახდა მას მითრიდატე „ჰიპსიკრატიას“ („მაღლობისმფლობელი“).

ბოლოს, მრავალი ჭრილობით დაფლეთილმა და წითლადშეღებილმა მეფემ რამდენიმე თავგანწირული მეომრის თანხლებით განკვეთა

სალტე და გაქუსლა ბრძოლის ველიდან. 10 000 პოხტოელი დაეცა. რომაელებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი აღალი.

პონტოს მეფე 3000 კაცის თანხლებით, რომელთა შორის იყვნენ მისი საყვარელი ჰიპსიკრატია და ქალიშვილი დრიპეტინე, შეუსვენებლივ მიჰქროდა სომხეთისაკენ. ლტოლვილებმა მიაღწიეს სომხეთის საზღვართან მდებარე ციხესიმაგრე სინორიას და შეჩერდნენ. აქ ინახებოდა მითრიდატეს ძვირფასი საჭურჭლეები. მეფემ ერთგული თანამებრძოლები უხვად დააჯილდოვა ფულითა და ძვირფასი სამოსელით. უფრო ახლობლებს მან დაურიგა საწამლავი, რამეთუ საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ და მტერს ხელში ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ.

ამავე დროს მითრიდატემ ელჩები გაუგზავნა ტიგრანს და თავშესაფარი სთხოვა. მაგრამ ტიგრანი უკვე მტრულად იყო განწყობილი სიმამრისადმი. მან არამც თუ უარი თქვა ლტოლვილი მეფის მიღებაზე, არამედ მისი ელჩებიც შეიპყრო და ბორკილები დაადო, ხოლო თვითონ მითრიდატეს მოკვლისათვის ჯილდოც კი გამოაცხადა 100 ტალანტის რაოდენობით.

მეფეს ერთხელ კიდევ უღალატა შვილმა. ბოსფორის მმართველმა მახარემ ამჯერად პომპეიუსს გამოუცხადა მორჩილება*.

მითრიდატე ევპატორი კიდევ მეტი საშიშროების წინაშე დადგა. მას აღარ გააჩნდა საკუთარი სამეფო და არც თავშესაფარი. მიუსაფარ მეფეს ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი გზა, რომელიც კოლხეთისაკენ მიდიოდა.

მითრიდატემ სინორიიდან წაიღო 6 000 ტალანტი და ახლობელთაგან შემდგარი პატარა ამალით გაქუსლა ჩრდილოეთით, კოლხეთისაკენ. გამოსაზამთრებლად ის დიოსკურიაში დაბინავდა. აქვე მეფე შეუდგა რომაელების წინააღმდეგ ახალ საომარ სამზადისს.

---

* მახარეს ღალატი მამისადმი და „ბომბუს" (პომპეიუსი) წინაშე მორჩილების გამოცხადება წარმოსახულა უძველეს ქართულ ლექსში:

„აპრუწვით არის მახარა,
მამის საფლავი გათხარა,
სამშობლოს დროშა წაჰგვარა,
ბომბუს წინაშე დახარა,
მოვიდა, დედას ახარა,
დედამ ცრემლები დაღვარა,
თვალში ნაცარი აყარა"

# ᲛᲝᲡᲕᲚᲐ „ᲛᲒᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ“

რომის ერთადერთი ტალანტი — ესაა მსოფლიოს დაპყრობა.

ჟან-ჟაკ რუსო.

## რომაელები და სომხები

გნეუს პომპეიუსმა სცადა განეგრძო დამარცხებული მითრიდატეს დევნა, მაგრამ, როცა მეფემ კოლხეთისაკენ გადაუხვია, თავი მიანება მას და პონტოს წინააღმდეგ ომი დამთავრებულად ჩათვალა. მან პონტო მთლიანად ჩაიბარა და მითრიდატეზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი („გამარჯვების ქალაქი“). პომპეიუსმა პირველყოვლისა იქ დაასახლა დაჭრილი და ხანდაზმული მეომრები; მათთან ბევრი ახლო-მახლო ადგილობრივი მცხოვრებიც დასახლდა.

მას უკან, პომპეიუსმა ლეგიონები დასძრა სომხეთისაკენ.

სანამ პომპეიუსი მითრიდატეს სდევნიდა და პონტოს იპყრობდა, სომხეთსა და პართიას შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებულიყო, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მივიდა. ტიგრანს უღალატა შვილმა, რომელსაც სახელად აგრეთვე ტიგრანი ერქვა. ეს ტიგრან მრწემი სომხეთის მეფეს მითრიდატეს ასულის, კლეოპატრასაგან შეეძინა. იგი ამავე დროს იყო სიძე პართიის მეფე ფრაატ III-ისა. ამიტომ მეფე ტიგრანი თავის შვილს, ვითარცა მითრიდატეს სისხლიერსა და ფრაატის სიძეს, მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა. უფლისწულიც თავისი თავნებობითა და „უცხოური ორიენტაციებით“ მამასა და მეფეს საფუძველს აძლევდა ეჭვისა და უნდობლობის თვალით ეცქირნა მისთვის. ამას ისიც დაერთო, რომ პომპეიუსმა სომხეთს გალაშქრებამდე პართიასთან კავშირი შეკრა. ტიგრანი გვიან მოდიოდა გონს: აღარც მითრიდატე, აღარც ფრაატი, აღარც საკუთარი შვილი მის ჩანაცში აღარ აღმოჩნდნენ. მალე სიძე-სიმამრი, ფრაატი და ტიგრან მრწემი, პართიული ჯარებით სომხეთში შეიჭრნენ და მის სატახტო ქალაქს, არტაქსატას მიადგნენ. ტიგრან მეფემ ქალაქი მიატოვა და მთებს მიაშურა. პართიელებმა ალყა შემოარტყეს სომეხთა სატახტოს,

მაგრამ რაკი მისი აღება ხანგრძლივ ალყას მოითხოვდა, ფრაატმა არტაქსატას კედლებთან დატოვა ტიგრან მრწემი, ხოლო თვითონ თავის სატახტოში, ქტესიფონში დაბრუნდა. ამით ტიგრან მეფემ ისარგებლა და სწრაფად დაამარცხა თავისი ძე. დამარცხებულმა უფლისწულმა სიმამრთან დაბრუნება ვეღარ გაბედა და თავის პაპას მითრიდატეს მიაშურა. მაგრამ როცა შეიტყო, რომ დამარცხებული მითრიდატე თვითონ საჭიროებდა დახმარებას, იგი გაიქცა პომპეიუსთან და მორჩილება გამოუცხადა მას.

პომპეიუსმა ამ ახალი ბედნიერი შემთხვევითაც კარგად ისარგებლა — სომეხი უფლისწული მეგზურად აიყვანა და არტაქსატასაკენ დაიძრა (66 წელი).

ტიგრანმა იგრძნო, რომ მისი ქვეყნის შიგნით შემოჭრილ და სატახტო ქალაქთან მოახლოებულ რომაულ ლეგიონთა წინააღმდეგ გაშოსვლა სასიკეთო ნაყოფს ვერ მოიტანდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო პართიელების შემოჭრაც. ტიგრანმა ვერ მოისაზრა, რომ შესაძლო იყო, პომპეიუსი და ფრაატი ერთდროულად შესულიყვნენ არტაქსატაში და მოღალატე შვილთან ერთად გაეყოთ მისი სამფლობელოები. ამიტომ ტიგრან მეფემ, სომხეთის ტახტ-გვირგვინის შენარჩუნების მიზნით, გადაწყვიტა თავი ეცნო რომის მორჩილად.

ტიგრანმა ელჩები გაგზავნა პომპეიუსთან და თან გააყოლა მითრიდატეს კაცები, რომლებიც მას მანამდე ჰყავდა შეპყრობილი. ამით მან ნიადაგი მოამზადა რომაელ სარდალთან უფრო მომგებიანი ზავის მისაღწევად. როცა პომპეიუსი არტაქსატას მიუახლოვდა, ტიგრანმა თვითონ შეუშვა რომაული ციხიონი თავის სატახტოში, ხოლო პომპეიუსმა არტაქსატადან თექვსმეტი მილის მანძილზე დასცა კარავი.

ტიგრანი ნათესავებისა და ახლობლების თანხლებით მიეახლა პომპეიუსის ბანაკს. ბანაკის შესასვლელთან რომაელ გუშაგთა ბრძანებით ტიგრანი ცხენიდან ჩამოხტა, იარაღი აიყარა, ამალა მოიშორა და მარტოდმარტო გაეშურა პომპეიუსის კარავისაკენ.

პომპეიუსი ბრწყინვალე სავარძელში იჯდა. ხელმარცხნივ ტიგრან მრწემი უჯდა.

ტიგრან მეფე შევიდა და წარსდგა. რომაელი ზვიადად განისვენებდა. მოღალატე უფლისწული იქედნურად ბღიმებოდა.

ტიგრანმა წამიერ გარინდებას თავი დააღწია, დიადემა და წამოსასხამი მოიძრო და პომპეიუსის წინაშე აღმოსავლური წესით განერთხო მიწაზე.

რომაელმა მოწყალება მოიღო: მეფე ფეხზე წამოაყენა და ხელმარჯვნივ დაისვა.

მტრად გადაკიდებული მამა და შვილი აქეთ-იქით უსხდნენ პომპეიუსს.

ტიგრანმა აღიარა რომაელთა მბრძანებლობა სომხეთის მიმართ და განაცხადა, რომ ის არ თაკილობს მორჩილებას ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც სიძლიერითა და ძალაუფლებით ტოლი არა ჰყავს მთელ ქვეყანაზე.

მწარედ გაუცრუვდა იმედები ტიგრან მრწემს, როცა პომპეიუსმა მის მეფე-მშობელს უთხრა: შენ არამცთუ სომხეთის მეფობა არ დაგიკარგავს, არამედ რომაელთა მეგობრობაც კი მოიპოვეო.

ტიგრანს სომხეთის სამეფო რჩებოდა იმ საზღვრებში, რომელშიც მან ჩაიბარა ტახტზე ასვლისას. რომაელებს გადაეცემოდა სირია, ფინიკია, კილიკია, გალატია, კაპადოკია; ტიგრანს რომაელთათვის უნდა გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 6 000 ტალანტის რაოდენობით: საჩუქრების სახით უნდა დაერიგებინა ყოველი რომაელი ჯარისკაცისათვის 150 დრაქმა, ყოველი ცენტურიონისათვის 1000 დრაქმა და ყოველი სამხედრო ტრიბუნისათვის თითო ტალანტი. პომპეიუსს არ შეეძლო დაევიწყებინა მის წინაშე ტიგრან მრწემის დამსახურებაც. ამიტომ მას სამმართველოდ გადასცა სოფენა და გორდიენა (ადრე ქართული პროვინცია — ქართუხების საცხოვრისი); აგრეთვე იგი რჩებოდა სომხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ ზავის პირობებით ყველაზე ნაწყენი სწორედ ტიგრან მრწემი დარჩა. ის ადრე, პომპეიუსის ბანაკისაკენ მიმავალი, სრულიად დარწმუნებული იყო, მამისადმი ღალატისა და რომაელთადმი მიმხრობის წყალობით, სომხეთის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქმნებოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი იმედები გაცრუვდა. მართლაც და, რატომ უნდა მოჰხდარიყო ასე? თუკი სომხეთში მეფობის გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო სომხეთის მეფე, თუ არა ტიგრან მრწემი, რომელმაც საქმით დაამტკიცა რომაელთადმი ერთგულება?

ჭაბუკი ტიგრანისადმი პომპეიუსის უმადურობა პირველყოვლისა პართიასთან მისი ახლო ურთიერთობით უნდა აიხსნას. ახალგაზრდა უფლისწულის ძალაუფლებისმოყვარეობა, მისი მერყეევი ხასიათი და პართიის მეფესთან ნათესაურ-მოყვრული დამოკიდებულება არ ეძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი გამეფების შემთხვევაში რომის აღ-

მოსავლური მონაპოვარნი საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა. ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სომხეთისა და პართიის მეფეები ერთმანეთს მხარს მისცემდნენ რომის წინააღმდეგ ომის წამოწყებაში. ამიტომ რომაელთათვის უფრო საიმედო ისევ ტიგრან უფროსი იყო. ტიგრანი არავისთან აღარ იმყოფებოდა კავშირში. ის მტრულად იყო განწყობილი მითრიდატესთან, ფრაატთან და საკუთარ შვილთანაც კი. ასე რომ, ტიგრანი აღმოსავლეთში რომაელთა საზიანო კავშირის ხელშემშლელი იქნებოდა და არა ხელშემწყობი. ამ პერიოდში, როცა სომხეთი ძალზე დაუძლურდა და პართია გაძლიერდა, რომაული დიპლომატია ჩვეული ტაქტით ცვლის ამ ქვეყნებისადმი დამოკიდებულების კურსსაც. სანამ სომხეთი საშიში იყო, რომაელები მის წინააღმდეგ პართიას უკავშირდებოდნენ, ხოლო ახლა, როცა პართია გაძლიერდა, უფრო ხელსაყრელი ხდება კავშირი სომხეთთან პართიის წინააღმდეგ. სომეხ მოკავშირედ ახლა რომაელებს უფრო ტიგრან უფროსი გამოადგებოდათ, ვიდრე პართიის სასახლის კარზე გაშინაურებული სომეხი უფლისწული.

ტიგრან მრწემმა რომაულ-დიპლომატიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ გალაშქრება სცადა. მან უარი განაცხადა მამისათვის დაეთმო სოფენაში შენახული განძეულობა, საიდანაც ტიგრან მეფეს პომპეიუსისათვის კონტრიბუცია უნდა გადაეხადა. ამის გამო, რომაელი სარდლის ბრძანებით, გაურჩებულ უფლისწულს განძი მთლიანად ჩამოერთვა, თვითონ მას ბორკილებიც დაადვეს და შეუერთეს ძვირფას ტყვეთა რიცხვს, რომელსაც უნდა დაემშვენებია პომპეიუსის ტრიუმფი რომში. მართალია, ფრაატმა სცადა გამოსარჩლებოდა თავის სიძეს, თანაც მოითხოვა პართიასა და რომს შორის საზღვრების გადასინჯვა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პომპეიუსმა უპასუხა, რომ პართიასთან შეკავშირებაზე და უფლისწულზე მეურვეობის უფლება აქვს მამას და არა ფრაატს. ჩანდა, რომ პართიასთან მშვიდობიან შეთანხმებაზეც ლაპარაკი დამთავრებული იყო.

სომხეთის „ვითომ დამოუკიდებლობის“ შენარჩუნებას პომპეიუსისათვის კიდევ სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. იგი ემზადებოდა ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილების დასალაშქრაედ და მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ზურგში დამონებული და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჰყოლოდა. მან იცოდა, რომ ლუკულუსთან ბრძოლებში სომხების გვერდით მათი ჩრდილოელი მეზობლებიც იბრძოდნენ, მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ სომხებსაც

ხელი გაეწოდებინათ თავისი მეზობლებისათვის იმ დროს, როცა რომაელები სომხეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაიჭრებოდნენ. ამიტომ, თუ პომპეიუსს სურდა, ქართველთა მიწა-წყალზე ლაშქრობისას სომხეთიდან ზურგში მახვილი არ დასცემოდა, არ უნდა დაეშვა კავკასიელი ხალხების — სომხების, ალბანელების, იბერიელებისა და კოლხების — გაერთიანება. პომპეიუსი ამ შემთხვევაშიც მოქმედებდა ცნობილი რომაულ-დიპლომატიური დევიზით: „გათიშე და იბატონე!“.

ამიერკავკასიის ხალხების გასათიშავად რომაელთა სარდალმა სომხეთი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ტიგრანი გრძნობდა ამ იძულებითი „მეგობრობის“ ნამდვილ შინაარსს, ბაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვას ისევ ნაბრძანები „მოკავშირეობა და მეგობრობა“ სჯობდა. ამ გზით პომპეიუსმა იბერია-კოლხეთში ლაშქრობისას სომხეთის მხრივ არა მარტო ნეიტრალურ პოზიციას მიაღწია, არამედ ტიგრანისაგან საჭირო დახმარების აღთქმაც მ-იღო, საომარი მარაგისა და ფულის სახით.

### რომაელები და ქართველები

66 წლის შემოდგომის მიწურულს პომპეიუსმა ლეგატ აფრანიუსის სარდლობით სომხეთში სამეთვალყურეოდ დატოვა თავისი არმიის ერთი ნაწილი. თვითონ მთავარსარდალი ძირითადი ძალებით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ.

დაზამთრდა. რომაელები მიუახლოვდნენ მტკვრის ზემო წელს და გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ. პომპეიუსმა აქვე მიიღო ტიგრანისაგან სხვადასხვა სახის საფურაჟე მარაგი და ფული გაცილებით მეტი, ვიდრე ეს დათქმული იყო.

რომაელები სამ ბანაკად იდგნენ. ერთს თვითონ მთავარსარდალი მეთაურობდა, დანარჩენ ორს — მისი ლეგატები, მეტელუს ცელერი და ლუციუს ფლაკუსი.

ალბანთა მეფე ო რ ო ი ს ე მ სცადა თავის დროზე უკუეგდო კარზე მომდგარი საფრთხე, ამასთან მან საჭიროდ სცნო თავისი მეგობრის, ტიგრან მრწემის, გამოხსნისათვის ეზრუნა და გადაწყვიტა თავს დასხმოდა რომაელებს.

17 დეკემბერი იდგა, რომაელთათვის სატურნალიების საზეიმო დღე. ოროისემ იფიქრა, რომ სწორედ ამ დღეს რომაელები სატურნა-

ლიების ზარზეიმით გაერთობოდნენ და საომარ ყურადღებას გაინელებდნენ.

40 000 ალბანელი მიადგა მტკვრის ზემო წელს. ოროისემ თავისი არმია სამად დაჰყო და ცალ-ცალკე შეუტია რომაელთა ბანაკებს. თვითონ მეფე თავს დაესხა მეტელუს ცელერის ბანაკს, სადაც ეგულებოდა შეპყრობილი სომეხი უფლისწული. ცელერი მტრის მოულოდნელ თავდასხმას მედგრად დაუხვდა და ძლიერი კონტრშეტევით უკუაქცია იგი.

ალბანელთათვის განსაკუთრებით მძიმე შეიქნა რომაულ „კასტრასთან“ (სამხედრო ბანაკი) ბრძოლა. ლუციუს ფლაკუსს თავისი ბანაკისათვის ორრიგი თხრილები შემოევლო და, როცა მან მოჩვენებითი უკუქცევით ალბანელები პირველი თხრილის შიგნით შეიტყუა, ლეგიონერები ერთბაშად მოუბრუნდნენ და ჩეხვაზე გადავიდნენ. ბევრმა უკუქცეულმა ალბანელმა ფართო თხრილის გადალახვა ვეღარ მოახერხა და შიგ ჩაიღუპა.

პომპეიუსმა ბრძანება გასცა და სამივე ბანაკი ერთიან იერიშზე გადავიდა. მტკვრის გადალახვისას ალბანთა ლაშქარი კვლავ ძლიერად დაზარალდა.

ოროისემ რომაელებს დაზავება სთხოვა. პომპეიუსმა ალბანთა ქვეყანაში შეჭრა ჯერჯერობით ნაადრევად ჩათვალა და სამშვიდობო წინადადებაზე დათანხმდა.

65 წლის გაზაფხულზე რომაელები იბერთა მიწა-წყალზე შემოიჭრნენ.

მაშინ იბერიაში მეფობდა ა რ ტ ა გ ი.

იბერთა მეფემ მსოფლიო დამპყრობლებთან გულდაგულ შეტაკება უსაზმნო საქმედ ჩათვალა და პომპეიუსს დესპანები გაუგზავნა სამეგობრო ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ არტაგი იმასაც ვარაუდობდა, რომ გულზვიადი რომაელი მთავარსარდალი, რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებებით გათამამებული არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე იოლად არ დათანხმდებოდა და ამიტომ პარალელურად ჯარების შეყრასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეიუსი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა მცხეთის აკროპოლისს — არმაზციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე არც კი უპასუხნია.

არტაგმა ჯარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზციხე მცირერიცხოვან გარნიზონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

გადავიდა და ხიდი დაწვა, რომ ამით მცხეთისკენ რომაელთა გადასვლა შეფერხებულიყო.

პომპეიუსმა არმაზციხე აიღო. ქართლის სატახტოს გული მის ხელში მოექცა. რომაელი დამპყრობელი დაეუფლა დიდ სტრატეგიულ და სავაჭრო ქალაქს, რომელიც ალბანეთისაკენ და სომხეთისაკენ გასასვლელი მოსახერხებელი გზების გასაღებად ითვლებოდა.

პომპეიუსი ინდოეთიდან შავი და ხმელთაშუა ზღვებისაკენ მომავალ დიდ საგაჭრო გზაზე იდგა. აქ დააზუსტა პომპეიუსმა: ინდოეთიდან ბაქტრისა და ოქსის (ამუდარია-სირდარია) გამოვლით კასპიის ზღვამდე სავაჭრო ქარავნისთვის შვიდი დღე კმარა, ხოლო კასპიის ზღვიდან პონტოს ფასისამდე მტკვარით, ძირულითა და რიონით — ხუთი დღე. ბოლოს და ბოლოს, ამ გზით ინდურ საქონელს იტალიამდე ოცი-ოცდახუთი დღე თუ დასჭირდება...

მაგრამ, იბერია ჯერ დასაპყრობი ჰქონდა პომპეიუსს.

არმაზციხეში რომაული ციხიონი დააყენა და მტკვრის ხელმარცხნივ გადასალახავად მოემზადა.

როცა არტაგი დარწმუნდა, რომ პომპეიუსი მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროების დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება განეახლებინა. მეფე მეგობრობას სთავაზობდა რომაელს, თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ხიდის აღდგენას აღუთქვამდა.

მეფემ დანაპირები შეასრულა, მაგრამ პომპეიუსი იბერიის, ამ უცნაური, აქამდე დაუმორჩილებელი ქვეყნის, სრულიად დასამორჩილებლად იყო მოსული და მაინც გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კლავ განერიდა, მდინარე არაგვზე გაღავიდა და ხიდი აქაც დაწვა.

რომაელები მდინარის გადალახვას შეუდგნენ. იბერიელები შეებნენ, მაგრამ ფრიად დაზარალდნენ.

პომპეიუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს მთლიანად ფლობდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება.

იბერიელები თარეშულ-პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ღრმა და უსიერ ტყე-ღრეებში მიიწევდნენ, მტერს გზას უჭრიდნენ, ქვას აგორებდნენ, ზვავებს სხლტდნენ, მაღალ ხეებზე საფრდებოდნენ და მომხდურთ მიზანაუცდენლად ესროდნენ ისარს, თვალშეუდგამი ტყე-

ებიდან და წკვარამებიდან ელვასავით გამოიჭრებოდნენ, მტერს მიესეოდნენ და კვლავ ელვისებურად გაუჩინარდებოდნენ...

მაშინ რომაელებმა ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს.

იბერიელი მეომრები ნადგურდებოდნენ.

დაჭრილ და დახოცილ ქართველ მეომართა შორის რომაელებმა მრავალი ქალი აღმოაჩინეს. გაოცება იმდენად ძლიერი იყო, რომ ხმა ჩავიდა, პომპეიუსი აღმოსავლეთში ამაძღნებს ებრძვისო.

არტაგმა ისევ გაგზავნა დესპანები პომპეიუსთან, — კვლავ დაზავებას ითხოვდა. თან დიდი ძღვენი აახლა რომაელ სარდალს: ოქროს ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი. მაგრამ რომაელი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის აუცილებელ პირობად მის ვაჟებს მძევლად მოითხოვდა.

მეფე დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ, როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისაგან არაგვის წყალმა კლება დაიწყო და რომაელებმაც მისი გადალახვა ადვილად შეძლეს, არტაგი დათანხმდა და პომპეიუსს მძევლად გაუგზავნა თავისი შვილები.

არტაგი და პომპეიუსი დაზავდნენ.

იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველყო, პომპეიუსმა არმიები კოლხეთისაკენ დაძრა. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და ძირულა-რიონის ხეობაში დაეშვნენ. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ქართულ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგსაც იარაღით იმორჩილებდნენ.

ასე მიაღწიეს ქალაქ ფასისს, სადაც პომპეიუსს მიეგება მისგანვე, ზღვების სადარაჯოდ გამოგზავნილი ნავარქი სერვილიუსი. მისგან პომპეიუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე კოლხეთიდან ბოსფორს წასულა. საბაბი, რომლითაც რომაელი სარდალი თავის ლაშქრობას ამართლებდა, ადგილზე აღარ არსებობდა, მაგრამ მას ახლა არავითარი საბაბი აღარ სჭირდებოდა. ქვეყანა უკვე დალაშქრული და დამარცხებული იყო.

მცირე ფიქრის შემდეგ პომპეიუსმა ირწმუნა, რომ იგი ვერ შეძლებდა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ლაშქრობას და გადაწყვიტა, ეს წელი (65 წ.) ლეგენდარული კოლხეთის სრული დამორჩილებისათვის მოენდომებინა. მან ფასისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისკენ.

ამბობდა, კავკასიონს უნდა ვეწვიო, პრომეთეს ტანჯვის ადგილსო. რომაული პლუტოკრატიის რჩეულს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ქვიშა და გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავებით ამ ოქროს შეგროვების კოლხური წესი.

მაგრამ რომაელები, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ, მით უფრო მარცხდებოდნენ მამაც მთიელ ქართველობასთან შეტაკებებში.

პომპეიუსმა დროზე იცოდა თავის შეკავება. ამჯერადაც მან შეუძლებლის შეძლებაზე ხელი აიღო და სამხრეთისაკენ შემობრუნდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები სამმართველოდ გადასცა ვიღაც ა რ ი ს ტ ა რ ქ ე ს, ზღვების მეთვალყურეობა ისევ სერვილიუსს დაავალა და თვითონ ალბანეთის წინააღმდეგ დაიძრა.

### რომაელები ღა ალბანელები

პომპეიუსს უნდოდა, ალბანეთსაც ისევე მოულოდნელად დასხმოდა თავს, როგორც იბერიას. იგი ალბანეთისაკენ გაემართა არა უმოკლესი გზით, არამედ სომხეთის გავლით, რათა სამხრეთიდან მოულოდნელად შეჭრილიყო უცხო ქვეყანაში.

კოლხეთიდან სომხეთისაკენ მიმავალ გზაზე, მესხეთის მთებზე მცხოვრებმა „შვიდსოფლელებმა“ (შკვითინებმა) პომპეიუსს სამი ცენტურია ამოუჟლიტეს. თურმე უცხო, დაუპატიჟებელ სტუმრებს შვიდსოფლელებმა ველური თაფლით სავსე ქოთნები გამოუფინეს გზაზე. რომაელები თაფლს დაეხარბნენ, დაყრუვდნენ და გონწართმეულნი დაეუჟეს მასპინძლებმა.

პომპეიუსი სომხეთს მივიდა. სომხეთი წუნარად დახვდა. აქედან იგი ჩრდილოეთისაკენ გაეშურა და მდინარე მტკვარს მიადგა, დღევანდელი ყაზახისა და აღსტაფის მახლობლად. მდინარის მარცხენა ნაპირი მაღალი ხის ღობურებით იყო გამაგრებული. რომაელებმა მაინც შეძლეს მეორე ნაპირზე გადასვლა. ისევ იბერთა მიწაზე იდგნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში მიემართებოდნენ კამბეჩოვანის სიცხიან ველებზე. ძლივს მილასლასებდნენ სიცხისა და წყურვილისაგან დაოსებულნი. ტყვე მეგზურები ცდილობდნენ არასწორი გზით წაეყვანათ დაუპატიჟებელი სტუმრები.

ბოლოს, პომპეიუსის ლაშქარი მდინარე იორს მიადგა. წყურვილი-

საგან დატანჯული მეომრები და ცხოველები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს. ბევრს მუცლის გვრემა დამართა უზომო წყლის სმამ.

იორიდან ალაზნამდე იარეს, იბერიის მიწა-წყალი განასრულეს და ალბანეთის მიწებზე შედგეს ფეხი.

ალაზნის გადალახვისთანავე პომპეიუსმა მიიღო ცნობა, რომ აბლოვდებოდა ალბანთა მეფე ოროისე 60 000 ქვეითი მეომრითა და 12 000 ცხენოსნით.

პომპეიუსს გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა. მან წინა ხაზზე გააწყო კავალერია; მის უკან ფარებს ამოფარებული ქვეითი ლეგიონები დაალაგა, დაჩოქილნი, — მტერს რომ არ შეენიშნა მისი რიცხობრივი უპირატესობა.

ალბანელები დანახვისთანავე ეძგერნენ რომაულ მხედრობას. პომპეიუსის ცხენოსნებმა მტერს ზურგი აქციეს და გზა გაუხსნეს უკან ჩასაფრებულ ლეგიონებს. ლეგიონებიც აღმართნენ ჩვეული მრისხანებით. ნადირთა ტყავით შემოსილი ალბანელნი უსაზმნოდ აწყდებოდნენ მსოფლიოში უპირველესი საომარი აღჭურვილობის მქონე გაწვრთნილ არმიას.

ოროისეს ძმა, კ ო ს ი ს ი, პომპეიუსს მიეპრა და მკერდზე მძლავრად აძგერა შუბი. რომაელის ფარფლებიანმა ბექთარმა აისხლიტა ალბანელის შუბი. წამსვე პომპეიუსმა მოიქნია მახვილი. კოსისი შუაგაჩეხილი გადმოეშვა ცხენიდან.

რომაელთა მხედრობამ ფლანგებიდან შეუტია მტერს. ალბანელნი ალყაში მოექცნენ და განადგურდნენ. ცოტანი გადარჩნენ სიკვდილს.

პომპეიუსს განზრახული ჰქონდა კასპიის ზღვამდე მისულიყო. სამი დღის განმავლობაში მიიწევდნენ წინ. მაგრამ, სიცხეების, უწყლობისა და შხამიან ქვემძრომთაგან შეძრწუნებულმა მეომრებმა უარი განაცხადეს შემდგომ წინსვლაზე.

პომპეიუსს ლუკულუსის ბედი გაახსენდა: ლეგიონები რომ აუჯანყდნენ აღმოსავლეთში. ამიტომ იგი დათანხმდა ალბანთა მეფის თხოვნას და ზავი შეკრა მასთან.

### დიდი პონტოელის აღსასრული

მომდევნო 64 წელს პომპეიუსი ალბანეთიდან სომხეთს დაბრუნდა, ხოლო იქიდან, მცირე სომხეთის გავლით, პონტოში ჩავიდა.

პომპეიუსი პონტოს სამეფოს მდიდარ ქალაქებსა და ციხესიმა-

გრეებში წლობით დაგროვილ და მტკიცედ დაცულ ძვირფას საჭურჭლეთა მფლობელი შეიქნა. მარტო ციხესიმაგრე ტალავრაში პომპეიუსს ხელში ჩაუვარდა მითრიდატეს 2 000 ოქროცურვილი ონიქსის ფიალა, უთვალავი ძვირფასი ჭიქა, ყანწები, ჭურჭლეული, მოქარგულ-მოსეევადებული ტახტები, სავარძლები, ცხენთა მოკაზმულობანი, ყველაფერი ოქროთი მოოქვილი, რომელთა დათვლასა და აღრიცხვას ერთი თვე დასჭირდა.

მეორეგან, ახალციხეში (მცირე აზიაშია) პომპეიუსმა ხელთ იგდო მითრიდატე პონტოელის მთელი არქივი, სადაც აღმოჩნდა მეფის საიდუმლო წერილები, მემუარები, მეცნიერული ნარკვევები, წერილობითი განკარგულებანი და ღონისძიებანი. აქ ნაპოვნი დოკუმენტებიდან (რომელთაგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია) ნათელი ეფინებოდა პონტოელი ხელმწიფის სამხედრო და პოლიტიკურ გეგმებს, მის ყოველ ზრახვასა და ღონისძიებას, ოჯახურ ამბებს, მეფის დარდიმანდულ-ბოჰემურ ავანტიურებს, რომანტიულ-ინტიმურ იდილიებსა და სხვა პირადულ ვნებებს.

63 წელს მაშინდელმა მსოფლიომ შეიტყო იმ დროს ყველაზე სახელგანსმენილი კაცის, მითრიდატე პონტოელის სიკვდილის ამბავი.

ეს ასე მოხდა.

66—65 წლების ზამთარი მითრიდატემ კოლხეთში გაატარა. აქ მან დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ რისთვის და როგორ გამოეყენებია თავისი სვეგამწარებული სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ანუ, რა გეგმებითა და გზებით განეხორციელებინა საძულველი რომაელების წინააღმდეგ ახალი ბრძოლები. მას არასგზით არ სურდა, თუნდაც სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე, ხელიდან გაეგდო „მგლის ნაშიერთა“ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროშა.

ჯერ მოღალატე შვილი, მახარე, უნდა ჩამოეგდო ბოსფორის სამეფო ტახტიდან. მერე, ბოსფორშივე უნდა შეეყარა ახალი დიდი არმია. ამისათვის იგი ურთიერთობას გააბამდა მთელი შავი ზღვის გარშემო და ევროპის სიღრმეში მცხოვრებ ტომებთან. მათი დახმარებით ის შემოუვლიდა ჩრდილოეთიდან შავ ზღვას, გაიელდა თრაკიას, მაკედონიას, შევიდოდა დასავლეთ ევროპაში, იქაც შეჰკრებდა კელტებისა და სხვა ევროპულ-ბარბაროსულ ტომთა ჯარებს. გადალახავდა ალპებს და ასეთი, მანამდე გაუგონრად გრანდიოზული ძალებით, შეიჭრებოდა იტალიაში და დაესხმოდა საძულველი მტრების ბუდეს, რომს.

ასეთი იყო მისი ახალი საომარი განაზრახი რომის დასამხობად.

მითრიდატე 65 წლის გაზაფხულზე ყირიმისაკენ გაეშურა ხმელეთის გზით. გზადაგზა იგი იმხრობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებს — ჰენიოხებს, აქეელებს, იაზიგებს. ის კარგა მოზრდილი ძალებით ჩავიდა ყირიმში.

მითრიდატეს მოულოდნელმა გამოჩენამ თავზარი დასცა მის მტრებს, განსაკუთრებით მოღალატე შვილს. მახარემ მამას შუამავალნი მიუგზავნა და პატიება ითხოვა. მაგრამ ისიც შეიტყო, რომ მითრიდატეს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. თანაც, მახარე ყველამ მიატოვა და, ზოგი გულითადი სურვილით, ზოგიც შიშით, მოხუცი მეფის მხარეზე გადავიდა. მახარე თავისიანთა თანხლებით გაიქცა. მითრიდატემ მდევარი გამოადევნა. ყველანი შეიპყრეს. ყველას თავები დააყრევინეს.

მეფე ორი წლის განმავლობაში დიდი ენერგიითა და გატაცებით ემზადებოდა სარევანშო ბრძოლებისათვის. თავის ძალაუფლების ქვეშ იკრებდა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს. იერთებდა ზოგს დარწმუნებით, ზოგსაც ძალით, უმოყვრდებოდა სკვითთა ბელადებს. ჰკრებდა ჯარებს „თავისუფალთაგან და მონათაგან“. აგებდა ფლოტს, სჭედდა საომარ საჭურველს, აწყობდა საომარ-საფორტიფიკაციო მანქანებს.

მაგრამ მხცოვანი ხელმწიფის განზრახვებს განხორციელება არ ეწერა. ჯერ, თვით მის ახლობელთა შორის იხლართებოდა შეთქმულებისა და ღალატის ხვანჯები. მისმა ცოლმა სტრატონიკამ საიდუმლო მოლაპარაკება გააბა პომპეიუსთან. იგი ატყობინებდა რომაელს, სად, რომელ ადგილებში, რომელ ძელმიწურებში და სიმაგრეებში ინახავდა მეფე საომარი სამზადისისათვის საჭირო საგნებს, თანხებს, საჭურჭლეებს. ამის საფასურად სტრატონიკა პომპეიუსს სთხოვდა, როცა თქვენ „ამ ბოროტ მოხუცს“ მოსპობთ და სრულ გამარჯვებას მოიპოვებთ, ჩემ შვილს, ქსითარას, სიცოცხლე შეუნარჩუნეთო.

მითრიდატემ შეიტყო ცოლის ღალატი. გაცოფებულმა მეფემ ღვიძლ შვილს, ქსითარას დედის თვალწინ ყელი გამოსჭრა და დაუსაფლავებლად ყვავ-ყორნების არჩივად დააგდო.

ამას ახალი შეთქმულება მოჰყვა. შეთქმულების მოთავე გამხდარა მითრიდატეს უსაყვარლესი შვილი, მის მიერვე ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული ფ ა რ ნ ა კ ე. მეფემ შეიტყო ღალატი მისი გულის რჩეულისა. ფარნაკე უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა მეფის უახლოესმა მრჩეველმა მენოთახნმა. ამოდენა ლაშქრობისათვის მზადების დროს არ

ღირს ესოდენ დაფასებული ვაჟის დასჯაო, — ჩასჩიჩინებდა ის სიბრაზისაგან გამხეცებულ მითრიდატეს. მეფემ გულის ჯავრი შვილის თანაშეთქმულებზე იყარა.

მითრიდატეს მალე ახალი უბედურება ეწვია. აჯანყდა ქალაქი ფანაგორია (ტამანის ნახევარკუნძულზე), სადაც მოეწყვიდნენ მეფის შვილები: არტაქსერქსე, არტაფერნი, დარიოსი, ქსერქსე, ოქსათრა, ევპატრა, კლეოპატრა. ყველა ისინი აჯანყებულებმა იგდეს ხელთ. ბრძოლაში კლეოპატრამ გასაოცარი სიმამაცით და მოხერხებით დაჭრა თავისი მტერს და მიაღწია პანტიკაპეას, სადაც მაშინ იმყოფებოდა თვითონ მითრიდატე. ფანაგორიის აჯანყების შემდეგ პონტოს მეფეს ეანდეგებენ ხერსონესი და თეოდოსია.

მეფის ყველა განაზრახი უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

გადასახადები, რომელიც მითრიდატემ საომარი საჭიროებისათვის დააწესა, სულს ხდიდა მოსახლეობას და მათში გულისწყრომას იწვევდა. „ყველას დაადვა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბებსაც კი. გადასახადის შემკრები მოხელენი ძალზე ავიწროებდნენ ხალხს...“ ამდენად, ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ახალ დიდ ომში მითრიდატეს ძირითადი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მისი გეგმები არა თუ თანაგრძნობით არ სარგებლობდა, არამედ უკმაყოფილებასაც იწვევდა და აჯანყების საშიშროებასაც ქმნიდა.

ლაშქარიც, რომელიც მეფემ შეკრიბა, ახალი წამოწყების მიმართ ძალიან ცუდად იყო განწყობილი. მეომრებს „არ სურდათ გამგზავრება შორეულსა და ხანგრძლივ ლაშქრობაში, უცხო ქვეყანაში იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისი დამარცხებაც მათ თავიანთ ტერიტორიაზე ვერ მოახერხეს“.

მითრიდატეს აღარც ძველი, ერთგული, რომაელებთან რკინაში ნაწრთობი, ვეტერანი სარდლები და თანაშემწეები შერჩნენ, ხოლო ახალი სარდლები ჯარისკაცებში პატივისცემითა და ნდობით ვერ სარგებლობდნენ.

ამრიგად, მითრიდატე, მისი ბედუკუღმართი თავგადასავლებისა და ასაკის მიუხედავად, თითქმის სრულიად მარტოდმარტო დარჩენილი, საოცარი ენერგიითა და ფანატიზმით შეპყრობილი, ცდილობდა განუხორციელებლის განხორციელებას. ის ერთ ხანს ავადმყოფობდა კიდეც. სახეზე მუწუკები დააყარა და მისი ხილვა მხოლოდ მის მკურნალ ექიმებს შეეძლოთ. მალე გამოჯანსაღდა, მაგრამ მზის სინათ-

ლეზე გამოსული მეფე სულ მალე სამარადისო ბნელეთის გზას უნდა გასდგომოდა...

ბოსფორში აჯანყებამ იფეთქა.

აჯანყებას სათავეში ედგა ისევ მითრიდატეს რჩეული ვაჟი ფარნაკე.

გარიჟრაჟისას მითრიდატე საშინელმა ყიჟინამ და ღრიანცელმა გამოაღვიძა. ის წამსვე ფეხზე წამოიჭრა და მცველები აფრინა ამბის შესატყობად. მალე შეატყობინეს, რომ ჯარი და ხალხი აღარ სცნობენ მის ძალაუფლებას. აჯანყებულები პირდაპირ უთვლიდნენ: გვსურს, მეფედ იყოს შენი ვაჟი ფარნაკე, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე, ნაცვლად მოხუცისა, სასტიკისა და შეუბრალებლისა, რომელიც არავის ზოგავს, ხოცავს თავის შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს, სტანჯავს ხალხს.

მითრიდატე პირადი მცველების თანხლებით თვითონ გაეშურა აჯანყებული შვილის ბანაკისაკენ. მაგრამ მცველმა რაზმებმა უეცრად მიატოვეს და ფარნაკეს კარავისაკენ გაქუსლეს. ფარნაკემ ბრძანება შეაგებათ: თუ მართლა ერთგულებისათვის მოდიხართ, ჯერ მეფე შეიპყარით და ცოცხლად მომგვარეთო. მცველები შემობრუნდნენ მითრიდატეს შესაპყრობად. მეფემ მტერთა განაზრახი შეიტყო და ცხენი მოსხლიტა. მცველებმა ისრის სეტყვა დააყარეს და ცხენი მოუკლეს. მოხუცმა მეფემ ფეხად შეასწრო ციხესიმაგრეში.

მეფე მაღალ გოდოლზე ავიდა და იქიდან დაინახა, როგორ მორთეს აჯანყებულებმა მისი შვილი მეფის ტანსაცმელში, თავზეც გვირგვინის მინამსგავსად რაღაც ღეროიანი თავსამკაული დაადგეს, წინ ღრიანცელით გაიძღოლეს და ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყეს.

მითრიდატემ შვილთან დაზავება სცადა. მან ზედიზედ აახლა თავისიანნი ფარნაკეს. იგი სთხოვდა შვილს, დაენდო მამის სიცოცხლე ისე, ვითარცა მამამ შეინდო შვილი ამასწინდელი ღალატისათვის. უკიდურეს შემთხვევაში, იმდენი გულმოწყალება მაინც გამოიჩინე, უვნებლად წასვლის ნება მომეცი და სამეფო ტახტი შენთვის დამილოცნიაო, — ემუდარებოდა მითრიდატე შვილს.

მაგრამ ფარნაკე მამაზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელი აღმოჩნდა.

ის ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: მითრიდატე უნდა მოკვდარიყო.

რა გაეწყობა: უნდა მომკვდარიყო. მითრიდატე აღმოჩნდა ის კაცი,

რომელმაც ღალატით გარშემორტყმულ მთელ თავის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ აპატია ღალატისათვის, ისიც თავის ღვიძლ შვილს, — და ეს ერთადერთი პატიებაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. მამამ შვილის შეწყალებისთვის იგივე შვილისაგან სამაგიერო შეწყალება ვერ მიიღო.

მითრიდატეს თითქოს არც გაჰკვირვებია შვილის ასეთი უმადურობა, თითქოს კიდევაც მოეწონა მისი სისხლიერის ასეთი სიმტკიცე. სისასტიკეში განსახებული.

მეფემ შემორჩენილი უკანასკნელი ერთგული მხლებლები იხმო, ქება-დიდებით აავსო ერთგულებისთვის, უხვადაც დაასაჩუქრა და მერე უბრძანა ახალ მეფესთან წასულიყვნენ. ისინიც დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

მითრიდატესთან მისი ქალიშვილები დარჩნენ, მითრიდატისი და ნისა.

კარებთან ბიტოიტი იდგა, მითრიდატეს უერთგულესი მსახური და საჭურველთმტვირთველი, წარმოშობით კელტი. ბიტოიტმა მეფეს უარი უთხრა მარტო დატოვებაზე.

მეფემ ხმლის ქარქაში მშვიდად გახსნა და საწამლავი ამოიღო. საწამლავს მუდამ განუყრელად ატარებდა.

შვილები მდუმარედ, შეგრძნებულად და განლიგებულად ადევნებდნენ თვალს.

მეფემ საწამლავი ფიალაში შეაზავა.

ასევე მოიქცნენ მისი ქალიშვილები.

(მითრიდატისი ეგვიპტის მეფეზე იყო დანიშნული, ნისა — კვიპროსის მეფეზე).

მამასავით უჯიათად ეძლეოდნენ სიკვდილს ქალები. მხოლოდ ეს იყო, მამას სთხოვეს, პირველად ჩვენ მივიღებთ საწამლავს, რამეთუ არ გვსურს ვიხილოთ მოხუცი მშობლის ტანჯვით სიკვდილიო. რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო მამისათვის ამ თხოვნის შესრულება, მაგრამ მაინც აღასრულა შვილების უკანასკნელი სურვილი.

მითრიდატეს ასულნი საწამლავის დალევისთანავე უსულოდ დაეცნენ.

მეფემაც სულმოუთქმელად დაცალა ფიალა.

მაგრამ საწამლავმა არ იმოქმედა!

მითრიდატე ხომ საჭმელს ისე არ ჭამდა, თუ შიგ წინასწარ ანტისაწამლავს არ გაურევდა, და შეჩვეოდა საწამლავს მეფის სხეული.

მეფემ სირბილი აიტეხა, იქნებ იმოქმედოსო საწამლავმა, მაგრამ ამაოდ.

იგი შედგა. კარებთან ბიტოიტი შენიშნა. უცებ რაღაც გაახსენდა და ბიტოიტს შესძახა:

„დიდ დახმარებას მიწევდა შენი მარჯვენა საომარ ველზე, მაგრამ ახლა უნდა გამიწიო ყველაზე დიდი დახმარება: დაუყოვნებლივ უნდა მომისპო სიცოცხლე! უნდა მომკლა, თორემ მე მელის სამარცხვინო ტყვეობა და საძულველი რომის ქუჩებში დონდლო პომპეიუსის ტრიუმფში გატარება. ასეთი რამე მომელის მე, რომელიც ამდენხანს ვიყავ ამ ქვეყნის თვითმპყრობელი. მე შხამი ვერ მკლავს იმის გამო, რომ მე უგუნური, თავის დაზღვევის მიზნით, წინასწარ ვიღებდი თავის გადარჩენის საშუალებებს სხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის, მეგობრებისა და შვილების ღალატი — მე ვერ გამითვალისწინებია... და ახლა მე უნდა მომკლა შენ! უნდა მომკლა!“

ერთგულმა მსახურმა შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა თავის მბრძანებელს: მან მითრიდატეს გამოშვერილ კისერს მახვილი მძლავრად დაჰკრა...

### ტრიუმფი რომში

პომპეიუსი არაბეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის ქალაქ პეტრასთან ბანაკად იდგა. მთავარსარდალს ამპარტავნული კოპწიაობა უყვარდა ჯარისკაცთა წინაშე. იმ დღესაც ცხენს დააჯირითებდა მეომართა შესახედავად. შესანიშნავი მოჯირითე და მოვარჯიშე იყო. უცებ შიკრიკები გამოჩნდნენ, დაქანცულნი, გაოფლიანებულ ცხენებზე ამხედრებულნი. თურმე პონტოდან მოისწრაფოდნენ. სახეზე რაღაც უსაზღვრო სიხარული აღბეჭდოდათ, შუბებიც დაფნის რტოებით შეემკოთ.

სარდალი თითქოს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯარისკაცთა წინაშე ზვიადი სიდინჯის დარღვევა არ სურდა და კვლავ განაგრძობდა ჯირითს.

როცა მთელი ბანაკი წამოიშალა და ჩვეულებრივი ღრიალით ახალი ამბის გამოქვეყნება მოითხოვა, პომპეიუსი ცხენიდან გადმოხტა, შიკრიკებს ბარათი ჩამოართვა, ტრიბუნაზე ავიდა და გამოაცხადა: ამ ქვეყნად აღარ არსებობს რომაელთა ყველაზე დაუძინებელი მტერი მით-

რიდატე პონტოელი; იგი დაამხო აჯანყებამ, რომელსაც მისი შვილი ფარნაკე მეთაურობდა; ხოლო თვით ფარნაკე, ბოსფორის ახალი მეფე, მორჩილებას უცხადებს რომს და პირადად იმპერატორ გნეიუს პომპეიუსს.

აუწერელი იყო აღტაცება, რაც ამ ამბავმა გამოიწვია რომაელთ შორის. მთელი კვირა, დღე-ღამეების მანძილზე, არ წყდებოდა ნადიმ-ღრეობანი, ზორვანი და ვაკხანალიები. ყველამ ირწმუნა, რომ მითრიდატეს სიკვდილი ათასობით მტრის სიკვდილს უდრიდა.

პომპეიუსმა ბანაკი აჰყარა და პონტოსაკენ გაეშურა. ის ჩავიდა ამისოსში, სადაც მას დახვდა ფარნაკესგან გამოგზავნილი უმდიდრესი ძღვენი, უძვირფასესი ნივთები და მათთან — დახოცილთა გვამები.

აქ იყო მითრიდატეს ცხედარი. სახეზე აღარ იცნობოდა სახიერებით განთქმული მეფე, — ბალზამირებისას თავის ტვინის ამოღება დავიწყნოდათ და ხრწნა მოჰრეოდა თავ-პირზე. მეფე მისი საარაკო ტანსრულობითა და ჭრილობების სიმრავლით იცნეს. პომპეიუსი განაცვიფრა მითრიდატეს გოლიათურმა ანაგებამ და საომარმა აღკაზმულობამ.

პომპეიუსის ბრძანებით მითრიდატე სინოპში წაასვენეს და იქ დაკრძალეს, პონტოელ მეფეთა საძვალეში. მეფის პირადი საგნები რომაელებმა დაიტაცეს...

ამიერკავკასიის დამორჩილების შემდგომ პომპეიუსმა წარმატებით დალაშქრა და დაიპყრო სირია, ფინიკია და პალესტინა.

61 წელს ძლევამოსილი გნეიუს პომპეიუსი აზიიდან იტალიისაკენ გაეშურა. აპენინს უახლოვდებოდა იმპერატორი, რომლის საგანგებო, უმაღლესმა იმპერიულმა ძალაუფლებამ რომს დაუმორჩილა ყველა ქვეყანა, „რომელთაც კი მზე თავის სხივებს მიმოასხივებს“. არაჩვეულებრივად დიდი იყო რომში ის აღტაცება, რაც მოჰყვა უთავეამო „მითრიდატული ომების“ ყამგანსრულებას, და საერთოდ მუდამ მოუსვენარ „აღმოსავლურ საქმეთაგან მოსვენებას“. არაჩვეულებრივი მიღება, ტრიუმფალური შეხვედრა ელოდა იმპერატორს, რომელმაც შეძლო მრისხანე აღმოსავლეთის, მანამდე დაუძლეველ ქართველთა, „შმაგად მეომრულ კოლხთა“, სომეხთა და ალბანთა დამორჩილება.

როგორც ტრიუმფატორს ეკადრებოდა, პომპეიუსი დააყენეს მოოქროვილ ეტლში, რომელსაც მორთულ-მოკაზმული ოთხი თეთრი მერანი მოარონინებდა. თვით ტრიუმფატორს ტანთ ეცვა უძვირფასესი სამოსი, მითრიდატეს გარდერობიდან მოტაცებული. თავზე ეხურა დაფნის გვირგვინი; თავის სწორად მონას ხელთ ეპყრა ოქროს გვირ-

გვინი — „კორონა ტრიუმფალის“. ტრიუმფატორის ეტლს გარს ეხვივნენ თეთრ ტოგებში გამოწყობილი თანამებრძოლნი და ახლობელნი. ტრიუმფატორის წინ მოჰქონდათ დაფები პომპეიუსისგან დაპყრობილი ქვეყნების აღნუსხვით; იქ ეწერა: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, იუდეა, არაბეთი და მეკობრეთა თავშესაფარნი. იქვე აღნიშნული იყო, რომ პომპეიუსმა აღმოსავლურ ლაშქრობათა წყალობით რომის სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა 20.000 ტალანტი (48.000.000 მან. ოქრ.), ხოლო ვერცხლის ფული 75.100.000 დრაქმის რაოდენობით. ოქროს მოხარბე რომაელნი თვალებით სჭამდნენ იბერიის ხელმწიფისეულ ოქროს ტახტს, ოქროს სარეცელსა და ოქროს მაგიდას; ასევე მითრიდატესეულ სამეფო კვერთხსა და თვით მითრიდატეს ცხრა წყართის სიმაღლე ბაჯაღლო ოქროს ქანდაკებას. მოაქანებდნენ მოოქროვილ ეტლებსა და ტახტრევანებს; მოდიოდნენ აურაცხელი აღმოსავლური ნაძარცვით, ჭურჭლეულით, აღჭურვილობითა და სხვა მრავალსახოვანი ნივთებით დატვირთული საზიდარები.

პომპეიუსის ტრიუმფს „ამშვენებდნენ“ აღმოსავლეთის დამარცხებულ მბრძანებელთა უმაღლესი მოხელენი, სარდლები და უფლისწულები, ზოგი ტყვენი, ზოგი მძევალნი, სულ 324 ადამიანი. აქ იყვნენ: მითრიდატეს ხუთი ვაჟი (არტაფერნი, კიროსი, ოქსათრი, დარიოსი და ქსერქსე) და ორი ასული (ორსაბარისი და ევპატრა), კოლხთა ბატონი ოლთაკე, სომეხი უფლისწული ტიგრან მრწემი თავის ცოლშვილით, სამი იბერიელი სარდალი, ორი ალბანელი სარდალი, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს კავალერიის უფროსი მენანდრე, კილიკიის მმართველნი და სკვითთა სეფე-ქალნი. მოჰქონდათ ტიგრანისა და მითრიდატეს გამოსახულებანი: როგორ იბრძოდნენ ისინი, როგორ დამარცხდნენ და გაიქცნენ. გამოხატული იყო, როგორ ჰქონდა მითრიდატეს ალყა შემორტყმული და როგორ მოკვდა იგი. აქვე ჩანდნენ მისი ასულნი, რომელთაც მამასთან ერთად სიკვდილი ირჩიეს. იქვე გამოხატულნი იყვნენ აღმოსავლელი ღმერთები ადგილობრივ სამოსელში. მოჰქონდათ დაფა, რომელზეც ეწერა:

„ხომალდები სპილენძის საბრძოლო ნიღრით წამოყვანილია რვაასი; ქალაქები დაარსებულია: კაპადოკიაში რვა, კილიკიასა და კელესირიაში ოცი; დამარცხებული არიან სომხეთის მეფე ტიგრანი, არტაგ იბერიელი,

ოროისე ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეიის მეფე არეთა, ანტიოქე კომაგენელი".

ტრიუმფი ორ დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს პომპეიუსის ბრძანებით ტყვეთაგან მხოლოდ ორი დასაჯეს სიკვდილით — სომეხი უფლისწული ტიგრანი და იუდეიის მეფე არისტობულე. დანარჩენი ტყვეები, მცირეოდენი დროის შემდგომ, გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

არავინ იცის, დაბრუნდნენ თუ არა სამშობლოში იბერიელი უფლისწულები.

### კეისრულ-პონტოური

პომპეიუსი თავისი ძლევამოსილებისა და აღზევების მწვერვალზე იდგა, მაგრამ არც მას შერჩა ბოლომდე უთვალავ ადამიანთა სისხლის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის გაიუს იულიუს კეისარი. უდიდესი გენია ძველი სამყაროისა. კეისარმა დაიპყრო მთელი ცენტრალური ევროპა, გალია (საფრანგეთი), გერმანია და ბრიტანია. მერე რომს დაბრუნდა და ერთის დაკვრით დალეწა პომპეიუსის „პრინციპატი" — პირველკაცობა; რომიდან გააქცია, საბერძნეთში გაანადგურა და ეგვიპტეში სავსებით დაასამარა. აქვე კეისარმა ლეგენდადქცეულ ცხელსხეულიან კლეოპატრასთან ტრფიალებაში გადაწყვიტა უძველესი და უბრწყინვალესი ეგვიპტის ბედი. ეგვიპტის ტახტ-გვირგვინი პტოლემაიოს XII-ს წაართვა და კლეოპატრას აჩუქა უტკბილესი ალერსისათვის.

და უცებ კეისარსაც დასჭირდა მახვილის წარმართვა აღმოსავლეთისაკენ.

თხუთმეტი წელი გასულიყო მითრიდატე დიდის დაღუპვიდან, და აღმოსავლეთში ისევ წამოშლილიყვნენ პონტოელ გმირთა აჩრდილები.

ბოსფორის მმართველი ფარნაკე, რომელმაც პირადი პატივმოყვარეობისათვის მშობელი მამა საფლავის კარამდე მიიყვანა, უკმაყოფილო დარჩენილა, რადგან პომპეიუსმა მას სამმართველოდ მხოლოდ ბოსფორი მისცა, ხოლო პონტო რომის პროვინციად გამოაცხადა. ფარნაკე უცდიდა დროს, სამაგიერო მიეზღო რომაელთა უმადურობისათვის. ასეთ ხელსაყრელ დროდ მან მიიჩნია პომპეიუსსა და კეისარს შორის ატეხილი ომები.

ფარნაკე ჯერ თავს დაესხა და აიღო ფანაგორია, რომელსაც რომა-

ელებისაგან ავტონომია ჰქონდა მინიჭებული. მალე ამის შემდეგ იგი ძლიერი არმიითა და ფლოტით მიადგა პონტოს და თავისი მამის სამემკვიდრეო სამეფოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მაშინ მესხეთის მიწაზე უბრწყინვალესი საღვთო ქალაქი იყო ლ ე ვ კ ო თ ე ა, უმდიდრესი და უმშვენიერესი ტაძრით. ფარნაკე მესხეთში შეიჭრა, ლევკოთეა გაძარცვა და დიდძალი სიმდიდრით დატვირთული დაბრუნდა პონტოში.

იბერიის მაშინდელმა ხელმწიფემ, მეშვიდე ფარნავაზიანმა, ბ ა რ ტ ო მ მ ა (ანუ ფარნავაზ მეორემ) ხელი ვერ შეუშალა მესხეთის აოხრებას.

სანამ კეისარი პომპეიუსს ეგვიპტისაკენ მიერეკებოდა, მერე ეგვიპტის საქმეებსაც „აწესრიგებდა“, ფარნაკემ ხელთ იგდო მცირე სომხეთიც და კაპადოკიაც. ამან გამოიწვია ომი აზიაში მდგარ რომაულ ლეგიონებთან, რომელთაც სათავეში ედგა გამოცდილი სარდალი დ ო მ ი ც ი უ ს კ ა ლ ვ ი ნ უ ს ი.

ბრძოლა რომაელებსა და პონტოელებს შორის მოხდა ნიკოპოლისთან, სადაც თვრამეტი წლის წინ მითრიდატე ევპატორმა რომაელებთან უკანასკნელი საბედისწერო ბრძოლა გადაიხადა. ამჯერად პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. დომიციუსის ოთხი ლეგიონიდან სამი სავსებით გაიჟლიტა, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ფარნაკემ თითქოს განიმტკიცა პონტოს ტახტი. მას მამისეული სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ჭკუითა და შორსმხედველობით სრულებითაც არ ჰგავდა მითრიდატეს. იგი ასეთი გამარჯვების შემდგომ სრულ უდარდელობას მიეცა. არ ფიქრობდა, რომ რომაელები არაფერს დაზოგავდნენ, თავებედი ეწყეველინებინათ გუშინდელი მარცხისა და შერცხვენისათვის. არ ფიქრობდა, რომ საჭირო იყო მზადება რომაელთა სარევანშო გამოსვლის უვნებელსაყოფად. ამის ნაცვლად ის ყოყოჩობდა და იკვეხნიდა, მამის მემკვიდრეობა დავიბრუნე და მამაჩემზე უფრო ძლიერი და სახელმოხვეჭილი ხელმწიფე შევიქენიო. გასაოცარ სისასტიკესა და მესისხლეობას იჩენდა. სისასტიკის ამ საუკუნეში ყველა გაოცებული იყო მისი განუზომელი გულქვაობით. ფარნაკე განსაკუთრებით ვერ იტანდა ლამაზ მამაკაცებს და მათი წამება-დამცირებით უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა.

კეისარმა ის იყო ეგვიპტის გართულებული საქმენი განასრულა, რომ შეიტყო ფარნაკეს გამოსვლა აზიაში. იგი ჩვეული სისწრაფით,

ერთი ლეგიონის თანხლებით, გაჩნდა პონტოში. აქ მან მიიღო კიდევ სამი ლეგიონი აზიელ მმართველთაგან.

ფარნაკემ კეისართან დაზავება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაინც მხნედ შეხვდა მტერს. ოცდაორი ბრძოლა მოუგია და ეს ერთი კეისარი რა იქნება, რომ ისიც არ გავაცამტვეროო, იკვეხნიდა ფარნაკე.

ბრძოლა მოხდა 47 წლის 2 აგვისტოს. შეტევა პონტოელებმა დაიწყეს.

კეისარი ცხენს მოახტა და შესძახა:

„ნუთუ ეს ბოროტი მკვლელი მამისა დაუყოვნებლივ არ უნდა დაისაჯოს?“

ეს სთქვა, ნიშანი მისცა და რომაული ლეგიონები ზვავივით ეხვეგრნენ მოწინააღმდეგეს. ორივე მხარე დიდის თავგანწირვითა და მხნეობით იბრძოდა. ბოლოს, ხუთი საათის სისხლისღვრის შემდეგ, კეისარმა გასტეხა მტერი. ფარნაკეს არმია განადგურდა. თვითონ მეფემ ძლივს გაასწრო ბრძოლის ველიდან.

პონტო მიატოვა და ბოსფორს დაბრუნდა, მაგრამ იქ მისგანვე დატოვებულმა ასანდრემ უარი უთხრა ტახტის დაბრუნებაზე.

ბრძოლაც შედგა.

ფარნაკე ბრძოლაში დაეცა.

უთვალავ ბრძოლებში ნაწრთობი კეისარი ფარნაკეს განადგურებითა და პონტოს ხელახალი დამორჩილებით აღტაცებული იყო განსაკუთრებით იმის გამო, რომ მან ასე მოულოდნელად, ასე სწრაფად დაიმორჩილა რომაელთათვის მუდამ შიშისმომგვრელი პონტო. სწორედ ასეთი მოულოდნელობის, სისწრაფისა და აღტაცების გამომხატველი იყო ის სამი სიტყვა, რომელიც სწორედ ფარნაკეს დამარცხებასთან დაკავშირებით მისწერა კეისარმა რომს:

„ვენი, ვიდი, ვიცი“ („მიველ, ვნახე, დავამარცხე“).

კეისარმა პონტო ისევ რომის პროვინციად გამოაცხადა და იტალიაში დაბრუნდა.

პონტოს ცის თაღზე სამუდამოდ ჩამობნელდა...

## ძველი ერას მიწურულს

პონტოურ-რომაულ ჰიდილთა პარალელურად იბერიის ტახტზე სამეფო ფარნავაზიანი გამოიცვალა: ფარნაჯომი, არშაკ პირველი და არტაგი.

კეისრის აზიური ლაშქრობის წინარე წლებში იბერიაში გამეფდა შეშვიდე ფარნავაზიანი, ფარნავაზ მეორე, ანუ ბარტომი, რომელმაც „უმატა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“.

სწორედ ფარნავაზ მეორის მეფობის ჟამს გაძარცვა ფარნაკემ მდიდარი მესხური ქალაქი ლევკოთეა. მის დროსვე გაანადგურა კეისარმა ფარნაკე.

სანამ კეისარი რომში ჩავიდოდა, მისგან წათამამებული პერგამოსის მმართველი მითრიდატე მესხეთში შეიჭრა და მანამდე ფარნაკესგან აკლებული ლევკოთეა ხელახლა გაძარცვა. მტერმა კვლავ მრავალი განძეულობა გაიტანა ქართული მიწიდან. იბერიელმა ხელმწიფემ ისევ ვერ შეძლო მესხური მიწა-წყლის დაცვა. მითრიდატე პერგამოსელი დაუსჯელი დარჩა.

მაგრამ რაკი ფარნავაზ მეორე რომაელთა მტერსაც (ფარნაკე) და რომაელთა მოკეთესაც (მითრიდატე პერგამოსელი) ერთნაირი მტრობით ეკიდებოდა, საცნაური გახდა, რომ ქართლის მეფეს სავსებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი.

ეს ასე იყო, მაგრამ მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე დიდმა პოლიტიკოსმა, იულიუს კეისარმა მაინც „არ მოისურვა“ მსოფლიოს მძლეველი მახვილის დაძვრა იბერიის მორჩილსაქმნელად.

44 წლის აღრიან გაზაფხულზე კეისარი აღმოსავლეთის სრულ დალაშქვრას აპირებდა. უეჭველად იბერიაც მიზანში ჰყავდა ამოღებული. 96 000 ლეგიონერი და 10 000 ცხენოსანი ელოდა დიდი მხედართმთავრის ბრძანებას. მაგრამ მას სიკვდილმა უსწრო. 44 წლის 15 მარტს დიდების ზენიტში მდგარი იულიუს კეისარი შეთქმულებმა დაჩეხეს რომის სენატში.

კეისრის შემდგომ რომის უმაღლესი იმპერიული ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ორმა კაცმა — მარკუს ანტონიუსმა და გაიუს ოქტავიანემ. მათ მთელი რომის იმპერია საბრძანებლად შუაზე გაიყვეს: ანტონიუსს — აღმოსავლეთი, ოქტავიანეს — დასავლეთი.

ანტონიუსი, აღმოსავლეთში გამოჩენისთანავე, კლეოპატრა ეგვიპტელის ტრფიალების ტყვე შეიქნა. დიდი კეისრის სატრფომ თავის ფეხებთან ადვილად დააჩოქა ნიჭიერი და მამაცი, მაგრამ გრძნობის ამყოლი რომაელი პოლიტიკოსი. დედოფალთან უთავყამო ორგიებსა და ბაკხანალიებს ეწირებოდა ანტონიუსის პოლიტიკური ნამოღვაწარი.

ძველი წელთაღრიცხვის 36 წელს, როგორც იქნა, ანტონიუსმა თავი გამოიშვა კლეოპატრას ქალთისაგან და არმიები დასძრა პართიის დასალაშქრავად.

მას ძალიან აწუხებდა იბერიისა და ალბანიის დამოუკიდებელი და, მასთან, რომისადმი მტრული პოზიცია. ამიტომ ანტონიუსმა იბერია-ალბანიაში არმია წინასწარ გამოგზავნა გამოცდილი სარდლის კანიდიუსის მეთაურობით. ამ არმიას უნდა აეძულებინა ორივე კავკასიური ქვეყანა, დაბრუნებოდნენ რომის „მოკავშირეობა-მეგობრობას“.

მცირე შეტაკების შემდეგ ფარნავაზ მეორე დათანხმდა, კვლავ მიეღო ნაძალადევი ტიტული „რომაელი ხალხის მოკავშირისა და მეგობრისა“.

ეს იყო რომაელთა მეორე და უკანასკნელი ლაშქრობა საქართველოში.


იბერიის შემდგომ რომაელები ალბანეთში გადავიდნენ, დაამარცხეს ალბანთა მეფე და ისიც აიძულეს „მეგობრობაზე“.

ანტონიუსს განსაკუთრებით იმით მოჰქონდა თავი, რომ მან ბოლოს და ბოლოს მიაღწია იბერიასთან „მეგობრული“ ურთიერთობის აღდგენას.

მალე ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის ბრძოლა ატყდა რომის ერთპიროვნულად დაუფლებისთვის. ანტონიუსი დამარცხდა და თავი მოიკლა. რომის მსოფლიო იმპერიის მბრძანებელი შეიქნა ოქტავიანე, ახალი ტიტულატურით — გაიუს იულიუს კეისარი ავგუსტუსი.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნე იწურებოდა. ეს დრო მოიცავს კიდევ ორი ფარნავაზიანის, მირიან II-ისა და არშაკ II-ის მეფობას.

ავგუსტუსი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მას იბერიელ ხელმწიფეებთან კვლავ „კავშირი და მეგობრობა“ ჰქონდა.



კარი მეორე

აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა.

გიორგი მერჩულე.

## ათმა პირველი

## ასალი ერას დასაწყისი

### პირველი ქრისტიანული სიზმარ-ცხადი

სწორედ იმ წელს, რა წელსაც პალესტინაში „დაიბადა“ იესო ქრისტე, ქართლში გამეფდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი მირდატ პირველი, ანუ ადერკი, რომელმაც კვლავ გააერთიანა სრულიად საქართველო, „ყოველი ქართლი და ეგრისი“. მერე „უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ“.

ერობაშად მსოფლიოში ფეხი აიდგა ქრისტიანულმა თქმულებამ და მას ქართული მითოსიც სასწრაფოდ ჩაეხლართა.

ბაბილონელთაგან დევნილი ებრაელების ერთი ნაწილი პალესტი-

ნიდან ქართლში გადმოხვეწილიყო. ისინი მცხეთაში და მის ახლო სოფლებში ცხოვრობდნენ. ქართველები და მათი მეფენი დიდი შემწყნარებლობითა და მასპინძლური პატივით ეპყრობოდნენ გადმოხვეწილებს.

როცა ადერკის გამეფებიდან ოცდაათი წელი განესრულა, მცხეთაში ხმა მოვიდა, რომ პალესტინაში ქრისტე შეუპყრიათ და სამართალში მიუციათ. სასამართლოს მეთაურობდა პილატე — რომისაგან წარმოგზავნილი პროკურატორი პალესტინაში. ბრალმდებლები იყვნენ ძველებრაულ იუდაისტური რელიგიის მორწმუნენი, მოსეს სჯულმდებლობის მცოდნე მწიგნობარნი, რომელთაც უნდა ემხილებინათ ამ ვიღაც იესო ქრისტეს შარლატანობა და დაემტკიცებინათ, რომ იგი არ იყო არც ძე ღვთისა, არც სასწაულთმოქმედი და არც მეუფე კაცობრიობისა.

ბრალმდებელ მწიგნობართა წრემ, რომელსაც უმაღლესი რაბინი კაიაფა მეთაურობდა, მოციქულები გამოუგზავნა მცხეთის ებრაელობას თხოვნით: მცხეთიდანაც გაეგზავნათ „მეცნიერნი სჯულისანი“ ქრისტეს მხილებაში და სასიკვდილო განჩინებაში მონაწილეობის მისაღებად.

მცხეთელებმა პალესტინაში გასაგზავნად შეარჩიეს ე ლ ი ო ზ მ ც ხ ე თ ე ლ ი და ლ ო ნ გ ი ნ ო ზ კ ა რ ს ნ ე ლ ი.

წასვლის წინ ელიოზი დედამ დაარიგა, წასვლით წადი, მაგრამ არამც და არამც ქრისტეს სიკვდილით დასჯასა და სისხლის დათხევაში წილი არ დაიდოო.

როცა ელიოზმა და ლონგინოზმა პალესტინაში ჩააღწიეს, ქრისტეს სიკვდილის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდათ. ისინი დაესწრნენ გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმას. ხოლო, როცა ჯვარცმული „ღმერთის“ კვართის, ანუ პერანგის საკითხი დადგა, — თუ ვის და სად უნდა წაეღო — კვართი იგი წილად ხვდათ მცხეთელებს.

იგი მცხეთაში მოიტანეს.

ელიოზს პირველი მიეჭრა მისი დაი, კვართი ჩამოართვა, მკერდში ჩაიკრა, ბევრი იტირა და ტირილითვე მიიცვალა.

ელიოზის სახლს აუარება ხალხი მიაწყდა.

მოვიდა მეფე ადერკიც. იგი ძალიან მოიხიბლა უცნაური პერანგის ხილვით და მოინდომა კიდეც ამ პერანგით ტანის დამშვენება, მაგრამ ვერ იქნა და მიცვალებულს მკერდზე დაკრეფილი ხელებიდან ვერ აართვეს კვართი.

ელიოზმა თავისი დაი ქრისტეს კვართთან ერთად დამარხა, „საწატრელითა დამარხვითა“.

ხოლო იქ, პალესტინაში, ახალი „სასწაულები“ დატრიალდა. ჯერ იყო და, ჯვარცმული და დაკრძალული ქრისტე საფლავიდან „აღსდგა“, მერე ზეცად „ამაღლდა“, ხოლო შემდგომ, როცა ღვთისმშობელმა მარიამმა და ქრისტეს მოციქულებმა „წილ-იგდეს“, საქართველოს გაქრისტიანება წილად ხვდა თვითონ ღვთისმშობელს (აქედან წარმოსდგა გამოთქმა: „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“).

მარიამმა თავის მაგივრად საქართველოში წარმოგზავნა ქრისტეს ორი მოციქული, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. წინასწარ მან მოატანინა ფიცარი, დაიბანა პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა ხატი თვისი. სწორედ ეს ხატი თავის სანაცვლოდ გამოატანა ღვთისმშობელმა მოციქულებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატით“ ხელში მოაქციეთ „ჩემი წილხვედრი“ ქართველები და თავდებიც ვიქნებიო, „არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“.

ასე მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონი.

ქართლის შუაგულში კერპები ძლიერნი იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თაყვანისმცემელი მეფე ადერკიც იქვე იჯდა. ამიტომ მოციქულებმა შორიდან დაიწყეს — დასავლეთ საქართველოდან.

ანდრია პირველწოდებული სამეგრელოს აქრისტიანებდა, სვიმონ კანანელი — აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაცვლილა სვიმონი, ანაკოფიაში დაუსაფლავებიათ. ანდრია ჯიქეთის გაქრისტიანებას აპირებდა, მაგრამ ცოცხალმა ძლივს გამოასწრო და ისევ ეგრისს შემოუბრუნდა.

სამეგრელოს შემდგომ ანდრია წავიდა მესხეთში, და მესხთა თხოვნით იქ, აწყვერის ეკვდერში, დაასვენა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა.

კლარჯეთის ერისთავმა ტბეილად გაისტუმრა მოძღვარი ტაოსა და აჭარისაკენ.

მეფე ადერკი დიდად განურისხებია დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში კერპების მსხვრევასა და რაღაც სხვა რელიგიის გავრცელებას. მან სამეგრელოში ერისთავები გაგზავნა ჯარით, ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი ააღებინა და ისევ წარმარ-

თობაზე შემოაბრუნა. მერე შემოსწყრა კლარჯეთის ერისთავსაც, რადგან მან „მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

ასე დაიწყო და განესრულა საქართველოში ეს პირველი ქრისტიანული სიზმარ-ცხადი, ანუ პირველი თქმულება, მსოფლიო ქრისტიანული თქმულების შვილი.

**ფარსმან პირველი**

ახალი ერას 30-იანი წლებიდან მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საკითხი სომხური ტახტის დაუფლებისა. ერთმანეთს ებრძოდა სამი დიდი სახელმწიფო: რომი, პართია, იბერია.

რომში იმპერატორად იჯდა ტიბერიუსი.

პართიაში მეფობდა არტაბან III.

იბერიაში ხელმწიფობდა ფარსმან პირველი.

ფარსმანს ჰყავდა უმცროსი ძმა, სახელად მირდატი, რომელიც მეფე-ძმისაგან ბოძებულ შიდა ქართლის ერისთავობასა და სპასპეტობას არ სჯერდებოდა და სრულიად ქართლის მეფობისაკენ ეჭირა თვალი. ბოლოს, ძმებს შორის აშკარა განხეთქილება ჩამოვარდა. ფარსმანმა ურჩი ძმა სპასპეტობიდან გადააყენა და მის ადგილზე თავისი ძუძუმტე ფარნავაზი დანიშნა.

მირდატმა მოისურვა, ქართლის ტახტი უცხო ძალის დახმარებით ჩაეგდო ხელში და ჯარები სთხოვა პართიის მეფე არტაბანს, რომელსაც იგი სიძედაც ეკუთვნოდა.

არტაბანს იბერიის გაძლიერება ფრიად აშინებდა და სიამოვნებით მისცა ლაშქარი თავის სიძეს, რომლის გამეფებაც ქართლში პართიის გაბატონებას მოასწავებდა.

ფარსმანმა ლაშქარი გაამზადა, სომეხთა დამხმარე ძალაც მოირთო და ქართულ სამანებთან მოახლოებულ მტერს გაეგება.

პართიელები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

მომდევნო წელს მირდატი ორჯერ უმეტეს არმიით მოადგა საქართველოს. ფარსმანი და ფარნავაზი ბრძოლად გავიდნენ და კვლავ შემუსრეს ურიცხვი მტერი.

პართიის მეფეს, არტაბანს, ისღა დარჩენოდა, იბერიის ხელყოფაზე უარი ეთქვა. ძმისა და ქვეყნის მოღალატე მირდატიც შეეცადა მეფე-ძმის სულგრძელი ხასიათით ესარგებლა და როგორმე ხელსაყრელ დრომდე მასთან შერიგებისთვის მიეღწია.,

ეს ამბები მაშინ დატრიალდა, როცა სომხეთს განაგებდა რომის იმპერატორისგან დანიშნული კაცი ა რ ტ ა შ ე ს ი. 34 წელს არტაშესი გარდაიცვალა და არტაბან პართიელმა დაუყოვნებლივ, სანამ რომის ხელისუფლება მისი ქვეშევრდომის სიკვდილს შეიტყობდა, სომხეთის ტახტზე დასვა თავისი უფროსი ვაჟი ა რ შ ა კ ი.

რომის ხელისუფლება არამც თუ სომხეთის დაკარგვას არ შეურიგდებოდა, არამედ იგი თვით პართიის შინაურ საქმეებში ჩარევასა და იქ თავისი კაცის დასმასაც აპირებდა. იმპერატორი ტიბერიუსი იმითაც სარგებლობდა, რომ თვით პართიული არისტოკრატიის ერთი ნაწილი არტაბანის ქედმაღლურ და ტირანულ რეჟიმს ვერ შეჰგუებოდა, აჯანყებისთვის ემზადებოდა და პართიაში შესაფერისი სამეფო კანდიდატის შერჩევას სწორედ რომის ხელისუფლებას სთხოვდა.

რომში ამ დროს ცხოვრობდა აქვე გაზრდილი მძევალი პართიისა, არტაბანის წინარე მეფის ვაჟი, სახელად ფ რ ა ა ტ ი. არტაბანის მოწინააღმდეგე პართიელთა ელჩებმა და იმპერატორმა ტიბერიუსმა სწორედ ეს ფრაატი მიიჩნიეს პართიის კანონიერ მეფედ.

სამეფოდ გამზადებული ფრაატი, მოჯრთულ-მოკაზმული და ამალით დამშვენებული, რომიდან პართიისაკენ გაეშურა, მაგრამ პართიამდეც ვერ მიაღწია — გზად, სირიაში, ავად გახდა და გარდაიცვალა.

მაგრამ რომის იმპერატორი არ ცხრებოდა. პართიის ტახტისათვის მან ახალი კაცი აარჩია — ფრაატის სისხლით ნათესავი ტ ი რ ი დ ა ტ ი.

მთავარი მაინც ის იყო, — დაყოვნებას ვერ ითმენდა სომხეთის საკითხი. ტიბერიუსმა სომხეთის ხელში ჩაგდება შემოვლითი გზით სცადა, — აუცილებელი შეიქნა იბერიის ჩარევა.

ტიბერიუსმა, უპირველეს ყოვლისა, შეარიგა წაკიდებული ძმები — ფარსმანი და მირდატი. თან ფარსმანს მისწერა, სომხეთში ქართული ჯარები შეეყვანა, არშაკ არტაბანისძე გადაეგდო და მის ნაცვლად სომხეთის მეფედ მირდატი დაესვა. ტიბერიუსი ვარაუდობდა, რომ არტაბანი მთელის ძალებით შვილს მიეშველებოდა, ხოლო სანამ იბერიელნი და პართიელნი ერთმანეთს შეებმოდნენ, მიტოვებულ ქტესიფონში (პართიის სატახტოში) ტირიდატი ადვილად დაიპყრობდა ტახტსა და გვირგვინს. ამასობაში იბერიელები პართიელებს გაანადგურებდნენ და ამგვარად, ტიბერიუსს ორივეგან, პართიაშიც და სომხეთშიც, მმართველებად თავისი კაცნი — ტირიდატი და მირდატი — ეყოლებოდა.

ყველა ამ „აღმოსავლურ საქმეთა“ ხელმძღვანელობა ტიბერიუსმა ჩააბარა ლ უ ც ი უ ს ვ ი ტ ე ლ ი უ ს ს.

35 წელს მირდატი ბრწყინვალე ამალით მივიდა სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსატაში. მან მისვლისთანავე არშაკის ახლო კარისკაცები მოისყიდა, მათი ხელისუფალი მათვე მოაკვლევინა და სომხეთის მეფედ თვითონ გამოცხადდა. სანამ პართიელები გონს მოეგებოდნენ, ფარსმანი სომხეთში იბერიელთა ჯარით შეიჭრა და არტაქსატასაც დაეუფლა.

რისხვით აღვსილმა არტაბანმა თავისი მეორე ვაჟი ო რ ო დ ი იხმო და მოკლული ძმისთვის შურისძიება უბრძანა. მას ევალებოდა სომხეთიდან ქართველები გაეძევებინა და თვითონ გამეფებულიყო.

პართიელთა დიდი ლაშქარი შეიყარა. თან არტაბანმა მალემსრბოლნი აფრინა უცხოელ სპათა დასაქირავებლად. განსაკუთრებით მას სარმატთა დახმარების იმედი ჰქონდა.

ქართველებიც აღიკაზმნენ ახალი ომისათვის. ფარსმანმა მოკავშირეებად მეზობელი ალბანელები მოიხმო. ალბანელებიც მოვიდნენ. მერე სარმატებთანაც აფრინა ეჯიბნი. სარმატთა ნაწილი ქართველებს მიემხრო, ნაწილიც — პართიელებს, მაგრამ ქართველებმა, რაკი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები მათ ხელში იყო, სამხრეთისაკენ მხოლოდ თავისი მომხრენი გამოუშვეს, ხოლო პართიელთა მშველელთ გზები შეუკრეს და უკუაქციეს.

ფარსმანი ქვეით და ცხენოსან ლაშქართა თანხლებით გაეშურა პართიელთა ბანაკისაკენ. ოროდი თავდაცვით პოზიციაზე იდგა. ქართველებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში მტერზე. ბოლოს პართიელი უფლისწული იძულებული გახდა ბანაკიდან მთელის ძალებით გამოსულიყო და მტერს გულდაგულ შებმოდა.

მოწინააღმდეგენი ერთურთისპირ საომრად გაეწყვნენ. ორივე სარდალმა სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. ოროდი თავისიანებს მოაგონებდა ირანის დიდ წარსულს და არშაკიდული დინასტიის სახელოვნებას. ფარსმანი თავის თანამემამულეებს აქებდა დიდი სიმამაცისთვის, რის მეოხებითაც მათ არასოდეს უცხოელთა უღელი არ განუცდიათ და არც პართიელთა უღელს დაიდგამენ ვაჟკაცურ ქედზე. გამარჯვება დიდ სახელსა და დიდებას მოგვიტანსო, ხოლო გაქცევა—სირცხვილსა და განადგურებას. მერე ფარსმანმა ხელი გაიშვირა მოწინააღმდეგის ოქროვერცხლით მოსეულებული აღჭურვილობისაკენ და შესძახა:

„აქ, ჩვენთან, ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, ხოლო იქ, იმათთან — სიმდიდრე, ანუ ჩვენი ნადავლი!“

სთქვა ესე ფარსმანმა, მახვილი იშიშვლა, შეუძახა და ცხენს ჭუსლი

ჰკრა. იბერიელები ადგილიდან მოწყდნენ და მეფეს გამოეწონენ. პართიელებმა ისრების სეტყვა შეაგებეს, მაგრამ იბერიელებმა საისრე მანძილი სწრაფი სრბოლით დასძლიეს და მტრის მეწინავე რიგებს შუბების „ჯაგრით“ დაეძგერნენ. მას უკან მახვილებიც დაიძრეს და ხელჩართულ ჩეხვაზე გადავიდნენ.

ოროდის ჯარი თითქმის მთლიანად ცხენოსნებისგან შესდგებოდა. იბერიელი ცხენოსნები შუბებით, ოროლებით და მახვილებით ცხენებიდან ჰყრიდნენ მტრის მხედრებს, ხოლო ძირსდაცემულებს კვალდაკვალ მორბენალი ქვეითი ქართველნი წამოდგომას აღარ აცლიდნენ და ბიწას ზედ აკლავდნენ.

დიდის სიმამაცით იბრძოდნენ თვითონ სარდალნი — ფარსმანი და ოროდი. ისინი დაჰქროდნენ ხან აქ და ხან იქ, ყველგან, სადაც განსაკუთრებით შეიჭირვოდა მათი ლაშქარი.

ბრძოლის სასწორი ჯერ ისევ წონასწორად ჭანაობდა, როცა ფარსმანი და ოროდი ერთიმეორეს მოულოდნელად შეეჩეხნენ.

წამიერი გარინდება დასძლიეს, საომრად აღიმართნენ, ერთმანეთს შეუზახნეს და ცხენები დასხლიტეს.

ფარსმანმა დაასწრო, მოპირდაპირეს მახვილი უხეთქნა, მუზარადიც გაუპო და თავიც გაჰკვეთა. ხელმეორე შემოქნევა ვეღარ მოასწრო, რადგან დაოთხებულმა ცხენმა გაიტაცა მეფე ქართველთა. საჭიროც აღარ იყო, პართიელთა უფლისწული მძიმედ დაჭრილი გადმოეშვა ცხენიდან. მის წინ კედელი აღმართეს ერთგულმა პართიელებმა. ბრძოლის ველს ელვასავით დაურბინა ზვიადქმნილმა ამბავმა — ოროდი მოჰკლესო. უკვე ძლეული პართიელები სრულმა შიშმა მოიცვა. მეფის გმირობით და მტრის დაძაბუნებით ფრთაშესხმული ქართველები უკანასკნელ იერიშზე გადავიდნენ. პართიელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო სიკვდილსა და ტყვეობას.

შურისძიების ცეცხლით აღვსილმა არტაბანმა ახალი ჯარები შეკრიბა და იბერიის გასანადგურებლად დაიძრა. მაგრამ სწორედ ამ დროს, რომის აღმოსავლეთ საქმეთა გამგებელმა ლუციუს ვიტელიუსმა ლეგიონები შეჰყარა და ხმა გაავრცელა, მესოპოტამიისა და ჭტესიფონის დასალაშქრავად მოვდივარო. არტაბანი იძულებული გახდა იბერიის დასალაშქრავი საომარი ძალებით ისევ პართიის დასაცავად დარჩენილიყო.

მაშ, ესოდენ მომხიბლავი სამეფო ტახტი სომხეთისა იბერიელმა მირდატმა დაიმკვიდრა. არტაბანს სომხეთისათვის ფიქრის საშუალე-

ბაც წაერთვა. რომაული ლეგიონების მოახლოებამ პართიის მეფეს საბოლოოდ ჩამოაშორა ისედაც უკმაყოფილო არისტოკრატია. იგი მხოლოდ უცხოელ დაქირავებულთა და უსამშობლოო მცველთა ამარად დარჩა. ბოლოს და ბოლოს, არტაბანი იძულებული შეიქნა მეზობელ სკვითთა ქვეყანაში გაქცეულიყო.

პართიის ტახტი ტირიდატმა დაიჭირა. ვიტელიუსმაც თავისი ამოცანა შესრულებულად მიიჩნია და ლეგიონები მესოპოტამიიდან გამოაბრუნა. მაგრამ ტირიდატმა ტახტი ვერ დაიმაგრა: არტაბანი სკვითი საკების დახმარებით მობრუნდა და პართიის ხელმწიფობაც ისევ ჩაიგდო ხელში. მალე არტაბანი მისმა ახლო ნათესავებმა ცოლშვილიანად ამოწყვიტეს და პართიის ტახტ-გვირგვინისათვის ბრძოლაში ახალი მაძიებლები ჩაებნენ.

სწორედ მაშინ, 37 წელს, კუნძულ კაპრიზე, ჭირვეული ტიბერიუსი მცველმა პრეტორიანელებმა საბნებით მოგუდეს. რომის იმპერიის ტახტზე ავიდა გაიუს კალიგულა, შეშლილი, ბნედიანი მანიაკი. სწორედ ამ კალიგულამ მირდატი რომში მიიწვია, მოულოდნელად შეიპყრო და ბორკილები დაადო. ალბათ, ახალ იმპერატორს ეჭვები, თუ ნამდვილი ცნობები ჰქონდა მირდატის განზრახვისა: სომხეთი საესებით წაერთმია რომისათვის (კალიგულასთვის ეჭვებიც საკმარისი იყო). მაგრამ ვერც კალიგულამ მოათია დიდხანს. 41 წელს ეს საშინელი მიზანთროპიც პრეტორიანელებმა მოჰკლეს და მის ნაცვლად კლავდიუსი გაახელმწიფეს. კლავდიუსმა მირდატი გაათავისუფლა და ისევ სომხეთის მეფედ გამოგზავნა.

რაკი პართიის სასახლის კარზე აშლილობა არ ცხრებოდა, იბერიელებსაც საშუალება ეძლეოდათ უფრო ფართოდ ემოქმედათ. ფარსმან მეფემ ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა სომხეთის შემოსამტკიცებლად.

სომხეთის ციხესიმაგრეებში რომაული ციხიონები იდგნენ, ხოლო ველ-მინდვრები მთლიანად ქართლის მხედრობამ დაიჭირა. მხოლოდ სარდალმა დიმონაკტმა გაბედა ბრძოლის გამართვა, მაგრამ ქართველებმა ის სასტიკად დაამარცხეს და სომხებმაც ყოველგვარ წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს. მათ უეჭველად ქართველებთან ერთობა ერჩიათ, ვიდრე პართიელებთან მონობაში ყოფნა, ერთი გაბრძოლება მცირე სომხეთის მმართველმა კოტისმა სცადა, მაგრამ იმპერატორის წერილმა მოუსწრო და ისიც მირდატს დაემორჩილა.

მირდატი სასტიკი ბუნების ადამიანი იყო. სწორედ სასტიკი ქცევებისათვის სომხებმა იგი შეიძულეს და მისი დამხობისთვის ზრუნვა-

საც შეუდგნენ. ფარსმანმაც საჭიროდ დაინახა, რომ მირდატი სომეხთათვის უფრო ლმობიერი და სასურველი მმართველით შეეცვალა.

ასეთად მან მიიჩნია თავისი ვაჟი.

### რადამისტი და ზენობია

ფარსმანის ვაჟს ერქვა რადამისტი. ეს იყო გასაოცარი სილამაზის, ახოვანებისა და ფიზიკური ძალ-ღონის მქონე ჭაბუკი. ამას გარდა, მას იცნობდნენ არა მარტო იბერიაში, არამედ ყველგან მეზობელ ქვეყნებში, ვითარცა დიდ მცოდნეს იმ მეცნიერებათა და ხელოვნებათა დარგებში, რასაც სწორედ მის საშობლო საქართველოში ასწავლიდნენ (სწორედ ასე ხაზგასმით გადმოგვცემს დიდი რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი). მაგრამ რადამისტი დიდად პატივმოყვარე და გულზვიადი ადამიანი იყო. იგი მამასთან ქიშპსაც არ ერიდებოდა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობდა: მამაჩემი დაბერდა და ამის გამოისობით იბერიის სამეფო საზღვრები ძველ სამანებს ვეღარ შორდება, ქართველთა მახვილები ქარქაშში ჟანგდება!

ფარსმანი შეუშფოთებია შვილის მეტოქეობასა და მეტისმეტ სახელოვნებას. ამიტომ მოისაზრა მან რადამისტის გაგზავნა სომხეთში. ამით იგი ორ საქმეს გააკეთებდა: მეტოქე შვილს მცხეთის სასახლის კარს მოაშორებდა და სომხეთსაც უფრო მტკიცე და საიმედო ხელს ჩააბარებდა.

ასეც მოხდა. მამისგან საიდუმლოდ წაქეზებული რადამისტი არტაქსატაში ჩავიდა და მირდატთან გამოცხადდა. მამაჩემსა და დედინაცვალს ვერ შევეწყვეო, არწმუნებდა ბიძას.

მირდატმაც ძმისწული ჩვეულებრივი ნათესაური პატივისცემითა და სიყვარულით დაიშინაურა და სრულებით ვერარა შეიტყო, როგორ განაწყო მის წინააღმდეგ რადამისტმა ისედაც სამტროდ აღმდგარი სომხური დიდკაცობა.

ერთ დღეს რადამისტი მცხეთაში დაბრუნდა და მამამისს უთხრა: რაც წინასწარ საჭირო იყო, ყველაფერი გავაკეთე, ხოლო დანარჩენი იარაღმა უნდა გადაწყვიტოსო. ფარსმანმა იცოდა, ეს რომის წინააღმდეგ ამხედრებას ნიშნავდა, მაგრამ მაინც დაიწყო. ადრე წაკიდებულ ძმასთან საომარი საბაბის გამოძებნაც არ გაუჭირდებოდა, რადამისტს ქართული ლაშქარი გაატანა და სომხეთში საომრად გაუშვა.

მოუმზადებელმა და მოულოდნელი შემოტევით დაბნეულმა მირდატმა ერთგულ სომეხთა მცირე რაზმის თანხლებით ძლივს შეასწრო გარნის ციხეში, რომელსაც ძლიერი რომაული ციხიონი იცავდა. რადამისტმა რამდენიმე იერიშის შემდეგ გარნი ალყაში მოაქცია. ალყა გაჭიანურდა. რადამისტმა მოისყიდა რომაული ციხიონის უფროსი, ცელიუს პოლიონი, გარყვნილი და ფულზე დახარბებული ანგარი, რომელიც მირდატს შეუჩნდა, იარაღი დაჰყარე და ძმასა და ძმისწულს შეურიგდიო. მეორე რომაელი მოხელე კი ფარსმანს ეწვია და სომხეთიდან ჯარების გაყვანას ჩასჩიჩინებდა. ძმები შერიგებაზე ყოყმანობდნენ, მაგრამ როცა მირდატი სომხებმაც მიატოვეს და რომაელებმაც ციხის ჩაბარების მუქარა დაიწყეს, იგი იძულებული შეიქნა რადამისტის სიტყვას ნდობოდა და იარაღაყრილი მასთან გამოცხადებულიყო.

ბიძა-ძმისწული ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე შეფიცვას ჩვეული წესით შეუდგნენ: ერთიმეორისთვის მარჯვენა ხელის ცერა თითები უნდა მიებჯინათ და თასმით ძლიერად შეეკრათ; როცა თითები სისხლით გაიჟღინთებოდა, დაჩხვლეტდნენ და დადენილ სისხლს ერთმანეთს პირით ამოსწოვდნენ. ასეთი ფიცის გატეხვა დიდ მკრეხელობად ითვლებოდა. მაგრამ ახლა, როცა მირდატმა და რადამისტმა ერთმანეთის ცერა თითები შეაერთეს, ის, ვისაც თასმით წესი უნდა აღესრულებინა, უცებ, ვითომ შემთხვევით, წაიქცა, მირდატს მუხლებში ხელები მძლავრად გამოჰკრა და მიწაზე დააგორა. წამსვე სხვებიც მიცვივდნენ და იმ „საძმო თასმით“ მირდატს ხელ-ფეხი შეუკრეს.

მალე რადამისტმა მამის მკაცრი ბრძანებაც მიიღო და მირდატი სიკვდილით დასაჯეს.

რომაელთა ბანაკში ბჭობას შეუდგნენ: მირდატის მკვლელობა მოეწონებინათ, თუ მკვლელობის მოთავენი დაესაჯათ. უმრავლესობა მირდატის მკვლელობას სამართლიანად მიიჩნევდა. ისინი ამბობდნენ: ბარბაროსებში მომხდარი ყოველნაირი ბოროტება და ურთიერთ მტრობა ჩვენ, რომაელებს, ძალიანაც უნდა გვიხაროდეს და ამისთვის არამცთუ არ უნდა ვსჯიდეთ, არამედ ჩვენ თვითონ უნდა ვთესავდეთ მათ შორის სიძულვილსა და კაცთაკვლასო. ის კი არა და, დავადასტუროთ ფარსმან იბერიელის სურვილი და სომხეთში მეფედ დარჩეს მისი შვილი რადამისტი, მკვლელობითა და ვერაგობით შერცხვენილ-შეძულებული კაცი. ეს კიდევ უფრო მეტ მესისხლეობას ჩამოაგდებს სომხებსა და ქართველებს შორისო.

ერთი სიტყვით, აქაც ცნობილი რომაული ცბიერი პრინციპი მოქმედებდა: „გათიშე და იბატონე!“

ბოლოს, რომელიღაც გავლენიანი რომაელის დაბეჯითებითი მტკიცებით ირწმუნეს, რომ ასეთი საქციელით რომის ხელისუფლებას აქაურ ხალხში სახელი გაუტყდებაო, და ფარსმანს ბრძანება გაუგზავნეს, სასწრაფოდ რადამისტი და ქართველთა ჯარი სომხეთიდან გაიყვანეო.

ფარსმანმა გადაჭრით უარი შეუთვალა.

მაშინ სომხეთიდან იბერიელთა გასადევნად ლეგიონები დასძრა რომაელმა სარდალმა და კაპადოკიის პროკურატორმა იულიუს პელიგნუსმა, სულით და ხორცით ყოვლად მახინჯმა კაცმა.

პელიგნუსი არტაქსატაში მივიდა. რადამისტმა უხვი საჩუქრებით ადვილად მოახერხა მისი მოსყიდვა. რომაელი სარდალი თვითონვე ესწრებოდა რადამისტის საზეიმო სამეფო კურთხევას სომხეთის სასახლეში.

რომი სირცხვილისაგან უნდა ეხსნა მეორე სარდალს, ჰელვიდიუს პრისკუსს, მაგრამ სწორედ ამ დროს სომხეთს კვლავ გამოუჩნდა ტახტის მაძიებელი პართიიდან. პართიის ახალი მეფე ვოლოგეზი ცდილობდა სომხეთში თავისი ძმა ტირიდატი გაემეფებინა.

ტირიდატიც გამოემართა დიდი პართიული ლაშქრით. რადამისტი მოუმზადებელი დახვდა და უკანდახევას შეუდგა. პართიელებმა სომხეთის ორივე მთავარი ქალაქი აიღეს — არტაქსატა და ტიგრანოკერტი. მაგრამ რადამისტმა იბერიიდან ახალი ჯარები გაიყვანა, პართიელთა გარნიზონებში დაწყებული შიმშილობითა და ეპიდემიითაც ისარგებლა და სომხეთის ტახტი ისევ დაიბრუნა.

ამის შემდგომ რადამისტს სომხეთში დიდხანს აღარ უმეფნია. მიზეზი მისი სისასტიკე და გულზვავიანობა იყო. სწორედ აუტანელი სისასტიკისთვის აჯანყდნენ სომხები და სამეფო სასახლეზე იერიში მიიტანეს.

რადამისტი სიკვდილისაგან მისმა და მისი ცხენების სისწრაფემ იხსნა, იგი სასახლიდან გამოიპრა და თან გამოიტაცა თავისი მშვენიერი მეუღლე ზენობია.

კარგა ხანს მიაჭროლებდნენ ცხენებს.

ზენობია ორკეცად იყო.

თავბრუ ეხვეოდა. ძალას ჰკარგავდა. რადამისტი ძლივს ამაგრებდა უნაგირზე.

ცხენი შეაყენა ზენობიამ. რადამისტს მიუბრუნდა და განწირული ხმით შეჰყვირა: იცოდე, თუ ჩემს გადარჩენას ვერ შესძლებ, ცოცხალი თავით მდევრების ხელში ტყვედ არ დამტოვოო.

რადამისტმა ზენობია დავარდნილი ცხენიდან აიტაცა, მკერდში ჩაიკრა და სრბოლა განაგრძო.

ქალი გრძნობდა, ვაჟკაცსაც ძალა ელეოდა და მის ცხენსაც.

„ბარემ მომკალი, მომკალი-მეთქი, და შენ თავს უშველე!"—არ ეშვებოდა ზენობია რადამისტს.

არაქსის პირს რომ მიუახლოვდნენ, აღარც კაცსა და აღარც ცხენს აღარ შეეძლოთ გზის გაგრძელება.

დედოფალი კი ისევ ემუდარებოდა ქმარს:

„მომკალ და სამარცხვინო ტყვეობისგან დამიხსენ!"

რადამისტი ერთხანს მკერდიდან არ იშორებდა ქალს. ისევ და ისევ დაჟინებით უტევდა ხმა, სიზმარეული და ძალაწართმეული:

„მომკალი, მომკალი, მომკალი, გემუდარები, გემუდარები, გემუდარები!"

რადამისტმა მიმოიხედა. ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში ზენობია და სატევარი გაიძრო.

მხურვალედ აკოცა, ორლესული ფერდში ჩასცა და მდინარეში ისროლა.

ლტოლვილმა მარტო განაგრძო გზა.

მძიმედ დაჭრილი ზენობია მწყემსებმა იპოვნეს არაქსის პირას. ჭრილობა შეუკრეს და რომელიღაც სოფლელის სახლში მიიყვანეს. აქვე სოფლის წამლებით უაქიმეს, მოარჩინეს და ვითარცა სომხეთის დედოფალი არტაქსატაში მიიყვანეს.

აქ ისევ ტირიდატ პართიელი მოსულიყო და ის გამეფებულიყო.

ტირიდატმა დიდის პატივითა და თავაზით მიიღო ზენობია.

აქ წყდება ამბავი რადამისტისა და მისი მშვენიერი მეუღლის დრამისა...

რომალები კვლავ არ ურიგდებოდნენ სომხეთის დაკარგვას. რომის ახალმა იმპერატორმა ნ ე რ ო ნ მ ა სომხეთიდან პართიელთა გასარეკად გამოგზავნა ახალი ლეგიონები, ნიჭიერი დ ო მ ი ც ი უ ს კ ო რ ბ უ ლ ო ნ ი ს სარდლობით.

კონფლიქტში ისევ ჩაება ფარსმან იბერიელი, რომელსაც, ალბათ, აშკარა ურჩობისა და მეტოქეობისთვის, სიკვდილით დაუსჯია თავისი ვაჟი რადამისტი.

ფარსმანმა რომაელებს თავისი ჯარები მიაშველა. გამორჩევით თავი გამოიდვეს მესხებმა, რომლებიც სასტიკი რბევით შეესივნენ სომხეთის დაბა-ქალაქებს.

რომაელებმა და ქართველებმა აიღეს არტაქსატა და ტიგრანოკერტი, განდევნეს ტირიდატი და გაამეფეს ტიგრანი. მაგრამ პართიელებმა კიდევ არ დათმეს.

ვოლოგეზმა კვლავ შემოუტია, ტიგრანი განდევნა და ისევ ტირიდატი გაამეფა.

რომაელები და ქართველები ხელახლა შევიდნენ სომხეთში.

მოსალოდნელი იყო დიდი ომი, მაგრამ, როგორც ეტყობა, არც პართიას და არც რომს არ სურდა სომხეთისათვის უკიდურესი კრიზისის გამძაფრება. ტირიდატი სომხეთიდან არ მიდიოდა, მაგრამ კორბულონმა მაინც მიაღწია მცირეოდენ წარმატებას: რომი თანახმა იქნებოდა სომხეთში ტირიდატის მეფობაზე იმ პირობით, თუ სამეფო ინსიგნიებს იგი რომის იმპერატორის ხელით მიიღებდა.

პართიამაც დათმო და დათანხმდა.

ტირიდატი იტალიაში ჩავიდა. ნერონის წინაშე მუხლი მოიყარა და ნერონმაც სომხეთის სამეფო გვირგვინი პართიელ უფლისწულს თავისი ხელით დაადგა თავზე.

## ა ზ მ ა მ ე ო რ ე

## ქართველები, რომაელები, ერანელები

**არავითარ შემთხვევაში იბერიამი მისელა არ იყო საჭირო, ამ შორეულ და უცსო ქვეყანაში, სადაც მტრებად თვლიან არა მარტო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც.**

**გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ი**

### „ეს კედლები განუმტკიცეს“

68-69 წლებში რომში საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა კეისარ-იმპერატორის ტახტ-გვირგვინისათვის. გამარჯვება წილად ხვდა ფ ლ ა ვ ი უ ს ე ბ ი ს გლეხურ, მდაბიურ საგვარეულოს.

ფლავიუსების დინასტიას სამი იმპერატორი განეკუთვნება: ვ ე ს პ ა ს ი ა ნ ე (69-79 წწ.), და მისი შვილები — ტ ი ტ ე (79-81 წწ.) და დ ო მ ი ც ი ა ნ ე (81-96 წწ.). ესენი უკვე აღარ ჰგავდნენ წინარე შეშლილ კეისრებს. განსაკუთრებით ვესპასიანე და ტიტე გამოირჩეოდნენ ჭკვიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკითა და კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობით.

ფლავიუსების ხანაში იბერიის სამეფო ტახტზე იჯდა ფარსმანის მეორე ვაჟი (რადამისტის შემდგომ), მ ი რ დ ა ტ მ ე ო რ ე.

რომაელ კეისრებს ქართველ მეფესთან მაშინ „დიდი მეგობრობა" ჰქონდათ და ქართველ ხალხსაც „რომაელთა მოყვარე ერს" უწოდებდნენ. ამაზე მეტყველებს მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი დიდად საინტერესო ძეგლი ბერძნული წარწერით.

75 წლის მახლობლად რომაელ კეისრებს მირდატ ფარსმანის ძისათვის მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრებიათ და ზედაც ასეთი წარწერა ამოუკვეთიათ:

„იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, უმაღლესმა ქურუმმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა,

„და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა,

„და დომიციანე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა,

„იბერთა მეფეს მირდატს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე ერს, ეს კედლები განუმტკიცეს".

ფლავიუსები იძულებული ყოფილან ანგარიში გაეწიათ მირდატის სიძლიერისთვის და ცდილობდნენ, მასთან „მეგობრობა" მტრობად არ გადაქცეოდათ.

რომსა და იბერიას შორის განხეთქილების ვაშლად ისევ სომხეთი იყო. მირდატმა ცოტა ადრე, 70 წლის მახლობლად, სომხეთში ძლევაწოსილად ილაშქრა და, როგორც ეტყობა, იმპერატორმა ვესპასიანემ დიპლომატიური არხებით მოახერხა იბერიელთა სამხრეთული იერიშების შეკავება. რომის ხელისუფლებას იბერიასთან ასეთი ალერსიანი პოლიტიკა უჯობდა, რადგან მას იმ ხანებში ისედაც დიდი ბრძოლები

ჰქონდა ებრაელებთან პალესტინაში, კოლხებთან ტრაპეზუნტში, სარმატებთან დუნაიზე, გერმანელებთან გერმანიაში და ბრიტანელებთან ბრიტანიაში.

იბერიასთან ასეთი „დამეგობრების" გამოხატულება ყოფილა კიდეც რომის ხელმწიფე-კეისართა თავაზიანი „მიძღვნა": მცხეთის თავდაცვით ზღუდეთა განმტკიცება.

### ფარსმან ქველი

ფლავიუსების შემდგომ რომში გაბატონდა ანტონინუსების დინასტია, რომელთაგან უველაზე დიდი კეისრები იყვნენ: ტრაიანე (98—117 წწ.), ადრიანე (117—138 წწ.), ანტონინუს პიუსი (138—161 წწ.) და მარკუს ავრელიუსი (161—180 წწ.).

ამ დროს იბერიის ტახტზე უძლიერესი ხელმწიფე იჯდა — ფარსმან მეორე, სიკეთისა და სივაჟკაცისთვის ქველად წოდებული, „კაცი კეთილი და უხუად მიმნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში, ვითარცა უხორცო".

ფარსმან ქველის გამეფებისთანავე რომის, პართიისა და იბერიის გზაკვანძზე კვლავ გამწვავდა სომხეთის საკითხი. 113 წელს მოკვდა სომხეთის მმართველი, რომის კლიენტი* ტირიდატი და მაშინვე პართიის მეფემ, ხოსრო პირველმა, სომხეთის ტახტზე თავისი კაცი დასვა. ეს ომის საბაბი შეიქნა რომსა და პართიას შორის.

114 წელს ტრაიანემ, რომის უსაჩინოესმა იმპერატორმა, ლეგიონები შემოუსია აზიას, ხოლო წინასწარ იბერიის მეფეს დიდძალი ძღვენი გამოუგზავნა, მეგობრობა შეახსენა და ამით აგრძნობინა: კარგი იქნება, თუ ქართლის მეფე მარადიული მტრის, პართიის წინააღმდეგ ჯარებს დასძრავსო.

იბერიელმა მეფემ მართლაც გაუგზავნა დამხმარე ჯარები იმპერატორს. ისევ იწირებოდნენ ქართველები უცხოეთში უცხოელთა ინტერესებისთვის. მათგან მხოლოდ ერთის სახელმა მოიტანა სული ჩვენამდე. ესაა ამაზასპ, ჯარის მეთაური, ქართლის სამეფო საგვარეულოდან. ქალაქ ნიზიბისთან გამართულ ფიცხელ ბრძოლაში შეკვდომია იგი მოპირდაპირეს. იქვე დაუკრძალავთ. საფლავის ქვაზე ლექსური ეპიტაფია ამოუკვეთიათ:

---

* კლიენტი — აქ: ქვეშევრდომი.

მეფის დიდებულო შთამომავალო ამაზანაკ,
ძია ხელმწიფისა მირდატისა,
სამშობლო ჩემი – არაგვის კართასა,
იბერი. ძე იბერისა,
აქ შემარხიეარ
მახლობლად წმინდა ქალაქისა,
რომელიც აღაშენა ნიკატორმა.
მახლობლად წმინდა ქალაქისა,
ზეთისხილის მომრწყველისა,
თანამეზავრი აზონთა ბელადისა,
მოსული საომრად პართელთასა.
დავეც მანამ, სანამ მტრის სისხლში
გავისვრიდი ამ ჩემ მარჯვენას!
ვაი, მძლავრ მარჯვენას!
მე –
შუბოსანი,
მშვილდოსანი,
მახვილოსანი,
მეომარი,
მსედარი. –
გარნა, კრძალვით მსგავსი ქალწულთა!

ტრაიანემ სომხეთიც დაიპყრო და მთელი მესოპოტამიაც. მან ზედიზედ დაამარცხა პართიელთა არმიები, აიღო მათი სატახტო ქალაქი ქტესიფონი და ტახტიდან გადააგდო თვით მეფე ხოსრო პირველი.

აქედან ტრაიანე, ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, ინდოეთში სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ ზურგში აჯანყებამ მოუსწრო. იგი შემობრუნდა, აჯანყება ჩააქრო, მაგრამ თვითონაც მალე გარდაიცვალა.

მას მოჰყვა ახალი იმპერატორი ადრიანე, რომელმაც მთელი რომის იმპერია, ესპანეთიდან მესოპოტამიამდე და შოტლანდიიდან ეგვიპტემდე, ფეხით შემოიარა. მასთან ფარსმან იბერიელს პირველად განხეთქილება ჰქონდა. ფარსმანი უკმაყოფილო იყო რომაელთაგან სომხეთის სრული დაპყრობით. ამიტომ მან ჩრდილოეთიდან ალან-ოსები გადმოიყვანა, ქართველთა ლაშქარს შეუერთა და სამხრეთისაკენ დაიძრა.

ჯერ სომხეთში შევიდა და იქიდან რომაელები განდევნა, მერე დიდის წარმატებით ილაშქრა პართიაში.

ამას მოჰყვა ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობანი ალბანეთსა და კაპადოკიაში. აქაურმა მმართველებმა დიდი ძღვენითა და დიპლომატიური არხებით ძლივს დაიხსნეს თავიანთი სამფლობელონი.

განრისხებულმა ადრიანემ იბერიაში მალემსრბოლნი აფრინა და ფარსმანს რომში გამოცხადება უბრძანა.

ქართველმა მეფემ ცივი უარი შეუთვალა.

რომაელი იძულებული გახდა რისხვა დაეცხრო და ისევ ნაძალადევი „მეგობრობა-მოკავშირეობის“ გზას შესდგომოდა.

და აი, ადრიანე იმპერატორი იბერიის ამაყ ხელმწიფეს უგზავნის იმდენ ძღვენს, რამდენიც მას არავისთვის არასოდეს უბოძებია. ამ საგანგებო ძღვენს რომაელმა კეისარმა საჩუქრად მოაყოლა ორმოცდაათი ლეგიონერი და ერთი სპილო.

რომაელთა ელჩობას მცხეთაში მოუძღვა ადრიანეს სასახლის კარზე გაშინაურებული კაცი, ცნობილი მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი და პოლიტიკოსი, აზიურ საქმეთა ლეგატი-გამგებელი, ფლავიუს არიანე.

ფარსმანმა დიდი პატივით მიიღო სტუმრები.

მაგრამ რამდენიმე დღის დიპლომატიური „განბრჭობანი“ ქართველთა მეფემ მაინც ასეთი ირონიული წიაღსვლით განასრულა:

ჯერ, საზეიმო ვითარებაში რომაელ ელჩთა მეთაურს იმპერატორ ადრიანესათვის ოქრომკედით ნაქარგი რამდენიმე ქლამიდა (წამოსასხამი) გადასცა, ხოლო ამის მომდევნოდ, მოედანზე სამასი დაბორკილი დამნაშავე გამოატარა სწორედ ისეთსავე ოქრონემსულ ქლამიდებში გამოწყობილნი.

გულზვიად რომაელ იმპერატორს ქართველი მეფის ჯავრი სამარეში ჩაჰყვა.

გამოხდა ხანი. ადრიანეს ნაცვლად რომის კეისრულ ტახტზე იჯდა ანტონინუს პიუსი, რომელსაც თავის ჰკვიან და დაკვირვებულ პოლიტიკაში იბერიასთან კავშირ-მეგობრობა განსაკუთრებული მოვლა-მოფერებით ჰქონდა მოხაზული.

სწორედ მაშინ მოხდა დიდმნიშვნელოვანი სტუმარმასპინძლობა რომში, „მსოფლიოს ცენტრში“. რომაელი კეისარი დიდად გულუხვი მასპინძლობით ეგებებოდა აღმოსავლეთიდან ჩამოსულ უაღრესად საპატიო სტუმრებს:

ქართლის მეფე ფარსმან ქველს.

მის მეუღლე-დედოფალ ღადანას.

ვაჟიშვილ-ტახტისმემკვიდრე ადამს.

ქართველ სეფეწულთა და არისტოკრატთა ბრწყინვალე ამალას.

ნადიმ-ღრეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მერე საასპარეზო სა-

ნახაობაზე გავიდნენ რომის დიდ ცირკში, კოლიზეუმში, გლადიატორთა ხოცვა-ჟლეტითა და სისხლით გალეშილმა მსოფლიოს მბრძანებელმა რომაელმა ხალხმა იმ დღეს იხილა უცხო და უმშვენიერესი სანახაობა: მხედრული ჯირითი, საომარი როკვა-ვარჯიში და ვაჟკაცური შემმართებლობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლებისა.

შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქართველები შეიქნენ იმ დღეთა გმირნი მსოფლიოს მპყრობელ „მარადიულ ქალაქში“. ფარსმანს ნება მიეცა უცხოელთათვის იშვიათი პატივისა: კაპიტოლიუმში ზორვა გაემართა იუპიტერის სადიდებლად.

იმ წლის „საგანგებო ამბავთა“ ნუსხის თავში რომაელებმა სწორედ იბერიის ხელმწიფისა და მისი სახლეულის სტუმრობა ჩაწერეს.

ბოლოს, მარსის ველზე კეისარ ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი ხელმწიფისა.

რაც მთავარია, კეისარმა დასტური დასცა ფარსმან ქველის სახელმწიფო სამანთა სისრულეს: ტრაპეზუნდ-ლაზეთის ხაზიდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამდე.

ქართლი წინა აზიაში სიმძლავრით პირველი სახელმწიფო იყო.

პართია კი ვერ ურიგდებოდა პირველობის წართმევას. მეფე ვოლოგეზ III ფარსმანის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა რომში. მაგრამ იმპერატორი ანტონინუს პიუსი არ ჰღალატობდა ქართველთა მეგობრობას.

მაშინ ვოლოგეზმა ციხის შიგნიდან გატეხვა მოინდომა. მან იცოდა, რომ ქართველთა მეფეს ქვეყნის შიგნით, „წვრილ ერზე“ ზრუნვისათვის, ბევრი წარჩინებული აზნაური მტრად ჰყავდა გადაკიდებული.

ფარსმანს ბიძაშვილი ჰყავდა, სახელად მ ი რ დ ა ტ ი, „კაცი ურვილი და მოსისხლე“. მირდატი ქართლის მეფობაზე ოცნებობდა და მეფე-ბიძაშვილს სასიკვდილო მახესაც უგებდა. თან პართელთა დიდი იმედი ჰქონდა, ვოლოგეზს დაუმოყვრდა, — მისი ახლო ნათესავი შეირთო ცოლად. პართიის მეფეც ყოველნაირად აქეზებდა ტახტის მაძიებელ სიძეს.

მირდატმა ერთხელ ფარსმანს ნადიმი გაუმართა. მაგრამ მეფეს წინასწარ აცნობეს, ნადიმზე სიკვდილი გელოდებაო და ისიც არ მივიდა ნადიმად. მირდატს მცხეთაში აღარ დაედგომებოდა და პართიაში გაიქცა.

მალე იგი დიდძალი პართიული არმიებით მოადგა ქართლს.

გაეგება ფარსმან მეფე ქართველთა და სომხეთიდან გამოხმობილი ჯარებით.

ბრძოლის დაწყებამდე „ბუმბერაზთა“ ორთაბრძოლები გაიმართა.

ტოლი არავინ გამოუჩნდა თვითონ ხელმწიფეს. საკუთარი ხელით განგმირა რამდენიმე პართიელი „ბუმბერაზი“, მათ შორის „გოლიათი, სახელით ჯუმბერ, რომელი ლომსა ხელით შეიპყრობდა... აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა, და მოიქცა სპისა თვისისა კერძო, და ხმაყო ხმითა მაღლითა და რქუა მათ: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყვილნი!“

ქართველები და სომხები მტერს მიესივნენ, „აოტნეს და მოსწყვიდნეს და ტყუე ყვნეს ურიცხვნი“. მირდატმა ძლივს გაასწრო პართიას.

მირდატი მაინც არ ცხრებოდა. ხელმეორედ მოვიდა იგი ურიცხვი ჯარით პართიიდან. ფარსმანს „არა ჰყვნეს სპანი მირდატის სპათა ოდენნი“. მაგრამ მაინც გავიდა ფარსმან გულფიცხელად; დილით, რიჟრაჟზე შეება მტერს. კვლავ დამარცხდნენ პართიელები. ფარსმანმა კვლავ „აოტა ბანაკი მათი და მოსწყვიდნა ურიცხუნი“. ძლეულმა მირდატმა ისევ გაქუსლა პართიისაკენ.

ფარსმანმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ აღეკვეთა პართელთათვის ქართლზე ლაშქრობის სურვილი. ამიტომ მან ერთხელ კიდევ ძლევამოსილად ილაშქრა თვითონ პართიაში. შესაძლოა, ქტესიფონიც აიღეს ქართველებმა. ისინი დიდი ნადავლითა და სახელით დაბრუნდნენ უკან.

ყველასათვის საცნაურ იქნა — იარაღის ძალით არვის ძალუძდა ძლევა ფარსმანისა. ხოლო მტერი არ ისვენებდა, არც შინაური, არც გარეული.

ისევ დაუგეს სასიკვდილო ხვანჯები მეფეს.

პართიელები და მცხეთელი დიდკაცები მოქმედებდნენ ერთად, შეფარვით, იდუმალი მზაკვრობით.

მკვლელობა მოხდა უბრალოდ.

მზარეული მოისყიდეს და შეუჩინეს.

იმ მზარეულმა საწამლავი შეაყოლა საჭმელს.

და მოკვდა ფარსმან ქველი.

„მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახათმდე. და იტყებდეს ყოველნი თავთა თვისთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან

სიმხნესა და სიქველესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“.

მოვიდა მირდატ პართიელთა ლაშქრით და დაჯდა მცხეთას.

არმაზ-ციხეში პართიელი პიტიახში ჩადგა ჯარით.

მაგრამ ქართველებმა არ გაიმეფეს მოძალადე.

დასავლეთ საქართველოდან ეგრთა (მეგრელთა) ძლიერი ჯარი გადმოვიდა.

სომხეთიდანაც ჩამოიყვანეს დამხმარე ძალა.

ლიახვზე მომხდარ დიდ ბრძოლაში პართიელები განადგურდნენ. მირდატი და პართიელი პიტიახში ბრძოლაში დაეცნენ.

ქართლის ტახტზე ავიდა ქ ს ე ფ ა რ ნ უ გ.

## „ვაება ვაებისა“

კვლავ ძლიერი გვირგვინოსანი განაგებდა ქვეყანას.

სიმძლავრე და სიდიადე არ დაუკარგავს ქართველთ სამეფოს ქსეფარნუგის დროს.

დიდი ბრძოლებიც გადაიხადა ქართულმა მხედრობამ, დიდი წარმატებით და ძლევამოსილებით.

დროის გმირი იყო ახალგაზრდა ეზოსმოძღვარი ი ო დ მ ა ნ გ ა ნ ი, ძე ფარსმან ქველის ეზოსმოძღვარ ა გ რ ი ფ ა ს ი.

იოდმანგანს უმშვენიერესი და უკეთილშობილესი მეუღლე ჰყავდა, სახელად ს ე რ აფ ი ტ ი, ასული ფარსმან ქველის პიტიახშ ზ ე ვ ა ხ ი ს ა.

უსმინე, კეთილო მკითხველო, ეპიტაფიას არმაზის ხევში გამოთხრილ და მზის სინათლეზე აღმოხდენილ საფლავის ქვაზე:

მე ვარ სერაფიტი,
ასული ზევახისა –
ფარსმან მეფის პიტიახშისა,
მეუღლე იოდმანგანისა, –
ძლევამოსილისა
და მრავალი გამარჯვების გამგოველებელი
ეზოის მოძღვრისა ქსეფარნუგ მეფისა –
ძისა აბრიფა ეზოის მოძღვრისა ფარსმან მეფისა,
ვაება ვაებისაჲ
ის, ვინც იყო
ახალგაზრდა,

და იმდენად კეთილი
და მშვენიერი, რომ
არაკით იყო
მსგავსი მისი
სილამაზითა.
და აღსრულა ოცდაერთი წლის!

უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი, პატივი სიკეთისადმი, თაყვანი სიმშვენიერისადმი, ბრწოლა არყოფნისადმი, სინანული ამაოებისადმი, კაეშანი სიცოცხლე-სიმშვენიერის ნაადრევად შემუსვრადამიწებისადმი!

ყოველივე ეს იცქირება ათას რვაასი წლის წინ პირდახშულ აკლდამიდან...

**გამოხვლა ლაზეთისა**

ვუბრუნდებით ზემოთქმულს:

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლოს, პონტოს სახელმწიფოს განადგურების შემდგომ, დასავლეთ საქართველოს დიდკოლხურ მემკვიდრეობას რომაელები დაეპატრონენ.

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მსოფლიოს მპყრობელები, მაინცდამაინც ვერც აქაურ ქართულ ციხე-ქალაქებში დამკვიდრებულან.

ახალი წელთაღრიცხვის 69 წელს ტრაპეზუნტში დიდი აჯანყება მოხდა. აჯანყების მონაწილენი ადგილობრივი პონტოელ-ქართველური ტომები იყვნენ, უმეტეს წილ — კოლხები. კოლხი უნდა ყოფილიყო რომაელთაგან „ბარბაროსად“ წოდებული ბელადი აჯანყებისა. შერქმეული სახელით — ა ნ ი კ ე ტ ი („უძლეველი“), ერთ დროს მონა, შემდგომ სიმამაცისა და ზღვაოსნურ ხელოვნებისთვის გააზატებული და ფლოტის სარდლად დაწინაურებული.

ანიკეტმა ისარგებლა რომში ამტყდარი სამოქალაქო ომით (ვიტელიუსი და ვესპასიანე ებრძოდნენ ერთმანეთს იმპერატორობისთვის), აჯანყებული რაზმებით ტრაპეზუნტში შეიჭრა, რომაული ციხიონი გაანადგურა, იქ მდგარი ფლოტიც დასწვა და ქალაქს დაეუფლა.

აჯანყებულებმა სწრაფად ააგეს საკუთარი ფლოტი, მთლიანად კოლხური ტიპის „კამარებით“ — მაღალი კედლებით, ფართო ბაქნებითა და ბრტყელი ძირებით. ასეთი ხომალდებით კოლხები თავისუფლად დანავარდობდნენ უმძლავრესი ქარტეხილით აღელვებულ ზღვაზე.

ვესპასიანემ ჯარი და ფლოტი გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ანიკეტი დამარცხდა და გადარჩენილ თანამებრძოლთა თანხლებით კოლხეთს მიაშურა. იგი მიადგა მდინარე ენგურის შესართავს და თავშესაფარი სთხოვა ლაზთა ერთ-ერთი ტომის ბელადს. ისიც ერთ ხანს ინახავდა ლტოლვილებს, მაგრამ, როცა რომის ხელისუფლება ომით დაემუქრა, იძულებული გახდა გაეცა შემოხიზნულნი.

პირველ საუკუნეში ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო ჩამოყალიბდა: ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის სანაპიროებზე — სანიგებისა და აფშილების სამეფოები, სანიგებსა და აფშილებს შორის — აბაზგთა სამეფო, აფშილთაგან აღმოსავლეთით — სვანეთი, ხოლო აფშილეთ-სვანეთიდან სამხრეთით ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული იყო დიდ ქართველ ტომთა, მეგრელ-ჭანთა და ლაზთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ბერძნები ლ ა ზ ი კ ე ს უწოდებდნენ, ხოლო მოძმე იბერიელნი — ე გ რ ი ს ს.

სწორედ ლაზეთ-ეგრისი შეიქნა ძველთაძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის მემკვიდრე.

ჩამოთვლილ პოლიტიკურ გაერთიანებათა და, განსაკუთრებით, ლაზეთის მეფეები რომის ხელისუფლებისაგან მხოლოდ ფორმალურად ღებულობდნენ სამეფო ინსიგნიებს. სხვა მხრივ ისინი რომის იმპერატორებს არც ხარკს აძლევდნენ და არც სალაშქრო ჯარს. აქაურ მეფეებს ევალებოდათ მხოლოდ კავკასიონის უღელტეხილთა მტკიცედ დაცვა, რამეთუ ჩრდილოელ მომთაბარეებს ტრადიციული გადმოლახვებით არ შეეწუხებინათ რომის იმპერიის აღმოსავლური საზღვრები.

114 წლის მახლობლად დიდი კეისარი ტრაიანე აზიაში ლაშქრობის წინ იბერიელებთან ერთად ლაზებსაც უგზავნის ძღვენს, ხოლო ანტონინუს პიუსს „დიდი მეგობრობა" ჰქონდა ლაზიკის მეფე ბ ა კ უ რ თ ა ნ.

III—IV საუკუნეებში ლაზთა სამეფო უფრორე გაძლიერდა და გაფართოვდა. ამ დროს სვანეთიც მის ფარგლებში მოექცა. სვანთა მთავარს ლაზი მეფეები ნიშნავდნენ და ამტკიცებდნენ.

სამხრეთით კი — ჭოროხის მიდამოებში — ლაზები და იბერიელები ერთმანეთს ავიწროებდნენ პირველობისათვის.

### ახალი მტრები ძველი სამტროდან

არ ჩანს, იყო თუ არა ქსეფარნუგი ფარსმან ქველის უშუალო მემკვიდრე.

მაგრამ ქსეფარნუგის შემდგომ, III საუკუნის დამდეგს, ქართლს

სამეფო ხელისუფლება ხელში აიღო ფარსმანის ძემ ადამმა.

მან გამეფებიდან სამი წელი იცოცხლა და მემკვიდრედ სავსებით ჩვილი, ერთი წლის ვაჟი დარჩა, სახელად აგრეთვე ფარსმან (სახელოვანი პაპის პატივსაცემად დაარქვეს).

ქართლის უზენაესი ძალაუფლების ნამდვილი მპყრობელი შეიქნა დედა ადამისა, ქვრივი ფარსმან ქველისა, დედოფალი ღადანა.

ღადანამ შვილიშვილი აღზარდა, სამეფოდ მოამზადა და ტახტ-გვირგვინიც დაულოცა.

ეს იყო ფარსმან მესამე, რომელიც წარმატებით ინარჩუნებდა უკვე კარგა ხნის დადგენილ ქართლის პირველობას წინა აზიაში.

მაგრამ სამხრეთული ცა ერანის მხრიდან ავისმაუწყებელი ღრუბლებით მძიმდებოდა. სწორედ III საუკუნის დამდეგს, ადამისა და ფარსმან მესამის მეფობათა ჟამს, ერანში დასასრულს უახლოვდებოდა არშაკიდთა პართიული დინასტია, რომელსაც თითქმის ხუთასწლოვანი არსებობის მანძილზე მსოფლიოსთვის არ დაუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება, არც ერთი ნათელი სახე, არც ერთი უსისხლო და უცრემლო კულტურული ფურცელი.

ერანში პართიელი არშაკიდები სასანიდებმა შეცვალეს.

სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი იყო არდაშირი (არტარქსერქსე), რომლის წარმოშობის შესახებ ასეთ ამბავს მოგვითხრობენ: ვიღაც სპარსელ მეხამლე პაპაკს, რომელსაც ასტროლოგობაც შეეძლო, ვარსკვლავებზე დაკვირვებისას „უწინასწარმეტყველებია“, რომ მის ნაცნობ სპარსელ სარდალს, სასანს, შეეძინებოდა ვაჟი — ერანის მომავალი ხელმწიფე. პაპაკს გადაუწყვეტია, ისე მოეხერხებია, იმ ჰომავალი გვირგვინოსანი როგორმე მისი უახლოესი ქალის საშოში ჩასახულიყო. მაგრამ, რაკი არც ქალიშვილი და არც დაი არ ჰყავდა, პაპაკმა სასანი თავის ცოლს დაუკავშირა. წინასწარი შეთანხმების თანახმად ვაჟს უნდა დარქმეოდა: „ძე პაპაკისა, სასანის ტომიდან“.

ასე მოევლინა ქვეყანას „ორი მამის ძე“ არდაშირ პაპაკანი, სასანიანთა პირველი „მეფეთა მეფე“, ახალი სპარსული სახელმწიფოს დამაარსებელი.

224 წელს არდაშირმა ორმიზდაგანის ველზე სასტიკად დაამარცხა არშაკიდთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი არტაბან მეხუთე და მალე თვითონ შეიქნა ერანის მბრძანებელი.

რომის იმპერიას აღმოსავლეთში პართიაზე უფრო ძლიერი მეტოქე

გაუჩნდა, ხოლო საქართველოს, ერანიდან, ამ მარადიულ სამტროდან — ახალი საშიში მოსისხლენი.

ამ დროს რომის მონათმფლობელური სისტემისა და იმპერიული ხელისუფლების უკიდურესი კრიზისი იდგა. ესაა ხანა უაღრესად დრამატულ-ტრაგიკული და ტრაგი-კომიკურიც კი. საოცარი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს შეთქმულთაგან დაჩეხილი იმპერატორები. მსოფლიო იმპერიის ტახტი და გვირგვინი სალდათური ბედ-იღბლის სათამაშო საგნებად იქცნენ. ყოველ უჩინო ჯარისკაცს, წერა-კითხვის უცოდინარს, გინა ბრიყვსა და შლუს, ან სოდომურად ზნედაცემულს, სერიოზულად შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ დღეს თუ ხვალ ისიც გახდებოდა მფლობელი იმპერიის საჭისა, „ღირსეული მემკვიდრე“ იულიუს კეისრისა, ავგუსტუსისა და ტრაიანესი.

სპარსელებს შეეძლოთ ძლიერად ამოქმედებულიყვნენ.

რომაელებსაც საქართველოსთვის აღარ სცხელოდათ.

სპარსელი არდაშირ პირველის თანამედროვე ქართლში ფარსმან მესამე იყო.

სასანიდები პირველი დიდი სპარსული დინასტიის, აქემენიდების მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს.

და ჯერჯერობით ისე ჩანდა, სასანის მოდგმას ვერ უნდა გაებედნა ხელყოფა ქართლოსის მოდგმისა, რამეთუ მასზე ვერ ბატონობდნენ ვერც ნაშიერნი აქემენისა.

არდაშირი ერანული მემკვიდრეობის შემომტკიცებით იყო გართული. დიდი სახელმწიფოებრივი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ თავს მაინც უბედურ კაცად თვლიდა: შვილი არ ჰყავდა, უმემკვიდრეოდ უნდა გადაგებულიყო. ახალგაზრდობაში ერთი ქალი უყვარდა, საყვარლადაც ესვა, მაგრამ როცა გაიგო, ის ქალი მისგანვე ამოწყვეტილ არშაკიდთა ნათესავი ყოფილა, ერთგულ კარისკაცს გაატანა მიწაში ცოცხლად დასამარხავად. გზაში ქალმა კარისკაცს უთხრა, ორკეცად ვარო მეფისაგან. კარისკაცი შორსმხედველი გამოდგა. ქალი მიწისქვეშა სადგომში დამალა (ამით მეფის ბრძანება აღასრულა — „მიწაში დამარხა“), თვითონ საკუთარი ხელით თავი გამოისაჭურისა, ამოკვეთილი მამაკაცური „ინსიგნიები“ ყუთში ჩაჰკეტა და დაბეჭდული მეფეს ჩააბარა. ასე გაუგონარი თვითგვემით მოიქცა კარისკაცი, რათა ქალთან შეცოდება არ დაბრალებოდა შემდგომში. ქალს შეეძინა ვაჟი, რომელსაც უწოდეს შაბურ („მეფის ძე“). რამდენიმე წლის შემდგომ უშვილობით დანაღვლიანებულ არდაშირს კარისკაცი წარუდგა და სა-

დუმლო გაუმჟღავნა. მეფემ სინამდვილის გამოცდა მოინდომა. ტახტის მემკვიდრე ათას ტოლბიჯთან ერთად მოიყვანეს და სასახლის ეზოში ბურთის თამაში უბრძანეს. ბავშვებს წინასწარ გამოუცხადეს, თუ ბურთი სასახლეში შევარდა, ბურთის გამომტანი სიკვდილით დაისჯებაო. მართლაც, მალე ბურთი სასახლეში აღმოჩნდა. ბავშვთაგან მხოლოდ ერთი, შაბური, გამოედევნა და შეჰყვა ბურთს. არდაშირმა მაშინვე იცნო თავისი უტეხი სისხლი...

მოკვდა არდაშირი.

გამეფდა შაბური I (242—272 წწ).

გამეფდა და მძლავრად შეუტია რომაელებს.

დიდი ხანი იყო, რომს ასეთი მარცხი და სირცხვილი არ განეცადა აღმოსავლეთში. შაბურმა ჯერ სომხეთი წაართვა რომს, მერე კარასა და ნიზიბისში მდგარი რომაული ციხიონებიც ხელთ იგდო და ევფრატის რომაული სამანებიც დალეწა და ნაცარტუტად აქცია.

260 წელს რომის ისტორიაში მოხდა მანამდე გაუგონარი ამბავი: შაბურმა ქალაქ ედესაში ბორკილები დაადო მასთან მოსალაპარაკებლად მისულ რომაელ იმპერატორს ვალერიანეს.

რომის კეისარი სიკვდილამდე სპარსულ ტყვეობაში დარჩა.

შაბური საშინლად ამცირებდა სვედავსილ ხელმწიფეს. ქვეყნის სასაცილოდ გამოჰყავდა — იმპერატორის წამოსასხამით და ბორკილებით. ამხედრებისას შაბური ვალერიანეს ოთხზე დასცემდა, ზურგზე ფეხს ადგამდა და ცხენზე ისე ჯდებოდა!

იმპერატორმა გალიენემ, ვალერიანეს მამაცმა შვილმა, მამის გამოხსნა ვერ შეძლო (არც ძალიან უცდია).

ხოლო საქართველოს კვლავ დამოუკიდებლად უნდა ეკვლია გზა წინა აზიის მრავალხლართოვანი ხვანჯებით შეკრულ პოლიტიკურ სარბიელზე.

შაბურ პირველის თანამედროვე ქართლში იყო მეფე ამაზასპ, ძე და მემკვიდრე ფარსმან მესამისა.

„ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა“.

სპარსეთის მეფემ წერილი მისწერა ქართლის ხელმწიფეს, — იმპერატორ ვალერიანეს დატყვევებას ატყობინებდა, რომის კავშირმეგობრობაზე ხელის აღებას მოითხოვდა და სპარსეთთან შეკავშირებას სთავაზობდა.

ამაზასპმა შაბურის წერილი არც მიიღო, არც წაიკითხა. პირიქით,

იმპერატორ გალიენეს აცნობა, შენი მამის დახსნაში ხელი გამოიღე და აქედან სპარსეთს სალაშქროდ ჩემი ჯარებით მოგეშველებიო.

მაგრამ გალიენეს სპარსულ ლაშქრობაში შინაურმა აჯანყებებმა შეუშალა ხელი, ხოლო ამაზასპს — ჩრდილოელ მეზობელთა შემოტევებმა.

ოვსთა დიდი ლაშქარი გადმოიჭრა მოულოდნელად დვალეთის გზით საქართველოში. რვა დღე ლიახვზე იდგნენ და მცხეთის დასალაშქრავად ემზადებოდნენ,

ამაზასპმა ერისთავებს მოუხმო თავ-თავიანთი ლაშქრით. მოასწრეს მოსვლა კახეთის, ხუნანის და სამშვილდის ერისთავებმა. დაუგეანდათ სამხრეთისა და დასავლეთის საერისთავოებს. ხოლო ოვსნი უკვე მუნარში მოსულიყვნენ.

გაეგება ქართველთა ჯარი.

გასაოცარი გმირობით იბრძოდა ამაზასპ. მრავალი განგმირა პირისპირ „ბუმბერაზულ შერკინებაში“.

ორდღიანი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ოვსთაგან გადარჩენილნი ჩრდილოეთით გადაიხვეწნენ.

მომდევნო წელს ამაზასპმა გადაწყვიტა თვითონ დაელაშქრა ოკსეთი. მართლაც, მან „შეკრიბნა სპანი თვისნი ყოველნი და გარდავიდა ოვსეთს. და ვერ-ვინ წინააღუდგა და მოტყუენა ოვსეთი, და მოვიდა შინა გამარჯუებული“.

ჩრდილოურ გამარჯვებებს „სამხრეთული სისუსტე“ მოჰყვა ამაზასპის საგარეო პოლიტიკაში. არ ისვენებდა შაბურ სპარსელი. მარტო სომხეთის ჩაყლაპვა არ ამშვიდებდა. ქართლის ხელმწიფეს კვლავ აძალებდა სპარსეთთან კავშირს. არა და, დიდი ლაშქრობით იმუქრებოდა.

იმპერატორი ვალერიანე ტყვეობაში მოკვდა. შაბურის ბრძანებით მას ტყავი გააძრეს, თივით გატენეს და ქტესიფონის მთავარ ტაძარში დაჰკიდეს. ხოლო რომიდან აღმოსავლურ ლაშქრობაზე ბაიბურიც არ ისმოდა.

ამაზასპი გატყდა და „სამხრეთული პოლიტიკა“ შეცვალა.

რომს ზურგი აქცია და სპარსეთთან კავშირი შეკრა.

ასეთმა პოლიტიკამ ქართლის სასახლის კარზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. წარჩინებულთა ერთი ნაწილი მეფეს წინააღუდგა, —

იგი სპარსეთთან კავშირის გაწყვეტას, რომთან ურთიერთობის აღდგენასა და სპარსთაგან მეზობელი სომხეთის გამოხსნას მოითხოვდა. მაშინ ამაზასპ „იწყო მესისხლეობად, და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან და მტერ ექმნა იგი სომეხთა და შეიყუარნა სპარსნი“.

მეფის სიმკაცრემ, დაუთმობლობამ და დაუნდობლობამ უარესად გაამწვავა შინაური ურთიერთობა. მეფის დასამხობად შეთქმულება შეიკრა. სათავეში ედგა ხუთი ერისთავი: ოძრხისა, კლარჯეთისა, წუნდისა და ორი ერისთავი ეგრის-ლაზეთიდან. მათვე დასახმარებლად მოუხმეს რომაელებს, სომხებს და ოსებს.

ამაზასპმა სპარსეთიდან მოირთო დამხმარე ძალა.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ გუთისხევს.

ბრძოლის დაწყებამდე ამაზასპ წინ გამოიჭრა ამხედრებული და ორთაბრძოლაში გაიწვია მოპირდაპირე ბელადები.

მაგრამ ვერავინ გაბედა სახელგანსმენილ გმირთან პირისპირ შებმა. ბრძოლა იყო მძიმე, დაუნდობელი.

გადამწყვეტ ჟამს სპარსელებმა ამაზასპი და მისი ერთგული ქართველობა მიატოვეს და ბრძოლიდან გაიქცნენ.

მეფე იბრძოდა მისთვის ჩვეული სიქველით და სიქველითვე დაეცა გულგანპირული.

გამარჯვებულებმა ქართლს ტახტზე აიყვანეს ამაზასპის დისწული რევ მართალი.

იგულისხმებოდა, ახალ მეფეს სპარსეთთან კავშირზე ხელი უნდა აეღო და ისევ რომის მეგობრობა-მოკავშირეობას დაბრუნებოდა.

სპარსეთმა ამჯერად წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა. ენერგიული და გულფიცხელი შაბური ცოცხალი აღარ იყო. სიკვდილამდე ცოტა ადრე შაბურს შეაგონეს, რომ შენი შვილი ჰორმიზდ, შენგანვე ხორასნის მმართველად დადგენილი, მეფობის წართმევას გიპირებსო. შვილმა მამის რისხვას დაასწრო, მარჯვენა ხელი მოიკვეთა და მამას გამოუგზავნა. ამით მან მშობლისადმი უტყუარი ერთგულება დაამტკიცა, რაკი სპარსული ადათით, ფიზიკურად ნაკლული კაცი სამეფო ტახტზე ვერ დაჯდებოდა. საპასუხოდ შეძრწუნებულ შაბურს უთქვამს: ხელი კი არა, სულ რომ ნაჭრებად დაიჩეხო, მაინც შენ იქნები, შვილო, მეფეთა მეფე!

და ორი წელი მეფობდა ცალხელა ჰორმიზდი.

მას არც უცდია ხელი შეეშალა ქართლისა და რომის ხელახალი დაახლოებისათვის.

მეფე რევი რომაელებს კიდევაც დაუმეგობრდა და კიდევაც დაუმოყვრდა:

მან ცოლად შეირთო წარჩინებული ბერძენი ქალი სეფელია.

„და ამან სეფელია მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა“.

ამგვარად, მცხეთა-არმაზის კერპთა პანთეონს — არმაზს, გაცს, გაიმს და ზადენს — კიდევ ერთი ახალი, რომის იმპერიიდან შემოტანილი, სიმშვენიერისა და სიყვარულის ღვთაება, აფროდიტე-ვენერა შეემატა.

მეფე თვითონ კერპთა მოთაყვანე იყო, მაგრამ საქართველოში უკვე კარგა ხანს ცნობილ ქრისტიანულ მოძღვრებასაც შემწყნარებლურად ეჭცეოდა, თვითონ ქრისტიანიზმის კარგი მცოდნე გვირგვინოსანი. ამას ზედ ერთვოდა რევის საერთო დიდსულოვნება, გულმოწყალება და სამართლიანობა. ამიტომაც უწოდა მას ხალხმა „მართალი“.

რევ მართალის შემდგომ ზედიზედ იმეფა ოთხმა ფარნავაზიანმა.

ესენი არიან:

ვაჩე, ბაკური, მირდატ მეოთხე, ასფარუგ პირველი („ამან ასფარუგ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“) და რევ მეორე.

მათი მეფობა დაახლოებით ემთხვევა დიოკლეტიანეს ოცწლიან (285—305 წწ.) იმპერატორობას რომში.

დიოკლეტიანემ რამდენჯერმე გაგზავნა არმიები სპარსეთთან საომრად. პირველი შეტაკება სპარსეთის მაშინდელმა მეფემ, ნარსემ მოიგო, მაგრამ მეორედ, 298 წელს, ბრძოლა წააგო და მისი ოჯახიც რომაელებმა ჩაიგდეს ტყვედ.

ნარსემ ზავი ითხოვა, ოჯახი სამარცხვინო ტყვეობისაგან დაიხსნა, მაგრამ მის საფასურად, სომხეთი და ჩრდილოეთ მესოპოტამია რომს გადაეცა.

იბერია რომის მოკავშირე-მეგობრად დარჩა.

# „მოქცევიდან“ გორბასალამდე

## წიგნი „მოქცევისა“

> ქრისტეს რჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად.
>
> ილია ჭავჭავაძე.

მესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა ერთიანობას, ნამდვილად კი იგი უკვე ორი ნაწილისაგან — აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებისაგან შედგებოდა.

მალე თვით რომს, „მსოფლიოს ცენტრსა და მარადიულ ქალაქს“, აღმოსავლეთში ახალი სატახტო ქალაქი დაუპირისპირდა. იგი ააგო იმპერატორმა კონსტანტინემ ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის შესაყარში, ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის ადგილზე. დამაარსებლის სახელის მიხედვით, ქალაქს ეწოდა „კონსტანტინოპოლის“ („კონსტანტინეს ქალაქი“). მისი კურთხევა და ახალ სატახტოდ გამოცხადება, დიდი ზორვითა და ზარზეიმით მოხდა 330 წლის 11 მაისს. აქედანვე დაედო საფუძველი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას“, ანუ მეორენაირად — „ბიზანტიის იმპერიას“ (ძველი ბიზანტიონის სახელის მიხედვით).

ეს ის დროა, როცა მთელ რომის იმპერიაში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე, გავრცელებულიყო ახალი რელიგიური მოძღვრება — ქრისტიანობა, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია.

რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე იყო პირველი, რომელმაც გონივრულად შეაფასა ქრისტიანობის ძალა და სარგებლიანობა მონარქიული ხელისუფლებისათვის: მძლავრი კრიზისებით შერყეულ იმპერიას ერთიანი, მონოთეისტური რელიგიურ-იდეოლოგიური საძირკველი სჭირდებოდა, ხოლო ასეთ „ერთიან იდეოლოგიად“, მანამდელი პოლითეისტურ-მრავალღმერთიანული რელიგიებისაგან განსხვავებით, სწორედ ქრისტიანობა გამოდგებოდა.

ამიტომ კონსტანტინემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მისიეე ნებით 325 წელს, ქალაქ ნიკეაში, მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.

საქართველოში ქრისტიანობას კარგა ხანია იცნობდნენ, ხოლო კონსტანტინეს კეისრობის ჟამს იგი აქ ძალზე ფართოდაც იყო გავრცელებული.

ახალი რელიგია, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსტანტინოპოლურ სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებულ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ამბავი, რომ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო ყრილობის მონაწილე 318 ეპისკოპოსიდან 111-ე ნომრით მოხსენიებულია ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. ამდენად, დასავლეთ საქართველოში, უკვე IV საუკუნის პირველ მეოთხედში, საეპისკოპოსოები არსებულა.

330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში — იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა მირიან მესამე.

ქრისტიანულ თქმულებათა მიხედვით, ქართლში ახალი რელიგიის გამოცხადებისა და ქართველი ხალხის „მოქცევის“ მთავარი გმირი გამხდარა ახალგაზრდა ქალი, სახელად — ნინო.

ჩვენც მივყვეთ, მკითხველო, იმ თქმულებას, რომელსაც მეცნიერ-მკვლევართათვის „საისტორიო წყაროს“ მნიშვნელობა შემორჩენია, ხოლო დანარჩენ მკითხველთათვის — ლიტერატურული ღირებულება.

ნინოს სამშობლო ყოფილა კაპადოკია, ძველთაგან „პონტოელი ქართველებით“ დასახლებული ქვეყანა.

ჰყოლია წარჩინებული მშობლები:

მამა — ზაბილონ.

დედა — სუსანა.

ზაბილონ კაპადოკიელს ჭაბუკობიდანვე სახელი გაუთქვამს ნიჭით, სიმამაცით, სიქველით, გულკეთილობით, ზნეკეთილობით.

რომის იმპერიის მხედართუფროსობისათვის მიუღწევია ზაბილონს.

ქრისტეს სჯულზე მოქცეულა და სხვაც მრავალი მოუქცევია.

მერე იერუსალიმს წასულა „ქრისტეს ადგილთა“ სათაყვანოდ, თან მთელი თავისი ქონება წაუღია და გლახაკთა და ქვრივ-ობოლთათვის დაურიგებია.

მოსწონებია და ცოლად შეურთავს ქრისტიანი ქალი სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის და.

აქვე, იერუსალიმში დაორკეცებულა სუსანა.

ცოლ-ქმარი კაპადოკიაში დაბრუნებულა, მშობლიურ ქალაქ კ ა ლ ა ს ტ რ ო შ ი.

აქ დაბადებულა ნ ი ნ ო.

თორმეტი წლისა რომ გამხდარა, მშობლებს ყველაფერი მიუყიდ-მოუყიდიათ, ისევ იერუსალიმს ჩასულან და ფული მთლიანად იქაურ მათხოვართა, საპყართა და უქონელ-უპოვართათვის დაურიგებიათ. აქვე დასახლებულან და შესდგომიან ღვთისმსახურებას.

ნინოს ბიძასთან, იერუსალიმის პატრიარქთან, უსწავლია ქრისტიანობა და ქრისტეს მსახურობა.

კარგად რომ შეუსწავლია და შეუსისხლხორცებია, ბიძისთვის ლოცვა-კურთხევა გამოუწერავს, მშობლებს დამშვიდობებია და წარმართ ადამიანთა ქრისტეს სჯულზე მოქცევას შესდგომია.

ასე, ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, ნინოს მიუღწევია „სამეფოსა ჰრომს“.

აქ იგი დაახლოებია ორ ქალს — რ ი ფ ს ი მ ე ს ა და მის გამზრდელ დედამძუძეს, გ ა ი ა ნ ე ს. ორივე ქალი გაუქრისტიანებია. მალე მათ გარდა კიდევ ორმოცდაათამდე წარმართი მოუქცევია ქრისტეს სჯულზე.

ამასობაში რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაწყო.

ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოქცეულან და დიდის ვაი-ვაგლახით სომხეთს მოსულან.

რიფსიმე და გაიანე სომხეთს დარჩენილან, სომეხთა მოსაქცევად. ხოლო ნინო „ზეგარდმო მინიშნებით“, საქართველოსკენ წამოსულა.

ლეგენდა გვიხატავს, როგორ მოდიოდა იგი, ქალწული, სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით.

მეოთხე თვეს, ივნისში, ჯავახეთში შემოუდგამს ფეხი.

გოგონა შეუძრწუნებია მთებს, რომელთაც ზაფხულშიაც თეთრი ნაბდები ებურათ.

თაფარავნის ტბასთან შემდგარა.

იქვე დაუვანებია ორი დღე-ღამე.

თვალსა და გულს აჩვევდა ქართულ მიდამოს, გასაოცარ მიწას და ზეცას.

ინახად მჯდარი გემოს უსინჯავდა თაფარავნულ თევზს.

იხიბლებოდა აქაურ მწყემსთა თავაზითა და სტუმართმოყვარეობით.

აქვე პირველად მოუსმენია „არმაზ“ და „ზადენ“, რომელთაც მასპინძელი მწყემსები მოუხმობდნენ, ლოცვას აღავლენდნენ და ზორავს უმართავდნენ.

აქვე ამ უცნაური კერპების თაყვანისმცემლებს პირველად უხილავთ უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოცვა-ვედრება და ცრემლთა თხევა.

აქვე ნინოს შეუტყვია, რომ ეს გულკეთილი ადამიანები ყოფილან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

ნინოც წასულა ამა „დიდისა ქალაქისაკენ“.

კიდევ დიდხანს უვლია ხამლით და უხამლოდ.

გზაზე მგზავრებს აჰყოლია, მტკვარი გადმოუვლია და ურბნისს მოსულა.

ერთი თვე უცხოვრია ურბნისში.

ერთი თვე უსწავლია აქაური ხალხი, მათი ცხოვრება, ზნე და ჩვევა.

მერე მოსულა დღე, როცა ხალხი დაძრულა „დიდად ქალაქად, საუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“.

ნინოც გაჰყოლია ხალხის მდინარებას.

მისულა მცხეთას და უხილავს ქალაქი საარაკო სიმშვენიერით.

ორი მდინარის შესაყარში გაშლილიყო სამეუფო ქალაქი ქართლოსიანებისა. მჭიდროდ და მრავლად დასახლებული, სახლები ტანსრული ხუროთმოძღვრული ანაგებით, კრამიტის სახურავებით, შუაგულში სამეფო სრა-სასახლით და ქალაქის თავზე უმტკიცესი აკროპოლისით. მდინარეთა მხრიდან ზვიადი მთები დასცქეროდნენ მცხეთას.

ქალაქი ხალხს ვეღარ იტევდა. „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი“.

ამტყდარა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზანზალაკთა.

სასახლიდან გამოსულა დედოფალი ნ ა ნ ა.

მის კვალდაკვალ — მეფე მ ი რ ი ა ნ.

„და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“.

მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ზღვა ხალხს.

პროცესია მთისკენ, არმაზ-ციხისკენ მიემართებოდა.

ნინოც მიყვებოდა.

„იგი ხედვიდა საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა“.

არმაზის მთაზე კერპი მდგარა, თვითონ არმაზი, უზარმაზარი სპილენძის ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჯაჭვ-საჭურველით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვიადი და მრისხანე, კუშტ წარბთა ქვეშე — ერთი თვალი ზურმუხტის ედგა, ხოლო მეორე ბივრილიონის.

არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო ქანდაკნი ედგა:

მარჯვნივ — ოქროსი, სახელად გ ა ც.

მარცხნივ — ვერცხლისა, სახელად გ ა ი მ.

ხალხი შესდგომია ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე...

დღე ყოფილა ღრუბლიანი და უნათლო.

შუადღე გადასულა.

საარმაზო მისტერია ჯერ არ დასრულებულიყო, რომ ზეცად ელვა-ჭუხილი ამტყდარა და კოკისპირული წვიმაც წამოსულა. მალე სეტყვაც მოჰყოლია.

ხალხი მთიდან მომწყდარა და დაბლობისაკენ დაშვებულა.

მოსაღამოვებულა.

წვიმა ქარიშხლად ქცეულა.

მთელი ღამე გრიგალი, ღვარნაფშვენი, ლეშხი, სეტყვის ხრიალი და ჭექა-ქუხილი არყევდა ცას და დედამიწას.

გათენებისას ჩამდგარა ქარიშხალი.

ცას გადაუწმენდია პირ-შუბლი.

ხალხი აღტაცებით შეხვედრია დიდებულ ცისიერ მნათობს.

მაგრამ მათი სათაყვანო კერპები უკვე აღარ იმზირებოდნენ არმაზის მთიდან.

საშინელმა ქარბორბალამ, ქარიშხალმა და „ლიტრის სწორმა“ სეტყვამ კერპები დალეწნა, შემუსრნა და ნამუსრევნი „შთააბნივნა კლდეთა ნაპრალსა“.

„გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს, რომლისათვის დაეცა მათ შიში და ძრწოლა“.

ატყდა მითქმა-მოთქმა; ზოგი მართლა ძრწოლა-შიშით, ზოგი კიდევ სიცილ-შეფარვით ამბობდა, რომ ეს სათაყვანო კერპთა მსხვრევა დიდი ღვთის წყრომა და დიდი უბედურების მომტანი უნდა ყოფილიყო.

ვინ რას გაიძახდა ამ „ღვთის წყრომის“ წყაროდ! ზოგი არმაზის დამანგრეველად ქალდეველთა ღმერთს ითრუჯანს ასახელებდა.

ისეთებიც გამოჩენილან, რომლებიც მცხეთის კერპთა შემმუსვრელ ძალად იესო ქრისტეს ასახელებდნენ, ნაზარეველ „ღვთაებრივ გმირს“, ვითომც სასწაულთმოქმედ ღვთაებას, ვითომც კაცობრიობის ცოდვებისათვის ჯვარცმით სიკსხლდათხეულს, ვითომც მკვდრეთით აღმდგარსა და ზეცად ამაღლებულს.

ბევრი უკვე იცნობდა „ქრისტეს მოძღვრებას“ და შეფარვით კიდეც აღიარებდა მას.

სომხეთიდანაც ათასნაირი ლეგენდა მოდიოდა. მათ შორის ერთ ასეთ „სასწაულსაც“ ამბობდნენ: სომეხთა მეფე თრდატი ვითომც „ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილიყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულიყო“. ახლა კი მცხეთაში ბევრი იძახდა: ჩვენი კერპები სწორედ იმ ღმერთმა შემუსრა, რომელმაც კაცი ჯერ ღორად აქცია, მერე ის ღორი ისევ კაცად გარდამოაქციაო.

(ხოლო, მოვა დრო, როცა ფეხს აიდგამს თქმულება:

მცხეთა-არმაზის კერპთა შესამუსრავად ქრისტეს მოუხმო სწორედ ნინომ, ლოცვა-ვედრებითა და ცრემლთა თხევითა).

იმ დღეს ნინო არმაზის მთაზე ასულა და კერპთა ნამუსრევნი გულდასმით მოუხილავს.

მერე წასულა მთის ბოლოსაკენ, სადაც აღმართული ყოფილა მეფეთა საჩრდილობელი — ბებერი, აკაკის ჯიშის ხე, „შუენიერი, მაღალი და რტომრავალი“.

ნინო იმ ხეს მისდგომია, დიდხანს უწვალია და ზედ ნიში ამოუჭრია ქრისტეს ჯვარცმის გამოხატულებით.

ექვსი დღე დადიოდა და ლოცულობდა თურმე მისგანვე გამოკვეთილი ჯვარის წინაშე.

უკანასკნელ დღეს აქ მისთვის, მუხლმოყრილსა და მლოცველისათვის, მიუსწრია სამეფო სახლეულთაგან რომელიღაც ქალს, სახელად შ რ ო შ ა ნ ა ს.

სეფექალს ვინაობა უკითხავს ნინოსათვის.

ნინოს არ გაუმხელია თავისი წარმომავლობა. უბრალოდ უთქვამს: ტყვე ქალი ვარო. შროშანას შებრალებია და შესჩენია, — სასახლეში წამომყევიო. ნინო უარზე დამდგარა.

კიდევ სამი დღე დარჩენილა ქრისტიანი ქალწული არმაზის ჯვარ-

ცმის წინაშე. მერე მთიდან წამოსულა, ხიდი გადმოუვლია და მცხეთის სამეფო სასახლეს მისდგომია.

აქ მშვენიერი წალკოტი გაშლილიყო, მრავალფერი ყვავილნარ-ბალახებით, ბუჩქნარებით და ხეებზე ახლართული ვაზებით.

წალკოტის განაპირად მებაღის მცირე სახლი მდგარა.

ნინო იმ სახლს მისდგომია.

სახლიდან ქალი გამოსულა, მებაღის ცოლი, სახელად ა ნ ა ს ტ ო.

ანასტო დაუტყვევებია უცნობი გოგონას სიმშვენიერესა და კდემა-მოსილებას.

უძეო ცოლ-ქმარს უცხო ქალწული ღვიძლი შვილივით შეუკედლებიათ და შეუყვარებიათ.

ცხრა თვე უცხოვრია ნინოს მათთან.

ნინო ანასტოსთან ერთად ბაღში დადიოდა, ყვავილებსა და ბალახებს ჰკრეფდა, ხარშავდა, რაღაც წამლებს ამზადებდა.

ანასტოსაც უსვამს ნინოს ნახარში წამალი და „სასწაულსაც“ აღარ დაუყოვნებია:

მებაღის ცოლს შვილი შესძენია (!).

ცადაფრენილი ცოლ-ქმარი ნინოს დაურწმუნებია, უძეობით განკურნება და ყრმის დაბადება ქრისტეს ნებით მოხდაო. მებაღესა და მის ცოლს ისღა დარჩენოდათ, ქრისტიანობა მიეღოთ, — „აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს ფარულად“.

მალე ამის შემდეგ ნინო მახლობელ მაღლობზე ასულა.

მაყვლის ეკალბარდს მოეცვა ბორცვი.

იმ დღესვე ნინოს ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გაუმართავს, საკუთარი ნაწნავიდან აჩრილი თმით შეუკრავს და ყველაზე მაღალი მ ყ ვ ლ ი ს ბუჩქის ქვეშ აღუმართავს.

ყოველ დღე-ღამე მოდიოდნენ აქ ნინო და მებაღე ცოლ-ქმარი.

ლოცულობდნენ, ლიტანიობდნენ ამ პირველი ვაზის ჯვრის წინაშე.

ხალხი მოდიოდა, შორიახლო დგებოდა და გაშტერებით უცქერდა უცხო რიტუალს.

დრო მიდიოდა. ნინო დაუცხრომლად იღვწოდა, ავადმყოფთ მკურნალობდა, განკურნებას ქრისტეს მიაწერდა, — „ჰყოფდა კურნებათა და საკვირველებათა ძალითა ქრისტესითა: მრავალნი განრღუეულნი განკურნნა რეცა მიზეზითა წამლისათა“.

ბევრი დაიმოწაფა და გააქრისტიანა.

მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცელდებოდა.

მესამე წელი მიდიოდა.

მეფე მირიანი აქამდე მორჭმით განაგებდა ქვეყანას. ჩრდილოეთიდან ჟამ-ჟამად ხაზართა და ალანთა ნიაღვარს ძლევამოსილად უკუაქცევდა ხოლმე. დიდი ფარნავაზის საფლავს ძვირფასი შესამკობლებით ამკობდა და მის დიდ მამულიშვილურ საქმეებს წარმატებით განასრულებდა.

ქართველთა მეფეს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი, — ძველი ქართულ-პონტოური მიწების შემოერთებაზე ოცნებობდა.

პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა, მეორე ცოლად შეირთო პონტოელი მმართველის ასული, სახელად ნანა.

პონტოურ მემკვიდრეობაზე ხელის დადება რომის ხელისუფლების გადამტერებას ნიშნავდა. ამას იბერიელი მეფე არც ერიდებოდა.

იგი წინა აზიაში პირველობას სპარსელ მბრძანებლებთან ერთად ინაწილებდა.

მაგრამ მირიანის მეფობის შუა ხანებში ერთბაშად მსოფლიო წონასწორობის სასწორი ავისმაუწყებლად შექანდა. რომის საიმპერიო ტახტზე დიდი ხელმწიფე დაბრძანდა. ეს იყო სწორედ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე. მის გახელმწიფებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთში უცნაური ამბავი მოიჭრა: 312 წლის 28 ოქტომბერს მდინარე ტიბრზე, მულვიუსის ხიდთან, კონსტანტინე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება საომარი ძალებით ოთხჯერ უძლიერეს მეტოქეს, მაქსენციუსს. და თითქოს, ბრძოლის წინ ღამეს კონსტანტინეს ჯვარი გამოეცხადა წარწერით: „ა მ ი თ გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ“ (ბერძნ. „ტუტო ნიკა“); მეორე დღეს ბრძოლად გავიდა „ჯვაროსანი დროშით“ და მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გამოდის, ის ვიღაც კონსტანტინე, ქრისტეს აიყვანა ტახტზე (!). კონსტანტინეს დედა, დედოფალი ე ლ ე ნ ე ხომ დიდი ხანია ქრისტიანად ყოფილა მოქცეული, ქრისტიანთა თავგამოდებული მფარველი და ეკლესიათა დაუცხრომელი მშენებელი.

მალე კონსტანტინემ, როგორც ითქვა, ახალი სატახტოც დააარსა და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

კონსტანტინე აღმოსავლური პოლიტიკის თვალთახედვიდან ერთი წუთითაც არ უშვებდა ამაყ ქართველთა ქვეყანას. იცოდა, იქაურ მეფეს თვალი ქრისტიანთა მოსისხლე სპარსეთისაკენ ეჭირა.

ბოლოს და ბოლოს, მირიანმა უარი ვეღარ შეჰბედა პირველი ქრისტიანი ხელმწიფის მოთხოვნას და კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნა თავისი ვაჟი ბ ა ქ ა რ ი.

ქრისტე და ქრისტიანობა!

სამასი წელი გაისმოდა მთელს ქვეყანაზე ეს მისტიკური იდუმალებით გამძლავრებული სახელები. რომის იმპერიის გარეთაც გაიდგა ფესვები ვინმე ნაზარეველის ლეგენდარულმა თავგადასავალმა. კავკასიონის სანახებსაც დიდი ხანია შეჰდგომია ევანგელური საგალობელნი. თვით მირიანის სამშობლოში სამასი წელი დაბეჯითებთ დადიოდა ხმა შესახებ იმისა, რომ ქრისტეს კვართი, მაინცდამაინც, მცხეთის მიწაში განისვენებსო. აკი სამასი წლის წინ, როცა პალესტინაში მეფობდა ჰეროდე, ხოლო ქართლში ადერკი, თითქოს გოლგოთაზე ჯვარს აცვეს მხსნელი და მეუფე კაცობრიობისა, იესო ქრისტე. ამ „მსოფლიო ზღაპარში" საქართველოც მტკიცედ იყო „ჩართული": აკი თითქოს ქრისტეს სიკვდილით დასჯას საქართველოდან ესწრებოდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. სწორედ ამათ წამოიღეს თითქოს ქრისტეს სისხლიანი პერანგი მცხეთას. ელიოზის დამ მკერდში ჩაიკრა კვართი ქრისტესი და სული განუტევაო. ერთად დაკრძალესო ცხედარი პირველი ქრისტიანი ქალისა და ქრისტეს პერანგი მცხეთაში, ხოლო „სად არს ადგილი იგი, მხოლოდ უფალმან უწყის" (!).

უკვე სამი წელი გასულიყო მცხეთაში ნინოს გამოცხადებიდან.

უკვე დადიოდა ახალი ლეგენდა: ზეცით ფრინველნი მოფრინავენო; მტკვარში ჩაეშვებიან, განიბანენ, განსპეტაკდებიან, მერე სამეფო წალკოტში აფრინდებიანო, ვაზებს შეეფინებიან, ყურძენს მოესთვლებიან, კვლავ ძირს დაეშვებიან, ყვავილებს დაჰკორტნიანო და... ნინოს სტვენა-გალობით შემოესევიან, კალთა-უბეში ჩაუფრინდებიან.

ბევრი მიმდევარი გასჩენოდა ქრისტიანობის მქადაგებელ ქალს.

მირიანიც, რაკი უკვე ვასაც „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა, არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა".

სამაგიეროდ, დედოფალი ნანა გმობდა თურმე გულფიცხელად ახალ მოძღვრებას.

მერე კიდევ ერთი „სასწაულის" ამბავი გავარდა მცხეთაში.

ერთი ვინმე ქვრივი ქალი ყოფილა, რომელიც უშვერად აგინებდა ნინოსაც და მის სათაყვანო ქრისტესაც. ამ ქალს ერთადერთი ვაჟი ჰყოლია, ჯერ უწვერული ყმაწვილი, რომელიც რაღაც მძიმე სენს შეუპყრია და სიკვდილის პირას მიუგდია. ზარდაცემული დედა გრძნობადაკარგულ შვილს მცხეთაში კარდაკარ დაატარებდა და ყველას, სააქიმო საქმის მცოდნეს და არმცოდნეს, შველას ევედრებოდა. ბოლოს, როცა

ხსნა აღარსაიდან გამოჩნდა, სასოწარკვეთილი ქალი თავისი სნეული შვილითურთ ნინოსთან მისულა, მის წინ მუხლებზე დაცემულა და სიკვდილისაგან შვილის გადარჩენა უთხოვნია.

ნინოს ავადმყოფი გაუსინჯავს და უთქვამს: ამას ღმერთი ჩემი, ქრისტე განკურნავსო და ყმაწვილი რაღაც ბეწვიან საგებელზე დაუწვენია, — საგებელზე, რომელზეც თვითონ ლოცულობდა და ავადმყოფებს კურნავდა. მერე მისდგომია, უწამლია, ულოცია, შეულოცია და... „მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა". ხოლო, სიხარულით შეშლილმა დედამ თითქოს მაშინვე შესძახა:

„არა არს სხუა ღმერთი თვინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო".

უთქვამს, ნინოს დამოწაფებია და ქრისტეს სჯულს შესდგომია.

ლეგენდა „ახალ ფაზაში" შედის:

ლოგინად ჩავარდნილა დედოფალი ნანა. სენი ჰქონია რაღაც უცნაური და უმძიმესი, „რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო, რამეთუ ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკვეთილ".

რაკი საშველი აღარ ყოფილა, დედოფლისთვის მოუხსენებიათ „იმ ტყვე-ქალის" შესახებ, რომელსაც თვითონ დედოფალი აგინებდა და დასცინოდა. ნინომ ყველა განკურნა თავისი სასწაულთმოქმედი ლოცვით და შენც დაგიბრუნებს ტანის სიმრთელესო, არწმუნებდნენ დედოფალს. ნანა დათანხმებულა და მსახურნი წარუგზავნია ნინოს მოსაყვანად.

ნინო იმ მაყვლის ბუჩქთან უპოვნიათ, — ვაზის ჯვრის წინ ლოცულობდა თურმე მუხლმოყრილი.

კარისკაცებს დედოფლის ავადმყოფობის ამბავი გადაუცია და დედოფლისვე ბრძანებით სასახლეში გამოცხადება მოუთხოვიათ.

ნინოს მშვიდად უპასუხნია: ბრძანებით ჩემი აქედან გასვლა არ შეიძლებაო, თვითონ დედოფალი მოვიდესო აქ, „საყოფელსა ამის ჩემსა".

ნანა დედოფალს ისღა დარჩენოდა, ტყვე-ქალის ნება შეესრულებინა, ტახტრევანზე მწოლარე დედოფალი, უფლისწულ რევისა და დიდძალი ამალის თანხლებით, ეახლა ნინოს ჯვარსასვენებელ მაღლობზე.

ნინოს დედოფალი ნანა „საკურნებელ საგებელზე" დაუწვენია,

დიდხანს ულოცია, მერე ჯვარი აუღია და ავადმყოფისთვის ჯვარსაბნედ გადაუსახავს: „შეახო თავსა, ფერხთა და მხართა ჯუარის სახედ“.

და კვლავ მომხდარა „სასწაული“: დედოფალი ნანა „მეყსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული“.

ახლა უკვე ქართლის დედოფალს უბრძანებია სიტყვა დიდძალოვანი: „არა არს სხუა ღმერთი, თვინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი“.

უთქვამს და თვითონაც მიუღია ქრისტიანობა, დამოწაფებია ნინოს და სხვებისთვისაც მოუწოდებია, შესდგომოდნენ „სასწაულმოქმედი ღვთაების“ გზას.

მეფე მირიანი დიდის გულმოდგინებით გამოჰკითხავდა მეუღლე-დედოფალსა და მის მხლებლებს ქრისტეს „ახალი სასწაულის“ ამბავს. იგი უკვე „დაეპყრო“ ქრისტიანულ მოძღვრებას. კითხულობდა ძველ-თაძველ სჯულ-კანონებს, ძველაღმოსავლურ და იუდაისტურ სადვთისმეტყველო წიგნებს, გულმოდგინედ უსმენდა, სწავლობდა, ჩხრეკდა და სინჯავდა ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყოველ თქმულებას, ნამდვილის მსგავსსაც და წმინდა ზღაპრულსაც.

საქმე იქამდე მისულა, რომ — მეფესაც „შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“.

ამას დართვია კიდევ ნინოსაგან, ასევე „ქრისტეს ნებით“, განკურნება მეფის უახლოესი ნათესავისა და თავგამოდებული კერპთაყვანის-მცემელი მოგვისა.

ბოლოს, პირველი ქართული ქრისტიანული „დრამის“ უკანასკნელი აქტიც „გათამაშებულა“.

ერთ შაბათ დღეს, შუა ივლისში, მეფე მირიანი ახლო ნათესავთა და კარისკაცთა თანხლებით სანადიროდ გასულა მუხნარის ველზე. იგი ფრიად ჩაფიქრებული მჯდარა ცხენზე. მისი გონება რაღაც მძიმე საზრუნავსა და საჭმუნავს დაეტვირთა. ერთგან მეფემ თურმე ცხენი შეაყენა და ამალას მდუმარედ მიუბრუნდა. მერე იმათგან ოთხი უახლოესი და უერთგულესი კარისკაცი გაუხმია და მათთან განაპირებულა. მირიანს მათთვის ასეთი რამ უთქვამს: დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, რომ გრძნეულ და მაცდურ ქრისტიანებს ჩვენს ქვეყანაში ლაგამი ავჰყარეთ და საპარპაშოდ მივუშვით; ახიც იქნება, ამისთვის ჩვენმა ღმერთებმა დაგვსაჯონ; ახლა მე გადავწყვიტე, ყველა ქრისტიანი და ქრისტეს ჯვრის მიმდევარი ამოვწყვიტო და ისევ ქართლის ძველ-მპყრობელ ღმერთებს შევუდგეთო; მე ამას ჩემს მეუღლეს, დედოფალ ნანასაც ვეტყვი და

მოვთხოვ, დაუტეოს ქრისტიანობა, ხოლო თუ არ შეისმენს, სხვებთან ერთად იმასაც მოვაკვდინებო.

ეს უთქვამს მეფეს და ოთხივე კარისკაცისთვის ფიცი ჩამოურთმევია ამ დიდ განზრახვაში თანადგომა-თანაბრძოლისათვის.

გზა გაუგრძელებიათ და ნადირობად მოსდებიან მთასა და ბარს.

მირიანს მუხნარის სანახები მოუვლია და თხოთის მთაზე ასულა-კარგა ხანს იქიდან უთვალიერებია კასპისა და უფლისციხის მიდამოები.

სამხრობის დრო რომ დამდგარა, უცებ ჩამობნელებულა.

მზე თითქოს ჩამქრალა, დღე გაცრეცილა, წყვდიადი ჩამომდგარა.

მეფე შეძრწუნებულა. მთიდან დაშვებულა. გაოგნებული გზას ძლივს იგნებდა დაქანებულ ციცაბოებზე და უსიერ მაღნარებში.

მიდიოდა და საშველად მოუწოდებდა ქართლის ძველ ღმერთებს — არმაზს და ზადენს, გაცსა და გაიმს. საშველი კი არ ჩანდა. ასე რომ, ძველმა ღმერთებმა სულ დაკარგეს მეფის თვალში „ავტორიტეტი".

მირიანს ისღა დარჩენოდა, ნინოს სათაყვანო ღმერთს, მის ჯვარს და ჯვარცმას შევედრებოდა. ოღონდ შენ მიხსენ, ნინოს ღმერთო, ეს ბნელი გამინათე, გზა-კვალი მაჩვენე და სამაგიეროდ შენს სახელსაც ვაღიარებ, ჯვარსაც აღვმართავ, თაყვანსაც ვცემ, ჩემს საქრისტიანოსაც სალოცავ სახლსაც ავიშენებ და სულ ნინოს სჯულის მორჩილი და მოთაყვანე ვიქნებიო, — იძახდა თურმე მეფე.

და ზღაპრის ფინალიც მოედინება ჩვეულებრივი, მარტივი წიაღსვლით: წყვდიადს ნელ-ნელა შესდგომია ნათელიერი: ცამ გადიწმინდა, მზე გამობრწყინდა და კვლავ დღისსულმა დაიპყრო ქვეყანა. მირიანსაც უტყუარი საბუთი მისცემია „ქრისტიანული სასწაულისა" — აკი სწორედ მაშინ გარღვეულა ბნელი და დამდგარა ნათელი, როცა იგი ქრისტეს ევედრებოდა! (ისეთ ჟამს და ისეთ პირობებში ვინღა იფიქრებდა, რომ ასეთი „სასწაული" ბუნების სასწაული იქნებოდა და არა ბუნების მიღმიერი რომელიმე ღმერთის ნამოქმედარი).

მეფე ცხენიდან გადამხტარა, ხელები აღმოსავლეთისკენ გაუწვართია და ღაღადისი აღუვლენია:

„შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ მიხსენ მე ჴირისაგან და გამინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღმართო ძელი ჯუარისა,

რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იხსენიებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე".

მეფეს ის ადგილი მოუნიშნავს და წამოსულა. დაბნეულ და გაფანტულ ამალასაც მოუყრია თავი მეფესთან. მირიანი ახლა მათ მიბრუნებია და ურძანებია:

„მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე".

სალამო ჟამს ღართის კართან ნანა დედოფალი და სრულიად მცხეთის მოსახლეობა შემოგებებია მეფეს.

მხოლოდ ერთი არ მოსულა მის შესახვედრად.

ეს იყო ნინო, რომელიც იმჟამად მწუხრის ლოცვას აღავლენდა მაყვლოვანში აღმართული ვაზის ჯვრის წინაშე.

მირიანმა ხალხს თვალი მოავლო და შესძახა:

„სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი — მხსნელი ჩემი?!"

„მაყულოვანსა არს და ილოცავს", ყოფილა პასუხი.

მირიანს მცხეთა სასწრაფოდ გაუვლია და მთელი სამეფო სახლულით, ხალხით და ლაშქრით, ნინოსთან მისულა. მისვლისთანავე დაქვეითებულა, მლოცველი ქალწულის წინაშე მოწიწებით წარმდგარა და თვალცრემლიანს მიუმართავს:

„აწ ღირს ვარ სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა".

ნინომ თურმე მეფეს აღმოსავლეთისაკენ აქნევინა პირი, მუხლებზე დააჩოქა, ჯვრით ჯვარი გადასახა და აღსარებას შეუყენა.

ხელმწიფის მოქცევას სამარისებური მდუმარებით უცქერდა ხალხი.

ტიროდა მეფე, ტიროდა დედოფალი, ტიროდა ერი.

ეს ყოფილა ტირილი რელიგიური აღტკინებისა და „გარდასახვისა".

ის ღამე გასრულებულა თუ არა, მეფე მირიანს მოციქულები უფრენია კონსტანტინოპოლს. იმპერატორ კონსტანტინესთვის მიუწერია ქართლში მომხდარ ქრისტესმიერ „სასწაულთა" შესახებ და სასწრაფოდ მღვდლებიც უთხოვია სრულიად ქართლის მოსანათლავად. იგივე მიუწერია ნანა დედოფალს კონსტანტინეს დედის, დედოფალ ელენესათვის, ქრისტიანობის მფარველისა და თვითონ უპირველესი ქრისტიან-ფანატიკოსისათვის.

იბერიის სატახტო ქალაქი ქრისტიანული ციებ-ცხელებით ყოფილა შეპყრობილი. ხალხის გონება სავსებით დაეპყრო „ქრისტეს მოციქული" ქალის ჯადოსნურ სახელს.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიანს ნინო მოუხმია და უთქვამს, ძალიან მეჩქარება ქრისტეს სახლი ავაშენო და სად ავაშენოვო. ნინოს უპასუხნია:

„სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს“.

ამაზე მირიანს უთქვამს: მე ის მაყვლიანი შემიყვარდა, სადაც შენი ვაზის ჯვარი დგას და ქრისტეს სახლსაც იქ ავაშენებდი, გარნა ახლა ასე გადამიწყვეტია, არ დავრიდო არცა ჩემს სამეფო წალკოტს, არცა მის ნაძვთა სიმაღლეს, არცა ვაზთა ნაყოფიერებას, ყვავილთა სურნელებას და ქრისტეს ტაძარი სწორედ ამ წალკოტში უნდა ავაშენო, რადგან ის ციურნი ფრინველნი, მტკვარში განწმენდა-განსპეტაკების შემდეგ, სწორედ ამ წალკოტში მოფრინავენ და ჰიკჰიკ-გალობით შენს კალთაში სხდებიანო.

უთქვამს და მაშინვე შესდგომია ტაძრის მშენებლობას. საშენ მასალად სამეფო ბაღის ხე-ტყეც კმაროდა. უკვე კედლები ამოუყვანიათ და იქვე მოჭრილ ნაძვთაგან სვეტებიც გამოუკოპიტებიათ. სულ შვიდი სვეტის გამზადება ყოფილა საჭირო. ექვსი აღუმართავთ და მეშვიდესათვის, მთავარი დედა-სვეტისათვის, ვერაფერი მოუხერხებიათ: მთელი დღე უწვალებიათ, მაგრამ ვერ აღუმართავთ და ვერ დაუფუძნებიათ თავის ადგილზე. როცა გათენებულა, ხალხს ისევ უხილავს ახალი „სასწაული“: ეკლესიის მთავარი სვეტი უკვე იდგა თავის საფუძნებელზე. მაშინვე ხმაც გავარდა, რომ ვითომც ეს საქმეც ნინოს მთელი ღამის ლოცვა-ვედრებამ, ჯვარსახვამ, ლიტანიამ და ცრემლთა თხევამ განასრულა. ვითომც ნინოს მოწოდებაზე ღამით მოიჭრა ვინმე ჭაბუკი. „ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა“, რომელმაც ხელი ჰყო და აღმართა მთავარი სვეტი ეკლესიისა*.

იმ დღიდან ნინოს ამ „ღვთაებრივ სვეტთან“ ახალ-ახალ „სასწაულთა“ წყება წამოუწყია. აქ, ამ „სვეტი-ცხოველის“ შეხებითა და ხილვით მრავალი სნეული და სხეულგანრღვეული განუკურნია (!).

იმპერატორი კონსტანტინე და დედოფალი ელენე დიდი სიხარულით შეხვედრიან ქართველთა მოქცევას. ელენე უფრო იმით აღტაცებულა, რომ ქრისტეს სჯული ახალ დიდ ქვეყანას „მიეფინებოდა“, ხოლო კონსტანტინე იმის გამო წვდებოდა ცას სიხარულით, — იბერია ამიერიდან შეიქნებოდა მოკავშირე ბიზანტიისა და მტერი სპარსეთისა.

---

* ლეგენდა თავისთვის იყოს და, არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ მცხეთის სვეტიცხოველის ქვეშ მართლაც აღმოაჩინა პირვანდელი ხის ეკლესიის ნაშთები.

კონსტანტინოპოლიდან მცხეთაში ჩამოსულა ეპისკოპოსი იოანე ორი მღვდლისა და სამი დიაკონის თანხლებით. თან ჩამოუტანიათ ლოცვა-კურთხევის, ძმობისა და დობის წერილები იმპერატორისგან და მისი დედისაგან. ძღვნად მოუტანიათ მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის დიდებული ჯვარი და ხატი იესო მაცხოვრისა.

მირიან მეფეს დიდი სიხარულით მიუღია სტუმრები. მერე სასწრაფოდ მოუწვევია ერისთავნი და სპასალარნი მცხეთას.

დაწყებულა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

მირიან მეფე მოუნათლავს ნინოს.

მისი სახლეული — დედოფალი ნანა და უფლისწულნი — მოუნათლავთ კონსტანტინოპოლელ ეპისკოპოსსა და მღვდლებს.

უკურთხებიათ მტკვარი.

იოანე ეპისკოპოსს ქართველი მთავარნი და წარჩინებულნი მოუნათლავს საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, მოგვეთის ხიდის კართან, სადაც მონიშნული იყო ელიოზ მცხეთელის საცხოვრისი. ამიერიდან ამ ადგილს დაერქმევა მთავართა სანათლო. ხოლო, ცოტა ქვემოთ, მტკვრის პირზე, ორ ალაგას, ინათლებოდა ხალხი.

მცხეთა მოინათლა.

ქართლის შიდა დასახლებანიც მოინათლა.

გაჩაღდა ეკლესიათა და ტაძართა მშენებლობა.

მაგრამ ბევრი ქართველთაგანი მტრულად შეხვედრია ახალ რელიგიას. ნათლიღებაზე უარი უთქვამს მირიანის სიძეს, ფეროზს, რანის ერისთავს. არც მისი საერისთავო აპირებდა ქრისტეს აღიარებას.

ქრისტიანობაზე უარი თქვეს მთიელმა ქართველებმა.

მეფემ ნინო და იოანე იხმო და უთხრა: გადავწყვიტე, მახვილის ძალით ვათაყვანო ქრისტეს მთიულეთი და ჩემი სიძე ფეროზიო. ამაზე ნინოს და იოანეს უპასუხნიათ:

„არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი“.

მეფე დათანხმებულა.

მთიულეთისაკენ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა“ დაძრულან წმინდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი.

მაგრამ მირიანს მღვდელთა, ბერთა და მონაზონთა ლაშქრისათვის სამხედრო ლაშქარიც გაუყოლებია ერისთავის სარდლობით,

მისულან მთიულეთს. დაუწყიათ ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა და მოუწოდებიათ ხალხისათვის ნათლისღებად. მაგრამ აქაური ქარ-

თეკლობა ქვლავ უარზე დამდგარა. აგრე არ უნდაო და, „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი". ასე, მთის საქართველოში მახვილის ძალით შეუტანიათ ქრისტიანობა. ბევრი მთიელი მაინც არ შერიგებია ახალ რელიგიას. მეფეს გადასახადი გაუდიდებია გაურჩებული წარმართა თანამემამულეებისათვის.

ნინოს „გამოცხადებიდან" იდგა მეთოთხმეტე წელი. მთიულეთში მლოცველობა დასრულებულა. ნინო თავისი ქრისტიანული ამალით რანისაკენ მიეშურებოდა, რანთა და მათი ერისთავის, მირიანის სიძის, ფეროზის მოსაქცევად.

კუხეთის გავლით მიდიოდნენ.

გზაზე, დაბა ბოდბეში, ნინო ავად გამხდარა.

მის სანახავად უჯარმიდან სასწრაფოდ მოსულან უფლისწული რევი და მისი ცოლი სალომე.

სასწრაფოდ უცნობებიათ მცხეთისათვის.

მირიანს გამოუგზავნია ეპისკოპოსი იოანე.

იოანე თურმე მეფე-დედოფლის სახელით ეეედრა ნინოს, გაჰყოლოდა მცხეთაში.

ნინო უარზე დამდგარა.

მაშინ ეახლნენ და ეაჯნენ თვითონ მირიანი და ნანა.

ნინოს ისევ მტკიცე უარი უთქვამს იქიდან წასვლაზე და რაიმე მკურნალობის მიღებაზე.

„რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი ხორხად ჩემდა და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ".

ამ სიტყვებით მიიცვალა წმინდა ნინო.

იგი მისივე ურყევი ნებით დაუკრძალავთ იქვე, დაბა ბოდბეში, ადგილსა უჩინოსა და „შეურაცხსა".

ასე აღესრულა ეს საოცარი სიზმარ-ცხადი.

ლეგენდა ლეგენდად დარჩა, ხოლო საქართველო ახალი საისტორიო სამანიდან იწყებდა ცხოვრებას.

დიდი სიმბოლიკა მოსჩანს ქართველთა მოქცევის ფორმებშიც:

საქართველო გაქრისტიანდა ვაზის ჯვრითა და ფოლადის ხმალით.

ამიერიდან კიდევ უფრო განემტკიცა „ერთარსება ქართულობისა":

ერთიანი რწმენა, ერთიანი ენა, ერთიანი ხმალი, ერთიანი საწერანი,..

**შემდგომად „მოქცევისა“**

საქართველო საბოლოოდ გაემიჯნა სამხრეთულ-სპარსულ გზას, საიდანაც მას ეროვნული გადაშენების საფრთხე არასოდეს მოშორებია. იგი უფრო პროგრესულ „ერთმორწმუნე“ დასავლეთს დაუკავშირდა.

მცხეთასა და კონსტანტინოპოლს შორის კავშირი მტკიცე საფუძველზე დადგა. იმპერატორმა კონსტანტინემ მირიანის ძე ბაქარი მძევლობიდან გაათავისუფლა და ძვირფასი ძღვენით დატვირთული მცხეთაში გამოისტუმრა. კონსტანტინე მირიანს სწერდა: ჩვენ ამიერიდან ძმები ვართ და ჩვენს შორის მძევლობა საჭირო აღარაა, რადგან შუამდგომლად ქრისტეც საკმარისიაო.

სპარსეთშიც დიდი ხელმწიფე იჯდა იმჟამად—შაბურ II, წინარე მეფის, ჰორმიზდ II-ის ჰარამხანიდან წარმოშობილი. ამის შესახებ ასეთი ხმა იყო დავარდნილი: მეფე ჰორმიზდს დედოფალთან შვილი არ გაუჩნდა. მაშინ მისივე ბრძანებით ჰარამხანას ჰკითხეს, თქვენს შორის ხომ არავინ არის ქალი, მეფისგან დაორკეცებულიო. ასეთი ქალი აღმოჩნდა. დაიბადა შაბურ II, გაიზარდა, გამეფდა. მას ძალიან აწუხებდა ქართლის გაქრისტიანება და კონსტანტინოპოლისა და მცხეთის სასახლის კართა ესოდენი დაახლოება, მაგრამ ჯერჯერობით წუხილი წუხილად დარჩა. ქართლი თავისი გზით მიდიოდა.

პირველი ქრისტიანი გვირგვინოსანის ხელმწიფობა იწურებოდა. სიკვდილამდე მირიანმა დიდი სიმწარე ნახა: გარდაიცვალა ძე მისი რევი. იმ წელსვე თვითონაც ჩავარდა ლოგინად. მან იხმო ბაქარი, დალოცა და თავზე სამეფო გვირგვინი დაადგა.

მირიანი აღესრულა. მეორე წელს მის გვერდით, მცხეთის ტაძარში, დაიკრძალა მისი თანამეცხედრე დედოფალი ნანა...

ახალი მეფე, ბაქარი, წარმატებით შეუდგა მამისაგან დატოვებული ანდერძის აღსრულებას. „ამან მოაქციენა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექციენეს მამასა მისსა“. მის დროსვე მიიღო ქრისტიანობა ფეროზმა და მთლიანად ფეროზის საერისთავო რანმა.

ბაქარის დროს სომხეთში ნახარარები აუჯანყდნენ მეფე არშაკ II-ს. არშაკი საქართველოში ჩამოვიდა და დახმარება ითხოვა. ბაქარმაც გაატანა ქართული ჯარი. სომეხთა მეფემ აჯანყება წარმატებით აღკვეთა.

დიდ სარწმუნოებრივ მოღვაწეობასა და აღმშენებლობას მისდევდა ბაქარის სიკვდილის შემდგომ გამეფებული მისი ძე მირდატ V.

მან პირველმა დაიწყო ფართო საეკლესიო მშენებლობა სამხრეთ საქართველოში. აშენდა ეკლესიანი კლარჯეთში, ერუშეთსა და წუნდაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ეკლესია თუხარისის ციხესა შინა“.

მირდატის დროს მთავარ სალოცავად იქცა მცხეთის „სუეტი ცხოველი“. მეფის ბრძანებით სვეტიცხოველს ნაწილი ჩამოჰრეს და მისგან ჯვარი გამოკვართეს. თვით სვეტის გარშემო წაგებობა აღმართეს და მის ზეთავზე „ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი“ დადგეს.

**დიდოსტატნი „ლოგოსისა“ და „მუზათა ტაძრისა“**

361 წლის აღრიან გაზაფხულზე რომის იმპერატორი კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს ი სპარსეთის საწინააღმდეგო ლაშქრობას ამზადებდა. წინასწარ მან ქართლის მეფეს დიდი ძღვენი გამოუგზავნა. ამით მას სურდა ქართველთა მხრიდან, თუ დახმარება არა, რაიმე საშიშროება მაინც არ შექმნოდა. მაგრამ კონსტანციუსს აღმოსავლური ლაშქრობა იმპერიის შიგნით ატეხილმა ბრძოლებმა ჩაუშალა. მას დიდი ბრძოლა ელოდა საიმპერატორო ტახტის ახალ პრეტენდენტთან, ი უ ლ ი ა ნ ე ს თ ა ნ. გადამწყვეტ შეტაკებამდე კონსტანციუსს სიკვდილმა უსწრო და იულიანეც სისხლდაუღვრელად ავიდა ტახტზე. ეს იყო დიდად ნიჭიერი და განათლებული ხელმწიფე-ფილოსოფოსი, ქრისტიანობის დიდი მოძულე და მისი მეცნიერული განმქიქებელი. ამისთვის ქრისტიანებმა იულიანეს უწოდეს „განდგომილი“.

იულიანე განდგომილსაც ქართველებთან დიდი მეგობრობა ჰქონდა.

ისედაც, მაშინ ბევრი ქართველთაგანი ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. ისინი აქ სწავლობდნენ, თვითონაც ასწავლიდნენ და მეცნიერულ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

ამ დროს რომი-კონსტანტინოპოლის იმპერიაში ძალზე გავრცელებული და გახმაურებული იყო ფილოსოფია ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი ზ მ ი ს ა, რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა და ებრძოდა ქრისტიანიზმს. თვითონ იმპერატორი იულიანე, რომელიც ქრისტიანობას „მკვდრებისა და კუბოების რელიგიას“ უწოდებდა, გამოჩენილი ნეოპლატონიკოსი იყო.

მაგრამ იულიანეს ხანაში ყველაზე დიდი ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსი, რიტორი და მასწავლებელი იყო ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი.

ლიბანიოსს მრავალი მიმდევარი, მოსწავლე (მათ შორის თვითონ კეისარი იულიანე) და მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მათგან ყველაზე ახლობელი, საყვარელი და სათაყვანო ყოფილა ბაკურ იბერიელი, თვითონ გამოჩენილი ფილოსოფოსი, დიდად დახვეწილი რიტორი და შამაცი სარდალი. ლიბანიოსის მრავალ თხზულებათაგან ბევრი სწორედ ბაკურ იბერიელის ნიჭს, ზნეობას, სიმშვენიერესა და სიმამაცეს ეძღვნება:

— უამრავი მეხოტბე ჰყავსო ბაკურს: ზოგი მის სამართლიანობას აქებს, ზოგი ზომიერებასა და თავდაჭერილობას, სხვები მისი სიბრძნით აღტაცებულან, სხვებიც კიდევ ბრძოლის ველზე შემმართებლობით და სახრიანობით. მაგრამ, მე თვითონ, ლიბანიოსს, ბაკურ იბერიელის უამრავ ღირსებათაგან ის მომწონს, რომ იგი გასაოცარი სწორუპოვრობით ფლობს „ლოგოსებს“, მაშასადამე, რიტორიკულ ხელოვნებას.

— სწორედ ამისთვის, ერთადერთ ბაკურ ქართველს შეუძლია, რა დროსაც სურს, შევიდეს ლიბანიოსთან, მოეხვიოს, ლოყები დაუკოცნოს, მთელი ღამეები მის გვერდით გაატაროს და საყვარელ „ლოგოსებზე“ ესაუბროს.

— შენ ყოველთვის სიბრძნის მდელო ხარ, — ეუბნებოდა ლიბანიოსი ქართველ სწავლულს, — ხოლო ჩვენ იმ მდელოზე აღმოცენებულ სიბრძნის ყვავილებს ვკრეფთო.

გაოცებული ვართო შენი ნიჭით;

უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებსო ქებანი შენი ნიჭისადმი;

შენ არანაკლები ვაჟკაცობით მბრძანებლობო საკუთარ ვნებებზე. ვიდრე მბრძანებლობ შენს მეომრებზე;

საოცარია შენი სიბრძნე, არა მხოლოდ აქ, არამედ იქაც, საომარ თალპიონზე;

შენს სულს არ მიჰკარებიაო არავითარი შიში საფრთხის წინაშე;

ვერვინ შეედრებაო ბაკურ იბერიელის „სულისა და სხეულის ღვთაებრივ ბრწყინვალებას“.

კიდევ უფრო გაფართოებულა და განმტკიცებულა საუკუნეთა წინათ გაჩაღებული კულტურული ურთიერთობა ბერძენთა და ქართველთა შორის. გამოჩენილ ბერძენ-ბიზანტიელ მოაზროვნეებს საქართველოც ისეთივე კულტურული ცენტრების სამშობლოდ მიაჩნდათ, როგორც რომი და ბიზანტია. აბა, ყური მიაპყარ, კეთილო მკითხველო, ამნაირ ამბავს:

ლიბანიოს ბერძნისა და ბაკურ ქართველის ურთიერთობათა ჟამს იმპერიაში ცხოვრობდა, აგრეთვე, დიდად სახელგანსმენილი ფილოსოფოსი, რიტორი და პოლიტიკოსი თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი. იგი იყო შვილი ასევე განთქმული ფილოსოფოსის ე ვ გ ე ნ ი ო ს ი ს ა. თემისტიოსი მუდამ დიდი პატივით სარგებლობდა კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე. იყო სენატორი, პროკონსული, დიპლომატიურ მისიათა მეთაური და, ბოლოს, თვით კონსტანტინოპოლის პრეფექტი. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მას იცნობდნენ ვითარცა დიდ ფილოსოფოსს, არისტოტელესა და პლატონის მიმდევარს (მათ ფილოსოფიათა შერიგებას ცდილობდა), ბრწყინვალე რიტორსა და გრამატიკოსს, მაღალგონიერ მოვლენებიან ესთეტსა და მაღალსულიერ მორალისტს. ბევრი მოწაფე აღეზარდა თემისტიოსს. ბევრი მისი წაქეზებით, შუამდგომლობითა და მფარველობით დაუფლებია მეცნიერება-ხელოვნების ნათელ მწვერვალებს. მისი სახლის კარი ღია იყო ყველასთვის, ვისაც „მუზათა ტაძარში“ შესვლა და განათლება მოსწყურებოდა.

და აი, ერთი ყმაწვილი კაცი წერილს სწერს თემისტიოსს. შენი დიდი სიკეთისა და მფარველობის წყალობით ბევრი ზიარებულა ფილოსოფიურ მეცნიერებასა და რიტორიკულ ხელოვნებას, ამიტომ ვბედავ და გთხოვ, მიშუამდგომლო და სასწავლებლად მომაწყო კონსტანტინოპოლის უმაღლეს ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაშიო.

თემისტიოსი ასე პასუხობს უმაღლესი ცოდნის მაძიებელ ყმაწვილს:

მეცნიერებისა და ხელოვნების დასაუფლებლად აუცილებელი არაა მაინცადამაინც სატახტო ქალაქში ყოფნა და სწავლა. სხვაგანაცაა „მუზათა ტაძრები“. თვითონ მე, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, კონსტანტინოპოლში როდი მისწავლია. მე მეცნიერება-ხელოვნების ნაყოფნი მოვწყვიტე ევქსინის პონტის დასალიერს, კოლხეთში, ქალაქ ფასისში, მდინარე ფასისთან, სადაც ოდესღაც შეცურდა და დაივანა ხომალდმა „არგომ“, საბერძნეთიდან კოლხეთს მიმავალი გმირებით. იქაა დიდი „მუზათა ტაძარი“. იქ სწავლობდა ჯერ მამაჩემი ევგენიოსი, გამოჩენილი მეცნიერი და ფილოსოფოსი, მერე, მეც იქვე გამგზავნა სასწავლებლად მამაჩემმა. ალბათ, მიხვდები, რას ნიშნავს რჩევა ერთდროულად მამისა და ფილოსოფოსისა (ამ შემთხვევაში ხომ ერთმანეთს ერწყმის უმაღლესი კეთილმოსურნეობა და უმართებულესი საზრიანობა). იქნება შენ, ან ვინმემ, დაჰგმოს მამაჩემი იმისათვის, რომ მან თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, კოლხეთის „მუ-

ზათა ტაძარში“, ან უფრო მეტად დამგმოთ მე, რომელიც მეცნიერება-ხელოვნებათა საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული, და ზიარებული არა კონსტანტინოპოლში, არამედ იქვე, ისევ და ისევ ფასისის „მუზათა ტაძარში“!..

ეს კი ალარ ვიცით, როგორ შეისმინა იმ ყმაწვილმა კაცმა დიდი მოაზროვნის შესანიშნავი შეგონება.

იმპერატორი იულიანე დიდ ფასს სდებდა ქართველებთან კულტურულ ურთიერთობასაც და პოლიტიკურ კავშირ-მეგობრობასაც. იგი სპარსეთის წინააღმდეგ დიდ ლაშქრობას ამზადებდა. ქართულ ჯარს მონაწილეობა უნდა მიეღო სპარსეთის დალაშქვრაში. ლაზეთიდან ერთი ლეგიონი გაეშურა. ლეგიონს სათავეში ედგა სარდალი ვეტრანიონი.

ლაშქრობა დაიწყო 363 წელს. იგი დაიწყო რომაელთა დიდი წარმატებებით. იულიანემ გადალახა ევფრატი და დაიპყრო მთელი ჩრდილოეთი მესოპოტამია. ქტესიფონი შიშმა მოიცვა. შაბურმა კეისრის ქარავში ელჩი აფრინა და ზავი ითხოვა. იულიანემ, ვითარცა ერთ დროს ალექსანდრემ დარიოსს, ზავზე უარი შეუთვალა მოპირდაპირეს. მას სურდა სპარსელთა არმიას გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვედროდა გაშლილ გავგამელას ველზე, სადაც დიდმა მაკედონელმა მესამე დიდ შერკინებაში საბოლოოდ გაანადგურა დარიოს კოდომანის ჯარები.

მაგრამ რომაული არმიების გაწრთვნილობა, ლაზთა სიმამაცე და თვითონ იმპერატორის პირადი გმირობა საკმარისი არ აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ბადალი საომარი ოპერაციების გასამართავად. შაბურმა დიდძალ არმიებს მოუყარა თავი ტიგროსის პირთან. გამორჩევით საშიში გახდა სპარსულ კავალერიასთან ჭიდილი. რომაელებმა უკანდახევა დაიწყეს. ასირიული თაკარა მზის მცხუნვარება, სურსათის ნაკლებობა და სპარსელ ცხენოსანთა მძაფრი თავდასხმები აჩანაგებდა რომაულ არმიას.

ბოლოს, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ივნისის ერთ ცხელ დღეს, იულიანეს დაოსებულმა ლეგიონებმა მიაღწიეს ტყით დაფარულ რომელიღაც მაღლობს. აქ ისინი ჩასაფრებულ სპარსელთაგან ყოველი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდნენ. იულიანემ არც ამ უმძიმეს ჟამს უღალატა ჩვეულ მეომრულ სივაჟკაცეს და სიკვდილს გულგრილად შეება. იგი დაუცხრომლად ურბენდა თანამებრძოლთა რიგებს, ამხნევებდა სულიერად დაცემულთ, აქებდა სულით გაუტეხელთ; ის ყველგან იყო, სადაც კი უჭირდათ მისიანებს. გასაოცარი სიმამაცით

იბრძოდნენ ლაზები. შორიდან მძლავრად ნატყორცნმა ისარმა ძირს დასცა ლაზთა მამაცი სარდალი ვეტრანიონი. არ ცხრებოდა იულიანე. სიცხით გათანგულ იმპერატორს აბჯარი გაეძრო და ისე შიშვლად, მახვილითა და დროშით ხელში, ამხედრებული ეტევებოდა მტერს. უცებ მას გვერდში მოხვდა მტრისგან ძალუმად გატყორცნილი სათხედი. კეისარი ცხენიდან გადმოვარდა. მისმა დაცემამ რომაელთა საომარი გზნება ახალი ძალით აღანთო. სასიკვდილოდ დაჭრილი იმპერატორი კვლავ ამხნევებდა თავისიანებს. სპარსელები უკუიქცნენ.

იულიანე სავსებით მშვიდად შეხვდა სიკვდილს. იგი უკანასკნელ წუთებშიც ფილოსოფოსობდა და ამბობდა: მე ჩემს სიცოცხლეს ვუბრუნებ შემოქმედს, ვითარცა სესხს, რომელსაც კეთილსინდისიერად ვიყენებდიო. ქრისტიანული ტრადიცია კი გვარწმუნებს, რომ „განდგომილმა ანტიქრისტემ“ ჟამსა სიკვდილისასა მძულვარებით წამოიძახა:

„შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“

. . .

სპარსეთის მეფე შაბურ II ჩრდილოეთისკენ შემობრუნდა. სომხეთი მას დამორჩილებული ჰყავდა. ახლა ქართლის დაპყრობისთვის შეუდგა საომარ სამზადისს.

იდგა 368 წელი.

ქართლის ტახტზე იჯდა მეფე საურმაგ.

ხოლო კონსტანტინოპოლის ტახტზე — საურმაგის „მოკავშირე და მეგობარი“, იმპერატორი ვალენტი.

მეფე შაბური უზარმაზარი არმიებით შემოესია ქართლს.

ქართველებმა ბრძოლა წააგეს.

რომაელებს „მოკავშირეთათვის“ მოკავშირეობის გაწევა არც გახსენებიათ.

საურმაგმა ტახტი დათმო.

შაბურმა ქართლის ტახტზე დასვა საურმაგის ნათესავი ვარაზ-ბაკური, მისი შვილი კი მძევლად წაიყვანა სპარსეთს.

საურმაგს ბრძოლაზე ხელი არ აუღია. იგი რომის კეისართან, ვალენტისთან ჩავიდა და თორმეტი ლეგიონი გამოართვა.

საურმაგი მცხეთას მოადგა რომაული ჯარებით.

ვარაზ-ბაკური პირადად გაეგება საურმაგს, ნათესაური სიახლოვე მოაგონა და იბერიის სამეფოს ურთიერთ გაყოფა შესთავაზა.

საურმაგიც დათანხმდა.

ქართლი, ქართველთა ურთიერთ შეჭლეტის გარეშე, ორად გაიყო. საზღვრად მტკვარი გამოცხადდა. მარჯვენა მხარე საურმაგს ერგო, მარცხენა — ვარაზ-ბაკურს.

ქართლის ამნაირი „სტატუსი“ რომმა მოიწონა, ხოლო სპარსეთმა დაიწუნა.

შაბური ვალენტის უთვლიდა, იბერიაში ორმეფობა უნდა გაუქმდეს და ერთიანი ტახტი ისევ ვარაზ-ბაკურს დაუბრუნდესო, მაგრამ რომის იმპერატორი გადაჭრილ უარზე იდგა.

იმ ხანებში უკვე დაწყებული იყო მსოფლიოში ცნობილი „ხალხთა დიდი გადასახლებანი“. პირველად გამოჩნდნენ ევროპაში მრისხანე აღმოსავლელი, მონღოლური მოდგმის ველური ტომები — ჰ უ ნ ე ბ ი, რომელთაც შეავიწროვეს აღმოსავლეთ გერმანელთა — ოსტგოთთა ტომები. ოსტგოთებმა თავის მხრივ სარმატებიც აიყოლიეს და აღმოსავლეთ რომის იმპერიის საზღვრებს მიაწყდნენ. მალე მათ დასავლეთ გერმანელები — ვესტგოთებიც შეუერთდნენ.

377 წელს გერმანელებმა დუნაი გადალახეს და თრაკიაში შეიჭრნენ. იმპერატორმა სახელდახელო ჯარი აფრინა მრავალნაცადი და ნაწრთობი სარდლის, იმპერატორის გვარდიის უფროსის, ბ უ ზ მ ი რ ი ბ ე რ ი ე ლ ი ს სარდლობით.

ქართველი სტრატეგოსი ქ. ტიბალტუმთან შეება ბარბაროსთა უზარმაზარ ურდოს.

ბუზმირ იბერიელის საარაკო სიმამაცემ გააოცა მტერიც და მოყვარეც. მისი ჯარი გერმანელთა ურდომ ალყაში მოაქცია. დიდხანს იბრძოდა ბუზმირი, ბევრი გერმანელი დააწვინა მისმა მახვილმა. თვითონ კი იდგა და იბრძოდა მტრის იარაღისგან შეუღწეველი. გერმანელები შორიდან უშენდნენ ისრისა და სათხედის მერეხს. ბოლოს, სისხლდაცლილი და ჯანგავარდნილი დაეცა ქართველი სარდალი.

ამის შემდეგ გერმანელები უფრო შემტევად მოითხოვდნენ კეისარ ვალენტისგან იმპერიის საზღვრებში დასახლებას და სამაგიეროდ იმპერატორს სამხედრო სამსახურში გასვლას აღუთქვამდნენ. ვალენტი გაბრიყვდა და ნახევარი მილიონი გერმანელი დუნაის სამხრეთით გადაატარა.

საბედისწერო შეტაკება გარდუვალი შეიქნა.

ბრძოლა მოხდა ქალაქ ადრიანოპოლთან, 378 წლის 9 აგვისტოს. გერმანელთა ლაშქარს სარდლობდა მამაცი და ნიჭიერი ფ რ ი დ ი გ ე რ ნ ი.

რომაულ არმიებს სათავეში ედგა თვითონ იმპერატორი ვალენტი. სათადარიგო ჯარებს სარდლობდა ბაკურ იბერიელი.

ბრძოლა რომაელთათვის საბედისწერო გამოდგა. გერმანელთა და სარმატთა მრავალრიცხოვანმა კავალერიამ ბრძოლის დასაწყისშივე გაანადგურა ვალენტის ცხენოსნები. ფლანგებიდან გაშიშვლებული ლეგიონები ყოველი მხრით ისრების, შუბებისა და სათხედების სეტყვის ქვეშ მოექცნენ. ბაკურ იბერიელმაც მარცხენა ფრთიდან ამაოდ დასძრა მარჯაფი ჯარი, რომაელთა არმიები თითქმის მთლიანად გაიჟლიტა. ბრძოლაში დაიღუპა ორმოცამდე სარდალი, მათ შორის თვითონ იმპერატორი ვალენტი. მცირერიცხოვან გადარჩენილთა რაზმები სიკვდილისაგან ძლივს დაიხსნა ბაკურ იბერიელმა.

გერმანელთა კავალერია კონსტანტინოპოლს მიადგა.

ბაკურ იბერიელ სახელდახელოდ შეყრილი ახალი ლაშქრით, იარაღგამართული იდგა ქალაქის კარიბჭესთან.

ერთ ხანს ყოყმანობდა გერმანელთა ბელადი, ფრიდიგერნი, მერე იბერიელს ზურგი აჩვენა და ჩაილაპარაკა:

„მე შიშველ კედლებს არ ვებრძვი!“ — და კონსტანტინოპოლს გაშორდა.

ანდრიანოპოლთან მომხდარი ტრაგედია ლიბანიოსის სამგლოვიარო სიტყვით დასრულდა.

ლიბანიოსი კვლავაც დიდი სიყვარულით და თაყვანისცემით იხსენიებდა ბაკურ იბერიელს, ლოგოსის დიდოსტატსა და საომარ ველთა უპირველეს გმირს.

მაგრამ კონსტანტინოპოლის სასახლის კარი გერმანელებთან ომის წაგებას ბაკურ იბერიელს აბრალებდა. ქართველმა სარდალმა უდროო დროს შეუტია და საქმეც ამან გააფუჭაო.

რა გაეწყობა! უცხოობაში მყოფ ქართველებს იღბლად მოსდგამდათ: თუ გაიმარჯვებდნენ, მადლობის მთქმელი არავინ იყო, ხოლო თუ მარცხი იქნებოდა, მაშინვე მარცხიან ხელს ქართველებს შეახოცდნენ.

ვალენტის დაღუპვით სპარსეთის მეფემ ვერ ისარგებლა და საქართველოს საქმეებში ვერ ჩაერია, რადგან, ჯერ ერთი, კონსტანტინოპოლის ტახტზე ძლიერი ხელმწიფე დაჯდა, მეორეც, თვითონ შაბურიც სულ მალე მოკვდა.,

კონსტანტინოპოლის ახალი კეისარი იყო თ ე ო დ ო ს ი I, ტრაიანესა და ადრიანეს მსგავსად, წარმოშობით ესპანელი, ნიჭიერი, მა-

მაცი და ენერგიული გვირგვინოსანი. ეს იყო რომის უკანასკნელი დიდი იმპერატორი, ჭეშმარიტი ორეული ტრაიანესი.

ხოლო სპარსეთში სუსტი მეფენი მიჰყვნენ ზედიზედ — არდაშირ II და შაბურ III. ორივე შეთქმულებმა მოკლეს.

ქართველებსა და რომაელებს შორის უფრო განმტკიცდა მეგობრობა.

ამ მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია არც იმას, რომ სწორედ თეოდოსის გამეფების ჟამს ჭანების ქართულმა ტომმა მორიგი მაოხარი ლაშქრობა მოაწყო კაპადოკიაში, კილიკიასა და სირიაში.

თეოდოსის დროს კვლავაც უფრორე აბრწყინდა ვარსკვლავი ბაკურ იბერიელისა.

392 წელს დასავლეთ რომის იმპერია ხელთ იგდო ე ვ გ ე ნ ი ო ს მ ა, რიტორმა და კვესტორმა, დიდად ნიჭიერმა და განსწავლულმა კაცმა. ევგენიოსმა თეოდოსის საჩუქრები გამოუგზავნა და დასავლეთის იმპერატორობაზე დასტური სთხოვა. თეოდოსიმ არაფერი უპასუხა. ეს ომის ნიშანი იყო და დაიწყო კიდეც.

ბრძოლა გაიმართა 394 წელს, ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ აქვილეასთან.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. თეოდოსის სარდალთაგან საარაკო შემმართებლობით იბრძოდა ბაკურ იბერიელი, მოპირდაპირენი ღამემ გაჰყარა, მეორე დღის დადგომისთანავე ისევ ეძგერნენ ერთიმეორეს. საშინელი ქარბორბალაც ამოვარდა. დიდის მხნეობით იბრძოდნენ თეოდოსის მომხრენი, „განსაკუთრებით კი ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით; ვინც კი მის ახლო მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრით განგმირავდა, ზოგს მახვილით გააპობდა. მან გაარღვია მის წინ მჭიდროდ შეკრულ-შეერთებული მტრის წყებანი, მისგანვე შემდრკალ და უკუქცეულ მოპირდაპირის შუაგულში შეიჭრა, დახერგილ გვამებს ზედ გადაეცლო და თვითონ უზურპატორს გულდაგულ მიეჭრა“.

ევგენიოსმა მახვილი აღმართა. ბაკურმა მახვილითვე ჩაუჭრა, ხელდახელ ეძგერა და ცხენიდან დაითრია. მისი მეომრებიც წამოეშველნენ. ევგენიოსს ხელები შეუკრეს და წინ გაიგდეს. მისმა ჯარებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და ფრანკი ბელადის, არბოგასტის მეთა-

ურობით, მახლობელ მთებს შეეფარნენ. მალე არბოგასტმა მახვილი დაიკრა გულში.

ბაკურ იბერიელმა ევგენიოსი თეოდოსის წარუდგინა. როგორც კი ევგენიოსი იმპერატორის წინ მუხლებზე დაეცა, მაშინვე მას თეოდოსის კარისკაცები მიესივნენ და მახვილებით აჰკუწეს.

ბაკური აღაშფოთა და შეაძრწუნა მონური სულის ადამიანთა ასეთმა მხეცობამ.

ამის შემდგომ ბაკურ იბერიელი თეოდოსიმ პალესტინაში მდგარი არმიების მთავარსარდლად გაამწესა.

შესაძლოა, აქ, პალესტინაში აღესრულა სიცოცხლე ბაკურ იბერიელისა, მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული რიტორი-ფილოსოფოსისა, უბრძენესი პოლიტიკოსისა, უმამაცესი ჯარისკაცისა და მხედართმთავრისა. :

შესაძლოა, სწორედ ამ ბაკურის სახელი იხსენიებოდეს V საუკუნის ქართულ წარწერაში, რომელიც უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა იერუსალიმის მახლობლად პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მიერ აშენებულ ქაროულ მონასტერში...

### ამბავი კიდევ ერთი ფარსმანისა

ამასობაში სპარსელებმა კვლავ ვერ მოახერხეს ქართლის საქმეებში ჩარევა. კიდევ ერთი შაჰინშაჰი მოჰკლეს შეთქმულებმა ქტესიფონში — ბაჰრამ IV. ჯერჯერობით იეზდიგერდ I იმაგრებდა სასანიდურ ტახტს.

არ ვიცით, როგორ გათავდა საურმაგისა და ვარაზ-ბაკურის ორმეფობა, მაგრამ IV საუკუნის მიწურულში ქართლი ისევ ერთიანი სახელმწიფოა.

395 წელს იმპერატორმა თეოდოსი პირველმა სიკვდილის წინ იმპერია თავის ორ შვილს გაუყო: აღმოსავლეთი 18 წლის არკადიუსს, დასავლეთი 11 წლის ჰონორიუსს. ამის შემდეგ რომის იმპერია აღარასოდეს გაერთიანებულა.

ასე ორად გახლეჩილმა შედგა ფეხი დიდმა მსოფლიო სახელმწიფომ მისთვის საბედისწერო V საუკუნეში.

აღმოსავლეთ იმპერიის მბრძანებელი, რომელთანაც საქართველოს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, უნიჭო, უქნარა, უზნეო და უნებისყოფო არკადიუსი კონსტანტინოპოლის სასახლეში უზრუნველ

ცხოვრებას მისცემოდა, სახელმწიფო საქმეები კი ხელთ ჩაეგდო მედროვეს, რ უ ფ ი ნ უ ს ს, წარმოშობით გალ-ბარბაროსს.

დასავლეთშიც, რომში, ხელმწიფე ერქვა ასევე უნიჭო, უმაქნის ავადმყოფ ბიჭუნას — ჰონორიუსს, ხოლო ნამდვილი გამგებელი აქაც იყო მედროვე, სახელად ს ტ ი ლ ი ხ ო ნ ი, წარმოშობით ვანდალ-ბარბაროსი.

ძმებს, არკადიუსს და ჰონორიუსს, ერთმანეთი ჰირის დღესავით სძულდათ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთმანეთს მტრობდნენ.

ნამდვილ მმართველებს, რუფინუსსა და სტილიხონსაც ერთმანეთი სძაგდათ და მუდამ ერთიმეორის გასანადგურებლად იყვნენ შემართულნი.

რუფინუსს სურდა არკადიუსი თავის დაზე დაექორწინებინა და ამით კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე საკუთარი მდგომარეობა კიდევ მეტად განემტკიცებინა. მაგრამ იმ დროს, როცა რუფინუსი ანტიოქიაში წავიდა იქაურ მცხოვრებთა ასაწიოკებლად, საჭურისმა ევტროპიუსმა (რომელიც აგრეთვე ცდილობდა იმპერატორი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია) არკადიუსს აჩვენა ფრანკი სარდლის ასული ე ვ დ ო ქ ს ი ა. ქალი ძალიან ლამაზი იყო. იმპერატორმა ევდოქსია უყოყმანოდ შეირთო ცოლად. რუფინუსი ერთბაშად დააქვეითეს და კიდევაც მოჰკლეს. ევტროპიუსი გამარჯვებას ზეიმობდა.

მაგრამ კონსტანტინოპოლის სასახლეში კიდევ გამოჩნდა დროის რჩეული. ეს იყო ფ ა რ ს მ ა ნ ი ბ ე რ ი ე ლ ი, ძე ვარაზ-ბაკურისა, კაცი ხიჭით და ახედრული სიბაძაცით დიდად აღბატებული, ტახად ახოვანი და პირად სახიერი.

არკადიუსს საღვთო კონსისტორიონში სარდალთა მიღება ჰქონდა. ევდოქსიამ მაშინ პირველად იხილა სარდალთაგან უპირველესი და უმშვენიერესი ფარსმან იბერიელი.

იმ ღამით ავგუსტა-დედოფალმა ფარსმანი ქრიზოტრიკლინიუმში მიიწვია, საკუთარ სანთიობოში.

ძლიერ მიჯნურობას დიდხანს ვერ დაფარავს საიდუმლოების ფარდა. ბოროტ საჭურისს არ ეძინა. ევტროპიუსის მსტოვრებმა მტკიცედ დაადგინეს დედოფლისა და ქართველი უფლისწულის რომანი. ეს სწორედ მაშინ, როცა იმპერიის მთავარსარდლის პოსტზე ორი კანდიდატურა იყო: იბერიელი ფარსმანი და გერმანელი გაინა. იმპერატორი უკვე ფარსმანის მხარეზე იყო გადახრილი, როცა ევტროპიუს-

მა მას ქართველი უფლისწულის დანაშაულებრივი მიჯნურობის ამბავი შეატყობინა. უნებო და უნიჭო არკადიუსს ევდოქსიას გაწირვა არ შეეძლო, ხოლო მისი მიჯნური სასიკვდილოდ მოინიშნეს. საფრთხის მოახლოება დედოფალმა მაინც დროზე შეატყობინა გულის რჩეულს. მაცნედ და მაშველად სუბარმახიოსი გაუგზავნა, „ნამდვილი კოლხი“, ღვინისა და იარაღის მოყვარული, მძლავრსხეულოვანი, უებრო მოისარი და მახვილოსანი.

შუაღამისას წამოაგდო ფეხზე სუბარმახიოსმა ფარსმანი. თვითონ წამსვე გაუჩინარდა. ფარსმანი ცხენს მოახტა და ოქროს რქისაკენ გაქუსლა. ევტროპიუსმა მდევარი დაადევნა. მდევრებს სუბარმახიოსი შეერია. ზედ ოქროს რქისა და ბოსფორის შესაყარში გზა უყელეს ფარსმანს. მახვილი გაიძრო დევნილმა. სუბარმახიოსმაც კუნაპეტ ღამეში იდუმალ აამოქმედა მახვილი. მდევართა უმრავლესობა დახოცეს. ფარსმანი ზღვაში გადაეშვა. გადარჩენილებმა იფიქრეს, რომ იგი დაიხრჩო. მაგრამ ფარსმანმა ბოსფორი გადასცურა და დილით, დღე-ღამის განსადრეკელზე, უკვე აზიის მიწაზე იყო.

კონსტანტინოპოლში ამბავი ჩამოვიდა: კეისრის ოჯახის გამბახებელი, ის, ვინც ბოსფორის ფსკერზე თევზთა კერძად ეგულებოდათ, იბერიაში სამეფო ტახტზე დაბრძანებულა.

თორმეტი წელი (400 — 412 წწ.) მეფობდა ქართლში ფარსმან IV. რვა წელი მტრობდნენ ერთმანეთს მცხეთა და კონსტანტინოპოლი. ჟამიდან ჟამზე თავს ესხმოდა მეფე ფარსმანი რომის აღმოსავლურ საზღვრებს. ერთ ჟამად არაგვის კარიც გახსნა და თეთრ ჰუნებს მისცა გზა ბიზანტიურ სამანთა ასაოხრებლად.

კეისარ არკადიუსს საფლავში ჩაჰყვა ქართველი მეტოქის, ერთდროულად პოლიტიკური მტრისა და რაყიფის ჯაერი. 408 წელს იგი გარდაიცვალა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის ტახტი მის მცირეწლოვან ვაჟს, შვიდი წლის თეოდოსი II-ს დარჩა. იმპერიის ნამდვილი გამგებლები იყვნენ: ჯერ პრეფექტი ანთიმოზი, შემდეგ იმპერატორის უფროსი და პულხერია,—ერთიც და მეორეც ჭკვიანი, დაკვირვებული სახელმწიფო მმართველნი.

ამათ დაუყოვნებლივ დაიწყეს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. ქართველ მეფესაც უნდა შეეცვალა დასავლური პოლიტიკა, რადგან სამხრეთიდან, როგორც ეტყობოდა, სპარსული საფრთხე დიდხანს არ მოიხსნებოდა.

ცხონებული პეტრეს სამშობლო იყო სახელოვანი ქვეყანა იბერთა, რომელნიც მზის აღმოსავალთან ცხოვრობენ.

იოანე რუფუსი.

უფალმა მას უწოდა პეტრე, ესე იგი კლდე; ამიტომ უთხრა მან: და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი, და რომელი შეკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰსნას ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.

იოანე რუფუსთან:
მათე, XVI, 18—19.

ფარსმანის შემდგომ ქართლის ტახტი ეჭირა ბუზმარს, რომლის დროსაც კონსტანტინოპოლის კართან ურთიერთობა სავსებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ბუზმარის პოლიტიკური პარტნიორი, იმპერატორი თეოდოსი II, უკვე ოცი წლისა შექმნილიყო. დამ, პულხერიამ, იგი დააქორწინა ათენელი ფილოსოფოსის, ლეონტის ასულზე, ლამაზ ათენაიდაზე, რომელმაც ნათლობის შემდგომ ჰიიღო სახელი ევდოკია. სხეულებრივ სიმშვენიერის გარდა, იგი იყო დიდად განათლებული, ნიჭიერი, პოეტური ტალანტის მჭონე ქალი. იმპერატორი, რომლის ნიჭი მხოლოდ ლოცვაში, კალიგრაფიასა და ნადირობაში გამოიხატებოდა, მთლიანად ცოლისა და დის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ევდოკია და პულხერია ადგენდნენ სახელმწიფო საბუთებს, რომლებზეც თეოდოსი წაუკითხავად ურთავდა თავის სანაქებო „ლამაზ ხელწერას“. ამ ორი ჭკვიანი ქალის თავგამოდებული შრომით მოხერხდა სწორედ საქართველოსთან ძველი მეგობრული ურთიერთობის აღდგენა.

მაგრამ სპარსეთი არ ისვენებდა. მეფე იეზდიგერდ I (399—421 წწ.) შეშფოთებული იყო ქართველთა და რომაელთა კავშირ-მეგობრობის განახლებით. იგი მცხეთაში ელჩობას ელჩობაზე აგზავნიდა და დაჟინებით მოითხოვდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გაწყვეტას და

სპარსეთთან მეგობრობის გაბმას. წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსეთის მეფე დიდი ომით იმუქრებოდა.

ბუზმარი ორ ცეცხლშუა იწვოდა. არც ბიზანტიასთან ურთიერთობის დათმობა შეეძლო, არც სპარსეთთან სახიფათო ომის წამოწყება სურდა. ორივე მხარეს ერთგულებას ჰპირდებოდა, მაგრამ რაკი რომსა და სპარსეთს შორის ომი მძვინვარებდა, ორივე მხარისადმი ერთგულების აღთქმა ორივე მხარისათვის საეჭვო და არასანდო ჩანდა.

განსაკუთრებით მძლავრობდა იეზდიგერდი. ერთ დღეს მან ბუზმარს გადაჭრით შემოუთვალა, თუ მართლა სპარსეთის მეგობრობა გსურს, მძეულად შენი შვილი გამომიგზავნეო.

ბუზმარს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად მურვანოს, ყრმობიდანვე გასაოცარი ნიჭის მქონე, ცოდნისა და სწავლულობის დიდი მოყვარე. ბავშვობაშივე „ვითარ მიეცა სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი, და გულისხმის-ყოფით აღმოიკითხავნ და იწურთინ დღე და ღამე: რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა, და მადლი ღვთისა იყო მას ზედა".

ბუზმარი სპარსეთთან შერიგებას არ აპირებდა და შვილი მთებში გახიზნა.

თავის მხრივ კონსტანტინოპოლის სასახლის კარიც ძალიან შეუშფოთებია ქართლისადმი სპარსთა მიძალებას: ვაი, თუ ბუზმარ მეფე, ბოლოს და ბოლოს, გატყდეს და ბრწყინვალე მეომრული ძალა, ქართველთა ჯარი, სპარსთა ბანაკში აღმოჩნდესო. ამიტომ იმპერატორმა თეოდოსიმაც აფრინა ეჯიბნი მცხეთაში და ბუზმარს შეუთვალა, შენი შვილი მე გამომიგზავნე კონსტანტინოპოლშიო.

ამის შემდგომ მცხეთაში ელჩობა ელჩობას მოსდევდა, — თუ ქტესიფონიდან, თუ კონსტანტინოპოლიდან.

ბოლოს, რაკი საშველი აღარ იყო, ქართულმა სამეფო კარმა გადაწყვიტა მურვანოსი ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიის კარზე გაეგზავნა.

თორმეტი წლის მურვანოსი კონსტანტინოპოლის სასახლეში მიიყვანეს. იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია დიდი პატივით შეხვდნენ ქართველ უფლისწულს, მკერდში ჩაიკრეს, ამბორჰყვეს და მოუალერსეს. მურვანოსს შეეძლო თავი ეგრძნო, ვითარცა კონსტანტინოპოლის გვირგვინოსანთა შვილსა და ტახტის მემკვიდრეს.

საქრისტიანოს შუაგულში ცხოვრებამ უფრორე აღამაღლა მურვანოსის სულიერი „მოღვაწება: მარხვა ფრიადი, მღვიძარება უზომო, ლოცვა დაუცხრომელი, გლახაკთ-მოწყალება, სიმშვიდე, სიყუარული,

სახიერება, მოთმინება და ყოველნივე ნაყოფნი სულისანი". სასახლის კარზე ყველას უკვირდა მისი საოცარი ნიჭიერება. ძალიან სწრაფად, სრულყოფილად დაეუფლა ბერძნულსა და ასირიულ ენებს. ბადალი არ მოეპოვებოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის განსწავლულობასა და განსჯაში, არცა საქიმო-სამედიცინო ცოდნასა და ოსტატობაში.

მხოლოდ ერთ რამეში გამოიჩინა დიდი „სისუსტე" ქართველმა უფლისწულმა: არ იქნა და არ შეიგუა კონსტანტინოპოლის „მოდური" ფრიეოლური ცხოვრება, უხამსი ეროტიკა. ვულგარული ბოჰემა, თავაწყვეტილი ბაკხანალია, მასთან — მზაკვრობა და მლიქვნელობა, ბილ-მაამებლობა და გულბოროტობა, სიყალბე და ქვეგამხედვარობა. ვერ შეიგებოდა, რომ ქრისტიანული სამყაროს შუაგულში სულ სხვადასხვა და ერთიმეორის გამომრიცხველნი იყვნენ „ლოგოს" (სიტყვა), და „ერგოს" (საქმე).

დადიოდა კონსტანტინოპოლის სრა-სასახლეებში, ტაძრებსა და ჭუჩაბანდებში ქართველი უფლისწული, რომელსაც საუფლისწულო ტანსაცმლის შიგნით თხის ბალნიანი ტყავი ემოსა.

ტანი მალე აიყარა. ტანად სოსანი გახდა, მაგრამ ფრიად გამხდარი და ფერგაცრცვნილი დარჩა. მიწის ფერი ედო და ზეცის სინატიფე. სხეულით მიწაზე დააბიჯებდა და სულით ზეცის მიღმა ილტვოდა.

ერთხელ, მისთვის ჩვეული ღამის თევის ჟამს, როცა კანდელში ზეთი დაიშრიტა, მსახური იხმო და ზეთის მოღება უბრძანა. მსახურმაც განაძლიერა კანდელი, მერე როცა მურვანოსის საწყალობელ ფლასურსა და ნამარხულევ სახეს შეხედა, ნაღვლიანი გესლით უთხრა:

„მეფის ძე ხარ და არა გსურის სამეფოთათვის, და ვითარცა მონაზონი იყოფები მშიერი კვირიაკით კვირიაკემდე".

ამ სიტყვებიდან ერთი მსგეფსი გაატარა მურვანოსმა თავის სენაკში. შვიდი დღე-ღამე იდგა დაყუდებულ ლოცვად და მარხვად. შვიდი დღე-ღამე ხედავდა და ესაუბრებოდა ქრისტეს ზმანებას.

ჩვენ არ ვიცით, რა სიყვარულით უყვარდა პირმშვენიერ დედოფალს ქართველი ხელმწიფისშვილი, მაგრამ კონსტანტინოპოლში ყველამ იცოდა, რომ ევდოკიას ქვეყნად არავინ ჰყვარებია ისე ძლიერად, როგორც უყვარდა მურვანოსი, ძე ბუზმარისა.

შეიძლება, თვითონ კეისარ თეოდოსის მხოლოდ საქართველოს ტახტის საალერსოდ სჭირდებოდა სიყვარული ქართველი უფლისწულისა, მაგრამ ქვეყანამ ისიც იცოდა, რომ კეისარი არც ერთ ახლობელს არ ეპყრობოდა ისე ალერსით, როგორც მურვანოსს, ძეს ბუზმარისას.

კონსტანტინოპოლის ტახტზე მეოცნებე უამრავ „მემკვიდრეთაგან“ ტახტთან ყველაზე ახლოს იდგა ის, ვინც სწორედ ტახტზე არ ოცნებობდა. და ესეც იყო ქართველი უფლისწული მურვანოს, ძე ბუზმარისა.

კეისრის უახლოეს და უერთგულეს კარისკაცთა შორის კიდევ იყო ერთი ქართველი კაცი — მ ი რ დ ა ტ ლ ა ზ ი, „შემკული ღვთისმოშიშობით და მორჩილობით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით“.

მირდატ ლაზი მურვანოსის ნათლია იყო.

ორი ქართველი — ლაზი და იბერიელი — ყველაზე ახლოს იდგნენ კეისრის ტახტთან, მაგრამ არც ერთ მათგანს, გასაოცრად იმა ქვეყნისა, არ სურდა არც ტახტ-გვირგვინი, არც სხვა რაიმე ამაოებით აღსავსე სიამენი მიწიერ-ამქვეყნიურნი.

ერთ დღეს მირდატი და მურვანოსი შეითქვნენ და კონსტანტინოპოლიდან — ამ „გაროსკიპებული ბაბილონიდან“ — გაქცევა და იერუსალიმად წასვლა გადაწყვიტეს. კეისარმა თეოდოსიმ შეიტყო, მურვანოსი დაიბარა და დიდხანს უჩიჩინა, როგორმე კონსტანტინოპოლიდან წასვლაზე ხელი აეღო. მას ეშინოდა, ვაითუ უფლისწულს რამე დაუშავდეს და ქართველთა სამეფო სასახლე მეგობრობის ნაცვლად მტრად გადავიკიდოო. მერე მცველნი დაუდგინა ორივეს, ლაზსაც და იბერიელსაც.

მაგრამ მაინც გაიპარნენ. ღამით, იდუმალ, ოქროს რქისა და ბოსფორის წყალსაყარში ნავი მოიხელთეს, ჩასხდნენ და თავი მისცეს ზღვასა და წყვდიადს. პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვა) გავიდნენ. რამდენიმე დღე-ღამე ებრძოდნენ ზღვას, გააღწიეს. აზიის მიწაზე შედგეს ფეხი. რომელიღაც მცირე ქალაქად მივიდნენ. იქ უცხოურობით ეპვი აღუძრეს ადგილობრივ ფილისტერებს. ამათაც ლტოლვილნი შეიპყრეს და დილეგში ჩაჰყარეს. „სუეტი ნათლისა მაინც წინაუძღოდა მათ“. იმ ღამით „იქმნა ძვრა და შეხის ტეხა, და ელვა ფრიადი“. პახიკით მოცულ პალაპს ტყვეებისათვის აღარ სცხელოდა და ამათაც თავს უშველეს.

ბოლოს, როგორც იქნა, კვლავ მრავალი ჭირთაძლევის შემდგომ, ჩააღწიეს „წმინდა ქალაქად“ — იერუსალიმში.

მათი პირველი მასპინძელი შეიქნა ვიღაც ბერი, სახელად პ ი ნ ი ნ ო ს, რომელიც სამეფო გვარეულობისა ყოფილა, მერე ტახტსა და გვირგვინზე ზრუნვა მიუტოვებია, მეუღლესთან ერთად იერუსალიმს ჩამოსულა, თვითონ ბერად აღკვეცილა, ცოლი — მონაზვნად, და ორივეს ცალ-ცალკე ტაძრებიც აუშენებიათ.

რამდენიმე დღეს პინინოსის სავანეში დაჰყვეს ქართველებმა. მერე წავიდნენ, ეწვივნენ და თაყვანისცეს ქრისტეს საფლავს. აქედან ზეთისხილის მთის მონასტერში მივიდნენ და წარუდგნენ წინამძღვარ გ ე რ ო ნ ტ ი ო ს ს, რომელიც ცნობილი გამხდარიყო ქრისტესათვის ცრემლების ღვრის განსაკუთრებული სიუხვით. ამა ცრემლის მათხევარი გერონტიოსის ხელდასხმით აღიკვეცნენ ბერად ქართველნი.

აღიკვეცნენ და ახალი სახელებით მოინათლნენ:

მირდატს დაერქვა ი ო ა ნ ე.

მურვანოსს — პ ე ტ რ ე.

სამარადჟამო ისტორიაშიც დაივანეს ამა სახელებით: პეტრე იბერიელი, ანუ პეტრე ქართველი და იოანე ლაზი, ანუ იოანე ქართველი.

იწყება პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მრავალმხრივი და დაუცხრომელი მოღვაწეობა. მათი „ღუაწლი და შრომანი გამოუთქმელ არიან“.

ჯერ აღაშენეს მონასტერი თვით იერუსალიმში, სიონის ეკლესიის ჩრდილო მხარეზე, დავითის კოშკის მახლობლად. მშენებლობის დროს ვიღაც ადგილობრივმა სამღვდელომ, რომელსაც იმავე ადგილზე რაღაც შენობის აგება სდომებია, ჩხუბი აუტეხათ. პეტრეს ხმა არ ამოუღია, ისე შევიდა სენაკში. ხოლო იოანე, რომელიც „თავმდაბლობაში მოსეს ჰგავდა“, მოჩხუბარს მშვიდად არწმუნებდა მის უსამართლობაში. ის კაცი მაინც არ დადგა და იოანეს მთელის ძალით გაარტყა ყბაში. იოანემ ტკივილი შეჭამა, მუშები მიატოვა და პეტრეს განარტყამი ლოყა აჩვენა. ორივემ ქრისტესმიერი შეგონება (თუ ერთ ლოყაში გაგარტყამენ, მეორეც უნდა შეუშვირო) გაიხსენა და ლოცვად დაიჩოქა.

მეორე დილით ის ჩხუბის ამტეხი კაცი იმ ადგილზე, სადაც მან იოანეს სილა გაარტყა, მკვდარი იპოვნეს.

პეტრემ და იოანემ, როგორც კი იერუსალიმის ქართული მონასტერი დაასრულეს, მაშინვე იქვე ჭსენონიც (სასტუმრო) ააშენეს თანამემამულე და უცხოელ მორწმუნეთათვის.

ამის შემდგომ კი გრძელდება პეტრე ქართველის გრანდიოზული სატაძრო მშენებლობანი მთელს პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში.

პეტრე ქართველის ღვაწლმა, სიწმინდემ, სიბრძნემ, სიწრფოებამ და სიქველემ დაიპყრო იმდროინდელი მსოფლიო. ყველას, საქრისტიანოს და საწარმართოს, მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო პეტრე ცდილობდა მხოლოდ ჩრდილში მდგარიყო და სააშკარაო-სათაყვანო სარბიელზე სულაც არ გამოჩენილიყო. აშენებდა და თავის სახელს არ არ-

ქმევდა, კურნავდა და იესო მაცხოვარს მიაწერდა, ჭირნახული მოჰყავდა და თავისად არ თვლიდა, წიგნებს წერდა და თავის ვინაობას არც წერილობითი ხელრთვით ამხელდა.

მხოლოდ ერთგან აღიბეჭდა მისი სახელი, მისგანვე აგებულ ქართულ ტაძარში, იერუსალიმის მახლობლად, და სახელი ესე არის მისი ყმაწვილობისა — „მურვანოს". დაწერილია მისი ხელწიფე-მშობლის, „ბუზმარის" გვერდით. ეს ნაგანეს სულიერ განცდათა აღბეჭდილობა გამოსჩანს ამ წარწერებიდან: მარადიული, ტკბილ-მწარე ხსოვნა და სიყვარული სამშობლოისა. იქ გატარებული ყრმობისა და ყმაწვილობისა.

ბერობაზე მაღლა არავითარი თანამდებობა არ სურვებია პეტრეს. მაგრამ იერუსალიმის პატრიარქმა ანასტასიმ ძალით, ხელფეხშებოჭილი, აკურთხა მღვდლად.

იმ ხანად კონსტანტინოპოლიდან უსიამო ამბავი ეწვია პეტრეს: იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია დაშორებოდნენ ერთმანეთს. თურმე თეოდოსის ცოლისთვის ვაშლი გაუგზავნია; მერე ის ვაშლი კეისრის უახლოესი კაცის, პაულინის ხელში აღმოჩენილა და ეს სავსებით საკმარისი გამხდარა ეთქვათ: ევდოკია პაულინის საყვარელიაო. ევდოკია იძულებული გამხდარა სასახლე დაეტოვებინა და მონაზვნად აღკვეცილიყო.

ევდოკია იერუსალიმს მივიდა და პეტრეს ნახვა მოისურვა. პეტრე განერიდა თავის „მოსიყვარულე დედასთან" შეხვედრას. ევდოკიამ კი არ დაიშალა. თუ მას ჩემთან მოსვლა არ სურს, მაშინ მე თვითონ მივალო მასთან და სიონის ეკლესიასა და ქართველთა მონასტერს შორის გადასასვლელსაც გავაკეთებო.

ეს მეტისმეტი იყო. პეტრე მითქმა-მოთქმას შეუშინდა და ევდოკიასთან შესახვედრად გაეშურა.

დიდხანს ისაუბრეს მარტოდმარტო.

ბოლოს ევდოკიამ ოხვრითა და ცრემლთა თხევით უთხრა:

„მომიგონებდე... მომიგონებდე მე შენს წმინდა ლოცვებში!"

„რა სიწრფელე შეიძლება ლოცვის დროს ჰქონდეს ცოდვილს?" — წყნარად ჰკითხა პეტრემ.

დედოფალყოფილი მძიმედ ჩაფიქრდა და მძიმედვე თქვა:

„ჩემს კისერზედ იყოს შენი ცოდვები!"

მაშინ კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ევდოკია არ ისვენებდა;

კვლავ დაჟინებით, ხვეწნა-მუდარით ითხოვდა ახალ შეხვედრას „სულიერ ძმასთან“.

პეტრე იბრძოდა, — „სისხლსა და ხორცს ებრძოდა“; სატანა სარგებლობდა და შიშველი ქალის მოჩვენებებს ლაშქრად ასხამდა თავს.

„უფალო იესო, მომაშორე თვალებიდან ეს საძულველი და უწმინდური სახება. ეს საზარელი-მოჩვენება, მომაშორე და მიხსენ, მომაშორე და მიხსენ!“

ბორგავდა, ოხრავდა, სხეულს იგლეჯდა და იგვემდა.

ბოლოს, გადაწყვიტა იერუსალიმი სულ მიეტოვებინა.

იგი გადასახლდა მ ა ი უ მ-ღ ა ზ ა ს თ ა ნ დაარსებულ ქრისტიანულ ახალშენში.

მალე მაიუმის ეპისკოპოსიც მოკვდა და ხალხმა მის ადგილზე მოითხოვა პეტრე ქართველი. ამან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სენაკის კარი ურდულით ჩაკეტა და გარეთ გამოსვლაზე უარი განაცხადა. კარები შეუნგრიეს, ხელში აიტაცეს და ისე წაიყვანეს. ღამით, გზაზე, ერთ სოფელში დაბანაკებისას, პეტრე მაღლობზე აღმართული სახლიდან იდუმალ გამოვიდა და კლდეზე გადავარდნა დააპირა, მაგრამ დროზე შეუტყვეს და არ დაანებეს.

როცა იერუსალიმში მიიყვანეს და პატრიარქს დასამტკიცებლად წარუდგინეს, პეტრე არ იშლიდა, თავის თავს ცოდვილად და უღირსად თვლიდა, ერეტიკოსი ვარო (იგი მონოფიზიტი იყო) იძახდა და სხვა მისთანანი. მაგრამ არ მოუსმინეს და ეპისკოპოსად აკურთხეს.

დაჯდა პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად. ახალი მოძღვრის ბრძნულმა მეოხებამ ააყვავა და აღამაღლა ქალაქი. საზღვარი არ ჰქონდა პეტრეს „სასწაულქმედობას“: „უწვიმრობასა წვიმიან ჰყოფდა, უშვილოთა შვილიერ, სნეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფდა, მეთევზურთა განუმარჯვებდა. ხოლო მისცა ღმერთმან მადლი წინასწარმეტყუელებისა და სულისა წმიდისა ხილვისა“.

პეტრე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს მსოფლიოში ძალზე ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჯერ, მაშინდელ მსოფლიოს ოთხი დიდი სატახტოდან ოცდაათი გვირგვინოსნის გამოცვლას მოესწრო პეტრე. ამათგან:

რომიდან — 15.

ქტესიფონიდან — 7.

კონსტანტინოპოლიდან — 5.

მცხეთიდან — 3.

აქედან კარგად ჩანს, სად, რომელ სატახტოში უფრო მყარი ან არამდგრადი იყო უზენაესი პოლიტიკური მდგომარეობა.

ყველაზე უფრო უჭირდა რომს. იგი აგონიაში ჩავარდნილიყო. პეტრე მის დამხობასაც მოესწრო. თავისი გაიტანეს ბარბაროსმა გერმანელებმა. ჯერ, 410 წელს, გულფიცხელი ალარიხის მეთაურობით აიღეს იმპერიის ცენტრი. მერე, 455 წელს კოპწლმა მიზანთროპმა ჰენზერიხმა აიღო და გაძარცვა იგი. მესამედ, 476 წელს, გაუთლელმა ოდოაკრმა საბოლოოდ დაამხო და იავარჰყო „მარადიულ ქალაქად“ წოდებული რომი. ამიერიდან დასავლეთ რომის იმპერია სამუდამოდ წაიშალა მსოფლიოს რუკიდან.

ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერია, ცენტრით კონსტანტინოპოლში, კვლავ განაგრძობდა არსებობას. ამიერიდან აღმოსავლეთ იმპერიის მცხოვრებნი თავის თავს კვლავ „რომაელებს“ უწოდებდნენ, მსოფლიო მას ეძახდა „ბიზანტიის იმპერიას“, ხოლო ქართველნი „საბერძნეთად“ უხმობდნენ.

421 წელს ქტესიფონში მოკვდა იეზდიგერდ I. სიკვდილის წინ ორივე შვილი, ხოსრო და ბაჰრამ-გური, იხმო და უთხრა: თქვენგან მეფობას ის მიიღებს, რომელიც გვირგვინს ორ მშიერ ლომს შორის აიღებსო. ხოსრომ უარი თქვა. ბაჰრამმა სახიფათო დავალება აღასრულა და ტახტზე დაჯდა. ამ ბაჰრამ V გურის დროს, 422 წელს, ომი ატყდა კონსტანტინოპოლის იმპერიასა და სპარსეთს შორის. იგი დამთავრდა სომხეთის შუაზე გაყოფით.

საქართველო ამ ომში ჩათრევისაგან გადარჩა.

430 წლის მახლობლად გარდაიცვალა პეტრეს მამა, ქართველთა ხელმწიფე ბუზმარი.

პეტრეს დედამ, ქვრივმა ბაკურდუხტმა, მთელი თავისი სადედოფლო ავლადიდება საქველმოქმედო საქმეებს, — სნეულთა, დავრდომილთა და საპყართა საცხოვრებლებისა და საავადმყოფოების აშენებას მოახმარა.

გამეფდა არჩილი, რომელიც ბიძად ეკუთვნოდა პეტრეს.

არჩილისგან მან ასეთი წერილი მიიღო:

„ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში — როგორც ჩვენ გვყავხარ. ამიტომ გთხოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების მეოხებით ვპოვო მოწყალება“.

უაღრესად ღვთისმოსაობდა ახალი მეფე ქართლისა. სასახლე მგა-

ლობელ-მომღერლებით გაავსო. პურს ისე არ სჭამდა, თუ ქრისტეს სადიდებელ გალობას არ მოისმენდა. სასახლე ეკლესიას დაემსგავსა სავსებით.

არჩილი ძალზე მოხუცი იყო და დიდხანს არ უცოცხლია.

ქართლის ტახტი დაიჭირა მ ი რ დ ა ტ არჩილის ძემ.

მირდატმა ცოლად შეირთო რანის ერისთავის ასული, „ქმნულკეთილი, შუენიერი“, სახელად ს ა გ დ უ ხ ტ.

ამა ქორწინებისაგან დაიბადა ვ ა ხ ტ ა ნ გ...

ისევ პეტრე ქართველის ჟამს ქრისტიანობაში ახალი მწვალებლობა გაჩნდა. კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტმა ე ვ ტ ი ხ ი მ გამოაცხადა, რომ იესო ქრისტე ორბუნებოვანი (ღმერთიც და კაციც) კი არა, ერთბუნებოვანი (მარტო ღმერთი) იყოო. ამასაც საქვეყნო აურზაური მოჰყვა. მთელი საქრისტიანო სამყარო გაიყო ორ ბანაკად: „მონოფიზიტებად“ (ერთბუნებოვანნი) და „დიოფიზიტებად“ (ორბუნებოვანნი). 449 წელს ეფესოში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტებმა გაიმარჯვეს. 450 წელს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი II. ტახტზე ასულმა ახალმა კეისარმა, მ ა რ კ ი ა ნ ე მ, 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა „ავაზაკთა შეკრებად“ გამოაცხადეს და დიოფიზიტობა მტკიცედ დაადგინეს.

პეტრე იბერიელი მონოფიზიტი იყო. მაგრამ მისი სიდიადის ხელყოფა არც არავის გაუბედნია, არც არავის მოსურვებია.

ქართველები ქალკედონიტებად — დიოფიზიტებად დარჩნენ.

(ხოლო სომხებმა ასი წლის შემდგომ, 554 წელს, დვინის საეკლესიო კრებაზე, მონოფიზიტობა მიიღეს და სომპური ეკლესიის ავტოკეფალიაც გამოაცხადეს).

იმ ხანებში სპარსეთის ტახტზე იჯდა ი ე ზ დ ი გ ე რ დ II (439-457), რომელმაც ძალზე აგრესიული კურსი აიღო ამიერკავკასიისაკენ. მას სურდა აქაურ ხალხებში, — რომელთაც თავისი სარწმუნოებით კურსი ბიზანტიისაკენ აეღოთ—ქრისტიანობა მოესპო და მაზდეიანური ცეცხლთაყვანისცემა გაევრცელებინა.

იეზდიგერდმა სომხეთიდან, საქართველოდან და ალბანეთიდან წარჩინებულ გვართა წარმომადგენლები გაიწვია ჭტესიფონს.

ცოტა ადრე სპარსელებმა მოაპერხეს ტფილისში თავისი „ერისთავი“ — „პიტიახში“ ჩაესახლებინათ. ახლა აქ პიტიახშად იყო ა რ შ უ შ ა.

სწორედ ეს არშუშა აღმოჩნდა ქტესიფონში გაწვეულ ქართველ დიდებულთა შორის.

იეზდიგერდმა მიწვეულებს გამოუცხადა: ან ქრისტიანობა უარჰყავით და მაზდეიანობა აღიარეთ, ანდა დედაბუდიანად ამოგწყვეტავთო.

მეტი გზა აღარ იყო. მოწამის სიკვდილი არავის აურჩევია. მიწვეულებმა იეზდიგერდის ბრძანება აღასრულეს და უკან დაბრუნდნენ.

ყველაზე ნაკლებად ქართველ პიტიახშს ენდობოდა იეზდიგერდი. მან იცოდა, რომ არშუშა ერისთავი ქვეშე ქართლში დიდ საქრისტიანო და საქართულო მოღვაწეობას ეწეოდა, ტაძრებს აშენებდა, „მარტვილ წმინდანთა“ ნეშტებს უვლიდა, საეკლესიო მოღვაწეებს მფარველობდა, აქეზებდა და ახალისებდა.

ამიტომ არშუშა პიტიახში იეზდიგერდმა საქართველოში აღარ გამოუშვა.

. . . .

პეტრე იბერიელისათვის ყმაწვილობაში მიტოვებული სამშობლოს საკეთილდღეოდ და საიმედოდ ვახტანგ გორგასალის დიდ-ხელმწიფობა უნდა ყოფილიყო.

იდგა 491 წელი.

პეტრე იბერიელი იყო 82 წლის, და მასთან მოვიდა სიკვდილი, „რამეთუ ფრიად ტანჯნა ხორცნი თვისნი“. თვითონვე გამოუცხადა თავის სამწყსოს „განსვლა თვისი ხორცთაგან“. მერე შევიდა სენაკად.

ათი დღე იყო დაყუდებული ლოცვად და ლიტანიად.

მაგრამ მხოლოდ-და ლოცვად?

სიკვდილ-სიცოცხლის განსაღრეკელზე გონების სამზირზე იელვებდნენ მისი ცხოვრების ნათელიერი ნიშანსვეტნი, მშობლიურნი და უსაყვარლესნი:

ქართლი — სამშობლო მისი,

მცხეთა — სატახტო მისი,

ბაკურდუხტ — დედოფალი და დედა-მშობელი მისი,

ბუზმარ — ხელმწიფე და მამა-მშობელი მისი,

ბომიროსპარია — დაი მისი (ბუზმარის იდუმალი ტრფიალების ნაყოფი).

ძუძო — გამზრდელი მისი (მხოლოდ ამ ქალს ანდო ბუზმარმა ყრმა მურვანოს, როცა იგი მთებში გახიზნა სპარსელთაგან გადასარჩენად),

ოტა — დედამძუძე მისი (ძუძოს დაჲ),

ქურენი — მამამძუძე მისი (ოტას მეუღლე),

ბარდალი — ძმა მამამძუძესი,

კატა და მურგაკეს— ძიძიშვილნი მისი (ოტასა და ქურენის ვაჟები).

(ყველა ამათი სახელების მოსახსენიებლად პეტრეს საგანგებოდ დაწესებული ჰქონდა წელიწადში ერთი დღე — დიდმარხვის ოთხშაბათი).

მეათე დღეს, 2 დეკემბერს, „მიწვა და დაიძინა ძილი თვისი“.

მიიცვალა გვემული სპეული პეტრე ქართველისა, ხოლო სული მისი ამაღლებული დარჩა უკვდავად, განფენილი მრავალ ტაძრებად, სავანეებად, საქველმოქმედო სადგომებად, საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო ტრაქტატებად.

სწორედ მისი მწერლურ-მეცნიერული მემკვიდრეობა შეიქნა იდეური საფუძველი შემდგომში მსოფლიო კულტურული აღზევებისა — ევროპული (გინა აზიური) რენესანსისა და ჰუმანიზმისა.

აი, ისინი, შემადგენელნი პეტრე იბერიელის მეცნიერული კორპუსისა:

„საღმრთოთა სახელთათვის“,

„ზეციური იერარქია“,

„საეკლესიო იერარქია“,

„მისტიკური თეოლოგია“,

„ეპისტოლენი“ (ათი წერილი).

არც ერთ მათგანს მიწიერი დავიწყების წიაღში ჩანთქმის მოსურნე ავტორმა საავტორო ხელწერა არ დაურთო.

„წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო“,—ამბობდნენ ძველი რომაელები.

საოცარი ბედი დაჰყვა გენიალური ქართველი მოაზროვნის წიგნებს. იგი, ეს უბედობა, თვითონ ავტორმა „დაუბედა“ თავის ქმნილებებს.

თხუთმეტი საუკუნე არავინ იცოდა ნამდვილი ავტორი.

ერთ ხანს დიონისე არეოპაგელს მიაწერდნენ, I საუკუნის ფილოსოფოსს.

მერე მიხვდნენ, რომ წიგნები V საუკუნეში ყოფილა დაწერილი და შეცდომა იმით „გაასწორეს“, რომ დიონისეს წინ „ფსევდო“ დაურთეს და ამგვარად, პირობითი ავტორობით, „ფსევდოდიონისე არეოპაგელის“ სახელით, ასეული წლები ატარეს ნამდვილი ავტორის მიუგნებლად და მოუხსენიებლად.

ახლა ფსევდოარეოპაგიტულ თხზულებათა ავტორობის საიდუმლო სავსებით გახსნილია.

მსოფლიოს წინაშე წარსდგა ჰეშმარიტი ავტორი:

პეტრე იბერიელი.

მისმა გასაოცარმა ღვაწლმოსილებამ კიდევ მეტად აღამაღლა მის თანამემამულეთა გავლენიანობა ახლო აღმოსავლეთსა და მის ქრისტიანულ ცენტრში — „წმიდა ქალაქ“ იერუსალიმში. პეტრეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდგომ ბერძენმა საეკლესიო მესვეურებმა, იმდროინდელი ქრისტიანობის „მონოპოლისტებმა“, ქართველების მიმართ მანამდე გაუგონარი დათმობა გამოიჩინეს: ამიერიდან ქართველებს ნება ეძლეოდათ პალესტინის მთავარ ტაძარში, დიდ სამეფო პასტოფორიონში, „წარსთქვან ჟამნი და სამხრისაჲ, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

ასეთი იყო ბედი დიდი ქართველი მოაზროვნისა, რომლის შესამკობად ნაირ-ნაირი ეპითეტებით ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა დროის მწერალნი და მეისტორიენი:

პეტრე იბერი —

„გაუტეხელი წვალებასა და გაჭირვებაში, შევიწროებასა და დევნულობაში, დავიდარაბაში, მარხულობასა და ღამისთევაში, ბრძოლასა და გვემაში“.

„შეურიგებელი მებრძოლი ცოდვათა წინააღმდეგ, ძალმომრეობათა და მტარვალობათა წინააღმდეგ, ამა ბნელეთის თვითმპყრობელთა წინააღმდეგ, ბოროტ ხულთა წინააღმდეგ“.

„სწორუპოვარი სასწაულთა, საკვირველებათა და განკურნებათა ძალაში, წმინდა სულის ძალოვნებაში, სამართლიანობის ჟძლეველობაში“.

„მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანსმენილი ადამიანი“.

„უცნობი თვის ნებით, ნაცნობი ღვთის ნებით, ცნობილი ღმერთისთვის, ცნობილი ქვეყნისთვის“.

„თვითონ ღარიბი, სხვათა უაღრეს მამდიდრებელი“.

„ყველაფრის უქონელი და ყველაფრის მქონებელი“.

„მფლობელი ზეციურ განძთა“.

„გული, აზრი და ქცევა მისი — უცილობელი ყველა დროისთვის“.

„მართალი რწმენის შუქურა-სვეტი“.

„მშვენება და დიდება საქართველოსი“.

„მრავლისმრავალჯერ მოწამე“.

„მოსიყვარულე მამა“.

„ყველასათვის ძვირფასი“.

„მეოხე მთელი ქვეყნისა“.

„კედელი მთელი დედამიწისა“.

„ნიმუში ყოველი სიკეთისა და ვაჟკაცური ცხოვრებისა“.

„სამკაული და სიქადული ქართველთა“...



# კარი მესამე

უფრო და უფრო მივიწევდით მაღლა და მაღლა.

დანტე.

## აზმა პირველი

### გორგასლიადა

დაიმტკიცა ზეკაცობა,
არვინ ჰყავდა ქვეყნად ტოლი;
მეფეებში ერჩეოდა,
მარგალიტი ვით ობოლი.

აკაკი.

**ყრმობა და სიჭაბუკე**

იდგა 442 წელი.

მეოთხე წელი მეფე მირდატისა და დედოფალ საგდუხტის პირმშო ასულის, ხვარანძეს დაბადებიდან.

მცხეთის სასახლე დიდ სიხარულს და ზეიმს მოეცვა.

გვირგვინოსნებს მეორე შვილი შესძენოდათ. ძე, ტახტის მემკვიდრე.

სახელად დაარქვეს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი.

აღსაზრდელად მისცეს სპასპეტს — ს ა ურ მ ა გ ს.

ვახტანგის შობიდან მეექვსე წელს მეფე-დედოფალს კიდევ გაუჩნდა ერთი ასული, რომელსაც საპელად მირანდუხტი დაარქვეს და აღსაზრდელად კასპის ერისთავს გაატანეს.

449 წელს მოკვდა მირდატ მეფე.

ვახტანგი შვიდი წლისა დარჩა.

მძიმე დღეში ჩავარდა დაქვრივებული საგდუხტ დედოფალი. მამა მისი ბ ა რ ზ ა ბ ო დ ი, ბარდავის ერისთავი, მაზდეიანი ცეცხლთაყვანისმცემელი იყო, სპარსულ პოლიტიკაზე იდგა, საქრისტიანოს მტრობდა და სიძე-ხელმწიფის მიმართაც გულში ფარულ სიძულვილს ინახავდა. საგდუხტმა მშობლის ხასიათი კარგად იცოდა, ბოროტი განზრახვა შეუტყო, დაასწრო და თვითონ ეახლა მამას ბარდავში. მის წინაშე მოიყარა მუხლი, ამოიყარა ძუძუნი, მოეხვია ფეხებზე, მოუშვა ცრემლი და შეჰვედრა: ნურც ქრისტიანობის დატევებას მაიძულებ და ნურც ქმრისა და მამამთილის ნაქმნართათვის ჩემს ოჯახს და უფლისწულ ვახტანგს მოჰკითხავო:

ბარზაბოდმა „შეიწყალა ასული თვისი“, მაგრამ დიდი საფასურით: მცხეთაში ჩემგან წარმოგზავნილი ცეცხლმსაპური მოგვები უნდა დასხდნენო და ხალხმაც თავის ნებით აირჩიოსო სჯული, — ვისაც სურს — ქრისტიანად დარჩეს, ვისაც უნდა — მაზდეიანობა მიიღოსო.

დედოფალს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა.

მოვიდნენ მაზდეიანი მოგვები და დასხდნენ მ ო გ უ თ ა ს.

მათი უმაღლესი ჭურუმი იყო ბ ი ნ ქ ა რ ა ნ, რომელიც „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა“.

მართლაც ბევრი ქართველთაგანი, განსაკუთრებით „წვრილი ერიდან“, ქრისტიანობას გადაუდგა და ცეცხლს ეთაყვანა.

ქრისტიანული სამწყსოს მეთაურიც სპარსეთის აგენტი იყო მცხეთაში, ეპისკოპოსი მ ო ბ ი დ ა ნ, გარეგნულად მართლმადიდებელი ქრისტიანი, შინაგან წარმართი, მავნე წერილთა მჯღაბნელი და ყოველგვარი ქართულის შეფარვით მოძულე.

დიდი კრიზისების დრო დადგა საქართველოში.

მცირე ხანიც გამოხდა და ზედიზედ დაიპოცნენ ბარდავის ერისთა-

ვი ბარზაბოდ, სპასპეტი საურმაგ (ვახტანგის მამამძუძე) და ეპისკოპოსი მობიდან.

საგდუხტ დედოფალმა დრო იპელთა და კონსტანტინოპოლიდან გამოიწვია მ ი ქ ა ე ლ მღვდელი, რომელიც ეპისკოპოსად დასვა მცხეთაში.

მიქაელი ენერგიული კაცი აღმოჩნდა და ძალიან მძაფრად „წინააღუდგა ბინქარან მაცთურსა“.

მაგრამ სპარსული პოლიტიკა მაინც მძლავრობდა მცხეთაში.

თბილისშიც ხომ სპარსელი „პიტიახში“ იდგა.

ვახტანგი მეათე წელში გადასულიყო, როცა ჩრდილოეთიდან გადმოიჭრნენ ოვსნი, მოაოხრეს ქართლის ველ-მინდვრები, დაეცნენ კასპს და მოიტაცეს ვახტანგის უმცროსი დაი, სამი წლის მირანდუხატ. აქედან გავიდნენ რანსა და მოვაკანს, აიკლეს, იავარჰყვეს და დარუბანდის კარით ჩრდილოეთს დაბრუნდნენ.

ახლა ბიზანტიელებმაც შემოუტიეს დასავლეთიდან. ადრე კლარჯეთი დაიჭირეს, ამჯერად იმპერატორმა მ ა რ კ ი ა ნ ე მ აფხაზეთში გადმოსხა ლეგიონები. ეგრისს შემოესივნენ და ციხე-გოჯამდე მოატანეს.

ასე, მტერი ყოველი მხრიდან მოიწევდა.

ქვეყანა იქცეოდა და „ყოველნი ქართველნი იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“.

ძლივს გაატანა კიდევ ხუთმა ბებერმა წელიწადმა.

ვახტანგი თხუთმეტი წლისა შეიქნა.

### „დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“

457 წელი იდგა და თხუთმეტი წლის ვახტანგ საქართველოს ტახტზე დაბრძანდა.

მაშინვე „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად“.

შეიკრიბა დარბაზი.

მაღალ საყდარზე (ტახტზე) ავიდა და დაბრძანდა ჰაბუკი მეფე.

დინჯად ანიშნა სპასპეტ ჯ უ ა ნ შ ე რ ს და ეპისკოპოს მიქაელს, ისინიც დასადგნენ მათთვის განკუთვნილ „საყდრებზე“, — მარჯვნივ მთავარსარდალი, მარცხნივ მღვდელმთავარი.

სელის უზურგო სკამზე დასხდნენ ერისთავნი. ხოლო დანარჩენი დარბაზის ერნი იდგნენ ფეხზე.

ეს ვაჟტანგის პირველი სადარბაზო და სახელმწიფო გამოსვლა იყო. ჰაბუკი გვირგვინოსანი ლაპარაკობდა „ხმითა მაღლითა“, ჭარმაგული სიბრძნით, „ვითარცა აღზრდილი ფილოსოფოსთა თანა“. განსაჯა მდგომარეობა ქართველთა, მტერთა მოძალება, სულიერი დაცემულობა და სჯულიერი მერყეობა. ძველი მამაპაპეული სიმტკიცე უნდა აღსდგესო, მტერი დაითრგუნოსო და ქართული სამანები ისევ ძველი საზღვრების გასწვრივ უნდა აღიმართონო.

ყველამ იცოდეს, ჰაბუკი ვარ, მაგრამ „არა დავითმინო კიცხევა“ მტერთაგან ჩემთა და ჩემი სამშობლოისა.

პირველი გალაშქრებაც დანიშნა იმ დღეს მეფემ — ჩრდილოეთისკენ.

წამოდგა სპასპეტი ჯუანშერი, გახელმწიფება მიულოცა და ქებადიდებით შეამკო მეფე. ჩრდილოური ლაშქრობის განზრახვაც მოუწონა, მაოლოდ სთხოვა, შენ ნუ ინებებო ლაშქრად წასვლას, რამეთუ მხედრული ასაკი არ შეგსრულებია ჯერეთ, და უკეთუ მეფე დავკარგოთ, ვინღა იქნება მისი შემცვლელიო. ამიტომ რომელიმე ჩვენთაგანს უბრძანე ლაშქრობის მთავარსარდლობაო.

ვახტანგმა უარი უთხრა სპასპეტის თხოვნას და მტკიცედ გამოაცხადა, რომ თვითონ უსარდლებდა ლაშქარს.

ერთბამად იგრიალა დარბაზმა:

„ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე! იქმნეს განზრახვა შენი, ღმერთმან დამბადებელმან მოავლინენ ანგელოზი მისი ძალად შენდა, და დასცენ ყოველნი მტერნი შენნი, დაამტკიცენ მეფობა შენი“.

ის წელი საომარ სამზადისში განესრულა. ჯერ მუხნარსა და ბერკს (საგურამო) იყრებოდა ქართველთა ლაშქარი, მერე თიანეთს. ოვსთაგან აოხრებულ ბარდავიდანაც ჯარი გამოგზავნა ერისთავმა ვ ა რ ა ზ ბ ა კ უ რ მ ა, ვახტანგის ბიძამ. ბარდაველთა ჯარს სარდლობდა ფ არ ს მ ა ნ-ფ ა რ უ ბ ი, უებრო მეომარი — „ბუმბერაზი“.

ოვსეთში იცოდნენ ახალგაზრდა ქართველი მეფის საომარი სამზადისი და თვითონაც ემზადებოდნენ მტრის დასახვედრად. ნიჯადად (მაშველად) ხაზართა დიდძალი ლაშქარი შეიერთეს ოვსებმა.

აღლუმზე განაწყო ვაჟტანგმა ლაშქარი.

წინ თ ო რ ო ს ნ ე ბ ი იდგნენ, მძიმედ შეჯაჭვნული მხედრობა.

ამათ ფრონტალური დარტყმით უნდა გაერღვიათ მოწინააღმდეგის პოზიციები.

მათ მოსდევდა ძირითადი საომარი ძალა — ქვეითი ლაშქარი, რომელსაც ერთიანი, მიბრჯნილი შეტევით უნდა დაეჭირა თოროსანთაგან გადათქერილი მტრის განლაგებანი.

შემდგომ იდგა მსუბუქი კავალერია, რომელიც უნდა დასდევნებოდა გაქცეულ მტერს.

ბოლოს მოდიოდა მეფის „გვარდია", რჩეული მხედრობა, რომელიც თვითონ ვახტანგის სარდლობით, ელვისებური ადგილმონაცვლეობით, იქ გაჩნდებოდა, სადაც უფრო მისჭირდებოდათ ძირითად ძალებს.

შვიდი დღის შემდგომ თიანეთიდან გავიდა ლაშქარი.

დარიალი გაიარეს და თერგზე გავიდნენ.

მდინარის მეორე ნაპირზე უცდიდნენ ოვსნი და ჯაზარნი.

შვიდი დღე ერთიმეორის პირისპირ იდგნენ მდინარის იმიერ და ამიერ.

„ამა შვიდსა დღესა ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა".

ხაზართაგან გამოვიდა „ბუმბერაზი" მხედარი თარხან და ორთა ბრძოლაში გაიწვია ქართველთაგანი.

გავიდა ბარდაველი ფარსმან-ფარუჯი.

გაალმასებით ეძგერნენ ერთურთს. თარხანმა „უხეთქნა ხრმალი" და უსულოდ გადმოაგდო ცხენიდან თავგაპობილი მოპირდაპირე.

მეორე დღეს კვლავ გამოვიდა თარხან, ზვიადი გულით და უშვერი სიტყვით.

ახლა თვითონ მეფემ გაიწია საომრად.

წინაღუდგნენ წარჩინებულნი, არ ანებებდნენ, — ჯერ კიდევ საომრად უმწიფარიაო და სავსებით გამოუცდელი ვახტანგ, თექვსმეტი წლის „ყმაწურილი".

მაგრამ არ დაიშალა ვახტანგმა, მოახტა ჰუნეს და გავიდა, თითო ხელში თითო შუბით შეჭურვილი.

გამოეგება თარხან. შორიდან გოლიათი ეჩვენა ვახტანგი. აპლოს მივიდა და სავსებით უწვერული ყმაწვილი შეიცნო ხაზარმა. სიცილი დააყარა: სად მე, „გმირთა გამოცდილთა მბრძოლი", და სად შენ, „ყმაწურილი", მაგრამ რა გაეწყობა, შენზედაც დავიმდაბლებ თავსო.

„აღიზაბნეს და მიეტევნეს ურთიერთას".

გაექანა ვახტანგ, ორივე შუბი გაწვართა და სარტყელს ზემოდ აძგერა თარხანს. აძგერა, ასწია და შუბებზე აგებული გადისროლა ცხენიდან. წამსვე გადასწვდა მაჰვილით და წარკვეთა თავი.

შემობრუნდა მეფე ძლევამოსილი.
აღფრთოვანებით შეხედნენ ქართველნი.
ზარგანხდილი იდგა ხაზართა ურდო.
მომდევნო დღეს ოვსთა რიგი დადგა.

ოვსთაგან გამოვიდა ბ ა ყ ა თ ა რ, „ბუმბერაზი“, რომელსაც ამ ჟამამდე ბადალი არ გამოსჩენია სარკენალ ველზე. თორმეტმტკაველიანი მშვილდი აეკიდნა მხარზე, ექვსმტკაველიანი ჭეიბურებით აევსო კაპარჭი.

ალმაჭურად აღჭურვილი* მოადგა გოლიათი მხედარი მდინარეს და ხმამაღლა შემოუძახა ქართველთა ბანაკს: ვაჲტანგ მეფევ, ნუ განლაღდები თარხანის მოკვლით; აბა, ჩემთან გაბედე გამოსვლა და ნახავ, როგორადაც გადამირჩებიო!

ვახტანგმა მშვიდად გაჰხედა აბალ მოპირდაპირეს და პასუხად გასძახა:

„არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისაგან“.

ეს სთქვა, ლაშქარი საბრძოლოდ გააწყო და თვითონაც სასწრაფოდ აღიჭურვა. ვიგრის ტყავიანი ფარი აიღო, ამბედრდა და მდინარისაკენ დაეშვა.

მივიდა და უყვირა ბაყათარს: მე არ გადმოვალ მდინარეზე, არამედ შენ უნდა გადმოხვიდე ჩემ კერძო, რამეთუ მე მეფე ვარ, ხოლო შენ — მონა. მეფის დაღუპვით მისი ჯარიც დაიღუპება, ხოლო შენებრ მონის დაღუპვით ოვსთა ლაშქარსაც არაფერი ვნება მიადგებაო.

ბაყათარმაც შემოუძახა: კარგი, მე გადმოვალ შენი მომკვლელი, მაგრამ მდინარის პირისაგან სამი უტევანი დაიხიეო (ალბათ შიშობდა, მდინარის გადალახვისას არ მესროლოსო მოპირდაპირემ).

უკუდგა ვახტანგი. გადმოიარა მდინარე ბაყათარმა და როგორც კი ხმელზე შემოდგა, უგრძეს ისართა სეტყვა დაუშინა მეფეს.

ისარზე უსწრაფესია ფიქრი.

ისარზე უბასრესია ალმასი.

ხოლო ვახტანგს ფიქრზე უმალესი და ალმასზე უბასრესი მზერა ჰქონდა. ამიტომ იგი „სიფიცხლითა თვალთათა, და სიმაჴვილითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხილის ისარი მომავალი, და უხლდებოდა და სიმარჯვით მიეახლებოდა“.

* ალმაჭურად აღჭურვილი — მძიმედ აღჭურვილი.

ორივე ბანაკი უსაზღვრო გაოცებითა და აღტაცებით უცქერდა გმირთა უჩვეულო რკენას. ორივე მხრიდან იდგა გრიალი ბუკთა და დაფდაფთა, ყიჟინა, ღრიალი და ზაპილი, „რომლით იძვროდეს მთანი და კლდენი“.

როკავდა მეფე-მხედარი, გასროლილ ისართა მხედველი.

უსაზმნოდ სტვენდნენ ბაყათარისგან ნატყორცნი ქვეიბურნი.

მაოლოდ ორი ისარი მოახვედრა ბაყათარმა ვახტანგის ფარს. ვიგრის ტყავმა აისხლიტა ორივ ნასროლი. მაშინ ცხენს დაუმიზნა ოვსთა რჩეულმა. იწივლა ქვეიბურმა. ყალყზე აღიმართა ვახტანგის ტაიჭი და მოსპლეტით დაეშვა. თითქოს წამიერად სიკვდილის ნება წაართვა მეფემ ერთგულ ცხოველს, ძირს დაცემამდე მიაგდო ბაყათარს და ელვის უსწრაფეს ალმედად მოიქნია ხმალი. მხარ-იღლივ გადაჰკვეთა ბაყათარ, მარჯვენა მხრიდან მარცხნივ, გულამდე.

წამიერ იყო ყველაფერი:

ძირს ეყარნენ მკვდარნი — ბაყათარ და ცხენი ვახტანგისი.

ხოლო ვახტანგ, ბაყათარის ცხენზე ამხედრებული, თავისიანთ შემოუბრუნდა და შესძახა:

„მხნე იყვენით და განძლიერდით!“

ფრთაშესხმული ქართველთა ჯარი მტრისკენ დაიძრა. ოვსთა ბანაკი ისრის სეტყვით დაუხვდა მდინარეზე გადმომავალ მოპირდაპირეს. ვახტანგის თოროსან-ჩაბალახოსანმა მხედრობამ პირველმა აათავა ქარაფოვანი აღმართი და ოვსთა ბანაკს მიეჭრა. ქვეითი ლაშქარიც მიჰყვა ფეხდაფეხ. ორივე მხარე იბრძოდა მხნედ და გახელებით. გამაყრუებელ ღრიანცელში მკვეთრად გამოირჩეოდა ვახტანგ მეფის ზახით აღსავსე ყიჟინა, „ვითარცა ხმა ლომისა“, თავისიანთა გამამხნევებელი და მტერთა გულშემზარავი. იგი ყველგან იყო: „უკეთუ მარჯუენით-კერძო იბრძოდის, მარცხენით-კერძო ძრწოდიან; და უკეთუ მარცხენით-კერძო იბრძოდის, მარჯუენით-კერძო ძრწოდიან“.

მეფის მხარდამხარ დიდის შემართებით იბრძოდნენ ორნი:

ა რ ტ ა ვ ა ზ საურმაგის ძე (ვახტანგის ძუძუმტე) და ბ ი ვ რ ი ტ ი ა ნ სეფეწული.

ბრძოლა დასრულდა. ქართველები ზეიმობდნენ დიდ გამარჯვებას. ვახტანგს მორჩილება გამოუცხადეს და მძევლები მოსცეს ოვსთა მთავრებმა.

ადრე დატყვევებული დაი მირანდუხტ გამოიხსნა მეფემ, მასთან ბევრი ტყვექმნილი თანამემამულეც.

დარიალის ხეობა, თერგისა და არაგვის კარის ვიწრობები, ახალი ციხესიმაგრეებითა და გოდოლებით ჩაკეტა მეფემ. შიგ თავისი ერთგული მთიელი მეციხოვნენი ჩაყენა.

ამ ეპოქიდან ჩრდილოეთიდან ამ გზით ვეღარავინ გამოიელდა „თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.

ვახტანგმა მირანდუხტი ამალით არაგვის ხეობით მცხეთაში გამოგზავნა, ხოლო თვითონ ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ ოლქთა დამორჩილებას შეუდგა. იგი ოვსეთიდან დასავლეთით გაეშურა, იალბუზის მთის გასწვრივ.

გადაიარა და გადალაშქრა იალბუზი.

იქნებ მაშინვე, მის ლაშქარშივე დაიბადა საოცარი სიმღერა „იალბუზის გმირზე...“.

დაამარცხა ყივჩაღები.

დაამარცხა პაჭანიგები.

დაიპყრო ჯიქეთი.

ამრიგად, მთელი ჩრდილოეთ კავკასია უკვე ქართველ ხელმწიფეს ემორჩილებოდა.

ჯიქეთიდან აფხაზეთში გადმოვიდა ვახტანგ მეფე.

აფხაზეთსა და ეგრისში ბიზანტიელები ბატონობდნენ.

ყველა დასავლურ-ქართული ციხე-ქალაქიდან გააძევა ვახტანგმა ბიზანტიური ციხიონები. კეისარი ლეონ პირველი ვერაფერს გახდა.

დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებისა და შემომტკიცების შემდგომ ვახტანგ მეფე თავისი ძლევამოსილი ჯარებით მცხეთისაკენ გამოეშურა.

სამი წელი (458 — 461 წწ.) გაგრძელებულიყო ვახტანგ მეფის „ჩრდილოურ-დასავლური ლაშქრობანი“.

დიდი ამბით შეეგება სატახტო ქალაქი საკვირველი გმირობით აღზევებულ 19 წლის ხელმწიფეს.

მის ასაკში ალექსანდრე მაკედონელსაც არ ჰქონია ასეთი მჭუხარე ტიტული.

მოდიოდა „იალბუზის გმირი“.

გაეგებნენ დედა საგდუხტ, დები — ხვარანძე და მირანდუხტ, მთელი მოსახლეობა, ქალი და კაცი, ბალღი და მოხუცი.

აღარ იცნობოდა მეფე.

პირტიტველა, „წვერგამო“ ყმაწვილი ახსოვდათ.

წვერულვაშამღილ ვაჟკაცად მოდიოდა, ტანაშვეტილი, პირმშვენიერი.

ფეხქვეშ ყვავილებსა და ფარჩა-ქსოვილებს უფენდნენ, თავზეით ვერცხლის ფულს ესროდნენ, ხოტბას აღავლენდნენ და ზეცამდე განადიდებდნენ, „რამეთუ არა რომელსა მეფესა ექმნა ეგევითარი ძლიერი წყობა (ბრძოლა)“.

მცხეთა დიდბანს ზეიმობდა. მეფემ დიდძალი საბოძვარი გასცა „წვრილ ერთა“, ლატაკთა და უპოვართა დასაპურებლად. „გასცა ნიჭი ერსა თვისსა“. პანაშვიდი გადაუხადა ომებში დაღუპულებს. დააწინაურა ყველა, ვინც საომარ ველზე თავი გამოიჩინა სიმამაცით და საზრიანობით. დიდი ძღვენით დაასაჩუქრა ერთგული ქვეშევრდომნი და ერისმთავარნი. თავის დედის ძმას, ბარდავის ერისთავ ვარაზ-ბაკურს ომში ერთგული თანადგომისთვის ათასი მონა და ორიათასი ცხენი აჩუქა.

ვარაზ-ბაკურ ბარზაბოდის ძე სპარსეთსა და საქართველოს შორის იდგა. ვაპტანგსაც მაშინ სპარსეთთან ნშვიდობიანობა ერჩივნა მტრობას, რადგან იცოდა ბიზანტია აფხაზეთ-ეგრისის დაკარგვას არ შეურიგდებოდა და, ამას გარდა, თვითონ ვახტანგი, მარტო დასავლეთ საქართველოს კი არა, სამხრეთ-დასავლეთ და „პონტოურ-ქართულ“ მიწათა გათავისუფლებასაც აპირებდა ბიზანტიელთაგან. ერთი სიტყვით, დღეს თუ ხვალ, საქართველოსა და ბიზანტიას შორის ომი უნდა ატეხილიყო. ამიტომ მსოფლიოს მეორე დიდ მონარქიასთან, სპარსეთთან, მტრობა ვახტანგს ხელს არ მისცემდა. მას კიდევაც უნდა ესარგებლა იმით, რომ იმ ხანად კეისარ ლ ე ო ნ პირველსა და შაჰინშაჰ ჰ ო რ მ ი ზ დ მესამეს შორის საომარი მდგომარეობა იყო. ასეთ რთულ ვითარებაში სპარსეთის მეფე თვითონ უფრო იყო დაინტერესებული საქართველოსთან სამოკავშირეო და სამოყვრო გზების ძებნით.

მალე კავშირიც დაიდო და მოყვრობაც გაეწყო.

ვახტანგ მეფემ ცოლად შეირთო ჰორმიზდ მესამის ასული ბ ა ლ ე ნ დ უ ხ ტ, რომელსაც დიდ ამალასთან ერთად მცხეთაში მოჰყვა მისივე გამზრდელი მამამძუძე, სპარსეთში სახელგანთქმული წარჩინებული და პოლიტიკოსი.

ბალენდუხტის გამზრდელმა ვახტანგს ჰორმიზდის პატრუცაგი გადასცა.

სიმამრი სიძეს ხელმწიფურ ტიტულატურაში „ათთა მეფეთა მეფე ახოვანს“ უწოდებდა და თან ატყობინებდა, რომ მან თავის ასულს „მოსცა სომპითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად“, და აქვე, კეისრის წინააღმდეგ საომრად გასვლას სთხოვდა.

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ომი დაწყებული იყო. მესოპოტამიაში უკვე შეევიწროებინათ კეისრის ლეგიონებს სპარსელები.

ვახტანგს ახლა ხელსაყრელი დრო ჰქონდა, — დაეწყო ბრძოლა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გასათავისუფლებლად და შემოსაერთებლად.

მეფემ სალაშქრო წვევა გამოაცხადა.

## ლაშქრობა პონტოს საქართველოში

იდგა 464 წელი.

იდგა ლაშქარი აღლუმად.

ელოდა მეფეს.

გამოვიდა ვახტანგ.

„ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე!“ — იგრიალა ლაშქარმა.

ღიმილით დამშვენებული მოემართებოდა მეფე.

22 წელი შესრულებოდა.

ტანად იყო გოლიათზე უდიდეს:

სიმაღლით „თორმეტი ბრჭყალი“ (2 მეტრი და 40 სმ?!!).

მკერდამდე ვერ წვდებოდნენ თვითონაც ახოვანი, ტანაშეტილი ვაჟკაცები მისი ამალისა.

ღვთიური სიმშვენიერე დაჰფენოდა მის მამაცურ სახეს.

უზღვავი ძალა გამოსჭვიოდა დაქნილ სხეულში.

უკვე ყველამ იცოდა:

გაფრენილ ირემს საომარი იარაღით ალმაჭურად შეჭურვილი ფეხდაფეხ დაედევნებოდა, დაეწეოდა და რქებში ხელჭდობით შეიპყრობდა.

შეჭურვილ ცხენს მხრებზე თოკლივით მოიგდებდა და მცხეთიდან არმაზ-ციხეზე ამუხლჩაუკრეფლად ავიდოდა.

მოდიოდა ქართველთა ხელმწიფე.

თეთრ გიორგის ჰგავდა თეთროსანზე ამხედრებული.

ხელმარჯვნივ მოჰყვებოდა სპასპეტი ჯუანშერ.

ხელმარცხნივ — ბარდავის ერისთავი ვარაზ-ბაკურ და ძუძუმტე არტავაზ, ძე საურმაგ სპასპეტყოფილისა.

ლაშქარი მზად იყო სალაშქროდ.

მოეწონა ვახტანგს სიმრავლითა, ცხენკეთილობითა, აღკაზმულობითა და „იხილნა ყოველნი იგი მხიარულად და აზარვით“.

და „წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად“.

გზად, ქართულ ლაშქარს შეუერთდნენ ერისთავნი სომპითისა: არევ სივნელი, ჯუანშერ ასფურაგნელი და ამაზასპ ტარონელი.

მიადგნენ კარნუ-ქალაქს (ერზერუმს).

ბიზანტიელთა გარნიზონი ძლიერად დაუხვდა ქართველთა მეწინავე ჯარს...

ვახტანგს წინ გაჰრა ეშურებოდა, პონტოს სიღრმეში. ამიტომ კარნუ-ქალაქის საალყოდ თორმეტი ათასი მეომარი დატოვა ორი ერისთავის სარდლობით.

ქართველთა ძირითადი ძალები პონტოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

ზედიზედ აიღეს დიდი ციხესიმაგრენი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი.

მერე ზღვის პირს გაუყვა ქართული ლაშქარი. ერთიმეორეზე ეცემოდნენ პონტოს სანაპირო ძველი ბერძნული ქალაქები.

კონსტანტინოპოლისკენ მიემართებოდნენ ქართველნი.

წინმიმავალ ვახტანგს საშინელი კაცთაკვლის ამბავი აუწყეს უკანაკერძიდან მოვარდნილმა შათირებმა:

ქართველთა თანამოლაშქრე ბარდაველი და ადარბადაგადანელი (აზერბაიჯანელი) ცეცხლთაყვანისმცემელნი ადგილობრივ მოსახლე ქრისტიანებს ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ, სახლკარიანად აწიოკებდნენ და ძუძუში დაკვრით სიცოცხლეს უსპობდნენ. ბალხი სოფელ-ქალაქებიდან დედაბუდიანად იყრებოდა და თავშესაფრის საძებრად ტყე-ღრეში იფანტებოდა.

უსაზღვროდ აღშფოთდა ვახტანგი.

ლაშქარი შეაყენა და რისხვეული გაფრთხილებით მიმართა ჯარს: აწიერიდახ აღარავინ გაბედოს ბალხის ბარცვა, რბევა-აწიოკება და უდანაშაულოთა სისხლისღვრა; სულ ერთია, ვინც უნდა იყოსო, ბერძენი თუ რომაელი, ამიკრძალია ყველას სიკვდილი, ვინაც იარაღით ხელში არ აღმდგარა ჩვენს წინააღმდეგ; მით უფრო, რომ კეისარი უკვე მოეშურება ჩვენს შესახვედრადო.

ეს სთქვა, ტყვეები გაათავისუფლა, ქადაგნი განაელინა და დაფანტულ-გადაკარგულ ხალხს მოუწოდა, უშიშრად გამოსულიყვნენ თავიანთ სამალავთაგან და სრული იმედიანობით დაბრუნებოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას.

ვახტანგმა გზა განაგრძო დასავლეთისკენ.

ქართველთა ჯარები ქალკედონიდან სამი დღის სავალზე იყვნენ. ხო-

ლო ქალაქედონი აზიიდან პირდაპირ გასცქეროდა ბოსფორის გადაღმა აღმართულ ბიზანტიონს.

გამალებულნი მოეშურებოდნენ კეისრის ლეგიონები.

მოუძღოდათ საჳელგანთქმული მხედართმთავარი პ ო ლ ი კ ა რ-პ ო ს.

შეიბნენ ქართველნი და ბიზანტიელნი.

ბრძოლაში დაეცა ვარაზ-ბაკური, ერისთავი ბარდავისა და დედის ძმა ვახტანგ მეფისა.

შლეგიანად იბრძოდა პ ო ლ ი კ ა რ პ ო ს, „ვითარცა მგელი სისხლითა აღმოსვრილი და ვითარცა ლომი გამძვინვებული“.

ბერძენთა დომესტიკი პირისპირ ბრძოლაში იწვევდა ქართველთა მეფეს.

თვალი ჰკიდეს ერთიმეორეს.

ვახტანგმა მკერდზე დაკიდული ჯვარცმა მიამთხვია ჴმალს და დინჯად დასძრა ცხენი.

გრიგალივით გამოექანა პოლიკარპოს, მკლავისსიმსხო ლაჳვარი აძგერა.

ვახტანგმა შეაგება ფარი ვიგრისა, მაგრამ ლახვარმა გაგლიჯა ფარი.

მარცხენა ჳელი აიქნია ვახტანგმა და ლახვარი გაგლეჯილ ფარიანად ჰაერში აატყორცნინა მოპირდაპირეს.

წამსვე მისმა ხმალმაც იელვა.

თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან პოლიკარპოს.

ახალი მხნეობით მიეტევნენ ქართველები სარდალმკვდარ ბიზანტიელთ. ბრძოლა გუნდ-გუნდად გაჩაღდა. ზღვის პირს მიიმწყვდიეს ქართველებმა ბრძოლიდან გაქცეული მოწინააღმდეგენი. ბევრი გაწყდა ბიზანტიელნი. ბევრი ტყვედ ჩავარდა. მცირეოდენმა გაასწრო სამშვიდობოს.

კეისარი ლეონ პირველი იძულებული გახდა სპარსეთთან ჰიდილისას მოპოებულ მიღწევებზე ხელი აეღო და იმპერიის გულისაკენ მიმავალ ქართველებს წინ გადასდგომოდა.

დიდძალი ლეგიონებითა და დრომონებით* შემოეგება კეისარი ქართველთა მეფეს.

მოპირდაპირენი ბანაკად დადგნენ.

კეისარმა შეხვედრა და სამშვიდობო მოლაპარაკება ითხოვა.

---

* დრომონი — ხომალდი.

რაკი მას ნაკლები იმედი ჰქონდა, რომ ამდენი გამარჯვებებით გალაღებული ქართველი მეფე ზავზე არც ისე იოლად დათანხმდებოდა, ამიტომ ფრიად გამოცდილი დიპლომატები და ღვაწლმოსილი საეკლესიო მოღვაწეები გამოუგზავნა დიასპანებად — პეტრე და სამოელ.

ესენი დიდხანს არწმუნებდნენ მეფეს, არ ეგების ქრისტიანი ხელმწიფისაგან ქრისტესმიერ ძმათა აკლება, ტყვევნა და ქლეტაო; შენ ქვის ეკლესიებს აშენებ და ჯორციელ ეკლესიებს (ადამიანებს) არღვევო, ხოლო „ეკლესიანი ხორცთანი უფროს არიან წინაშე ღმრთისა, ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესიანი ქვათა ოდესმე დაირღუეს და აღაშენიან მითვე ქვითა; ხოლო ეკლესიანი ხორცთაგანი ოდეს დაირღუენ, ვერვინ შემძლებელ არს განკურნებად, ვერცა მკურნალი და ვერცა მეფე“. სიტყვით ქრისტეს სჯულს აღიარებ, ქრისტეს სჯულს ქადაგებ და საქმით ქრისტეს მიმდევრებს ებრძვიო; ჩვენ კი არ გვინდა იყო, „ვითარცა კაცი, რომელი მარჯუენით იქმნ და მარცხენით არღუენ; და არცა ვითარცა რომელნი პირითა მათითა აკურთხევდენ, და გულითა მათითა სწყევდენ და აგინებდენ“. წმინდა ნინოს მოაგონებდნენ და მის სულს აფიცებდნენ, ეს შენს მიერ დანთებული ცეცხლი შენვე დაშრიტე და თანამოძმე და თანამორწმუნე კეისარს შეურიგდიო.

ვახტანგს ამდენი დარწმუნებაც არ სჭირდებოდა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ ბიზანტიის დაკნინება და სპარსთა აღზევება მის ქვეყანას არაფრად წაადგებოდა. ეს „ბერძნული ლაშქრობა“ მას მხოლოდ ბერძენთაგან მიტაცებული ქართული მიწების გასათავისუფლებლად სჭირდებოდა. ხოლო ეს ძველი, ქართველთა მამაპაპეული მიწებიც უკვე მთლიანად მის ხელთ იყო.

ახლა შეიძლებოდა და დროც იყო ზავზე ლაპარაკისა.

ვახტანგ მეფე და ლეონ იმპერატორი ერთმანეთს შეხვდნენ.

ზავზე საუბრის დაწყებამდე კეისარმა ვახტანგს სთხოვა, შენს ლაშქარში მყოფი სპარსელები ქართველებიდან განარიდე და ჩემს ჯარს მივუსევ და გავაქლეტინებო.

ქართველთა მეფე გააოცა ასეთმა მოულოდნელმა, მუხანათურმა წინადადებამ. მან რისხვა ძლივს ჩაიქცია და სთქვა: ასეთი რამ არც შენს კეისრობას შეენის და არც არავითარ შემთხვევაში მე არ ჩავიდენო, „რამეთუ ღადრობა*, არა ხელ არს კაცთა პატიოსანთაო“.

* ღადრობა — მზაკვრობა, დაუნდობლობა.

თუ მაინცადამაინც სპარსელთა სისხლის დაქცევა გსურს, მაგის დროც დადგება და მაშინ გამოიჩინე შენი ვაჟკაცობაო.

კეისარმა სილა გადაყლაპა.

მერე ვახტანგმა წაუყენა თავისი წინადადებანი. მან გადაჭრით მოითხოვა ყველა ქართული მიწა-წყალი, რომელიც აქამდე უკანონოდ ეპყრა ბიზანტიას.

იმპერატორი დათანხმდა საქართველოს შეერთებოდა ტაო-კლარჯეთი, ციხე თუხარისი და ტერიტორიები შავი ზღვიდან სამხრეთით არსიანთამდე, ძველი პონტოურ-ქართული სამფლობელოები. კეისარმა მხოლოდ აფხაზეთის საკითხზე სცადა შესწორების შეტანა ვახტანგის მოთხოვნაში. კერძოდ, ეგრის წყლიდან (ენგურიდან) კლისურამდე (კელასურამდე) აფხაზთა მიწას ჩემი სახელი ერქვას და, თუ ჩემს ასულს ცოლად შეირთავ, აღნიშნულ მიწებს მზითვად გამოვატანო, ხოლო დანარჩენი აფხაზეთი, კელასურიდან ჯიქეთამდე, ბიზანტიას უნდა დაუბრუნდესო.

შეთანხმდნენ. ზავი დაიდო.

ბიზანტია და საქართველო კვლავ მოკავშირე-მეგობრებად ცხადდებიან და სპარსეთის წინააღმდეგ ერთად იომებენ.

სამოყვრო პირობაც გარიგდა: ვახტანგი ცოლად შეირთავდა ლეონის ასულს.

ქართველები ზეიმით ბრუნდებოდნენ უკან.

ერთ ხანს კლარჯეთში შედგა ვახტანგი.

მერე თუხარისად მოიწია. კარგა ხანს ათვალიერა აქაური ციხე-სიმაგრე და ბოლოს აღტაცებით შესძახა:

„ჰეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე!“

საკმარისი იყო ლეგენდისათვის, — სახელწოდება „თუხარისი“ ვახტანგის ამ თქმიდან წარმოსდგაო...

აქ, კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ა დ ვახტანგმა დატოვა თავისი ძუძუმტე ა რ ტ ა ვ ა ზ ი.

აქვე ვახტანგმა დიდად მოიწონა სოფელი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი და მის თავზე აღმართული კლდეები.

მაშინვე ახალ ერისთავს უბრძანა არტანუჯში ციხესიმაგრე და ეკლესია აეშენებინა.

ვინ იცისო, ეუბნებოდა ვახტანგი არტავაზს, როგორ დაგვჭირდება არტანუჯი; რომ ღმერთი გაწყრეს და მტერი მოგვერიოს, „საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“.

არტავაზმა აღასრულა სათაყვანო მეფის ბრძანება: აღაშენა ციხე არტანუჯისა, მონასტერი ოპიზისა და ეკლესიები მერისა, შინდობისა და ახიზისა. მან აქვე, ახიზში განაახლა ძველი ციხე, რომელსაც დიდი ქვაბული მიუმატა სადგომად და თავშესაფარად.

ვახტანგ მეფე მცხეთად მობრუნდა.

კვლავ დიდი ზეიმით ზეიმობდა სატახტო საქართველოსი.

## „დურ აზ გორგასარ"

**ბრძოლად გამოდის ზუჩმოელვარე ჰექტორ დიადი.**
**ჰომეროსი.**

სპარსეთის მეფე ჰორმიზდ III ჩრდილოეთ სირიაში იდგა და მოუთმენლად ელოდა კონსტანტინოპოლის იმპერატორისა და ქართველი მეფის შეხვედრის შედეგს. მას იმედი ჰქონდა, დაზავება არ შედგებოდა, ქართველები და ბიზანტიელები ერთმანეთს შეაწყდებოდნენ, ძალ-ღონითგან დაშრეტდნენ და ამით სპარსეთის საქმესაც სამუდამოდ „უშველიდნენ". ხოლო როგორც კი ჰორმიზდმა შეიტყო, რომ ლეონ და ვახტანგ დაზავებულან და შეკავშირებულან, ჯავრით აღსილი აიყარა, ქტესიფონში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ვეღარ ადგა. ქართველთა და მათი ხელმწიფის ჯავრიც სამარეში თან ჩაიყოლა.

სპარსეთის ტახტი ჰორმიზდის ვაჟის პეროზის ხელში დარჩა.

სამი წელი ემზადებოდნენ სპარსელები ქართველთა ჯავრის საყრელად.

ამასობაში დედოფალმა ბალენდუხტმა ვახტანგს მარჩბივად* ორი შვილი აჩუქა, ძე და ასული, მაგრამ თვითონ ბალენდუხტი მშობიარობას გადაჰყვა.

ტახტის მემკვიდრეს დაარქვეს დაჩი, ანუ დარჩილ.

ვახტანგს პირობისამებრ კეისარ ლეონ პირველის ასული უნდა შეერთო ცოლად, მაგრამ არც სამგლოვიარო ადათი და არც სპარსეთიდან მოსალოდნელი თავდასხმა ჯერჯერობით ნებას არ აძლევდა ახალი ქორწინებისათვის.

მეფე შეუსვენებლივ ემზადებოდა ომისათვის, ამაგრებდა ძველსა

* მარჩბივად — ტყუპად.

და აგებდა ახალ ციხესიმაგრეებს, სჭედდა იარაღს, წრთვნიდა ლაშქარს, ამზადებდა ხალხს მტრის დასახვედრად.

მისდგა მცხეთაში შემოსახლებულ ცეცხლთაყვანისმცემლებს, პირველ რიგში საპყრობილეში ჩააგდო ბინქარან „მაცთური“, ხოლო დანარჩენები ან გააძევა საქართველოს საზღვართაგან, ან სიკვდილით დასაჯა ურჩობისთვის.

დადგა 467 წელი.

სპარსელები საქართველოსკენ მოისწრაფოდნენ.

ურიცხვ მხედრობას წინ მოუძღოდა ახალგაზრდა შაჰინშაჰი პეროზი.

მეგზურად ჰყავდათ ბინქარან მაცდური, რომელსაც რაღაც მანქანებით მცხეთის საპყრობილიდან გაქცევა მოეხერხებინა.

ვახტანგმა სასწრაფოდ აფრინა მალემსრბოლი კეისარ ლეონთან. პატრუცაგით ატყობინებდა სპარსელთა მოსვლას, მოაგონებდა დადებულ კავშირს ურთიერთდახმარებისას; გაახსენებდა სპარსთა სისხლის ღვრის დიდ სურვილს, რაიც ისე ჟინმორეულად გამოთქვა ლეონმა ვახტანგთან პირველი შეხვედრისას.

მაგრამ ვახტანგის შათირმა კონსტანტინოპოლში ვერ ჩაუსწრო კეისარს. იგი ხაზართა წინააღმდეგ წასულიყო საომრად.

ვახტანგს ისედაც ნაკლები იმედი ჰქონდა ბიზანტიელთა დახმარების... ამიტომ შათირის დაბრუნებამდე ლაშქარი მზად ჰყავდა მტერთან შესახვედრად.

ქართლის საზღვართან მეგზური ბინქარანი მოუკვდათ სპარსელებს, მაგრამ მათ ისედაც კარგად იცოდნენ საქართველოსკენ მომავალი გზები.

გადმოიარეს ქვემო ქართლი, ქვეშევრდომი საპიტიახშო, სადაც მაშინ პიტიახშად იდგა ა რ შ უ შ ა.

მოადგნენ მცხეთის კარებს — ტფილისის ხევს და ააოხრეს სოფელი ტ ფ ი ლ ი ს ი.

მტკვრის მარცხენა მხარე ერანელებით გაივსო.

ც ხ ე ნ ი ს ტ ე რ ფ ზ ე (დიდუბე) დადგნენ და მცხეთისაკენ თვალი ალაგნეს:

მოპირდაპირედ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, დიღმის ველიდან არმაზამდე, ქართველთა ლაშქარი იდგა საომრად გამზადებული.

რიცხვით სამჯერ მეტნი იყვნენ სპარსელნი.

მაგრამ ქართველნი ქართულ მიწაზე იდგნენ, მისგან ნიადაგ ძალმოცემულნი.

ხოლო წინ ედგათ ხელმწიფე და მხედართმთავარი. დიდხელოვანი მტერთა ძლევისა, გმირი, რომელმაც ჯერ არ იცოდა სიმძიმილი დამარცხებისა.

სპარსელები კარგად ხედავდნენ ლაშქრის წინ ამხედრებულ მთაკაცს, ალმაშურად აღჭურვილს.

მის თავზე ათინათური სხივკრთომით ელვარებდა საომარი თავსარქმელი, ოქროვანი მუზარადი.

მხოლოდ ჯერ ვერ ამჩნევდნენ სპარსნი:

ვახტანგ მეფის მუზარადს წინ მგელი ჰქონდა გამოსახული, უკან — ლომი...

ბრძოლა დაიწყო.

დღე დღეს მისდევდა.

ბრძოლის სასწორი წონასწორად ქანაობდა.

მტკვრის ფონი ხელიდან ხელში გადადიოდა.

საარაკო გმირობით იბრძოდა ვახტანგ მეფე.

იგი იყო ყველგან, სადაც კი მისჭირდებოდათ ქართველთა და ეტევებოდა მტერს, „ვითარცა ლომი კანჯართა“.

სპარსელებმაც უკვე ინიშნეს ქართველთა მეფის სანიშნებელი: მგლის თავის სახოვნება წინ, მუზარადზე.

გამოჩნდებოდა „მგლისთავა“ გოლიათი და ძრწოლამოსილნი გარბოდნენ სპარსნი.

ხან აქ და ხან იქ, სადაც უფრო მძლავრობდნენ სპარსნი, გაიელვებდა მგლისსახოვანი მუზარადი და სპარსელები ზარგანხდილად ატეხდნენ ღრიალს:

„დურ აზ გორგასარ!“

(„მოერიდეთ თავსა მგლისასა!“).

ასე დაიბადა სამარადჟამოდ სახელგანსმენილი თიკუნი დიდი ქართველი ხელმწიფისა — გ ო რ გ ა ს ა ლ ი, მგლისთავა.

მაშ, თალპიონზე ომობს ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ!

ძრწოდეთ, მოსისხარნო ქართველთა!

საბოლოოდ დაისადგურა სპარსელთა გულში შიშმა, მუხლში — სიძაბუნემ.

ხოლო შიში უარესი მძულვარებით და ბოროტებით აღავსებს მტრის გულს.

## ამბავი რაჟდენ პირველმოწამისა

რამეთუ ვითარცა ღამისა შინა ბნელსა აღმობრწყინდების მთიები და შემდგომად მისსა სხუანი ვარსკულაენი შეუდგიან და მის თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ეჭმნა წინამძღუარ მოწამეთა.

ანონიმი XII საუკუნისა.

გავიხსენოთ ზემოთნათქვამი:

როცა ვახტანგ მეფემ პირველ ცოლად ჰორმიზდ III-ის ასული ბალენდუხტი შეირთო, სადედოფლოს სპარსეთიდან ჩამოჰყვა მისი მამამძუძე-გამზრდელი, რომელმაც უკან დაბრუნება აღარ ისურვა და, საქართველოსა და მის მკვიდრთაგან მოხიბლული, საქართველოშივე დარჩა.

მალე მან ცეცხლთაყვანისმცემლობა უარჰყო და ქრისტიანობა მიიღო.

ნათლობის სახელად დაერქვა რაჟდენ.

ვახტანგ მეფემ, „ვითარ ჰშუენოდა მთავრობასა მისსა“, თავიდანვე დიდი არზანიგი (პატივი) მიუგო გაქართველებულ უცხოელს; „დიდნი სოფელნი და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახველ თჳისსა ყო იგი“.

რაჟდენი ძალიან შეიყვარა ისედაც უცხოელთა მოყვარე ქართველობამ. თვითონაც თავის თავს ჰეშმარიტ ქართველად და ქრისტიანად თვლიდა და გარდასულ სპარსულ წარმომავლობას ხსენებითაც არ ახსენებდა.

საქმემაც მალე გამოაჩინა რაჟდენის წრფელი ქართული მამულიშვილობა.

სწორედ ახლა, როცა „მოვიდეს სპარსნი და აღავსეს ქართლი სპითა სიმრავლითა“, რაჟდენი ქართველთა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ მეწინავე მეომართა რიგებში ჩადგა. იგი ვახტანგ გორგასალის ერთი სარდალთაგანი იყო, „ახოვან წყობათა (ბრძოლათა) შინა და გამოცდილი, რჩეული მებრძოლი“. მრავალგზის ისახელა თავი რაჟდენმა თავისი ჯარით.

აღტაცებულნი იყვნენ ქართველნი თანამოძმედ ქცეული გმირით.

ცოფს ჰყრიდნენ სპარსელნი, გაბოროტებულნი თვისტომყოფილის მტრობით.

გაცოფებული პეროზ შაჰი დაჟინებით ბრძანებდა, როგორმე ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში რაჟდენი.

და ერთ ავბედით დღეს რომელიღაც ვიწრო ხევში მცირერიცხოვანი რაზმით მიმავალ რაჟდენს თავს დაეცა საგულდაგულოდ ჩასაფრებული სპარსელთა ჯარი.

ბრძოლა უსაზმნო გამოდგა. რაჟდენი შეიპყრეს და პეროზს მიჰგვარეს...

შაჰინშაჰმა „ქრისტეს მხედარი“ აათვალ-ჩაათვალიერა და ლოშქრიანი ღიმილით უთხრა:

„გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობაი შენდა! სად ბრძანდებოდი ესოდენ ჟამთა? რაისთვის უარგიყვია მამაპაპეული სჯული და შესდგომიხარ სჯულსა უცხოსა? განა, მზისა, ცეცხლისა და ციურ მნათობთა ბრწყინვალებას ჰურიათაგან ჯვარცმული კაცის თაყვანება სჯობიან?!“

რაჟდენმა მშვიდად, „ბრწყინვალითა ხმითა“ და „მოკლითა სიტყვითა“ უპასუხა, რომ მან წმინდა სიწრფოებით უარყო სპარსული „უღმრთოება“ და ურყევად ეზიარა ახალ სარწმუნოებას:

ჯერ წყნარადვე განაგრძობდა პეროზ:

„ისმინე, რაჟდენ, და თავი დაანებე მაგ უხმარ სიტყვებს. დაემორჩილე ჩვენს ბრძანებას, სამაგიეროდ მოგანიჭებთ უფრო დიდ პატივს და დიდებას, ვიდრე გაქრისტიანებამდე გქონდა სპარსეთში. ჩვენი დიდების თანაზიარს გაგხდით, ჩვენს უახლოეს და უსაყვარლეს მეგობრად გარდაიქცევი. ხოლო, უკეთუ არ შეისმენ, შენ მოგაკვდინებთ სიკვდილითა უმწარესითა, სატანჯველითა მრავალფერითა“.

რაჟდენმა გაიღიმა და თქვა;

„რანი არიან ნიჭნი და პატიენი შენნი, მეფეო, თუ არ წუთიერნი, სიზმარებრ განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი? რამეთუ ვითარცა კვამლი განქარდების და ვითარცა მტვერი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ და მიწადცა მოვიქცევით. ხოლო სული უკვდავ არს და უკვდავადცა ჰგიეს. შენთა თქმულთა რომ დავერწმუნო, განა მეც ისე არ მოვკვდები, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი? ხოლო უკეთუ მოვკვდე წმიდა სჯულისათვის, სული ჩემი განვადიდო და უკვდავ ვყო. ესე არს განზრახვა ჩემი უცვალებელი, ხოლო შენ მოიქეც, ვითარცა გსურდეს, ჩემგან არა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა“.

ავზნიანი დესპოტისთვის საკვირველებით კმაროდა.

მისი ბრძანებით კაცთა წამებაში დაოსტატებულმა ჯალათებმა რაჟდენი ძირს დასცეს და დიდხანს სცემეს. სცემდნენ სახეში, სცემდნენ ყველაფრით: ხელით, ფეხით, არგანით. მშვენიერი სახე სავსებით დაუღეწეს, ყველა კბილი ჩაუმსხვრიეს.

არც ერთი ხმა გმინვისა და კვნესის მაგვარი.

იწვა 'მშვიდად, მდუმრიად, უდრტვინველად.

თითქოს სხეული მისი არ იყო მისი.

არც ძირიდან ზღაფრიად ჩახეთქილი სისხლი ყოფილა ჩისი.

'დაიქანცნენ კაცთა წამებით ძალმოსილი ჯალათნი.

კვლავ მიესივნენ. დედიშობილად განაშიშვლეს.

წვერმახვილ ქვათა ფენილზე ათრიეს და კვლავ სცემეს ხელით, ფეხით, არგანით.

მერე მისი დარღვნილ-დალეწილი სხეული მარწუხებით შეკრეს და რკინით შეჭედილ ბნელ საკანში ჩააგდეს.

ეგონათ მოკვდებოდა.

მაგრამ ყოველი წყლული მოინელა მისმა ჩაკირულმა სხეულმა.

რაჟდენის საშინელი წამების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მტრისა და მოყვრის ბანაკებს.

ქართველები შეძრწუნებული იყვნენ სპარსელთა ურჯულკობით.

წუხილით შეძრულმა ვახტანგ მეფემ ორი ერისთავი გაგზავნა პეროზთან. შეუთვალა, ომსაც ახლავს კაცთმოყვარული კანონებიო, ხოლო შაჰინშაჰს ახლა შემთხვევა აქვს ხელმწიფური გულმოწყალების ჩვენებისა: დაე, მცირე ხნით მაინც გაანუტეფოს მან რაჟდენ წამებული ცოლ-შვილისა, ახლო ნათესავთა და მეგობართა მოსახილველად და გამოსათხოვებლად.

პეროზს მართლაც დაჯდომია ჰკუაში „ხელმწიფური გულმოწყალების“ ჩვენება; რაჟდენს უკანვე დაბრუნების ფიცი ჩამოართვა და ბორკილაყრილი ქართველთა ბანაკისაკენ გამოუშვა.

ჯერ მეფეს ეწვია რაჟდენი. ვახტანგმა დიდი სიყვარულით, მადლიერებითა და თანაგრძნობით მიიღო იგი. მკერდში ჩაიკრა, ნაწამები ღაწვები ამბორჰყო, მისი მძიმე თავგადასავალი გამოიკითხა და კვლავ მადლი და თანალმობა მიუგო საქართველოსთვის გარდახდილი სიმძიმილისთვის.

შემდეგ ახლობლები და მეგობრები მოიკითხა რაჟდენმა. ბოლოს, საკუთარ ოჯახში მივიდა. ცოლი და შვილები ტირილით შემოეგებნენ, გვემული სხეული, დალეწილი სახე და ხელ-ფეხი დაუკოცნეს.

დიდხანს აღარ დარჩენილა რაჟდენი თავისიანებთან.

არ შეისმინა მათი წუხილი, ხვეწნა-მუდარა. არ უღალატა ფიცის სიტყვას.

ადგა და წავიდა ისევ ტყვეობად სპარსთა ბანაკში.

პეროზ შაჰი კვლავ დიდი პატივ-დიდების აღთქმით შეეცადა რაჟდენის ისევ სპარსად და მაზდეიანად გადმორჯულებას, მაგრამ ვერაფერს გახდა.

რაჟდენი ურყევად იმეორებდა თავისას:

„ვერა რამან გამაშოროს საქართველოსა და ქრისტეს სიყვარულსა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკვდილმან ანუ ცხოვრებამან, სიმდიდრემან ანუ სიგლახაკემან, ვერარამან განმიტევოს ჩემი სიყვარული რწმენისაგან, რამეთუ მზა ვარ დათმენად ყოველისა".

მიესივნენ ჯალათნი. ჰგვემეს უწყალოდ, ათრიეს, სხეული დაუფლითეს, ძვალნი დაულეწეს, სისხლი დაუთხიეს.

დაიქანცნენ ჯალათნი.

ხოლო იგი კვლავ იწვა გაუნძრევლად, მდუმრიად, უდრტვინველად.

თითქოს სხეული მისი არ იყო მისი.

თითქოს არც სისხლი მისი იყო სისხლი მისი.

ისევ მოინელა მისმა ჯანღონიანმა სხეულმა წყლული ყოველი.

ბოლოს პეროზმა დაბორკილი რაჟდენი სოფელ წრომში გაგზავნა, იქ ბანაკად მდგარ რომელიღაც მარზპანთან. იქნებ რაიმე ძალითა და ღონით შენ მოახერხო მისი მორჯულებაო; ხოლო, უკეთუ შენც ვერაფერს გახდე, მაშინ ისე სტანჯეთ და აწამეთ, სიკვდილად მივარდნილი დასამარხავადაც აღარ ვარგოდესო, — უბრძანებდა შაჰინშაჰი ქვეშევრდომს.

წრომში დაბანაკებულ სპარსელ მთავრისათვის თავიდანვე ცხობილი იყო რაჟდენის საოცარი გმირობის ამბავი. იგი დიდის პატივითა და სიტკბოებით შეხვდა წამებულს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერც დამარწმუნებელი სიტყვით, ვერც ხვეწნით, ვერც მუდარით, ვერც მუქარით.

მარზპანსაც ჰყავდა ჯალათნი, სპარსელი ჯალათნი.

ამათაც დასცეს რაჟდენი, ათრიეს, სცემეს, ჰგვემეს, დალეწეს, დაასახიჩრეს, სისხლი ანთხევინეს.

მერე ისევ ჩიჩინი „მოსჯულებისთვის“.
ისევ უწყალო გვემა ურჩობისთვის.
სხეული მისი აღარ იყო მისი.
სისხლი მისი აღარ იყო მისი.
სიცოცხლე მისი აღარ იყო მისი.

ბოლოს, როცა ყველას გასაოცრად ისევ ფეხზე დადგა, ბნელი დილეგიდან ამოიყვანეს.

წყვდიადიდან თავდაღწეულმა რაჟდენმა სინათლის სხივით ჩაჰრილი თვალები მოავლო შემოგარენს.

წრომის მაღლობზე ჯვარი აღემართათ.

წამიერმა ღიმილმა დაამშვენა მისი ერთ დროს მშვენიერი სახე.

მშვენიერება გაიხსენა მისმა გვემულმა სახემ.

წამების გვირგვინი ელოდა — ჯვარცმა!

მიეახლნენ ჯვარცმის ოსტატი ჯალათნი.

ბორკილები დახსნეს, ჯვართან მიიყვანეს, ზედ ჯვარსახოვნად განმართეს და სამი დიდი, ჯიბუკი სამსჭვალით მიალურსმეს — თითო თითო ხელისგულზე, ერთიც ურთიერთ გარდათხმულ ფეხებზე.

შეძრწუნებულნი უცქერდნენ სპარსელები, როგორ მდუმარედ, უდრტვინველად ეკიდა სამსჭვალებით ჯვარზე ჯვარად განრთხმული კაცი.

გამოერკვა მარზპანი და ნიშანი მისცა მწყობრად ჩარიგებულ, მშვილდ-ისარ გამართულ მეომრებს.

ისართა მერეხ-ბარანი სტვენა-წივილით გაფრინდა ჯვრისკენ.

ისართა ჯაგარი თრთოდა წამებულის სხეულზე.

მიცვივდნენ მეომრები, ხელდახელ ამოაგლიჯეს სხეულიდან ისრები. უკუიქცნენ და ხელახლა დაუშინეს იგივე ისრები.

კვლავ ათრთოლდა ისართა ჯაგარი წამებულის ტანზე.

კვლავ მიცვივდნენ და ამოგლიჯეს, ისევ უკუიქცნენ და ისევ დაუშინეს სისხლით გათხვრილი ისრები.

ისევ და ისევ.

წიოდნენ სისხლიანი ისრები.

სისხლის ცვარ-ნამი ცვიოდა ნასისხლარ ისართაგან.

მხოლოდ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები:

„ხელთა შენთა, უფალო, შევევედრებ სულსა ჩემსა!“

ასე აღესრულა რაჟდენი, რომელმაც თავისი გმირობით ჭეშმარიტად „განაკვირნა ანგელოზნი და სირცხვილეულ ჰყო ეშმაკნი“.

ომის შემდგომად მეფე ვახტანგმა რაჟდენის ნეშთი წრომიდან სოფელ ნიქოზში გადაასვენა და იქვე მის სახსოვრად ახალი ეკლესია აღაშენა.

მერწმუნე, კეთილო მკითხველო, ანალოგიური თავგადასავალი საქვეყნოდ განსმენილი წმიდა სებასტიანისა*, ვერც გმირობით, ვერცა წამებით რაჟდენ პირველმოწამის თავგადასავალს ვერ შეედრება...

**სამთა მტერთა შეთანხმება**

მეოთხე თვე მიდიოდა ომი ქართველთა და სპარსელთა შორის.

კეისარმა ლეონმა შეატყო, ქართველები უმისოდაც დაამარცხებდნენ სპარსელებს. ამიტომ სანამ გვიან არ იყო, — სანამ ვახტანგ გორგასალი „სპარსულის" შემდგომ „ბერძნულ" ლაშქრობას გაიმეორებდა — ჯარები აფრინა ქართველთა მისაშველებლად.

ბიზანტიელებს იმპერატორის თანამოსახელე მოუძღოდა, ლ ე ო ნ ანთიპატოსი. მოვიდა, ვახტანგს კეისრის ძღვენი მოართვა და კეისრის სახელითვე ბოდიში მოუხადა მაშველი ლაშქრის დაგვიანებისათვის.

სპარსელთა მეფე საბოლოოდ გატყდა, „ფეხის ტერფიდან" ფეხი ამოიკვეთა, უკან გაბრუნდა, კალას დაბანაკდა და ვახტანგთან ზავისათვის ელჩები აფრინა დიდი ძღვენით.

ვახტანგ მეფე იდგა „ჯაჭუს".

მოეახლნენ სპარსელი ელჩები და მოართვეს ძღვენი და ძღვენთაგან უძვირფასესი „გვირგვინი ანთრაკოანი".

მეფემ გულდასმით და გულდინჯად მოისმინა პეროზის საზავო სათხოვარი.

მერე ნება დართო მასთან მოსალაპარაკებლად მისულიყო თვითონ პეროზ შაჰი.

ასეც მოხდა. ქართველი მეფის კარავში შეიყარნენ სამნი:

ქართველი, სპარსელი და ბიზანტიელი.

პეროზმა დასაწყისშივე უთხრა ვახტანგს: შენ მოითხოვე, რაც გნებავს და ჩვენ აღმსრულებელი ვართო.

ვახტანგმაც წამოაყენა საზავო პირობები.

უპირველესად ყოვლისა მოითხოვა მუდამ დანასისხლად გადამტე-

* სებასტიანი — დიოკლეტიანეს იმპერატორობის დროს (284 — 305 წწ.) არმიაში ქრისტიანობის ქადაგებისათვის ათასი ისრით დაცხრილეს.

რებული სპარსეთისა და ბიზანტიის (გინა ძველი რომის) შერიგება. პეროზს თანხმობა შეუმძიმდა. მან თქვა: ბიზანტიელები ისეთები არიან, როგორც კი დროს იპოვნიან, მაშინვე სპარსეთზე მოდიან საომრადო. მაგრამ ახლა რა გაეწყობა, შენი — ვახტანგ მეფის სიყვარული მაიძულებს ამ წინადადებას დავთანხმდეო.

ვახტანგმა თვალით ანიშნა ლეონ ანთიპატოსს და იმანაც კეისრის სახელით დაიფიცა, ამიერიდან მშვიდობიანობას აღარ დავარღვევთო.

ვახტანგისვე წინადადებით დადგინდა საზღვრები ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. ჯაზირეთის (მესოპოტამია — შუამდინარეთი) ჩრდილოეთი ნაწილი ბიზანტიას მიეკუთვნა, ხოლო სამხრეთი—სპარსეთს.

მერე საქართველოსა და სპარსეთის გავლენის სფეროებზე გაიმართა ბჭობა. სამხრეთით არაქსი და აღმოსავლეთით კასპიის ზღვა შეიქნა საქართველოს სამფლობელოთა საზღვრები. ამას გარდა სპარსთა მეფემ „მისცა გორგასალსა ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბრი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი".

მხარეთა წარმომადგენლებმა ზავს ხელი მოაწერეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

### გორგასალი უცხოეთში

დიდხანს არ გაუელია, სპარსელი შათირი მოვარდა მცხეთაში, მეფე პეროზის პირადი მობიდანი (ქურუმი), სახელად ბ ა რ ზ ა ბ ა ნ.

ბარზაბანმა ვახტანგს უამბო: როგორც კი პეროზი ქტესიფონში დაბრუნდა, იქაური წარჩინებულები მიესვივნენ და შავი დღე აყარეს; ჩვენ იმედი გვქონდა საქართველოსა და ბიზანტიას გაახადგურებდიო, შენ კი ამდგარხარ და ორივესთვის ცალ-ცალკე თითო სამეფო გიჩუქნიაო ჩვენი სამფლობელოებიდან. ახლა პეროზი ეაჯება ვახტანგს, თავისი დაი ცოლად მისცეს, თვითონ ვახტანგიც ვითარცა მოყვარე და მოკავშირე ჭტესიფოხს ეწვიოს, სპარსელი მარზპანები (ერისთავები) და დიდებულები დააშოშმინოს და ელამის, აბაშეთის, ჯორჯანეთის, ინდოეთისა და სინდეთის დალაშქვრაშიც მონაწილეობა მიიღოს.

ვახტანგმა სადარბაზოდ მოიწვია ქართველი ერისმთავრები და ბიზანტიელი ლეონ ანთიპატოსი. სპარსეთის ხელმწიფის სათხოვარი განიხილა, სხვათა თათბირიც ჰოისმინა და პეროზის თხოვნის აღსრულება გადაწყვიტა. ხოლო ბერძენთა სარდალს კეისართან უნდა ეშუამდგომლა

სასწრაფოდ: თუ ვახტანგი სამხრეთის და აღმოსავლეთის დასალაშქრავად სპარსეთის ჯარებს შეუერთდება, ბიზანტიელებმაც, ვითარცა მოკავშირეებმა, მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ლაშქრობებში.

გადაწყდა ისიც, რომ პეროზისათვის მიეთხოვებინათ ვახტანგის უმცროსი დაი, ოვსთა ტყეეობიდან გამოხსნილი მირანდუხტ (უფროსი, ხვარანძე, სომეხთა პიტიახშზე იყო დაწინდული).

ამ სასიხარულო გადაწყვეტილებით გაისტუმრა ვახტანგმა სპარსი ელჩი ბარზაბან. თან ქართველთა მეფემ პეროზს შეუთვალა, დედისა და დების თანხლებით, იერუსალიმს მივდივარ წმიდა ადგილთა მოსახილველადო; უკან დაბრუნებისას ანტიოქიაში დამელოდე და იქ შეძლებ ჩემს პირად ხილვასო.

ჭერე კვლავ შეჰყარა ერისმთავარნი:

ჯ უ ა ნ შ ე რ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა.

დ ე მ ე ტ რ ე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა.

გ რ ი გ ო ლ, ერისთავი ჰერეთისა.

ნ ე რ ს ა რ ა ნ, ერისთავი ხუნანისა.

ა დ ა რ ნ ა ს ე, ერისთავი სამშვილდისა.

ს ა მ ნ ა ღ ი რ, ერისთავი ეგრისისა და სვანეთისა.

ბ ა კ უ რ, ერისთავი არგვეთისა და თაკვერისა.

ა რ ტ ა ვ ა ზ, ერისთავი კლარჯეთისა.

ნ ა ს ა რ, ერისთავი წუნდისა.

ბ ი ვ რ ი ტ ი ა ნ, ერისთავი ოძრხისა.

ამათ წინაშე ვახტანგმა გამოიყვანა ხუთი წლის დ ა ჩ ი, ძე და მემკვიდრე. თავი სამეფო დიადემით შეუმკო და დარბაზად წვეულთ უბრძანა, ამიერიდან თაყვანი ეცით და იზრუნეთ მასზე, ვითარცა ჰეშმარიტ ხელმწიფესა და ხელმწიფის შვილზეო. მე ჯერჟამობით უცხო მხარეში მივემგზავრები და, ვიდრე დავბრუნდებოდე, მემკვიდრე ჩემი იგულვეთ ჩემსავ ადგილზეო. მეფე იმასაც გულისხმობდა, რომ მის დაბრუნებამდე ყრმა დაჩისა და ქვეყნის პატრონი იქნებოდა სპასპეტი ჯუანშერ, ისედაც ზედამდგომელი ყოველ ერისთავთა ზედა.

ერისთავთაგან სამი — არტავაზ, ნასარ და ბივრიტიან — მეფეს თან უნდა წარეტანა სპარსეთში. მათთან იახლა აგრეთვე „დიდი ეჯიბი" (მსახურთუფროსი) ს ა უ რ მ ა გ და ათი ათასი რჩეული მხედარი.

მეფეს უჯარმის მშენებლობა ჰქონდა დაწყებული და მასზე ზრუნვაც ჯუანშერს დაუბარა.

470 წლის აღდგომა დღეს ვახტანგ გორგასალი დედის, დებისა და წარჩინებულ ქართველთა თანხლებით ეწვია იერუსალიმს, მოიხილა წმინდა ადგილები, თაყვანი სცა და მდიდრული ზორვანი გამართა.

იერუსალიმიდან გამობრუნდა და მოვიდა ანტიოქიას, სადაც მას მოუთმენლად ელოდა შაჰინშაჰ პეროზ. დიდის ძღვენით, ქება-დიდებითა და თაყვანისცემით შეეგება სპარსელი ქართველს.

საბოლოოდ შეთანხმდნენ კავშირ-ბოყვრობაზე. ვახტანგი შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობაზეც დათანხმდა.

აქვე ვახტანგმა ბიზანტიის კეისრისაგან მიიღო პატრუცაგი, რომლითაც იგი დიდი მოკითხვისა და ქება-დიდების შემდგომ ატყობინებდა: ვუბრძანებ ლეონ ანთიპატოსს, „რათა იყოს შიშსა და ბრძანებასა შენსა ქვეშე“ და შენსავე სამსახურად ვაგზავნი ოციათას მეომარსო.

აქვე ვახტანგ გორგასალის წინაშე გამოცხადდა სომხეთიდან გამოწვეული ათი ათასი მეომარი.

ანტიოქიიდან სპარსეთის სატახტოში გაეშურნენ.

ქტესიფონი ზეიმით შეხვდა ქართველ ხელმწიფეს. ქალაქი ვეღარ იტევდა ცნობისმოყვარეთა ბრბოებს. ყველას უნდოდა ეხილა ლეგენდად და ზღაპრად ქცეული „მგელთავა“ გმირი. „პატივს სცემდა ვახტანგს ყოველი ერი სპარსეთისა, ვითარცა მეფესა მათსა“.

ქტესიფონის სასახლეში „მოეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი სიხარულითა დიდითა“. აღარავის სურდა გაეხსენებინა ქართველთაგან განცდილი მარცხი, რაკი უძლეველი ქართველი ხელმწიფე, ამჯერად მათი მოყვარე და მოკეთე, თანხმობას აცხადებდა მონაწილეობა მიეღო სპარსელთა აღმოსავლურ-დასავლურ ლაშქრობებში.

მას ჟამსვე „აღასრულეს ქორწილი სამეუფო“.

ნეფედ მეფე დაჯდა — პეროზ.

სპარსეთის დედოფალი შეიქნა მირანდუხტ, უმცროსი დაი ქართველი გვირგვინოსნისა.

ქორწილის შემდგომ ვახტანგის დედა საგდუხტ და მისი უფროსი ასული ხვარანძე დიდძალი ძღვენით დატვირთულნი დაბრუნდნენ ქართლს.

შემდგომი წლები ვახტანგ გორგასალის ცხოვრებისა ახალ-ახალი ლეგენდებით იმოსებოდა და იკაზმებოდა.

სპარსელთა ურიცხვი მხედრობა აღმოსავლეთით მიეშურებოდა.

გორგასალიც ამხედრდა ორმოცათასიანი ლაშქრით: ათი ათასი ქართველით, ათი ათასი სომეხით, ოცი ათასი ბიზანტიელით.

ჯერ აიღეს და დაიმორჩილეს ჯორჯანეთი.

შემდეგ ინდოეთში შევიდნენ, ინდის ზემო წელზე, ფენჯაბის ქვეყანაში (ერთ დროს ამ გზით შევიდა ინდოეთში ალექსანდრე მაკედონელი). ამ ზღაპრულ ქვეყანაშიც გავარდა სახელი ზღაპრული გმირისა. თხუთმეტი ინდოელი „ბუმბერაზი“ მოჰკლა ვახტანგმა ორთა რკენაში. განგის ხეობაშიც შეიჭრნენ ქართველნი, დეჰკანიც დალაშქრეს. მერე ისევ დასავლეთით შემოიქცნენ და მდინარე ინდს სამხრეთისაკენ დაუყვნენ (საითაც ერთ დროს მიეშურებოდა ალექსანდრე მაკედონელი). აქ გაშლილი იყო უწარმაზარი ინდური ქვეყანა ს ი ნ დ ე თ ი.

სინდეთის მეფე მედგრად დაუხვდა მტერს, ჯარები ციხე-ქალაქებში ჩააყენა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში მტრებზე თავდასასხმელად გამოჰყავდა.

ასნაირი ბრძოლით „მოსწყდა ურიცხვი ერი სპარსთაგანი“, ხოლო „არა-სადა იძლივნეს ვახტანგის სპათაგანნი. და ყოვლადვე მძლედ გამოჩნდეს მტერთა ზედა“.

ყველგან დიდის სიმამაცით და საომარი ოსტატობით იბრძოდნენ ვახტანგის თანაშემწენი: საურმაგ, არტავაზ, ნასარ და ბივრიტიან.

დიდი მხნეობით იბრძოდა თვითონ მეფე სინდეთისა. იგი სპილოზე ამხედრებული გამოიჭრებოდა ხოლმე საომრად. ტანად ახოვანი იყო და გულად უშიშარი. ვახტანგს მოსწონდა მისი სივაჟკაცე და სიკისკასე (ისევე, როგორც ერთ დროს ალექსანდრე მაკედონელი აღაფრთოვანა ინდოელი ხელმწიფის პოროსის გმირობამ).

ერთ ღამით სინდთა მეფემ ქალაქის კარიბჭიდან დაშორებით, მტრისგან იდუმალ, მაღალი და განიერი ორმო გაათხრევინა და შიგ ათი საუკეთესო მოისარ-მახვილოსანი ჩაასაფრა. დილით ქალაქიდან ერთი ვილაც „ბუმბერაზი“ გამოიჭრა ამხედრებული, ქართველთა ბანაკს ნავარდით ჩაურბინა და საომრად ვახტანგ გორგასალი გაიწვია.

მეფეს დაასწრო „დიდმა ეჯიბმა“ საურმაგმა. მან ცხენი გააჭენა, სინდელს მიუხტა და შესძახა: შენ მეფესთან შებრძოლების რა ღირსი ხარ, მე შემებრძოლე, ვითარცა მონა მონას შეებმისო.

შეუტია საურმაგმა. სინდელმა უცებ ცხენი შეატრიალა და გაიქცა. ქართველიც გამოენთო კვალდაკვალ. ერთ ხანს ასე სდია დანდობილად, მაგრამ უეცრად ჩასაფრებული ათი სინდელი ამოიჭრა მიწიდან და სა-

თხედები* დაუშინეს ზურგიდან. წამსვე წინგაქცეულიც შემოუბრუნდა. საურმაგმა მოასწრო, — მოპირდაპირეს გულში შუბი სცა და ჩამოაგდო, მაგრამ თვითონაც მკვდარი გადმოეშვა სათხედებით დაცხრილული.

მაშინვე წინ გაიჭრნენ ვახტანგ, არტავაზ, ბივრიტიან, ნასარ და ლეონ ანთიპატოსი. მაგრამ ამაოდ, — მკვლელებმა შეასწრეს ქალაქის კედლებში.

მეფე შემობრუნდა და მწუხარებით შეძრულმა ხელში აიტაცა საურმაგის ცხედარი. საურმაგი მისი მამამძუძის ძმისწული იყო, არტავაზის ბიძაშვილი. სამივენი ტოლები იყვნენ, ერთი კბილანი და ერთად გაზრდილნი.

სამი დღე-ღამე ჩაიკეტა ვახტანგ კარავში ცხედართან ერთად; „იგლოვდა გვამსა ზედა საურმაგისსა, ვითარცა ძმისა საყვარელისასა“ (როგორც ალექსანდრე მაკედონელი იგლოვდა კლიტოს მელანოსს, უსაყვარლეს ძიძიშვილს).

საურმაგის დაკრძალვის შემდეგ გორგასალი საომრად და შურისსაძიებლად აღიკაზმა, სინდთა მეფე ქალაქის კარიბჭეზე გადმოდგა და მოახლოებულ უცხოელს ასეთი იგავი ჩამოსძახა:

ერთხელ ერთმა ყვავმა არწივისაგან დაკოდილ-დაუძლურებული ჭორი იპოვნა. იმის ნაცვლად, რომ ყვავი თავისი ჯიშის მიხედვით მოქცეულიყო, ჭორის გასაძევებლად სხვა ყვავებისათვის მოეხმო, მან თავის ბახალების მოვლას თავი მიანება და დასუსტებულ მტერზე ზრუნვას შეუდგა. იგი ჭორს აჭმევდა იმას, რისი დაჭერაც თვითონ შეეძლო: კალიასა და ქვეწარმავალს. ჭორმა იფიქრა, თუ ფრინველის ხორცი არ ვჭამე, მარტო მწერისა და ქვემძრომის ჩაყლაპვა ძალას და ღონეს ვერ დამიბრუნებსო და ერთ მშვენიერ დღეს ჭორმა შეჭამა მისი კეთილისმყოფელი ყვავი. ესე არს ზნეობა ამა არაკისა: ვინაც უღალატა თავის ჯიშს, იგი მოიკლა, ხოლო ვინაც აღასრულა თავისი ჯიში, იგი განამძლავრდა და აღზევდა. სწორედ შენ, ვახტანგ მეფე ხარ ყვავი იგი უგუნური, რომელსაც შენი მამაპაპეული ქვეყანა დაგიტოვებია და მშვილელად სპარსელებს მოვლენიხარ, აწ დასუსტებულ შენსავე და შენებრ ქრისტიანთა მოსისხლე მტრებს. შენც შეეყრები იმ ყვავისაებრ სიკვდილს, რამეთუ სპარსელები შენი დახმარებით განძლიერდებიან თუ არა, შენვე შენს ქვეყანასთან ერთად ჩაგყლაპავენ.

ვახტანგს გულში მოხვდა ინდოელის ნათქვამი. მაგრამ თვითონაც უპასუხა:

---

* სათხედი — მოკლე შუბი (საბა).

შენ თვითონ ჰგავხარ უგუნურ თხუნელასო, რომლის „საყოფელი არს მიწასა ქვეშე; და არა უწყის ბრწყინვალება მზისა და შუენიერება ველთა“. არცა ჰგონია, თუ სადმეა მიწისქვეშეთზე უკეთესი ცხოვრება და არც სურვილი აქვს ზესკნელიერი სინათლისა და სიმშვენიერის ხილვისა. „ეგრეთვე შენ ბრმა ხარ გონებისა თვალითა, და ყრუ ხარ გონებისა ყურითა“. ამიტომ არ გესმის, რომ მე აქ მოვსულვარ არა სპარსთა მეფის მსახურად, არამედ საქრისტიანოს სამსახურად და სადიდებლად. შენ არ იცი, რომ „ბევრისა-ბევრეული სული დახსნილ არს ჩემითა აქა მოსელითა“. არც რა სპარსელთა განძლიერება მაშინებს, რამეთუ „ძალითა შეწევნითა ქრისტესითა“ კვლავაც შევძლებთ თავი დავიცვათ ყოველ მტერთა მიმძლავრებისგან. ისედაც „საძაგელ არს გონება შენი“, რადგან შენ აქებ ჭორსა ღადარსა (დაუნდობელსა), რომელმაც სიკეთისათვის ბოროტით მიუზღა, ხოლო ჩვენ მზად ვართ ჩვენი კეთილისმყოფლისათვის საკუთარი სულიც გავწიროთ, რამეთუ ამქვეყნად კაცთა ქება დავიმსახუროთ და იმქვეყნად საუკუნო ცხოვრება ვპოვოთ.

სინდთა მეფე ცხენზე შეჯდა, საჭურველი შეისწორა და ვახტანგს ერთჯერ კიდევ შეუძახა: რაკი აგრე რიგად გსურს უკვდავების სასუფეველი დაიმკვიდრო, მაგ ნატვრას ახლავე აგისრულებო.

შეიბნენ მეფენი სინდთა და ქართველთა. კარგა ხანს შუბგაწვართულნი მრგვლივ ურბენდნენ ნავარდს. მერე სანავარდო წრე გადალახა ვახტანგმა, გულდაგულ მიაშურა მტერს. სინდელმა დრო ხელსაყრელად ჩათვალა და მთელის ძალით აძგერა შუბი. გვერდით გაუხტა ვახტანგი. მარცხენა ფერდთან ჩაუქროლა ნაძგერებმა. ფიქრზე უმალეს საპასუხო აძგერა და ბეჭი განუგმირა სინდთა მეფეს. ცხენიდან გარდააგდო, თვითონაც გარდახდა, ფერხში ხელი დააელო და დაითრია.

ასე თრევით მიაგდო თავისიანთა ბანაკში.

სიხარულით აღივსო სპარსთა ხელმწიფე. ახლა მას შეეძლო ტყვე გვირგვინოსანიც მოეკლა და მისი სამფლობელოც საბოლოოდ დაემორჩილებინა.

მაგრამ ისევ ვახტანგმა არ დაანება პეროზს,—ტყვე მეფე გაათავისუფლე და ხარკისა და მძევლების ჩამორთმევით დაკმაყოფილდიო.

პეროზი უნდა დათანხმებულიყო და დათანხმდა. სინდთა მეფე გაათავისუფლა, ხარკი აიღო და ვახტანგს მიუძღვნა. ორი შვილიც მძევლებად ჩამოართვა პეროზმა სინდთა მეფეს. სინდელი ქართველის ქველმოქმედებამ განაცვიფრა და „დაემოყვრა ვახტანგს სიყვარულითა დიდითა“.

ამის საფუძველიც ჰქონდა სინდთა მეფეს: იგი ორჯერ იხსნა ვახტანგმა სიკვდილისაგან: პირველად თვითონ არ ინება ძირსდაცემულის მოკვლა, მეორედ სპარსთა მეფის ხელისაგან დაიხსნა. ამიტომ მან „უძღვნა ვახტანგს ძღვენი მიუწვდომლად დიდძალი“.

სპარსელები და ქართველები ინდოეთიდან წამოვიდნენ და აბაშეთს მიადგნენ. ეს ქვეყანაც დაამარცხეს და დაიმორჩილეს.

ვახტანგის გამომგზავრების დღე დადგა, პეროზმა წამოსვლის წინ ცოლისძმას შეჰბედა: ქვრივი ხარ და ისევ ჩვენი საგვარეულოდან შეირთეო ცოლი. ვახტანგმა მაშინვე შორს დაიჭირა: მე უკვე მყავს ცოლი, კეისრის ასული, და ორი ცოლის ყოლა ჩემი ადათით ყოვლად შეუძლებელიაო.

ეს სთქვა და მაშინვე კონსტანტინოპოლისკენ სამგზავროდ გამზადებულ ლეონ ანთიპატოსს თავისი მოციქულებიც წარატანა კეისრის ასულის ჩამოსაყვანად.

მოციქულები იყვნენ: არტავაზ, ნასარ, ბივრიტიან.

### დაბრუნება გორგასალისა

სამშობლოში ბრუნდებოდა ვახტანგ გორგასალი.

ბევრი საფიქრალი და საზრუნავი გასჩენოდა ქართველთა მეუფეს, სინდთა მეფის არაკი ისევ უღრღნიდა გულს.

დიდი იყო მისი სახელმწიფო, ვრცელი, მძლავრი და ბრწყინვალე, მაგრამ ბევრი სისუსტეც შინაგანად თან ახლდა გარეგნულად მბრწყინავ ბუმბერაზს.

წარჩინებულნი, აზნაურნი ავიწროებდნენ „წვრილ ერს“.

ჯერ ვერ უბედავდნენ, მაგრამ ალმაცერი თვალით უცქერდნენ „ხალხის მეფის სახალხო საქმეებს“.

წარმართობაც ჯერ კიდევ სრულად არ აღმოფხვრილიყო ქართველთა სულში.

ქრისტიანული ეკლესიაც არ იყო მძლავრი საყრდენი მეფის უზენაესი ხელისუფლებისა. ისიც ისევ და ისევ „წვრილი ერის“ მტანჯველი ძალა იყო საქართველოში.

ახლაც ამაზე ფიქრობდა.

სადედოფლოს ჩამოყვანასთან ერთად, კონსტანტინოპოლში გაგზავნილ მოციქულებს ევალებოდათ საქართველოში ჩამოეყვანათ ვახტან-

გისთვის უკვე პირადად ცნობილი პეტრე, სამოელი და კიდევ თერთმეტი სხვა სამღვდელო.

მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში კათალიკოსობა შემოეღო. სწორედ პირველ კათალიკოსად მას უნდა დაესვა პეტრე, ხოლო მცხეთის ეპისკოპოსად — სამოელი. დანარჩენი თერთმეტი სამღვდელო აგრეთვე ეპისკოპოსებად უნდა გამწესებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა სამწყსოში.

კათალიკოსობის შემოღებას და ეპისკოპატის გადახალისებას უნდა აღემაღლებინა ქართული ეკლესიის როლი და ავტორიტეტი მსოფლიო საქრისტიანოს სარბიელზე.

ვახტანგმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ არ იცოდა: ბოროტსა და ვერცხლისმოყვარე ანგარს, მიქაელ ეპისკოპოსს უკვე შეეტყო მეფის განზრახვა ქართლად კათალიკოსობის შემოღებისა და კათალიკოსად პეტრე ბიზანტიელის წვევის შესახებ. მიქაელი სიშმაგემ შეიპყრო და „იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“.

მეფე ტფილისის ხეობაში შემოვიდა. სიამით ავსებული მზერით მოიხილა ტფილისი, რომელიც რვა წლის წინათ აოხრებული, ახლა ხალხით აესებულიყო და უმშვენიერესი ქართული ეზო-მიდამოებით აყვავებულიყო.

ერთხელ კიდევ დარწმუნდა მეფე ტფილისის ადგილდმებარეობათა სამხედრო, საპოლიტიკო, სამეურნეო და სააღებმიცემო მოხერხებულობაში.

გზა განაგრძო. დილომი გაიარა. არმაზის ხევს დაუახლოვდა.

ბუკთა და ნაღარათა ხმა შემოესმა.

გული აუჩქროლდა გულუძვრელ ვაჟკაცს.

მცხეთიდან ბრწყინვალე ტაძრიონი მოეშურებოდა.

წინ თეთრ ტაიჭზე ამხედრებული ყმაწვილი მოუძღოდა, ახლად ტანაყრილი, სავსებით პირტიტველი, ბავშვურად წვერგამო.

მეფის ძე დაჩი.

იგი ხუთი წლისა დატოვა ვახტანგმა. ახლა ცამეტი წლისა იქნებოდა დაჩი!..

მიეახლა გორგასალს ვაჟი გორგასალისა. ცხენიდან გარდახდა და მკერდში ჩაეკრა.

აღტაცებას ძლივს იფარავდა დინჯი ხელმწიფე.

წარსდგა და თაყვანი სცა ჯუანშერ სპასპეტმა. მოელი ტაძრიონი ეთაყვანა სათაყვანო მეუფეს.

მერე მიქაელ ეპისკოპოსი გამოჩნდა სახედარზე ამხედრებული, ბერ-ფიჩოსანთა ამალით.

მეფე მიუახლოვდა რისხვით პირშეკრულ ბებერს.

კურთხევის ნაცვლად ეს რისხვეული სიტყვა შეაგება მეფეს:

„თურმე შენ ქრისტე დაგიტევებია და ცეცხლსა ესავ!“

ვახტანგმა მშვიდად უპასუხა:

„ძალითა ქრისტესითა შეველ და სიმართლით გამოველ ძალითავე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის!“

„გარნა შენ გიბრძანებია მოყვანებად საბერძნეთიდან...“

ვახტანგმა გააწყვეტინა:

„დიაჴ, წარმიელენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა“.

„მაშინ, კრულ იყო შენცა და ყოველნი სპანი შენნი!“ — გაბოროტებით იღრიალა ეპისკოპოსმა.

ვახტანგი წამით რისხვამ აიტანა, მაგრამ ისევ მშვიდად მიუგო ბრაზით დაპატარავებულ ბერიკაცს:

„დაღაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩვენგან“.

თქვა და ცხენიდან გარდახდა, წელში მოიდრიკა და ბრაზითა და ზიზღით დაღრეჯილი პირი ეპისკოპოსის ფეხს მიუახლოვა ამბორსაყოფად.

და მოხდა ისეთი რამ, რაის მსგავსიც მანამდე და არც შემდგომ არასდროს მომხდარა ქართველი ხალხის ისტორიაში:

მღვდელმა ფეხი მოიქნია და ფანდაკით (ქოშის ქუსლი) კბილებში სცა ერის უპირველეს მეუფესა და გვირგვინოსანს.

წინა კბილი შეემუსრა და პირიდან სისხლი წარსდინდა ვახტანგს.

ეს საშინელი სისხლიანი აღნაბეჭდი სამარადჟამოდ წარუშლელად შერჩა გეორგიადის ბრწყინვალე ფურცლებს.

გაოცებისგან გაირინდა ყველა და ყველაფერი.

ვახტანგი პირს იმშრალებდა და შეგრძნებული თვალით დასცქეროდა სიკვდილისფრად გაფითრებულ და სავსებით დალეულ მუმიაბებერს.

თითქოს ქერუბინი აპირებდა სატანის გაცამტვერებას.

მაინც დაიცხრო გულზვაოანობა დიდმა ხელმწიფემ და ისევ წყნარად თქვა:

„სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისა; უკეთუ ჩემი ცოდვების სიმრავლემ აღგძრა, მაინც ნება არ გქონდა ესოდენ

ბოროტებისა, არამედ ვალი გედვა შენდობისა, ვითარცა იტყვის სახარება: „არა დაშრიტო პატრუკი მგზებარე, არცა გასტეხო ლერწამი დაჩეჩქვილი“. ხოლო შენ ჰგონებ შენი სიეერაგითა აგვაცდენ ქრისტეს სიყვარულსა. შენი ბოროტება მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს შეიტყუე ქართლად მოყვანება შენზე უმთავრესისა, კათალიკოსისა, და აღეგზენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა პეტრესადმი. რამეთუ შენა ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია — ვითარცა პეტრე. შენ ვერცხლის მოყვარე ხარ და მეგუადრუცე (ფულის ყუთის შემნახავი). აწ მიგავლინო შენ კონსტანტინოპოლს, პატრიარქთან და, ვითარცა ჯერ იყოს, იმან განგიკითხოს“.

ეს ბრძანა მეფემ, დიასპანებიც იქვე გამოჰყო, მიქაელ ეპისკოპოსი გადასცა და კონსტანტინოპოლისკენ გაუყენა. დიასპანებს ევალებოდათ გათავხედებული ეპისკოპოსი ბიზანტიის პატრიარქთან დასასჯელად წარედგინათ და კათალიკოს პეტრესა და სხვა ეპისკოპოსთა გამოგზავნა დაეჩქარებინათ.

ასეც მოხდა. საქართველოდან გაძევებულ მიქაელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკი ძალიან მკაცრად შეხვდა და მკაცრადვე უთხრა:

„ვინათგან შენ მიერ დაითხია სისხლი, ღირსი აღარ ხარ ეპისკოპოსობისა; მეფისადმი ესოდენი შეურაცხყოფის კადრებისათვის სიკვდილიც კი გეკუთვნის, რამეთუ თქმულა: „დაეშორჩილენით თქუენ მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ხრმალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი ცხოვართა შორის“.

აკაკის ბრძანებით მიქაელი კონსტანტინოპოლიდანაც გააძევეს და სადღაც შორს, ე. წ. მღვიძარეთის მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს.

მერე აკაკიმ ანტიოქიის პატრიარქს შეატყობინა „დიდისა ვახტანგ მეფისა დიდი საქმენი“ და თხოვნა საქართველოს კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა ხელდასხმის შესახებ. ანტიოქელმაც სიამოვნებით აღასრულა ეს საპატიო შუამდგომლობა.

კეისარმა ლეონ პირველმა ცამეტი საეკლესიო მოღვაწე და თავისი ასული ე ლ ე ნ ე დიდძალი ძღვენითა და დიდი სამხედრო ამალით საქართველოსკენ გამოისტუმრა.

## აღმშენებლობა გორგასალისა

ვახტანგ მეფე დიდი მშენებლობითი საქმიანობით იყო გართული. მან მცხეთაში, ძველ, წმინდა ნინოსა და მირიან მეფისდროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე წამოიწყო ქვის დიდი სიონის მშენებლობა. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოვლის მეორე ხუროთმოძღვრული გარდასახვა.

ახალ დიდ ქართულ ლავრაში ვახტანგმა დასვა პირველი კათალიკოსი, პეტრე, მის თანაშემწედ — ეპისკოპოსი სამოელ.

აქვე მეფემ საქართველოს დედოფლის გვირგვინი თავზე დაადგა ახალ თანამეცხედრეს, ელენეს, ბიზანტიის კეისრის ასულს.

იმავე ხანებში ვახტანგმა განასრულა თავისი ახალი რეზიდენცია უჯარმა, რომელიც მან „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“.

სიონის ლავრის გარდა, ვახტანგის ბრძანებით, მეთვალყურეობითა და მონაწილეობით აშენდა საეპისკოპოსო ეკლესიები, ნიქოზს, ნინოწმინდას, ჭერემსა და ჩელეთს.

სოფელ ტფილისთან, მეტეხის მაღლობზე, ნამგლის სახედ მოდრეკილ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ვახტანგმა კიდევ ერთი ახალი ტაძარი აღაშენა.

სპარსთაგან მომძლავრება შორსმხედველ მეფეს მიანიშნებდა, მცხეთიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასაელეთით გადაენაცვლებინა და აქაური ციხე-ქალაქების გამაგრებასა და აშენებაზე ეზრუნა.

თვითონ ხშირად უჯარმაში იჯდა, მისი პირმშო და მემკვიდრე დაჩი ჭერემის, ნეკრესისა და კამბეჩოვანის მთავარი ქალაქის, ხორნაბუჯის მფლობელად და დამცველად იდგა.

ვახტანგ მეფის მთავარი ყურადღება მაინც ტფილისისკენ იყო მიპყრობილი.

ტფილისი საქართველოს ახალ, უფრო განსაკუთრებულ და აღმატებულ სატახტო ქალაქად უნდა ქცეულიყო.

უმშვენიერესი ლეგენდაც დაიბადა ტფილისის ქალაქად აღშენებისა:

ერთხელ ვახტანგ გორგასალი თავისი ამალით სანადიროდ ბრძანებულა ტფილისის უღრან ტყეებში. ხოხობი აფრენიათ ანაზდად. მიმინო გამოადევნეს. ორივე ფრინველი გადაიკარგა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ წაადგნენ უცნაურ სურათს: მეტეხის პირდაპირ, ნამგლის სახედ განდრეკილ მტკვრის მარჯვენა მხარეს, მიწის გულიდან ამომდინარე წყაროში იპოვნეს ორივე ფრინველი. სწორედ ამ წყაროს სწორად წამოსწევია

მიმინო ხოხობს და ორივენი შიგ ჩაცვენილან, ჩამხრჩვალან და ჩახარშულან: წყარო თბილი იყო, სურნელიანი და ოხშივრიანი.

ვახტანგმა ტყეების გაჩეხვა და ქალაქის გაშენება ბრძანა.

სახელიც თვითონ დაუდგინა, „ტფილ“ წყაროთაგან გამომდინარე — ტ ფ ი ლ ი ს ი (აქაურ სოფელსაც ხომ ძველთაგანვე ტფილისი ერქვა).

შენდებოდა ტფილისი, მეფის სასახლე, ციხესიმაგრე კალა, ახალი ტაძარი.

ხალხით ივსებოდა, იზრდებოდა და მდიდრდებოდა ახალი სატახტო.

საქართველოს მტრებს გულს ულახვრავდათ ტფილისის აღზევება.

მეტადრე სპარსელთ.

და სპარსელთა უერთგულეს საყრდენთ საქართველოში:

ქვემო ქართლის პიტიახშებს.

## ვარსქენ და შუშანიკ

„...აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ეტიროდეთ განმწირებულნი...“

ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ე ლ ი.

გაიხსენოთ არშუშა პიტიახში, რომელიც სპარსეთის მეფის იეზდიგერდ II-ის ბრძანებით, სხვა ქართველ, სომეხ და ალბანელ წარჩინებულებთან ერთად ქტესიფონს ჩავიდა და იძულებით მაზდეიანობა მიიღო. შაჰმა არშუშა თავისთან მძევლად დაიტოვა, ხოლო მის ნაცვლად ქვემო ქართლის პიტიახშად დანიშნა არშუშას ძე ვ ა რ ს ქ ე ნ ი, კაცი ბუნებით გულბოროტი და ავზნიანი, მცხეთელ ხელმწიფეთა მოძულე და სპარსელ დესპოტთა მლიქვნელ-მაამებელი.

ვარსქენს ცოლად ჰყავდა შ უ შ ა ნ ი კ, ასული სახელოვანი სომეხი მამულიშვილისა და მხედართმთავრის, ვარდან მამიკონიანისა.

ოთხი შვილი ჰყავდათ ვარსქენსა და შუშანიკს — სამი ვაჟი და ერთი ასული.

იყო შუშანიკ უკიდურესად მორწმუნე და მოთაყვანე ქრისტეს მოძღვრებისა, აღსავსე სათნოებით, კდემით, სიკეთით, სისპეტაკით.

შეეძლო ბედნიერიც ყოფილიყო, გარნა მუდამჟამს აწუხებდა ქმრის

თავკერძა პატივმოყვარეობა, ჯერკვლიანი გულზვავიანობა, მერყევი სინდისი და სულიერი სიყმილი.

ბოლოს მართლაც მოხდა ის, რაის შიშიც მუდამ ჰქონია ქალს.

467 წელს ვარსქენ პიტიახში ც უ რ ტ ა ვ ი დ ან (ცურტავში ცხოვრობდა იგი ცოლ-შვილით) ქტესიფონს ჩავიდა, შაჰინშაჰ პეროზს ეთაყვანა, თავი ქრისტიანობიდან გადამდგარად და ოჯახიდან გაყრილად გამოაცხადა და მაზდეიანობის მიღება ითხოვა. თან აღთქმა დადო, ქრისტიანობიდან გადავაყენებო ჩემს ცოლ-შვილსაც, ხოლო ყოველივე ამის სანაცვლოდ ვარსქენი პეროზისაგან ითხოვდა ცოლად მის ასულს.

პეროზ შაჰმა ძალიან გაიხარა დიდად სახელგანსმენილი ვახტანგ მეფის მოძულისა და მოსისხარის ამნაირი გადაწყვეტილებით და თავისი ასულიც მაშინვე მისცა ცოლად.

ამიერიდან სპარსეთის მბრძანებელს შეეძლო უფრო გულმყარად დარყდნობოდა საქართველოში ქართულობის ყველაზე ძლიერსა და აქტიურ მტერს, ცეცხლთაყვანისმცემელ ვარსქენ პიტიახშს.

გამაზდეიანებული და შაჰინშაჰს დასიძევებული ვარსქენი ჰერეთის საზღვარს უახლოვდებოდა.

ცურტავიც გამოჩნდა.

პიტიახშმა იფიქრა, საჭიროა ჩემს სამფლობელოში ხალხმა ორგულობა არ შემიტყოსო და სასახლეში მსახური აფრინა ბრძანებით: ახლავე ჩემი ვაჟიშვილები, აზნაურები და მსახურეულნი წინ შემომეგებონო.

შუშანიკი უთქმელადაც გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო და, როცა მსახური შემოვიდა და ვარსქენის მოკითხვა გადასცა, პასუხად ეს უთხრა:

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა, უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენადვე მოიქეცინ“.

მსახურს ენა ჩაუვარდა.

შუშანიკი მიხდგა და აფიცა, სიმართლე მითხარ, რაც მოხდაო.

იმანაც ვეღარ გაუძლო და სიმართლე თქვა:

„ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.

როგორც კი ეს ჩაესმა, შუშანიკი ძირს დაეცა, თავი მიწას დაუშინა და ატირდა მწარე ცრემლთა ღვრით. თან მოსთქვამდა:

„საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“.

მერე ადგა, სახლიდან ოთხივე შვილი წაიყვანა, სოფლის ეკლესიაში მივიდა და საკურთხეველთან ლოცვა აღავლინა. შვილებს ავედრებდა ღმერთს, — შენი მოცემულნი არიან და შენვე დაიფარეო.

მწუხრის ჟამის აღსრულების შემდეგ, შუშანიკმა სახლში დაბრუნების ნაცვლად, იქვე ეკლესიის მახლობლად მივიწყებული სახლაკი რამე ნახა და შიგ განმარტოვდა მწარე ნაღვლით და ცხარე ცრემლთა თხევით. „შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“.

გვიან ესტუმრა კარის მღვდელი იაკობ. მასთან ერთად გამოიტირა მისი უბედურება. მერე უთხრა: დიდ ღვაწლად შესვლა გელის და ფრთხილად და მხნედ იყავიო; შენი ჭირი ჩვენი ჭირიც არისო, რამეთუ შენ ჩვენთვის მარტო დედოფალი კი არა, ჰეშმარიტი დედა იყავიო; „შრომაი შენი“ მე თვითონ უნდა აღვწეროო; ესეც იცოდე, ვარსქენს „მწარე გონებაი“ აქვს და დიდ სატანჯველს შეგყრისო.

მშვიდად პასუხობდა შუშანიკ: მე ყველაფრისთვის, ყოველი სატანჯველისთვის, მზად ვარ; მირჩევნია მომკლას ვარსქენმა, ვიდრე მე მის გზას შევუერთდე და სული ჩემი წავიწყმიდოო.

მერე რომელიღაც სპარსელი მოვიდა, ვარსქენის მსახური და მსტოვარი. მოვიდა, იქაურობა დასუნთქა და შუშანიკის სასმენად ნაძალადევი ტირილით დაიხარჯა: ეს ბედნიერი ოჯახი როგორ გაუბედურდაო, სიხარული მწუხარებად როგორ გარდაქცეულაო.

შუშანიკს არ გამოჰპარვია წარმართი აეშაგის მზაკვრული ზრახვანი და „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“.

სამი დღის შემდგომ ვარსქენმაც მოაკითხა. კარებთან ის სპარსი მსტოვარი დახვდა და ჩუმად უთხრა:

„მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყვი შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“.

ვარსქენმა იმჯერად ვერ გაბედა ცოლთან შესვლა. ხოლო მომდევნო დილით დაიბარა ხუცესი იაკობ, მასთან კიდევ სასახლის კარის მეორე მღვდელი და ორივეს ნაძალადევი ხუმრობით უთხრა: თქვენ მე ნურც მერიდებით და ნურც გეძაგებითო.

„წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“, — უპასუხეს სამღვდელოთა.

ვარსქენი მცირედ ჩაფიქრდა და თითქოს რაღაცნაირი გულმხურვალებით შესძახა:

„რაისა ხელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მიეედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამხუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ ხარ“.

აი, თურმე რას აუღელვებია ვარსქენ ერისთავი: ცოლმა ეს როგორ გამიბედა, ვაჟკაცობა შემირცხვინა, სარეცელზე ლაფი დამისხა, ცოლქმრული სამკვიდრებელი მიმიტოვა და სადღაც გაიქცაო.

მღვდლები შუშანიკთან მივიდნენ და ვარსქენის დანაბარები „ხატისა და საგებლის ნაცარსხმისა“ მოახსენეს.

ამაზე შუშანიკმა „მისგან ლაფდასხმულ ქმარს“ ასე უპასუხა:

„არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ. მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჰეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხგყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“.

ძლიერი იყო ქალის პასუხი: დაპირისპირება მამის (არშუშას) მამულიშვილურ-სარწმუნოებრივი მოღვაწეობისა და შვილის (ვარსქენის) მოღალატურ-ყარიერისტული დაცემულობისა.

განრისხდა ვარსქენ „და იბდღუენდა მისთვის“.

მერე მან გაგზავნა ძმა ჯოჯიკ და რძალი, ცოლი ჯოჯიკისა. თან აახლა ეპისკოპოსი აფოც.

ახალ „ელჩობას“ ასეთი მუქარა გააყოლა პიტიახშმა: ასე უთხარით, ადგეს და მოვიდეს და ჭკუას მოეგოს, თორემ იცოდეს, თმებით მოვათრევო.

არც ჯოჯიკის, მისი ცოლისა და ეპისკოპოსის ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. შუშანიკი კვლავ მტკიცედ უარობდა სასახლეში დაბრუნებას. ჩვენ თუ არ წამოგვყვები, სპარსელ მსახურებს გამოგზავნის და ისინი წაგათრევენო, არ ეშვებოდა ჯოჯიკი. არც ამ მუქარას შეუშინდა ქალი.

ისინი მაინც არ ეშვებოდნენ, ცრემლთა ფრქვევით ევედრებოდნენ, აფიცებდნენ და უალერსებდნენ.

გატყდა შუშანიკ. დათანხმდა, თუმცა იცოდა, სასახლეში დაბრუნება სიკვდილის გზაზე შედგომას ნიშნავდა.

და წავიდა სასახლედ.

მაგრამ არ შევიდა თავის გალიაკსა (სადედოფლო სანთიობოში), არამედ მცირე სენაკში ჩაიკეტა, ზეცად ხელნი აღაპყრო და შესძახა: ამ ქვეყანაზე ჩემდა მოწყალედ არ აღმოჩნდა არცა სამღვდელო, არც ერის კაცი, არამედ ყველამ ღვთის მტერი ვარსქენის სასიკვდილოდ გამიმეტაო.

ორი დღის შემდგომ მოიჭრა „მგელი იგი“ ვარსქენი და პურად დაჯდა ძმასთან და რძალთან ერთად. შუშანიკთან შევიდნენ ჯოჯიკ და ცოლი მისი და სთხოვეს გამოსულიყო მათთან ინახად. უარობდა შუშანიკ, მაგრამ იძალეს და გამოიყვანეს.

იჯდა ტაბლასთან ერთი კვირის ნაშიმშილევი ქალი და ლუკმას პირს არ აკარებდა.

ადგა ჯოჯიკის ცოლი, ჭიქა ღვინო აიღო და მიაძალა შილს.

გარისხდა შუშანიკი:

„ოდეს ყოფილა აქამომდე, კაცთა და ქალთა ერთად ეჭამათ პური?“— შესძახა, ხელი აუკრა, ჭიქა შეალეწა და ღვინოც შეანთხია.

ცოფიანად წამოიჭრა ვარსქენი, გაუგონარი ლანძღვა-გინებით მივარდა ცოლს, ძირს დასცა და ფეხებით შესდგა. დიდხანს სცემდა და სთელავდა; მერე „აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბეშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოათრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“.

შუა ჩავარდა ჯოჯიკ, იმასაც მოხვდა გამხეცებული ძმისგან. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ხელიდან გამოგლიჯა შუშანიკი, „ვითარცა კრავი მგელსა“.

და „ვითარცა მკუდარი იწვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა“.

მაინც არ ცხრებოდა ვარსქენი. კვლავ უშვერად ილანძღებოდა და იმუქრებოდა. მერე ბრძანა ბორკილებით შეეკრათ სიკვდილად მიგდებული ქალი.

სპარსელი მსახურებიც კი შეაძრწუნა ერისთავის სისასტიკემ და გულქვაობამ. ერთი მათგანი, როცა შეატყო ვარსქენმა რისხვა მცირედად გაინელაო, მასთან მივიდა და მხურვალედ ევედრა, ბორკილები მაინც ავხსნათო საწყალობელ ქალს.

თითქოს რაღაც შეისმინა ვარსქენმა, ბორკილები ახსნა, მაგრამ შუშანიკი სენაკში შეაგდო, გუშაგი დაუყენა და მასთან შესვლა ყველას აუკრძალა.

სისხამზე ადგა, გუშაგად მდგარ მსახურთან მივიდა და ჩუმად ჰკითხა, როგორ არისო, ან წყლულები როგორ აქვსო.

ვერ გადარჩებაო, უპასუხა მსახურმა.

მაშინ თვითონ შევიდა ვარსქენი შუშანიკთან.

უძრავად იწვა შუშანიკ, ვითარცა მკვდარი.

ერთ ხანს დასცქეროდა ვარსქენი ერთიან წყლულად ქცეულ სახეს ქალისას.

მერე გამოვიდა და მსახურს უბრძანა:

„ნუმცა ვინ შევაწლს ხილვად მისა“.

სთქვა და წავიდა... სანადიროდ!

საღამო ხანს იაკობ ხუცესი მივიდა. გუშაგი არ უშვებდა, მაგრამ იძალა და შევიდა. ნახა შუშანიკი სახედალეწილი და გასივებული.

თავი ვერ შეიმაგრა იაკობმა და ხმამაღლა ატირდა.

შეიძრა შუშანიკ და ძლივს აღმოიკვნესა:

„ნუ სტირი ჩემთვის, რამეთუ ღამე ესე დასაბამ გახდა სიხარულისა ჩემისა“.

„მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცვენილ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა, ჰე, ღამე განიკურნო!“ — მიეძალა იაკობი.

„ხუცეს, მაგას ნუ იტყვი, რამეთუ სისხლი ესე გამწმენდელ არს ცოდვათა ჩემთა“, — კვნესოდა ქალი.

მაინც არ ეშვებოდა იაკობი. ახლა მცირეოდენ საჭმელსაც აძალებდა. არ შემიძლიაო, ძლივს აგებინებდა ქალი, დალეწილი მაქვსო კბილნი და ყბანი. მაშინ ღვინო აიღო იაკობმა, პური ჩაალბო და რამდენიმე ნამცეცი და წვეთი ჩააწურა პირში.

გვიან იყო. ყოველ წუთს შეიძლებოდა „იმა მგლის“ მოსვლა. შუშანიკმაც შენიშნა, იაკობი ჩქარობდა. თვითონაც ააჩქარა საუბარი: სამკაულები, რომლებიც მე მისგან მაქვს, იქნებ მოითხოვოს და წაუღე, სულ ერთია, მე მაინც აღარაფრად მჭირდებაო.

ნუ ჩქარობ, ჯერ შენთან იყოსო ეგ სამკაულები, უპასუხა ხუცესმა. ამ დროს სასახლიდან ერთი ყმა მოვიდა და იაკობს უთხრა, პიტიახში გეძახისო.

იაკობიც გამოცხადდა. ვარსქენმა უთხრა: გეცოდინება, ჰუნებთან საომრად მივდივარ და არ მინდა იმას ჩემი სამკაულები დავუტოვო, რადგან ჩემი ცოლი აღარ არისო; მიდი, გამოართვი და მომიტანე ყველაფერი, რაც ჩემგან აქვსო.

იაკობი შუშანიკთან შებრუნდა და დანაბარები მოახსენა.

ძალიან გაიხარა შუშანიკმა, ღმერთს მადლობა შესწირა, ბეჭდები, ყელსაბამი და სამაჯურები აიხსნა და ყველაფერი იაკობს ჩააბარა. იმანაც პიტიახშს გადასცა.

ვარსქენმა გულდასმით დაათვალიერა, დათვალა და დაცინვით თქვა: დაე, ესენი იმან იპოვნოს, ვინაც დაიმშვენოსო.

დიდმარხვის დღეები მოახლოვდა. შუშანიკი ისევ წავიდა სასახლიდან სოფლად. მივიდა ეკლესიის მახლობელ ყრუ და ბნელ სენაკში და იქ დაეყუდა ლოცვად, მარხვად და ტირილად.

პიტიახში ბრძოლის ველიდან დაბრუნდა.

აღრენილი იყო. „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“.

ვიღაც ახლობელმა სიტყვა დაასწრო: ამ წმინდა მარხვათა ჟამს ნურაფერს ეტყვიო შუშანიკს. გარნა ვის რას დაუჯერებდა „გულათხრილი ეშმაკისაგან“?

აღვსების ორშაბათი იყო. ვარსქენი ეკლესიად მივიდა, ეპისკოპოს აფოცს მიუხტა და შეუღრინა:

„გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“

პასუხიც არ დააცალა, მოსდგა და უშველრი გინებით აგინა ღმერთსაც და მის მქადაგებელ ეპისკოპოსსაც.

იქ დამსწრე მღვდელთაგან რომელიღაცამ ვერ მოითმინა და მისი შეკავება სცადა.

როგორ თუ ეს გამიბედეო და იმ „თავხედ“ ხუცესს პიტიახშმა კვერთხი მთელის ძალით „უხეთქნა“ ზურგში.

გამოტრიალდა და გამძვინვებული შეიჭრა შუშანიკის სენაკში.

ეძგერა, დასცა და თმებით დაითრია.

ეკლესიიდან სასახლემდე მიათრევდა.

მიათრევდა ხან თმებით, ხან ფეხებით.

მიათრევდა მიწაზე, ხმელზე, ტალახზე, გოროხზე.

მიათრევდა ძეძვზე, ნარზე, ეკალზე, ბარდზე, ღობეზე, ყორეზე.

იფლითებოდა მისი სხეული და „ხორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას“.

იფხრიწებოდა მისი თავსამშვენი კუბასტი (ლეჩაქი) და ნაკუწებად ეფინებოდა ღობე-ყორეს.

იწიწკნებოდა მისი თმა და იფანტებოდა მიწად და ზეცად.

მიათრევდა და ჩაბღაოდა: აბა, ვნახოთ, რას გიშველისო ეგ შენი უფალი ქრისტე!

მიათრია სასახლეში.

კიდევ სამასჯერ დაჰკრა არგანი.

ტკივილის შეგრძნება დაჰკარგოდა სხეულს, რამეთუ მასში მდგარ სულს არც ერთი კვნესა, არც ერთი გმინვა არ წასცდენია.

მკვდარი ეგონათ სავსებით სისხლიანი უძრავი სხეული ქალისა.

და უცებ მოესმათ „მკვდრის“ მშვიდი ხმა:

„უბადოო (უბედურო), შენ შენი თავიც ვერ შეგიწყალებია, როცა ჰეშმარიტ ღმერთს გადაუდექ, და მე შემიწყალებ?“

ცოცხალი ყოფილა!

სიშლეგით ჭკუიდან გადასული პიტიახშის ბრძანებით, ჯერ ისევ სულდგმულ მკვდარს ქალურ ქედზე უმძიმესი ჯაჭვი დაადეს, სენაკაპანს (სენაკის მცველს) ჩააბარეს ბნელ სენაკში ჩასაგდებად, რამეთუ, ბოლოს და ბოლოს, იქ „მოკუდეს“.

სასახლიდან გამოიყვანეს ბორკილებით დატვირთული დედოფალი.

აუარებელი ხალხი მისწყვეტოდა სასახლეს.

კრინტის დაძვრაც არავის უცდია.

მხოლოდ ერთი დიაკვანი მიუახლოვდა. უნდოდა გასამხნევებლად ეთქვა: „მტკიცედ დეგ!“ მაგრამ პიტიახშის რისხვეულმა მზერამ შეაწყვეტინა; მხოლოდ „მტკი...“ მოასწრო, ენა ჩაიწყვიტა და ხალხში სასწრაფოდ გაუჩინარდა.

მოჰყავდათ შუშანიკ, ფეხშიშველი და თმააშლილი, სისხლდაქცეული და ხორცდაშრეტილი.

მოდიოდა, წყლულიან ფეხებს ძლივს მოითრევდა.

წყლულიან ფერხთა კვალდაკვალ ვარსქენ პიტიახში მოსდევდა ცხენზე ამხედრებული. მოსდევდა და „აგინებდა მრავლითა გინებითა“.

ხალხის უზარმაზარი ამბოხი (ბრბო) მისდევდა წამებულს. გარნა ვერავინ ბედავდა უღონოქმნილს მხარში შესდგომოდა, ვერავინ ბედავდა ფეხშიშველისთვის ხამლი მიეწოდებინა, ვერავინ ბედავდა „თმაგარდატეებულისთვის“ ლეჩაქის ფლასი დაებურა.

მხოლოდ სტიროდა დედათა და მამათა ამბოხი; ტიროდნენ, მოსთქვამდნენ, ღაწვებს იხოკდნენ, ცრემლის ღვარს ათხევდნენ.

უკუმოჰხედა შუშანიკმა ერსა მას და ჰრქუა მათ:

„ნუ სტირით, ძმანო ჩემნო, დანო ჩემნო, შვილნო ჩემნო, არამედ

ლოცვასა მომიხსენეთ. ამიერიდან მე განშორებულ ვარ თქვენგან, რამეთუ ვეღარ მიხილავთ ამ ციხიდან ცოცხლად გამოსულს!“

უარესად იღრიალა ამბოხმა.

მაშინ თვალი ალაგნა პიტიახშმა და მისი მსახურნი მათრახებით და ცხენთა ძგერებით დაერივნენ ხალხს.

ხალხიც გაიფანტა.

ციხის ხიდზე შეაყენეს შუშანიკი და ერთჯერ კიდევ დაგესლა ვარსქენმა:

ახლა მანდ უკანასკნელად გაივლი ფერხითა შენითა, ხოლო მანდედან, რამეთუ ცოცხალ ვეღარ გამოხვალ, ოთხმან კაცმან გამოგასვენოს.

ციხეში შეიყვანეს.

ვიწროსა და ბნელ სახლაკში შეაგდეს.

ქედს დადებული ჯაჭვი ვარსქენმა საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა.

მათი უკანასკნელი დიალოგი ეს იყო:

„მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო!“ — თქვა ქალმა.

„ჰე, ჰე, განისუენე!“ — მიუგდო კაცმა.

გამოვიდა ვარსქენი, კარი გამოკეტა და გუშაგებს ამცნო: შუშანიკი სიყმილით (შიმშილით) უნდა მოკვდეს!

თან დაემუქრა: გაფრთხილებთ, თუ ვინმე მასთან შევიდა, გინა მამაკაცი, გინა დედაკაცი, ვერაფერი ვეღარ გიხსნით ცოლშვილიანსახლკარიანად; იცოდეთ, რაც დაგემართოთ, მე უბრალო ვიქნებიო.

თქვა და წამოვიდა.

მესამე კვირას მან ერთი მცველთაგანი მოიხმო და ჰკითხა, რას შვრება, მოკვდა თუ მორჩაო.

უფალო, უფრო სიკვდილიაო საფიქრებელი, ვიდრე სიცოცხლე, რამეთუ არაფერს იკარებსო საჭმელად, — უპასუხა მცველმა.

„ნურარაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს (ნუ გენაღვლება, გაუშვი, მოკვდეს!)“ — ჯერკვლად დაბეჭდა პიტიახშმა.

იაკობ ხუცესმა მაინც მოახერხა შუშანიკთან შესვლა. რომელიღაც მცველთაგანს ძვირფასი ნივთი აღუთქვა და იმანაც ერთჯერ, დაღამებისას, შეუშვა იგი წამებულის სენაკში.

იაკობი გაოცებული დარჩა, როცა მან იხილა „ტარიგი (სამსხვერპლო კრავი) იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი“, თუმცა „საპატარძლო სამკაულებად“ ბორკილები ესხა შუშანიკს.

შვებით ატირებული დაემშვიდობა იაკობი სიცოცხლეში [illegible] სულიერად აღზევებულ ქალს.

მაზლი ჯოჯიკი არ დასწრებია შუშანიკის საბედისწერო [illegible] როცა ცურტავს მოვიდა და ყველაფერი შეიტყო. ჩორჭში [illegible] დი) გამგზავრებულ ძმას წამოეწია და შეუჩნდა. ბორკილები [illegible] მოაშორეო შუშანიკს. ვარსქენი არ თმობდა, მაგრამ როცა ჯოჯიკი გა- ჯავრდა და გააფთრდა, იმანაც მცირეოდენი დათმო.

ჯოჯიკი თვითონ ეწვია წამებულ რძალს. თავისი ხელით აჭყრა ჯაჭვი კისრიდან, ხოლო დანარჩენ ბორკილთა მოხსნა თვითონ შეუშვა- ნიკმა არ ინება, — დაე, ასე მჭონდესო სიკვდილამდე.

მეექვსე წელს ათევდა შუშანიკი ციხეში, „მარხვითა, მარადის ღვიძარებითა, ზედგომითა, თაყუანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაითა მოუწყინებლად. განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ჭნარითა“.

მთელს ქვეყანას მოედო შუშანიკის წამებისა და წმინდა ცხოვრე- ბის ამბავი. ყოველის მხრიდან მოედინებოდა ხალხი მის სახილველად, საწირავ-საზორველად, სამისნოდ და სამლოცველოდ,

მისი ლოცვა კურნება იყო სნეულთათვის, მისი სიტყვა სალბუნი იყო ჩაგრულთათვის.

ერთ დღეს ახალი ზარსახდელი ამბავი შეატყობინეს შუშანიკს:

შენი შვილებიც მოგვებად (მაზდეანებად) მოაქციაო ვარსქენმა.

დიდხანს იტირა.

ეს იყო მისი უკანასკნელი ტირილი საგლოელი.

ცრემლისგან გაშრა.

შვილები მოვიდნენ, გარნა ვეღარ გაბედეს მასთან შესვლა.

აღარც თვითონ ახსენებდა მათ სახელს.

ამქვეყნიურთაგან ეს ერთადერთი სიხარულიც დააკარგვინა ურჯუ- კმა მიწიერმა.

ვარსქენმა უკანასკნელად მიუგზავნა მოციქულები.

ჩემს ნებას დაემორჩილე და სასახლეში მოდი, არ მოხვალ და ვირზე შეგსვამ და ან ჩორდში გაგაგზავნი, ან ქტესიფონის კარზეო, უთვლიდა ცოლყოფილს.

ისევ მშვიდი იყო. პასუხი შუშანიკისა: თუ გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ იქ ამ ბოროტებაზე უკეთეს რასმე გადავეყაროო.

ვარსქენი დაფრთხა: ვაითუ მართლა მისი ვარაუდი გამართლდესო, იქნებ ვინმე მთავართაგანს ცოლადაც გაჰყვესო.

პირი დაიხშო და ენა დაიდუმა.

გარნა ისევ მალე აიშალა და აათხრევინა გული სატანას.

ახლობელთაგან ერთი ძუძუმტე გამოარჩია და იმას დაავალა შუშანიკის მოყვანა სასახლეში.

ახლა ეს კაცი მიადგა და უჩიჩინა შუშანიკს, სასახლეში წამოდი, ოჯახს ნუ ანგრევო და სხვა მისთანანი.

ისევ და ისევ მიუვალი კლდე იყო შუშანიკი:

წადი და იმ უღმრთოს მოაგონე მისივე ნაბრძანები, — შენ მაგ ციხიდან ცოცხალი ფეხით ვერ გამოხვალო; მე ხომ მისგან მკვდარი ვარ, ხოლო თუ მას მკვდრის აღდგინება შეუძლია, წავიდეს და დედამისი აღადგინოსო.

როცა ბოლო მოციქულმა ვარსქენს შუშანიკის პასუხი მოუტანა, ექვსი წლის წინანდელი ნათქვამი გაიხსენა და მძიმედ ჩაილაპარაკა: ნამდვილად მაქვს ეგ ნათქვამიო.

ექვსი წელი იწურებოდა შუშანიკის ბორკილდებული პატიმრობიდან.

ექვსი წელი საკუთრივ ტანჯა სხვისგან უღვთოდ ტანჯული სხეული.

მხოლოდ ლოცვად, მარხვად და კითხვად მდგარი, უძილარი და დაუჯდომელ-დაუწოლელი, მხოლოდ ფხლის წვენს სვამდა და „პურის გემოჲ არა იხილის“.

მისი სასთუმალი იყო აგური.

მისი საგებელი იყო ძველი გირჯაკი (ნაბადი) და კილიკი (ბალნიანი ტყავის ფლასი), წვირიანი და მკბენარით სავსე.

არა მხოლოდ ჯეკმა (მეტისმეტი, დაუზოგავი) თვითგვემა, არამედ გარესამყაროც მტერი იყო შუშანიკისა:

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.“

და დასნეულებული შეხვდა ციხეპყრობილების მეშვიდე წელს.

„დადნა ვითარცა ავლი“.

დაუსივდა ფერხნი.
დაწყლულდა, დაჩირქდა და თხრამლი სდიოდა.
დაესია მატლები.

. .

მოუხმო იაკობ ხუცესს.
ატირდა იაკობი, ოდეს იხილა მატლდასხმული მისი სხეული.
დაამშვიდა შუშანიკმა: ნუ გემძიმებაო ჩემთვის ეგ მატლი, რამეთუ იგი უკვდავებას მანიჭებსო მე. არ მწუხარებდეო მატლთათვის, რამეთუ ასეთად უკვდავების მომნიჭებელ მატლთაგან შეჰმა ჯობს ჩვეულებრივი, ყოველ კაცთა შემჭმელ მატლთაგან შეჰმას.
ისევ ატირდა იაკობი: შე უბედოო, საგვემელად ძაძის ტარება არ გეყოფოდა, მატლთა დასევით რომ მხიარულობ?
შეკრთა შუშანიკ. იაკობ ხუცესს საიდუმლო სცოდნია მისი: დედოფალი ძვირფას ანტიოქურ ოქრონემსულ სადედოფლო სამოსელს შიგნით გაუხდელად ატარებდა შავი ძაძის კვართს.
და ქენებით (მუდარით) უთხრა იაკობს: ნურვისთან იტყვი ჩემს მარადიულ ძაძის სამოსზე, რამეთუ სულმან ჩემმან მალე უნდა დატოვოს უბადრუკი სხეული ჩემი.

. .

უკანასკნელად მიიღო ჯოჯიკი და მისი ცოლ-შვილი.
დალოცვა და ცოდვათა განტევება თხოვეს.
იმანაც დალოცა და განუტევა ცოდვანი მათნი.
ამბობდა შუშანიკ:
„ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ რაჲ-იგი ჰყავთ... ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი წარმავალ არს და დაუდგრომელ. და ვინ სთესა — მოიმკო და ვინ განაბნია გლახაკთათვის—შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“.

. .

უკანასკნელად ახსენა ვარსქენი, ახსენა უდიდესი ბრალდებით, -ახსენა სიტყვითა უბრწყინვალესითა:
„განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა, იესუ ქრისტეისა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უკამოდ ნაყოფნი ჩემნი

მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შეუნიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაი ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვის მე განსუენებასა მივემფხვიო, და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათვის მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეის მიერ, უფლისა ჩემისა".

უკანასკნელად მოვიდნენ მასთან მთავარეპისკოპოსი სამოელ და ეპისკოპოსი იოანე, გაოცებულნი და აღტაცებულნი მისი საარაკო გმირობისაგან.

მათ მოჰყვნენ „აზნაურნი დიდ-დიდნი, და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი".

მუხლს იყრიდნენ საოცარი ქალის წინაშე, ლოცულობდნენ, კურთხევას სთხოვდნენ და ცრემლთა თხევით ევედრებოდნენ, რამეთუ ნება დართოს მისი ნაფერხალი ბორკილები იქნენ ყველასათვის ნაკურთხევ საღვთო და სათაყვანო წმიდა ნივთებად.

მე არა ვარო ამისი ღირსი, ამშვიდებდა ხალხს შუშანიკი, ხოლო თქვენთვის, რაკი მე არარაის შემძლებელი ვარ, „ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი — ესე ჩემთვის მოშუერით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა".

ხალხსაც დაემშვიდობა. ხალხიც წავიდა მისი საპატიმრო-სავანიდან.

უკანასკნელად მოუწოდა ეპისკოპოს აფოცს და ხუცეს იაკობს. მადლობა მოახსენა მათ მოწაფეობისათვის (გულშემატკივრობისათვის) და უმძიმეს ჭირთაშიგან თანადგომისათვის.

მერე სთხოვა მათ, ნეშთი ჩემთა ძვალთა იმ სოფლის ეკლესიაში დაკრძალეთო, საიდანაც პირველად გამომათრიეს...

ამას ამბობდა და უკვე სიკვდილთან წილნაყარი იყო.

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე".

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა შუშანიკ.

იაკობ ხუცესმა აღასრულა თავისი დანაპირები: უმაღლესი ლიტერატურული სიმშვენიერით დაწერა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“.

### ღალატიანი ბრძოლა

უნდა დასჯილიყო ვარსქენ პიტიახშიც.

ეს აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ვარსქენი ერთადერთი ცოდვილი არ ყოფილა მაშინდელ კავკასიაში. იგი მხოლოდ მაგალითი იყო იმდროინდელი ვარსქენებისა, მისებრ ქვეყნისა და სჯულის გამყიდველი ფეოდალებისა, რომლებიც საკმარისად იპოებოდნენ საქართველოშიც, სომხეთშიც, ალბანეთშიც (ისე როგორც ყოველთვის ყველა ფეოდალურ ქვეყანაში).

მაშ, ვარსქენი უნდა დასჯილიყო სამაგალითოდ.

ხოლო იგი უნდა დაესაჯა ვახტანგ გორგასალს, იმდროინდელი კავკასიის მოწინავე ძალთა მთავარ გმირს, რომელიც მოღალატე ერისთავის უშუალო მეუფეც იყო.

გორგასალმაც მოიქნია თემიდას მახვილი.

ვარსქენ პიტიახშში შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

დასაჯა და მაშინვე საომარ სამზადისს შეუდგა, რადგან იცოდა, ვარსქენ პიტიახშის მოკვლა ომში სპარსეთის გამოწვევას ნიშნავდა.

ვახტანგმა შიკრიკები აფრინა ჩრდილოეთში და დახმარება სთხოვა ჰუნებს, რომლებმაც თავის მხრივ სპარსელთა წინააღმდეგ ქართველებთან ერთად ლაშქრობაზე თანხმობა განაცხადეს.

კონსტანტინოპოლიდანაც იმედიანი პასუხი მოვიდა.

ქართველებთან შესაერთებლად ემზადებოდნენ ალბანელები.

სომხებიც აწვია საომრად ვახტანგმა. ქართველთა მეზობლები და მოძმენი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ გორგასალის მოწოდებას. ისინი უძლეველ ქართველ ხელმწიფეს ალექსანდრე მაკედონელს ადარებდნენ, ამიერკავკასიის ხალხთა გამათავისუფლებლად თვლიდნენ და მუდამ დიდი იმედის თვალით შესცქეროდნენ.

სომეხთა საომარ სამზადისს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი სარდალი ვაჰან მამიკონიანი.

მაგრამ ეს დიდებული წამოწყება დასაწყისშივე დაღუპეს მოღალატეებმა. ერთმა სომეხმა ნახარარმა ქართველთა და სომეხთა საომარი სამზადისი სასწრაფოდ შეატყობინა სპარსეთს.

პეროზ შაჰმა უზარმაზარი სპარსული ურდოები გადმოისროლა საქართველოსკენ, მ ი ჰ რ ა ნ-შ ა ბ უ რ ი ს სარდლობით.

მტკვრის ხეობა ირანელებით აივსო.

ვახტანგ მეფემ თავისი მცირერიცხოვანი ჯარები ქვემო ქართლის მთებში ჩაასაფრა და კვლავ აწვია შესაერთებლად ვაჰან მამიკონიანი. სომხებიც დაიძრნენ ქართველებთან შესაერთებლად.

შვიდი დღის განმავლობაში ვახტანგი ამაოდ უცდიდა მაშველ ძალებს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. არც ჰუნები ჩანდნენ, არც ბიზანტიელები.

სომხები კი მოვიდნენ და ქართველებს შეუერთდნენ.

ვახტანგმა ჰუნებისა და ბიზანტიელების ამაო ცდას თავი მიანება, მთებიდან დაეშვა და მტრის პირისპირ დასცა ბანაკი.

ბრძოლის წინა დღეს სომეხმა ნახარარებმა თავიანთი ჯარებით სომეხ-ქართველთა ბანაკი მიატოვეს და სპარსელთა სარდალს ჩაბარდნენ.

გორგასალი შეთხელებული ჯარით შეება რიცხობრივად ისედაც უპირატეს მოწინააღმდეგეს.

გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა არც ჯარის სიმამაცე, არც გორგასალის დანახვაზე სპარსელ მეომართა შეშფოთებული შეძახილები;

„დურ აზ გორგასარ!“ — „მოერიდეთ თავსა მგლისასა!“

სომეხთა ჯარი სომხეთისაკენ გაბრუნდა.

ქართველები ქართულ სამანებს ჩაეჯიდნენ.

პეროზის სარდალმა ჰ ა ზ ა რ ა ვ უ ხ ტ მ ა სომხეთის ციხე-ქალაქებში სპარსული ციხიონები ჩააყენა. მერე შაჰინშაჰის ბრძანება მიიღო, სომხეთში მიჰრან-შაბური დატოვე და შენ შენის ჯარებით საქართველოსკენ გაეშურე და ვახტანგ მეფე ან მკვდარი, ან ცოცხალი აქ მომგვარეო.

წამოვიდა ჰაზარავუხტი.

შეეგება და შეება გორგასალი.

გარნა საქართველოში არ ილეოდნენ ვარსქენები.

კვლავ უღალატეს „ხალხოსან მეფეს“ დიდებულებმა.

ისევ ამაო აღმოჩნდა გასაოცარი შემმართებლობა მეფისა და „მისი ხალხისა“...

ვახტანგ მეფე ეგრისისაკენ მიაჭროლებდა ცხენს.

სინდთა მეფისგან თქმული არაკი უსერავდა ბოღმით აღვსილ გულს.

ჰაზარავუხტი დაბნეული შებრუნდა კარავში. მან არ იცოდა, სძლია თუ არა „მგელთავა მეფეს“.

ნაომარი ველი სპარსელთა გვამებით იყო დარეცილი.

ვახტანგ მეფე ბრძოლის სასწორის შექანებამდე გაშორდა ჭიდილს.

ალბათ ახალ საომარ ძალთა შესაკრებად მიეშურებოდა, ან იქნებ სადმე ჩასაფრებულ მარქაფ ჯარებს მოუძღვის მეფე?!

და უცებ ქტესიფონიდან მოულოდნელი ამბავი მოიტანეს მალემსრბოლებმა:

ჰუნებთან ბრძოლაში დაღუპულა შაჰინშაჰ პეროზ. გვამიც ვეღარ ეპოვნათ მისი.

ჰაზარავუხტმა ჯარები სასწრაფოდ აჰყარა და სპარსეთის სატახტოსკენ გაქუსლა.

ვახტანგი ახალი ჯარით მოვიდა ეგრისიდან.

მტერმა გაასწრო განადგურებას.

სპარსეთში გამეფდა პეროზის ძმა ბ ა ლ ა შ (484—488 წწ).

ვახტანგ გორგასალმა სავსებით აღიდგინა პირველობა წინა აზიაში.

სპარსელებმა ბალაში ტახტიდან ჩამოაგდეს და გაამეფეს პეროზის ვაჟი კ ა ვ ა დ ი (488 — 531 წწ.).

კავადის დროს სპარსელებს ახალი მოძღვარი გამოუჩნდათ, მ ა ზ დ ა კ ი, რომელიც მიწისქვეშა ხვრელში დამჯდარიყო, ცეცხლი დაეგზნო და მასთან პირისპირ საუბარში ქადაგებდა სიყვარულს, მშვიდობას და თანასწორობას კაცთა შორის. იგი ბრძოლას უცხადებდა კერძო საკუთრებას, ვითარცა ადამიანებში სიძულვილისა და მტრობის წყაროს. იგი ყოველგვარი საკუთრებისა და მათ შორის ცოლების გაერთიანებასაც კი მოითხოვდა.

მაზდაკიზმი უპირველეს ყოვლისა წარჩინებულ, ქონებრივად გაზუ-ლუქებულ ფეოდალებს უპირისპირდებოდა. ამიტომ სწორედ ურჩი დიდკაცობის დასათრგუნავად კავადი მაზდაკს მიემხრო. საპასუხოდ, სპარსელი დიდებულები შეითქვნენ, კავადი შეიპყრეს და ციხეში ჩააგდეს, ხოლო მის ადგილზე მეფედ მისი ძმა ჯ ა მ ა ს პ ი (496—498 წწ). დასვეს. ჯამასპმა მაზდაკიზმს ბრძოლა გამოუცხადა.

კავადმა მაინც დაიხსნა თავი. მისმა ლამაზმა ცოლმა ასპევადამ (რომელიც იმავე დროს მისი დაი იყო) ქმრის ნებართვით ციხის უფროსი მოხიბლა და დანებდა. სამაგიეროდ ქმარი ციხიდან გამოუშვა. კავადი

ჰუნებთან გაიქცა, მათი მეფის ასული მეორე ცოლად შეირთო, ჰუნების ჯარით სპარსეთს დაბრუნდა და სამეფო ისევ დაიბრუნა (498 — 531 წწ). მეფედყოფილ ძმას, ჯამასპს, თვალები დათხარა, დანარჩენ მოწინააღმდეგეებს თავები დააყრევინა.

კავადი ჰუნებთან ვალში იყო. სამხედრო დახმარებისათვის ფული უნდა გადაეხადა ჰუნთა ხელმწიფისათვის. ხოლო, ხანგრძლივი ომებისა და შინაურ აშლილობათა წყალობით, ქტესიფონის სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული იყო.

მაშინ კავადმა ბიზანტიის მაშინდელ იმპერატორს ანასტასის (491—518 წწ) ფულადი სესხი სთხოვა. ანასტასიმ უარი შემოუთვალა. უარი და შერცხვენა აგრე არ უნდაო და სპარსეთის მეფემ ბიზანტიას ომი გამოუცხადა (502 წ.).

ვახტანგ მეფე ტფილისს იდგა. ახალი სატახტოს მშენებლობას მისცემოდა თავდავიწყებით.

და მოვიდა მოციქული ქტესიფონიდან.

კავადი უთვლიდა ვახტანგს:

საბერძნეთს ვაპირებო გალაშქრებას, მაგრამ წინასწარ ჩემმა აქაურმა ბრძენმა მრჩევლებმა მირჩიეს, ვახტანგ გორგასალის გარეშე არ გაბედო ასეთი დიდი წამოწყებაო; მათივე რჩევით მე უნდა მოვიდე შენთან, დავემორჩილო შენს ბრძანებას, გამიძღვე წინ და შენის თავკაცობითვე შევიდეთ საბერძნეთად. თან გთხოვ, შენი ერთ-ერთი ასული მომცეო ცოლად (ეს კავადის მესამე ცოლი უნდა ყოფილიყო), „რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა შენთაგანი“.

მძიმედ ჩაფიქრა ვახტანგი სპარსელის გასაოცრად ცბიერმა შემონათვალმა.

ისევ დაუწვა გონება სინდთა მეფის არაკმა.

მერე მწარე ღიმილით თქვა:

„მჭედელო, გალესე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა“.

ეს თქვა, სპარსელს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა:

„უთხარ მეფესა შენსა: პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა და ეგრე შევედ საბერძნეთად“.

ასეთი პასუხი ირჩია — მახვილივით პირდაპირი და განუდრეკელი, სპარსელის იქედნურად ცბიერისა და ღრიანკალივით დაგრეხილ-დამანჭული სამოციქულოს საპირისპიროდ.

მაშინვე საომარ სამზადისს შეუდგა.

სამოცი წლის ასაკში მდგარმა მეფემ იცოდა, ეს იქნებოდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა: ან სპარსელებს უნდა აეღოთ სამუდამოდ ხელი საქართველოზე, ან თვითონ უნდა შესწირვოდა მამულისათვის უკეთილშობილეს ბრძოლას.

სასწრაფოდ აფრინა მალემსრბოლნი, ლაშქარნი აწვია, ციხესიმაგრენი საომრად განამზადა, სოფლებიდან და სუსტად გამაგრებულ ქალაქთაგან ხალხი კავკასიონის მიუვალ მთებში და კახეთის უღრან ტყემაღნარებში გახიზნა.

დედოფალი ელენე უფლისწულებითა და სეფეწულებით უჯარმაში ჩადგა. მეფემ აქვე დაიტოვა ჯუანშერ სპასპეტი და ადარნასე სამშვილდის ერისთავი.

უჯარმის მახლობლად, ნიქოზში, რაჟდენ პირველწამებულის ეკლესიასა და ციხესიმაგრეში, დააბინავა პეტრე კათალიკოსი.

მცხეთა-არმაზისა და მისი შემოგარენის საპატრონოდ სამი ერისთავი გაგზავნა: დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი.

ვახტანგის მალემსრბოლი კონსტანტინოპოლისკენაც მიჭროდა მაშველ ძალთა ჩამოსაყვანად.

იმავე 502 წლის ზაფხულში სპარსელთა ურდო შემოესია ქართლს.

თვითონ შაჰინშაჰ კავადი და უფლისწული ბარტამი მოუძღოდნენ უთვალავ მხედრობას.

კალიასავით შემოესივნენ ივრის ხეობას, რუსთავს და სამგორს.

ქართველთა ლაშქარიც მზად იყო საბრძოლველად... მტრის მხედრობაზე ხუთჯერ უმცირესი.

მხოლოდ უზომო სიმამაცეს და მშობელ მიწიდან მიღებულ მადლს უნდა შეევსო რიცხობრივი სინაკლულე ქართველთა.

კვლავ არ ჩანდნენ ბიზანტიელნი.

გამობრძანდა ვახტანგ მეფე.

უკანასკნელი დიდი ბრძოლა უნდა გადაეხადა სიჭარმაგეში ფეხშედგმულ გმირს.

პეტრე კათალიკოსი გამოჰყვა, ჯარი და მეფე დალოცა.

მეფემ სალაშქრო სიტყვა ბრძანა.

„ცხოვნდინ, მეფეო, უკუნისამდე!“ — ისევე მხნედ იგრიალა ჯარმა.

ბრძოლად გაემართნენ.

„შეიბნეს იორსა ზედა, და სამ დღე ყოველთა დღეთა ბრძოლდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“.

სამი დღე წონასწორად ქანაობდა უთანასწორო ბრძოლის სასწორი.

სამი დღე-ღამე გრიალებდა, გმინავდა და ოხრავდა ივრის ხეობა.

სამი დღე-ღამე ისმოდა სპარსელთა ისტერიული ყივილი:

„დურ აზ გორგასარ!“

მეოთხედ, გადამწყვეტი შეტევისათვის შეკრა და შეამჭიდროვა გორგასალმა ქართველთა შეთხელებული რიგები.

ისევ დალოცა ჯარი და მეფე პეტრე კათალიკოსმა.

საგანგებოდ გააფრთხილა მღვდელმთავარმა გვირგვინოსანი: თავს მოუარეო, თორემ არა მარტო ქართლი დაიღუპება, არამედ იერუსალიმიც ზედ მიჰყვება შენი იმედის დამკარგველიო.

სამ ნაწილად დაჰყო ვახტანგმა ლაშქარი.

ფლანგებზე — მარჯვნივ ჯუანშერ სპასპეტი უსარდლა, მარცხნივ — ადარნასე ერისთავი.

თვითონ მეფე შუა ნაწილს ჩაუდგა და საიერიშოდ სპარსელთა ბანაკის შუაგული, თვით შაჰინშაჰის კარავი მოინიშნა.

ჯერ ისევ ბნელოდა.

ივრის ხეობა ნისლით ავსებულიყო.

ვახტანგმა ჯარის გაწყობა დაასრულა.

სალაშქრო სიტყვაც ასეთი სიმკაცრით განასრულა:

„ყოველი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და ბრძოლიდან მტრის თავს ან ხელს არ გამოიტანს, ჩემის ხელით იქნება მოკლული!“.

რიჟრაჟიც ჩამოდგა.

ნისლმაც კალთები აიკრიფა და ივრის ხეობა გაშიშვლდა.

ვახტანგ მეფემ იერიში ბრძანა.

სპარსელები მედგრად დაუხვდნენ ქართველთა გაეშებულ შეტევებს.

ზეცას არყევდა ივრის ხეობიდან ავარდნილი ჰომერული გრიალი.

გამაყრუებელ ხმაურში მკვეთრად ისმოდა სიანჩხლით, ძრწოლითა და ისტერიით აღსავსე სპარსული ყივილი:

„დურ აზ გორგასარ!“

შეუკავებლად მიაღწევდა ქართველი მეფე შაჰის გვარდიას — „უკვდავთა ათასეულებს“ (ასე ალექსანდრე მაკედონელი მიაპობდა „უკვდავთა ათასეულებს“ ისოსის ბრძოლაში პირდაპირ შუაგულისკენ, სადაც იდგა მეფეთა მეფე დარიოს კოდომანი).

აი, მიეჭრა კიდეც გორგასალი მტრის შუაგულს.

აი, ისიც, სპარსეთის შაჰინშაჰი კ ა ვ ა დ.

მკლავი გამართა, მაგრამ ვეღ ძოასწრო ქართველმა მეფემ:

გრიგალივით მოვარდნილი მთაკაცის ხილვით შეძრწუნებულმა კაჯადმა წამსვე ცხენი შეატრიალა და ბრძოლის ველიდან გაქუსლა (ასე გაეჭცა მაშინ ისოსის ბრძოლაში დარიოს კოდომანი ზედ მივარდნილ ალექსანდრე მაკედონელს).

მაგრამ ერთბაშად კარვიდან გამოიჭრა და გორგასალს წინ აღეშართა უფლისწული ბარტამ.

წამით მეორე სახეც დალანდა ვახტანგმა კარვის კალთის მიღმა. ნაცნობი იყო ეს სახე, გველივით უძრავი ორი თვალით.

გახსენების დროც აღარ ჰქონდა. სპარსელმა უფლისწულმა უკვე მოიქნია მახვილი.

და ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი:

მეფემ იფარა ვიგრის ფარი, მარცხენა ხელით ზეასროლილი,

იღლია მოუშიშვლდა,

იღლიაში გამჭოლავი ბრჭუალი შეიგრძნო,

კარვის კალთის წინ მთელის ტანით აღმართულიყო კაცი გველის უძრავი თვლებით, გაწვართული მშვილდით; ის, ვინც ესროლა გორგასალის შიშველ იღლიას.

ტკივილისათვის არ ეცალა მეფეს.

მეორედ მოიქნია ბარტამმა მახვილი.

ფარის აღმართვა აღარ შეეძლო მარცხენა ხელით.

მარჯვენით აუკრა ალმასის ხმალი.

ხელმეორედ მოიქნია გორგასალმა და შუაგაპობილი დაეცა ბარტამი.

გველისთვალებიანს მიუბრუნდა.

აღარსად იყო.

ახლა გაახსენდა მეფეს: ამნაირი თვალები ჰქონდა ერთ მის მონამსახურს, შემზარავი, შეუძვრელი გველისნაირად. მერე დაიკარგა ის მსახური, სადღაც გაუჩინარდა. ახლა მიხვდა: ქართულობისთვის უღალატნია, სპარსულობას შეჰკედლებია... ან იქნებ სულაც ქართველი არ ყოფილა...

ჰმ, მოღალატეს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე.

მწერს შეუძლია ლომი დაშხამოს მომაკვდინებლად.

ხელი მოივლო იღლიაზე.

დიდი ისარი ყოფილა — ქეიბური.

ამოგლეჯა სცადა, მაგრამ აუწერელმა ტკივილმა დაუწვა გონი.

გარდიგარდმო, ირმიცულად, თითქმის ფრთებამდე შეჭრილიყო ისარი მკერდში.

სისხლი გარეთ არ იქცეოდა.

სისხლი შიგნით იქცეოდა.

მაინც იბრძოდა მეფე, იღლიაში ისარნაკრავი.

მზის ამოსვლისას დაჭრილი გმირი შუადღემდე იბრძოდა.

იბრძოდა ისევ გორგასლურად.

ისმოდა ისევ ძრწოლამოსილი „დურ აზ გორგასარ!"

გადაიშუადღა.

იისევ დაჰქროდა თალპიონზე გორგასალი, იღლიაში ქეიბურნა-ძგერალი.

გატყდნენ სპარსელები.

ცხენზე ირხეოდა გორგასალი.

უცნაურად ელავდა ოქროვანი მგელ-ლომი მთაკაცის თავზე.

არავინ მიიკარა ჭრილობის მოსახილველად.

დანისლული მზერით ხედავდა ქართველი ხელმწიფე ბრძოლის ველიდან გაქცეულ სპარსელებს.

გაქცეული და თავნაცარსხმული კავად შაჰი რუსთავ-ბოსტან-ქალაქში აგროვებდა სიკვდილისგან გამოქცეულ დაფანტულ ჯარებს.

დანისლული მზერით დასცქეროდა ვახტანგ გორგასალი სპარსელთა გვამებით დარეცილ თალპიონს.

ხუთჯერ ნაკლები დახოცილიყო ქართველთაგანი.

მაგრამ იცოდა ხალხის მოჭირნახულე გვირგვინოსანმა:

მისი პატარა ერისათვის ერთი კაცის დაკარგვა უფრორე სამძიმო იყო, ვიდრე ხუთისა ვეება ირანისათვის...

დანისლული მზერით ხედავდა მეფე: დიდძალი ნაალაფარით დატვირთულნი და გამარჯვებით სახედამშვენებულნი ბრუნდებოდნენ მისი ნაჯაფარი მეომრები.

არც ერთ მათგანს არ მოჰქონდა არცა თავი და არცა მარჯვენა სპარსელისა, მაგრამ ყველა მოდიოდა პირნათელი, ჰეშმარიტი გმირის ნათელით დამშვენებული.

ისევ არავის იკარებდა ჭრილობის მოსახილველად.

დაე, ომედიანად დაბრუნდნენ ქართველები თავიანთ ბანაკებში.

დაე, შხამი არ შერეოდეთ გამარჯვების ნექტარით სავსე თასებს:
დაისი დგებოდა.
უსაშველოდ „დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად“.
უნაგირზე შეჭანდა გოლიათი.
ოქროვანი მგელ-ლომის მუზარადი ზრიალით დაგორდა პიტალო მკერდზე.
მიცვივდნენ სარდლები და ერისთავები.
ისევ იძალა მეფემ.
თვალი მოავლო თავისიანთა მშფოთვარე სახეებს და მკაცრად ბრძანა: ყველა სპასალარი და ერისთავი თავის ადგილზე დარჩეს, სალომარი წყობით და ყოველი განმზადებულობით.
ბრძანა და ცხენი მსუმრიად დასძრა.
უჯარმამდე ცხენდაცხენ მივიდა, მხლებელთაგან შეუშველებლად ცხენიდან გარდახდა და სასახლეშიც ფეხდაფეხ შევიდა.
შევიდა და სარეცელზე დაეცა.
ძლივს ამოართვეს დასტაქრებმა ქეიბური იღლიიდან.
მაინც შეიტყვეს სპარსელებმა ვახტანგ მეფის სასიკვდილოდ დაჭრის ამბავი.
უსაზღვრო იყო მათი სიხარული, რამეთუ ამიერიდან ბრძოლის ველზე აღარ გამოჩნდებოდა მათი უწყალო შემმუსვრელი და შემზარველი „მგელთავა“ ბუმბერაზი.
მეორე დღეს რუსთავიდან გამოეფინენ და ტფილისს შეესივნენ სპარსელები.
მერე მცხეთისკენ წამოვიდნენ, მაგრამ არმაზის კართან ნერსეშ და ბივრიტიანმა უკუაქციეს მოიერიშე მტერი.
კავადმა სხვა ავადსასმენი ამბავი შეიტყო მაშინ: თურმე ბიზანტიის კეისარი ანასტასი მოისწრაფოდა ქართლისაკენ დიდძალი ჯარით.
შაჰინშაჰი ქართლიდან აიყარა და სამხრეთისაკენ გაეშურა.
კარნუ-ქალაქთან შეიბნენ სპარსელნი და ბიზანტიელნი. დიდი სისხლისღვრა უშედეგოდ დამთავრდა. ორივე გვირგვინოსანი თავის თავს თვლიდა გამარჯვებულად, მაგრამ ორივე ხელცარიელი ბრუნდებოდა თავის სატახტოში.

ხოლო მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე დიდ გვირგვინოსანს უკვე სიკვდილთან ჰქონდა წილი ნაყარი:

ვახტანგ გორგასალი სასიკვდილო სარეცელზე იწვა.

თავს დასდგომოდნენ:

დედოფალი ელენე ორი ძითა და ორი ასულით,

პირმშო უფლისწული დაჩი (პირველი ცოლისაგან),

პეტრე კათალიკოსი,

ჯუანშერ სპასპეტი,

და ცხრა ერისთავი.

ძალა მოიკრიბა მეფემ, წამოიწია და უკანასკნელად წელამართულმა უკანასკნელი საბრძანისი ბრძანა:

„მე ახლა წავალ წინაშე ღმრთისა ჩემისა, ხოლო თქვენ, ქართლოსის შთამომავალთ მოგიწოდებთ მტკიცედ იდგეთ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ნუ შეურაცხყოფთ სახელსა ჩვენსა და ნუ უღალატებთ ბერძნებთან კავშირსა და მეგობრობას;

სამეფო გვირგვინს ვუტოვებ და მეფედ ვლოცავ ჩემს პირმშოს, დაჩის, ხოლო მის უმცროს ძმებს, ლეონს და მირდატს, ახალმა მეფემ საჭიროთველოდ უნდა გადასცეს მიწები ტაშისკარიდან და წუნდიდან ვიდრე სომხითამდე, საბერძნეთამდე და აფხაზეთამდე.

მოვუწოდებ წუნდის ერისთავს ნასარს, კლარჯეთის ერისთავს არტავაზს და ოძრხის ერისთავს ბივრიტიანს და ვავედრებ მათ საზრუნავად ცოლ-შვილთა ჩემთა...

სიკვდილი შემოჰყვა ღამეს უჯარმის სასახლეში.

და საქართველოს მოუკვდა ვახტანგ გორგასალი.

„მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისა. და იტყებდეს ყოველნი თავთა თვისთა, ისხმიდეს ნაცარსა, და ყოველნი ინატრიდეს სიკუდილსა თავისა თვისისასა; და ხმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა“.

მართლაც და, ძლიერი ყოფილა სიკვდილი, რამეთუ ვახტანგ გორგასალის მოკვდინებაც შეძლო მან.

სიკვდილს დაეპყრო ვახტანგ გორგასალი.

თორმეტბრჭალიანი ბუმბერაზი.

„ლომი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.

„ათთა მეფეთა მეფე ახოვანი“.

ვიგრის ფარით, ალმასის ხმალით, მგელ-ლომ სახოვანი მუზარადით.

„გმირი იალბუზისა“.

ვისაც ზეციდან ღვთიური ზარის რეკა ესმოდა.

ვის ფერხთა ქვეშე იდრიკებოდა „მთათა ხელმწიფე კავკასიონი“.

ვისაც, — ღვინო მოესურვებოდა, „ღმერთი ყანწს მიაწოდებდა“.

ვინც თვალზე უსწრაფესი თვალით ჰაერში მორიალე ისრებს ჰხედავდა.

ვისი სახელიც ქართული დროშის უპირველეს და უმშვენიერეს თიკუნად იქცა — გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი!

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელი, აღესრულა 60 წლისა.

უჯარმიდან წაიყვანეს და მცხეთას დაკრძალეს, მისგანვე აგებულ სამეუფო პასტოფორიონში.*

საუკუნეთა შანძილზე ქართველნი და მათი მტერ-მოყვარენი გაოცებულნი და შეგრძნებულნი შესცქეროდნენ იქვე გამოფენილ უზარმაზარ ტანსაცმელსა და აღჭურვილობას გორგასალისას.

ბუმბერაზის სამარადჟამო სამკვიდრებელს ბუმბერაზი ლოდი დაადეს; ზედ მისი თორმეტბრჭალიანი მთლიანი ხატი ამოკვეთეს.

ხოლო ეპიტაფია ქართველმა ხალხმა დაიწერა საკუთარ მკერდზე:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა.
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ა ზ მ ა მ ე ო რ ე

## დიდი მეფიდან უმეფობამდე

### მემკვიდრენი გორგასალისა

ვახტანგ გორგასალის მეფობის ჟამს სპარსეთში ექვსი შაჰინშაჰი გამოიცვალა, ხოლო ბიზანტიაში — რვა იმპერატორი.

---

* პასტოფორიონი — ტაძარი სამეუფო (საბა).

მეექვსე საუკუნე დაწყებულიყო.

ქტესიფონში მეფედ იჯდა კავადი.

კონსტანტინოპოლში — ანასტასი.

ტფილისში, საქართველოს ახალ სატახტოში — დ ა ჩ ი.

კვლავ მტრობდნენ ერთმანეთს სპარსეთი და ბიზანტია.

კვლავ საქართველოს წასახდენად ეჭირა თვალი სპარსეთს.

კვლავ ვითომ მეგობრობდა საქართველოსთან ბიზანტია.

დაჩი ვახტანგის ძე შინაური აღმშენებლობით იყო გართული. მან „იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და დანასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“.

დაჩის დროს გარდაიცვალა პეტრე, პირველი კათალიკოსი საქართველოსი.

მის ნაცვლად კათალიკოსი შეიქნა ს ა მ ო ე ლ.

შეფემ გადაწყვიტა ერთსარწმუნოებრივი პოლიტიკით კიდევ უფრო განემტკიცებინა ქართველთა შინაგანი ერთიანობა. მას აწუხებდა, რომ მთიელ ქართველთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წარმართობაზე იდგა და ქრისტიანობას ჯიუტად უარყოფდა.

დაჩიმ „მოუნათლავთა“ დიდი წვეება მოიწყო მცხეთასა და ტფილისში. სამოელ კათალიკოსი შეეგება „წარმართ ქართველებს“. ამათ არ მიიღეს, ყურადაც არ იღეს მისი კურთხევა. არც მეფის ტკბილმა სიტყვამ გაჭრა. მთიელი ქართველები წარმართებად მოვიდნენ და წარმართებადვე გაბრუნდნენ მთებში.

ამის შემდგომ დაჩის დიდ ხანს აღარ უცოცხლია.

ცოტა ადრე გარდაიცვალა ლეონ ვახტანგის ძე. ხოლო მირდატს გამეფებაზე არც უფიქრია. იგი ქრისტიანული აღმშენებლობით იყო გართული. მისგან აგებულ საყდართა შორის უსაჩინოესი იყო ეკლესია წყაროსთავისა ჯავახეთში.

გამეფდა დაჩის ძე ბ ა კ უ რ, მაგრამ ესეც გამეფების წელსვე გარდაიცვალა.

დიდი ხელმწიფის მემკვიდრეები არ გამოდგნენ მაინცდამაინც მზეგრძელნი.

## გურგენ მეფე

VI საუკუნის 20-იან წლებში „გორგასლური საქართველო“ ისევ გაყოფილია ორ ნაწილად: ქართლ-იბერია და ეგრის-ლაზიკე.

ქართლში მეფედ იჯდა გ უ რ გ ე ნ ი.

ეგრისში — წ ა თ ე.

ბიზანტიაში — ი უ ს ტ ი ნ ე.

სპარსეთში — ისევ კ ა ვ ა დ ი.

კავადს ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს გასპარსელება გადაეწყვიტა.

გურგენ მეფემ სპარსეთისგან ფიცხელი ბრძანება მიიღო. შაჰინშაჰი ბრძანებდა, ქართლის მოსახლეობას ქრისტიანობა უარეყო, მაზდეიანობა მიეღო და ყოველგვარი საყოფაცხოვრებო ადათიც ამიერიდან სპარსული წეს-ჩვეულებით აღესრულებინა. მიცვალებულთა დაკრძალვაც კი ქართველებს ქართული წესით ეკრძალებოდათ. შიწაში დამარხვის ნაცვლად, დაკრძალვა სპარსულად უნდა ჩაეტარებინათ:

მომაკვდავთან მიიყვანდნენ ძაღლს და პირისპირ დაუყენებდნენ. ძაღლთან ცქერაში, მიცვალებულის სულიც სწორედ ძაღლში უნდა გადასახლებულიყო. მერე მიცვალებულს ნეზაზალარები (მესაფლავეები) განბანდნენ, ძველმან ტანსაცმელს ჩააცმევდნენ და სახეზე წვირიან ფლასს დააფარებდნენ. თვითონვე ჩაასვენებდნენ ჯვნეზში (რკინის ვიწრო ყუთში), თვითონვე ოთხად გატეხდნენ „მიცვალებულის პურს“, თვითონაც მიაშტერდებოდნენ ძაღლს და ბოლოს ცხედარს წაასვენებდნენ დახმეზე (სასაფლაოზე). დახმე იმყოფება დასახლებიდან შორს მაღლობ უწყლო ადგილზე. იგი შემოღობილია 36 დიდი და 206 მცირე სარით გამაგრებული ღობით და დაყოფილია 365 ნაწილად ამდენივე მიცვალებულისათვის. მესაფლავეები მიცვალებულს კუბოდან ამოიღებენ და მისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაასვენებენ ღია ცის ქვეშ, თავით ღობისაკენ, ფეხებით ცენტრისაკენ; ქალები — თავით მამაკაცის ფეხებთან, ბავშვები — ქალთა ფეხებთან. მიცვალებულის დასვენების შემდგომ მესაფლავეები საგანგებოდ წამოღებულ თოკებს და ტომრებს დაგლეჯენ, მობედი (ქურუმი) ლოცვას აღავლენს, ჭირისუფლები საჩვენებელი თითით მიწას ეხებიან და უკან ბრუნდებიან. დახმე არის შემაზრზენი სანახაობა:

გახრწნილ გვამთაგან აეარდნილი სიმყრალით იტენება ჰაერი, აუარებელი მემძორია მხეცი და ფრინველი ეხვევა ცის ქვეშ დაყრილ მიცვალებულთ. დგას ამაზრზენი გნიასი, ჩხავილი, ღმუილი, კბილთა ღრჭენა და ძვალთა ჩხარაჩხური.

და კავადს გადაუწყვეტია მყრალ, ამაზრზენ დახმედ გადაექცია საქართველო.

დღეს თუ არა ხვალ ალბათ სხვა რამესაც მოითხოვს სპარსელი მეფე ქართველებისგან,— წესი სპარსული „საუკეთესო შეუღლებისა“: და-ძმანი, ბიძა-ძმისწულნი, მამიდა-ძმისწულნი, მამინაცვალ-გერები, დედინაცვალ-გერები და ა. შ. (თვითონ ხომ ღვიძლი დაი ჰყავდა ცოლად კავად შაჰს).

დღეს თუ არა ხვალ ბრძანებს სპარსეთის მეფე, ერთნაირად ეცითო თაყვანი თოთხმეტნაირ სითხეს: ცის ცვარს, მთის წყალს, წვიმის წყალს, წყაროს წყალს, ჭის წყალს, ხის წვენს, რძეს, ცხიმს, ნაღველს, თესლს, სახის ოფლს, ტანის ოფლს, ცინგლსა და შარდს.

იქნებ ისიც ბრძანოს სპარსელმა ურჯუკმა, სპარსეთის მსგავსად საქართველოშიც 14 წლის ბიჭს ცოლი შერთონ, 11 წლის გოგო გაათხოვონ, მშობიარე ქალი რკინის შიშველ ფიცარნაგზე დააგდონ, ძეობის შემდგომ სამი დღე-ღამე ფერფლშეზავებული ხარის შარდი ასვან და კიდევ მომდევნო ერთი კვირა ხარის შარდშივე აბანაონ.

კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ ურჯუკ რაიმეს მოიგონებს ქართველთა მოსისხარი ქართულობის აღმოსაფხვრელად.

საომრად აიშალა და აზვავდა ქართველი ხალხი.

გურგენ მეფემ იცოდა, საკუთარი მცირე ძალით ირანულ ურდოებს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ბიზანტიის კეისარს დახმარება სთხოვა. ასამუდამოდ თქვენს მხარეს დავრჩები, ოღონდ კი სპარსელების ხელში ნუ ჩაგვაგდებო,. ატყობინებდა იგი კეისარ იუსტინეს.

იუსტინე ქართველი მეფის შემონათვალით დიდად ნასიამოვნები დარჩა. მაშინვე მან უახლოესი კარისკაცი-პატრიკიოსი (წინა იმპერატორის, ანასტასის ძმისწული), საბჭოლად პრობოსი, ბოსფორში (ყირიმში) აფრინა ფულით, რათა ჰუნები მოესყიდა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, საქართველოს მისაშველებლად გადმოესროლა მათი ლაშქარი.

ჩვენ არავის დავაჩაგვრინებთ იბერიელებს, რომლებიც „ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველაზე უკეთ იცავენო“, გაიძახოდა იუსტინე კეისარი.

მაგრამ ბიზანტიური მოკავშირეობა და მეგობრობა ამჯერადაც ფიქტიური გამოდგა. პროპოსი ჰუნებისაგან ხელცარიელი დაბრუნდა. კეისარმა გურგენს მხოლოდ რამდენიმე მეომრისგან შემდგარი რაზმი გამოუგზავნა პეტრე სტრატეგოსის სარდლობით. ეს იყო და ეს.

ქართველები ისევ მარტოდმარტო აღმოჩნდნენ მსოფლიოს მყლაპავთა წინაშე.

უზარმაზარი არმიები შემოუსია კავად შაჰმა ქართლის მიწა-წყალს უახლოესი სარდლისა და პოლიტიკოსის ბოეს მეთაურობით.

ისევ გაიმართა სისხლისღვრა — ქართველთათვის ერთდროულად უსაზმნოც და თავგანწირულიც.

გურგენ მეფე უკან იხევდა. ბრძოლით მიეშურებოდა ეგრისისაკენ. თან ოჯახიც მიჰყავდა — ცოლი, შვილები (მათ შორის უფროსი უფლისწული ფირანი), ძმები. სპარსელები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ. მეფემ სეფეწულთა ამალით სკანდისა და შორაპნის ციხეებს მიაღწია, აქ კარგა ხანს იგერიებდა სპარსელთა იერიშებს.

ლაზებიც შემოეგებნენ და ერთად შეაკავეს შტრის შემოტევა.

გურგენ მეფე ეგრისის სატახტოში ჩავიდა.

იქიდან კონსტანტინოპოლს გაეშურა ოჯახითა და სეფეწულებით.

სპარსელები ქართლს დაეპატრონენ.

ყველა მთავარ ქალაქში და ციხესიმაგრეში სპარსული გარნიზონები ჩადგნენ.

ქართლის მმართველად სპარსელი მარზპანი (ერისთავი, ოლქის მმართველი) გამოცხადდა.

ქართლში „უმეფობის ხანა“ დადგა.

ეს ამბები 523 წელს დატრიალდა.

ფრთხილი ბატონობით ბატონობდნენ სპარსელნი. ქართველთა შეურიგებლობით შემძრკალნი, ჯერჯერობით სრულ „გასპარსელებაზე“ ხელს იღებდნენ. მხოლოდ ხარკით და ჯარის გაყვანით კმაყოფილდებოდნენ.

# ᲚᲐᲖᲔᲑᲘ

უძლიერესი და უმამაცესი ხალხია ლაზები და სხვა ძლიერ ხალხებზეც მბრძანებლობენ; კოლხთა ძველი სახელით ამაყობენ და, არცთუ უსაფუძვლოდ, გვარიანადაც ქედმაღლობენ... მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და ქველი სალხი, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშეერდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის ხიჯარებით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სიმშვენიერითა და სიმკვირცხლით.

ᲐᲒᲐᲗᲘᲐ ᲡᲥᲝᲚᲐᲡᲢᲘᲙᲝᲡᲘ.

## „სისხლიანი ქვაბები“

მცირედი დროით უკან დავიხიოთ, კეთილო მკითხველო.

V საუკუნის შუა ხანებში ლაზიკეს, ანუ ეგრისს ბიზანტიისაგან სავსებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი. იგი აღარც ხარკს იხდიდა, აღარც ბიზანტიის სამხედრო მსახურად თვლიდა თავს. ლაზიკის მეფეები კონსტანტინოპოლიდან მხოლოდ ფორმალურ სამეფო ინსიგნიებსა და ლოცვა-კურთხევას ღებულობდნენ, ბოლოს, ეგრისის მეფე გუბაზ პირველმა ბიზანტიის სასახლის კარს ამნაირ სუვერენიტეტზეც უარი უთხრა. მაშინ იმპერატორმა მარკიანემ გადაწყვიტა გუბაზი დაესაჯა და მისი ქვეყანაც სავსებით დაემორჩილებინა.

456 წელს ეგრისს ბიზანტიელთა არმიები შემოესია.

ლაზებიც ფხიზლად და ვაჟკაცურად დაუხვდნენ დამპყრობელებს. ისინი ადრევე შესდგომოდნენ საომარ სამზადისს...

გადამწყვეტი ბრძოლისათვის ბიზანტიელები მიუახლოვდნენ მწვანე ჯეჯილით აბიბინებულ ფართო ველს, რომლის ჩრდილო მხარეზე ლაზები დაბანაკებულიყვნენ.

საოცარი და სავსებით მოულოდნელი კატასტროფაც სწორედ მაშინ დატრიალდა, როცა ქართველთა ბანაკისაკენ დაოთხებული ბიზანტიელთა მხედრობა მწვანე ველს შემოესია.

მინდორი ერთბაშად ჩაინგრა.

მიწამ შთანთქა მოიერიშე ლაშქარი.

შემაზრზენი ბღავილი ამოაწკდა ზეცას მიწისგულიდან.

თურმე ლაზებს ადრევე დაუგიათ ხაფანგი მტრისთვის:

წინასწარ ფართო და ღრმა ორმოები ამოუჭრიათ. შიგ შუბები და აკინაკები ხშირი ტყის მიჯრილობით წვერალმართ ჩაურჭვიათ, ზემოდან ჩელტები გადაუფარებიათ, ჩელტებზე მიწა მოუგიათ და ზედაც ხორბალი დაუთესიათ. ყველაფერი ეს შემოდგომაზე გაუწყვიათ მტრის მომლოდინე ლაზებს, ხოლო ახლა, გაზაფხულზე, ეს იშვიათი „სტრატეგემატა“ მოუმცდარად მოხვდა მიზანში.

ბიზანტიელები ორმოებში თავშეუკავებლად ცვივოდნენ და აწკართულ შუბებზე ცხენ-კაციანად ეხეოდნენ და ეგებოდნენ.

ქართველები ორმოებს გარშემო ურბენდნენ და იქიდან რაიმე შანქანებით სიკვდილისგან თავდახსნილ, ზემოთ მომბობღავ მტრებს მახვილთა და მაზრაკთა კვეთებით უკანვე, სისხლით ატალახებულ „ქვაბებში“ ყრიდნენ.

ერთბაშად გაწყდა კეისრის ლაშქარი.

კეისარი მარკიანე მომდევნო წლისათვის სარევანშო ბრძოლისათვის ამზადებდა ლეგიონებს. თან სალაშქრო მარშრუტებსაც აზუსტებდა: საიდან სჯობსო ჯარების შეყვანა ლაზეთში — ზღვიდან, თუ ხმელეთიდან, ანატოლიიდან.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიზანტიის კეისარმა ლაზების წინააღშდეგ საომრად დახმარება სთხოვა მარადიულ მოსისხლე მტერს, სპარსეთის შაჰს.

სპარსეთის მაშინდელმა მეფემ იეზდიგერდ მეორემ, იმ ხანებში ლაზთა მეფის ელჩებიც მიიღო. გუბაზიც დახმარებას ითხოვდა ბიზანტიელთა წინააღმდეგ საომრად.

შაჰინშაჰს ასეთი იშვიათი და სასურველი არჩევნის შემთხვევა მიეცა, მაგრამ ორივე მხარეს მაინც უარი უთხრა დახმარებაზე, რადგან თვითონ იეზდიგერდს მაშინ ჰუნებთან ჰქონდა მძიმე ომები.

ბუნებრივად დაისვა საკითხი ბიზანტიისა და ეგრისის შერიგების შესახებ.

მარკიანემ გუბაზ მეფესთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნა ე ვ ფ ე მ ი ო ს ი, მისი ეპიტროპი-ეზოსმოძღვარი და უახლოესი მრჩეველი-დიპლომატი.

გულზვიადობა დატოვეო, ბიზანტიელებს — ლაზთა ძველ მეგობრებს — დაუბრუნდიო, ლაზიკაში მეფედ შენი შვილი წ ა თ ე დატოვე

და შენ კეისარს ეწვიე კონსტანტინოპოლშიო, — ჩასჩიჩინებდა ევფემიოსი გუბაზ მეფეს.

ასე მოამზადა ნიადაგი ბიზანტიელმა დიპლომატმა გუბაზისა და მარკიანეს შესახვედრად.

მერე კიდევ ახალი ელჩობა გამოგზავნა კეისარმა დიონისეს მეთაურობით.

დიონისემ ერთგულების ფიცის ქვეშ მოახერხა გუბაზ მეფის ჩაყვანა კონსტანტინოპოლში.

საღვთო კონსისტორიონში შეხვდა მარკიანე კეისარი გუბაზ მეფეს.

სასახლის კარი გაოცებული იყო იმპერატორის გაუგონარი შემწყნარებლობით: ლაზების მეფე შუბოსან თანამემამულეთა თანხლებით შევიდა სამეუფო კონსისტორიონში.

მარკიანემ ჯერ ფრთხილი საყვედურები აკადრა ამაყ სტუმარს.

მაგრამ „ლოგოსებში“ გაწაფული აღმოჩნდა ლაზთა ხელმწიფე.

ალბათ ისიც სახელგანთქმულ ფასისის „მუზათა ტაძარში“ დაუფლებოდა რიტორიკურ ხელოვნებას.

მისმა დახვეწილმა მჭევრმეტყველებამ, თავაზით აღსავსე სიტყვა-პასუხმა, საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგანთა ცოდნამ და მომხიბლავმა მიმოხრამ სავსებით დაატყვევა იმპერატორი და მისი სასახლის კარი.

გუბაზ მეფე ბიზანტიელებმა დიდის ძღვენითა და პატივით გამოისტუმრეს ეგრისში.

იმ წელს (457 წ.) იმპერატორი მარკიანეც მოკვდა და შაჰი იეზდიგერდ მეორეც.

ტახტთა ახალი მფლობელნი — ლეონ პირველი და იეზდიგერდ მესამე სავსებით დაჩრდილა და დაჯაბნა ქართველმა დიდმა ხელმწიფემ, ვახტანგ გორგასალმა.

მალე ვახტანგმა ქართლს შეუერთა ეგრის-ლაზიკეც და მთელი „პონტოური საქართველოც“.

განვლო ვახტანგ დიდის ჟამმაც და მისი მემკვიდრეების დროს ისევ ცალკე სახელმწიფოდ გამოჩნდა ლაზეთ-ეგრისი.

**ფარსმან კოლხი**

იმ ხანად კიდევ ერთმა ქართველმა კაცმა ისახელა თავი უცხოობაში.

502 წელს, კარნუ-ქალაქთან უშედეგო სისხლისღვრის შემდგომ, ბიზანტიელები და სპარსელები ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ ამიდასთან (ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, მდინარე ტიგროსის პირზე). აქ სამი წელი გაგრძელდა სისხლიანი ჭიდილი. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს კავადმა დაიმკვიდრა ამიდა, შიგ ძლიერი გარნიზონი ჩააყენა გლონის სარდლობით, გარეთაც დამხმარე ჯარები განალაგა ორი მარზპანის მეთაურობით და თვითონ ქტესიფონს გაეშურა.

ზედიზედ მარცხდებოდნენ ბიზანტიელთა ჯარები, რომელთაც ცალკეულად სარდლობდნენ: კელერი, პატრიკი, ჰიპატოსი, იუსტინიანე, არეობინდე, პატრიკიოლე, ვიტალიანე, გოდიდისკლე და ბესსა.

ისინი ხან ამიდაზე მიიტანდნენ იერიშს უსაზმნოდ, ხან მეზობელ ციხესიმაგრეებს გაესეოდნენ ხოლმე, მაგრამ იქიდანაც დამარცხებულნი და შერცხვენილნი ბრუნდებოდნენ ოკან ბანაკებში.

ერთი შეტევა დიდ ციხე-ქალაქ ნიზიბისსაც შეუტიეს ბიზანტიელებმა, მაგრამ თვითონ კავადმა მოუსწრო ლაშქრით. ბიზანტიელები შაჰთან შებრძოლებას შეუშინდნენ და უთავბოლოდ დაშლილ-დაფანტულნი გამოიქცნენ. ბევრი მათგანი დაიჭრა, ბევრიც კლდეებსა და ვიწროებში ცხენ-კაციანად ჩაიჩეხა და ჩაიმსხვრა. მათი კარვები და ბაძარცვი განძეულობანი სპარსელებმა დაიალაფეს.

ბოლოს, ჭაპანწყვეტით ნაომარი სამი წლის შემდგომ კეისარმა ჭიერიაში ჯარს უსარდლა ფარსმანი, „წარმოშობით კოლხი, განსაკუთრებით სახელგანთქმული საომარ საქმეებში“.

ბიზანტიელებიც და სპარსელებიც კარგად იცნობდნენ ფარსმან კოლხის ჯარისკაცურ სიმამაცეს და სარდლურ ნიჭიერებას. ამჯერადაც ძალიან ისახელა თავი. მან „რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქნა სახელგანსმენილი და სპარსელებს შიშის ზარი დასცა; მისი სახელის ხსენებაც აშინებდა მათ, მისი საქმენი ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს; მის წინაშე ისინი ლაჩრებად გამოსჩანდნენ და მარცხდებოდნენ“.

ხუთასი რჩეული მეომრისაგან მფრინავი რაზმი შექმნა ფარსმანმა. ამ რაზმით დასდევდა იგი დასახლებული პუნქტების საძარცვავად

და სარბევად გასეულ სპარსელებს. ანადგურებდა მათ, ნაძარცვსაც ართმევდა და პატრონთ უკანვე უბრუნებდა. არც თავის ჯარისკაცებს აძლევდა მოსახლეობის აწიოკებისა და აკლების ნებას.

ხალხმა შეიყვარა უცნაური კეთილშობილებით შემკობილი სარდალი.

ბოლოს, ფარსმანმა ამიდას გარეთ დაბანაკებული მარზპანთა ჯარები გაანადგურა და იერიში მიიტანა თვითონ ქალაქის კედლებზე.

ქალაქში საშინელი შიმშილობა დადგა.

სპარსელთა გარნიზონის უფროსმა, სარდალმა გლონმა შიმშილით დაღუპვას სარისკო ბრძოლა არჩია და ჯარები საომრად გამოიყვანა.

ბრძოლა ისევ ქართველი სარდლის გამარჯვებით დამთავრდა. სპარსელთა უმრავლესობა, სარდალ გლონთან ერთად, საომარ ველზე დაეცა.

ფარსმანი ამიდაში შევიდა.

შიმშილისაგან და შიშისაგან დაძაბუნებული ხალხი ჩვეულებრივ ქლეტასა და ძარცვა-რბევას ელოდა.

მაგრამ ფარსმანმა ხალხი დაამშვიდა.

კიდევაც დააპურა.

ბოლოს, კეისარი დაითანხმა და მატერიალურად და სულიერად განადგურებული ქალაქის მოსახლეობა შვიდი წლის ვადით ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლა.

სპარსეთ-ბიზანტიის ომი ამ ეტაპზე შეწყდა.

კავად შაჰი და ანასტასი კეისარი დაზავდნენ (506 წ.).

ამიდა ბიზანტიელებს დარჩათ.

ჭვემოთ, უცხოურ წყაროთა დამოწმებით, ერთჯერ კიდევ მოვიხსენიებთ უცხოობაში აღზევებულ ქართველ კაცს...

### წათე პირველი, ძე გუბაზ პირველისა

ახლა ისევ ზემოთ თქმულს დავუბრუნდეთ:

VI საუკუნის 20-იან წლებში ეგრის-ლაზეთის მეფეა წ ა თ ე გ უ ბ ა ზ ი ს ძ ე — თანამედროვე გურგენ მეფისა, იუსტინე კეისრისა და კავად შაჰისა.

ქართველი მეფეები სულით მაღალი და ფრიად განათლებული არისტოკრატები იყვნენ.

კავადი — ავზნიანი დესპოტი.

იუსტინე — ყოფილი პროვინციელი მწყემსი-მეღორე, წერა-კითხვის უცოდინარი (კალამს ხის ფირფიტაზე საგანგებოდ ამოჭრილ ასოებს აყოლებდა და ხელს ისე აწერდა), ოთხმოცი წლის სკლეროზიანი ბერიკაცი.

520 წლის მახლობლად კავად შაჰმა იუსტინე კეისრის გაბრიყვება სცადა. მან კონსტანტინოპოლში ელჩობა გაგზავნა და იუსტინეს შეუთვალა: მე ვივიწყებ რომაელთაგან მოყენებულ ყოველგვარ წყენას და წინადადებას ვაყენებ შევრიგდეთ, დავმეგობრდეთ და დავნათესავდეთ კიდეც; ნიშნად ასეთი სიახლოვისა, გთხოვ იშვილო ჩემი ძე ხოსრო, სპარსეთის მომავალი ხელმწიფე.

გულუბრყვილო გლეხი-იმპერატორი კავადის შემოთავაზებაზე თანხმობას აპირებდა, მაგრამ კვესტორმა პროკლემ იგი დაარწმუნა, რომ ასეთ რამეზე დათანხმება ნიშნავს ჩვენის ხელითვე გადავცეთო მტერს ჩვენი ქვეყანა: თუ სპარსელი უფლისწული კეისრის შვილად გამოცხადდება, იმ წუთიდანვე იგი ბიზანტიის საიმპერიო ტახტ-გვირგვინის მემკვიდრედაც გადაიქცევაო.

იუსტინემ კავადს შეუთვალა, ახლა გადაჭრით პასუხის მოცემა არ შემიძლია და სულ მალე დაზავება-დანათესავების საკითხებზე მოსალაპარაკებლად საგანგებო ელჩობას გაახლებო.

მართლაც, ახალი შეხვედრა შედგა ბიზანტიისა და სპარსეთის საზღვარზე, ტიგროსის ზემო წელზე.

ბიზანტიელთაგან მონაწილეობდნენ ჰიპატოსი და ჩვენთვის უკვე ცნობილი ფარსმანკოლხი, ხოლო სპარსელთა მხრიდან—სეოსი და მეევდი.

ტიგროსს ამალით მოადგა უფლისწული ხოსრო, მზად მყოფი კონსტანტინოპოლს გასამგზავრებლად, როგორც კი ელჩები მოლაპარაკებას დაასრულებდნენ.

მოლაპარაკებას დასაწყისში თითქოს კარგი პირი უჩანდა. სპარსთა და ბიზანტიელთა უთავეამო უთანხმოებებს ნელ-ნელა სწონიდნენ და დავიწყების გოდორში ჰყრიდნენ.

მაგრამ ფარსმანმა ანკრად ახსენა კოლხეთი, ვითარცა სამშობლო თვისი. ეს საკმარისი გახდა სეოსს მსჯელობის მთავარ საკითხად ლაზეთის საქმე წარმოეჩინა. იგი გაცხარებით შეუდგა მტკიცებას, რომ კოლხეთი, რომელსაც ახლა ლაზიკეს უწოდებენ, ძველთაგანვე სპარ-

სელების საკუთრება იყო და ახლა ბიზანტიელები ფლობენო მას სავსებით უკანონოდ.

ლაზეთის საქმემ მოლაპარაკება ერთბაშად ჩაშალა. ხოსრო ბოლშითა და ბიზანტიელებზე შურისგებით აღვსილი დაბრუნდა მამასთან. მოლაპარაკების ჩაშლა ლაზეთის საკითხის წამოჭრითა და გართულებით, მეეოდმა ხელმწიფის წინაშე სეოსს დააბრალა. კავადმა სეოსი სიკვდილით დასაჯა.

სპარსეთი ხელს არ იღებდა ეგრისის დაპყრობაზე. აქედან შავ ზღვაზე გასასვლელები და ბიზანტიის წინააღმდეგ მუდმივად მტკიცე პოზიციები ესურვებოდა შაჰინშაჰს.

523 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, სპარსელთაგან დევნილი გურგენ მეფე მოადგა ლაზეთს.

ლაზები შორაპან-სკანდეს ხაზზე შეეგებნენ ლტოლვილ თანამოძმეებს და თვითონაც შეებნენ სპარსელთა ჯარებს.

როგორც იქნა, ბიზანტიელებმაც მოატანეს ირინეოსის სარდლობით. მაგრამ გადამწყვეტ ჟამს ირინეოსმა ბრძოლა მიატოვა და ყვირილას გასწვრივ დაეშვა ჯარით.

ლაზებმაც ათჯერ უმეტესი მტრის მოწოლა ვეღარ შეიმაგრეს და სკანდე-შორაპანიც სპარსელებმა იგდეს ხელთ.

დღე-დღეზე სრულიად ეგრისსაც შეესეოდნენ სპარსნი. მაგრამ დროზე შემოუტიეს ბიზანტიის ახალგაზრდა სარდლებმა — ვ ე ლ ი ს ა რ მ ა და ს ი ტ ტ ა მ.

სპარსელები უკუიქცნენ.

უკან დაბრუნებისას ბიზანტიელ სარდლებს, ველისარსა და სიტტას, დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდათ ტაოკრისა და ჭოროხის შიდამოებში მცხოვრებ ქართველთა შემოსარიგებლად. აქაური ქართველები, ჭანები (ზანები) და ხალიბები, მანამდეც ხშირად ესხმოდნენ თავს ხალხის საძარცვავად აშლილ რომაულ ლეგიონებს. ეს საოცარი ტომები, პირქუშნი და გულუძვრელნი, ყოველ ხალხთათვის შეუცნობელი ხელოვნებით მჭედელ-მდნობელნი ფოლადისა და რკინა-რვალისა, აქამდე არავის სცნობდნენ თავის მბრძანებლად: არც რომაელებს, არც ბიზა- იელე ს, არც სპარსელებს და არც „მშობლიურ“ ლაზ მეფეებს. თვალშეუღწეველ მთა-ღრეებში და წყვარამებში თავშეფარებულნი ჟამ-ჟამად ზვავივით მოწყდებოდნენ და ვაი მათ, ვისაც თავზე დაეცემოდნენ. ბიზანტიელი იმპერატორები ყოველწლი-

ურ ხარკად დიდძალ ოქროს უგზავნიდნენ ხალიბებსა და ზანებს, რამეთუ ხელი აეღოთ ბიზანტიურ სამფლობელოთა ძარცვა-რბევაზე.

ახლა, როგორც იქნა, შემოირიგეს ისინი ველისარმა და სიტტამ, ლაშქრად მიიწვიეს და დიდი ჯამაგირი და გასამრჯელო აღუთქვეს მეომრული სამსახურისთვის.

წათე პირველი სამუდამოდ დარწმუნდა, რომ სპარსელებთან მშვიდობიანი მეზობლობა ყოველად შეუძლებელი იყო. ამიტომ გადაწყვიტა ბიზანტიასთან კავშირი კიდევ უფრო განემტკიცებინა, თუნდაც ეს კავშირი, ჩვეულებრივ, პრაქტიკულად ნაკლებ ქმედითი და შედეგიანი ყოფილიყო.

523 წელს გურგენ მეფესთან ერთად წათე პირველიც ბიზანტიაში გაემგზავრა. მან თავისი უფროსი ვაჟი გუბაზი ეგრისის ტახტზე დატოვა, ხოლო უმცროსი შვილი, თანამოსახელე წათე მრწემი, თან წაიყვანა კონსტანტინოპოლს.

ბიზანტიის სატახტო დიდის ამბით შეხვდა ქართველ მეფეებს.

კეისარმა ძვირფას სტუმრებს დიდი ნადიმი გაუმართა საქვეყნოდ განთქმულ ცხრამეტსარეცლიან სანადიმო ტრიკლინიუმში.

უბრწყინვალეს რვაწახნაგოვან სასტუმროში დააბინავა იუსტინემ ქართველები.

მეორე დღეს ჰიპოდრომზე იახლა და კათიზმაში (კეისრის ლოჟა) აქე-იქეთ დაისვა ისინი.

ცნობისმოყვარე და ჭორიკანა კონსტანტინოპოლელმა ხალხმა პრასინებისა („მწვანეები“), და ვენეტების („ლურჯები“) ჯამბაზურ შეჯიბრს თავი მიანება და მთელი სანახაობის მანძილზე კათიზმაში მსხდარ ქართველ მეფეებს შესცქეროდა.

სანახაობის შემდგომ იმპერატორის გვარდიამაც ვეღარ შეძლო ხალხის შეკავება. აღარც იმპერატორს დაერიდნენ. კვალდაკვალ მისდევდნენ, წინ უსწრებდნენ და უტეხი მზერით სახეში შესციცინებდნენ „ზღაპრულ კოლხსა და იბერიელს“.

გურგენი უფრო დინჯი და დიდი სიმძიმილით დატვირთული ჩანდა. წათე უფრო მკვირცხლი, მოძრავი და ხალისიანი.

განსაკუთრებით მოსწონდათ ლაზათიანი და ჯავარსრული ჩაცმულობა კოლხთა მეფისა. თვით კეისარი იუსტინეც კი თვალს ვეღარ სხლეტდა წათეს აშვეტილ ფეხებზე შემოსხეპილ წითელ წაღებს, მარგალიტებით მოსირმულსა და წვივებისა და ქუსლების გასწვრივ ქრისოლითური არწივებით დამშვენებულს. ასევე ბიზანტიელთა „სუ-

ლისა და გულის წამღები“ იყო წათეს ვიწრო წელზე შემოსალტული, მარგალიტებით გაწყობილი ზოსტერი*.

ყველამ იცოდა, რომ გურგენ იბერიელი იყო დიდმორწმუნე ქრისტიანი და ქრისტიანობის ყველაზე დიდი ქომაგი აღმოსავლეთში. ხოლო წათე ეგრისელი ახლა აპირებდა ქრისტიანობის მიღებას კონსტანტინოპოლში.

იუსტინე კეისარი დიდი სიხარულით შეხვდა კოლხი ხელმწიფის სურვილს: კავშირი, მეგობრობა, მოყვრობა, ერთმორწმუნეობა.

კოლხთა მბრძანებლის ნათლიღებამ, თვითონ კეისრის ხელმძღვანელობით, დიდის ზარზეიმით ჩაიარა.

მერე იუსტინემ წმიდა მოციქულთა ტაძარში წათე კოლხეთის სამეფო ინსიგნიებით მორთო და თავის შვილადაც გამოაცხადა.

მალე დამოყვრებაც შედგა: ქვრივმა ლაზმა ხელმწიფემ ცოლად შეირთო დიდად წარჩინებული სენატორის, ნ ო მ ო ს ი ს ასული. სახელად ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე.

ეგრისს მობრუნდა წათე პირველი, ქრისტიან ხელმწიფეთა შთამომავალი, თვითონ ახლად გაქრისტიანებული, ბიზანტიელთა მოკავშირე, მოყვარე და მეგობარი. თავზე ბიზანტიური დიადემა ეხურა, ტანზე ქათქათა აბრეშუმის ქლამიდი და სტიქარიპარაგავდი, ორივენი ოქრონემსული ზარქაშით მოქარგულ-მოგვირისტებული. წვრილ წელზე ისევ მარგალიტებით გაწყობილი ზოსტერი ერტყა, აშვეტილ ფეხებზე ისევ კოლხური წითელი წაღები, მარგალიტებითა და ქრისოლითი-არწივებით დამშვენებული.

კეისრისა და ავგუსტა-დედოფლის უამრავი ძღვენით და საჩუქრებით დატვირთული მოვიდა ნეფე-დედოფალი ეგრისის სატახტოში, ც ი ხ ე-გ ო რ ში.

შაჰინშაჰ კავადი აღაშფოთა ბიზანტიისა და ეგრისის ხელმწიფეთა შეთანხმება-მეკავშირებამ.

მან ფიცხელი პატრუცაგი გაუგზავნა იუსტინეს:

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის ზავი და მეგობრობაა დადებული, შენ მაინც მტრულად მექცევიო: ეგრისის მეფე, რომელიც თავიდანვე სპარსეთის ქვეშევრდომი იყო, შენ მოგინათლავს, მეფედ შენვე გიკურთხებია და კიდევაც დაგიმოყვრებიაო.

იუსტინემაც არ დააყოვნა პასუხი:

---

* ზოსტერი — ქამარი, სარტყელი (სახა).

არავინ შენი ქვეშევრდომთაგანი არც მიმიღია და არც გადამიბირებიაო. ჩემთან მხოლოდ ეგრისის მეფე მოვიდა, წათე, რომელმაც უწმინდური რელიგიისაგან განწმენდა მთხოვა, ქრისტიანობა მიიღო და უკანვე თავის სამეფოში გავისტუმრეთო.

კავადმა დიდად იგულისწყრომა ასეთი აგდებული პასუხის გამო. ეგრისის საკითხი ისევ იარაღს უნდა გადაეწყვიტა.

მხარეები ახალი ომისათვის შეუდგნენ სამზადისს.

სწორედ საომარი სამზადისის ჟამს 527 წელს, გარდაიცვალა 87 წლის კეისარი იუსტინე და ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ავიდა მისი დისწული იუსტინიანე (527—565 წწ.).

528 წელს ატყდა ომი ეგრისისათვის სპარსეთსა და ბიზანტიას შორის.

კავადმა დიდძალი მხედრობა შემოუსია ეგრისის მიწა-წყალს. წათემ შიკრიკები აფრინა კონსტანტინოპოლს. ახალმა კეისარმაც აღარ დააყოვნა და ლეგიონები გამოგზავნა სამი სარდლის — გილდერიხის, კერიკესა და ირინეოსის მეთაურობით.

ბრძოლა კარგა ხანს უშედეგოდ მიდიოდა. ორივე მხრიდან დიდი იყო მსხვერპლი. იუსტინიანემ შეიტყო, რომ მისი სარდლები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, ერთმანეთს მტრობდნენ და ძირს უთხრიდნენ.

მხოლოდ ლაზები იბრძოდნენ გულმხურვალებით და თავგანწირულებით სამშობლო ქვეყნის გადასარჩენად.

იუსტინიანემ ძველი სარდლები გადააყენა და მათ შესაცვლელად პეტრე სტრატეგოსი გამოგზავნა.

წათემ და პეტრემ მძლავრად შეუტიეს ერთიანი ძალით.

სპარსელები უკუიქცნენ.

კავადი ახალ საომარ სამზადისს შეუდგა.

მაგრამ იმასაც უსწრო სიკვდილმა (531 წ.).

სპარსეთის სამეფო ტახტზე ავიდა კავადის ძე ხოსრო I ანუშირვანი (531—579 წწ.).

„ჭრელი მეფენი“

„ჭრელი სანუთრო, ჭრელი საქმე, ჭრელი მეფენი“.

მ ე ქ ს ა ი რ ი.

ორი დიდი დამპყრობელი იწყებს ბრძოლას ქართული ქვეყნების დასაპყრობად:

იუსტინიანე და ხოსრო.

ორივემ დიდ ხანს იცოცხლა (ორივემ 83 წელი).

ორივემ დიდ ხანს იმეფა (იუსტინიანემ — 38 წელი, ხოსრომ — 48 წელი).

ფლავიუს პეტრე საბატიუს იუსტინიანე ტახტზე ასვლისას იყო 45 წლისა, ერთ დროს უბრალო მიწის მუშა და მეღორე-მწყემსი, საშუალო ტანის, საშუალოდ სქელი, ოდნავ პირმრგვალი, ოდნავ ცხვირგრძელი, ოდნავ ხუჭუჭა, გვარიანად ჭაღარა, გვარიანად მელოტი. ჭამდა გასაოცრად ცოტას, სანადიმო სუფრაზე ორიოდ ლუკმას გადაყლაპავდა და წამსვე ფეხზე წამოიჭრებოდა. ხორცი არ უყვარდა, უფრო მწვანილს ეტანებოდა. ხორცეულიდან მხოლოდ მოხარშული ღორის საშვილოსნოს ჭამდა, ძველ რომაელთა საყვარელ ულუფას. თავის დღეში წვეთი ღვინო არ დაულევია. უძილრად ყოფნა შეეძლო დღეღამსწორობით. იმიტომაც უწოდებდნენ „ბასილევს აკოიმეტოსს“ („მეფე დაუძინარი“).

შეცდომას არავის აპატიებდა, თან საკუთარ შეცდომას შეცდომად არ თვლიდა.

ყველაფერს თვითონ წყვეტდა და აკეთებდა. აკეთებდა, თუ აფუჭებდა, მაინც თვითონ აკეთებდა.

იყო ეჭვიანი, უმადური და შურიანი.

ვერ იტანდა ლამაზ ადამიანებს (მამაკაცებს).

უყვარდა მახინჯი თესლი ადამისა.

ცალი ყური მუდამ წაგრძელებული ჰქონდა, მოსასმენად დასმენისა და ცილისწამებისა.

უყვარდა სიახლენი ყოველნაირი, თუნდაც ყოვლად ბრიყვული და ბიჩვერული.

მისი სტიქია იყო სისხლი, მკვლელობა, მიტაცება სხვისი ქონების.

სიცილით იხრჩობოდა სხვისი წამების შემხედვარე.

უყვარდა ლიქნა და მაამებლობა.

იყო მორწმუნეც და ცრუმორწმუნეც.

წესად ჰქონდა, ყოველ დიდთა თუ მცირე საქმეთა ჟამს, გულამოხვინჩვით წამოეძახნა: „ესე საქმე ჩანდა ძნელი, გარნა აღვაპყარით რა ხელნი ჩვენნი ზეცისაკენ და მეოხად მოვუხმეთ მას, ღმერთს, მაცხოვარს და ჩვენც, მავედრებელთა მისთა, კვლავ მოვიხვეჭეთ მშვიდობა, რამეთუ მას, ღმერთს, თავისი ყოვლისშემძლეობით ძალუძს განასრულოს ყოველი უიმედო ღონისძიება“.

ანდა, ყოველი ბრძოლად გასვლის წინ ასე იტყოდა: „ამჯერადაც ჩვენ იმედი გვაქვს არა იარაღისა, არა ჯარისკაცთა, არა სტრატეგოსთა, არა ჩემი პირადი გენიისა, არამედ წმიდა სამებისა ერთარსებისა“.

ცოლად ჰყავდა თ ე ო დ ო რ ა, დაბადებით უკიდურესი ნაძირალა, ბავშვობიდანვე გარყვნილი, ცირკის ჯამბაზი, დაუოკებელი ანთრაკით შეპყრობილი, შუა ტანისა იყო, გველის ჭკუა ჰქონდა და ძლიერი თვალები, უტეხი, ცეცხლოვანი, ნებიანი და ვნებიანი, ცირკის არენაზე დედისშობილად გამოდიოდა და ტანის გონებამახვილური შხორკალით ჭკუიდან შლიდა გარყვნილებისა და ისტერიის მოყვარე კონსტანტინოპოლის პარაზიტებს. დათვლა არავის შეეძლო მისი მოტრფიალე სოდომიტებისა.

მთელი იმპერია, კონსტანტინოპოლიდან ეგვიპტემდე, ეგვიპტიდან სპარსეთამდე და სპარსეთიდან საქართველომდე, საროსკიპო კალმასობით შემოიარა თეოდორამ.

ბოლოს, ეს მსოფლიო მეძავი კონსტანტინოპოლში პირველად იხილა იუსტინიანემ, მაშინ გვარდიის უფროსმა და ბიძა-კეისრის თანამმართველმა. იხილა, იგემა, შეიშალა, არ დაიშალა და ცოლად შეირთო.

იმპერატორის ტახტზე ავიდა იუსტინიანე და თეოდორაც შეიქნა დედოფალი-ავგუსტა, უპირველესი მრჩეველი და მბრძანებელი ქმარსა და იმპერატორსა ზედა...

ხოლო, სპარსეთის ახალი მეფე, ხოსრო I, ავზნეობრივი სისხლის აღრევით ნაშობი იყო — ნაშობი დისა და ძმის შეუღლებისგან.

მლიქვნელთა და მაამებელთა ბრბო მას მეორე ალექსანდრეს უწოდებდა, ხოლო თვითონ თიკუნად დაირქვა „ანუშირვანი“ — „სამართლიანი“, და იყო ყოვლად უსამართლო, ბოროტი და კაცთმოძულე მანიაკი.

მან მიწაში ცოცხლად დამარხა სახელოვანი მაზდაკი და მისი მოწაფეები, ხოლო ასი ათასი მაზდაკისტი სახრჩობელებზე ჩამოჰკიდა.

ერთხელ მობედთა-მობედმა უთხრა, ამ წელს ტურები მომრავლდნენ და ქვეყნად უსამართლობა დაისადგურებსო. ამის გამგონე „სამართლიანმა მბრძანებელმა“ პროვინციებიდან 90 მმართველი დაიბარა და ყველა გაუსამართლებლად ჩამოახრჩო.

სიმდიდრისა და ძვირფასი ნივთის მოყვარე იყო. გამორჩევით უყვარდა ძღვენი. მრავლად ღებულობდა კიდეც აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, ჩინეთიდან ავაზის ქანდაკება მიიღო, ბაჯაღლო ოქროსი, მარგალიტებითა და სხვა მრავალი კეთილშობილი ქვებით შემკული. ჩინეთიდანვე ულამაზესმა ქალმა ოქროს დიდი ურნა მიართვა, რომელშიც იდო ლურჯი აბრეშუმის წამოსასხამი, ოქრომკედით ნაქარგი და მკერდზე თვითონ ხოსროს სურათით დამშვენებული. ინთოეთიდან მოართვეს ათასი გირვანქა ალოეს ხე (სურნელოვან სასანთლედ); უძვირფასესი წითელი ქვის ჭურჭელი, მარგალიტებით ავსებული; ხალიჩა გველის ტყავისა; ქილილა და დამანა; ჭადრაკი და შავი საღებავები ჭალარა თმების შესაღებავად. ტიბეტიდან ერთბაშად მიიღო ასი ოქროს სამკერდული და ათასი ქილა სურნელოვანი მუშკი.

ხოსრო ბრძენთა და სწავლულთა მფარველის როლს თამაშობდა. გარშემო დიდი კულტუროსნები შემოეკრიბა. მათ შორის უპირველესად ითვლებოდა აბუზურჯომირი, რომელიც მეფემ სიზმრის ახსნისთვის დააწინაურა.

ანუშირვანს ღვინის ტიკი ჰქონდა ერთი, ოთხში ამოღებული ადამიანის ტყავისაგან.

### გუბაზ მეორე, ძე წათე პირველისა

სწორედ ეს გუბაზ მეორე იყო მაშინ ეგრისის მეფე.

გონებით გონებიერი, სახედ სახიერი, ტანად ზრო-შვენიერი, ტემპერამენტით ნაღველფიცხელი.

გუბაზ მეფეს მშვიდობიანობა სწყუროდა. ქვეყნის შინაგან განმტკიცებასა და კულტურულ აღმშენებლობას მიელტვოდა. ფრთხილი დიპლომატიური წიაღსვლებით ცდილობდა ორივე დიდი მტაცებელი ერთმანეთისათვის შეერიგებინა და წინა აზიაში შექმნილი საერთო მშვიდობით ეგრისის სხეულზე ნაომარი ჭრილობები მოეშუშებინა.

მართლაც, 531 წლის ბოლოს სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. იუსტინიანეს ელჩები — ერმოგენე, რუფინე, ალექსანდრე და თომა ტიგროსის ნაპირზე შეხვდნენ შაჰინშაჰ ხოსროს. სპარსეთის მეფე თანახმა იყო ბიზანტიასთან „მარადიული ზავი“ დაედო, თუკი 110 კენდინარს მიიღებდა (ერთი კენდინარი ას ლიტრა ოქროს იწონიდა, ე. ი. ხოსრო 11.000 ლიტრა ოქროს ითხოვდა) და ლაზეთის ციხესიმაგრეებსაც — შორაპანსა და სკანდეს ერთჯერ და სამუდამოდ დაინარჩუნებდა.

შორაპან-სკანდეს შესახებ ჩვენ რწმუნებები არა გვაქვსო და კეისრის დაუკითხავად ვერაფერს გადავწყვეტთო, სთქვეს ბიზანტიელმა ელჩებმა და დრო ითხოვეს იუსტინიანესთან შესაკითხად. იუსტინიანეც ჯერ დათანხმდა შორაპან-სკანდეს დათმობას, მაგრამ მერე გადაიფიქრა და სასწრაფოდ ელჩებს მალემსრბოლნი გამოადევნა ბრძანებით: არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ ლაზიკის ციხესიმაგრეთა დათმობაზეო.

ხოსრო გაჯავრდა და საზავო მოლაპარაკება შეწყვიტა.

მაგრამ მომდევნო 532 წელს მოლაპარაკება ისევ განახლდა და კიდევაც დაიდო „მარადიული ზავი“: სასაზღვრო ქალაქი დარა, რომელიც ადრე ფარსმან კოლხმა გამოიხსნა სპარსელთაგან, ორივე ქვეყნის ციხიონთაგან გათავისუფლდა; შორაპანი და სკანდე ბიზანტიელებს ერგოთ: სპარსელთაგან დევნილ იბერიელებს ნება დაერთო, ვისაც სურდა, სამშობლო იბერიაში დაბრუნებულიყო; ბიზანტიის სასახლის კარი ხოსროს უთმობდა ოქროთი მდიდარი „პერანგის მთებს“ და ბოლონის ციხეს (ძველი სპერის მიდამოებში) და მასვე უხდიდა 110 კენდინარ ოქროს.

„მარადიული ზავი“, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა მარადიული ყოფილიყო, ხოსრომ კიდევაც უთხრა გესლიანად ბიზანტიელ ელჩებს, როცა მათგან 11.000 ლიტრა ოქრო მიითვალა:

„ზავის სიმტკიცეზე მაინცადამაინც დიდ იმედებს ნუ დაიჭერთ, რადგან ფულზე ნაყიდი მეგობრობა მანამ გრძელდება, სანამ ფული დაიხარჯება“.

ჯერჯერობით, ქართველთათვის სასარგებლო მაინც ის იყო, რომ სპარსელებმა ლაზეთიდან ფეხი ამოიკვეთეს, ხოლო გადახვეწილ იბერიელთაგან ბევრი მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

ბიზანტიაში ლტოლვილი ზოგიერთი ქართველი ბიზანტიის კეისრის სამსახურში დარჩა. მათ შორის, გურგენ მეფის უფროსი ვაჟი ფ ი რ ა-

ნი სულ მალე დაწინაურდა ჯარისკაცური შემმართებლობით და სარდლური გამჭრიახობით, მალე ჯარის მეთაურიც შეიქნა და დიდი ბიზანტიელი მხედართმთავრის — ველისარის ბანაკში პირველ სარდლადაც ითვლებოდა.

თვითონ გუბაზ მეფე „მარადიული ზავის“ პირობებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ, რაც მანამდე ეგრის-ლაზეთის ისტორიაში არ მომხდარა: ბიზანტიის კეისარმა ლაზეთში ჯარები გამოგზავნა და აქაურ ციხე-ქალაქებში ციხიონებად ჩააყენა.

გუბაზ მეფე მიხვდა, რომ მისი ქვეყანა ერთი ბოროტებიდან (სპარსელები) მეორე ბოროტებას (ბიზანტიელები) გადაეყარა. აქამდე კი გულწრფელად ეგონა, ბიზანტიელები „ერთმორწმუნებრივი ქრისტესმიერი ძმობით“ ეხმარებოდნენ ქართველებს. მწარე სინამდვილე კი ის ყოფილა, რომ ამ ქვეყანაზე თურმე უანგაროდ ხელს არავინაც არ გამოგიწვდის, ანდა რა უანგარობაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, როცა ლაზ-ეგრისელნი, ისე ვითარცა აღმოსავლელ-ქართველნი, კავკასიონის კარიბჭეებს ებგურად უდგნენ და იქედან არ უშვებდნენ ჩრდილოელ ტომთა უთვალავ მხედრობას სამხრეთისაკენ, წინა აზიის, ან ბიზანტიის სამანთა წასალეკად.

აშკარად ჩანდა, ლაზური მახვილი ვერც ბიზანტიური „მეგობრობით“ ეღირსებოდა ქარქაშში ჩაგებას.

ბიზანტიური ხარბი დამპყრობლური ბუნება კარგად ჩანდა ეგრისში გამოგზავნილ ბიზანტიელ მმართველთა აღვირახსნილ მოქმედებაში.

ჯერ პეტრე სტრატეგოსი შემოუძღვა კეისრის ჯარებს ეგრისში, პეტრე ანგარებისმოყვარე კაცი იყო და უსირცხვილოდ მიჰყო ხელი ეგრისელთა ყვლეფას და ძარცვას.

მერე იუსტინიანემ პეტრე უკან გაიწვია და მის ნაცვლად ეგრისის საქმეთა გამგებლად გამოგზავნა იოანე ციბე.

ეს კიდევ დამწუხარზე მდუღარის დასხმას ნიშნავდა: საზღვარი არ ჰქონდა იოანე ციბეს ანგარებას, სიხარბეს, ვერაგობას, თავხედობასა და კაცთმოძულეობას.

იოანემ იუსტინიანე დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ეგრისში ზღვის ერთი სანაპირო, სახმელეთო-საზღვაო გზაკვანძთა ყველაზე ხერხიანი ადგილი, დიდ სავაჭრო და სამხედრო ციხე-ქალაქად გადაექციათ. ასეც მოხდა: ციხისძირში, შემდგომდროინდელი ბათუმის მახლობლად,

ზღვაზე წამოზიდულ კლდოვან მაღლობზე, ბიზანტიელებმა ააშენეს შესანიშნავი ციხე-ქალაქი, სახელად პ ე ტ რ ა.

პეტრა შეიქნა მთავარი ჩამკეტი ციხე-ქალაქი სავაჭრო-საქარავნო და სამხედრო გზებისა, რომლებიც შორეულ ჩინეთ-ინდოეთიდან, ერანისა და სომხეთის გავლით, შავი ზღვისაკენ მოეშურებოდნენ.

და აი, იოანე ციბემ ხელში ჩაიგდო მაშინდელი „მსოფლიო ვაჭრობის მონოპოლია". იგი პეტრაში იჯდა, „ვითარცა აკროპოლისში და სძარცვავდა ლაზთა ქონებას". ამიერიდან ლაზეთში იკრძალებოდა თავისუფალი ვაჭრობა. იოანემ შემოიღო ეგრეთწოდებული „მონოპოლი". ლაზეთში შემომავალ ან გამავალ საქონელს ჯერ თვითონ ყიდულობდა იაფ ფასებში და შემდგომ თვითონ ჰყიდდა სისხლის ფასად. მოსახლეობა განსაკუთრებით შეაწუხა მარილის სიძვირემ.

ეგრისში ცხოვრება გაძვირდა და დამძიმდა.

თავგასულმა ბიზანტიელმა უმაღლესი სახელმწიფოებრივი უფლებების წართმევაც დაუპირა ლაზთა ხელმწიფეს.

ხსნა არსაიდან ჩანდა. იუსტინიანემ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ყურს ისქელებდა.

მოთმინების ფიალა კი აივსო.

გუბაზ მეფე იძულებული გახდა მაღალი სულის თავმოყვარეობა თვითონვე დაეთრგუნა და დახმარების სათხოვრად ისევ გუშინდელ მოსისხლე მტრისკენ გაეწვდინა ხელი.

დესპანები აფრინა სპარსეთს.

ხოსროს შეუთვალა, მოდი ჯარით, შეგეივრდომე და გადაგვარჩინე ბიზანტიელთა ძალადობისგანო.

ხოსრო ცას ეწია სიხარულისგან. ახლა მას ყველაზე დიდი შესაძლებლობა ეძლეოდა ეგრისიც მისი გამხდარიყო, ზღვაზე გაესულიყო და მარადიულ მეტოქე ბიზანტიას უშუალოდ ყელში წვდომოდა. თან ეგრისის დაპყრობით თავშესაფარს დაუხშობდა მუდამ აჯანყებისათვის შემართულ იბერიელებს.

სასწრაფოდ სალაშქრო წვევა გრძანა.

იდუმალ, მოულოდნელად უნდა შეჭრილიყო ეგრისში. ამიტომ ბიზანტიელებს რომ მისი განზრახვა არ შეეტყოთ, ხმა გაავრცელა, ჰუნებთან საომრად მივდივარ ქართლის გავლითო.

542 წელს ხოსრომ ჯარები შეიყვანა ეგრისში.

გუბაზ მეფეც შეხვდა და შეუერთდა.

საომარი გეგმაც ერთად დაამუშავეს ქართველმა და სპარსელმა. ისევ დაიწყო სისხლის წვიმები ქართულ მიწაზე.

წვიმდა... ოცი წელი...

ხოსრომ და გუბაზმა ორი მიმართულებით დასძრეს ჯარები: სამხრეთ-დასავლეთით პეტრასაკენ და ჩრდილო-დასავლეთით სებასტოპოლის-პიტიუნტისკენ (სოხუმ-ბიჭვინთისკენ).

თვითონ ხოსრო, გუბაზთან ერთად, პეტრასკენ დაიძრა, ქალაქს მიუახლოვდა და მის მახლობელ მაღლობზე კარავი დასცა. აქვე მან ერთ თავის სარდალს, ანიაბედს ლაშქარი ჩააბარა და საიერიშოდ გაგზავნა.

პეტრაში მყოფმა იოანე ციბემ მტრის მოახლოების შეცნობისთანავე ჯარი ქალაქის კარიბჭესთან უხმაუროდ მიიყვანა და უბრძანა თავი ისე დაეჭირათ, თითქოს ციხესიმაგრეში კაცის ჭაჭანებაც არ იყო.

ხოსრო მაღლობიდან ხედავდა, როგორ მიუახლოვდა და გარს შემოადგა მისი ჯარი პეტრას. გაუკვირდა, იერიში რომ არ იწყებოდა. მალე მალემსრბოლი მოიჭრა. ანიაბედი იტყობინებოდა, ციხის შიგნიდან ჩამიჩუმიც არ ისმისო. შაჰმა იფიქრა, აქ რაღაც ხრიკი უნდა იყოსო, ანიაბედს დამატებითი ლაშქარი გაუგზავნა და ქალაქის ყოველმხრივი იერიში უბრძანა.

ანიაბედი საიერიშოდ ემზადებოდა. კიბეებსა და საძგერალ „ვერძებს“ აწყობდა.

უეცრად მდუმარე ქალაქის კარი გაიღო. ბიზანტიელები იარაღგამართულნი გამოიჭრნენ და ახლომდგარ ერანელებს დაერივნენ. მოულოდნელობით დაბნეულმა სამხრეთელებმა ხელი ვერ გამოიღეს და მტრის იარაღს უსაზმნოდ შეაწყდნენ. დანარჩენებმა, მათ შორის ანიაბედმა, თავს გაქცევით უშველეს.

ხოსრო რისხვამ აიტანა: როგორ თუ ჩემი სარდალი ვიღაც მეწვრილმანე ჩარჩვა დაამარცხაო და ანიაბედი იქვე, ჯარის თვალის წინ, სარზე ჩამოაცვა.

მერე თვითონ გაუძღვნენ ლაშქარს ხოსრო და გუბაზი.

სპარსელები და ლაზები გარს შემოერტყნენ და ისარი დაუშინეს ქალაქის ქონგურებსა და ნიკბებს, საიდანაც უკვე ისროდნენ ზუსტი სროლით ბიზანტიელები.

რამდენიმე დღე გაგრძელდა ისრის სროლა. ჯერჯერობით ჩასაფრებულნი უფრო შედეგიანნი ჩანდნენ.

ამაოდ სცემდნენ ერანელი მოალყენი ტარანებსა და „ვერძებს“ პეტრას კედლებს, რომლებიც ფუძიდან წვერომდე ასიმეტრიულად ჩატიხრულ-ჩასადაგებული ქვებით იყო ნაშენი.

ხოსრო ნერვიულობდა.

მოიერიშეთაგან კოლხები ისროდნენ საზრიანად, გულდინჯად, შედეგიანად.

საღამო ხანი იყო.

მოიერიშენი ბანაკისკენ აპირებდნენ მობრუნებას ღამის სათევად.

უცებ გუბაზმა პეტრას უმაღლესი ქონგურის მიღმა წამიერად იოანე ციბეს სქელ კისერს მოჰკრა თვალი.

წამიერადვე გაისროლა.

იოანე ციბე გაქრა თვალსაწიერიდან. გუბაზს კრინტიც არ დასცდენია, რადგან არ იცოდა, მოარტყა თუ არა საძულველი კაცის ქონიან კისერს.

თურმე მოარტყა.

იოანე ციბე, ლაზთა სისხლის წურბელა, მკვდარი დაცემულა.

ეს მოიერიშეებმა არ იცოდნენ და მეორე დღისთვის მორიგ იერიშს ამზადებდნენ.

დილით ახალი შეტევები დაიწყეს მოალყეებმა.

თან საიდუმლო გვირაბი გაჰყავდათ სიმაგრის ფუძის მიმართულებით ერანელებს.

უმეთაუროდ დარჩენილი ხანტიელები გრძნობდნენ, რაღაც ახალი ხიფათი მზადდებოდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ საპასუხოდ ხელის გამოღება არ შეეძლოთ და უმწეოდ ელოდნენ აღსასრულს.

მართლაც, ერანელებმა გვირაბი პეტრას ერთ-ერთ კედლამდე გათხარეს, კედელს ფუძის ქვები გამოუნგრიეს, მათ ნაცვლად შეშა შეუწყვეს და ცეცხლი შეუგზნეს. ცეცხლმა შეარყია კედლის სიმტკიცე. შეარყია და მალე მთელი კედელიც ჩამოიქცა და ჩამოშვავდა.

აკროპოლისში შეხიზნულმა ბიზანტიელებმა ხოსროს სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნება სთხოვეს. შაჰმაც აღუთქვათ. ბიზანტიელები ერანელებს ჩაბარდნენ, ხოსრომ იოანე ციბეს ქონებაც ჩაიბარა და პეტრაში სპარსთა ციხიონი ჩააყენა.

პეტრას დაცემამდე ერანელთა მეორე ლაშქარმა უომრად აიღო სებასტოპოლისი (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა). აქ მდგარმა ბიზანტიელებმა მტრის მოახლოებისთანავე ორივე ქალაქი ცეცხლს მისცეს, ხომალდებში ჩასხდნენ და თავს უშველეს.

პეტრას აღებისთანავე მალემსრბოლებმა ხოსროს ავი ამბები მოუტანეს სამხრეთიდან: ბიზანტიის დიდი სარდალი ველისარი შუამდინარეთში შეჭრილიყო, იქაური ციხე-ქალაქები აეღო და ქტესიფონისკენ გზა აეღო.

ხოსრომ პეტრაში ციხიონი დატოვა და მთავარი ძალებით სასწრაფოდ სამხრეთისკენ გაქუსლა.

სპარსელები ბიზანტიელებს მედგრად გადაუდგნენ წინ.

თან იმ დროს ველისარის წინააღმდეგ კონსტანტინოპოლში ინტრიგები ატყდა და მალე კიდევაც ბრძოლის ველიდან გაიწვიეს იგი.

იმავე ხანებში, 545 წელს, ხუთწლიანი ზავი დაიდო სპარსეთსა და ბიზანტიას შორის.

ხოსროს ისევ შეეძლო მთავარი ყურადღება საქართველოზე გადმოეტანა.

თვითონ ლაზებმა ბიზანტიელებზე გამარჯვება რაღაცნაირი უგემური შეგრძნებით შეიგრძნეს.

გუბაზ მეფემ მალე იგრძნო, რომ სპარსული ბოროტება ბიზანტიურთან შედარებით მაინც „უარესი ბოროტება“ იყო. სპარსელებს საქართველოში თავი ისე ეჭირათ, როგორც აპურამაზდასგან (სპარსთა უმაღლესი ღვთაება) ბოძებულ სამოთხეში. ქართველ ქრისტიანებს რას დაინდობდა ხოსრო ანუშირვანი, როცა მან თავისი სამხრეთული სამფლობელოებიდან ებრაელებს 80.000 ქრისტიანი მიჰყიდა ყელების დასაჭრევინებლად! გუბაზი დარწმუნდა, ასეთი ძაღლთაპირი მის მოკავშირედ და მეგობრად არ გამოდგებოდა.

მაგრამ სანამ გუბაზი ფიქრობდა, მანამ ხოსროს უკვე მოფიქრებული ჰქონდა: ეგრისის ქრისტიანული მოსახლეობის აყრა, ერანის სხვადასხვა კუთხეში გაფანტვა და მათ ნაცვლად ეგრისში სპარსელთა და სხვა არაქართველ ტომთა დასახლება.

ხოლო უპირველეს ამოცანად: გუბაზ მეფის მოკვლა.

მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებს სპარსელი მბრძანებელი ეგრისის სამუდამო დაპყრობას, ზღვაზე გასელას, ბიზანტიის მუდმივ შევიწროებას, დასავლეთ კავკასიონის გადმოსასვლელთა ხელში ჩაგდებას და აჯანყებულ იბერიელთათვის ეგრისისკენ (ვითარცა მარადიული თავშესაფრისკენ) გზის გადაჭრას...

ხოსრო ანუშირვანს სასახლის კარზე ჰყავდა ორი უახლოესი კაცი — ფაბრიზი და ისდიგუსნა, ორივე ძაღლივით ერთგული, უაღრესად ვერაგი და კაცთმოძულე.

მეფემ ფაბრიზი აარჩია, სამასი უმამაცესი მეომარი ჩააბარა და ეგრისში გუბაზ მეფის მოსაკლავად გაგზავნა.

მიდიოდნენ მკვლელობის დავალებით ეგრისისაკენ.

წინ საზიდარებზე დახერგილი ხე-ტყე მიუძღოდათ: შავი ზღვის პირზე უნდა გაეტანათ და გემების მშენებლობა დაეწყოთ.

არავინ იცოდა, ვის წინააღმდეგ ამზადებდა ხოსრო საზღვაო ფლოტს.

გაიარეს სომხეთი, ქართლი და ლიხის მთას რომ გადაადგნენ, კოკისპირული წვიმა და ელვა-მეხის ნთხევა დაუხვდათ.

გადასაწვიმრად ულრან მაღნარს შეეფარნენ.

ბეწვზე გადარჩნენ: ცადატყორცნილ ხეს ციდან მეხი ჩამოეგზნო.

გემთსაშენი ხე-ტყე სრულიად დაიწვა.

ფაბრიზი თავისი რაზმით გადარჩა.

მკვლელებმა გზა განაგრძეს ეგრისის სატახტოსაკენ.

ფაბრიზი მკვლელობის ხლართზე ფიქრობდა გზაში.

ღამით მივიდა ციხე-გოჯში.

ერთი მდიდრული სახლის კარზე დააკაკუნა.

აქ ცხოვრობდა მდიდარი და წარჩინებული ლაზი, სახელად ფ ა რ ს ა ნ ს ი.

ფარსანსი შერისხული ჰყოლია გუბაზ მეფეს. რაღაცაზე შეკამათებულან და ზვიად არისტოკრატს უკადრი სიტყვა უკადრებია ხელმწიფისათვის. ნაღველფიცხელ მეფესაც აღარ უპატიებია და გაურჩებული ქვეშევრდომი სამუდამოდ გაუძევებია სასახლიდან.

შერისხული კაცი შურისმგებლად ადვილად იქცევა ხოლმე.

მთელი ღამე ჩურჩულებდნენ ფაბრიზი და ფარსანსი გუბაზ მეფის მკვლელობის გეგმებზე.

ბოლოს მიღებული იქნა ფარსანსის განაზრახი:

ფაბრიზი პეტრას უნდა წასულიყო და იქ მიეწვია მეფე გუბაზი, ვითომდა ხოსროსაგან დანაბარებ კეთილგანზრახულობათა გადასაცემად. გუბაზი მივიდოდა და დანარჩენს იქ ჩასაფრებული სამასი რჩეული მკვლელი დააბოლოებდა.

მკვლელები პეტრასაკენ მიაქროლებდნენ ცხენებს.

მაგრამ გუბაზ მეფის სასახლისკენაც მიჰქროდა ერთგული მალემსრბოლი ფარსანსისა.

სასახლიდან განპატიჟებული კაცი მეფის და ქვეყნის მოღალატე არ აღმოჩნდა.

დილით გუბაზმა ყველაფერი იცოდა ფარსანსის დანაბარები.

რისხვითა და ბოღმით აღვსილი იჯდა მეფე გუბაზი.

ცოფისაგან სახე დაემეწყრა შაჰინშაჰ ხოსროს, როცა ფაბრიზი პირშიჩალაგამოვლებული დაბრუნდა უკან...

ისევ დასცინა ულმობელმა ბედისწერამ უკეთილშობილეს ლაზ ხელმწიფეს: ახლა ისევ დასავლეთისკენ უნდა ექცია პირი და სპარსელთა წინააღმდეგ დახმარება პატიებასთან ერთად ეთხოვა კეისრისათვის.

**ომები... ისევ ომები...**

იუსტინიანე დიდი სიხარულით შეხვდა გუბაზ მეფის „ბიზანტიურ შემობრუნებას“ და მაშინვე ჯარი აფრინა ეგრისელთა მისაშველებლად. ჯარი 7.000 ბიზანტიელისა და 1.000 ჰან-ქართველისაგან შედგებოდა. სათავეში დაგისთე ედგა, ახალგაზრდა სარდალი.

გუბაზმა დაგისთე შეიერთა და პეტრას ალყა შემოარტყა (549 წ.). სპარსელთა გარნიზონიც მედგრად დაუხვდა, მედგარ სიმაგრეში ჩასაფრებული.

ხოსრო შაჰმა პეტრაში ჩაკეტილთა საშველად დიდძალი მხედრობა გამოგზავნა გამოცდილი სარდლის, მერმეროეს მეთაურობით.

გუბაზმა მდგომარეობა სასწრაფოდ აწონ-დაწონა. მან მთავარ საქმედ ერანიდან მომავალ დიდ ლაშქართა შეკავება მიიჩნია. ამიტომ თავისი ლაზური ჯარებით ქართლიდან ეგრისში შემავალ გზათა და ხევხუვთა ჩაკეტვა გადაწყვიტა. გამგზავრების წინ დაგისთეს დაუბარა, შენი ჯარის ერთი ნაწილით პეტრას ალყა განაგრძეო, ხოლო მეორე ნაწილით ციხე-სიმაგრისკენ მომავალი გზები ჩაჰკეტეო.

ახალგაზრდა დაგისთე დაუკვირვებელი სარდალი აღმოჩნდა. მან მაინცადამაინც არაფრად ჩააგდო გუბაზ მეფის ფრთხილი რჩევა და გზების შესაკრავად მხოლოდ ასი მეომარი გაგზავნა. დანარჩენებით მას უსაზმნო იერიშები მიჰქონდა პეტრას კედლებზე. ბავშვივით ცხუკავდა დაგისთე. გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა და იუსტინიანეს ატყობინებდა, სულ მალე პეტრას ავიღებ და საჩუქრები მზად გქონდესო.

პეტრაში ჩაკეტილი სპარსელები უმწიფარ მოწინააღმდეგეს ადვილად ატყუებდნენ. ვითომ საზავო მოლაპარაკებას სთავაზობდნენ და უსაზმნო ლაყბობაში დრო მოხერხებულად გაჰყავდათ მაშველ ძალთა გამოჩენამდე.

მართლაც გამოჩნდა მერმეროე თავისი მხედრობით. მან ცხრა დღე-

ში გაიარა ყვირილასა და რიონის მარცხენა სანაპიროები, გზად დაგისთესგან ჩასაფრებული ასი მეომარი გაფანტა და პეტრას მიადგა.

ბიზანტიელი სარდალი დაფრთხა და ისე გაიქცა, თავისიანებისთვის ბრძანებითაც არაფერი უბრძანებია. მისიანებიც მიჰყვნენ უკანმოუხედავად. ჩრდილოეთისკენ, რიონის მიმართულებით გარბოდა დაგისთეს ლეგიონერებით.

მხოლოდ ჭანების ათასეული არ გაჰყოლია გაქცეულ ბიზანტიელს. სპარსელები პეტრადან გამოიჭრნენ და ბიზანტიელთაგან დაყრილ ბანაკებსა და ქონებას მიესივნენ.

მაგრამ ჭანები მაშინვე იარაღგამართულნი ეკვეთნენ მათ. ერთი მუჭა ჯარის თავზეხელაღებულმა თავდასხმამ დააბნია სპარსელები. ბევრი მათგანი დაიხოცა. დანარჩენებმა ისევ ციხის კედლებში შეასწრეს და ჩაიკეტნენ. ჭანებმა რომაელთა ბანაკი სავსებით აიკლეს და ნადავლით დატვირთულნი ზღვის გასწვრივ, რიზეს, ათინასა და ტრაპეზუნტის გავლით, მშობლიურ ჭანეთს მიაღწიეს.

ამასობაში მერმეროემაც მოატანა თავის მხედრობით. მან დაათვალიერა პეტრა და ნახა, რომ სპარსელთა გარნიზონიდან 350 კაცი დაღუპულიყო, ხოლო 150 ცოცხალი დარჩენილიყო. თურმე ცოცხლები მკვდრებს კედლებს გადმოღმა კი არ ყრიდნენ, არამედ ციხის შიგნით ინახავდნენ და გახრწნილ გვამთაგან სულშეხუთვას არჩევდნენ, ღონდ კი მოალყე ბიზანტიელებს სპარსელთა ესოდენი გაჩანაგება არ შეეტყოთ.

ბევრი იცინა სპარსელმა მთავარსარდალმა: ბიზანტიას სატირლად წასვლია საქმე, როცა მას ასორმოცდაათი სპარსელის დამარცხებაც ვერ მოუხერხებიაო.

მერე პეტრას გამაგრებას შეუდგა მერმეროე: მორღვეულ კედლებზე სახელდახელოდ ქვიშით სავსე ტომრები დაალაგა, 3.000 მეომარი ციხიონად ჩააყენა და ქალაქის შემდგომი გამაგრება და დაცვა უბრძანა.

თვითონ მერმეროე მთავარი ძალებით პეტრადან გამობრუნდა, მაგრამ ჯერ კარგად არცკი იცოდა საით უნდა აეღო გეზი. ეგრისის სასიცოცხლო დასახლებანი, მთლიანად ძირულის, ყვირილასა და რიონ-ფასისის აუზი, გუბაზ მეფის ხელს მტკიცედ ეკავა. პეტრადან ბიზანტიელთა სამარცხვინო გაქცევითა და მარცხით აღშფოთებული ლაზი ხელმწიფე ალბათ გადამწყვეტ შეტევასაც ამზადებდა. ისეც ჩანდა, თითქოს ლაზები თარეშული ხასიათის ომსაც ამზადებდნენ: ერთ ხეობაში შიმავალ სპარსელებს თავს დაესხა რომელიღაც წარჩინებული ლაზი,

სახელად ფუბელი. ასეთი და უარესი თავდასხმები მრავლად იყო ჰოსალოდნელი. ამას გარდა, ამოდენა სპარსული ჯარის (30.000 მეომარი) გამოკვებაც თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

ამიტომ მერმეროემ ეგრისში დატოვა მხოლოდ 5.000 მეომარი, ფაბრიზის სარდლობით. დანარჩენი ჯარები ეგრისიდან სომხეთში გადაიყვანა და დვინის მახლობლად დაიბანაკა.

მომდევნო 550 წლის გაზაფხულზე გუბაზ მეფე დაეშვა რიონის ქვემო წელისაკენ, სადაც, მდინარის სამხრეთით, ეგულებოდა ფაბრიზის ხუთი ათასიანი არმია. მას სურდა სასწრაფოდ მოესპო მტრის ეს ბოროტი ნარჩენები, რომლებიც ადგილობრივ ახლომახლო მოსახლეობას ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ.

დაგისთეს ლაშქარიც შეუერთდა ლაზთა ჯარს. პეტრასთან შერცხვენილ გამოქცეულ ბიზანტიელს ახალ ბრძოლაში სურდა შელახული სახელის შელამაზება.

ღამით სპარსელთა სარდალმა ფაბრიზმა ათასი მეომარი გაგზავნა მტრის დასაზვერავად. ორი წინმომავალი სპარსი ლაზმა მზვერავებმა იგდეს ხელთ და გუბაზს მიჰგვარეს. მათი მეშვეობით მეფე მტრის მზვერავთა ათასეულს მიადგა. მიადგა და ისე გაჟლიტა, ერთი მოამბეც არ გაუშვია. აქვე დატყვევებულმა სპარსელებმა ფაბრიზის მთავარი ბანაკის ადგილიც გასცეს.

რიჟრაჟი კარგად არ ჩამომდგარიყო, როცა ლაზთა და ბიზანტიელთა ლაშქარი თავს დაეცა სპარსელთა ბანაკს. უმრავლესობა ამოჟლიტეს, ბევრი დაატყვევეს, მათ შორის ფაბრიზი, რომელიც ადრე გუბაზის მოსაკლავად იყო გამოგზავნილი. სიკვდილისგან და ტყვეობისგან თავდახსნილებს ლაზებმა იბერიამდე სდიეს. სპარსული ბანაკი, საომარი დროშები, იარაღი, ფული და საფურაჟე საქონელი გამარჯვებულება დარჩათ.

ეგრისი სპარსელთაგან თავისუფალი იყო.

მხოლოდ ჯერ კიდევ პეტრაში იდგა 3.000 სპარსელი.

550 წლის ზაფხულში ხოსრომ ეგრისს ახალი უზარმაზარი ჯარები შემოუსია. ამჯერად ერანელებს სათავეში ედგა განთქმული სარდალი ხორიანე.

ალანთა მოკავშირე ჯარებიც შეერთებოდნენ სპარსელებს.

მტრის ურდოებით გაივსო „მოხირისის ქვეყანა“ (ქვეყანა რიონსა და ცხენისწყალს შორის). მერე ცხენისწყალზე გადავიდნენ და მის მარჯვნივ ძლიერი ბანაკი დასცეს.

გუბაზ მეფე ეგრისელ და ბიზანტიელ სარდლებთან თათბირობდა. ზოგი ამბობდა, ჩვენს თავდაცვით ბანაკებში ჩავიკეტოთ და მტერს აქ დავუხვდეთო. თვითონ მეფე შეტევის მომხრე იყო. იქვე, მისსავე ბანაკში შევუხტეთ მტერსო, — ამბობდა გუბაზი — იქვე ვაჩვენოთ ჩვენი ვაჟკაცობა და ჩვენი სიძულვილი თავგასულ მტრისადმიო. ბოლოს დანარჩენი სარდლებიც დათანხმდნენ.

მერე, საბრძოლო წყობაზე დაიწყეს მსჯელობა. ეგრისელი სარდლები მოითხოვდნენ თვითონ პირველნი წასულიყვნენ შეტევაზე ქართული ჯარით. ისინი მოურიდებლად ეუბნებოდნენ ბიზანტიელებს: თქვენ ჩვენთვის მაინცადამაინც არ შეგტკივათ გული, მიტომაც გულმოდგინედ არ ებრძვით მტერსო. ხოლო ჩვენ, ლაზები, ჩვენი მიწა-წყლისათვის და ჩვენი ოჯახებისათვის ვიბრძვით და სიცოცხლესაც არ დავზოგავთ მათი დახსნისთვისო. ამასწინდელი მაგალითის გახსენებაც შეეძლოთ ქართველებს: როგორ გამოიქცნენ ბიზანტიელები პეტრას კედლებიდან.

ბიზანტიელებს არაფერი ეთქმოდათ და დათანხმდნენ, პირველი შეტევა ეგრისელებს წამოეწყოთ.

ბრძოლად გასვლის წინ გუბაზმა ლაზთა ლაშქარი ცალკე გაიყვანა და სიტყვით მიმართა:

„მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რაიმე გითხრათ აღსაფრთოვანებლად. მგონი, არავითარი მოწოდება აღარ სჭირდება იმას, ვინც ასეთი მძიმე მდგომარეობით შეშფოთებული ისედაც საომრად აგზნებულა. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ საფრთხე ემუქრება ჩვენს ცოლ-შვილს, ჩვენს სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები ჩვენს წინააღმდეგ აღძრულან. ისედაც ბუნება უკარნახებს ყველას, არავის მტერთაგანს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი. თქვენ კარგად იცით სპარსელთა სიხარბე და გაუმაძღრობა. ისიც გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა მარტო ხარკს დაგვადებენ, არამედ, როგორც ამასწინადაც ბრძანა ხოსრომ, ჩვენი მშობელი ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვყრიან და ერანში, გადაგვასახლებენ და გაგვფანტავენ. დაე, მარტო სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გმირობა. დაე, ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ჩვენ არასოდეს გაგვჭირვებია სპარსელებთან ბრძოლა; ბევრჯერაც დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებაში. ჩვენ მივეჩვიეთ მათზე გამარჯვებას, ხოლო მიჩვეულისთვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიძნელე წინდაწინ-

ვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. დაე, გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგან დამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გახსოვდეთ, ერთხელ დაცემული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარასოდეს აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ყოველივე ეს მხედველობაში და კეთილი იმედებით აღსავსენი მხნედ გაემართეთ მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!“

„ნუ აღიგვება სახელი ლაზთა!“

და საომრად განალაგა ლაზთა მეფემ ლაშქარი.

წინ ქართველი ცხენოსნები გაუშვა; მათ შემდგომ მოშორებით ბიზანტიელი ცხენოსნები მიდიოდნენ ფილეგაგესა და სომეხი იოანე გუზის სარდლობით. ბოლოს ქვეითი ჯარი მიჰყვებოდა თვითონ გუბაზისა და დაგისთეს მეთაურობით.

ხორიანემ ათასი რჩეული მეომარი მტრის დასაზვერავად გაგზავნა. თვითონ მთავარი ჯარებით ბანაკიდან გამოვიდა და მოშორებით უკან მიჰყვა.

ლაზთა მეწინავე მხედრობა სპარსელთა ათასეულს შეეტაკა და უცებ უკუიქცა. ერანელებს ეგონათ, მოწინააღმდეგე დავამარცხეთო და გულდანდობილად გამოეწონენ. ლაზები ბიზანტიელთა რიგს მიუახლოვდნენ თუ არა, ერთბაშად შებრუნდნენ და უკვე აშლილ სპარსელთა რიგებში შეიჭრნენ. ბიზანტიელებიც ჩაებნენ ბრძოლაში.

ხორიანემაც მოუსწრო ბრძოლას მთავარი ჯარებით.

გუბაზ მეფემაც გაიყვანა ქვეითი ჯარი ბრძოლად.

მისი ბრძანებით მხედრობაც დაქვეითდა და მთლიანად, ლაშქრის ყველა ნაწილი, ერთიან მიჯრილ ფალანგად შეიკრა.

ერანელთა მხედრობა იერიშით ეძგერა ქართველთა და ბიზანტიელთა წინ გამოწვართულ შუბების „ჯაგარს“. უსაზმნოდ შეაწყდნენ სპარსელთა მეწინავენი ქართველ „ფალანგისტებს“.

კიდევ ცადეს იერიში სპარსელებმა. ისევ დაეცნენ ცხენკაციანად შუბებისაგან განგმირულნი.

მაშინ ხორიანემ ისრის სეტყვა დაუშინა მოპირდაპირის მჭიდრო წყობას. არც ამან გაჭრა. ფარებით ისხლეტდნენ გუბაზ მეფის მეომრები ისარს.

მერე თვითონაც დაუშინეს ისარი ლაზებმა.

რომელიღაც ქართული მშვილდიდან ნატყორცნი ისარი ყელში მოხვდა სპარსელთა სარდალს. ხორიანე ცხენიდან გადმოვარდა და პირქვე დაეცა მკვდარი.

გუბაზ მეფემ იერიში ბრძანა.

ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა სპარსელთა განადგურებით დამთავრდა.

ქართველებთან ერთად ორმა სომეხმა ისახელა თავი ამ ბრძოლაში: ა რ ტ ა ბ ა ნ მ ა და ი ო ა ნ ე გ უ ზ მ ა.

როგორც ეტყობა, ბიზანტიელთა სარდალმა დაგისთემ ვერც ამ ბრძოლაში გამოიჩინა დიდი სიმამაცე და დაკვირვებულობა. გუბაზ მეფეს აღარ შეეძლო ასეთი „მოკავშირის" მოთმენა. ამიტომ მან კეისარ იუსტინიანეს დაგისთეს გადაყენება და დასჯა მოსთხოვა. იუსტინიანეც იძულებული გახდა ქართველი მეფისათვის ანგარიში გაეწია, — დაგისთე კონსტანტინოპოლში გაიწვია და სატუსაღოში ჩააგდო, ხოლო მის ნაცვლად ბიზანტიელთა მთავარსარდლად ეგრისში გამოგზავნა ბ ე ს ს ა, 70 წლის თრაკიელი გერმანელი, გამოცდილი და მამაცი, ფარსმან კოლხის თანამებრძოლი სარდალი. თანაშემწე სარდლებად ბესსას ჩამოჰყვნენ: ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე ერული.

ბიზანტიელ სარდალთა ჩამოსვლას აბაზგების აჯანყება დაემთხვა. ამ დროს აფხაზეთში ისევ ბიზანტიელები იდგნენ. აფხაზეთი ეგრისის სახელმწიფოში შედიოდა, მაგრამ კეისარი ამ ქვეყანას თავის საკუთრებად ითვლიდა. თავისუფლებისმოყვარე, მამაცი და ამაყი ხალხი ვერ ურიგდებოდა ბიზანტიელ მოხელეთა ბატონობას. ბიზანტიელთა ძალადობამ აბაზგებს იარაღი ააღებინა ხელში.

აჯანყებულებს სათავეში უდგნენ ო ფ ს ი ტ ე და ს კ ე პ ა რ ნ ა.

ბესსამ თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი ულიგაგეს ჩააბარა და აფხაზეთში გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ბიზანტიელები მიადგნენ აჯანყების შუაგულს, ზღვისპირა ქალაქ ტ რ ა ქ ე ა ს და იერიში მიიტანეს ზღვიდან და ხმელეთიდან. აბაზგთა ჯარი ქალაქგარეთ გამოეგება მტერს. რიცხვით უპირატესმა ბიზანტიელებმა მოახერხეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის გატეხვა. აბაზგები შეკუიქცნენ ქალაქის კარებისაკენ. ბიზანტიელებიც მიჯრით მიჰყვნენ და ყველანი ერთად, დევნილებიც და მდევრებიც, ქალაქის შიგნით აღმოჩნდნენ. აბაზგებმა სახლებში შეასწრეს და იქიდან დაუშინეს მტერს. ბიზანტიელები ერთხანს ვერაფერს გახდნენ. მაგრამ როცა გონს მოეგნენ, ციხე-სიმაგრეებად ქცეული სახლები ცეცხლს მისცეს. დედა-პუდიანად გაწყდა ხალხი, ყველა და ყველაფერი დაიწვა და დაიფერფლა. მხოლოდ აჯანყების ბელადმა ოფსიტემ მოახერხა მცირეთა თანხლებით თავის დაღწევა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჰუნებთან გადახვეწა.

ბიზანტიელებმა ყველაფერი „გულდასმით“ მოსპეს. რის წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, ვისი დატყვევებაც მოახერხეს, დაატყვევეს, ქალაქის გალავანი და მასთან, რის დანგრევაც შეიძლებოდა, დაანგრიეს და „მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს“.

551 წლის გაზაფხულზე ბიზანტიელები მთელის ძალებით დაიძრნენ პეტრასაკენ, სადაც ჯერ ისევ იდგა სპარსელთა ციხიონი.

ბესსამ პეტრას ალყა შემოარტყა და კედლის ძირის გამოთხრას შეუდგა. თხრიდნენ ძველ ნათხარ ნაკვეთზე. ძირგამოცლილი კედელი ერთბაშად ჩამოეშვა, მაგრამ არ ჩამოინგრა, მხოლოდ ჩამოდაბლდა. არც საგორავი და საძგერებელი მანქანების მიტანა ხერხდებოდა სიმაგრის დამრეც და ციცაბოიან მისასვლელებზე. მერე „გამომგონებლები“ გამოჩნდნენ ბესსას ბანაკში: ახალი საიერიშო მანქანა მოიგონეს, მსუბუქი, მთლიანად ტყავით დაფარული, შიგნით ფომფლე თოკებით გაწყობილი რკინისთავიანი ძელით. ასეთი „ტყავის მანქანები“, შიგ შემალული 40—40 მეომრის ძალით პეტრას კედლებს გარშემო მოულაგეს და ის რკინისთავიანი ტარანებიც დაუშინეს. თან იქვე მდგომი მეომრები გრძელი ანკესიანი შუბებით შერყეულ ქვებს ეჭიდებოდნენ და ძირს ჰყრიდნენ. სპარსელები ზემოდან ისარს უშენდნენ, მაგრამ ამაოდ. მოიერიშე ბიზანტიელები საგანგებოდ იყვნენ შეჯავშნულნი და დიდი ფარებით დაფარულნი. სპარსელები მაინც არ ცხრებოდნენ. გოგირდით, ფისითა და ნავთით („მედეას ზეთი“) სავსე ქოთნებს ცეცხლს უკიდებდნენ და ბიზანტიელებს ზემოდან უშენდნენ. რამდენიმე „მანქანას“ კიდევაც მოედო ცეცხლი. ბესსამ საიერიშო კიბეებით იერიში ბრძანა და თვითონ პირველი აიჭრა კიბეზე. ზედ კედლების ნიკბებზე არნახული ჩეხვა გაიმართა. სპარსელები სამჯერ მეტ მოიერიშეს ძლიერად ავიწროებდნენ ზევიდან დარტყმა-დაწოლით. თვითონ მთავარსარდალი ბესსა კიბეს მოწყდა და მიწაზე მოიღო ზღარბიანი. სპარსელები გააფთრებით ჩამოჰყვნენ მას. მაგრამ იმარჯვეს ბიზანტიელმა შუბოსნებმა და ფარების სახურავქვეშ მოაქციეს დაცემული სარდალი. ბესსამ წამოდგომა ვეღარ შესძლო, — ასაკი, ზორბა ტანი და მძიმე ალმაჯური საჭურველი უშლიდა ხელს. მერე მისივე ბრძანებით შუბოსნები ფეხებში მოეჭიდნენ და ისე გაათრიეს საისრე მანძილიდან. სამშვიდობოს გასული სარდალი ფეხზე წამოდგა, თავისიანები შეაკო და წააქეზა, იარაღი კვლავ მოიმარჯვა და ისევ გაუძღვა მოიერიშეებს. ხელმეორედ აიჭრა იგი კიბეზე, ბიზანტიელებიც გულმყარად მიჰყვნენ სარდალს. ხელჩართული ჩეხვა ახალი ძალით გაჩაღდა. სპარ-

სელებმა ბიზანტიელ სარდალს ბრძოლის შეწყვეტა შესთავაზეს და დრო ითხოვეს ბარგის ასაკრებად და ქალაქის ჩასაბარებლად. ბესსა არ ეწადო. ბრძოლა ისევ აინთო. უცებ კედელი ჩაინგრა, ადრე ფუძეგამონგრეული. ბიზანტიელები ქალაქში შეცვივდნენ. სამი ათასი სპარსელიდან ხუთასიღა დარჩენილიყო. ესენი ხის აკროპოლისში ჩაიკეტნენ. ბესსამ დანებება მოითხოვა და სიცოცხლის შენარჩუნების პირობა მისცა, მაგრამ უარი მიიღო. ახლა აკროპოლისს შემოადგნენ ბიზანტიელნი. სპარსელებმა ისევ აამოქმედეს ფიისის და ნავთის ცეცხლოვანი ქოთნები. მაგრამ სამხრეთის ძლიერი ქარი ამოვარდა და ცეცხლი თვითონ ხის აკროპოლისს შეუტრიალა. ისევ შესთავაზეს ბიზანტიელებმა შეწყალება განწირულთ: ვაჟკაცები ხართ და თავს ტყუილად ნუ შემოგვაკლავთო. მაგრამ იმათ ყურებში თითები დაიცვეს და ამით ანიშნეს. თქვენი მოსმენაც არ გვსურსო. მაშინ ბიზანტიელებმაც შემოუგზნეს ცეცხლი აკროპოლისს. ყველა სპარსელი ფერფლად და ავლად იქცა.

ბიზანტიელები დარწმუნდნენ, როგორ განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებდა, თურმე, ერანის შაჰი ეგრისის დაპყრობას. ამიტომაც შეურჩევია მას უმამაცესი და თავზეხელაღებული მეომრები პეტრას დასაცავად; თან უამრავი იარაღი და სურსათი ჰქონიათ მარაგად პეტრას დამცველებს.

ბიზანტიელებმა პეტრა სავსებით დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

იუსტინიანემ ბესსას დიდი ქება-დიდება შემოუთვალა, მაგრამ კეისარი ძალიან აჩქარებულა. ბიზანტიელებს დავიწყნიათ, რომ ხოსრო ანუშირვანი ასე იოლად არ შეელეოდა ეგრისს. ხოლო ბესსამ იმის ნაცვლად, რომ ეგრისში შესასვლელი გზები სპარსელებისთვის გადაეჭრა და გაემაგრებინა, სომხეთსა და პონტოს ქალაქებს დაერია საძარცვავად და ოქრო-ვერცხლის შესაგროვებლად. მას მთელს იმპერიაში იცნობდნენ, ვითარცა გულხარბ ანგარს. ეგრისში ჩამოსვლამდე ხუთი წლით ადრე (546 წ.) გერმანელებისაგან ალყაშემორტყმულ რომში, როცა ქალაქში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა, ბესსამ მთელი სურსათი ხელთ იგდო და სისხლის ფასად აძლევდა სენატორებს. ხანგრძლივი ომები და თანაც წარმატებანი მხოლოდ ძარცვა-გლეჯის მიზნად მიაჩნდა ბესსას. ახლა ეგრისს არავინ გააძარცვინებდა, რადგან გუბაზ მეფე უკვე ავი თვალით ზომავდა ბიზანტიელი სარდლის ანგარ ნაბიჯებს. ამიტომ ბესსამ „უსარგებლო“ ლაზიკე მიატოვა და სომხეთსა და პონტოში გადავიდა საძარცვავად.

ხოლო ხოსროს სარდალი მერმეროე ისევე მოეშურებოდა უთვალავი მხედრობით და სპილოებით ეგრისისაკენ.

უპირველესად პეტრაში მდგარ სპარსულ ციხიონს უნდა მიშველებოდა მერმეროე. მაგრამ გზაში შეიტყო, რაც დამართნოდა პეტრას და მის დამცველებს.

მაშინ პირდაპირ ეგრისის შუაგულს მიაშურეს სპარსელებმა, ეგრისის მაშინდელ სატახტოს, ციხე-გოჯს, ბერძნებისაგან არქეოპოლისად (ძველი ქალაქი) წოდებულს, რომელიც ციცაბოიან მაღლობზე აღმართულიყო, მდინარე ტეხურის პირას.

ციხე-გოჯისკენ მიმავალ მერმეროეს მოახსენეს, რომ რიონის შუასართავის მახლობლად ბიზანტიელებისა და ჰანების ჯარი დგასო. ბიზანტიელებს ევნილე და ულიგაგე სარდლობდნენ, ჰანებს — ვარაზი. ეს ჰანები, სულ რვაასი კაცი, ოთხი-ხუთი წლის წინ იტალიაში წარმატებით ებრძოდნენ გერმანელებს და მათ სახელოვან სარდალს ტოტილას.

მერმეროემ გადაწყვიტა, ჯერ სწორედ რიონთან დაბანაკებულნი გაენადგურებინა, რომ ისინი ციხე-გოჯზე იერიშის დროს ზურგიდან არ დასცემოდნენ. მან ახლოს ჩაუარა ციხე-გოჯს და კედლებზე გადმომდგარ მეციხოვნეებს ჯერ დამცინავი ღიმილით მიესალმა, მერე ყმაწვილური კვეხნით ასძახა: თქვენც მალე მოგიბრუნდებით, ჯერ კი იმათ უნდა მივესალმოო. მეციხოვნეებმაც პასუხი არ დაუყოვნეს: იმათ თუ შეეყრები, ჩვენთან ვერასდროს შემობრუნდებიო.

როგორც კი რიონთან დაბანაკებულებმა სპარსელთა მხედრობა და სპილოები დაინახეს, მოსალოდნელი ბრძოლა უთანასწოროდ ჩათვალეს და სასწრაფოდ მდინარის მარცხენა მხარეს გადავიდნენ. მერმეროეს ბანაკი ცარიელი დახვდა, გაბრაზდა, ნაბანაკარი გადასწვა და ისევ ციხე-გოჯისკენ გაბრუნდა.

ციხე-გოჯს ორმაგი კედელ-ზღუდე ერტყა გარს — ერთი შიგნითა, თვით ციცაბოიან მაღლობის გარშემო, მეორე გარეთა, ქვემოთ, დაბლობის გასწვრივ. ალაყაფიც ორი ჰქონდა ქალაქს — ზედა და ქვედა.

მერმეროე ძირითადი ძალებით, საიერიშო მანქანებითა და სპილოებით, ქვედა კარიბჭეს მიადგა, ხოლო ზედა კარიბჭეზე საიერიშოდ მთებში ბრძოლას ნაცადი რჩეული მშვილდოსნები გაგზავნა.

მტრის გამოჩენისთანავე ციხე-გოჯში მოღალატე გაჩნდა. ვიღაც წარჩინებულმა სპარსელთა სარდალთან კავშირი გაიბა. მერმერეოსგან მოღალატეს ევალებოდა ქალაქში ცეცხლი გაეჩინა პურისა და სხვა

სურსათის საწყობებისათვის. ასედაც მოხდა. მაგრამ ციხიონის უფროსებმა, ოდონაქემ და ბაბა თრაკელმა, წინდახედულება გამოიჩინეს. ცეცხლის ჩასაქრობად რამდენიმე კაცი გაგზავნეს, თვითონ კი მთელი ჯარი მოწინააღმდეგისკენ დასძრეს.

სპარსელები ალყაშემორტყმულთა შემოტევას მოუმზადებელი შეხვდნენ და დამარცხდნენ. მერმეროემ 4.000 მეომარი, სამი სარდალი და ოთხი დროშა დაკარგა. ბრძოლის დროს ერთი სპილო გაუგიჟდა და ოციათასი ცხენი გაუწყდა, ზოგი ბრძოლაში, ზოგიც შიმშილით და ხანგრძლივი მგზავრობით ქანცგაწყვეტილი.

დაზარალებული სპარსელები ციხე-გოჯს მოშორდნენ, მოხირისი გადმოიარეს და ქუთათისში დაიბანაკეს.

ქუთათისიდან დაშორებით, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმართულ გზაზე, ძლიერი ციხესიმაგრე იდგა, უქიმერიონი რომელშიც ლაზთა ციხიონი იდგა. მერმეროემ უქიმერიონის ხელში ჩაგდება სცადა, აქაც ციხის შიგნიდან გატეხვის საშუალებით. მართლაც ისევ გამოჩნდა მოღალატე, ვიღაც თეოფობი, წარმოშობით დიდგვაროვანი ბერძენი. მერმეროე თეოფობს ღალატისათვის აღუთქვამდა შაჰინშაჰთან მეგობრობას, სასახლის კარზე დაწინაურებას, გამდიდრებასა და გამძლავრებას.

თეოფობი მეციხოვნე ლაზთა ჯარს შეუჩნდა: ბიზანტიელთა ჯარი მთლიანად დაიღუპაო, გუბაზ მეფესა და მის ჯარს საქმე გამოუსწორებლად წაუხდაო, ვერასოდეს იგი ეგრისის ხელმწიფობას ვეღარ დაიბრუნებსო, მთელი ეგრისი მერმეროეს ეკუთვნისო, მან ხომ 70.000-ზე მეტი სპარსელი მოიყვანა და თვითონ შაჰინშაჰ ხოსროც მოსულა ურიცხვი ჯარით და ამიერიდან სპარსელებს კოლხთა მთელი ქვეყანაც აღარ ეყოფათ ჩასაყლაპავადო.

მეციხოვნენი სასოწარკვეთამ მოიცვა. თეოფობმა მათ სიტყვა მისცა, თქვენ ოღონდ ციხე ჩააბარეთ და წინასწარ ხოსროსაგან ხელშეუხებლობის პირობას მე თვითონ მოგიტანთო.

ღალატიანი გარიგება შესდგა.

უქიმერიონიც სპარსელების ხელში გადავიდა.

ქუთათისშიც სამი ათასი კაცი ჩააყენა მერმეროემ.

თვითონ მთავარი ძალებით შორაპანში გადავიდა, იქაური ციხე აღადგინა, გაამაგრა და შიგ დაიბანაკა.

აქედან მერმეროემ წერილით მიმართა სუსხიან მთებში ცოლ-შვილთა და ახლობლებით გახიზნულ გუბაზ მეფეს:

„ორი რამ აწესრიგებს ადამიანის ცხოვრებას — ძლიერება და გონიერება. ერთნი ძლიერები არიან და სუსტებზე ბატონობენ და მათ ცხოვრებას თავისი ნებასურვილებით წარმართავენ; ხოლო მეორენი, რომელნიც თავიანთი სისუსტის გამო მათზე უფრო ძლიერთ ემონებიან და უძლურებას გონიერებით სწამლობენ, მლიქვნელობით ელოლიავებიან მბრძანებელთ და მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებას თავიანთ მამულში და მლიქვნელობის წყალობით იგემებენ ხოლმე ყველაფერს იმას, რასაც უძლურების გაბო მოკლებულნი არიან... და აი, ძვირფასო გუბაზ, თუ ფიქრობ, რომ სპარსელებს აჯობებ ომში, ნუღარ აყოვნებ და ნურც რამე დაგიდგება წინ, ლაზიკის რომელსამე კუთხეში გვიპოვნი ჩვენ. ამგვარად შეგიძლია შეგეებრძოლო და შენი სივაჟკაცე დაამტკიცო ჩვენს წინაშე. ხოლო, თუკი გრძნობ, რომ უძლური ხარ სპარსელთა ძლიერების წინააღმდეგ, მაშინ, ჩემო კარგო, აირჩიე მეორე გზა, შეიცან თავი შენი და ეთაყვანე შენს მბრძანებელ ხოსროს, ვითარცა მეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს. შეეეედრე გაპატიოს შეცოდებანი. მეც, ჩემი მხრით, გარწმუნებ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს. ხელს არ გახლებს და მძევლებად მოგგვრის სპარსეთის წარჩინებულ მთავართა შვილებს; შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველი და შენი სამეფოც გეყოლება სამუდამოდ დაცული. ხოლო, თუ შენ არც ერთ ეს გზა არ მოგწონს, წადი რომელსამე სხვა ქვეყანაში და ამით სამუალება მიეცი შენი უგუნურების წყალობით გაწამებულ ლაზებს, ერთხელაც არის, ამოისუნთქონ და გათავისუფლდნენ მოწოლილ სიძნელეთაგან. ტყუილად მაცდუნებელ იმედს ნუ მიეცემი: ბიზანტიელების მოშველიების იმედი ნუ გაქვს. ისინი ხომ ვერასოდეს ვერ შესძლებენ დაგეხმარონ თქვენ ისე, როგორც დღემდე ვერ შესძლეს ეს“.

გუბაზ მეფემ სპარსელი მთავარსარდალი პასუხის ღირსადაც არ გახადა. იგი მთებში იდგა და გაზაფხულს მოუთმენლად ელოდა, რათა სპარსელებს დროზე შებმოდა და დროზედვე განედევნა ისინი თავისი ქვეყნიდან.

ეს კი იყო, მერმეროე არ ცდებოდა, როცა გუბაზს ბიზანტიელების მხრიდან დახმარების უიმედობაზე სწერდა. მეფეს გამოცდილებით უნდა სცოდნოდა, რომ ბიზანტიელები მის დასახმარებლად კი არა, უფრო მისი ქვეყნის დასაპყრობად იყვნენ მოსულნი.

ასე იყო თუ ისე, წელს კიდევ უნდა ეცადნა გუბაზს. ბიზანტიიდან კიდევ ახალი მეთაურები მოდიოდნენ, მ ა რ ტ ი ნ ე და რ უ ს ტ ი კ ე.

იქნებ ესენი ყოფილიყვნენ „იდეალური მოკავშირენი“ კოლხთა მეფისა...

552 წელიც დადგა.

ხოსრომ მერმეროეს ახალი ჯარები და სპილოები გამოუგზავნა ლაზეთში. ჰუნთა ლაშქარიც შეუერთდა სპარსელთა ბანაკს.

ლაზთა და ბიზანტიელთა ბანაკებიც შეერთდნენ, გუბაზისა და მარტინეს მეთაურობით.

პირველი დიდი ბრძოლა რიონის შესართავთან მოხდა და სპარსელთა მარცხით გათავდა.

აქედან მერმეროე აფხაზეთს გაეშურა და წებელდიც ციხეს მიადგა, მაგრამ კვლავ გაწბილებული გამობრუნდა. აფხაზეთიდან ციხე-გოჯისკენ შემოიქცა, იერიში მიიტანა და ისევ ვერაფერს გახდა. ბოლოს, ასჯაპანწყვეტით გატარებული წლის მიწურულში ქუთათისის ციხეში მივიდა და ჩაიკეტა.

მომდევნო 553 წლის გაზაფხულზე მერმეროემ იერიში მიიტანა ტელეფისის ციხესიმაგრეზე, რომელიც რიონის და ცხენისწყლის შესართავთან მდებარეობდა. ტელეფისში გამაგრებული ბიზანტიური ჯარი, მარტინეს სარდლობით, ძლიერად დაუხვდა მტერს.

კლდეებით, ხრამებით, ჭაობებითა და ღიჭიანით გარშემორტყმული ციხესიმაგრის აღება საერთოდ ძნელი ჩანდა.

მერმეროემ ხერხს მიმართა: კარავში ჩაიკეტა და ხმა გააგდო, რომ ის თითქოს რაღაც მძიმე, უკურნებელმა სენმა შეიპყრო და ლოგინად ჩააგდო. საქმის ნამდვილი არსი იმდენად იყო საიდუმლოდ დაცული, რომ მერმეროეს ავადმყოფობა მის უახლოეს პირებსაც კი ნამდვილი ეგონათ. ბიზანტიელებმაც ირწმუნეს სპარსელთა მთავარსარდლის ლოგინად ჩავარდნა და ქალაქის დაცვისადმი სიფხიზლე შეასუსტეს. მალე ხმა გავარდა, მერმეროემ ავადმყოფობა ვერ დასძლია და მოკვდაო. ბიზანტიელები სრულ უზრუნველობას მიეცნენ, — ან ეძინათ, ან ღრეობდნენ, ან სოფლებში მიდიოდნენ საძარცვავად და სალაზღანდაროდ.

როგორც მოსალონელი იყო, მერმეროე ერთბაშად „გაცოცხლდა“, ლაშქარი ფეხზე დააყენა და უცებ იერიში მიიტანა ციხის კედლებზე.

ასეთმა მოულოდნელობამ საკვირველად დააბნია ბიზანტიელები. მარტინემ სასწრაფოდ გაიყვანა თავგზააბნეული ჯარები ციხესიმაგრიდან და მოშორებით მდგარ ბესსას და იუსტინეს ბანაკს შეუერთდა.

სპარსელები ჯომრად შევიდნენ ტელეფისში.

მარტინემ გაქცევის დროს ტელეფისის მახლობლად ხუთასი ჯანი შეომარი დატოვა მამაცი და გამჭრიახი ჯანის, თ ე ო დ ო რ ე ს მეთაურობით. თეოდორეს ევალებოდა, სპარსელთა ჯარი კიდევაც შეეკავებინა და მის შესახებ ყველა საჭირო ცნობაც ბიზანტიელთა მთავარ ბანაკში მიეტანა.

თეოდორემ ტელეფისში დაბანაკებულნი ფრთხილად დაზვერა და ბიზანტიელთა ბანაკისკენ გაეშურა. გზაზე მან შენიშნა, რომ ბიზანტიელი მეომრები ცალკეულად და ჯგუფ-ჯგუფად ადგილობრივ მოსახლე ეგრისელთა სახლებში იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ. თეოდორე შეეცადა აღეკვეთა ბიზანტიელთა თავაშვებულობა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამასობაში სპარსელებიც ტელეფისიდან გამოსულიყვნენ და ძარცვა-რბევით გართულ ბიზანტიელებს ზედ წამოადგნენ. ბევრი მძარცველი მოკლეს სპარსელებმა და ჯანებმა.

მარტინემ, ბესსამ და იუსტინემ მოახლოებულ მტერს იმით უპასუხეს, რომ ბანაკი აჰყარეს და მთელის ძალით მოკურცხლეს. ოცდახუთი კილომეტრი უკანმოუხედავად ირბინეს, რიონ-ტეხურს შორის მდებარე კუნძულს (ნესოსს) მიაღწიეს და იქ დაიბანაკეს.

მერმეროემ ნესოსზე იერიში სახიფათოდ მიიჩნია, ცხენისწყლის ზემო წელს შეუყვა, უ ნ ა გ ი რ ა ს (ონოგურის) ციხის ციხიონი გააძლიერა და ქუთათისისკენ გაეშურა.

ქუთათისში მერმეროე მძიმე ავად გახდა. პადაგრამ საბოლოოდ დააგდო. ადრეც ორივე ფეხი დასახიჩრებული ჰქონდა ჭრილობებისაგან და ბრძოლაშიც ხშირად თავის ჯარებს საკაცეზე დადებული მიუძღოდა წინ. ქუთათისიდან მცხეთაში გადავიდა ღრმადმოხუცებული და დასნეულებული სარდალი. აქვე გარდაიცვალა იგი 554 წელს.

მერმეროეს ცხედარი მისმა მეომრებმა ქალაქ გარეთ გაიტანეს და სპარსული ადათის მიხედვით ძაღლთა და ფრინველთა საჭიჭვნად დაადეს ღია ცის ქვეშ.

ხოსრო დიდად შეაწუხა ნიჭიერი და გამოცდილი სარდლის სიკვდილმა. ეგრისში მას სწორედ მერმეროეს მსგავსი სარდალი სჭირდებოდა.

ასეთ სარდლად შაჰინშაჰმა შეარჩია ნ ა ხ ო რ ა გ ა ნ ი.

## აღსასრული გუბაზ მეფისა

გუბაზ მეფე ხედავს:

წლები წლებს მისდევს და არც ერთი ბიზანტიელი სარდალი ეგრისში სარდლად არ ვარგა. ისინი, იმპერიის სხვა ადგილებზე სახელმოხვეჭილნი, აქ, საქართველოში, ან ბრძოლის ველიდან გარბიან, არ უნდილად იბრძვიან, ან უნიჭოდ სტრატეგოსობენ, ან კიდევ გადამწყვეტ ჟამს ბრძოლას საერთოდ თავს არიდებენ. აშკარად ჩანს, ისინი მხოლოდ ქვეყნის საძარცვავად და გასამდიდრებლად მოსულან ეგრისს. თან, ვითარცა ნამდვილ დამპყრობელთ, თავი სავსებით დამოუკიდებლად უჭირავთ და გუბაზ მეფის ხელმწიფობას ჩირის ფასადაც არ აგდებენ.

მოთმინების ფიალა პირთამდე აევსო ქართველ ხელმწიფეს.

ელჩი აფრინა კონსტანტინოპოლს.

ქართველი მეფე ბიზანტიის კეისარს ძუნწად და მკაცრად ატყობინებდა მისი სარდლების ყოველმხრივ უვარგისობას.

იუსტინიანემ, თვითონ ფლიდმა და ქვეგამხედვარმა, კარგად იცოდა, რომ იმ მუხანათობით აღსავსე დროში ერთადერთი გულმართალი გვირგვინოსნის სიტყვას შემოწმებაც არ სჭირდებოდა. მან მაშინვე იწამა გუბაზის შემონათვალი.

ირწმუნა, მაგრამ მკაცრი სისრულით მაინც არაფერი გაუკეთებია. მან მხოლოდ ბესსა გადააყენა თანამდებობიდან, ქონებაც ჩამოართვა და აფხაზეთში გაგზავნა დროებით სარდლად.

ხოლო ბესსას ადგილზე პირველ სარდლად ეგრისში დასვა მ ა რ ტ ი ნ ე, მეორე სარდლად — ი უ ს ტ ი ნ ე. მესამედ — ბ უ ზ ე. თავისავე პოსტზე, საომარ ხარჯთა და შემოსავალ-გასავალთა უფროსად, დარჩა რ უ ს ტ ი კ ე.

მდგომარეობა თითქმის მაინც ძველებური დარჩა.

ისევ გრძელდებოდა მტრობა, შუღლი, შური და იჭვნეულობა მოკავშირეთა შორის.

გულფიცხელი ქართველი მეფე, რომელსაც წესად ჰქონდა ყოველი საგანი თავისი სახელით მოეხსენიებინა, ბიზანტიელებს აშკარად და საჯაროდ, სანადიმო სუფრასთან, სამხედრო აღლუმებზე, თუ სადესპანო მეჯლისებზე უწოდებდა ლაჩრებს, უნიჭოებს, შურიანებს, ხარბებს, მოღალატეებს.

და ბიზანტიელმა მეთაურებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ გუბაზ მეფე.

შოიფიქრეს მკვლელობა, უნაკლო და უმაგალითო მუხანათობით. რუსტიკეს ჰყავდა ძმა, სახელად იოანე.

იგი გაგზავნეს კონსტანტინოპოლს.

იოანე იუსტინიანეს წარუდგა და მოახსენა: გუბაზ მეფე გადაგვიდგა, სპარსელებს მიეხმრო, უკვე სპარსელებს მოუძღვის და დღეს თუ ხვალ, უკეთუ სასწრაფო ზომებს არ მივიღებთ, მთელს ლაზიკეს ხოსრო შაჰს გადასცემსო.

კეისარი გაშტერდა ასეთი მოულოდნელი და დაუჯერებელი ამბით. მას გუბაზ მეფის ღალატი ვერც კი წარმოედგინა.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ კეისარმა იოანეს ახედა და მოკვეთით უთხრა:

„ახლავე უკან გაბრუნდი და გუბაზ მეფეს სთხოვე კონსტანტინოპოლს მეწვიოს“.

იოანე დაფრთხა: თუ გუბაზი და იუსტინიანე ერთმანეთს შეხვდებოდნენ, შეთქმულთა მზაკვრულ ზრახვას უეჭველად ფარდა აეხდებოდა. იოანემ გული გაიმაგრა და იმპერატორს ლიქნით დაღრეჯილმა ჰკითხა:

„კეისარო, იმან რომ თავის ნებით არ ინებოს შენს წინაშე გამოცხადება?“

„როგორ თუ არ ინებოს? “ — იფეთქა იუსტინიანემ.

„ისე... რომ არ ინებოს“, — სულ დაიშალა სახსრებში ქვებუდანი მოხელე.

„მაშინ ძალით წამოიყვანეთ!“

„ძალით?..“

მაგრამ უცებ ქართველი ხელმწიფის ამაყი სახე წარმოუდგა თვალწინ კეისარს და რისხვადამცხრალმა ლბილად თქვა:

„ჰო, ძალით წამოიყვანეთ, მაგრამ ამალა ახლდეს, ვითარცა მეფეს“.

გვირგვინოსანთა მომავალი შეხვედრით დამფრთხალ იოანეს, რასაკვირველია, არც ამნაირი რამ აწყობდა და უფრო თამამად ჰკითხა:

„ძალასაც დავატანთ, მაგრამ წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, მაშინ როგორლა მოვიქცეთ?“

ისევ აზვავდა იმპერატორი:

„თუ წინააღმდეგობა გასწია, მაშინ სხვა რაღა უნდა უყოთ, თუ არა ის, რაც საერთოდ ტირანს ეკუთვნის: იგი უნდა დაისაჯოს, სასტიკად მოისრას“.

აი, სწორედ ახლა უნდა მიეცა შეთქმულთა ეჯიბს მთავარი კითხვა და ჰკითხა კიდეც:

„და, კეისარო, შენი რისხვის არ უნდა ეშინოდეს იმას, ვინც გუბაზს მოჰკლავს?“

„არავითარი შიში. თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისრას, ვითარცა მტერი!“.

დაასკვნა იუსტინიანემ და თავისი ნება წერილობითაც დაადასტურა.

იგი სწერდა ეგრისში მყოფ სტრატეგოსებს:

„დაუჯერებელი და უცნაურია ის, რაც თქვენ მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს, გადაუდგეს მამაპაპეულ ადათს, ყველაფერში ერთმორწმუნე რომაელებს და გადავიდეს მისადმი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა სარწმუნოების მჭონე სპარსელთა მხარეზე. და ეს ჩაიდინოს იმ დროს, როცა მას ჩვენგან უსიამოვნო არაფერი შეხვედრია. მიუხედავად ამისა, რადგან ვიცით, რომ ადამიანს სჩვევია მერყეობა და ცვალებადობა და გარემოებათა ცვლილებებთან ერთად თვითონაც ხასიათს იცვლიდეს ხოლმე, ჩვენ საჭიროდ არ ვცანით, სრული უნდობლობით მოვპყრობოდით თქვენი მაცნის მიერ მოტანილ ამბავს... მაგრამ გუბაზის მიმართ მკაცრი და სასტიკი ნაბიჯი აჩქარებულად რომ არ გადავდგათ და არც სილბილე გამოვიჩინოთ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, შუა გზა აგვერჩია და გუბაზი აქ მოგვეწვია. ამიტომ გავალებთ, გამოგზავნოთ, რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით. მაგრამ თუ ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ ასეთ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით თქვენზე ხელს აღმართავს, მაშინ ჩვენ აშკარა საბუთი გვექნება მის განზრახვაზე და შეგვიძლია მტრად ჩავთვალოთ იგი. ასე რომ, თუ მას, ასე თავგასულს, ვინმე კიდევაც მოკლავს, ამას ჩვენ უკანონო საქციელად არ ჩაეთვლით; ამ საქმისათვის არა თუ არ დაისჯება ის, ვითარცა მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქებას დაიმსახურებს, როგორც ტირანის მომსპობი“.

სიხარულით აღვსილი იოანე სასწრაფოდ დაბრუნდა ეგრისს.

ხობის წყლის პირას იდგა ბიზანტიელთა ბანაკი.

მარტინე, რუსტიკე და იოანე კარავში ჩაკეტილიყვნენ და შეთქმუ-

ლების მეორე, გადამწყვეტი საფეხურის დამუშავებას შესდგომოდნენ.

მკვლელობის ყველა პუნქტი რომ დააზუსტეს, მერე მეორე და მესამე სტრატეგოსს მოუხმეს — იუსტინესა და ბუზეს. ამათ ის წინა სამეცულ-შეთქმული არ ენდობოდა, თუ რა იყო, კაცმა არ იცის, გუბაზის მკვლელობის განზრახვა არ გაანდეს და უბრალოდ თითქოს სამხედრო თათბირზე მოიხმეს.

ონოგურისზე (უნაგირაზე) თავდასხმას ვაპირებთო და ამასთან დაკავშირებით გუბაზ მეფესთან შეხვედრა არისო საჭირო.

და აი, იუსტინე და ბუზე, თავის მხრივ სავსებით გულწრფელი წვევით, გუბაზთან გამოცხადდნენ და მთავარსარდლის დანაბარები გადასცეს: ჩვენი სარდლობა თქვენთან აპირებსო სამხედრო თათბირზე მოსვლას.

მეფე უიარაღოდ გამოვიდა.

უბელო ცხენზე შეჯდა ფეხმორთხმით.

ამალა არ იახლა.

მხოლოდ ორიოდ მხლებელი აიყოლია, ისინიც უიარაღოდ.

დანდობილად მიემართებოდა ქართველი მეფე ხობის წყლისაკენ.

ძველი კოლხური თავაზიანობა უკარნახებდა, თვითონ შეხვედროდა სტუმრებს.

ფეხმორთხმით იჯდა ცხენზე, ასე უყვარდა სწორუპოვარ მოჯირითეს.

საჭმუნავს რასმე დაეპყრო მისი გონება.

დიდის თაყვანითა და ლიქნით შეხვდნენ ბიზანტიელი სტრატეგოსები ქართველ ხელმწიფეს.

მდუმარე თავისდაკვრით უპასუხა მეფემ.

ბიზანტიელები გუბაზს მიაშტერდნენ, ცხენიდან თუ დაქვეითდებაო.

გუბაზი მხოლოდ შეირხა, მორთხმული ფეხები მცირედად წინ დასძრა და ცხენის კისერზე გადააჯვარედინა.

ბიზანტიელებიც უნაგირებზე ჩაიყინენ.

სიჩუმე რუსტიკემ დაარღვია:

„აბა, გუბაზ, ონოგურისში სპარსელები სხედან და მათზე საომრად მივეშურებით. შენც გამოგვყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი იქნება, თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუაგულში, მით უმეტეს, რომ ისინი მცირერიცხოვანი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან".

გუბაზმა წარბშერჭმით უპასუხა:

„შე კაი კაცო, ეს ლაშქრობა ხომ მარტო თქვენ გეხებათ, რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ესიხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ჭუდმოგლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბიდან. ახლა კი, ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზეც დგახართ, თქვენი შეცდომა თქვენვე უნდა გამოასწოროთ. რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას თქვენვე არ უწამლებთ“.

სიტყვის ჩათავება ძლივს მოასწრო მეფემ.

მახვილმა იელვა იოანეს ხელში.

გუბაზი მკერდგანგმირული გადმოეშვა ცხენიდან.

თავდაღმა დაეცა, მუხლებით და იდაყვებით გაფოფხდა მკერდზე ხელებმიბჯენილი.

ერთბაშად ზეტანი აიქნია და წამოიწია.

წამსვე ზურგიდან მივარდა რუსტიკესაგან საგულდაგულოდ გამზადებული ქონდაქარი.

მიიჭრა და მახვილი მოიქნია ორივე ხელით.

გუბაზ მეფე თავგაპობილი დაეცა.

ყველაფერი მოთავდა.

სიკვდილსაც რა ენაღვლება ადამიანთა გასაოცარი არაადამიანობა.

მკვდარი იწვა ეგრისელთა გმირი ხელმწიფე.

ეს მოხდა 554 წელს.

**ორი ლოგოსი მკვლელობის შემდგომ**

რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყუაბელოვან.
გ ი ო რ გ ი  მ ე რ ჩ უ ლ ე.

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ეჭვრეტთ
ღამესა ჩვენ უმთვაროსა.
რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

მთელი ეგრისი შეარყია მათი ხელმწიფის მუხანათურმა მკვლელობამ.

ბოღმითა და დარდით ატანილ ხალხს ჯერ მეფე უნდა დაეტირა, ხოლო შემდგომ...

მაგრამ მანამდე გუბაზის მკვლელებმა, რუსტიკემ და მარტინემ, ჯასწრაფოდ დასძრეს ჯარები ონოგურისის წინააღმდეგ. მათ ეგრისელთა რისხვისათვის უნდა დაესწროთ და ონოგურისის აღებით გუბაზის მკვლელობის შთაბეჭდილება თვითონ კეისარ იუსტინიანეს თვალშიც გაექარწყლებინათ.

გზაზედ დაატყუევეს სპარსელი „მოენე", რომლისგან შეიტყვეს, ნახორაგანი უკვე იბერიაში არისო ჩამოსული და მალე დიდი არმიებით ეგრისში გადმოვაო ონოგურისის მისაშველებლად.

ეს არაფრად ჩააგდეს მარტინემ და რუსტიკემ და მაშინვე ონოგურისისკენ განაგრძეს გზა.

ონოგურისის ციხეს, რომელსაც 3 000 სპარსელი იცავდა, 50 000 ბიზანტიელი მიადგა.

მოიერიშეთა ყველა შეტევა მარცხით დამთავრდა.

ბიზანტიელები შერცხვენილნი გამობრუნდნენ.

თურმე ლაზების გარეშე არ შესძლებიათ ბიზანტიელებს სპარსელების დამარცხება...

ხოლო ლაზები ამ დროს ხობისწყლის მთიან ხეობაში დიდ სახალხო კრებად შეყრილიყვნენ, გუბაზ მეფის მკვლელობის თაობაზე.

კრებას ეგრისის სარდლები და წარჩინებულები წარმართავდნენ.

ხალხი დრტვინავდა, ყვიროდა, მკვლელთა დასჯას თუ სისხლის აღებას მოითხოვდა, ქვეყნის მომავალ საბედიღბლო გზას ეძებდა.

მერე ორ ნაწილად გაიყო აზრი ხალხისა:

ერთნი იძახდნენ, ვერაგ ბიზანტიელებს გადავუდგეთ და ისევ სპარსელებს მივემხროთო;

მეორენი გაიძახდნენ, ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიელებთან დავრჩეთ, მაგრამ კეისრისგან გუბაზის მკვლელთა დასჯა მოვითხოვოთო.

და, შესაბამისად ამ ორი განასაჯისა, ლაზთა მაშინდელ თავყრილობაზე ითქვა ორი უბრწყინვალესი „ლოგოსი".

პირველი გამოვიდა დიდად წარჩინებული ლაზი, სახელად ა ი ე ტ ი.

ახოვანი და სახოვანი კაცი იყო, მოქნილი სხეულით, ნატიფი მიმოხრით, საამური ხმით.

და თქვა აიეტმა:

„ნუთუ საჭიროა ყოყმანი და ბჭობა იმისათვის, რომ ბიზანტიელებს ამნაირი ვერაგობის წილ სამაგიერო უნდა მივუზღათ? იქნებ ვინმეს შეუძლია დააშტკიცოს, რომ ბიზანტიელებს ამის გარდა არაფერი ბოროტება და ვერაგობა ჩაუდენიათ ჩვენს წინააღმდეგ? იქნებ საბუთის

ძებნა გჭირდებათ, ვითომც რაიმე დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად? აბა, შეხედეთ, იქნებ საბუთად არ კმაროდეს: მოჰკლეს გუბაზი, ჩვენი ხელმწიფე სახელოვანი, მოსპეს ასე საცოდავად, მუხანათურად. ისე მოჰკლეს, ვითომც იგი არ ყოფილიყოს დიდი გუბაზი. გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარასოდეს ვერ ვეღირსებით ძველებურად სხვებზე ვმბრძანებლობდეთ; ამიერიდან მხოლოდ იმას უნდა ვცდილობდეთ, სწორედ იმათ არ დაგვჩაგრონ, ვინც წინათ ჩვენს წინაშე მუხლმოდრეკით ქვეშევრდომობდა. ნუთუ უარესი უგუნურება გაგონილა ამ ქვეყანაზე, რომ დავმჯდარვართ და ვმსჯელობთ იმაზე, მტრებად ჩავთვალოთ თუ მეგობრებად გუბაზის მკვლელნი? განა, არ იცით, მარტო ამით არ გათავდება თავხედობა ბიზანტიელთა? თუ ჩვენ ამა ბოროტებას უყურადღებოდ მივატოვებთ, მაშინ ისინი კიდევ მრავალი ბოროტებით მოგვეპყრობიან, კიდევ უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს. ისინი ყველას თავხედურად ექცევიან, ვინც კი მორჩილად თავს მოიდრეკს იმათ წინაშე. კეისარიც ჰყავთ გაიძვერა, რომელსაც მუდამ სიხარულსა ჰგვრის ტანჯვა-წამება ადამიანთა. სწორედ მისი წაქეზებით მოჰკლეს გუბაზი. განა იმიტომ მოგვიკლეს მეფე, რომ მათ წინაშე რაიმე მტრობა ჩაგვიდენია? არა, მათ ხომ ხასიათი აქვთ ამნაირი, — ხასიათი სიმხეცისა, სიგიჟისა, სიძულვილისა... მე ვინატრიდი, ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველთაძველი, სახელოვანი ძლიერება და უძლეველობა, რომ არასოდეს დასჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან. რომ ყოველ დროს და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაჰყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! გარნა, რაკი ჟამთა ბრუნვით და ბედისწერის უკუღმართობით, ანდა ორივე უბედურების შემწეობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩავვარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშე ქვეშევრდომობა აღარ აგვცდება, უმჯობესია იმათთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრორე კეთილსასურველად მოგვევლინება. ასეთები არიან სწორედ სპარსელები, ჩვენთვის უფრო უმჯობესნი, ვიდრე ვერაგი ბიზანტიელნი... გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს, არამედ სათნოება; მაგრამ არა მგონია, ბოროტმოქმედი და ადამიანის სისხლში გასვრილი ადამიანნი ოდესმე მაინც ეზიარონ ამ კეთილ საწყისს... მერე, ისიც გუბაზის სისხლში! მე არც მგონია, ოდესმე სადმე მომხდარიყოს მსგავსი მკვლელობა, ან თუ მომხდარა, ასე იოლად თუ ჩაუვლია! ამიტომაც უნდა გვახსოვდეს: უაღრესად სამარცხვინო იქნება, თუ ჩვენ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ, ხოლო მის მკვლელებს

პირფერობას და ლიქნას დავუწყებთ. იგი რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობისათვის; დაგვძრახავდა, რომ მისი უბოროტესი მკვლელნი მკაცრად დასჯის, ან გაძევების სამაგიეროდ კვლავ დაუსჯელად დააბიჯებენ ჩვენს მიწა-წყალზე. მაგრამ, რადგანაც ამიერიდან მეფე გუბაზი ჩვენს შორის ვეღარ გამოჩნდება, ვეღარც რას გვეტყვის კეთილი სიტყვით, თქვენ თვითონვე წარმოიდგინეთ ხელმწიფე იგი, თქვენს გონებაში გააცოცხლეთ, თითქოს იგი აქვე ამ კრებას ესწრებოდეს, თქვენს თვალწინ იდგეს, და გითითებდეთ თვის ჭრილობებზე, განგმირულ მკერდზე, შუა გაჩეხილ თავ-კისერზე, და თითქოს გთხოვდეთ ერთსისხლიერ თანამოძმეებს, სამაგიერო გადაუხადოთ მის ბოროტ მკვლელებს... მაშ, კოლხებო, ნუღარ ვაყოვნებთ, ახლავ სპარსელებს შევუკავშირდეთ და ბიზანტიელთ მტრობისათვის მტრობით მივუზღათ!“

აიეტმა სიტყვა დაასრულა. მისი მჭევრმეტყველების ძალით გულშეძრულმა ხალხმა ერთბაშად გრიალით და ჟივილ-ხივილით მოიწონა წინადადება: ახლავე გადასდგომოდნენ ბიზანტიელებს და შეერთებოდნენ სპარსელებს. აიეტისა და კოლხთა საკრებულოს აზრი შეიქნა ერთსულოვანი და განუყოფელი.

მაგრამ ხალხიდან წინ მოიწევდა კიდევ ერთი ვიწმე წარჩინებული და წარმოსადეგი კაცი. ამლილ-ახმაურებულ კრებას აწყნარებდა, წესრიგისაკენ მოუწოდებდა და მკაცრად მოითხოვდა: ბიზანტიელებიდან გადადგომა და სპარსელებთან შეერთება მანამ არ გადაეწყვიტათ, სანამ მის სიტყვას არ მოისმენდნენ.

როგორც იქნა, ხალხი ჩაწყნარდა და ჩაშოშმინდა. მან თვალი მიაპყრო კაცს, რომელსაც იგი დიდად აფასებდა და ანგარიშს უწევდა.

ამ კაცს სახელად ერქვა ფ ა რ ტ ა ზ ი.

ხალხის შუაგულში გამოვიდა ტანაზოვანი, ჭკვიანი, მაღალგონიერი. და თქვა ფარტაზმა:

„კოლხებო, თქვენც ის დაგემართათ, რაც, ჩვეულებრივ, სხვებსაც ხშირად დაემართებათ ხოლმე: ხერხიანად და მომხიბლავად თქმულმა სიტყვებმა შეარყიეს გონება თქვენი. უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმას, ვისაც მანამდე მისი ძალა არ გამოუცდია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი თქვენ იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ, რომ ის თავისი მოულოდნე-

ლობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიოთ იქედან ის, რაც უმჯობესია. იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოტყუედით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, სწორედ მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავს სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები: თვითონ კი მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც კარგადაა ცნობილი. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს მეფე გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო. არ შეიძლება გავიზიაროთ ის აზრი, რომ, რაკი რომაელებმა უკანონობა და ვერაგობა ჩაიდინეს, ამიტომ ჩვენც ჩვენს მშობლიურ წესებს გამოვეთხოვოთ და ჩვენც იმ ვერაგთა მსგავსად მსგავსივე ვერაგის სახელი მოვიპოვოთ... ნუ ავყვებით, მსჯელობის დროს მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რათა არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და ბუნდოვანი არ გავხადოთ ჩვენი მსჯავრი; საჭიროა შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა... უგუნური ადამიანები სულ მუდამ განვლილ უბედურებას დასტირიან, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს, არ აშფოთებთ ცვლილებები და როდესაც წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის

იმედებს... აიეტი ისე გვაშინებს, თითქოს ბავშვები ვიყვეთ: რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედესო, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. იმასაც ამბობს, რომაელებს დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არისო ამ მკვლელობის სულისჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყოო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს; იმას ჰგონია, ამ გზით დაგვარწმუნებს და ჩვენც ახლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით ჩვენს აშკარა მტრებს და ხვეწნა-მუდარით მუხლებში ჩავუვარდებით. სწორედ ამ მიზნით აიეტი ცდილობს კრებას გზა-კვალი დაუბნიოს. იმის ნაცვლად, რომ ჩვეულებისამებრ კრებამ ჯერ იმსჯელოს, ყოველივე ასწონ-დასწონოს და დადგენილება ბოლოს გამოიტანოს, აიეტმა ბოლო დასაწყისში მოიქცია და, ვიდრე ჩვენ რასმე გადავწყვეტდეთ, იმ უკვე შესრულებას შეუდგა. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?.. სინამდვილეში კი, თუ ჩვენ გონივრულად ვიქსჯელებთ, ცხადი გახდება მაშინვე, რომ არც რომაულ ჯარებს, არც სტრატეგოსებს, საერთოდ აღებულს, მით უმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. ხომ თვით მათ შორისვეა გავრცელებული ხმები და ერთხმად აღიარებული, რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ გუბაზის წარმატება, აჰყვნენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს, ხოლო დანარჩენი სარდლები არა თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც წუხდნენ. უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით, და ამასთან მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შემოვსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება... სპარსელების მხარეზე გადასვლა ყველაზე უწმინდური საქმე იმით იქნება, რომ ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოებას. სპარსელები ხომ ჩვენი სარწმუნოების, ჩვენი წეს-ჩვეულებების მტრები არიან, ისინი მამაპაპეულ ადათებს წაგვართმევენ და თავიანთ სჯულზე გადაგვიყვანენ. ამაზე სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც. რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ? კიდევაც რომ ნება დაგვრთონ და ჩვენს ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია — მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ყოველთვის ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოან-

გარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას. მათ შორის მტკიცე კავშირი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა აზრთა ერთიანობაა... ჰოდა, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ენებასაც უფრო ადვილად მოგვაყენებენ, ვინაიდან ფარული მტრისგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან. ანდა, თუ გნებავთ, დავუშვათ, სპარსელები მართლა სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. მაგრამ ეს აზრიც რომ შევიღოთ, მაშინაც ვერ მოვახერხებთ სპარსელების მხარეზე გადასვლას, რადგან რომაელთა მრავალრიცხოვანი ჯარები ზედ თავზე გვადგანან, ხოლო ირანელები ჩვენგან შორს არიან... მერე, ნურავინ ნუ ცდილობს, წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, ლაჩრულად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობებს უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ, ეს შეეფერებოდეს საცოდავ და უმწეო არსებას, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. პირიქით, ის რომ აქ იყოს, უეჭველია, ვითარცა ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვკიცხავდა ჩვენი ამგვარი ზრახვებისათვის, მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ მოვქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაქაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სამარცხვინო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს... მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა, რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. ხოლო, თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად".

## წათე მეორე, ძე წათე პირველისა

ფარტაზის სიტყვამ სავსებით გადაშალა წინარე ორატორის, აიეტის გავლენით მიღებული შთაბეჭდილება. ხალხმა ერთბაშად იგრიალა: დაე, უარი ითქვას სპარსელებთან შერიგებაზე, დავრჩეთ ბიზანტიელთა მოკავშირეებად და კეისარ იუსტინიანეს მოვთხოვოთ დასჯა გუბაზ მეფის მკვლელებისა.

ეგრისელ წარჩინებულთა დელეგაცია კონსტანტინოპოლს ჩავიდა და იუსტინიანეს წარუდგა. ელჩებმა დაწვრილებით გააცნეს კეისარს გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებანი და თავისი მისია ასეთი წარდგინებით დაასრულეს: ჩვენ სხვა არაფერი გვინდა, ოღონდ დაუსჯელს ნუ დატოვებ ამ ბოროტმოქმედებას; ხოლო მეფედ წ ა თ ე გამოგვიგზავნეო, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიონში ცხოვრობს; წათე იქნეს ჩვენი ხელმწიფე, რამეთუ დაცულ იქნას ეგრისელთა მამაპაპეული ადათ-წესები და ძველი სამეფო კოლხური გვარიც უცხო თესლთაგან შეურევნელი დარჩესო.

იუსტინიანემ სავსებით დააკმაყოფილა ქართველთა მოთხოვნა. მაშინვე გამოარჩია სასახლის კარის „ერთი პირველი კაცთაგანი", სენატორი ა თ ა ნ ა ს ე, და სასწრაფოდ გაგზავნა ეგრისს გუბაზის მკვლელობის ადგილზედვე გამოსაკვლევად და მკვლელთა დასასჯელად.

ათანასემ საქართველოში ჩასვლისთანავე მკვლელებიდან რუსტიკე საპყრობილეში ჩააგდო; იოანემ გაქცევა სცადა, მაგრამ შეიპყრეს და ისიც ბორკილდადებული შეამწყვდიეს სატუსაღოში.

სასამართლოც მალე უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ნახორაგანმა უზარმაზარი სპარსული არმიით შემოასწრო რიონისა და ცხენისწყლის შესაყარში.

ეგრისის ახალმა ხელმწიფემაც მოატანა კონსტანტინოპოლიდან.

ჩოდიოდა წ ა თ ე მეორე, ძე წათე პირველისა, უმრწემესი ძმა გუბაზ მეფისა.

მოდიოდა სამეფო ინსიგნიებითა და ბრწყინვალე ტანსაცმლით მორთულ-მოკაზმული: თავზე თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი ედგა, მხრებზე გრძელი, ოქრონემსული ქიტონი წამოესხა, წელზე ოქროს აბზინდიანი და კეთილშობილი ქვებით დამძიმებული ზოსტერი ერტყა, ფეხზე წითელი კოლხური წაღები ეცვა, ქრისოლითებითა და მარგალიტებით დამშვენებული.

ბანაკებიდან გამოვიდნენ ბიზანტიური ჯარები კოლხთა ახალ მეფესთან შესაგებებლად. წინ სტრატეგოსები მოუძღოდნენ ლეგიონებს.

დიდის კრძალვითა და პატივით მიეახლნენ მეფეს.

ლაზები გამოვიდნენ მხედრული წყობით დარაზმულნი; საყვირთა ცემითა და კოლხური დროშების ფრიალით შეეგებნენ ახალგაზრდა გვირგვინოსანს.

„ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული“.

**უცნობი გმირი**

მაგრამ ეგრისელებს ხანგრძლივი ზეიმისათვის არ ეცალათ. სპარსელები ეგრისის შუაგულ მიწა-წყალზე იდგნენ.

555 წლის ადრიან გაზაფხულზე ნახორაგანი 60 000-იანი არმიით გაეშურა ნესოსთან, არქეოპოლისის (ციხე-გოჯის) მახლობლად დაბანაკებულ ბიზანტიელთა და ქართველთა ჯარებისაკენ.

სპარსელთა სარდალმა წინასწარ 3 000 რჩეული მოისარ-შუბოსანი გამოჰყო და მოწინააღმდეგის ბანაკზე მოულოდნელი თავდასხმისათვის გაგზავნა.

გზად მიმავალმა მეწინავე სპარსელებმა ვიღაც სოფლელი ეგრისელი დაატყვევეს და ციხე-გოჯისკენ (ბიზანტიელ-ქართველთა ბანაკისკენ) მეგზურობა უბრძანეს.

ისიც „სიამოვნებით“ დათანხმდა.

ბნელი ღამე იდგა.

მეგზურმა წყვდიადით ისარგებლა. სპარსელებს შეუმჩნევლად ჩამოშორდა, ციხე-გოჯის ბანაკს მიეშურა და შემზარავი ხმით გადასძახა:

„საცოდავებო, ადექით, თორემ სადაცაა ამოწყდებით, სიკვდილი კარზე მოგდგომიათ!“

ბიზანტიელთა და ქართველთა ბანაკი სასწრაფოდ წამოიშალა, იარაღი აისხა და მოახლოებულ მტერს ჩაუსაფრდა.

საფარში მოხვედრილი სპარსელები განადგურდნენ. სამი ათასი კაციდან ათასმა კაცმა ძლივს მიიტანა სული ნახორაგანთან.

ეგრისელი მეგზურის სახელი აღარ შემორჩა ისტორიას.

ხოლო მისი წრფელი თავდადება სამშობლოსათვის ჭეშმარიტ გმირობად დარჩა თაობებს.

ნახორაგანი ძირითადი ძალებით ნესოს-არქეოპოლისის ბანაკებს მიუახლოვდა და ბიზანტიელთა მთავარსარდალი მოსალაპარაკებლად გამოიხმო.

გამოვიდა მარტინე.

(ხედავთ, იუსტინიანეს გუბაზ მეფის ეს ერთი მკვლელთაგანი დასჯის ნაცვლად მთავარსარდლად დაუტოვებია).

ნახორაგანმა უთხრა მარტინეს: კარგი იქნება, ჩვენმა მეფეებმა ზავი დასდონ, ხოლო, სანამ ზავი გაფორმდებოდეს, მანამდე შენი ჯარები ეგრისიდან ტრაპეზუნტში გადაიყვანეო; უკეთუ შენის ნებით ამას არ იზამ, მაშინ იცოდე, ჩემო კარგო, ძალით გაგაგდებ ეგრისიდანო.

მარტინემაც უპასუხა: ზავი მეც ძალიან მწადია, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მაგნაირ ყოყლოჩინობას თავს დაანებებ და შენს ჯარებს ეგრისიდან იბერიაში გადაიყვანო.

ასე და ამნაირად, მიიღებდნენ თუ არა საზავო პირობებს, მოინაცვლებდნენ თუ არა თავისი ჯარებით ადგილებს, არც ერთი მათგანი ქართული სამანებიდან გასვლას არ აპირებდა.

მტრები მტრებადვე დაშორდნენ ერთურთს.

ნახორაგანმა ნესოსზე იერიშის მიტანას თავი დაანება და ღამით, მტრისგან იდუმალ, რიონის მარცხენა მხარეზე გადავიდა და ფასის-ფოთისკენ გაეშურა. მას ეგონა ადვილად აიღებდა ფოთის ციხეს, რომელიც ხისაგან იყო ნაგები. მეორე დღეს, გვიან დილით, ბიზანტიელებმა შეიტყვეს ნახორაგანის ახალი სალაშქრო მარშრუტის ამბავი. სტრატეგოსებმა ლეგიონები ნავებში ჩასხეს და რიონზე ცურვით შავი ზღვისაკენ გაუტიეს, — იქნებ როგორმე ჩაესწროთ და ფოთის კარიბჭეებთან დახვედროდნენ სპარსელებს.

არც ნახორაგანს გამოჰპარვია მტრის გამოდევნება და ფოთთან მიახლოებისთანავე, ქალაქის მისასვლელთან მდინარე ნამორებითა და ნავებით ჩახერგა, თან სპილოების ჯოგიც ჩააყენა მდინარეში „ბარიკადებად“.

როცა ბიზანტიელებმა წყლის ამ უცნაურ ხერგილს თვალი მოჰკრეს, მაშინვე თავისი „ფლოტით“ უკუიქცნენ.

სპარსელები გამოედევნენ, კიდევაც წამოეწივნენ, მაგრამ ბიზანტიელები ნავებიდან გადაცვივდნენ და ხმელეთზე გადავიდნენ.

მოწინააღმდეგენი რიონის მოპირდაპირე მხარეებზე აღმოჩნდნენ: სპარსელები მარცხნივ, ბიზანტიელები მარჯვნივ.

ახლა საქმე ის იყო, ვინ გაასწრებდა. ორივე მხარე სწრაფი მარშით დაიძრა ფოთისაკენ.

ბიზანტიელებმა და ქართველებმა შეასწრეს ქალაქში. შეასწრეს და გაცხოველებით შეუდგნენ მის გამაგრებას. ციხის დამპალი კედლები აღადგინეს. მათ წინ მიწის მაღალი ბორცვი აღმართეს. წინ, პალიასტომსა და რიონს შორის წყლით სავსე თხრილი გაიყვანეს. თხრილს გადმოღმა ღრმა ორმოები ამოთხარეს, რათა სპარსელებს ამ გზით საიერიშო მანქანები ვერ გაეტარებინათ. ზღვისა და მდინარის სანაპიროთა გასწვრივ გემები ჩაამწკრივეს, გემებზე თოკებით ნავები ჩამოჰკიდეს, ნავებში მეომრები ჩაასაფრეს. ახლომახლო სოფლებიც გადასწვეს, რომ მტერს ვერც საკვები ეპოვნა და ვერც სხვა რაიმე მასალა ფოთზე საიერიშოდ.

ჯარებიც ამნაირად განაწილდნენ ქალაქის დასაცავად: ზღვისკენ ბიზანტიელთა ნაწილით იუსტინე დადგა, მის ხელმარჯვნივ, რიონის შესართავთან — თვითონ მარტინე, მდინარის გასწვრივ — ანგილა, პალიასტომის მხრიდან — გიბრე და ვალერიანე, ხოლო ხმელეთის მხარეს, სპარსელთა მოსალოდნელი სახმელეთო იერიშის პირისპირ იდგნენ ქართველები ჩვენთვის უკვე ცნობილი თ ე ო დ ო რ ე ჭ ა ნ ი ს მეთაურობით (გაიხსენეთ: 553 წელს მარტინემ ტელეფისიდან გაქცევისას, სპარსელთა შესაკავებლად, არიერგარდში დააყენა ქართველ-ჭანები თეოდორეს მეთაურობით).

არც სპარსელები დამცხრალან. ნახორაგანმა ტყეში რაზმები აფრინა ორმოების ამოსავსები და საიერიშო მანქანათა გასაწყობი ხე-მასალის მოსატანად.

სანამ ორმოებსაც ამოავსებდნენ, მანამ ნახორაგანმა მშვილდოსანთა რაზმები დასძრა ქალაქზე საიერიშოდ. ორივე მხრიდან წამოვიდა ისრის მერეხი. გულფიცხელმა ჭანებმა თავი ვეღარ შეიკავეს, ქალაქიდან გამოიჭრნენ და საიერიშოდ მოახლოებულ მტერს გულდაგულ შეებნენ. მიჰყვა სარდალი თეოდორეც, რომელიც დრომდე ამაოდ ცდილობდა თავისიანთა შეკავებას.

ეს პირველი შეტაკება უთანასწორო შეიქნა. ხელჩართულში ჩაბმულ სპარსელთა რიცხვი ახალ-ახალი რაზმებით ივსებოდა, ხოლო ბიზანტიელები არც ფიქრობდნენ მიშველებოდნენ ჭანებს.

ალყაში მოაქციეს სპარსელებმა ჰანები. მაგრამ დიდმა სიმამაცემ მაინც თავისი გაიტანა.

ჰანებმა ალყა გაარღვიეს და ისევ ქალაქის კედლებს შეაფარეს თავი.

მეორე დღეს მთავარსარდალმა მარტინემ ბიზანტიელები შეჰყარა, თითქოს მიმდინარე მდგომარეობაზე მოსათათბირებლად. ის იყო, სიტყვა უნდა წამოეწყო, უცებ ვიღაც კაცი შემოიჭრა დაღლილ-დაქანცული, გაოფლილ-გამტვერიანებული; პირდაპირ მარტინეს მიეახლა და მთელი ჯარის გასაგონად გამოაცხადა, კონსტანტინოპოლიდან მოვდივარ, მთავარსარდალთან კეისრის წერილი მომიტანიაო. მარტინემ წერილი ჩამოართვა და ხმამაღლა „წაიკითხა“:

„გიგზავნი ახალ ჯარს, იმაზე არანაკლებს, რაც უკვე გყავს. ვიცი, თქვენი ვაჟკაცობით თქვენზე მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესაც დაამარცხებთ, მაგრამ ჯარს მაინც გიგზავნი, უფრო ჩემი თქვენდამი კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად, ვიდრე აუცილებელი საჭიროების გამო. მაშ, მიიღეთ ეს ახალი ჯარიც, იყავით ყოჩაღად და იბრძოლეთ თავგამოდებით, ხოლო ჩვენ ამიერიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რაც თქვენთვის საჭირო იქნება“.

(ვერავინ მიხვდა, რომ ყველაფერი ეს მარტინესაგან გათამაშებული სცენა იყო. ასეთი ხრიკით იგი ცდილობდა ერთდროულად თავისიანებიც გაემხნევებინა და მტრებიც შეეშინებინა).

„ჯარი სად არისო“, — იყვირეს აქეთ-იქიდან.

„სულ რაღაც ოთხ ფარასანგზე (თხუთმეტ კილომეტრზე) შესდგაო დასასვენებლად“, — უპასუხა მოსულმა.

მაშინვე მარტინეც ჩაერია „მრისხანე“ სახით და სიტყვით:

„ახლავე უკან წავიდეს ის ჯარი, შინისაკენ! მე იმათ აქ არ შემოვუშვებ. პირდაპირ საკვირველია! ეს ხალხი, ჩემი თანამებრძოლი ლეგიონები ამდენ ხანს იბრძვიან, მტერს ზედიზედ ამარცხებენ, ახლა სადაც არის მტერს სავსებით კისერს მოსტეხენ და საბოლოოდ გაიმარჯვებენ, და აი, ამნაირ დროს, მზამზარეულზე მობრძანდებიან, რამეთუ ჩვენი უეჭველი გამარჯვების გვირგვინები და ჯილდოები გაინაწილონ. ახლავე უკან გაბრუნდნენ-მეთქი, ხოლო ომს ჩვენ იმათ გარეშეც დიდებულად დავაბოლოებთ!“

ეს თქვა და, სანამ ჯარი რაიმეს თქმას მოასწრებდა, თვითონვე მიახალა:

„განა, თქვენც ამ აზრისა არა ხართ, ძვირფასო მეომრებო და მეგობრებო?“

„ასეა, ასე, მართალს ბრძანებს მთავარსარდალი!“ — უანგარიშოდ იღრიალა ლაშქარმა.

სპარსელთა ბანაკმაც შეიტყო ბიზანტიელთა „ახალი ჯარის“ მოსვლის ამბავი. ნახორაგანი დაფრთხა და მაშინვე თავისი მხედრობის დიდი ნაწილი „იმ ჯარის“ შესახვედრად გაგზავნა. თვითონ დანარჩენი ძალებით ფოთზე საიერიშოდ დაიძრა. ჩქარობდა, ქალაქი მანამ უნდა აეღო, სანამ სახელდახელოდ გაგზავნილი მისი ჯარი ბიზანტიელთა ნიჯადად (დამხმარე) მოსულ „ახალ ჯარს“ შეაკავებდა.

როცა ნახორაგანი იერიშზე მიდიოდა, ბიზანტიელთა ერთ-ერთი სარდალი, იუსტინე გერმანეს ძე, 5000 ცხენოსნით ქალაქგარეთ გამოსულიყო და მახლობელი ტაძრისაკენ მიდიოდა სალოცავად.

მათ ერთმანეთი არც შეუნიშნავთ, რადგან ნახორაგანი აღმოსავლეთიდან მოიწევდა საიერიშოდ, ხოლო იუსტინე სამხრეთის მიმართულებით მიდიოდა ტაძრისაკენ.

ნახორაგანმა იერიში დაიწყო.

საშინელი ბრძოლა გაჩაღდა ქალაქის მთლიან წრეწირზე.

ისრის მერეხი ცას აბნელებდა. მეომართა ყიჟინა, დაჭრილთა ღრიალი და იარაღის ზრიალი აყრუებდა გარემოს.

საომარი წონასწორობა დიდხანს არ ირღვეოდა. მაგრამ, იგი დაარღვია ქალაქიდან სალოცავად გასულ იუსტინესა და მისი კავალერიის გამოჩენამ. იუსტინემ აქამდე არც იცოდა, რა ამბებიც დატრიალებულიყო ქალაქის გარშემო. ხოლო ახლა, როცა დაინახა იერიშზე მისული მტერი, მაშინვე სასტიკად შეუტია სპარსელთა მარცხენა ფრთას.

სპარსელებმა იფიქრეს, მოულოდნელ იერიშზე სწორედ ის ჯარი მოვიდა, რომელსაც დამხმარე ძალად ბიზანტიელები მოელოდნენო. ეს ირწმუნეს და საომარი მხნეობაც დაჰკარგეს. სპარსელთა მარცხენა ფრთა უკუიქცა.

კვლავ გამოიჭრნენ ჰანები ქალაქგარეთ თეოდორეს მეთაურობით. გააფთრებით შეუტიეს უკვე აჭრილ ირანელთა გწკრიევებს. მისდევდნენ და უმოწყალოდ სჩეხდნენ გაქცეულებს.

ჯერ ისევ მედგრად იდგა ნახორაგანის მარჯვენა ფრთა. წინ სპილოები უდგნენ ირანელებს, იმდროინდელი „ტანკები“ და მოარუ-

ლი ციხესიმაგრენი. ხან სპილოებით უტევდნენ ისინი, ხან კავალერიით.

მისჭირდათ კიდეც ამ მხარეზე ბიზანტიელებს, გაქცევასაც აღარაფერი დაჰკლებიათ, რომ ისევ შემთხვევამ იხსნა ისინი: ერთმა ბიზანტიელმა შუბოსანმა, სახელად ოგნარიმ, რომელსაც სპილო გამოჰკიდებოდა და არეულ-დარეულ ხალხში ჩაჭედილს გასაქცევი გზაც ვეღარ ეპოვნა, შიშით ატანილმა მოიერიშე სპილოს ანგარიშმიუცემლად აძგერა შუბი შიგ თვალსა და თვალს შუა. შუბლში ღრმად შეჭრილმა იარალმა სპილო საშინლად გააცოფა. მან თავისი მხედრები შორს მოისროლა, მერე ახლო-მახლო ადამიანებისა და ცხენების ფეხით ჭყლეტასა და ეშვებით დაგლეჯას შეუდგა. სპარსელთა რიგები აირია. ბიზანტიელები გამხნეებულნი მიეტევნენ მტერს. ნახორაგანს უკვე აღარ შეეძლო თავისიანთა შეკავება. თვითონაც გაიქცა ბრძოლიდან.

10 000 სპარსელი დაირეცა* ფოთის კედლებთან.

გამარჯვებულებს აუარებელი ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ.

დამარცხებული ნახორაგანი ქუთაისში დაბრუნდა. აქ მხედრობის დიდი ნაწილი ჩააყენა, ხოლო თვითონ ეგრისი მიატოვა და ქართლში გადავიდა.

ფასისთან მოპოვებულ გამარჯვებას გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება მოჰყვა. ათანასემ გულდასმით წარმართა სასამართლო პროცესი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კოლხ ბრალმდებელთა სიტყვებმა.

ბოლოს, სასამართლოს განჩინებით მთავარ მკვლელებს, — ძმებს, რუსტიკესა და იოანეს სიკვდილი მიესაჯათ.

ისინი ჯერ ვირებზე უკუღმა შესვეს და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ. თან ბიზანტიელი გზირი სახალხოდ გაჰკიოდა:

„აი, შეხედეთ, მკვლელები, ბოროტი მკვლელები! ხალხო, გეშინოდეთ კანონებისა! ერიდეთ უსამართლო მკვლელობას! გეშინოდეთ კანონებისა!“

მერე, ხალხის შესახედავად, ყელები ქათმებივით გამოსჭრეს რუსტიკეს და იოანეს.

---

* დარეცა—დაფენა (საბა).

ეგრისელები მაინც შეჰზარა და შეაძრწუნა „კულტურულ" ბიზანტიელთა ამნაირმა „ბარბაროსობამ"...

რაც შეეხება მარტინეს, იგი სიკვდილისაგან იხსნა ფასისთან მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებამ. იუსტინიანემ მას მთავარსარდლობიდან გადაყენება აკმარა. კეისარმა ეგრისში ახალ სარდლად იუსტინე გერმანეს ძე დანიშნა.

**მისიმიელთა აჯანყება**

და ძილი, ღამის ნიაღვარი,
მოეკლინა გილგამეშს.

გილგამეშიანი.

ეგრისში ჩამოქცეულ „სისხლის წვიმების" წლებში კიდევ ერთი საშინელი ტრაგედია დატრიალდა სვანეთისა და აფხაზეთის საზღვარზე.

აქ ცხოვრობდა მისიმიელთა ქართულ-სვანური მოდგმის ტომი, რომელიც, აფხაზთა და სვანთა მსგავსად, ეგრის-ლაზეთის მეფეს ემორჩილებოდა.

555 წელს მისიმიელთა ქვეყანაში მივიდა ბიზანტიელი სარდალი, სახელად სოტერიქე, რომელიც აქედან მოკავშირე ალანებთან უნდა გადასულიყო და კეისრისაგან გამოტანებული ფული გადაეცა მათთვის.

სოტერიქე თავისი მრავალრიცხოვანი მცველებით დადგა ციხესიმაგრე ბუქლოოსში. ეს ციხე საქართველოსა და ალანეთის საზღვარზე მდებარეობდა. ამიტომ საკმაოდ ბუნებრივად, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიიჩნიეს, რომ ბიზანტიელი სარდალი აპირებს ბუქლოოსი ალანებს გადასცეს.

მისიმიელებმა ბიზანტიელ სარდალს ელჩები მიუგზავნეს, ორი დიდად საპატიო და გავლენიანი წარჩინებული — ხადე და თიანე.

ხადე და თიანე სოტერიქეს წარუდგნენ და მოახსენეს:

„უსამართლობის მოყენება განგიზრახავს ჩვენთვის, სტრატეგოსო. მაგრამ არც სხვას უნდა მისცე ნება, ქონება წაგვართვას, არც თვითონ უნდა მოინდომო ამის ჩადენა. ხოლო თუ ეს შენ მართლა არ გიძევს გულში, აქედან საჩქაროდ წადი და სხვა ადგილას გადაბარგდი. შენ იქ სურსათი არ მოგაკლდება: ჩვენ თვითონ მოგიტანთ ყველაფერს.

აქ კი შენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩე. ჩვენ ვერ შევიწყნარებთ, რომ შენ აქ თუნდაც დააყოვნო და დაიცადო“.

როგორ თუ მე, ბიზანტიის სარდალს, ამ მონებმა ასეთი რამე გამიბედესო და სტერიქემ მხლებლებს უბრძანა, მოსულებს სასტიკად სცემეთო. ისინიც ხადესა და თიანეს ჯოხებით მისცივდნენ და იმდენი ცემეს, ლამის სიკვდილზე მიაყენეს.

ნაცემ-ნატყეპმა მოციქულებმა ძლივს მიიტანეს სული თავისიანებთან.

ასეთმა უსამართლობამ საშინლად ააღელვა თავისუფლებისმოყვარე და თავმომწონე მთიელი ხალხი.

ბიზანტიელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ „მონა ბარბაროსები“ მათ ხელუყოფას გაბედავდნენ. ამიტომ ისინი სავსებით მშვიდად მისცემიან ძილს.

შუაღამისას მისიმიელები თავს დაესხნენ ბიზანტიელებს და სარდლიან-ამალიანად ყველა ამოჟლიტეს.

ესეც იცოდნენ აჯანყებულებმა, კეისარი მათ სისხლს არ შეარჩენდა და დახმარება სპარსელთა სარდალ ნახორაგანს სთხოვეს. ნახორაგანმაც სცადა ხელის გამოღება, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან თვითონაც ხომ იმ წელს შავი დღე დაადგა ფასისთან გამართულ მძიმე ბრძოლაში.

ასე რომ, მისიმიელები მარტო უნდა დახვედროდნენ რიცხობრივი ძალმოსილებით უპირატეს მტერს.

556 წლის გაზაფხულზე ბიზანტიელთა ახალმა მთავარსარდალმა იუსტინემ რ ო დ ო პ ო ლ ი ს ი (ვარდციხე) წაართვა სპარსელებს. ამის შემდგომ მან თვითონ დასძრა ჯარები კავკასიონისკენ, მისიმიელთა დასასჯელად. გზაზე მთავარსარდალი ავად გახდა და უკან გამობრუნდა, ბიზანტიური არმია კი იოანე ბუზესა და თეოდორე ჭანის სარდლობით მიადგა მისიმიელთა პირველ დიდ ციხესიმაგრეს, ძ ა ხ ა რ ს, რომელსაც სიმტკიცისათვის „რკინის ციხესაც“ უწოდებდნენ.

სასტიკი ბრძოლა ბიზანტიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ძახარის დამცველთა უმრავლესობა, ოთხმოცი კაცის გარდა, მტერს შეაწყდა.

მერე, ძახარის მახლობელ რომელიღაც კლდოვან სოფელს მხადგნენ ბიზანტიელები. მაგრამ სოფელიც მიუვალი ციხესიმაგრე გამოდგა. ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს და საჭმელ-სასმელის მისატანი გზები გადაუჭრეს მას. ალყა გაჭიანურდა, მერე ერთმა მზვერავმა შენიშნა:

ღამღამობით თურმე სოფლელები კლდოვან ბილიკს მოჰყვებოდნენ დ> კლდის ძირიდან წყაროს წყალი აჰქონდათ. მზვერავს ისიც შეუმჩნევია, რომ ბილიკს რვა მისიმიელი გუშაგი იცავდა.

შუაღამისას ჯსი რჩეული ბიზანტიელი თეოდორე ჭანის მეთაურობით ფრთხილად შეუყვა ბილიკს.

გუშაგებს ცეცხლი დაენთოთ. შვიდს ღრმა ძილით ეძინა. მერვეც, მორიგე გუშაგი, ცეცხლთან ჩაკეცილიყო და ძლივს უმკლავდებოდ> მოძალებულ ძილს.

რომელიღაც ბიზანტიელ მეომარს ტალახიან მიწაზე ფეხი აუსხლტა, უხერხულად დაეცა და ფარი ჭახანით გადაუტყდა. ერთდროულად, ერთ თვალისდახამხამებაში, გუშაგებსაც გაეღვიძათ და ბიზანტიელებიც ბუჩქებსა და ნაპრალებში ჩაიკარგნენ. ალბათ მოგვეჩვენაო, იფიქრეს მისიმიელებმა და ისევ ძილს მისცეს თავი.

მაგრამ აღარასოდეს გაუღვიძიათ, ძილშივე ჩახოცეს.

საიერიშოდ გზა გახსნილი იყო...

ბიზანტიელები შეესივნენ მშფოთვარე ძილით მძინარე სოფელს.

ძილი და სიკვდილი ძმები არიანო, ამბობდნენ ძველი ბერძნები. ჰეშმარიტად ორივე ერთად სწვეოდა მისიმიელებს. მაგრამ ბედნიერი იყო ის, ვინც ძილში ჩაკლეს, ვინც ძილით განაგრძო მძრადიული ძილი, და იმჟამინდელი შემზარავი კაცთაკვლა თვალთ არ იხილა. ბიზანტიელები კარებთან ხვდებოდნენ ანაზდეული საყვირების ცემით სახლიდან გამოჭრილ მცხოვრებლებს და უწყალოდ სჩეხდნენ. არ ინდობდნენ არც კაცს, ძრც ქალს, არც შოხუცს, არც ბალღს.

ქალთა კივილი და ბავშვთა წრიაქი აზანზარებდა გარემოს.

სახლიდან ქალი გამოიჭრა, პერანგის ამარა, თმაჩამოშლილი, ჩირაღდნით ხელში. ბიზანტიელმა გულში აძგერა შუბი. ხელიდან ჩირაღდანი გამოსტაცა და ისლით დახურულ სახლს ესროლა. ხანძარი მოედო სახლს. სხვებიც მიჰყვნენ ჩირაღდნებით ხელში. მთელ სოფელს მოსდებ ხანძარი. შორეულ აფხაზურ სოფლებში ხედავდნენ მისიმიელთა სოფლიდან ცადატყორცნილ ცეცხლთა ენებს, ესმოდათ იქიდან მოვარდნილი ბღავილი, გნიასი, წიოკობა.

ტრაგედია საშინელ ღაშესთან ერთად თავდებოდა.

უკანასკნელად შემორჩენილ ქალებს ძუძუს ქვეშ სცემდნენ მახვილებს.

აღნავლებულ, დედის მაძახურ ბალღებს ფერხით მოიგდებდნენ და კლდეზე ისროდნენ.

დღე-ღამის განსადრეკელზე ყველაფერი დასრულდა და სისხლით გამძღარ მკვლელთა ბრბოები თითქოს დაუსჯელად უნდა გასულიყვნენ სისხლდადენილი და დაფერფლილი სოფლიდან.

მაგრამ მოულოდნელად ხუთასი მისიმიელი მოიჭრა რომელიღაც მეზობელი ციხიდან.

მოვარდნენ ვითარცა სასტიკი შურისმგებელნი. გაეწაფულნი დაერივნენ ბიზანტიელებს, რომლებიც ასეთი ანაზდაითი თავდასხმით დაიბნენ და დაიფანტნენ. ბევრი დაწყვიტეს შურისმგებლებმა. ზოგი კლდეზე გადასჩეხეს. დანარჩენმა ბიზანტიელებმა, დაჭრილებმა და კლდეებზე ხეთქებით წვივმუხლდახეთქილებმა, ძლივს ჩაიტანეს სული ბანაკში.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მოირთეს ძალი ბიზანტიელებმა და ისევ შეესივნენ მისიმიელთა სოფელ-ქალაქებს.

ბოლოს და ბოლოს, რიცხობრივმა სიმრავლემ სძლია მცირერიცხოვანთა სიმამაცეს. მისიმიელებმა შერიგება ითხოვეს.

სარდალი იოანე ბუზე სიხარულით შეხვდა საზავო წინადადებას. მისიმიელთაგან 28 800 ოქროს ფული აიღო და ჯარებიც გაიყვანა მათი ქვეყნიდან.

სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა ნელ-ნელა შეუდგა მამაპაპეული სიძლიერის აღდგენას.

### ზავი და სვანეთი

ბიზანტია-სპარსეთის ომი ეგრის-ლაზეთისათვის ორი ათეული წელი გაგრძელდა. ბრძოლის სასწორი, ბოლოს და ბოლოს, ბიზანტიისკენ გადაიხარა.

გაცოფებულმა ხოსრო შაჰმა მისი უკანასკნელი ქანარანგი (სარდალი) ნახორაგანში საქართველოდან გაიძახა და მარცხისათვის საშინელი წამებით მოაკვდინა: სპარსული წესით ცოცხლად, ოთხ მარგილზე ოთხივე კიდურით გააკრა და თავ-კისრიდან ფეხის ფრჩხილებამდე ტყავი გახადა.

მერე კეისარ იუსტინიანეს ელჩი გაუგზავნა და საზავო მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა.

იუსტინიანე დათანხმდა.

ჯერ დროებით ზავზე შეიქნა მსჯელობა და შეთანხმდნენ იმჟამად დაკავებული ტერიტორიებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ბოლოს, 562 წელს, ქალაქ დარაში მუდმივი ზავის დასადებად შეხვდნენ ბიზანტიის და სპარსეთის ელჩობანი. პირველს სათავეში უდგა პეტრე პატრიკიოსი, ისტორიკოსი, დიპლომატი და სამეფო კარის გვარდიის უფროსი; ხოლო, მეორეს — ზიქი იესდეგუსნაფი, შაჰინშაჰის მესაწოლეთუხუცესი.

თითქმის ყველა სასაზღვრო საკითხი თანხმობით გადაწყდა. მაგრამ ერთადერთი საქმე აღმოჩნდა ძალიან სადავო და გადაუწყვეტელი.

ეს იყო სვანეთის საკითხი.

სვანეთს თავისი მთავარი ჰყავდა, მაგრამ როგორც ზემოთ ითქვა, ეგრისის მეფის ქვეშევრდომობაში შედიოდა. ეს უბრალოდ, თანამოძმეთა ერთიანობა იყო. სვანეთის მთავარი სამთავრო ინსიგნიებს ეგრისის მეფისგან ღებულობდა. სვანეთიდან ლაზეთის პატრონი გადასახადის მაგივრად თაფლსა და ბეწვეულს ღებულობდა, ხოლო სამაგიეროდ იგი სვანეთში პურსა და მარილს აგზავნიდა. გუბაზ მეფის მკვლელობის ჟამს სვანებმა ბიზანტიელები გამორეკეს და სპარსეთს მიემხრნენ. მას შემდეგ ეგრისში ფეხამოკვეთილი სპარსელები სვანებზე ხელს აღარ იღებდნენ და ახლაც, საზავო მოლაპარაკების დროს, ბიზანტიელებს სწორედ ამ საკითხზე ედავებოდნენ.

არც ერთ მხარეს არ სურდა დაეთმო სვანეთი.

ბიზანტია და სპარსეთი ცოცხალ დათვს ატყავებდნენ და ვერ გაეტყავებინათ.

მერე ხოსროსაც შეხვდა პეტრე პატრიკიოსი და უთხრა:

„მას შემდეგ, რაც ომის ხანძარი ჩავაქრეთ და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მაინც დარჩა ერთი ნაპერწკალი: ესაა სვანეთის საკითხი, რომელიც ორივე მხარეს გვემუქრება, მალე ახალი უდიდესი უთანხმოების ხანძრად გადავიქცეეო“.

მრავალი დიპლომატიური წიაღსვლის მიუხედავად არაფერმა არ გაჭრა.

562 წელს ქალაქ დარაში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ორმოცდაათწლიანი ზავი გაფორმდა, მაგრამ სვანეთის საკითხი მაინც სადავო და გადაუჭრელი დარჩა.

ჯერჯერობით ეგრისი ბიზანტიელებს დარჩათ, ხოლო სვანეთი — სპარსელებს.

# ქართლი უმეფობის ხანაში

იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

პროკოპიოს კესარიელი.

## გურგენ მეფის მემკვიდრეები

როგორც ზემოთ ითქვა, 523 წელს, გურგენ მეფის გადახვეწის შემდგომ, კავად შაჰმა ქართლში მარზპანი დასვა.

სპარსული „მარზპანობის“ დასაწყის წლებში ქართლში მაინც მჯდარა ქართველი მეფე, სახელად ძამანარსე.

535 წელს ძამანარსე მეუღლე-დედოფლისა და დარბაზის ერთა თანხლებით კონსტანტინოპოლს ჩასულა და კეისარ იუსტინიანესთვის კაეშარი და მეგობრობა შეუთავაზებია. კეისარი დიდი სიხარულით შეხვედრია კიდევ ერთი ქართველი გვირგვინოსნის დაახლოებას და საპატიო სტუმრები დიდძალი ძღვენითა და საჩუქრებით დატვირთული გამოუსტუმრებია.

მაგრამ, ეტყობა, ვერც ამჯერად უშველია ქართველ ხელმწიფეს ბიზანტიასთან სიახლოვემ. ძამანარსეს ბიზანტიური ვიზიტის შემდეგ ქართლში აღარც თვითონ ძამანარსე ჩანს; აღარც სხვა რომელიმე ქართველი გვირგვინოსანი.

ქართლში მეფობა მოისპო.

პოლიტიკური ხელისუფალი სპარსელი მარზპანი შეიქნა.

მაგრამ შინაურ საქმეებს მაინც ადგილობრივი, ქართველი აზნაურები განაგებდნენ.

ლაზეთ-ეგრისში მიმდინარე შფოთიანი ისტორიის პარალელურად, „უმეფობის დროის“ ქართლშიც ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა. ბევრმა იმდროინდელმა ქართველმა ისახელა თავი, ზოგმა თვით ქართლსა შინა, ზოგმაც ქართლიდან შორს, უცხოობაში.

ბიზანტიის იმპერიაში დიდად გაითქვა სახელი გურგენ მეფის უფ-

როსმა ვაჟმა, ფ ი რ ა ნ მ ა. იგი ჰაბუკობიდანვე დაწინაურდა როგორც მამაცი ჯარისკაცი და ნიჭიერი ჯარისუფროსი.

განსაკუთრებით უყვარდა ფირან იბერიელი სახელოვან მხედართმთავარს ველისარს. ხშირად ერთად იბრძოდნენ ისინი დასავლეთში და აღმოსავლეთში — გერმანელებთან და სპარსელებთან. ლაჩრებით, მოღალატეებით, გაიძვერებითა და მლიქვნელებით გარშემორტყმული ველისარი დიდად აფასებდა ქართველი ვაჟკაცის ჭეშმარიტ ვაჟკაცობას, სიმამაცეს, ერთგულებას, გამჭრიახობასა და თავდადებას. ამიტომ ხშირად იგი ყველაზე საპასუხისმგებლო ფრონტებზე აგზავნიდა ქართველ სარდალს.

535 წელს გუთ-გერმანელებთან ბრძოლებში, სიცილიისა და იტალიის ფრონტებზე, ბიზანტიელთა პირველ გმირად ფირან იბერიელი აღიარეს.

537 წელს რომის კარიბჭეებთან, ველისარის ძირითად ძალთა მოსვლამდე, ქართველი სარდალი, მცირერიცხოვანი რაზმით წარმატებით იჭერიებდა გუთების მრავალრიცხოვანი ურდოს გახელებულ შეტევებს, რომელთაც მეფე ვიტიგისი მოუძღოდა.

იმავე წელს ფირანმა რომის მეორე კარიბჭიდან, სალარიიდან, სულ რამდენიმე მეომრის თანხლებით, აოტნა გერმანელები.

539 წელს ველისარს იტალიაში ორი დიდი ციხე-ქალაქი ჰქონდა ასაღები — ურბიბენტუსი და ურბინუსი. პირველის წინააღმდეგ ფირან იბერიელი გაგზავნა, მეორეს თვითონ შეუტია. ბიზანტიელმა ალყითა და შიმშილით დაიპყრო ქალაქი, ქართველმა — ხმლითა და იერიშით...

იმავე წელს აფრიკაში, ვანდალებთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი კეისრისაგან წარგზავნილ სარდლებს—რ უ ფ ი ნ ს და ლ ე ო ნ ტ ი ს.

და ფირან იბერიელმა შეიტყო, რომ რუფინე და ლეონტი წარმოშობით კ ო ლ ხ ე ბ ი ყოფილან, სახელოვანი ფ ა რ ს მ ა ნ კ ო ლ ხ ი ს შვილიშვილები, ზ ა ვ ნ ა ფარსმანის ძის შვილები...

543 წლიდან ფირან იბერიელს აღმოსავლეთის ფრონტებზე ვხედავთ. ამ წელს მესოპოტამიაში, ტარავნონთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ფირანმა სპარსელთა ჯარი.

მომდევნო წელს ქალაქ ედესასთან ისევ გაანადგურა ქართველმა სტრატეგოსმა სპარსელები.

მაგრამ ამავე 544 წელს მოულოდნელმა სიკვდილმა უყელა ფირან იბერიელს.

სანადიროდ იყო გასული, ნადირობის მოტრფიალე ვაჟკაცი.

მკვდარი იპოვნეს, სადღაც ჟალტამში დაგდებული. თავზე ცხენი დასდგომოდა.

ალბათ ცხენიდან გადმოვარდაო.

და დაივიწყეს...

(ამნაირია ბედი სამშობლოდაკარგული და „გაუცხოებული“ ადამიანისა: ღვიძლი დედა ვ ე ღ ა რ იხსენებს, დედინაცვალი ა ღ ა რ ახსენებს).

ერთი ძე დარჩენია ფირანს, სახელად ბ ა კ უ რ ი.

ბაკური ღირსეული შვილი ყოფილა თავისი მამისა — მამაცი, ნიჭიერი, ჭკვიანი.

542 წელს გერმანელთა მეფემ ტ ო ტ ი ლ ამ იტალიიდან შემოუტია ბიზანტიელებს.

ბაკურ ფირანის ძეს ბიზანტიის მთავარსარდლობა ყველაზე მძიმე ბრძოლებში აგზავნიდა.

552—553 წლებში სამხრეთ იტალიაში ძალიან გაუჭირდათ ბიზანტიელებს. ტოტილამ ალყა შემოარტყა ქალაქ კროტონს, რომელშიც ბიზანტიელთა ციხიონი იდგა, ქალაქ ტარენტუმიდან გერმანელებმა მოწინააღმდეგენი გამოდევნეს და თვითონ ჩადგნენ.

კეისარმა ბაკურ ფირანის ძე ფლოტსა და ჯარს უსარდლა და სამხრეთ იტალიაში გაგზავნა.

ბაკურმა იონიის ზღვა სწრაფი მარშით გადალახა და ფლოტი სწრაფადვე შეიყვანა კროტონის უბეში. იერიშიც ბრძანა. გერმანელებმა შეტევას ვერ გაუძლეს და კროტონს ალყა მოხსნეს. ზოგმა ზღვაზე გაასწრო, ზოგმა ხმელზე.

ახლა ტარენტუმისკენ დაიძრა ბაკურ ფირანის ძე.

ბრძოლის დაწყებამდე ტარენტუმში და აქერონტში მდგარი გერმანელების ბელადებმა — რ ა გ ნ ა რ ი ს მ ა და მ ო რ ა ს მ ა, ქართველ სარდალს სიცოცხლის გარანტია სთხოვეს და ქალაქების ჩაბარება აღუთქვეს. რაგნარისმა თან მძევლად ექვსი მეომარი გამოუგზავნა ბაკურს.

ქართველმაც სიტყვა მისცა. მერე ქალაქების ჩასაბარებლად და ბიზანტიურ ჭვეშევრდომობაში გერმანელ სარდალთა მისაღებად მოემზადა.

მაგრამ უცებ მდგომარეობა შეიცვალა. ტოტილას მეტოქე გამოუჩნდა — ვიღაც ტ ე ი ა, რომელმაც გერმანელთა ჰეშმარიტ მეფედ გა-

მოაცხადა თავი. რაგნარისს ტეიასთან შერიგება ჰკუაში დაუჯდა და ბაკურ იბერიელთნ პირის შლა გადაწყვიტა. უპირველესად, მან იმაზე დაიწყო ფიქრი, რანაირად დაებრუნებინა ის მეომრები, რომლებიც ადრე ბაკურს მძევლებად გამოუგზავნა. ამ მიზნით მან ამნაირ ხერხს მიმართა: ბაკურს შემოუთვალა, მცირეოდენი რაზმი გამომგზავნე, რომ ქალაქიდან უშიშრად გამოვიდე და კონსტანტინოპოლშიც მშვიდობით ჩავაღწიოო.

ქართველ სარდალს თურმე მთელს არმიაში იცნობდნენ, როგორც გასაოცრად მიმნდობი გულის ადამიანს. და ახლაც იგი ამნაირ უკრიტიკო და უყოყმანო ნდობით მოეპყრა ვერაგი ბარბაროსის შემონათვალს. აიღო, და რაგნარისს ორმოცდაათი მეომარი გაუგზავნა. რაგნარისმაც ეს ორმოცდაათი ბიზანტიელი საპყრობილეში ჩაყარა და ბაკურს შემოუთვალა: თუ ახლავე ის ჩემი ექვსი მეომარი უკანვე არ გამოგიგზავნია, ყველა შენს მეომარს ყელებს დავჭრიო.

ასეთი ვერაგობით ცეცხლმოდებულმა ბაკურმა მაშინვე საომრად დასძრა ლაშქარი.

რაგნარისმაც არც აცივა, არც აცხელა, იმ ბიზანტიელ შეომრებს ყელებიც დასჭრა და თავისი ჯარებიც საომრად გამოიყვანა.

ქართველმა სარდალმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ ვერც გამარჯვებამ გაუქარვა ბოღმა და ჯავრი: რაგნარისმა, რომელმაც ბრძოლაში თავისი გერმანული ლაშქრის უმეტესი ნაწილი დაჰკარგა, მაინც მოახერხა ბრძოლის ველიდან ცოცხლად თავის გაღწევა.

ბაკურმა ტარენტუმი და აქერონტი აიღო და შიგ ბიზანტიური ციხიონები ჩააყენა.

კიდევ ერთმა კაცმა გამოიჩინა თავი გურგენის შთამომავალთაგან.

ეს იყო მისი მეორე შვილიშვილი (ფირანის ძმისწული, ბაკურის ბიძაშვილი), სახელად ფ ა ზ ა.

542 წელს კეისარმა იუსტინიანემ იტალიის პრეფექტად გაგზავნა მაქსიმინე, რომელსაც თან გაატანა ფლოტი თრაკიული და სომხური ჯარებით. თრაკიელებს ჰეროდიანე სარდლობდა, ხოლო სომხებს ფ ა ზ ა ი ბ ე რ ი ე ლ ი.

იმავე წელს ტოტილამ ნეაპოლის მხრიდან შემოუტია იტალიას. მაქსიმინემ ჰეროდიანე და ფაზა იბერიელი გაგზავნა ფლოტით. გავიდნენ თუ არა, საშინელი ქარტეხილი ამოვარდა ზღვაზე. გემები სავსებით დაეფანტათ დრუნგარებს (ადმირალებს).

ხელცარიელნი უკუიქცნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ქარტეხილი ჩავარდა და გერმანელები უკუაქციეს ნეაპოლიდან.

547 წელს ველისარი გაემართა ფლოტით და ლაშქრით ტარენტუმისკენ.

ზღვიდან თვითონ მიადგა ქალაქს მთავარსარდალი, ხოლო ხმელეთიდან — ფაზა იბერიელი და მისი მხედრობა.

ორმხრივი ძლიერი იერიშის ქვეშ გერმანელები იძლივნენ და ქალაქიც ბიზანტიელებს შეატოვეს ხელთ.

გამარჯვება ბიზანტიელთა სიხარბემ და სიმდაბლემ შეარყვნა. ისინი საძარცვავად და სარბევად მოედვნენ მახლობელ სოფლებს.

ფაზა იბერიელი აღშფოთებული ჩაკეტილიყო კარავში.

უცებ გერმანელთა მგრგვინავი სამარი ყიჟინა გაისმა.

ტოტილას დამხმარე ძალები გაშოეგზავნა თავისიანებისათვის.

დაქსაქსული და დაბნეული ბიზანტიელები უეჭველი განადგურებისათვის იყვნენ განწირულნი.

მაგრამ ელვასავით გამოიჭრა კარვიდან ფაზა იბერიელი.

ცხენს მოახტა და სამწყობროდ თავისთან მოუწოდა ჯარს.

გამხნევდნენ ბიზანტიელები. გულმაგრად მიაშურეს სარდალს.

ვინც კი მოასწრო, სახელდახელო რაზმეულებად შემოიკრიბა იბერიელმა.

გავეშებით შეუტია მოიერიშე გერმანელებს.

ორივე მხარე გააოცა ფაზა ქართველის მეომრულმა სიქველემ და სივაჟკაცემ.

უკუიქცნენ გერმანელები.

დაედევნა ფაზა იბერიელი.

ერთ ვიწრო ხევში ჩაინთქნენ დევნილნი და მდევარნი.

ხაფანგში აღმოჩნდნენ მდევრები.

ახლა მხოლოდ ლამაზი სიკვდილისათვის იბრძოდა ფაზა იბერიელი.

შორიდან ნაძგერალი ისრებითა და პილუმებით დაცხრილული გადმოეშვა ცხენიდან.

ბიზანტიელები, განსაკუთრებით ველისარი, დიდი სიმძიმილით შეხვდნენ უმამაცესი სარდლისა და მეომრის სიკვდილს.

მისი სხეულიც უცხო მიწაში დამიწდა...

## „ცამეტი მამა“

ისინი მოვიდნენ შუამდინარეთიდან, ასურეთიდან, VI საუკუნის შუა ხანებში.

მოვიდნენ, ვითარცა სარწმუნოებრივი მოღვაწენი, სულიერი განმანათლებლები და ზნეობრივი განმამტკიცებელნი.

ცამეტი ასურელი მამა:

იოვანე ზედაზნელი
დავით გარეჯელი
სტეფანე ხირსელი
იოსებ ალავერდელი
ზენონ იყალთოელი
ანტონ მარტყოფელი
ისე წილკნელი
თათე სტეფანწმინდელი
შიო მღვიმელი
ისიდორე სამთავნელი
აბიბოს ნეკრესელი
მიქელ ულუმბელი
პიროს ბრეთელი.

მათგან მხოლოდ ექვსი გამოსჩანს ისტორიაში მათი „ცხოვრების“ ზედმეტ-ნაკლები სისრულით: იოვანე, დავით, შიო, ისე, ანტონ, აბიბოს.

იოვანე შუამდინარეთიდან იყო, წარმოშობით ქართველი. მშობლები არც თვითონ ახსოვდა და არც სხვამ იცოდა. ყოფილა დიდად განათლებული და ღრმა სათნოებით შემკობილი. იყო ბრძენი აქიმა-მკურნალი და „ეშმაკეულთა მჩხიბავი“.

ახალგაზრდობაშივე მშობლიური სოფელი მიატოვა და შორს, მიყრუებულ უდაბნოში ბერული ცხოვრება დაიწყო. ცხოვრობდა დიდი შარხულობითა და თვითგვემით.

აქვე იოვანემ დაიმოწაფა თორმეტი მოწაფე-მოციქული, ყველანი შისებრ ქართველნი.

მერე ვითომ „ბრძანება მიიღო ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტით მოწაფითურთ თვისით წარვიდეს ქართლად“.

ასეცაც მოიქცა. მოვიდა და მოიყვანა ქართლში, მცხეთაში, თორმეტი მოწაფე; სულ — „ცამეტი მამა“.

თვითონ იოვანე ავიდა და სამოღვაწეოდ დადგა არაგვის მარცხნივ, მცხეთის პირდაპირ, ზედაზენის მთაზე (სადაც ერთ დროს იდგა კერპი ზადენ). აქედანვე წარმოსდგა მისი ზედსახელი — ზედაზნელი.

იოვანემ თავისთან დაიტოვა ელია დიაკონი, ხოლო დანარჩენი მოწაფეები სამოღვაწოდ გაგზავნა ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში.

იოვანემ ზედაზნის მთაზე მრავალი „სასწაული" მოახდინა:

წყალი არ იყო და წყარო განაჩინა (დღესაც არსებობს ეს მშვენიერი წყარო).

ჯერ კიდევ ყოფილა კერპნი და „ეშმაკთა სიმრავლე" ზედაზენზე, და იოვანემ ის უკანასკნელი კერპებიც დაამსხვრია და ჯვარის ამაღლება-გაძლიერებით, „ეშმაკთა სიმრავლეც" აღკვეთა სავსებით.

დათვი მოდიოდა, ადამიანებს აშინებდა. იოვანე იმ დათვს „გაესაუბრა" და იმ წუთიდან ის დათვიც და მისი თანატყიურნი ცხვრებივით მოთვინიერდნენ.

მოჰყავდათ ავადმყოფნი, ტანგანრღვეულნი და სულგანრღვეულნი, — და იოვანე სასწაულებრივი მკურნალობით კურნავდა მათ.

იცოცხლა ღრმა მოხუცებამდე. სიკვდილის წინ მოწაფეები შემოიკრიბა, დაარიგა და დამოძღვრა.

დაკრძალეს იქვე, ზედაზენზე.

დავითიც შუამდინარეთიდან იყო. მისი ბავშვობაც უცხობა დარჩა ისტორიისთვის. არც მისი მშობლების შესახებ შემორჩენილა რაიმე ცნობა. იგი იოვანე ზედაზნელმა ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში გაგზავნა სამოღვაწოდ (აქედან — ზედსახელი გარეჯელი).

გარეჯში მისვლამდე დავითი ტფილისში ჩავიდა და დასავლეთიდან გადმომდგარ მთაზე გაჩერდა. სწორედ ამ მთას, სადაც ერთ ხანზე ცხოვრობდა დავით გარეჯელი, იმ დროიდან შემორჩა სახელი — მამადავითის მთა.

ტფილისის სამღვდელონი მტრულად შეხვედრიან უცხოეთიდან ჩამოსულ თვისტომს. კიდევაც შეთხზულა ლეგენდარული „პროვოკაცია":

ტფილისის ერთ დედათა მონასტერში მონაზონი დაორკეცებულა. ეს აკრძალული მიჯნურობა ადგილობრივმა მეშურნე-მოწესეებმა დავითს დააბრალეს. რისხვით ავსილი დავითი იმ ქალთან მივარდნილა და მუცელში ჩაუძახნია:

„მიპასუხე, მე ვარ მამაშენი?“

„არა, არა, არა!“ — ამოსძახა ბავშვმა მუცლიდან.

მაგრამ ქალმა მაინც ურცხვად გამოუცხადა საკრებულოს: ნამდვილად დავითისგან ვარ დაორკეცებულიო.

მაშინ დავითმა ქალს მუცელზე კვერთხი მიაბჯინა და მრისხანედ შესძახა:

„ქვა შვი, ქვა შვი, ქვა შვი, შეჩვენებულო ცილისმწამებელო!“

და ქალმა მართლაც ბავშვის ნაცვლად ქვა შობა.

თითქოს ეს ამბავი იმ ადგილზე მოხდა, სადაც შემდგომში აშენდა ქაშვეთის („ქვა შვა“-საგან) ეკლესია.

ამ ზღაპრიდან მხოლოდ ის შეიძლება დავიჯეროთ, რომ დავითს იქნებ მართლაც ჰქონოდა რაიმე იდუმალი ტრფიალი ლამაზი და ვნებიანი მონაზვნისადმი.

ასე იყო თუ ისე, ამ საჩოთირო ინციდენტის შემდგომ დავითი და ლუკიანე გაეშურნენ გარეჯის უდაბნოში. აქ ერთ ხანზე ძალიან უჭირდათ ზაფხულის პაპანაქება სიცხესა და ზამთრის ძვალთამტეხელ ყინვანეფხვებში. მერე სამი ფურ-ირემი შემოეჩვიათ თავისი ნუკრებით. ამ „ღვთაებრივ ირმებს“ სწველიდნენ და მათი რძითა და ხაჭოთი ირჩენდნენ თავს. მახლობელ ღელეში ცხოვრობდა გველეშაპი, რომელმაც ერთი ირმის ნუკრი შთანთქა. დავითი გულდებულად გაუხტა იმ გველეშაპს და საშინელი წყევლით დასწყევლა. გველეშაპი გაიქცა და ყარაიას ველზე რომ მიატანა, ციდან მეხი დაეცა და დაიწვა.

სასწაული სასწაულს აედევნა.

ერთ დღეს მინდვრად სამკურნალო ბალახთა საკრეფად გასულ დავით გარეჯელს წინ კაკბებზე მონადირე დიდებული შემოჰყრია, სახელად ბუბაქარი. არ ვიცით, რა აწყენინა უწყინარმა ფიჩოსანმა ზვიად აზნაურს, რომ ბუბაქარს მახვილი უძვრია და აღუმართავს დავითის მოსაკლავად. მაგრამ მოქნევაც ვერ მოუსწრია, ისე ერთი თვალის დასხივებით შეუსახავით შეუხმია ხმლიანი მარჯვენა ბუბაქარისთვის. მერე თვითონვე შეჰვედრებია ბუბაქარი, თავხედობა მაპატიე და შენვე მომირჩინეო მარჯვენა. დავითმა, ვითარცა ქრისტეს ჭეშმარიტმა მიმდევარმა, მის წინაშე ვედრებით ქვედავრდომილ არისტოკრატს ხელიც მოურჩინა და ავადმყოფი შვილიც განუკურნა. „ხოლო ამის გამო განისმა ხმა მისი და ფრიად მრავალნი ერნი დაემოწაფნეს, და მრავალნი ჯურღმულნი აღმოკუეთეს“. მის მოწაფეთა და მიმდევართა შორის ყველაზე გამოჩენილი მოძღვარი შეიქნა დოდო.

მამა-დავითი არ ცხრებოდა. იქვე, ბერთუბანში „წყალნი მწარენი დაატკბნა“. ეს გემრიელი წყარონი დღესაც მოედინებიან ბერთუბნის მონასტრის ახლომახლო. დავითი და მისი მოწაფეები კლდეებში მღვიმეებს ჰკვეთდნენ, ეკლესიებს აშენებდნენ, სადგომებსა და სავანეებს ხსნიდნენ. გარეჯი და მისი შემოგარენი უბრწყინვალეს კულტურულ ცენტრად იქცა. აქ სწავლობდნენ თეოლოგიას, ფილოსოფიას, მეცნიერებათა და ხელოვნებათა სხვადასხვა დარგებს. წერდნენ წიგნებს, ხატავდნენ და აჩუქურთმებდნენ.

ბოლო ხანს დავით გარეჯელმა იერუსალიმი მოიარა და უკანდაბრუნებული მალე გარდაიცვალა.

დაასაფლავეს იქვე, გარეჯში.

შიო წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. ბავშვობაშივე სახლიდან წავიდა, იოვანეს დაემოწაფა და ბოლოს, მასთან ერთად მოვიდა ქართლად. აქ მან იოვანესაგან და კათალიკოსისაგან განტევება ითხოვა და მარტომყოფელ ასკეტად გაეშურა მცხეთის დასავლეთით თხოთის მთებისაკენ. აქ ერთ ღრმა ხეობაში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეზე, შიომ იპოვნა მღვიმე-გამოქვაბული და შიგ დაბინავდა (აქედან — ზედსახელი მ ღ ვ ი მ ე ლ ი). ამ მიყრუებულ სადგომში ყოველდღე მტრედს მიჰქონდა საჭმელი შიოსთვის. ერთ დღეს იმ მტრედს კლდის თავიდან თვალი მოჰკრა სანადიროდ გამოსულმა დიდებულმა, ქართლის სპასპეტმა ე ვ ა გ რ ე მ. გაკვირვებული და ცნობისწადილით შეპყრობილი ევაგრე მტრედს მიჰყვა და შიოს მიადგა მღვიმეში. ერთმანეთს გაეცნენ. წარჩინებულ ერისკაცს ძალიან მოეწონა შიოს ცხოვრება და სთხოვა შენთან დამტოვე და შენნაირი ცხოვრების ნება მომეციო. შიომ ევაგრეს თავისი კვერთხი მიჰცა და უთხრა: აჰა, ეს კვერთხი, მტკვარს დაჰკარი და თუ წყალი განიპოს, ფსკერი გამოჩნდეს და ზედ მშრალად გაივლ-გამოივლი, მაშინ მოდი ჩემთან საცხოვრებლად, თუ არა და, სახლში დაბრუნდიო. ევაგრემაც ყველაფერი აღასრულა — მდინარეც განაპო, მის ფსკერზეც მშრალად გაიარ-გამოიარა, შიოს უკანმოუხედავად ეახლა და სამუდამოდ მასთან ერთად ბერულ ცხოვრებას შეუდგა. შიომ ევაგრეს ასწავლა ლოცვა, მარხვა, მოთმინება, დაყუდებული ცხოვრება, უძილობა და ყველაფერი, რაც ჭეშმარიტ ბერს მოეთხოვებოდა. იქვე მოძღვარმა და მოწაფემ აღაშენეს სახელგანთქმული მ ღ ვ ი მ ე ვ ი ს ტაძარი, ღვთისმშობლის სახელობისა.

შიოსა და ევაგრეს ღვაწლმა დიდად გაითქვა სახელი მთელ საქარ-

თველოში. მღვიმევის სავანე დიდი კულტურული საკრებულო და სამოღვაწო გახდა.

შიო მოხუცებულობაში გარდაიცვალა და იქვე მღვიმეში დაკრძალეს.

ი ს ე, გამოჩინებული მოწაფე და მიმდევარი იოვანე ზედაზნელისა, ქართლის კათალიკოსმა აკურთხა მღვდელმთავრად „მუხნარის ქვეყანაში“, სოფელ წილკანში (აქედან — ზედსახელი წ ი ლ კ ნ ე ლ ი). ბევრი აქაური წარმართი მოაქრისტიანა ისე წილკნელმა: „ფრიადი ურწმუნონი სწავლითა მოაქციენა, მოძღუღურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა“. ისეს ყველაზე დიდი „სასწაული“ შეიქნა მის მიერ წყლის გამოყვანა მდინარე ქსანიდან წილკანში.

შემდგომად გარდაცვალებისა ისე დიდის პატივით დაკრძალეს წილკნის ეკლესიაში.

ა ნ ტ ო ნ ი ც შუამდინარელი იყო, იოვანეს მოწაფეთა შორის „ფრიად სათნო და წარჩინებული“. საქართველოში გამომგზავრებამდე ანტონი ქალაქ ედესაში იყო წასული „ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის“ მოსაძებნად (თქმულება იყო ასეთი: თითქოს ედესის მეფეს, ავგაროზს, რომელსაც კეთრი სჭირდა, ქრისტემ შეუსრულა თხოვნა და გამოუგზავნა თავისი ხატი, ტილოზე გადაღებული. ამ ხატმა განკურნა ავგაროზი, რომელმაც ამის გამო ქრისტეც იწამა, თავისი ოჯახიც მონათლა და ქრისტეს ხატიც. „ფიცარსა ზედა გარდართხმული“, სათაყვანო კერპად აღმართა ქალაქის მთავარი კარიბჭის ზემოთ. ავგაროზის სიკვდილის შემდგომ მისმა შთამომავლობამ ქრისტე უარჰყო, ხოლო ავგაროზის ერთმა შვილიშვილმა ქრისტეს ხატის მოსპობაც კი სცადა, გარნა ედესის ეპისკოპოსმა დაასწრო და ხატი გადამალა).

დიდი წვალების შემდეგ, ანტონმა ქრისტეს ხატი იპოვნა და ედესიდან გამობრუნდა. გზად მან შეიტყო, რომ იოვანე და მისი მოწაფეები უკვე საქართველოს გზას დასდგომოდნენ. მაშინვე თვითონაც გამოეშურა ქართლისაკენ, უფლის ხატის თანხლებით. მტკვარი გადმოიარა და ერთხნობის ხეტიალის შემდგომ აკრიანის მთებში დაბინავდა. აქ, უღაღსა (უწყლო, მშრალი) და სერ-ტყიან ნაპრალებში ანტონი ცხოვრობდა მ ა რ ტ ო მ ყ ო ფ ე ლ ი ს („მარტყოფელი“) განრინებული ცხოვრებით. იკვებებოდა ბუნების „მზა პროდუქტით“. საღამოობით ასკეტ-ფურ-ირმები მოაკითხავდნენ, თვინიერად ეახლებოდნენ და ჯიქნებს

მოაწველინებდნენ. ასე, ველურ კენკრას სჭამდა, ირმის რძეს სვამდა და დღე და ღამე საუფლო ხატის წინაშე ლოცულობდა. ერთხელ ირმები გვიან მოვიდნენ განდეგილთან. ერთი ნუკრიც დაკოდილი და სისხლდადენილი მოჰყვა დედას. ანტონი გაჰკვირდა და უკან გაბრუნებულ ნადირთ კვალში ჩაუდგა. ირმებმა იგი ჩაიყვანეს აკრიანის მთის ძირას, ფართო ველზე, სადაც მთავარი ვინმე ნადირობდა მახლობელი დასახლებიდან. სწორედ იმ მთავარს დაეჯრა ირმის ნუკრი. ახლა ანტონს მიადგა მონადირე და ჰკითხა, ვინ ხარო. განდეგილმა მაღლა მთებისკენ ანიშნა ხელით, „რამეთუ ენა არა ესმოდა". რაკი ჩემი არ გესმის, სწორედ ეგ ხელი უნდა მოგკვეთო, რომლითაც ენის მაგივრად მეუბნებიო. ანტონი მისი ბრძანებით მჭედელთან მიიყვანეს, მჭედელმა ჭურაზე შანთები გააბურა და ბერისკენ მკლავის მოსაგლეჯად წაიწია. ანტონი ძირს დაეცა, ზეცად ხელები აღაპყრო და უმალვე თვითონ მჭედელს „ხელნი ვითარცა შეშანი შეექმნნეს". ყველას თავზარი დაეცა, მთავარიც მოიჭრა, „სასწაულთმოქმედს" ეთაყვანა და სთხოვა, რაც გნებავს, ბრძანე და ყოველივეს შეგისრულებო. ანტონი ქვას დასწვდა და გალოკა, — ამით ანიშნა, მარილი მინდაო. უზარმაზარი ლოდი მოართვეს ქვამარილისა. იმან მხოლოდ ერთი ლიტრა ჩამოიტეხა და მთებისკენ გასწია, ის ქვამარილი თავის სენაკის ახლო დასდო და ყოველ საღამოს მოახლოებულ ირმებს ალოკინებდა. აუარებელი მოწაფე და მნახველი გაუჩნდა ანტონ მარტომყოფელს. ყველას მისი „წმიდა სახელი" ეკერა პირზე. იმ ახლო სოფელსაც, აკრიანის მთის ძირას, ამიერიდან მ ა რ ტ უ ო ფ ი (ანტონ „მარტომყოფელისაგან") ეწოდა. ღრმა მოხუცებამდე იცოცხლა ანტონმა. გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. შემდგომ მის საფლავზე მისმა მოწაფეებმა ააშენეს მონასტერი, სადაც ედესიდან ჩამოტანილი საუფლო ხატი დაასვენეს. ამ ხატს ხალხი ღვთაებას ეძახდა, მონასტერსაც ღ ვ თ ა ე ბ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი დაერქვა.

„ათცამეტ მამათაგან" ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი (ნეკრესის ეპისკოპოსი) განსაკუთრებული მოწამებრივი ცხოვრებით გამოირჩევა, „ხოლო მიზეზი წამებისა მისისაი ესრეთ იყო":

ნეკრესში ცეცხლთაყვანისმცემლებს ცეცხლი დაეგზნოთ მითრას სადიდებლად. სპარსელი მოგვები ცხენს ამზადებდნენ შესაწირავად. უეცრად მოიჭრა ეპისკოპოსი აბიბოს, ცეცხლს წყალი დაასხა და დაშრიტა იგი. მისცვივდნენ სპარსელები, შეიპყრეს და უწყალოდ სცემეს. მერე ბორკილები გაუყარეს და საპყრობილეში ჩააგდეს. კარგა

ხნის წამების შემდგომ ამის შესახებ შეატყობინეს მცხეთაში მჯდარ მარზპანს. მარზპანმაც ბრძანა დაუყოვნებლივ მიეგვარათ მისთვის აბიბოს.

წინ გაიგდეს და ცემა-გვემით მცხეთისაკენ გაუყენეს აბიბოს ბორკილდადებული. გზაზე, შავი მთის (სირიაში, ანტიოქიის მახლობლად) სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწის, სვიმონ მესვეტის წერილი, კვერთხი და ეკლოგია (ნაკურთხი საჭმელი) მიიღო აბიბოსმა. ამან ძალიან გაახარა და სულიერად განამტკიცა წამებული. მერე ვინმე ქართველები შემოეყარნენ და ქართულად შეუძახეს: თუ მოისურვებ და სპარსელი მარზპანის წინაშე წასვლას არ ინებებ, ჩვენ გამოგიტაცებთ და უკანვე გაგაქცევთო, მაგრამ არ ინება აბიბოსმა.

მცხეთას რომ მივიდნენ, აბიბოსმა სპარსელებს სთხოვა, სანამ მარზპანს წარუდგენდნენ, ნება მიეცათ შიო მღვიმელს შეხვედროდა. იმათაც დართეს ნება.

შიო და აბიბოს ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილ მღვიმეში. დიდი სიმძიმილით ისაუბრეს სამშობლო ქვეყნის უბედურებაზე. მერე ერთმანეთი ვაამხნევეს, ილოცეს და დაემშვიდობნენ.

აბიბოს ნეკრესელი მარზპანს წარუდგინეს სოფელ რეხში, სადაც საგანგებო თეატრონი გაეწყოთ ხალხის თვალსასეიროდ.

მარზპანმა ჰკითხა აბიბოს:

„რაისთვის უარჰყავ უფლება მეფეთ მეფისა და მოჰკალი ღმერთი ჩვენი?“

აბიბოსმა მშვიდად უპასუხა:

„მე არ ვიცი სხვა ღმერთი, თვინიერ იესო ქრისტესი. ხოლო ცეცხლი, რომელიც მე დავშრიტე, იყო საცთური ეშმაკეულთა. ახლა მე გლოცავთ და მრჯიწოდებთ, ცეცხლმსახურებას განუდგეთ და აღიაროთ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე“.

„მე გეკითხები, რაისთვის მოჰკალ-მეთქი ჩვენი ღმერთი, ხოლო შენი ღმერთისკენ გვიპირებ გადაყვანას?“ — გაოცებით და გარისხებით იკითხა მარზპანმა.

ისევ სავსებით მშვიდად განაგრძო აბიბოსმა:

გაიგე, რომ მე ღმერთი არ მომიკლავს, არამედ მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არა, ბუნების ნაწილია, ქვეყნის ერთი ნივთთაგანი მცირე ნაწილი. სამყარო თანასწორად შედგება: სინოტივისაგან, სიცივისაგან, სიმყარისაგან და ცეცხლისაგან. ისინი ერთნაირი წონასწორობით აწონასწორებენ დედამიწას. ხოლო თუ ერთ-ერთი

მათგანი მეორეს აღემატა, მაშინ წონასწორობაც დაირღვევა. რაც შეეხება თქვენს ცეცხლს, იგი ბუნების ცეცხლის ნაწილია და მხოლოდ შეშის წვითა და ჰამით წარმოიშობა. მიტომაც საკმარისი აღმოჩნდა, მცირე წყალი დამესხა მასზე და მაშინვე დაშრეტილიყო, რამეთუ წყალი იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა მას ცეცხლსა ზედა. აწ მიკვირს თქვენი ესევითარი სიგიჟე, როგორ არ გრცხვენიათ, რომ ასეთ რაიმეს ღმერთად ღებულობთ?

მარზპანი ჰკუიდან შეშალა ქართველი ქრისტიანის „ფილოსოფიურმა“ მსჯელობამ. მისი ბრძანებით აბიბოს ნეკრესელი უზომოდ ჰგვემეს, აწამეს და ბოლოს, „ქვითა განტვინეს“. მისი გვამი ქალაქ გარეთ გაათრიეს და ღია ცის ქვეშ დააგდეს ყვავთა და ძაღლთა საჭიჭვნად. თან გუშაგები მიუჩინეს, ქრისტიანთაგან რომ არავინ მისულიყო წამებულის დასაკრძალავად.

ეს ამბები პირველად აღწერა არსენ I კათალიკოსმა IX საუკუნეში, აბიბოს ნეკრესელის წამებიდან სამასი წლის შემდგომ.

### ევსტათი მცხეთელი

არვანდ გუშნასპის მარზპანობის ჟამს მცხეთაში მოვიდა ერთი სპარსელი კაცი, ოცდაათი წლის, შვილი სპარსელი მოგვისა, სახელად გვირობანდაკ.

მცხეთაში დასახლდა და მეხამლეობა ისწავლა. ცოლად ქრისტიანი ქალი შეირთო; ქრისტიანობა შეისწავლა, შეიყვარა და ბოლოს, მოინათლა კიდეც.

ნათლობის სახელად დაერქვა ევსტათი.

ერთ დღეს სპარსელმა მეხამლეებმა და მეჯადაგეებმა მცხეთაში რაღაც სპარსული ტოზიკობა (დღესასწაული) გამართეს და ევსტათის შეუთვალეს, მოდი, შემოგვიერთდი, ჩვენთან ერთად იზეიმეო. ევსტათიმ უპასუხა: თქვენი ტოზიკობაც ბნელია, თქვენც ბნელი ხართო; მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღია, ქრისტეს ვტოზიკობ და თქვენი სიბნელისგან შორს ვარო.

გაჯავრებული სპარსელები მცხეთის ციხის უფროსს ეახლნენ და ევსტათი დააბეზღეს: აქ ერთი კაცია, ჩვენს სჯულსა ჰგმობს, დასცინის, აგინებს და იქადნის — ქრისტიანი ვარო.

ციხის უფროსმა, რომლის სახელიც იყო უსტამ, ბრძანა მოეყვანათ ევსტათი. ისიც მოვიდა. დამსმენები პირში წაუდგნენ, — ეგ

არისო ჩვენი სჯულის მაგინებელი. უსტამმა ევსტათის გამოჰკითხა, საიდან ხარ და რა სჯულზე დგახარო. ევსტათიმაც უპასუხა, სპარსელი ვარ, სპარსული სოფლიდან, მამაჩემი მოგვი იყო, მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ დავრწმუნდი, ქრისტიანობა ყველა სჯულზე უმაღლესია და მეც ქრისტეს სამსახურს შევუდექიო. უსტამმა უთხრა, იცოდე, ქრისტეს სამსახურს შენ არავინ შეგარჩენს და თუ ეგ სიგიჟე შენის ნებით არ მოგიშორებია, ძალიან დიდი სატანჯველი მოგელისო.

„არა თუ მხოლოდ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისათვის, არამედ სიკვდილითაც ჩემი თავი არ მეწყალებაო“, — უპასუხა ევსტათიმ.

ევსტათის სიმტკიცით შეფიქრიანებულმა უსტამმა ასე გადაწყვიტა: მე ამ კაცის დასჯის უფლება არა მაქვს, ამიტომ ტფილისს გავგზავნიო არვანდ გუშნასპთან, ქართლის მარზპანთან და იმან რაც უნდა ის უყოს, რამეთუ მას ქართლში ყოველი კაცის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება აქვსო.

ორი მხედრის თანხლებით უსტამ ციხისთავმა ევსტათი გაგზავნა ტფილისს. მაშინვე იგივე მაბეზღარებმა კიდევ რვა სპარსელი დააბეზღეს, რომელთაც აგრეთვე ქრისტიანობა მიეღოთ. ისინიც ევსტათიას გააყოლეს.

ყველანი გუშნასპ მარზპანს წარუდგინეს. არაფერმა გაჭრა, არც დარიგებამ, არც მუქარამ. ყველამ ერთხმად თქვა, ქრისტიანობა მივიღეთ და სიკვდილამდე მისი ერთგული დავრჩებითო.

გარისხებულმა მარზპანმა ურჩ ქვეშევრდომთა ცემა ბრძანა. უწყალოდ ცემეს. მერე მისივე ბრძანებით ყველას თავი და წვერი დაპარსეს, ცხვირები გაუხვრიტეს, კისრებზე ჯაჭვები დაადეს, ფეხებში ბორკილები შეუყარეს და საპყრობილეში შეამწყვდიეს. ესეც დაადევნეს, თუ რომელიმე თქვენგანი მამაპაპეულ სჯულს დაუბრუნდება, საბოძვარით ავავსებთ, ხოლო რომელიც ურჩობას არ დაიშლის, საპყრობილეშივე ჩაკვდებაო. ორმა გამოიჩინა სულმოკლეობა და სპარსულ სჯულს დაუბრუნდა. დანარჩნები ექვსი თვე ეყარნენ საპყრობილეში, ბორკილდებულნი, გვემულნი და მშიერ-მწყურვალნი.

მერე ხოსრო ანუშირვანის ბრძანება მოვიდა ტფილისს: მარზპან გუშნასპს სპარსეთად იხმობდა. გამგზავრების წინ გუშნასპს ეწვივნენ ქართლის კათალიკოსი სამოელ, ქართლის მამასახლისი გრიგოლ და ქართლის პიტიახში არშუშა, ყველანი ამალით და სეფეწულებით.

სათხოვარი გვაქვსო, ერთხმად მოახსენეს გუშნასპს.

როდის იყო თქვენს თხოვნაზე უარი მითქვამს, და ახლაც ბრძანეთ, რაიც გნებავთო. — უთქვამს გუშნასპს.

გთხოვთ, გაათავისუფლო მცხეთელები, რომლებიც ქრისტიანობის მიღებისთვის საპყრობილეში ჩაგიყრიაო.

ეგენი სიკვდილისთვის მყავდა გამზადებული, მაგრამ რაკი თქვენ შთხოვთ, ვათავისუფლებო, და ყველანი გამოუშვა კიდეც ციხიდან.

ისინი მცხეთაში დაბრუნდნენ.

არვანდ გუშნასპის წასვლიდან გავიდა სამი წელი. ამ სამი წლის მანძილზე ქართლში არც ქართველი მეფე იჯდა, არც სპარსელი მარზპანი.

მერე ხოსრო შაჰმა ტფილისში ვეჟან ბუზმირი გამოგზავნა მარზპანად.

ისევ აიშალნენ დამსმენნი, მაბეზღარნი. ახალ მარზპანს წარუდგნენ და ევსტათი დააბეზღეს: სპარსელი იყო, სპარსული სჯული უარყო, გაქრისტიანდა და გაქართველდაო.

ვეჟან ბუზმირმა დაიბარა ევსტათი ტფილისს. ბევრი ეცადა, მაგრამ არ იქნა და არ გატყდა იგი.

ბოლოს, გარისხებული მარზპანის ბრძანებით ევსტათის თავი გააგდებინეს. გვამი მისი ქრისტიანებმა მოიხელთეს და სამოელ კათალიკოსს მიუტანეს. სამოელის ბრძანებით წამებულის ნეშთი მცხეთის ტაძარში დაკრძალეს.

### „ერისმთავრობის“ დასაწყისი

565 წელს მოკვდა იმპერატორი იუსტინიანე.

შაჰმა ხოსრო I-მა ანუშირვანმა კიდევ ერთი ბიზანტიელი კეისარი მოინელა — იუსტინე II (565—578 წწ.).

ამ ორი მბრძანებლის დროს, 571—572 წლებში, სპარსული უღლის დასამხობად აჯანყდა ამიერკავკასიის სამივე ხალხი: ქართველები, სომხები, ალბანელები.

ეს ბიზანტიელებმა კარგად გამოიყენეს და, ერთმორწმუნე ქვეყნების დაცვის საბაბით, იუსტინე II-მ ხოსრო I-ს ომი გამოუცხადა.

სპარსელები ამიერკავკასიაში დამარცხდნენ და განიდევნენ. ხოლო ახალი ომი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის კიდევ ოც წელს გაგრძელდა. ვერც ხოსრო და ვერც იუსტინე მის დამთავრებას ვერ მოესწრო.

ბრძოლას მათი მომდევნო გვირგვინოსნები განაგრძობდნენ, სპარსი ჰორმიზდ IV (579—590 წწ.) და ბიზანტიელი ტიბერიუსი (578—582 წწ.).

582 წელს კონსტანტინოპოლის ტახტზე ახალი კეისარი ავიდა — მავრიკიოსი.

590 წელს ქტესიფონში შეთქმულებმა, ბაჰრამ ჩუბინის მეთაურობით, ჰორმიზდ IV ტახტიდან ჩამოაგდეს და გახურებული ნემსებით თვალები დათხარეს. ბაჰრამ ჩუბინის ძალაუფლება ერთი წელიც არ გაგრძელებულა. შაჰინშაჰობა ისევ ჰორმიზდის ვაჟმა, ხოსრო II ფარვიზმა დაიმკვიდრა (591—628 წწ.).

ხოსრო II-ის მეფობის დასაწყისი ძალზე არამდგრადი აღმოჩნდა. ბაჰრამ ჩუბინი მის დასამხობად ბრძოლას განაგრძობდა. ამიტომ ხოსრო იძულებული გახდა ბიზანტიის კეისრისათვის დახმარებაც კი ეთხოვა ტახტის შესანარჩუნებლად. 591 წელს ზავი დაიდო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. სპარსელებმა ბიზანტიელებს გადასცეს საქართველო ტფილისამდე და სომხეთი ვანის ტბამდე.

სპარსელთაგან ქართლის დათმობა სავსებით ფორმალური აღმოჩნდა. ქართლი სრულიად დამოუკიდებელი შეიქნა ქტესიფონისგანაც და კონსტანტინოპოლისგანაც.

ქართლის არისტოკრატიამ, რომელიც მარზპანობის დროსაც ქვეყანას თითქმის დამოუკიდებლად განაგებდა, ახალი, სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობა შემოიღო.

ესაა ერისმთავრობა.

ქართლის პირველ ერისმთავრად გამოცხადდა გუარამი, რომელსაც ბიზანტიიდან „კურაპალატის“ ტიტული ჰქონდა მიღებული.

გუარამ ერისმთავარი „იყო კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა“. მან დაიწყო ჯვარის დიდი მონასტრის მშენებლობა. მანამდე ჯვარი ღიად იდგა იმ მთაზე, რომელიც აღმოსავლეთიდან დასცქერის მტკვრისა და არაგვის შესართავს.

„ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა“.

გუარამი შეიქნა მთავარი გმირი შემდგომში ფართოდ გავრცელებული ლეგენდისა საქართველოს ახალი სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების წარმომავლობის შესახებ.

ლეგენდა ასე ანგარიშობდა: ღვთაებრივ-ბიბლიურმა გენეალოგიურმა ხემ ადამიდან ბაგრატიონთა დასაწყისამდე გაიარა „ოთხმოცდაათი მუხლი“:

1. ადამ
2. სეით
3. ენოს
4. კაინან
5. მალელ
6. იარედ
7. ენოქ
8. მათუსალა
9. ლამექ
10. ნოე
11. სემ
12. არფაქსად
13. კაინან
14. სალა
15. ებერ
16. ფალეგ
17. რაგავ
18. სერუქ
19. ნაქორ
20. თარა
21. აბრამ
22. ისაკ
23. იაკობ
24. იუდა
25. ფარეზ
26. ესრომ
27. არამ
28. ამინადაბ
29. ნაასონ
30. სალმონ
31. ბოოს
32. იობედ
33. ი ე ს ე
34. დ ა ვ ი თ
35. ს ო ლ ო მ ო ნ
36. რობუამ
37. აბია
38. ასაფ
39. იოსაფატ
40. იორამ
41. ოზია
42. იოთამ
43. აქაზ
44. ეზეკია
45. მანასე
46. ამონ
47. იოსია
48. იოვაკიმ
49. იექონია
50. სალათაელ
51. ზორაბაბელ
52. აბიუდ
53. ელიაკიმ
54. აზორ
55. სადუკ
56. აქიმ
57. ელიუდ
58. ელიაზარ
59. მატათან
60. იაკობ
61. იოსებ
62. ნაომ
63. სალა
64. რობუამ
65. მოხთარ
66. ელიაკიმ
67. ბენიამენ
68. იერობემ
69. მოსე
70. იუდა
71. ელიაზარ
72. ლევი
73. იორამ
74. მანასე
75. იაკობ
76. მიქია
77. იოვაკიმ
78. იერუბემ
79. აბრაჰამ
80. იობ
81. აქაბ
82. სვიმონ
83. იზაქარ
84. აბია
85. გაად
86. ასერ
87. ისაკ
88. დან
89. სოლომონ
90. სოლომონის შვიდი შვილი.

ხოლო „სოლომონის შვიდი შვილი“ პალესტინაში ატეხილ შინაომებს გამოექცნენ და ამიერკავკასიას მოაშურეს. ამათგან სამი სოხეთ-

ში დარჩა და დასაბამი მისცეს „სომეხ ბაგრატიონთა“ შტოს, ხოლო ოთხი საქართველოში მოვიდა „ქართველ ბაგრატიონთა“ მამამთავრად.

სწორედ ამ ოთხ ძმათაგან იყო გუარამი, ქართლის პირველი ერისმთავარი და ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის დამაარსებელი.

ლეგენდის ავტორებს, უეჭველად ბაგრატიონთა იდეოლოგებს, აინტერესებდათ ქართველ მეფეთა წარმომავლობა დაეკავშირებინათ „მსოფლიოურ მეფეთა სისხლთან“, განსაკუთრებით „ღვთაებრივ-გენეალოგიურ სიაში“ № 34, 35-ზე მოხსენიებულ „ღვთაებრივ ხელმწიფეებთან“ — დ ა ვ ი თ თ ა ნ და ს ო ლ ო მ ო ნ თ ა ნ. ანგარიშში „იქნა ჩავდებული“ აგრეთვე „ღვთაებრივი დავითის“ მამაც, № 33-ზე მოხსენიებული ი ე ს ე. ამიტომაც ქართველი ბაგრატიონები თავიანთ ტიტულატურას ასე იწყებდნენ:

„ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანი...“

გუარამის სიკვდილის შემდგომ ქართლის ერისმთავარი გახდა ძე მისი ს ტ ე ფ ა ნ ო ზ.

## ბიზანტიელები, სპარსელები და ხაზარები

და ვაცი თხათა განდიდნა ურიად.
წ ი გ ნ ი დ ა ნ ი ე ლ ი ს ა, VIII, 8.

დადგა VII საუკუნე. 602 წელს ბიზანტიაში დიდი აჯანყება მოხდა. ამით ისარგებლა კეისრობის მაძიებელმა ფ ო კ ა მ, რომელმაც მავრიკიოსს ჯერ მის თვალწინ შვილები დაუხოცა, მერე იმასაც თავი გააგდებინა და კეისრის ტახტი თვითონ დაისაკუთრა (602 — 610 წწ.).

ხოსრო მეორემ ეს ამბები საბაბად გამოიყენა, როგორ თუ ჩემი მფარველი კეისარი მოკლესო, და 604 წელს ომი გამოუცხადა ბიზანტიის ახალ იმპერატორს.

ისევ გაჩაღდა უთავეყამო ომები ბიზანტიასა და სპარსეთს შორის.

ძალზე მისჭირდათ ბიზანტიელებს.

სპარსელები ყოველწლიურად ცეცხლითა და მახვილით იჭრებოდნენ სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში, მცირე აზიაში.

610 წელს იმპერატორობის ახალი კანდიდატი მიადგა კონსტანტინოპოლს. ეს იყო კართაგენის ეგზარხოსის შვილი ჰ ე რ ა კ ლ ე. მან ტახტიდან გადმოაგდო ფოკა, სიკვდილით დასაჯა და თვითონ გახდა კეისარი (610 — 641 წწ.).

პირველი ხუთი წლის მანძილზე ვერც ჰერაკლემ შეძლო სპარსელთა შეკავება. სპარსელებმა ზედიზედ აიღეს ედესა, დამასკო, თარსუსი, იერუსალიმი. მერე ქალკედონსაც მიადგნენ ხოსროს ჯარები. კონსტანტინოპოლი საფრთხის ქვეშ დადგა. ჰერაკლემ ელჩები აახლა შ ა ხ ი ნ ს, ხოსროს სარდალს და დაზავება ითხოვა. როცა შახინმა თავის მბრძანებელს ბიზანტიელი ელჩები წარუდგინა, ხოსრომ შეუღრინა: შენ ელჩები კი არა, თვითონ ჰერაკლე კეისარი უნდა მოგეყვანაო დატყვევებული. ეს უთხრა და ერთგულ სარდალს ოთხში ამოღებით გააძრო ტყავი. იმ ტყავისაგან საღვინე ტიკი გააკეთებინა, ხოლო ჰერაკლეს მოციქულები ჯოხის ცემით დაახოცვინა.

ქალკედონი ვერ აიღეს სპარსელებმა. იქიდან გამობრუნდნენ და ეგვიპტეს შეესივნენ. ბიზანტიამ პურის ბეღელი დაჰკარგა.

ჰერაკლემ რამდენჯერმე სცადა კონტრშეტევაზე გადასვლა. მოკავშირეებად ლაზები, იბერიელები და აფხაზები ახლდა. მაგრამ ამათთან საერთო ენა ვერ გამონახა და მისი ამპარტავნობით გაგულისებული ქართველობა გადამწყვეტი გალაშქრების წინ სავსებით ჩამოშორდა ბიზანტიელთა ბანაკს.

ჰერაკლემ ახალი მოკავშირის ძებნა დაიწყო და მიაგნო კიდეც. ესენი იყვნენ ჩრდილოკავკასიელი ხაზარები. ხაზართა ხაკანმა (ბელადმა) ჯ ი ბ ღ უ მ კეისარს აღუთქვა კავკასიონის გადმოლახვა და სამხრეთისაკენ გალაშქრება.

ამასობაში სამხედრო რეფორმაც გაატარა ჰერაკლემ: გააძლიერა კავალერია და მშვილდოსან-მოისართა რაზმები.

622 წელს ბიზანტიელები შეტევაზე გადავიდნენ.

იმპერატორი ფლოტით წამოვიდა და ლაზეთს მოადგა. მაგრამ ლაზეთი მხოლოდ იმით დაიმახსოვრა, რომ აქ მისი თანმხლები დედოფალი მარტინე მოლოგინდა, ვაჟი შეეძინა, ვაჟს თავის სახელი ჰერაკლე დაარქვა.

ლაზეთიდან მცირე აზიისაკენ დაეშვნენ ბიზანტიელები და იქიდან განდევნეს სპარსელები, მერე სომხეთის საზღვარს მოადგნენ. ხოსრომ დიდძალი ლაშქარი აფრინა მტერთან შესახვედრად. ბრძოლის წინ ჰერაკლემ ხერხს მიმართა: თავისი ჯარი ზურგით მიაბრუნა აღმოსავლეთისკენ. ხოლო სპარსელთა არმია მზის ამოსვლისთანავე, როგორც წესი, მზისკენ შებრუნდა და მის სადიდებლად მიწაზე დაემხო. ჰერაკლემ მაშინვე იერიში ბრძანა. სპარსელებს ლოცვა არ დაემ-

თავრებინათ, როცა ბიზანტიელები ჩეხვაზე გადავიდნენ. ჰერაკლემ გაიმარჯვა და სომხეთი მთლიანად წაართვა სპარსელებს.

626 წელს ჰერაკლე კეისარი საქართველოს გულისკენ გამოემართა და ჩრდილოელ მოკავშირეებს, ხაზარებსაც მოუწოდა.

ჯიბღუ-ხაკანმა ხაზართა ურდოები დასძრა სამხრეთისაკენ. მოდიოდნენ მათთვის საყვარელი ძარცვისათვის, რბევისათვის, ნგრევისათვის, ტყვევნისათვის.

დერბენდის კარიბჭენი ხვივილით გადმოიარეს, ნიაღვარივით შემოიჭრნენ და ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ ალბანეთის სოფელ-ქალაქებს. „მათი თვალი არავის იბრალებდა, არც ულამაზეს ქალებს, არც ბავშვებს, არც მამრსა და არც მდედრს, არც უვარგისსა და უმაქნისს, არც ხეიბრებსა და მიხრწნილებს. არ იცოდებდნენ არც ჩვილ ბალღებს, რომლებიც დაკლულ დედებს ეხუტებოდნენ და ძუძუებიდან რძის მაგივრად სისხლსა სწოვდნენ“.

ალბანეთის აოხრება-გატიალების შემდეგ ხაზარები ქართლის საზღვრებში შემოიჭრნენ და „გარს შემოადგნენ მშვენიერს, მდიდარსა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტფილისს“.

მართლაც ამ დროს ტფილისი დიდი ქალაქი იყო. უკვე კარგა ხანს გაეელო მას შემდეგ, რაც „მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა“.

ტფილისთან ჰერაკლე კეისარი შეეგება ჯიბღუ-ხაკანს. ერთიმეორეს გადაეხვივნენ. კეისარმა ხაკანს თავზე საკუთარი გვირგვინი დაადგა, თავის შვილად გამოაცხადა, ქალიშვილის ევდოკიას სურათი აჩვენა და სიძობასაც შეჰპირდა, თუ სიძე კაცი სიმამრს ქართველთა და სპარსელთა დალაშქვრაში დაეხმარებოდა... ჯიბღუ-ხაკანი, მისი შვილი შ ა თ ი და მათი თანაშემწე სარდლები კეისარმა ოქრო-ვერცხლით აავსო, ყველას მეფური სამოსელი და კეთილშობილი ქვებით შემკული ბეჭდები დაურიგა. ერთად ინადიმეს ხაზარებმა და ბიზანტიელებმა. მერე ტფილისის საიერიშო თათბირს ჩაუჯდნენ ხაკანი და იმპერატორი.

მაშინ ქართლს განაგებდა ერისმთავარი ს ტ ე ფ ა ნ ო ზ, ძე გუარამისა.

სტეფანოზმა ქართლის ციხესიმაგრეთა გამაგრება ბრძანა და თვითონ ტფილისში ჩადგა ქართველთა და სპარსელთა ჯარით. ბრძოლის წინა დღით ხოსროსაგან გამოგზავნილი ათასი მეომარი მოეშველა ტფილისს, შაჰრაპალის სარდლობით.

ბიზანტიელებმა და ხაზარებმა ყოველის მხრიდან შეუტიეს ტფი-

ლისს. ტფილისიც დაუხვდა მძვინვარე მტრებს. რამდენიმე დღე გაგრძელდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა ტფილისის კედლებთან.

გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა სტეფანოზ, „ქველი მხედარი და შემმართებელი“, უშიშარი და ურიდალი კაცისა და ღმერთის წინაშე. ქალაქის კარიბჭეებთან იდგა ყოველთვის ერისმთავარი, წინამძღოლი, წინარშემტევი და მტრის ზარგანმხდელი.

ბოლოს, ტფილისის მთავარ კარიბჭეზე რჩეული ჯარები მიუშვეს ჰერაკლემ და ჯიბღუმ. დიდხანს აკავებდა მათ გააფთრებულ შეტევებს ლომებრ მებრძოლი სტეფანოზ.

შორიდან ჯგროდ ნასროლი მაზრაკებით და გმურებით შეულეწეს გულისფიცარი.

ცხენიდან უსულოდ გადმოეშვა გმირი ერისმთავარი, რომელმაც არ იცოდა შიში არცა კაცისა, არცა ღმერთისა, არცა სიკვდილისა.

ბიზანტიელები და ხაზარები ქალაქში შეიჭრნენ.

ტფილისის დამცველებმა კალა-ციხეს შეაფარეს თავი.

გაძალიანდა კალა.

დღე და ღამე შეუსვენებლივ მიჰქონდათ იერიშები მოალყეებს, საგორავ-საიერიშო ტარანებს ამაოდ სცემდნენ ციხის კედლებს, ლოდსაც უსაზმნოდ უშენდნენ ლოდსატყორცნებით.

ურყევად იდგა კალა.

ურყევი სულიერი მხნეობით იდგნენ მისი დამცველნი.

ციხის კედლებზე არხეინად დასეირნობდნენ ქართველი მეციხოვნეები, მოალყე მტრებს სიცილს აყრიდნენ, თავს ლაფს ასხამდნენ.

მეციხოვნეთა შორის ყოფილან ზოგიერთები, აღჭურვილნი დიდი ჰუმორით: ციხის უმაღლეს გოდოლზე უზარმაზარი გოგრა გამოაგორეს, ზედ ხატი ეხატა დიდი თავით, ბრტყელი პირსახით, წინ გამოყრილი ყვრიმალებით, ქოსა ლოყებით, მიჭყლეტილი ცხვირით, განიერი პირით, ჭრუტა თვალებით.

გამოაგორეს კვახი-ნახატი ჰომერული სიცილ-ხარხარით, ისარს უშენდნენ და ხაზარებს ჩამოსძახოდნენ:

„აი, თქვენი ჯიბღუ-ხაკანი, თაყვანი ეცით, თაყვანი ეცით, აი თქვენი ჯიბღუ-ხაკანი!“

სიშლეგემდე მიდიოდნენ ხაზარები.

არც წვეროსანი იმპერატორი დაუტოვებიათ ტფილისელებს გულ-

დაწყვეტილი. მთელი ქალაქის გასაგონად გადმოსძახოდნენ ბიზანტიელებს:

„თქვენს კეისარს ჰერაკლესა თხის წვერი და ვაც-ბოტის კისერი აქვს! შეხედეთ და ეთაყვანეთ თქვენს თხა-ხელმწიფეს, ბიზანტიელნო!“

კარგა ხანს მოთმინებით ისმენდა ჰერაკლე დამცინავ საბასრობელს (საგინებელს). მერე ვითომ დიდსულოვნად თქვა, არ მწყინსო, ვაც-ბოტს რომ მიწოდებენ ქართველები. თან ბიბლია მოაღებინა ღვთისმეტყველების კარგმა მცოდნე იმპერატორმა, გადაშალა „წიგნი დანიელისა“ და შიგ ასეთი რამ ამოიკითხა:

„მოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსროს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი“.

626 წელი იწურებოდა.

ტფილისის აკროპოლისის აღებას კი საშველი არ დაადგა.

კეისარმა ალყის მოხსნა ბრძანა.

ბიზანტიელები და ხაზარები ტფილისს გაშორდნენ.

ჰერაკლე და ჯიბღუ ასე შეთანხმდნენ:

თვითონ კეისარი სპარსეთის დასალაშქრავად უნდა წასულიყო, ხოლო ხაკანი მომდევნო წლის ადრიან გაზაფხულზე ხაზართა ახალი ჯარებით ხელახლა უნდა შემოსეოდა ტფილისს.

მართლაც, 627 წლის დამდეგს, მაშინ როცა კეისარი სპარსეთში იბრძოდა, ხაზართა ურდოები ხელახლად შემოესია ქართლის მიწა-წყალს. ამჯერად ხაზარებს მოუძღოდა შ ა თ ი, ძე ჯიბღუ-ხაკანისა.

მამის დამარცხებისა და გამასხრებისთვის შურისგებით აღსილი შათი ტფილისს მიეჭრა.

ორი თვე იგერიებდნენ ტფილისელები ურიცხვ მომთაბარეთა გამხეცებულ იერიშებს.

ხოლო, როდესაც „ძველ, მხნე კაცთაგან ქალაქს შიგნით აღარავინ დარჩა“, ტფილისი დაეცა.

თავი აიხსნა ხაზართა მხეცურმა სტიქიონმა.

საქართველოს სატახტო იძარცვებოდა, ინგრეოდა, იქლიტებოდა, სისხლის მორევში იძირებოდა, გვამებით იხერგებოდა და იტვირთებო-

და. ზეცას აძრწუნებდა ბავშვთა წიაქი, „უთვალავ ცხვართა ბღავილივით“ გაისმოდა ქალთა გოდება.

საშინელი იერემიადა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ქალაქში „ცოცხალთაგან აღარავინ დარჩა“, როცა მტერი დარწმუნდა, რომ „მახვილი მათი სრულად გაძღა სისხლისთხევისგან“.

აურაცხელი ნაძარცვი იგდეს მძარცველებმა: ოქრო-ვერცხლით სავსე ლარები, მარგალიტებით დატვირთული სამკაული და ჟურჟლეული, ვერცხლისა და ოქროს სასმურნი, ბაჯაღლო ოქროს ქანდაკებანი. ავზნიანად მღიმარ ბელადის წინაშე ბორცვებად ახვავებდნენ ძვირფას ნაალაფარს. შათი ჯიბღუს ძეს ხარბი თვალი დაეღალა და მოწყენილობა მოერია უთვალავი საუნჯის ხილვით.

მერე დასხდნენ სანადიმოდ. ხის ვარცლებიდან წვენს თქვლეფავდნენ, წვირიან და სისხლიან ხელით ხორცს იზღმურძლებოდნენ, ოქროს ყანწებიდან ღვინოს ეწაფებოდნენ და ქართული ღვინით თვრებოდნენ ქართველთა სისხლით თრობამორეულნი...

ამასობაში ჰერაკლე კეისარმა დალაშქრა სომხეთი და შუამდინარეთი. ძველი ნინევიის ნანგრევებთან გაანადგურა მან ხოსრო მეორის არმიები. ამას სასახლის კარის გადატრიალებაც მოჰყვა ქტესიფონში. ხოსრომ თურბე უბეროსი ვაჟი გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ. მაშინ უფროსმა უფლისწულმა, კავად-შიროემ, ძმებს ყელები დასჭრა, მამა დილეგში ჩაკლა და სპარსეთის ტახტზე თვითონ დაჯდა. (628 წ.).

კავად მეორე შიროემ გამეფებისთანავე კეისარ ჰერაკლესთან ზავი შეჰკრა. ეგვიპტე, სირია, ჩრდილოეთ მესოპოტამია, სომხეთი და საქართველო ისევ ბიზანტიას დაუბრუნდა.

ბიზანტიელთა სუვერენიტეტი ქართულ ქვეყნებზე ისევ მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ეგრისის მეფეები ბევრს არაფერს ეკითხებოდნენ ბიზანტიის კეისრებს. ქართლის ერისმთავრებიც თავისთავადი პოლიტიკით განაგებდნენ ქვეყანას. ისინი ისევ ფორმალურ ინსიგნიებსა და საპატიო ტიტულებს ღებულობდნენ კონსტანტინოპოლიდან: „კურაპალატი“, „მაგისტროსი“, „ჰიპატოსი“, „პატრიკიოსი“, „სტრატეგოსი“...

ტფილისისათვის ბრძოლაში სტეფანოზის დაღუპვის შემდეგ ქართლის ერისმთავარი გახდა ადარნასე, რომელმაც დაასრულა მცხეთის ჯვრისა და ტფილისის სიონის მშენებლობა.

ადარნასეს გარდაცვალების შემდგომ მისი ძე სტეფანოზ გახდა ერისმთავარი ქართლისა.

ამა სტეფანოზ მეორის დროს, VII საუკუნის 40-იან წლებში, მთელი მსოფლიო შეარყია ახალ დიდ დამპყრობელთა გამოჩენამ.

ესენი იყვნენ არაბები.

## ახმა მეხუთე

## არაბები და ქართველები

ქართველ ერზე გავლენა პქონდა მარსს
ისევე, როგორც სომეხ ერზე მერკურს.
ჯონ ფრაიერი.

### მსოფლიოს ახალი დამპყრობნი

საქართველოშიც იყო ცნობილი ბიბლიური ლეგენდა ერთი სამხრეთელი ხალხის წარმოშობის შესახებ:

ებრაელთა მამამთავარს აბრამს მხევალი ქალისაგან აგარისაგან შეეძინა ვაჟი ისმაილი. აბრამის კანონიერმა ცოლმა სარამ ქმარი აიძულა აგარი მისი შვილითურთ სახლიდან გაეძევებინა. სადღაც უდაბნოში გადახვეწილი ისმაილისგან წარმოსდგა ხალხი, რომელიც თავის თავს ალ-არაბს ეძახდა, ხოლო დანარჩენი მსოფლიო — ისმაიტელებს (ისმაილის ძენი), აგარიანებს (აგარისაგან), ანუ სარკინოზებს („სარას ძაღლები", — რაკი სარამ მათი წინაპრები „ძაღლებივით გაჰყარა").

არაბ-აგარიან-სარკინოზთა თავდაპირველი სამშობლო იყო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ აზიის მხარე, ზღვაურ სამყაროში უზარმაზარ ნახევარკუნძულად შეჭრილი ქვეყანა: დასავლეთით წითელი ზღვა, სამხრეთით არაბეთის ზღვა, აღმოსავლეთით სპარსეთის ყურე.

მსოფლიოში უდიდესი ნახევარკუნძული, სიცხით ატანილი ცა დახმელეთი, გავარვარებული უდაბნოები, გადამწვარი ველები, ხრიოკი მთები, ცხელი გრიგალ-ქარი სამუმი და ცადავარდნილი სმერჩები, პირჩამშრალი ხევები და ფლატეები. ჰქონდა ნაყოფიერი, მდიდარი და-

მშვენიერი ოაზისებიც, მათგან — უმდიდრესი და უმშვენიერესი იამენ („მარჯვენა", ანუ „ბედნიერი"), ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

უმეტეს წილად მაინც სიცხე და შიმშილი ფლობდა ქვეყანას. გველები, ხვლიკები, მორიელები და შხამიანი ბაბაჭუები მრავლობდნენ. მაგრამ აქაურ ხალხს, არაბ მეჯოგე-ბედუინებს მაინც მძაფრად უყვარდათ თავისი სამშობლო. ცხელ აგურს ჩაიკრავდა მშიერ მუცელში და შიმშილს იყუჩებდა ბედუინი. კიდევ იყო სხვა საშუალება შიმშილისაგან გაქცევა-განრინებისა, — მცენარე კატ, რომლის მარცვლის მიღებისთანავე ადამიანი ერთბაშად თვრება, ყოველგვარი სატკივარი და საზრუნავი ავიწყდება, იცინის, მღერის, ცეკვავს, ლაზღანდარობს, ჯამბაზობს, მერე ეცემა, ტკბილ ძილს ეძლევა, გაელვიძება და აღარაფერიც აღარ ახსოვს.

ძლიერი თვალი ჰქონდა ბედუინს; მისებრ არავის შეეძლო თვალი გაესწორებინა თვალისჩინის წამრთმევი არაბული მზისთვის. წლიდან წლამდე მოთმინებით შესცქეროდა ალმურით გატენილ ცარგვალს, ღრუბლის ფთილას ეძებდა, წვიმას ელოდა, ხოლო წვიმა ზოგ ადგილებში ერთჯერ თუ მოვიდოდა ხუთ-ექვს წელიწადში. თვეობით იდგნენ ბედუინები მთიდან დაქანებულ პირჩამხმარ სამდინარო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კალაპოტებთან (არც ერთი მათგანი ზღვამდე არ აღწევდა). წვიმა მოვიდოდა და წყლის შეგროვების გარდა ყველა საქმე შეწყდებოდა არაბეთში (ომი რომ ომია, ისიც კი შეწყდებოდა წვიმის ჟამს). ხშირჟამეულად, ხან აქ და ხან იქ, კალია დააბნელებდა არაბეთის ცას. ბედუინები აღტაცებული ჟივილ-ხივილით ეგებებოდნენ „ღვთის ლაშქარს" (ასე უწოდებდნენ კალიის გუნდებს). იჭერდნენ და საკვებად იყენებდნენ, — ხარშავდნენ, ხრაკავდნენ, ამწნილებდნენ.

არაბის განუყრელი მეგობარი და უსაყვარლესი თანამოარსე იყო აქლემი, „უდაბნოთა ხომალდი", განსაკუთრებით დრომადერი, ჯიშიანი, მაღალი, დახვეწილი, რბილბეწვიანი, თოხარიკი, სწრაფი, ჰკვიანი, სიცხე-წყურვილის იოლმძლეველი. აქლემი არაბის ოჯახის წევრი იყო. კოზაკი დაიბადებოდა და ოჯახი ზეიმობდა; ყველა, დიდი და პატარა, ახალშობილს მიესალმებოდა და „ჩვენ შვილი დაგვებადაო", გაჰყვიროდა. თავს ევლებოდნენ, კისერზე ავგაროზს ჰკიდებდნენ — ავი თვალი არ ეტაკოსო, არაბი დრომადერ აქლემს მათრახს არ დაჰკრავდა; სიმღერით აქეზებდა. ემასლაათებოდა. ზღაპრებს უყვებოდა. აქლემისადმი შეურაცხმყოფელ სიტყვასაც საკუთარ შეურაცხყოფად მიიჩნევ-

და. აქლემიც იგივე მიწისგან გამოძერწაო ღმერთმა, რა მიწისგანაც პირველი ადამიანი, — ამბობდნენ არაბები. ყურანიც ხომ მუჰამედმა, არაბთა მოძღვარმა და დიდი ალაჰის მოციქულმა, აქლემის ზურგზე მჯდომარემ შეთხზა და გამოაცხადა. პირველი მეჩეთიც ხომ იქ აშენდა, სადაც პირველად ღამისსათევად დაწვა მუჰამედის დედალი აქლემი, მექადან მედინაში გაქცევის დროს. ბოლოს, მუჰამედი ხომ ისევ აქლემის ზურგიდან აფრინდა ზეცად...

ცხენებიც უბრწყინვალესი ჯიშისა ჰყავდათ არაბებს. ჭკუიდან შეგშლის ჩემი ცხენის სილამაზეო, — უყვარდა თქმა არაბ ცხენოსანს. თვითონ მუჰამედს ხომ ხუთი ფაშატი ჰყავდა — აქედანვე წარმოსდგა არაბული ცხენის ხუთი უმაღლესი ჯიში.

არაბი, მწყემსი-მეჯოგე ბედუინი, ანაგებით იყო შუატანის, გამხდარი, ღონიერი, მოქნილი, სახით სახიერი, მაგრამ კუშტი და მჭისე იერით; ხასიათი ფიცხი, შემტევი, მოურიდალი, ეძინა მაგარ საწოლზე. ჭამდა დღეში ერთჯერ, სვამდა მეავე რძეს, მალე ბერდებოდა. ორმოცი წლისა ხანდაზმულად ითვლებოდა, ორმოცდაათისა — ღრმა მოხუცად. ცოტანი აღწევდნენ სამოც წლამდე. ავადმყოფობა უეჭველი სიკვდილით თავდებოდა...

VII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო. მისი დამაარსებელი იყო ვაჭარი მ უ ჰ ა მ ე დ ი, ჰაშიმიდების გვარისა, ქალაქ მექადან. იგივე მუჰამედმა არაბული სახელმწიფოს ერთიან იდეოლოგიად გამოაცხადა მისგანვე შედგენილი ახალი რელიგიური მოძღვრება ი ს ლ ა მ ი („მორჩილება"), რომლის მიმდევრებს ამიერიდან ეწოდებათ მ უ ს ლ ი მ ა ნ ე ბ ი („მინდობილნი"), გინა მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ე ბ ი. არაბთა ახალი მოძღვარი გამოცხადებულ იქნა უმაღლესი ღვთაების, ალლაჰის მოციქულად.

მუჰამედის სიკვდილის (632 წ.) შემდგომ არაბულ სახელმწიფოს გამგებლობას იწყებენ ხ ა ლ ი ფ ე ბ ი („მოადგილეები" მუჰამედისა). თვით სახელმწიფოსაც დაერქვა ხ ა ლ ი ფ ა ტ ი (სახალიფო).

პირველი ხალიფა იყო ა ბ უ ბ ე ქ რ ი (632 — 634 წწ.), მუჰამედის ძველი მეგობარი, მისი სიძე და თანამებრძოლი. მის შემდგომ ხალიფა გახდა ასევე მუჰამედის ახლო თანამებრძოლი ო მ არ ი (634 — 644 წწ.).

პირველი ხალიფების დროიდანვე არაბები გამოდიან ფართო დაპყრობითი პოლიტიკით. ისინი წარმატებით ებრძვიან უკვე სისხლისაგან დაცლილ ბიზანტიას და სპარსეთს. 637 წელს მათ აიღეს და გაძა-

რცვეს სპარსეთის სატახტო ქალაქი ქტესიფონი. იმავე ხანებში დაიპყრეს სირია, პალესტინა და მესოპოტამია.

640 წელს არაბთა მარბიელი ჯარები სომხეთში შემოიჭრნენ, ააოხრეს, გაძარცვეს, წარტყვევნეს. დაეუფლნენ სომხეთის მთავარ ქალაქს — დვინს.

ამ წელს მსოფლიოს ახალი დამპყრობლები ყველაზე ახლოს იყვნენ ქართულ სამანებთან.

### პირველი შეხვედრები

642 წელს არარატის ველზე დაბანაკებული არაბები საქართველოსკენ წამოვიდნენ.

სამ ნაკადად მოედინებოდნენ: ტფილისისკენ, ალვანისკენ, მუღანისკენ.

სტეფანოზ მეორე ერისმთავარმა სასწრაფოდ აწვია ლაშქარი.

სამწილად დაუხვდნენ ქართველები უცხო მტერს.

სამგანვე ძლიეს და აოტნეს.

ეს არაბთა პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა იყო.

ჯერჯერობით ქართველთა მიმართ არ აღესრულა ხალიფა ომარის ავზნიანი ნათქვამი: „მუსლიმანები შეჰამენ დანარჩენ ხალხებს, ხოლო, როცა ჩვენ დავიხოცებით, ჩვენი შვილები შეჰამენ მათ შვილებს“. ომარი ქართველთაგან ძლეული და ქართველების „შეუჰმელად“ ჩავიდა საფლავში. ხალიფას ტახტზე ავიდა ო ს მ ა ნ ი (644—656 წწ.).

არაბთა პირველი უკუქცევის შემდეგ კიდევ თოთხმეტი წელი შეინახა საქართველომ თავი მსოფლიოს ახალ დიდ დამპყრობელთა ხელყოფისაგან.

თოთხმეტი წლის მანძილზე ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ მეზობელ ხალხებთან კავშირ-ძმობითა და დიპლომატიური არხებით გადაერჩინათ მშობლიური ქვეყანა ახალი მძიმე ომებისაგან. ქართველები, როგორც ყოველი ძნელბედობისას, ამჯერადაც უახლოეს მეზობელ-მოძმეებთან, სომხებთან იყვნენ. ორივე ხალხს იმედი ისევ „ერთმორწმუნე ბიზანტიისგან“ ჰქონდა. მაგრამ როდესაც ბიზანტიამ არა თუ თავისი „მოკავშირეები“, არამედ არაბთაგან საკუთარი აზიური პროვინციებიც ვეღარ დაიცვა, სომეხთა უმაღლესმა მესვეურმა, გამოჩენილმა პოლიტიკოსმა თ ე ო დ ო რ ო ს რ შ ტ უ ნ მ ა ბიზანტიასთან კავშირი გაწყვიტა და არაბთა მორჩილებაში შევიდა (652 წ.), ხოლო

ქართველმა პოლიტიკოსებმა ბიზანტიას ვერ უღალატეს და ამდენად ორი მოძმე ხალხი დიდ უცხოელ მტრებთან ჰიდილში გათიშული აღმოჩნდა. ამას მალე ორივე ქვეყნისათვის მძიმე შედეგები მოჰყვა.

ჯერ, ბიზანტიის კეისარი კონსტანტი მეორე სომხეთში შეიჭრა, არარატის ველი დალაშქრა და დვინში თავისი ციხიონი ჩააყენა.

მომდევნო 653 წელს, გაზაფხულზე, არაბები სომხეთს ხელახლა შეესიენ, ბიზანტიელები განდევნეს და ქვეყანას თვითონ დაეპატრონენ.

ამის შემდგომ, ხალიფა ოსმანმა, რაკი სპარსეთი, სომხეთი და ალბანეთი მთლიანად მას ეკუთვნოდა, მიზანში საქართველო ამოიღო.

ქ. დვინში დაბანაკებული არაბთა მხედრობა სალაშქროდ დადგა. არაბმა სარდალმა ჰაბიბ იბნ-მასლამამ წინასწარ ქართველ პოლიტიკოსებს შემოუთვალა: ან დაგვემორჩილეთ და გვემსახურეთ, ან თქვენი ქვეყანა დაგვიცალეთ და საითაც გინდათ, იქით გადაიხვეწეთო.

ქართველებმა უარი შეუთვალეს და სამრად აღიჭურვნენ.

არაბებიც წამოვიდნენ.

ქართველებიც ქართულ საზღვრებთან ჩაიკირნენ.

ქართლისკენ მომავალ მტერს გზაზე ნაადრევმა ზამთარმა, ბუქმა და ყინვამ მოუსწრო. ზამთრის სიმკაცრემ შეუჩერეველმა სამხრეთელებმა ჩრდილოეთისკენ ლაშქრობაზე ხელი აიღეს, სომხეთიც მიატოვეს და გამოსაზამთრებლად სირიაში გადავიდნენ.

ამით ისარგებლეს ბიზანტიელებმა, მავრიანოსის სარდლობით სომხეთში შეიჭრნენ, დაარბიეს და დაიპყრეს.

654 წლის გაზაფხულზე კვლავ წამოვიდა ჰაბიბ იბნ-მასლამა ახალი, გამძლავრებული მხედრობით, სომხეთში შემოიჭრა, ბიზანტიელები დაამარცხა და გამოდევნა. მავრიანოსმა კარნუ-ქალაქისაკენ დაიხია. ჰაბიბმა მოსდია. ბიზანტიელებმა ბრძოლა ისევ წააგეს და კარნუ-ქალაქიც დაკარგეს. დამარცხებულმა მავრიანოსმა ქართლის მთებს შემოაფარა თავი.

გამარჯვებებით გალაღებული არაბთა მხედრობა საქართველოს საზღვრებს მოადგა.

ერისმთავარმა სტეფანოზმა ამჯერად ბრძოლად გასვლა საეჭვო პერსპექტივის ნაბიჯად მიიჩნია და არაბთა ბანაკში დიასპანი გაგზავნა.

ელჩი ჰაბიბ იბნ-მასლამას კარავში მივიდა, ქართველი ერისმთავრი-

საგან ძღვენი გადასცა და მშვიდობიანი შერიგება შესთავაზა. ქართველი დიპლომატის სიტყვამ ძალიან მოხიბლა არაბი სარდალი. დიდი პატივითაც გამოისტუმრა და თან ქართლის ერისმთავართან თავისი ელჩიც აახლა ასეთი წერილით:

„ჩემთან და ჩემს გვერდით მყოფ კეთილმორწმუნეებთან თქვენი მოციქული მოვიდა და მოგვახსენა, რომ ჩვენ სწორედ ის ხალხი ვართ, რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურაო... მერე გვიამბო, რომ თქვენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას გვთხოვთ. არც მე, არც ჩემთან მყოფ კეთილმორწმუნეთ ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს რა. თქვენი საჩუქრები დავთვალე და თქვენ ხარაჯად ჩაგითვალეთ. გიგზავნით აბდურაჰმან ჯაზის ძეს სულამიელს, ჩვენს საუკეთესო სჯულიან მეცნიერსა და ყურანის მცოდნეს და თან ვატან ჩემს წიგნს თქვენი უზრუნველყოფისა და მფარველობის შესახებ. ესე არს ჩვენი ხელშეკრულებაც, რომელშიაც პირობები ჩამოთვლილი მაქვს; თუ მიიღებთ და აღასრულებთ, ამას რაღა აჯობებს, თუ არა და, ალლაჰისა და მისი მოციქულის სახელით ომი უნდა გამოგიცხადოთ“.

ხოლო ხელშეკრულება, ანუ „დაცვის სიგელი“ ასეთ პირობებს შეიცავდა:

არაბები ხელს არ ახლებენ ქართველთა სიცოცხლეს, სარწმუნოებას, ეკლესია-მონასტრებსა და პირად ქონებას;

ქართველები კისრულობენ არაბებს გადაუხადონ ჯიზიათი — თითო დინარი (დაახლოებით, 5 მან. ოქრო.) თითო კომლიდან;

ქართველებს უფლება არა აქვთ გადასახადის შემცირების მიზნით რამდენიმე კომლი გააერთიანონ და სამაგიეროდ არც არაბებს აქვთ უფლება გადასახადის გადიდების მიზნით ერთი კომლი რამდენიმე კომლად დაჰყონ;

ქართველები კისრულობენ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ არაბებს რჩევა-დარიგებით და ბრძოლაში თანადგომით, განსაკუთრებით შეიფარონ და დაიცვან გაჭირვებული, ჩამორჩენილი მუსლიმანი მეომარი თუ საერო პირი;

თუ ქართველთაგან ვინმე ისლამს მიიღებს, იგი მუსლიმანთა ძმად იქცევა და ჯიზიათისგან თავისუფლდება.

ქართლის ხელისუფლებამ არაბთა სახელშეკრულებო პირობები მიიღო (655 წ.).

**დაივიწყა ხმალმა ქარქაში**

ქართველთა და არაბთა შეთანხმებამ მხოლოდ ორი წელი გასძლო. 657 წელს სახალიფოში საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა ხალიფას ტახტის დაუფლებისათვის.

ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა მაშინვე შეუწყვიტეს ხარკის ძღვენა სახალიფოს კარს.

ოთხი წელი შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა.

661 წელს ხალიფატში ოთხწლიანი სამოქალაქო ომი დასრულდა. ტახტი დაიმკვიდრა სირიის მმართველმა, ომეიადთა დინასტიის მამამთავარმა მ უ ა ვ ი ა პირველმა (661—680 წწ.). სახალიფოს სატახტოც სირიის მთავარი ქალაქი, დამასკო შეიქნა.

მუავიამ გადაწყვიტა, ისევ მოექცია არაბთა მორჩილების ქვეშ ამიერკავკასია.

ბიზანტიაც კვლავ თმობდა თავის პოზიციებს შავი და კასპიის ზღვათა სახმელეთო ყელზე.

ოცი წლის მანძილზე ქართველები, სომხები და ალბანელები შეუსვენებლივ ებრძოდნენ ხან სამხრეთელ, ხან დასავლეთელ მსოფლიო მპყრობელთ; ებრძოდნენ თავგანწირვით, გახელებით, ზევაქკაცური შემმართებლობით, მაგრამ უერთმანეთოდ, მარტოსულობით, ფეოდალური დაქსაქსულობით.

იდგა ხანა, რაღაცნაირი „ბატონობის და ვერბატონობის“, ხანა უაღრესი სისხლისთხევის და მამულიშვილური თვითშეზორვისა.

სამუდამოდ დაივიწყა ხმალმა ქარქაში.

აღარ იქმარა სამხრეთულმა და დასავლეთურმა უთავყამო უბედურებამ; ისევ გაიხსნა დიდი საფრთხე ჩრდილოეთიდან.

დერბენდის კარით შემოიჭრა ხაზართა ურდო (684 წ.). ააოხრეს ალბანეთი. მერე მოადგნენ ქართლსა და სომხეთს. ჯარები შეაგებეს ქართველმა და სომეხმა მთავრებმა. შეაგებეს და ჯარებიანად შეაწყდნენ უთვალავ მომთაბარეს, დიდძალი ნაძარცვ-ნატყვენავით გაბრუნდნენ გამარჯვებულნი.[1]

686 წელს სომხები აუჯანყდნენ არაბებს.

ქართლის მაშინდელი ერისმთავარი ნ ე რ ს ე სასწრაფოდ გაეშურა მეზობელთა მისაშველებლად.

დვინის მახლობლად ქართველები შეხვდნენ არაბთა დიდძალ მხედრობას, რომელსაც სარდალი ბ ა რ ა ბ ა უდგა სათავეში. ნერსემ

ბრწყინვალედ წარმართა ბრძოლა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და აოტნეს მტერი.

სამი წელი სისხლდაუქცევლად ამოისუნთქეს ქართლმა და სომხეთმა; მერე ისევ ხან არაბული, ხან ბიზანტიური სისხლიანი მოქცევანი და უკუქცევანი!

697 წელს ეგრისის მმართველი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიას. ბიზანტიელები განიდევნენ, მაგრამ არაბები შემოვიდნენ ეგრისში.

სისხლით დასრულდა VII საუკუნე და სისხლითვე დადგა VIII საუკუნე.

ხმალმა კვლავაც ვერ გაიხსენა ქარქაში.

ისევ იჩინა ხაზარულმა საფრთხემ თავი ჩრდილოეთიდან.

ხალიფა ჰიშამმა (724 — 743 წწ.) გამეფებისთანავე ამიერკავკასიის შემოსამტკიცებლად და ხაზარების უკუსაქცევად დიდძალი ჯარებით გამოგზავნა სარდალი ჯარაჰ იბნ-აბდულაჰ.

ქართლის მმართველმა ჯარაჰს ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ ადრე მიცემული „დაცვის სიგელი“ წარუდგინა და ამჯერად სისხლდაუქცევლად იხსნა ქვეყანა. არაბთა სარდალი ხაზარებს შეხვდა დარიალზე, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და თვითონაც ბრძოლაში დაიღუპა.

ამიერკავკასიაში ახალი არაბული მხედრობა მოვიდა ცნობილი მასლამას მეთაურობით.

მასლამამ სასტიკი ბრძოლების შემდგომ ხაზარები დაამარცხა და ხელში ჩაიგდო ორივე დიდი უღელტეხილი — დარიალი და დერბენდი. ორივეგან სპრიელი კოლონისტები ჩაასახლა მათ დასაცავად და გასამაგრებლად.

### შურვან ყრუ

ჰაბიბ იბნ-მასლამას ხაზართა წინააღმდეგ ლაშქრობაში თან ახლდა ხალიფა ჰიშამის ძმისწული მერვანი, ანუ მურვანი, უაღრესად სასტიკი ბუნებისა და მეომრული სულის კაცი. იგი ყოველთვის არაბთა ავანგარდულ ნაწილებს სარდლობდა და ბრძოლის ყველაზე სახიფათო უბნებზე დიდი წარმატებითაც უტევდა. იყო გულჩათხრობილი და კაცის გონებისგან შეუღწეველი. წინასწარ არავინ იცოდა მისი საომარი ზრახვანი და საერთო ასავალ-დასავალი. ხშირად იყო უცნობად უჩინოქმნილი; ამიტომაც თავს ვერ იკავებდნენ მისი მეშურნენი

და ნაადრევად მიუტანდნენ ხოლმე მთავარსარდალს მურვანის სიკვდილის ამბავს. ხოლო მასლამა ხელად ცივ წყალს გადაასხამდათ: თავს ნუ იწუხებთ, მურვანი მანამ არ მოკვდება, სანამ ხალიფა არ გახდებაო. ეს შემდგომში მართლაც ასე მოხდა, მაგრამ მანამდე...

მანამდე, 733 წელს, მასლამამ, დამასკოში გამგზავრების წინ, ამიერკავკასიის მმართველად მურვანი დატოვა.

735 წელს ხალიფასთან საგანგებო თათბირის შემდგომ მურვანი უზარმაზარი მხედრობით მოედო ამიერკავკასიას.

სწორედ აქედან იწყება გასაოცარი სისასტიკით ყბადაღებული მ უ რ ვ ა ნ ყ რ უ. — ყრუ ყოველთა სიტყვის შეუსმინარობით, უგლიმი გულით და უმაგალითო სისხლუძღებობით.

მაშ, მოვიდა მურვან ყრუ აგარიანი მხედრობით, „მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქუეყანისა“.

დაიწყო სომხეთით. ააოხრა,ააწიოკა, ნაცრად და ავლად აქცია ქვეყანა.

ქართველთაგან „ყრუდ“ მონათლულმა სომეხთაგან ახალ თიკუნად „ავარანშან“ (ამაოხრებელი) გამოიყოლა და ქართლში შემოიჭრა ცეცხლითა და მახვილით. „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“.

მთას მიაშურა ლტოლვილმა ქართველობამ.

ერისმთავარი სტეფანოზ მესამე თავისი ოჯახით ეგრისისაკენ გაეშურა. ციხე-გოჯს მიაღწია და გარდაიცვალა მოულოდნელად. მისმა ვაჟებმა, მ ი რ მ ა და ა რ ჩ ი ლ მ ა, მამა იქვე დაასაფლავეს და თვითონ აფხაზეთში გადავიდნენ.

ქართლიდან სამცხეს გადავიდა მურვან ყრუ, ოძრხე დააქცია, დანარჩენი მესხური მიწებიც ააოხრა და ზეკარის უღელტეხილით იმერეთისკენ დაიძრა.

გმირზე მოკლულზეც არ იშურებდა ღმერთი წყალობას:
მან დაიფარა მისი სხეული ოქროს ეგიდით,
რამეთუ გვამი არ გახრწნილიყო დიდი გმირისა.
ჰომეროსი

მოგითხრობთ არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ პირველ სახალხო გმირებზე მსოფლიო ისტორიაში.

ისინი იყვნენ არგვეთის მთავრები.

ორი ძმა.

გვარად მხეიძენი.

უფროსი — დავითი, „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შვენიერ გვამითა და ხშირ წვერითა".

უმცროსი — კონსტანტინე, „შვენიერ გვამითა, მოწაბლე თმითა და წვერ გამო (უწვერული)".

ორივენი — გონიერნი, განათლებულნი, დიდსულოვანნი, გაწაფული სარდლები და მამაცი მეომრები.

როგორც კი ძმებმა მესხეთში არაბთა შემოსევის ამბავი შეიტყვეს, არგვეთის მოსახლეობა ფეხზე დააყენეს, ყველანი გაამხნევეს, სასწრაფოდ ლაშქარი შეჰყარეს და მტრის დასახვედრად წარემართნენ.

მურვან ყრუ ზეკარზე გადმოდიოდა, მესხეთიდან იმერეთისკენ.

არგვეთელთა ჯარი ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან შეეგება მტრის წინაკერძს. წინ მიმავალმა დავითმა „აღიზახა ვითარცა ლომმან, და აოტნეს და განაბინეს იგინი და ურიცხვი მოსრეს".

სიკვდილს გადარჩენილი არაბი მეწინავენი სირბილით უკანვე მიაწყდნენ, მურვანს წარუდგნენ და დიდის ჭოთქოთით მოახსენეს, რაც მომხდარიყო.

მურვან ყრუმ ორივე ღაწვზე ხელები შემოილეწა, თმა-წვერი აიწეწა და საშინელი ხმით იღრიალა:

„ვინ მკადრა მე ეს, წინ ვინ აღუდგა დიდსა მოციქულს მუჰამედსა, დედიჩემის ძმას"—ესე თქვა და შეუზახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და „წარმოემართნეს, ვითარცა ქვიშაჲ სიმრავლითა, და მოვიდეს ქვეყნად არგვეთისაჲ და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცვნი".

ამერლები დიდი სიმამაცით დაუხვდნენ ურიცხვ მტერს. უთანასწორო ბრძოლამ ქართველთა უბრალესობა ძთასა და მაღხარში გახიზნა.

დავითი და კონსტანტინე თარეშული ბრძოლის გზას დაადგნენ: მტერს ჟამ-ჟამად უსაფრდებოდნენ, მოულოდნელად გამოუხტებოდნენ და თავს ესხმოდნენ, ელვასავით გაუჩინარდებოდნენ და კვლავ ახალი ანაზდაითი თავდაცემისთვის ემზადებოდნენ.

მერე, ერთ ხევში ყოველის მხრიდან გზა გადაუკრეს არაბებმა ერთ მუჭა გმირებს.

ქართველებმა ხმლები ქარქაშიდან აღმოახდინეს, ქარქაშები დალეწეს და მტერს შეებნენ.

ბევრი არაბის სისხლი დაიქცა.

გარნა აღესრულა მურვან ყრუს ბრძანება: დავითი და კონსტანტინე ცოცხლად შეიპყრეს.

მათი თითო საჭურველთმტვირთველიც ჩაიგდეს ხელში არაბებმა.

ქუთათისისკენ მიჰყავდათ ტყვეები. მურვან ყრუ მაშინ ქუთათისში იდგა ბანაკად.

გზაზე დააღამდათ. ის ორი საჭურველთმტვირთველი ხელსა და ხელს შუა გაუძვრნენ მცველებს და წყვდიადში გაუჩინარდნენ.

დავითი და კონსტანტინე მურვან ყრუს მიჰგვარეს.

სარკინოზთა სარდალმა კარგა ხანს ათვალიერა ტყვეები, მერე, როგორც იქნა, ეპილეპტური აღტაცება დაიოკა და გესლიანი სიცილით ჰკითხა:

„ვინა ხართ თქვენ, ქვათა და ძელთა მსახურნო, რომ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა გაგიბედიათ? იქნებ არც გაგიგიათ, რომ მე დიდი ალლაჰის მოციქულის, მუჰამედის დისწული ვარ, იმ მუჰამედისა, რომელსაც ჰმონებს სრულიად არაბეთი და სპარსეთი, ხოლო მე დამიმორჩილებია უველი ქვეყანა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე.

დავითმა უპასუხა:

„ეგ შენი სიცილი და ქადილი ცუდი და ამაოა ჩვენს ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებაჲ შენი და ადრე განქარდების. რაც ბეეხება დედიშენის ძმას მუჰამედს, რომლის სახელსაც იქადი, ეგ სიქადულიც ცუდი და უქმია, რამეთუ სწორედ ის მუჰამედია მაცდური და დამღუპველი მთელი თქვენი მოდგმისა“.

სიცოფისგან ლოშქრი ჰყარა მურვანმა. ანიშნა და მაშინვე ხელკეტებით მიცვივდნენ არაბი ჯალათები შებორკილ გმირებს. ძირს დასცეს და დაუშინეს.

დიდხანს სცემდნენ, გახელებით, გამხეცებით.

სცემეს მანამ, „ვიდრეღა დაშურეს“.

ხოლო ისინი იწვნენ და მდუმრიად, უდრტვინველად ღებულობდნენ ყოველ დარტყმას.

თითქოს აღარც სტკიოდათ.

თითქოს სხეული, რომელსაც სცემდნენ, აღარც კი იყო მათი სხეული.

გაოცებული და გაოგნებული უცქერდა მურვანი.

ჯალათები შეაყენა და სისხლის ტბორში ჩაწოლილ გმირებს მიმართა:

„ჯერ ხომ ჩემი მეწინავე და რჩეული ჯარები გაანადგურეთ, ახლა იმასაც ბედავთ, ჩემს წინაშე მოციქული მუჰამედი ურცხვად აგინოთ“.

წამით შეჩერდა, მოულოდნელად ხმა დაიტკბო და დავითს უთხრა:

„ჩემმა სარდლებმა შემატყობინეს, რომ შენ ყოფილხარ კაცი დიდად გონიერი და საომარ საქმეებში გამოცდილი, თანაც ამ ქვეყნის მთავარი. ამიტომ მე გადავწყვიტე კეთილი რჩევა მოგცე: დაუტევე ქრისტეს ჯვარი, იგი ხომ შეშაა და სხვა არაფერი. დაუტევე შეშისმსახურება-მეთქი და მის ნაცვლად მიიღე რჩეული სჯული მუჰამედისა. თუ ასე მოიქცევი, შენ იქნები უპირველესი მთავარი არაბეთისა და სპარსეთის ყოველ მთავართა შორის. ამას გარდა, მე შენ დაგნიშნავ ჩემი ჯარების მთავარსარდლად, ხოლო ემაგ ყრმას, შენს უმრწემეს ძმას, მივცემ დიდ პატივს ჩემს პალატაში, დავაყენებ ჩემი ტახტის გვერდით, ვითარცა უპირველესს ჩემს ამალაში“.

დავითმა ძლივს მოიმარჯვა ნაგვემი მარჯვენა, ჯვარი გამოისახა და სთქვა:

„ტყუილად ცდილობ, მძლავრო ბოროტო, ნათელი დავუტევოთ და ბნელს შევუდგეთ. ჩვენ ჩვენმა ღმერთმა მოგვიწოდა ნათელისაკენ, ამიტომ არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, ცუდსა და მოპოვნებულსა, არამედ მზად ვართ ქრისტეს სახელისათვის ყოველსავე გვემასა და ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა. ესე არს სარწმუნოება ჩვენი, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, ისმინეთ ყოველმან გუნდმან სპარსთა და არაბთამან“.

ძლივს იჭერდა რისხვას „მძლავრი ბოროტი“:

„კეთილი სწავლისა და შეგონებისთვის ბოროტი და უგუნური პასუხით გვპასუხობ? ჩვენს ყურანში სწერია, რომ ქრისტე მარიამის ძე იყო, კაცად შობილი და იძახდა ღვთის ძე ვარო. ამიტომ შეიპყრეს ჰურიათა

და ძელზე გააკრეს. ხოლო დიდმა მუჰამედმა, რომელსაც თქვენის უგუნურებით გმობთ, სპარსნი და არაბნი ცეცხლმსახურებისგან მოაქცია და ჭეშმარიტ ღმერთს შეაწყნარა".

ამაზედ დავითმა მწარედ გაიღიმა და სთქვა:

„წიგნი თქვენი, ყურანი, თქვენ თვითონ არ გცოდნიათ კარგად, რადგან სწორედ ყურანში სწერია თქვენთვის: საბარებისგან ისწავლეთო. ასე დაგიწერათ თქვენ ალიმ, მუჰამედის გულითადმა მოწაფემ. გარნა თქვენ უგულისხმონი ხართ და მიტომ არც წიგნი იცით და არც ღვთის ძალი".

გაოცდა მურვანი:

„ვინ გასწავლა შენ ჩვენი წიგნი, არა ღირსო ცხოვრებისაო?!"

„თქვენი წიგნები მე მხოლოდ თქვენს სამხილებლად მომიტანია", — გულგრილად მიუგო დავითმა.

ახლა კონსტანტინეს მიუბრუნდა არაბი სარდალი:

„შენ რაღას იტყვი, ყრმაო, ემორჩილები თუ არა ჩემს ბრძანებას?"

კონსტანტინემაც დასძრა „ხმაჲ დამამხობელი":

„არც მე ვემორჩილები შენს ბრძანებას, არამედ იმასვე ვიწამებ და ვაღიარებ, რაც ჩემმა უფალმა ძმამ დავითმა იწამა და აღიარა".

საბოლოოდ ახსნა ლაგამი რისხვას მურვან ყრუმ. ბრძანა ათი დღე ჩაეგდოთ დილეგში უჭმელ-უსმელად დავითი და კონსტანტინე.

ათი დღე აწამებდნენ „მრავალფერითა ტანჯვითა უსუენებლად".

ათი დღის შემდგომ მურვანმა მოგვები და მისნები მიუგზავნა დატანჯულ გმირებს, იქნებ თქვენ მოახერხოთ მათი გულის მოგება და მაჰმადის სჯულზე მოქცევაო.

როცა წარგზავნილები საპატიმროს მიადგნენ და იხილეს წამებულნი, „განლეულნი და დამჭნარნი", დარაჯებს მიუბრუნდნენ და ვითომ მათი სისასტიკით აღშფოთებულებმა იყვირეს:

„ეს რა ჩაგიდენიათ და გიკადრებიათ ესოდენ დიდებულ ადამიანთა და ქველ მეომართა მიმართ? ნუთუ არ იცით, რომ დიდ ამირა მურვახს ისერიგად სწადია ამათი შვება, სიკეთე და ფუფუნება?"

მერე მოგვთაგან უპირველესი მიადგა წამებულთ და შეუდგა ლიქნას:

„მთელი არაბეთისა და სპარსეთის ღაღადისმა, მურვან ამირამ მოგვაველინა თქვენთან და შემოგითვალათ: მე თვითონ კარგად ვიცი თქვენი გონიერება და მწამს ამნაირ დროს თქვენთვის უმჯობესს განიზრახავთო; ჯეროვნად გადაწყვეტთო; ნუ დაღუპავთ თქვენს სიჭაბუკეს უჟა-

მო, მწარე და ძვირ-ძვირი (ნელ-ნელი) სიკვდილით, შეიწყალეთ თავი თქვენი და მოიქეცით მაჰმადის სჯულზე, რათა იშვებდეთ და ილხენდეთო ჩვეხთან ერთად; აბას გეაჯებით, რაბეთუ ბე თვითოხ ბალიახ ბებრალება თქვენი სიჭაბუკე და სიმხნეეო. ამას გიბრძანებთ დიდი ამირა სპარსეთისა და არაბეთისა, და ჩვენც, ჭაბუკნო შვენიერნო და ახოვანნო, ჩვენის მხრით ამას გეტყვით, დაემორჩილეთ მის ბრძანებას და მიიღეთ მისგან ესე დროშანი და შესამოსელნი მთავრობისა თქვენისანი".

ეს ითქვა და წამსვე ძვირფასი ტანსაცმელი, ოქრო-ვერცხლი, სამკაულები და საბოძვარი გაუშალეს ნაწამებ ძმებს.

უკანასკნელად დასძრა ენა დავითმა:

„ვინაიდან უგუნურნი ხართ და უგუნურების მეტყველნი და მოციქულნი ყრუისა და მზაკვრისა, ამისთვის თქვენთან ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რაც თავშივე ვთქვით: ვრჩებით ჩვენს სჯულზე მტკიცედა და უჭეველად და ვერარა ჭირმან, ვერცა დიდებამან ამა საწუთროისმან ვერ გაგვაშოროს ქრისტეს სიყვარულსა და სარწმუნოებას; მზად ვართ მისთვის თავი მივსცეთ შიმშილს და წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, მახვილს და ხმალს. ხოლო თქვენ მიერ მოტანილი საბოძვარი და სადიდებელი არის საძულველ და საძაგელ წინაშე თვალთა ჩვენთა. ახლა წარვედით და უთხარით ესე ყოველი მომავლინებელსა თქვენსა მაცთურსა და მზაკვარსა".

ისინიც გაბრუნდნენ შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი. მივიდნენ და უთხრეს მურვანს: არაფერი იმედი აღარაა მათი მოქცევისა, არაფრისა არ ეშინიათ, არც ტანჯვისა, არც სიკვდილისაო.

ყრუმაც „ყრუდ" გადაწყვიტა ქართველ თავდადებულთა ბედი.

დავითი და კონსტანტინე რიონის პირას გაიყვანეს, კოზმანისა და დამიანეს სახელობის მცირე ტაძრის მახლობლად (შემდგომდროინდელი „ჯაჭვის ხიდის" ქვემოთ). აქ მდინარე ხელმარცხნივ ღრმა ყურედ იჭრებოდა ხმელეთში.

ორივენი გააშიშვლეს დედიშობილად.

ხეზე ფეხებით დაჰკიდეს.

მძიმე ხელკეტები აიღეს და ცემას შეუდგნენ.

სცემდნენ მთელის ძალით, ჯალათთა მძიმე, დაუღლელი მარჯვენით.

სცემდნენ გატაცებით, გახელებით, გამხეცებით.

სცემდნენ, ვიდრე ჯალათთა დაუღლელი მარჯვენა არ დაიღალა და დაიჭანცა.

ხოლო ისინი კვლავ ეკიდნენ მდუმრიად, უხმოდ, უდრტვინველად.

თითქოს სხეული, რომელსაც სცემდნენ, არ იყო მათი სხეული.

მერე ჩამოხსნეს.

ხელები და ფეხები მჭიდროდ შეუკრეს.

ქედზე მძიმე ლოდები დააკრეს.

ღრმა ტბად შემოჭრილ ყურეში ისროლეს ქვა-ლოდით დამძიმებული.

მაშინვე მურვანმა არაბთა ბანაკი აჰყარა, ქუთათისი დატოვა და სამეგრელოსკენ გაემართა.

უცნაური, შემაძრწუნებელი დღე „სასწაულებრივი“ ღამით დაიღამე ქუთათურებმა.

„ხოლო იქმნა მას ღამესა სასწაული საშინელი და სასმენელად საზარელი“.

ყველაფერი უჩვეულოდ გამოიყურებოდა, ცაც და დედამიწაც, წყალიც და ხმელიც, მაღლობიც და დაბლობიც.

მაინცადამაინც ცა იყო უცნაური, იალ-ქიალად მოხეტიალე ღრუბლებით გატენილი.

მთვარე, სრულქმნილი მთვარე, მოარღვევდა ღრუბელთა უსქეს კრეტსაბმელს.

გამოარღვია კიდეც და სამსვეტოვან შუქ-ჭავლად დაეშვა მდინარეზე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ჯალათებმა ჩაჰყარეს დავით და კონსტანტინე.

ხოლო ისინი წყლის ზედაპირზე იწვნენ, ლოდთაგან და თოკთაგან თავდახსნილნი.

გულაღმა იწვნენ და ნელი რხევით მოჰყვებოდნენ ნაპირისაკენ მომლტოლვარე ტალღებს.

ისე ბრწყინავდნენ, „ვითარცა მთიებნი განთიადისანი“.

„სასწაულის“ სახილველად მიდიოდნენ ადამიანები; ფრთხილი, შიშრეული ნაბიჯით მიაბიჯებდნენ, ერთიმეორეს თვალაგნით ანიშნებდნენ, ჩურჩულობდნენ, ლოცულობდნენ.

ყველას ერთბაშად შეეყინა მუხლი.

ორი კაცი გამოიჭრა ტყიდან მოულოდნელად.

ტანზე ტანსაცმელს ისწორებდნენ და ნაპირისკენ მომცურავ გმირთა შესახვედრად მირბოდნენ.

ტანსაცმელი კი არაბული ემოსათ.

მივიდნენ და დააცქერდნენ ცხედრებს, „რომელნი ნათობდეს, ვითარცა მზის-თუალნი“.

ხალხმა იფიქრა, აგარიანები არიანო, და გასაქცევად მოემზადა არაბთაგან დაშინებული ხალხი.

მაგრამ იმათ მაშინვე ხმაჰყვეს: ნუ გეშინიათ, მოდით, მტერი კი არა, თქვენი ძმები ვართო — ქართველები.

ისინიც მივიდნენ და იხილეს.

წამებულთა მსახურნი ყოფილან, სწორედ ისინი, არაბებს რომ გაექცნენ ტყვეობიდან. მას შემდეგ თურმე მიმალულნი, არაბულ სამოსელში გადაცმულნი, თვალს ადევნებდნენ თავიანთ ბატონთა უღვთო მარტვილობას, გარნა შველა ვერასგზით ვერ მოუხერხებიათ, ხოლო ახლა... ახლა კი არავინ იცოდა, ამათ დაიხსნეს წამებულნი ლოდთაგან და ბორკილთაგან, თუ „ზეციერი სასწაულის“ შედეგი იყო ყოველივე ეს?!

წყლიდან ამოასვენეს გმირები.

უზადო იყო მათი სხეული. თითქოს არც ჯალათის უდიერი ხელი შეხებოდეთ, არც წყლის მრღვეველი სტიქიონი.

ღვთაებრივი სიმშვიდე და კდემა დავანებულიყო მათ სახეებზე.

ოთხეულებად დალაგდა ხალხი.

წინა ოთხეულმა აიყვანა და მხრებზე დაისვენა დავით.

მეორე ოთხეულმა — კონსტანტინე.

დაიძრა ღამეული პროცესია, მდუმრიად, მსუმრიად.

აღმოსავლეთისკენ მიემართებოდნენ, გელათისაკენ.

ოთხეულები ცვლიდნენ ერთმანეთს.

ღრუბელთა კრეტსაბმელი სავსებით დაედნო ღამეულ სხივთა მთოვარე მნათობს.

მიცურავდნენ დავით და კონსტანტინე, მშობლიური შუქით მოსილნი, „ვითარცა მზის-თუალნი“ და „მთიებნი განთიადისანი“. მიცურავდნენ მშობლიურ სივრცეში, მშობლიურთაგან ზეცისაკენ ზეაღმართულნი.

შუაღამე გადასული იყო, როცა ქუთათის-გელათის გზის შუაწელს მიატანეს და ხელმარჯვნივ ჩაუხვიეს, მდინარე წყალწითელასაკენ.

ხელმარცხნიდან ძაღლის შემზარავი ყმუილი ისმოდა. იქ ამასწინათ ერმრავალი ციხესიმაგრე იდგა, ამჟამად მურვან ყრუსაგან დანგრეული, გადამწვარი და იავარქმნილი.

ძაღლის ყმუილი მამლის ყივილმა ჩაჭრა და ჩაწყვიტა. მტრისგან იავარქმნილ მიწაზე მალე ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო.

წყალწითელას ხევში ღრმად ჩაჭრილ კლდოვან ყელს ჩაუდგა პროცესია.

სამი მხრიდან ალმასის ზოსტერივით შემორტყმოდა კლდეს მთვარისი შუქით აბრიალებული მდინარე.

აქ ადრე ხარების სახელობის ეკლესია იდგა, რომლისგან ახლა ნაეკლესიარიღა დარჩენილიყო: ისიც დაექცია მურვან ყრუს.

ნაეკლესიარის ქვემოთ, კლდეში, ძველთაძველი აკლდამა იყო, იმჯერად ცარიელი და მივიწყებული.

ბილიკს ჰაუყვნენ და იმ აკლდამაში დაასვენეს ბოწამენი.

ამიერიდან ამ ადგილსაც, მისი შემოგარენით, ეწოდა მოწამეთა.

სამასი წელი ესვენენ დავითი და კონსტანტინე იმ აკლდამაში.

მერე, XI საუკუნის პირველ ნახევარში, მეფე ბაგრატ III-მ ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან დანგრეული ეკლესია და მასში გადააასვენა წამებული გმირები.

ერთ კუბოში თავშექცევით იწვნენ ისინი.

დრო მიდიოდა.

ილეწებოდნენ საუკუნენი.

ხოლო ხალხი არ ივიწყებდა ძმათა მხეიძეთა საარაკო გმირობას.

მოდიოდნენ, მათ „წმიდა“ ნეშთებზე ლოცულობდნენ, ღამეს უთევდნენ, ტანისა და სულის განრღვეულობას ავედრებდნენ და მათგან სამკურნალო სასწაულმოქმედებას იჯერებდნენ.

საგანგებო დღესასწაულიც დაადგინა ხალხმა — „დავით და კონსტანტინობა“, ანუ „მოწამეთობა“, ანუ „ორწიფობა“.

ეს იყო 2 ოქტომბერი, დღე რომელსაც აწამეს და დახოცეს დავით და კონსტანტინე.

ყოველ ორ ოქტომბერს აუარებელი ხალხი მიაწყდებოდა მოწამეთას.

ლოცულობდნენ, სწირავდნენ, ღამეს უთევდნენ და შემწეობას სთხოვდნენ ერისა და ქვეყნისათვის შეწირულ გმირებს.

ითხზვებოდა ნაირ-ნაირი ლეგენდები.

გარნა ყველაზე მეტად ეს თქმულება ჰყვარებია ხალხს.

ერთ ოკრიბელ გლეხს წყვილად მოზვრები ჰყავდა. ვერ იქნა და ვერ დაიურვა, უღელი ვერ დაადგა გაზურავებულ მოზვრებს. ბოლოს, სულაც ტყეში გაექცა იმ კაცს განადირებული პირუტყვები. მერე, ორი ოქტომბრის ღამეს გლეხს ძილში ანგელოზი გამოეცხადა და უბრძანა: ადექ, ეზოში შენი მოზვრები გიცდიან, ურემში შეაბი, მდინარეში ჩა-

დი, იქედან დახოცილები ამოიყვანე და სადაც ხარები შესდგებიან, იქვე იქნება იმ დახოცილთა ადგილსამყოფელიო. გლეხი ადგა, ეზოში გავიდა. მართლაც, იქ მორჩილად დამდგარიყვნენ მისი მოზვრები. ურემში შეაბა. ხარები თვითონ გაეშურნენ იქით, საითაც საჭირო იყო. კლდეზე დაეშვნენ, მდინარისაკენ. მდინარეში გლეხმა იპოვნა დავით და კონსტანტინე, ყელზე ლოდმიბმულნი. ის ქვები მოაშორა და ორივენი ურემზე დაასვენა. ისევ თავისით გამოეშურნენ ხარები. მიდიოდნენ საესებით შეუულ კლდეებზე. ურმიდან სისხლი წვეთავდა წამებულთ. წვეთავდა და კლდე-კბოდეებს ეპკურებოდა (დღესაც ატყვია წითელი წინწკლები მოწამეთის კლდეებს და ბილიკებს). ხარები კლდის ქიმზე გავიდნენ და ურმიანად გაუჩინარდნენ, ხოლო დავითისა და კონსტანტინეს ცხედრები იმ ადგილზე დაესვენენ. სწორედ აქვე დაკრძალეს ისინი და შემდგომ აქვე მათი სახელობის ეკლესიაც — „მ ო წ ა მ ე თ ა“ — ააშენეს.

იმსხვრეოდნენ საუკუნენი.

დადიოდა ხალხი მოწამეთაში „მოწამეთობას“.

ყველას ჰსუროდა: დღისით ენახა გმირთა სისხლით დაწინწკლული კლდეები, ხოლო ღამით — ზეციური ნათლის სვეტები, სწორედ ისეთნი, სამსვეტოვან ჯიღად რომ ადგა მდინარეში მწოლარე გმირებს...

მოდიოდა ხალხი და... მათ შორის, თურმე, ქალ-ვაჟთა წყვილნი, ერთურთის მოტრფიალენი. თითქოს მოწამეთის საყდარი ყოფილიყოს დელფოს ტაძარი, სადაც საუკუნეთა უწყვეტ გზაზე სალოცავად მიიელტვოდნენ ჯუფთები შეყვარებულ ქალთა და ვაჟთა; მიდიოდნენ სიყვარულში ხელმოცარულებიც; მიდიოდნენ საყვარლის გულის მაძიებლებიც. ხოლო, ყველაზე ხშირად, თურმე, ისევ ის წყვილი მიიელტვოდა მოწამეთისკენ, რომელიც ადრე შუა გასთიშა ადამიანის ბედზე მოთამაშე ფორტუნამ. მოდიოდნენ დამცინავი ბედისწერისგან ადრე გაყრილნი, მაგრამ მარადიულად ერთმანეთის მახსოვარნი. მოდიოდნენ, მარტვილ გმირთა წინაშე დგებოდნენ და ანთებული სანთლებით ხელში მარადიული ჯვარისწერის ილუზიაში იძირებოდნენ.

ხოლო, მათი სიყვარულის მოწამე იყო მოწამეთა, მისი უმშვენიერესი დღე და ღამე, მცხუნვარე მზე და გრილი მაღნარი, ვაჟკაცური ანაგებით ამართული კლდეები და იდუმალებით ავსებული გამოქვაბულნი, ჯერ კიდევ ადამიანის ფეხით შეურყვნელი მთვარე-მთოვარე და მის ოქროვან შუქ-ჭავლთა ქვეშე მოელვარე წყალწითელა (მოელვარე, ვითარცა ზრო-ტანოვანი ქალის წელზე შემორტყმული ვერცხლის ზოსტერი).

აი, ამოათავა წყვილმა მოწამეთის სავანიდან აძომავალი აღმართი.

აქ ერთმანეთს უნდა დაშორდნენ (რადგან ისინი მაინც არ „ეკუთვნიან“ ერთმანეთს).

და ქალი განშორებისას ვაჟს უძღვნის ამ ლექსს:

მინდა ღმერთს შევწირო სიცოცხლე მოწამე და
ყოველი მიეუძღვნა ცხადი და დაფარული,
რომ მან მე მაპოვნინა ეს მიწა მოწამეთა,
რომ მან კვლაე მაპოვნინა შენდამი სიყვარელი.

ისევ შეგხვდებოდი ოდესმე, ვიცოდი;
ბავშვობის ზმანებას გულით ეატარებდი;
შენ ჩემგან შორს იყავ, — აბა, რა იცოდი, —
შენი ტრფიალების სახმილით ვიწვოდი.

ჩვენმა ბედისწერამ კვლაე ერთად შეგვყარა,
და ასე ინება ჩვენი გაწამებაl
შენ კვლავ დამიბრუნდი, ჩემო სიყვარულო,
შენ კვლავ დამიბრუნდი ჩემდა საწამებლად.

ვიდექით, სად იწვნენ, ვით იწვნენ
სახელით დიადით — დავით და კონსტანტინე,
და ვით ჩვენს თვალებზე ცრემლებმა იწვიმეს,
და ვით ჩვენ ერთმანეთს გულები ეატკინეთ.

სანთლები გვენთო და წუნარად ელოცულობდით,
გულში სიყვარულის ცეცხლი გვიღვიოდა.
ჩვენ ჯვარს ვიწერდით ნაწამებ მიწაზე
და სინანულის ცრემლები გვცვიოდა.

თუ გულმა ვერ შესძლო ამ ცრემლის ატანა,
ტრფობით წამებული თუ მოკვდეს სიცოცხლე,
გთხოვ მუდამ გახსოვდეს ჩვენი მოწამეთა.
არასდროს დაივიწყო ეს დღე, იცოდე...

იმუსრებოდნენ საუკუნენი.
ხოლო ლექსი ესე დარჩა შეუმუსერელი.

მურვან ყრუ არგვეთელი მთავრების წამების შემდგომ ქუთათისიდან ეგრისში გადავიდა. არაბებმა აიღეს და დაანგრიეს ციხე-გოჯი (ნოქალაქევი). მერე გადალახეს კელასურის ქვის კედელი, შეიჭრნენ აფხაზეთში, აიღეს და დაანგრიეს ქალაქი ცხუმი (სოხუმი).

სოხუმიდან ანაკოფიისაკენ გაეშურა „მძლავრი ბოროტი“.

ანაკოფიაში მაშინ თავს აფარებდნენ ქართლის უფლისწულები, ძენი სტეფანოზ ერისმთავარისა, მ ი რ ი და ა რ ჩ ი ლ ი, რომლებიც მცირეოდენი ჯარით საომრად გამოუხდნენ არაბთა მხედრობას.

ფიცხელი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მხოლოდ ეს იყო, მირი დაიჭრა მაზრაკით ფერდში.

ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა კეისარმა სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გამოუგზავნა მირს.

მარცხნაჭამი მურვან ყრუ აფხაზეთიდან უკუიქცა და ისევ ციხე-გოჯის მახლობლად დასცა ბანაკი.

აქ ახალი უსიამოვნება ელოდა დამპყრობელს. ამჯერად მას ბუნება დაატყდა რისხვად. საშინელი კოკისპირული წვიმა მოვიდა. ცხენისწყალი და აბაშისწყალი კალაპოტიდან გადმოიჭრა და არაბთა ბანაკს ეძგერა. ბევრი მეომარი და ცხენი დაეხრჩო მურვანს.

აქედან აიყარა და სამხრეთისაკენ დაეშვა. ძლივს მიაღწევდნენ კოლხეთის ჭაობებს. ლაჭაშებში იძირებოდა ქაცი და ცხენი. ტალახით დამძიმებული კუდები დააჭრეს ცხენებს. ძლივს გააღწიეს. გურიას შეესივნენ და ააოხრეს, მერე აჭარას და სპერს მიადგა მურვანი, — „ოხერ და უვალ ჰყო ყოველი ქუეყანა ზღვის პირისა“.

დასავლეთ საქართველოში მურვანმა მაინცადამაინც ვერ ჩასახელა თავი. ამიტომ მან ისევ სამხრეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხელახალი აკლებით მოისურვა შერყეული „უძლეველობის“ აღდგენა.

იგი შეიჭრა სომხეთს, აქედან ქართლს, ქართლიდან რანს (ალბანეთს). სასტიკად აიკლო სამივე ქვეყანა: „ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“.

მერე მურვანმა წარმატებით დალაშქრა ოვსეთი და ხაზარეთი.

743 წელს არაბეთის სასახლის კარზე ბრძოლა შეიქნა ხალიფას ტახტისათვის. მურვანიც სასწრაფოდ გაეშურა ტახტის საძიებლად. იმ წელს სამი ხალიფა გამოიცვალა, ხოლო მომდევნო 744 წელს მურვანი

შეიქნა ხალიფა. იგი მ ე რ ვ ან მეორის სახელით ექვსი წელი მბრძანებლობდა არაბეთს. ხოლო 750 წელს ტახტის ახალმა მაძიებლებმა მურვანი მოჰკლეს, თავი გააგდებინეს, ენა ამოჰრეს და კატას მიუგდეს ძესაჭმელად.

ტახტზე ავიდა ახალი დინასტიის, ა ბ ა ს ი დ ე ბ ი ს, დამაარსებელი ა ბ უ ლ-ა ბ ა ს-ა ს ა ფ ა ჰ (750—754 წწ.), რომელმაც არაბეთის ახალ სატახტო ქალაქად გამოაცხადა ბაღდადი. ამის მიხედვით არაბთა სახელმწიფოს, 750 წლიდან 945 წლამდე, ბაღდადის სახალიფოს უწოდებენ.

**არჩილ, ძე სტეფანოზისა**

სტეფანოზ ერისმთავარის უფროსი ვაჟი, მირი, ანაკოფიასთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან დასნეულდა და გარდაიცვალა. მას ძე არ ჰყოლია, შვიდი ასული დარჩა. ტახტი დაიჭირა სტეფანოზის უმცროსმა ვაჟმა ა რ ჩ ი ლ მ ა. მან მირი მცხეთას დაკრძალა, ხოლო მამა ციხე-გოჯიდან ქუთათისს გადაასვენა. ექვსი ძმისწული ქართველ ერისთავებს შერთო ცოლად, ხოლო მეშვიდე, გურანდუხტი, ბიზანტიის კეისარს მიათხოვა.

თორმეტი წელიწადი არჩილი ქუთათისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა. მაგრამ ქართლი მაინც არაბეთის მოხარკე ქვეყანა იყო. ტფილისში არაბი ამირა იჯდა ძლიერი არაბული ციხიონით. ამირა ქართველი ერისმთავრებისგან ხარკს ღებულობდა და ომის საჭიროებისას ქართული მხედრობაც გაჰყავდა. არაბული ხარკი ორნაირი იყო: ჯიზიათი (საკომლო) და ხარაჯა (საადგილმამულო).

არჩილი ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ქვეყნის აშენებას ჩაუდგა სათავეში.

ერთხანად თითქოს მშვიდობიანობა დამკვიდრდა ქვეყნად. არაბთა ამაოხრებელი ლაშქრობებიც შეწყდა. სარკინოზები თითქოს შეურიგდნენ, რომ მათი ფაქტიური ბატონობა საქართველოში ტფილისისა და მცხეთის ქართლს გარეთ არც ვრცელდებოდა. კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და მესხეთ-ჯავახეთი არაბთა ბატონობას არცკი სცნობდნენ.

VIII საუკუნის 60-იანი წლების მახლობლად არაბთა მორიგი მარბიელი ლაშქრობა მოეწყო ამიერკავკასიაში. სომხეთის აოხრების შემდგომ, ქართლში შემოიჭრნენ ცეცხლითა და მახვილით. არჩილმა მშვიდობი-

ანი შეთანხმების გზით სცადა ქვეყნის გადარჩენა. არაბთა სარდალმა ქართველი მეფე ჯერ ცბიერი ლიქნობით მიიღო, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვა, ხოლო როცა ამაზედ ცივი უარი მიიღო, შეიპყრო და თავი გააგდებინა.

### ხაზართა სარძლო

არჩილს დარჩა ოთხი ქალი და ორი ვაჟი — იოვანე და ჯუანშერ.

იოვანე დედისა და ორი დის თანხლებით ეგრისს გადავიდა, ხოლო ჯუანშერმა დანარჩენი ორი დაი დაიტოვა და ქართლ-კახეთის „მეფედ" დარჩა.

ჯუანშერის უმცროსი დაი, სახელად შუშანი, გასაოცარი სილამაზით იყო სახელგანსმენილი. მისი სიმშვენიერის ამბავი შორეულ ხაზარეთშიც შეუტყვიათ და ხაზართა ხაკანს გადაუწყვეტია კიდეც შუშანის ცოლად შერთვა. ხაკანმა ჯუანშერს მოციქული გამოუგზავნა, დამოყვრება შემოსთავაზა და სამაგიეროდ არაბების წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა.

ჯუანშერმა დედასთან და დასთან ითათბირა. ხაზართა ძლიერი ხელმწიფის კავშირი და თანადგომა ძალიან მომხიბლავად გამოიყურებოდა, მაგრამ ქართველობამ მაინც თავისი გაიტანა. უმჯობესიაო, ასე უღონოდ ვიქნეთ და დახმარება მხოლოდ ქრისტიან ბიზანტიელებს ვთხოვოთ, ვიდრე ქალი წარმართ ხაზარს გავატანოთო. თვითონ შუშანმაც გადაჭრით თქვა უარი ხაზარეთში გათხოვებაზე.

როგორც ეტყობა, ხაზართა მბრძანებელს ისედაც მონატრებოდა ამიერკავკასიის მორიგი მორბევა და მოოხრება. საბაბად ქალზე უარის თქმა სავსებით საკმარისი იყო.

764 წელს ხაკანმა უზარმაზარი ხაზარული ურდო გამოგზავნა ბლუჩან სარდლის მეთაურობით.

ჯუანშერი კახეთის ციხესიმაგრეებში დაუხვდა მტერს.

ხაზარები ჩვეული სისასტიკითა და ურჯულობით მოედვნენ კახეთის სოფელ-ქალაქებს. რამდენიმე დღის ალყისა და იერიშის შემდეგ ბლუჩანმა აიღო ციხესიმაგრე, რომელსაც თავს აფარებდა ჯუანშერი შუშანთან ერთად.

აქედან ტფილისს მიადგა ბლუჩან, არაბი ამირა დაამარცხა, ქალაქი აიკლო, მერე სომხეთიც ააოხრა და ჩრდილოეთისკენ გამობრუნდა.

აღტაცებული მიუძღოდა ბლუჩან ხაზარი ნაძარცვ-ნაალაფარ ურ-დოს ჩრდილოეთისკენ.

უძვირფასესი ტყვეები მიჰყავდა მბრძანებელი ხაკანისათვის: ქართველთა მეფე ჯუანშერ და დაი მისი, ქალთა შორის უმშვენიე-რესი შუშან.

არაგვის კართან, ქართული მიწის განსადრეკელზე, შესვენება ითხო-ვა ხაზართა სარძლომ.

ხაზარებმაც კარვები დასცეს.

შუშანმა ძმა გაინაპირა.

ბლუჩანი ხედავდა, საშიში არაფერი ჩანდა, და-ძმა მშვიდად საუბ-რობდნენ რაღაცას, გაქცევაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო, ხოლო სხვა რა საშიშროებაზე უნდა ეფიქრა ხაზარს.

ხოლო შუშანი ჯუანშერს ეუბნებოდა სავსებით მშვიდად, დამაჯე-რებლად და შთამაგონებლად:

„იცოდე, ხელი არ შემიშალო, ძმაო. მე მირჩევნია მოვკვდე და ქვეყნისთვის წამებულ ქალთა შორის მახსენონ, ვიდრე გავხდე წარ-მართთაგან შეგინებული. სახეზედაც არაფერი დაგეტყოს, ძმაო, შემო-გვცქერიან, არა შეგვამჩნიონ რა. ახლა უნდა მოვკვდე, ამ წუთს, რამე-თუ ამის შემდგომ მშობლიური მიწა თავდება“.

არ შეუშლია ხელი ჯუანშერს. ქანდაკივით იდგა, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერუცვლელი.

ხელზე ოქროს ბეჭედი ჰქონდა შუშანს, დიდი საფირონის თვალით.

„ხოლო თუალსა მას ქვეშე წამალი სასიკვდინე“.

შუშანი პირით მისწვდა ბეჭედს, თვალი ამოაგდო და საწამლავი ამოსწოვა.

წამსვე ძმის ხელებზე დაეშვა მკვდარი.

ხაზარებს, მრავალთა მკვლელებს და მკვდართა მხილველებს, არა-სოდეს ასეთი ლამაზი მკვდარი არ უხილავთ.

იქვე დაკრძალეს ქართული მიწის განსადრეკელზე.

ბლუჩანს ისღა დარჩენოდა ჯუანშერს გაფრთხილებოდა, ვინძლო იგი მაინც მიეგვარა ცოცხლად თავის მბრძანებლისათვის.

უსაზღვროდ შეწუხდა ხაკანი, როცა ბლუჩანმა მხოლოდ ჯუანშე-რი წარუდგინა და შუშანის სიკვდილის ამბავი უამბო. ცოფები ჰყარა, რატომ მკვდარი მაინც არ მომგვარე, მკვდარი მაინც მენახაო შუ-შან.

რისხვით ატანილმა ხაკანმა საშინელი სიკვდილი ბრძანა გაუფრთხი-ლებელი სარდლისა:

„შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი, და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვიდეს თავი ბოროტად“.

თვითონ ჯუანშერი შვიდი წელი დაიტოვა თავისთან ხაზართა ხაკანმა. ხოლო შვიდი წლის შემდგომ ისევ საქართველოში გამოუშვა დიდძალი ძღვენით დატვირთული.

### ქართველთა და სომეხთა აჯანყებანი

ბაღდადის ხალიფატის აბასიდური დინასტია განსაკუთრებული სიმძიმითა და სისასტიკით აწვებოდა დაპყრობილ ხალხებს. ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას რელიგიურ-სარწმუნოებრივი შემოტევაც ამწვავებდა... არაბები ქრისტიანი მოსახლეობისგან ისლამის გზაზე შედგომას მოითხოვდნენ. მათ იცოდნენ, ეს იყო გზა დაპყრობილ ხალხთა სრული ეროვნული გადაგვარებისაკენ.

სომხები და ქართველები კვლავ თავგანწირვით იბრძოდნენ საკუთარი ეროვნული თვითმყოფობის გადასარჩენად. აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. ხალიფატის საომარ ძალთა უდიდესი და უსაჩინოესი ნაწილები თითქმის ყოველ წელს სომხეთისა და საქართველოსკენ მოილტვოდნენ.

766 წელს აჯანყება არაბთა წინააღმდეგ მოედო მთელ კახეთს. ამიერკავკასიის მაშინდელი მმართველი, სარდალი ალ-ჰასანი აჯანყებულებს შეება, მაგრამ დამარცხდა და ხალიფა მანსურს ახალი ჯარები სთხოვა კახეთის ხელახალი დამორჩილებისათვის. მანსურმა 20 000-იანი ახალი, რჩეული არმია გამოგზავნა ამირ იბნ-ისმაილ-ალ-ჰარისის სარდლობით.

რამდენიმე თვე გაგრძელდა უსაშინელესი ხოცვა-ჟლეტა. არაბებმა სირცხვილი სისხლით მოიბანეს. ერთ დღეს 16 000 კახელი გაჟლიტეს.

დიდ დროს არ გაუვლია და ისევ საომრად აღიმართნენ ქართველები. ამჯერად აჯანყება მოედო მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ჭართლსა და კახეთს.

უმძიმესი ბრძოლები ისევ აჯანყებულთა დროებითი უკანდახევით დამთავრდა (772 წ.).

ქართლ-კახეთის მორიგი აჯანყების მოწყობა ხალიფა მანსურმა, „ბოროტ კაცთა შესმენით“, ქართლის მაშინდელ ერისმთავარს, ნერსეს დააბრალა. ნერსე ბაღდადში დაიბარეს და საპყრობილეში ჩასვეს.

773 წელს არაბთა წინააღმდეგ მძლავრი აჯანყება დაიწყო სომხეთ-

ში. დამწყები იყო არტავაზდ მამიკონიანი, რომელმაც დვინში არაბებს გამოუცხადა, ხაზარებთან საომრად ლაშქარი უნდა შევყაროო. არაბებმა სომეხს ხერხი ვერ გაუგეს და ჯარის შეკრების ნება დართეს. 774 წელს არტავაზდი შეკრებილი ლაშქრით კუმაირში (ახლ. ლენინაკანი) არაბ მოხელეებს დაესხა და ამოწყვიტა. არაბებმა დიდძალი არმიით შემოუტიეს. მამიკონიანი საქართველოსკენ წამოემართა. სამცხეს მოატანა და მესხებმა არაბთა წინაკერძს გზა ჩაუჭრეს. სომეხთა ბელადმა ეგრისში გადაასწრო და იქ ქართველებს დასახმარებლად მოუწოდა. ეგრისელებმაც დამხმარე ჯარი მისცეს მეზობელს.

სანამ არტავაზდი სამშობლოში დაბრუნდებოდა, სომხეთში აჯანყების ახალი ტალღა აიმართა. ამჯერად ინსურგენტებს მუშეღ მამიკონიანი მოუძღოდა. არაბები ამოწყვიტეს ბაგრევანდსა და ხარსში. პირველმა წარმატებებმა მთელი სომხეთი დააყენა ფეხზე. აჯანყება საერთო-სახალხო მოძრაობად იქცა. ბრძოლის სხვადასხვა უბანზე, მუშეღ მამიკონიანის გარდა, აჯანყებულებს მეთაუროებდნენ სმბატ შამიკონიანი, სმბატ დასააკ ბაგრატუნები და ამაზასპ არწრუნი.

სომხეთმა თითქოს თავი დაიხსნა არაბთა ბატონობისაგან.

მაგრამ 775 წელს ხალიფამ 30 000-იანი არმია შემოგზავნა სომხეთში. რიცხობრივ უპირატესობას ისევ თავისი უნდა გაეტანა. გადამწყვეტ ბრძოლაში აჯანყებულები იბრძოდნენ საარაკო გმირობითა და თავგანწირვით. სომეხთა ყველა ბელადი გმირის სიკვდილით დაეცა. მსოფლიოს მბრძანებლებმა კვლავ გაიმარჯვეს.

ამასობაში, სამი წლის მანძილზე, ქართლის ერისმთავარი ნერსე ბაღდადის ციხეში იჯდა. შესაძლოა მას სიკვდილიც ელოდა, მაგრამ 775 წელს გარდაიცვალა ქართველებსა და სომხებზე გარისხებული ხალიფა მანსურ, ხოლო არაბეთის ახალმა მბრძანებელმა მაჰდიმ ახალი, თითქოს „მშვიდობიანი" კურსი ცადა მუდამ საომრად შემართულ ქართველ-სომეხთა მორჩილსაქმნელად.

უპირველეს ყოვლისა, ახალმა ხალიფამ ტყვეობიდან გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა ნერსე ერისმთავარი.

მაგრამ ხალიფა მაჰდიმ ისევ „ბოროტ კაცთაგან" დაბეზღებით შეიტყო, რომ ქართველ ერისმთავარს მისი წყალობა არაფრად ჩაუგდია და შესაძლოა, ახალი აჯანყებისთვისაც ამზადებს ხალხსო.

ატყდა მსტოვართა გაბმული სრბოლა ტფილისსა და ბაღდადს შო-

რის. წუთი წუთზე ტფილისის ამირას ბრძანება უნდა გაეცა ნერსეს ხელახალი შეპყრობის შესახებ.

ნერსემ დაასწრო, ოჯახი აფხაზეთში გადახვეწა, მთავარ ლეონ მეორის კარზე, ხოლო თვითონ სამასკაციანი ამალით ჩრდილოეთით, ხაზარეთისკენ გაუტია.

ხაზარეთიდან ნერსე გაეშურა აფხაზეთს, სადაც სავსებით მოხსნილი იყო სარკინოზული საშიშროება.

აფხაზეთში ნერსემ შეიტყო, რომ მის ნაცვლად ქართლის ერისმთავრად ხალიფას დაუნიშნავს სტეფანოზ, ძე გურგენ ერისთავისა. ხოლო ეს სტეფანოზ „მეოთხე" ნერსეს დისწული იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბაღდადელი მბრძანებელი ისევ დათმობითი პოლიტიკით აპირებდა ქართველთა შემორიგებას. ამიტომ ნერსემ ხალიფასთან შერიგებას ადვილად მიაღწია და მისი ნებართვით მშვიდობიანად დაბრუნდა ტფილისს.

### მარტვილობა ჰაბო ტფილელისა

ნერსე ერისმთავარს თავის გრძელ ლტოლვა-გარდახვეწის გზაზე (ბაღდადი-ტფილისი-ხაზარეთი-აფხაზეთი-ტფილისი) ქართულ ამალაში თან დაჰყვებოდა ერთი უცხოელი, ტომით არაბი, წარმოშობით ბაღდადელი, სახელით ჰაბო.

ჰაბოს ბაღდადში შეჰყვარებია ქართველები და მათი გმირი ერისმთავარი. გასაოცრად მოუხიბლავს მათ ვაჟკაცურ სიმტკიცესა და შემმართებლობას.

ჰაბო ადრიდანვე კარგად იყო გაწაფული არაბულ-ისლამურ ღვთისმეტყველებაში; კარგად იცოდა სხვადასხვა სააქიმო მალამოების, ნელსაცხებელთა და სანელებელთა დამზადება.

ჰყავდა მშობლები, ძმები და დები, ნათესავ-ახლობელნი, ჰქონდა ქონება, მაგრამ 17-18 წლის ყმაწვილმა ყველა და ყველაფერი დაივიწყა, ქართველებს მიეკედლა და სიკვდილამდე აღარ მოსცილდა.

ჰაბო ტფილისში მოჰყვა ნერსეს.

ერთბაშად შეიყვარეს ქართველებმა უცხო ჰაბუკი.

სწრაფად შეისწავლა ქართული ლაპარაკი, წერა-კითხვა და ადათი.

ღრმად შეისწავლა და სისხლხორცეულად შეიყვარა ქრისტიანობა.

გულით უარყო ისლამი, ფარულად შეუდგა ქრისტეს, ქრისტეს საზელზე ლოცულობდა, მარხულობდა, ლიტანიობდა.

მერე ხაზარეთში წაჰყვა ნერსეს.

იქვე, პირდაპირ ქრისტიანული წესით მოინათლა ქრისტიან მღვდელთაგან.

შემდგომ, აფხაზი მორწმუნეები დიდი პატივით შეხვდნენ არაბის გაქრისტიანებას.

ხოლო, როცა ნერსე თავისი ამალით აფხაზეთიდან ისევ ტფილისს უნდა გამგზავრებულიყო, აფხაზეთის მთავარმა ლეონ მეორემ ჰაბოს ურჩია, ნუ წახვალო ქართლს, რადგან იქ სარკინოზები ბატონობენ და ვაითუ თვისტომს სარწმუნოების შეცვლა არ გაპატიონ, ქრისტიანობა დაგატოვებინონ და ისევ მაჰმადის სჯულზე შემოგაქციონო. ჰაბომ მტკიცედ უპასუხა, ოქრო-ვერცხლში რომ ჩამსვან, გინა ცემა-გვემით სული ამომხადონ, ქრისტიანობას მაინც არ ვუღალატებო.

ჰაბო ნერსესთან ერთად ისევ მოვიდა ტფილისს. ამიერიდან იგი თავის ახალ სარწმუნოებას არამც თუ აღარ ფარავდა, არამედ აშკარად იღვწოდა ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი.

აიშალნენ არაბები, როგორ თუ არაბმა მაჰმადის სჯულს უღალატაო, და მისდგნენ ჰაბოს. ზოგი აყვედრიდა, ზოგი არიგებდა, ზოგი აგინებდა და ზოგიც აშინებდა.

„ხოლო იგი განმტკიცებული იყო ქრისტეს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა“.

ასე გაგრძელდა სამი წელიწადი.

მერე არაბებმა შეიპყრეს ჰაბო და მსჯავრის მისაგებად მიჰგვარეს ტფილისის ამირას.

ამირამ საპყრობილეში შეაგდო ჰაბო.

რამდენიმე დღის შემდეგ სტეფანოზ ერისმთავარმა გამოიყვანა და გაათავისუფლა.

მცირე დროც გამოხდა და ახალი ამირა დაადგინა ხალიფამ ტფილისს. ახლა მასთან მიცვივდნენ მუსლიმი ფანატიკოსები და შეუდგნენ დასმენას: ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი დადის, წარმოშობით არაბი და მაჰმადიანად გაზრდილი, ჩვენი სჯული დაუტევებია, ქრისტიანობა მიუღია, ქალაქში უშიშრად დადის და ქრისტიანობას სხვა არაბებსაც უქადაგებსო. უნდა ბრძანო მისი შეპყრობა და წამება მანამ, სანამ ისევ მაჰმადის სჯულს არ დაიბრუნებს. თუ არ მოჰკლავ, ბევრი ჩვენიანი მას მიჰბაძავს და ქრისტიანობას მიიღებსო.

ქრისტიანებმა ჰაბოს შეატყობინეს, შესაპყრობად და საწამებლად ეძებენ და თავს უშველეო. ჰაბომ პასუხად ეს თქვა:

„მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებული ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდიდცა“.

ამირასაგან გამოგზავნილმა არაბებმა ჰაბო შეიპყრეს და წაიყვანეს.

ამირამ უთხრა: რა არის, რომ ასეთი რამ ბოვისმინე შენს შესახებ, ტომით არაბი მაჰმადის სჯული მიგიტოვებია და ქრისტიანად მოქცეულხარ. ახლავე მოემზადე და ისევ ამ სჯულით ილოცე, რომლითაც მშობლებს გაუზრდიხარო.

მართალია, არაბი ვარ, უპასუხებდა ჰაბო, მაჰმადის სჯულსაც კარგად ვიცნობდი, მაგრამ უმეცარი ვიყავი, ხოლო შემდგომ ქრისტეს შემწეობით თვალები ამეხილა, ყალბი მაჰმადიანობა უარვყავი და ჭეშმარიტი ქრისტეს სჯული მივიღეო.

ოღონდ მაგ სიგიჟეს თავი დაანებე და ოქრო-ვერცხლით აგავსებო, არ ეშვებოდა ამირა.

ოქრო და ვერცხლი შენი თავის წასაწყმედად შეინახეო, მშვიდად განაგრძობდა ჰაბო, ხოლო მე კაცთაგან ბოძებულ პატივს არ ვეძებ, მე ქრისტესმიერი პატივიც მეყოფაო.

ამირას მოთმინების ძაფი გაუწყდა.

მძიმე ჯაჭვებით შებორკილი ჰაბო საპყრობილეში ჩააგდეს (785 წლის 27 დეკემბერს).

ჰაბომ მთელი თავისი ავლადიდება გაყიდა და საპყრობილეში მყოფ მშიერ, ნაკლულევან და სხეულგანრღვეულ პატიმრებს დაურიგა.

დღე და ღამე ლოცულობდა და მარხულობდა ჰაბო.

მოსვენებას არ აძლევდნენ მოგვი-მსტოვრები:

„შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაითა არა შეამთხვიო ძვირი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“.

რას გიშველისო იესო ქრისტე, ან ვინ დაგიხსნისო ჩვენ ხელთაგან, როცა შენთვის, თუ ჰკუას არ მოეგები, მზადა გვაქვს ცეცხლი და სატანჯველიო.

ჰაბოს თითქოს არც ესმოდა მათი. ლოცვას განაგრძობდა უღარღილოდ (უხმოდ), გონების შიგნით, ხოლო როცა საშველი აღარ მისცეს, უთხრა მათ:

ნურარას მეტყვით, რამეთუ არარა მესმის ვითარცა ყრუსა და არცრაის თქმა შემიძლია ვითარცა მუნჯსა; „განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი!“

ისინიც მოშორდნენ შერცხვენილნი და გაწბილებულნი.

მეცხრე დღეს ჰაბომ თანაპყრობილებს გამოუცხადა:

„ხვალე განსვლაი არს ჩემი ხორცთაგან და მისვლაი უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“.

უკანასკნელი რაც დარჩენოდა — ტანსაცმელი განიძარცვა, გააყრევინა და მიღებული გროშებით ქალაქის ეკლესიებში მისი სულის მოსახსენებლად სანთელთა და საკმეველთა ანთება ითხოვა.

თვითონ ორი დიდი კერეონი აიხთო ორთავ ხელში და მთელი ღამე გაათენა ფეხზე მდგომარემ, მლოცველმა, ქედზე და ხელ-ფეხზე რკინის ჯაჭვებით დამძიმებულმა.

გათენდა ჰაბოს პატიმრობიდან მეათე დღე, 786 წლის 6 იანვარი, დღე პარასკევი, დღე ნათლიღებისა.

აღტაცებული იყო ჰაბო, სწორედ ეს დღე რომ იყო მისი „ხორციდან განსვლის“ დღე.

წყალი მოიღო, პირი დაიბანა, ნელსაცხებელი წაისვა თავზე.

ზიარება მოითხოვა და მოჰგვარეს „ხორცი და სისხლი ქრისტესი“.

უკვე სავსებით მზად იყო სული მისი სხეულიდან განსვლად, ხოლო სხეული, შიშისაგან განძარცული — ტანჯვად და გვემად.

მოვიდნენ შეიარაღებული სარკინოზები და წაიყვანეს.

მიაბიჯებდა ჰაბო ბორკილებით დამძიმებული.

მიდიოდა და ეგონა, ცალ-ცალკე მიდიოდნენ მისი სული და მისი სხეული.

„მიდიოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გუამსა“.

ჰაბოს სული წინასწარ ჰხედავდა ერთ დროს მის სამკვიდრებელს— ჰაბოს გვამს.

ჰაბოს სული მიაცილებდა გვამსა ნაგვემსა.

მიიყვანეს ამირას კარზე.

ჯვარი გადასახა მუსლიმურ სასახლეს ჰაბომ და „თვითცა დაიბეჭდა ჯუარი“.

წარუდგინეს ამირას.

„რაი არს, ჰაბუკო, რაი განიზრახე თავისა შენისაი?“ — დაიწყო ამირამ.

„მე განვიზრახე და ქრისტიანი ვარ!“ — გზნებით თქვა ჰაბომ.

„არა დაგიტევებიეს სიცოფე იგი და უგუნურებაი, შენი?“

„უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავ, ქრისტედ შედგომის ღირსიც ვერ გავხდებოდი“.

„არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?“

„ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი. რამეთუ გონებაჲ ჩემი ქრისტეის თანა არს ზეცას!“

„რაკი ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტეის შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?“

„უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაი მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელ იღე მისა მიმართ და მაშინღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა!“

რისხვამ აღავსო სარკინოზის უგლიმი გული.

მსახურთ უბრძანა, წაიყვანეთ და თავი გააგდებინეთო სასწრაფოდ.

ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის ეზოში მიიყვანეს და ბორკილები ახსნეს.

მკერდი მოიშიშვლა ჰაბომ.

მახვილები გააშიშვლეს სარკინოზებმა.

სამგზის ჯვარი გადაიბეჭდა ჰაბომ.

ლოცვა აღავლინა.

ხელები ჯვარსახედ დაიწყო ზურგზე.

სახეზე უსაზღვრო სისარულით აღსავსე ღიმილი გადაიფინა.

მახვილი აღმართა სარკინოზმა.

გულუძვრელად დაიდრიკა ჰაბომ კისერი.

სამგზის იელვა მახვილმა.

სამგზისვე თვალუძვრელად და გულუძვრელად იდგა ჰაბო, ვითარცა ქანდაკი.

(სამივე მოქნევა თურმე გამოცდა ყოფილა: იქნებ შეშინდეს და ქრისტე უარჰყოსო).

მეოთხედ კი დაჰკრეს.

თავმოკვეთილი დაეცა ჰაბო, ოდესღაც სარკინოზი, შემდგომად ქრისტიანი, სულით და გულით ქართველი.

ჯალათებმა ამირას ამცნეს, რომ ჰაბო უკვე მკვდარი იყო. თან ნება ითხოვეს, ცეცხლზე დავწვავთო დასჯილის გვამს, რადგან ქრისტიანებმა წამებულის ძვლების, სამოსის, თმებისა და სხვათა ნაწილთა გაღმერთება

იციან, ყველაფერს მისეულს ქრისტიანული სასწაულებისთვის იყენებენ, ხალხს ატყუებენ და ქრისტეს სჯულზე აყენებენო.

როგორც გსურდეთ, ისე მოიქეციოთო, მძიმედ თქვა ამირამ.

სარკინოზებმა ჰაბოს გვამი ურემზე დადეს. მკვლელობის ადგილიდან ყველაფერი გულდასმით მობოჭეს. წამებულის სისხლით გაჯერებული მიწაც კი მოჰკვეთეს და ყველაფერი გვამთან შეაქუჩეს ურემზე.

მეტეხის საგოდებელზე გაიყვანეს. მტკვრის თავზე, კლდის პირზე დაასვენეს ჰაბო. ზედ ზეწისა და თივის ზვინი დადგეს.

ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

ასე დაიწვა გვემული გვამი, ერთჟამს წმიდა ჰაბოს სამკვიდრებელი.

ძვლები ცხვრის ტყავში გამოკერეს და მეტეხის ხიდთან მტკვარში ჩაჰყარეს.

მარტვილობა ჰაბო ტფილელისა აღწერა შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა ი ო ა ნ ე  ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე მ.

მაგრამ, ეს არ იყო უბრალო „ცხორება“.

ჰაბო ტფილელის წამება იოანე საბანისძის დიდი იდეოლოგიური მანიფესტი იყო იმდროინდელი ქართველობისთვის, მაჰმადიანურ-არაბული სამყაროს მომძლავრების ხანაში. იგი ქრისტიანობას წარმოადგენდა როგორც ეროვნული თვითმყოფობის საფუძველს. ჰაბო ტფილელი ბრწყინვალე მაგალითი იყო ქრისტიანობისთვის თავგანწირვისა: მსოფლიოს მპყრობელთა წარმომადგენელმა ჰაბუკმა ჰაბომ მშობლიური არაბულ-ისლამური სამყარო უარყო და ქართულ-ქრისტიანულისთვის გასწირა სიცოცხლე.

იგი დიდი გამხნევება იყო მათთვის, ვინც არაბთა მომძლავრებისაგან „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

იგი მძლავრად მოუწოდებდა, კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც სარკინოზებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა... რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით“.

დიდხანს, ღამღამობით, ვიღაცის უხილავი ხელი უზარმაზარ კერპონს ანთებდა ჰაბოს წამების ადგილზე.

ხმა დავარდა: ზეციური ვარსკვლავი ჩამოდის წამებულის ნაფერფლარზეო.

აღტაცებული შესცქეროდნენ ქრისტიანები მეტეხის ბორცვზე მოკიაფე „ზეციურ ვარსკვლავს".

ძრწოლამოსილი უცქერდნენ მუსლიმ-სარკინოზ-აგარიანნი...

## ᲐᲖᲛᲐ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

## „ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲜᲔᲑᲐ" ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ

### ოთხთა სახელმწიფოთა

მერვე საუკუნე იწურებოდა.

არაბული მბრძანებლობა მხოლოდ ტფილისსა და მის შემოგარენს ჩაჰფრენოდა ქართველებთან ნაომარ-ნაცვეთი ბრჭყალებით.

დანარჩენი, უმეტესი საქართველო, სარკინოზული ბატონობიდან თავს დამოუკიდებლად გრძნობდა სავსებით.

უკვე ჩამოყალიბებული იყო ო თ ხ ი დამოუკიდებელი ქართული სამთავრო.

უპირველესად დ ა ს ა ვ ლ ე თ ქ ა რ თ უ ლ ი სამთავრო გაჩნდა. აქ ყველაზე კარგი პირობები იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის. მურვან ყრუს ცოფიანი ლაშქრობის ნაჭრილობევი თითქმის აღარ ჩანდა დასავლეთქართულ სხეულზე. მას შემდეგ აქ ფეხი აღარ დაუდგამს არაბობას.

განსაკუთრებით აფხაზეთის ქართველობა დარჩა არაბთაგან ხელუხლებელი. მასზე ჯერ კიდევ ბიზანტიის კეისარს ედო „მფარველური" ხელი. მალე ბიზანტიელებიც „მოუძლურდნენ" აფხაზეთში. საქართველოსთვის აღარ სცხელოდათ ბიზანტიელებს: სარწმუნოებრივ-რელიგიური ხასიათის სამოქალაქო ომს მოეცვა კონსტანტინოპოლი.

საერთო პოლიტიკური მდგომარეობით კარგად ისარგებლა აფხაზეთის მაშინდელმა მთავარმა ლ ე ო ნ მეორემ, რომელმაც დასახმარებლად მოუხმო ხაზარებს (დედამისი ხაზართა ხაკანის ასული იყო), განდევნა ბიზანტიელები, შეიერთა ეგრისი და არგვეთი. ამნაირად შექმნა ერთი-

ანი დამოუკიდებელი დასავლურ-ქართული სახელმწიფო შავი ზღვიდან ლიხის მთამდე.

ახალი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების სატახტო შეიქმნა უძველესი ქართული ქალაქი ქ უ თ ა თ ი ს ი, „დედაქალაქობის" ძველთაძველი ტრადიციების მქონე ქალაქი.

ლეონ მეორემ თავის თავს „მეფე" უწოდა.

არც ის იქნა დავიწყებული, რომ მას ადრე „აფხაზეთის მთავარი" ერქვა: მისგან გაერთიანებულ ახალ ქართულ სახელმწიფოს „აფხაზეთის სამეფო" დაერქვა.

მალე ამის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში ორი სამთავრო ჩამოყალიბდა: კ ა ხ ე თ ი და ჰ ე რ ე თ ი.

კახეთი, დიდი „ქართული შუამდინარეთი" (არაგვსა და ალაზანს შორის), არაბული ბატონობის მთელ მანძილზე უცხოური უღლისადმი შეურიგებელი დარჩა. აქაური მთისა და ბარის უმამაცესი მოსახლეობა ნაყოფიერებითა და სიმშვენიერით აღსავსე მშობელ ქვეყანას უცხო მტერს უსიკვდილოდ არ ანებებდა: VIII საუკუნის მიწურულიდან არაბებმა ტფილისს ზემო ქვეყნისაკენ ლტოლვის სურვილი საბოლოოდ ჩაიცხრეს.

კახეთი ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადდა. მას სათავეში ედგა მ თ ა ვ ა რ ი, ანუ მეორე სახელით — ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი.

VIII — IX საუკუნეთა მიჯნაზე კახეთის სათავეში დგას ძლიერი ხელმწიფე-მთავარი გ რ ი გ ო ლ.

იმავე ხანებში კახეთის მეზობლად, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლურ მხარეში, ჩამოყალიბდა ჰ ე რ ე თ ი ს სამთავრო, რომლის მთავარსაც ტიტულად ჰქონდა „პ ა ტ რ ი კ ი".

ბოლოს, მეოთხე „ქართულ სახელმწიფოდ", მიუხედავად იმისა, რომ ტფილისში არაბი ამირა ბატონობდა, კვლავ განაგრძობდა არსებობას ქ ა რ თ ლ ი ს სამთავრო.

ქართლის მთავარიც ტფილისში იჯდა, არაბი ამირას გვერდით.

როგორც ზემოთ ითქვა, ნერსეს შემდგომ ქართლში მთავრად იყო ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ე ო თ ხ ე გურგენის ძე, ა დ ა რ ნ ა ს ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს შვილიშვილი.

786 წელს ქართლის მთავარი შეიქნა სტეფანოზის ბიძა (გურგენის ძე) ა შ ო ტ პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი, ადარნასე ბაგრატიონის უმცროსი შვილი.

ამავე დროიდან იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ანუ მისი ერთიანობის აღდგენისათვის.

### სამხრეთულ-ქართული აღზევების დასაწყისი

ოთხ ქართველ ხელმწიფეთაგან უძლიერესი აღმოჩნდა აშოტ I, წარმოშობით ბაგრატიონთა საგვარეულოდან.

ძველ ქართულ სამეფო დინასტიას, ფარნავაზიანებს, ანტიკური დროიდანვე ორი სამხრეთულ-ქართული — ბაგრატიონთა — განშტოება ჰქონდა: მესხეთ-კლარჯეთისა (ჭოროხის ქვემო წელზე) და სპერისა (ჭოროხის ზემო წელზე).

კლარჯეთის ბაგრატიონებიდან მოდიოდა აშოტ I დიდი.

საისტორიო ფორტუნამ სწორედ მას არგუნა წილად, გამხდარიყო სახელოვან ბაგრატიონთა დინასტიის დამაარსებელი საქართველოში.

(ხოლო მეორე ბაგრატიონული შტო — სპერის ბაგრატიდები — უფრო მოგვიანებით გამეფდებიან სომხეთში).

მაშ, აშოტ ბაგრატიონი შეიქნა საქართველოს ხელახალი გაერთიანების მედროშე.

ორმა დიდმა ქართულობამ: აღმოსავლურმა (იბერიულ-ქართლურმა) და დასავლურმა (კოლხურ-ლაზურმა) ამჯერად, ათასეულ წელთა შემდგომ, პოლიტიკური პირველობის პალმა გადაულოცეს მესამე დიდ ქართულ ნაკადს — სამხრეთ-მესხურს.

აშოტ ბაგრატიონის უპირველესი საზრუნავი ქართლის მიწიდან არაბთა განდევნა იყო. ეს ერთი შეხედვით არც ისე ძნელ საქმედ გამოსჩანდა, რადგან იმ დროს, VIII — IX საუკუნეთა განსაღრეკელზე, ქართლში „მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი". არაბთა „მოუძლურების" მაჩვენებელი იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ ხალიფა ჰარუნ-არ-რაშიდი თავისი ხელმწიფობის 23 წლის მანძილზე (786 — 809 წწ.) იძულებული გახდა ქართლში 17 ამირა გამოეცვალა, უკვე ვერც მახვილით და ვერც მოალერსებით ვეღარ ახერხებენ არაბები ქართველთა დაპერას.

IX საუკუნის დამდეგს არაბთა წინააღმდეგ ქართველთა გამოსვლა უფრო შეუპოვარ ხასიათს ღებულობს. ბაღდადში 809 წელს გარდაიცვალა ჰარუნ-არ-რაშიდი და ატყდა ოთხწლიანი ბრძოლა ხალიფას ტახტისათვის. აშოტს შეეძლო უფრო ენერგიულად ამოქმედებულიყო. ასე-

დაც მოხდა. კელაე გულმყარად შეუტია სარკინოზებს. იგი მთლიანად „ეუფლება ქართლს, საზღვართა მისთა“.

810 წლის მახლობლად აშოტმა ტფილისიდან განდევნა არაბები და ასე გაათავისუფლა საქართველოს დიდი სატახტო საუკუნენახევრის უცხოური ბატონობისგან.

მთელ წინა აზიაში გაუვარდა სახელი არაბთა მძლეველს; „განადიდა უფალმან მეფობა აშოტისი“.

ქართლის სრული შემომტკიცების შემდგომ ალბანეთისკენ გაიწია ბაგრატიონმა. იქ, ბარდავში, აჯანყება მძვინვარებდა არაბთა წინააღმდეგ. ქართველები ალბანელებს მიეშველნენ. არაბები დამარცხდნენ. ბარდავი ქართლს შემოუერთდა.

სამი წლის მანძილზე აშოტის „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“.

მაგრამ 813 წელს ბაღდადში ხალიფას ტახტი დაიპყრო ენერგიულმა მ ა მ უ ნ მ ა, და „განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ“.

ტფილისი ისევ არაბებმა დაიჭირეს.

თითქოს გრიგოლ კახთა მთავარიც ამას უცდიდა: ქართლში შეიჭრა და ქსნის ხეობა დაიჭირა.

აშოტ ბაგრატიონი იძულებული გახდა შუაგულ ქართლს გაშორებოდა.

მესხეთისკენ მიილტვოდა სეფე-წულებით და მცირე ამალით.

ფარავნის ტბასთან ჩაიმუხლეს, პური ჭამეს და თვალი წაატყუეს.

ყიჟინამ და ცხენთა თქარათქურმა გამოაღვიძა ლტოლვილნი.

სარკინოზთა ჯარი მოჰქროდა ამხედრებული.

რისხვეულად შეჰყივლა და ხმალი იშიშვლა აშოტმა.

მისიანებიც გულმედგრად მიჰყვნენ იარაღგამართულნი.

მრავალი ჩახოცეს და ჩაკაფეს მომხდური.

არაბები შედრკნენ მცირერიცხოვანი მოპირდაპირის თავზეხელაღებულობით შეცბუნებულნი. უკუიქცნენ.

კარგა ხანს სდიეს ქართველებმა.

აშოტი შავშეთ-კლარჯეთში ჩავიდა.

აქედანვე დაიწყო კიდევ ერთი ახალი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს — ტ ა ო-კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს სამთავროს ისტორია.

ტაო-კლარჯეთის სატახტო ქალაქად გამოცხადდა ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, სამშობლო ბაგრატიონებისა.

არტანუჯი, ვახტანგ გორგასალის ბრძანებით აგებული ციხესიმაგრე,

მურვან ყრუსაგან დანგრეული დახვდა აშოტს. ხელახლა აღაშენა აშოტმა ციხე-ქალაქიც და ახალი სამეფო სასახლეც თავის სამეუფო სამკვიდრებლად.

აქ, უძველესი კულტურის ქართულ მხარეში, შეუდგა აშოტ ბაგრატიონი ახალ ძალთა შეკრებას საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის გასაახლებლად.

უპირველესად ბიზანტიასთან გააბა კავშირი აშოტ არტანუჯელმა. ლეონ მეხუთემ, რომელიც იმავე 813 წელს ავიდა კეისრის ტახტზე, სიხარულით მიიღო არაბთა დაუძინებელი მტრის სამოკავშირეო წინადადება და უაღრესი თავაზისა და პატივის ნიშნად ქართველ ხელმწიფეს უბოძა კურაპალატის ტიტული, უმაღლესი პოლიტიკური ზეობის თიკუნი „კეისრის“ შემდგომ.

### „სანთელი დაუსებელი“

და მასვე აშოტ კურაპალატის ჟამს კლარჯეთს მოღვაწეობდა კაცი ერთი, „განსრულებული სიბრძნითა“, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“.

სახელი მისი იყო გრიგოლ.

დაიბადა 759 წელს.

ნერსე ერისთავის ცოლისძმის შვილი იყო.

ნერსეს სასახლის კარზე იზრდებოდა. ნერსეს მეუღლე თვითონ ხელმძღვანელობდა ძმისწულის სწავლა-აღზრდას.

გასაოცარ ნიჭსა და გულისხმიერებას იჩენდა ყმაწვილი.

უმოკლეს დროში უნაკლოდ, ზეპირად, ისწავლა ბიბლიის ყველა წიგნი, ორივე „აღთქმა“ — ძველიც, ახალიც.

შეიქნა პოლიგლოტი — მცოდნე მრავალთა ენათა. ყველა ცნობილ ენაზე კითხულობდა, წერდა, მსჯელობდა.

არ იკმარა თეოლოგია და თეოსოფია.

უბრწყინვალესად შეისწავლა ფილოსოფია.

თვითონ იყო უბრძენესი სიბრძნისმეტყველი და მწერალი სიტყვამკაზმავი.

სძულდა ყოველი სიტყვა ჯერკვალი (უკეთური). თაყვანს სცემდა კეთილ სიტყვას, მრავლისმეტყველს, ფრთიანსა და მახვილგონიერს.

„სიტყვა მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაითა“.

სიჩჩოითგან (სინორჩიდან) არ უგემნია არც ერთი ლუკმა ხორცისა, არც ერთი წვეთი ღვინისა.

იყო გამხდარი, ღერტანადი, დიდტანოვანი, მძლავრნაკვთიანი, სახით სახიერი, მშვიდი და ზეციური სათნოებით სხივდაფენილი.

სრულიად ახალგაზრდა მღვდლად ხელდასასხმელად წარადგინეს.

უარზე იდგა: „პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან (სასჯელი) მეშინისო“.

როგორც იქნა დაიყოლიეს.

მაგრამ, როცა ეპისკოპოსად კურთხევაც დაუპირეს, ქართლიდან წავიდა იდუმალ.

სამი ეპისკოპოსი აიყოლია: ს ა ბ ა, მისი დეიდაშვილი, იშხანის აღმდგენელი და ნეძვის აღმშენებელი; თ ე ო დ ო რ ე დ ა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე — კვირიკეთის აღმშენებელი.

ქართლიდან წავიდნენ მესხეთს, მივიდნენ კლარჯეთს, ო პ ი ზ ი ს სავანეში. ორი წელი იმოღვაწეს აქაურ ეპისკოპოსთან, გიორგისთან.

მერე წავიდნენ შავშეთში, ხ ა ნ ძ თ ა ს.

ძალიან მოეწონათ ხანძთის შემოგარენი. შეუდგნენ დიდ სატაძრო შშენებლობას. ბევრი მოდიოდა გრიგოლთან სამუშაოდ. დიდ კულტურულ წალკოტად იქცა ერთ დროს უკაცრიელი ხანძთა.

მახლობლად აშოტ ბაგრატიონის ერთი ქვეშევრდომი ცხოვრობდა, წარჩინებული აზნაური ' გ ა ბ რ ი ე ლ დ ა ფ ა ნ ჩ უ ლ ი, „შემკული ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა“. გაბრიელი და მისი მეუღლე მარიამი დიდის გულისყურით ადევნებდნენ თვალს გრიგოლის საქმიანობას, ერთ დღეს სახლშიც მიიწვიეს, ხელები დაუკოცნეს და შვილები (ოთხი ძე: პატრიკ, გუარამ, არშუშა, აბულასათ) დაალოცვინეს.

მასპინძელმა ჩაურთო საუბარში: ჩვენთან ხორციელი სიკეთეა, თქვენთან კი სულიერი სიკეთეო, კარგი იქნება, თუ ერთმანეთს შევაზავებთო.

„შეაზავეს“ კიდეც: გაბრიელმა გრიგოლს მისცა სატაძრო-საამშენებლო მასალა, იარაღი და მუშახელი. სამაგიეროდ ამიერიდან გაბრიელ დაფანჩულისა და მისი შთამომავლობის სახელი ყოველ წირვა-ლოცვისას იხსენიებოდა ხანძთის ლავრაში. აქვე უნდა ყოფილიყო მათი საძვალე.

იმ პირველი შეხვედრისას გაბრიელმა გრიგოლს შესთავაზა, ამ ჩემ სამფლობელოში ადგილი შეარჩიე და დედათა მონასტერიც ააშენეო.

გრიგოლმა დიდი სიხარულით მოიხილა და ამოარჩია ადგილი, რომელსაც ერქვა გუნათლეს.

აქ, ისევ გაბრიელ დაფანჩულის თავგამოდებული ხელშეწყობით, გრიგოლმა აღაშენა დედათა მონასტერი.

გრიგოლის ორი დიდებული ქმნილება გასცქეროდა ერთმანეთს: ხანძთის ვანი და გუნათლის ვანი. ორივე ტაძარი დიდი აღმშენებლობის ნიშანსვეტად იქცა მესხურ პროვინციებში.

უამრავი საეკლესიო მოღვაწე და მშენებელი ცოაწყდა ტაოს, კლარჯეთს, ნიგალს, შავშეთს, არტაანს.

აყვავებულ კულტურულ სამყაროდ იქცეოდა მურვან ყრუსაგან ნაოხარი ქვეყანა.

გაბრიელ დაფანჩულმა არტანუჯის სასახლეში მეფე აშოტ კურაპალატს დაწვრილებით აუწყა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლმოსილების შესახებ.

სიხარულით აღივსო აშოტ მეფე.

მაშინვე ეპისტოლე აახლა გრიგოლს.

მეფე კრძალვით იწვევდა სასახლეში „წმიდა სამღვდელოს“.

მივიდა გრიგოლ.

დიდის პატივით მიეგებნენ აშოტ და ძენი მისნი: ადარნასე, ბაგრატ და გუარამ.

ტკბილად მოიკითხეს ერთურთი. დასხდნენ. საქმიან საუბარს შეუყვნენ.

მეფეს ხანძთა არ ენახა და მოციქულისგან მოისმინა, რომ იქ „ქეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით-კერძო. და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარეი, შუენიერი, გრილი და ჰამოი, და მაღნართა სიმრავლეი ურიცხვი და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“.

როგორც კი ეს ისმინა, მეფემ ხანძთას მაშინვე აგარაკად შესწირა მთელი შატბერდი თავისი ერცელი შემოგარენით.

ასევე აშოტის სამივე ვაჟმა, თავის მხრივ, გრიგოლის მონასტრებს უხვად უბოძეს სამონასტრო ცხოვრებისათვის საჭირო ნივთი და ყოველგვარი სახმარი-საქონელი.

შეუსვენებლივ იღვწოდა გრიგოლ ხანძთელი.

მოდიოდნენ და მხარს უმაგრებდნენ მოღვაწენი და აღმშენებელნი.

მოდიოდნენ ბერები, მოდიოდნენ მონაზვნები.

მოდიოდნენ „უდაბნოთა ქალაქმყოფელნი“.

სამცხიდან ჩამოვიდა და მ ე რ ე ს დამკვიდრდა „სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფ ე ბ რ ო ნ ი ა“.

„ერთ-ზრახვა და მეგობარ იყვნეს“ ფებრონია და გრიგოლ.

ქართლიდან ჩამოვიდა ეპისკოპოსი ე პ ი ფ ა ნ ე და მღვდელი მ ა ტ ო ი.

სამცხიდან მოვიდა ზ ე ნ ო ნ, რომელიც ადრე ფებრონიას იცნობდა და ახლაც მასთან მოვიდა. აქვე, მერეში, ფებრონიამ ზენონი წარუდგინა გრიგოლს. ზენონი ახალგაზრდა იყო. მშობლები დახოცვია და ერთადერთი დაი შემორჩენია. ვიღაც შავშეთელმა თურმე ნამუსი აჰხადა ქალს. ზენონი ცხენზე შემჯდარა და მოსაკლავად გამოჰკიდებია მისი ოჯახის გამბახებელს. სანამ დაეწეოდა, გზაზე უფიქრია, თუ კაცი მოვკალი, სული უნდა წამიწყდესო, თუ უკან ხელცარიელი დავბრუნდი, სიცილს დამაყრიანო და ამიტომ ადრიდანვე ნაცნებარის განხორციელება გადუწყვეტია: სამონასტრო ბერულ ცხოვრებას შემოსდგომია.

გრიგოლმა ხანძთას დაამკვიდრა ზენონი. ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და სიკვდილამდე იღვაწა ზენონმა ხანძთაში.

აშენებდა ქვეყანას გრიგოლ ხანძთელი, უდიდესი „მეუდაბნოე ქალაქმყოფელი“.

აშენებდა აშოტ კურაპალატი. „მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოითა და ზოგი ოხერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“.

სამონასტრო და საერო ახალშენებით ივსებოდა სამხრეთი საქართველო.

ნუ შეიყვარებ, შეუფეო ჩემო, ნუ შეიყვარებს ქალი — ესაა ხიფანგი მონადირისა, ღრმა ორმო და თხრილი. ქალი — ესაა ალესილი რკინის ხანჯალი გადამკვეთელი კაცის ყელისა.

ძველ მესოპოტამიური ფირფიტა.

815 წელი იყო.

გრიგოლ ხანძთელი ჭამონასტრო მშენებლობით იყო გართული.

აშოტ კურაპალატი ლაშქარს მიუძღვოდა აღმოსავლეთისაკენ.

ხელსაყრელი დრო დამდგარიყო.

ტფილისელი ამირა — ხატიმ-იბნ-ხარსამი აჯანყებოდა ხალიფას.

ალბანეთშიც დიდი აჯანყება დაწყებულა ბაბეკის მეთაურობით.

დაიწყო და ხუთი წელი იომა აშოტმა.

ხუთი წელი არ უმტყუნია ომის ღმერთს მისთვის.

„დაიპყრო მრავალი ქუეყანანი“.

818 წელს კახეთის მთავარს შეუტია, გრიგოლ ჭორეპისკოპოსს, რომელმაც ადრე, აშოტის უკუქცევის ჟამს, დაიპყრო ქსნის ხეობა. ამ ლაშქრობისას აშოტს მისი სიძე ახლდა, დასავლეთ საქართველოს მეფე თეოდოსი პირველი. გრიგოლსაც გაუჩნდა მოკავშირე — ტფილისის ამირა.

ქსანზე გამართული სასტიკი ბრძოლა აშოტის გამარჯვებით დამთავრდა. ქსნის ხეობაც აშოტს დაუბრუნდა. გრიგოლი არაგვს გადასცდა. ამირა ისევ ტფილისის ციხეში ჩაიკეტა და ჩაიკუმშა.

აშოტმა ხელახლა დაიმორჩილა სრულიად ქართლი.

ხელახლა მივიდა ბარდავამდის.

„კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალ-გზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა დიდი და დიდება ბრძოლათა შინა“.

ძლევით დამშვენებული დაბრუნდა აშოტ კურაპალატი არტანუჯს.

აღტაცებული იყო.

სიხარული სწყუროდა.

სიყვარულიც სწყუროდა ნაომარ მეფეს.

კარგა ხანია, ერთი ქალი უყვარდა.

დედოფლისაგან ნამალევად იპარავდა სიყვარულს.

არანაკლებ უფრთხოდა ეკლესიას, მით უფრო „მამაჲ გრიგოლს“.

მაგრამ „ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზენდა“ გვირგვინოსანს.

ახლა გაბედა და სასახლეში მიიყვანა ის ქალი. პირისფარეშად და მსახურად გეყავდესო, უთხრა მეუღლე-დედოფალს.

დედოფალს არ გამოჰპარვია, რომ „ქალი ესე იყო დედაკაცი სიძვისაჲ“.

გრიგოლმაც შეიტყო „საქმეი იგი სულისა განმხრწნელი და შეწუხდა ფრიად“.

პირადად ეახლა ხელმწიფეს, პირისპირ ამხილა მისი თავშეუკავებლობა და „იმ ქალის“ დაუყოვნებლივი განტევება მოითხოვა.

ბრძოლში გულუძვრელი მეფე შეაკრთო ფიჩოსანის ასეთმა ანაზდაითმა შემოტევამ.

გაოგნება დასძლია და თავაზით აღუთქვა განტევება სატრფო-ქალისა.

გრიგოლი წავიდა.

მაგრამ მეფემ თავისი სიტყვა არ შეასრულა.

ერთხელ აშოტი შატბერდში წავიდა და გრიგოლმაც „პოვა ჟამი მარჯუეი“.

მიმწუხრის ჟამს არტანუჯის სასახლეს მიუახლოვდა ბერთა და მონაზონთა ამალით გარშემორტყმული.

თვითონ შორიახლო ჩამოჯდა და „იმ ქალს“ ციხეში ერთი ბერი აუგზავნა, იქნებ ჭამადი რამე გამოგვიტანო შენის ხელითვეო.

ქალს გაეხარდა ასეთი „ღვთაებრივი სტუმრის“ წვევა და ნაირ-ნაირი საჭმელები გაურბენინა გრიგოლსა და მის ამალას.

ხვალ დილას კიდევ დაგვხედეო, უბრძანა გრიგოლმა ქალს, ხოლო თვითონ ის ღამე იქვე გაათია თავისიანებთან ერთად.

მეორე დილით ქალი ორი მხევალის თანხლებით გამოცხადდა.

უფრო აღტაცებული და დამშვენებული ჩანდა.

ახლოს მივიდა, ჯვარის გარდასახვას ელოდა წმინდანისაგან.

მაგრამ გრიგოლმა არ გადასახა ჯვარი; მოშორებით ჩამოჯექიო, ანიშნა.

ქალი შიშრეულად დაჯდა.

მერე ბერებსა და მონაზვნებს წამუყო მოძღვარმა მკაცრად და ისინიც კრძალვით განაპირდნენ.

გრიგოლმა ქალს განმარისხად დაადგა თვალი და უთხრა:

„ჰოი, შენ, საწყალობელო! რაისათვის ცოლ-ქმართა შორის შთა-

ჭრილხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისა და ცუდითა რაითმე მიზეზითა საფრთხე ქმნულ ხარ დიდისა ხელმწიფისადა?“

ქალმა ტირილი მორთო. ცრემლის ფრქვევით ამბობდა:

„წმინდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალი ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და აწ არაჲ უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“.

გული მოილბო გრიგოლმა და ტკბილად უთხრა: ჩემს სიტყვას დაემორჩილეო, შვილო, ქრისტესთან გიშუამდგომლებ და ის გაპატიებსო ბრალთა შენთა.

ქალს სხვა რაღა ეთქმოდა და თქვა:

„წმინდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობეისი სულისა ჩემისაჲ იზრუნე“.

გრიგოლმა ქალს ჯვარი გადასახა, დალოცა, ფერხსაცმელ ხამლთაგან კანაფის საბელნი გამოიძრო, ერთმანეთს გადანასკვა და წელზე შეარტყა.

ამიერიდან ქალი ესე, „გარდარეული“ ტრფიალებისთვის გაჩენილი, ამქვეყნიური სამყაროდან გადიოდა და მონაზვნური თვითჩაკოლვისა და თვითდავიწყების (გინა თვითმოკვდინების) წყვდიადში ინთქმებოდა.

გრიგოლმა იგი მერეს დედათა მონასტერში წაიყვანა და ფებრონიას ჩააბარა. თან მკაცრად გააფრთხილა ფებრონია, ჯეროვნად მოაქციეო, ჯეროვნად იზრუნეო და განსაკუთრებით მაშინ გამოიჩინე სიმტკიცე, როცა ქალს კურაპალატი მოაკითხავსო საძებრად.

ფებრონიამ ძალიან კარგად იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

ისედაც, ქალს, თვითდამარხული ქალობით, უნაკლოდ შეეძლო სხვათა ქალთა ქალობის დამარხვა.

აშოტი არტანუჯს დაბრუნდა.

ქალი აღარ დახვდა.

მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო.

უსაზღვროდ შეიურვა მეფე.

ერთხანს ცდილობდა განეგდო ცეცხლად მოდებული ვნებიერი გულისთქმა, მაგრამ ვერ შეძლო.

„გარდარეულმა სიყვარულმა“ დაავიწყა ვაჟკაცური მოკრძალებაც, ხელმწიფური პატივმოყვარეობაც და საქვეყნო მოვალეობაც.

ადგა და წავიდა მერეს. დედათა მონასტერს მიადგა.

ფებრონიამ დროზე გადამალა „ის ქალი“.

აშოტი ეკლესიაში შევიდა და ილოცა (ვითომ სალოცავად მოსულიყო).

ფებრონიაც მოვიდა და დალოცა მეფე.

მეფემ ამ დამჭნარი ქალყოფილის დალოცვაც ბოლომდე დაითმინა და ჰკითხა:

„უწყი-მეა, დედაო, რაჲსათვის მოვედ აწ?“

„უფალმან იცის, რაჲსათვის ჰბრძანე აქა“, — მშვიდად მიუგო მონაზონმა.

მეფემ ბზარგაპარული ხმით უთხრა:

„ამის მიზეზისათვის იქმნა მოსლვაჲ ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეუღურჯლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითვალოს და კუალად თჳუენდანვე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ფებრონიამ მაშინვე წარბშერჭმით და მკვახედ მიუგო მეფეს:

„ძიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა!“

მეფე გაშრა.

მიხვდა, რომ „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“.

დიდხანს იდგა ქვადქცეული, განლიგებული და გაზაფრანებული.

(იქნებ დიდი ვახტანგ გორგასალიც მოაგონდა, პირი რომ დაუწიხლა მიქაელ ეპისკოპოსმა).

მერე ერთბაშად ამოიოხრა და თითქოს სიტყვაც გულთან ერთად აღმოახდინა:

„სეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!“

მაშინვე გამობრუნდა და წამოვიდა...

ნეფე და მოძღვარი აღარასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს.

იმ დღეებში გრიგოლ ხანძთელი თავისი დეიდაშვილის, საბა იშხნელისა და კიდევ ერთი რომელიღაც ბერის თანხლებით, გაეშურა „მეორედ იერუსალიმად“ — კონსტანტინოპოლს, იქაურ „წმიდა ადგილთა“ დასათვალიერებლად და დასალოცავად.

ხოლო ამიერკავკასიას არაბები შემოესივნენ ხალიდ იბნ-იაზიდის სარდლობით.

ჯერ სომხეთი ააოხრეს, მერე ჰერეთსა და ქართლს შემოადგნენ.
ნიგალის ხევს იყო აშოტი.
სასწრაფოდ აღიკაზმა და აწვია ლაშქარი.
წვეულთაგან მოღალატენი და შინაგამცემნი მოიწივნენ.
ვიღაც „ოროზ-მოროზის ძენი“.
აშოტი არტანუჯისკენ მოისწრაფოდა.
ამალად მოსდევდნენ მოღალატენი.
ნაწილი მტერსაც მოუძღოდა ანაზდაითი თავდასხმისათვის.
მეფემ არტანუჯს მოატანა და მაშინღა მიხვდა ღალატს.
გვიანღა იყო. ხელშიშვლად შეხვდა მტერს.
გამობრუნდა და ტაძარს მიაშურა.
კვალში ჩაუდგნენ.
ტაძარში შევარდა.
(ტაძარი ყველა ხალხისთვის, ყველა დროისთვის, წმიდათა წმიდაა, ხელუხლებელია, ღვთისგან ხელდადებულია).
მაგრამ იქაც დაუხვდნენ შინაგამცემნი.
ყოველის მხრიდან შემოესივნენ საკურთხეველზე ზურგით მიყრდნობილს.
სწორედ ზურგიდან დასცა პირველად რომელიღაც ჩუკენმა.
ჩაიჩოქა კურაპალატმა.
სალტედ შეეკრნენ და დაუშინეს.
ყელი გამოსჭრეს ძირს დაცემულს.
ხელმწიფის სისხლით განიბანა საკურთხეველი.
ხალხმა არ აპატია მოღალატეებს. ჭოროხის სათავემდე სდიეს. შეიპყრეს და ყველას ყელები დასჭრეს.
ასე დაიღუპა პირველი ბაგრატიონი-ხელმწიფე.
826 წლის 29 იანვარს.
არტანუჯს დაკრძალეს დიდი პატივით და სიმძიმილით.

კონსტანტინოპოლიდან ბრუნდებოდა გრიგოლ ხანძთელი.
ტაოს მოვიდა და იქ შეაგებეს აშოტ დიდი კურაპალატის სიკვდილის ამბავი.
უსაზღვროდ შესძრა მოძღვარის გული მირონცხებული ხელმწიფის ღალატისმიერმა აღსასრულმა. დიდხანს ლოცულობდა და ლიტანიობდა ცრემლთა თხევით.
ბოლოს, ასე შესძახა ცრემლმდუღრად:

„ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაჲთმე მოგელოდი, აღმოსავალითმე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით (ბრძოლით) ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეი. აწ ვითარმე მიეცი ხელსა შეურაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თვისისა მკლველ იქმნეს მოსაკუდინებლად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“

არტანუჯის სასახლისკენ გაეშურა გრიგოლ ხანძთელი.

აშოტის ოჯახი უნდა მოეხილა.

დედოფლისათვის თანალმობა მიეგო.

სამივე ძისთვის სამძიმარი ეთქვა.

### აშოტის მემკვიდრეები

აშოტ კურაპალატის მემკვიდრენი, ადარნასე, ბაგრატ და გვარამ, მამის მკვლელობის ჟამს მცირეწლოვანნი დარჩნენ.

ისინი არტანუჯის ციხეში ჩაიკეტნენ და სამეფოდ წამოჩიტვას მოუთმენლად ელოდნენ.

ქართლი მთლიანად წართმეოდა არტანუჯის ტახტს.

მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთი დარჩენოდათ აშოტიდებს და ისიც სარკინოზთაგან დახარკული.

აშოტ კურაპალატის ერთგული კარისკაცნი უფლისწულებს და მათ ანაბრად მიტოვებულ ქვეყანას ერთგულად უძღოდნენ და ემსახურებოდნენ.

სამეფოდ შუათანა აარჩიეს, ბაგრატ, ძმათაგან „უმთავრეს სიბრძნითა, სახითა, სიქველითა და ყოველი ღმრთისა-მსახურებისა სისრულითა“.

ბიზანტიის მაშინდელმა კეისარმაც, მიხეილ მეორემ, ქართველთაგან არჩეულ უფლისწულს გამოუგზავნა კურაპალატის ტიტული.

ასე გახელმწიფდა ბაგრატიონთა საგვარეულოს მეორე მეფე ბაგრატ პირველი კურაპალატი (826 — 876 წწ.).

ძმები ერთგულად უდგნენ მხარში გვირგვინოსან ძმას.

„ძმათა-მეფეთა“ უპირველესი საზრუნავი არაბ-აგარიანთა განდევნა იყო.

მართლაც, „განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ხელმწიფეთაჲ, რამეთუ ხრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი“.

826 — 841 წლებში მთელი მესხეთი გაათავისუფლა და შემოიერთა ბაგრატ პირველმა.

არაბებმა ამ წლებში სამხრეთ საქართველოსთვის ვერ მოიცალეს, რადგან კახელებს ებრძოდნენ თავგამოდებით.

ხალიდ იბნ-იაზიდი მისი მეორე ლაშქრობის დროს (აშოტის მოკვლის შემდგომ), გავაზთან გამართულ ბრძოლაში, სასტიკად დაამარცხეს და აოტნეს კახელებმა.

ტფილისში ახალი ამირა დაჯდა — საჰაკ ისმაელის ძე, დაბალი, მსუქანი, შავი ბასმით თმაშეღებილი უზარმაზარი თავით, ავგუსა, პატივმოყვარე, ჭკვიანი, ცბიერი და ქვეგამხედვარი.

დადგა საჰაკ და მაშინვე ხალიფას გადაუდგა, ამიერკავკასიაში შეკრებილი ხარკის გადახდა შეუწყვიტა ბაღდადს.

მესამედ გამოგზავნა ხალიფამ ხალიდ იბნ-იაზიდი, მაგრამ ამჯერად იგი ცოცხალიც ვეღარ დაბრუნდა ბაღდადს.

842 წელს ხალიფამ საჰაკ ისმაელის ძის წინააღმდეგ გამოუშვა წინარე სარდლის ვაჟი მოჰამედ ხალიდის ძე.

მოჰამედმა ბრძოლის დაწყებამდე კავშირი შემოსთავაზა ბაგრატ კურაპალატს და დახმარების საფასურად შიდა ქართლი აღუთქვა.

ბაგრატი დათანხმდა.

თავის მხრივ საჰაკ ამირამ კახელთა ძალები მოირთო.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ რეხთან (გორის მახლობლად). სასტიკი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

ხოლო ბაგრატმა შიდა ქართლი მთლიანად შეიერთა.

**ბუღა თურქი. კონსტანტი კახი**

აკურთხევდით მთანი და ბორცუნი.
წიგნი დანიელისა, III, 75.

852 წელს ხალიფა მუთავაქილმა აჯანყებით ცეცხლმოდებულ ამიერკავკასიაში 30 000-იანი არმია გამოგზავნა. არაბულ მხედრობას ამჯერად სათაეში უდგა ბუღა, „თურქი მონა“, უკიდურესად სისხლისმოყვარე და კაცთმოძულე მხედართმთავარი.

ბუღა თურქი ჯერ სომხეთში შემოიჭრა და საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. სომეხთა გმირული ბრძოლა უშედეგო გამოდგა. არაბებმა სომეხთა ჯანყება ჩააქრეს, ბელადები შეიპყრეს და ბაღდადს გაგზავნეს.

სომეხთაგან „ზღვის ვეშაპად“ მონათლულმა ბუღამ 853 წელს თავისი უზარმაზარი მხედრობა საქართველოს შემოუსია.

წინასწარ ბაღდადელმა სარდალმა დახმარება ისევ ბაგრატ I-ს სთხოვა ამირა საჰაკის წინააღმდეგ.

საპასუხოდ საჰაკ ისმაელის ძემ აფხაზთა მეფე თეოდოსი II-სთან გააბა კავშირი.

არაბები ტფილისს მოადგნენ მტკვრის მარცხენა მხრიდან.

ბუღამ ჯარები აარჩია, თავის ერთ სარდალს, ზ ი რ ა ქ ს ჩააბარა და ქალაქზე საიერიშოდ გაგზავნა.

არაბებმა მტკვარი გადალახეს და ანთებული კუპრის ნთხევით შეუტიეს ტფილისის კედლებს.

ქალაქში შეიჭრნენ.

ბუღაც შეჰყვა დანარჩენი ჯარებით.

ამირა საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრეს და ბუღას ბრძანებით თავი გააგდებინეს.

ტფილისი მთლიანად გადასწვეს სარკინოზებმა.

50 000 ტფილისელი გაწყდა.

ეს უმძიმესი ტრაგედია საქართველოს სატახტო ქალაქს თავს დაატყდა 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს.

აფხაზთა მეფე თეოდოსის შეაგვიანდა ტფილისზე მიშველიება.

ისევ ზირაქი გაგზავნა ბუღა თურქმა თეოდოსის შესახვედრად. ბაგრატ კურაპალატიც დამხმარე ძალად გაჰყვა ზირაქს.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა ლიახვის პირზე. თეოდოსი დამარცხდა და უკუიქცა დვალეთისაკენ.

ტფილისისკენ შემობრუნებულ ზირაქის ჯარებს წინ გარდაბნელ კახთა ჯარი გადაუდგა და დაამარცხა.

გამძვინვარებული ბუღა თურქი კახეთს შეესია.

გაძარცვა და გააპარტახა სოფლები, გამოირეკა ტყვეები.

ტყვეთა შორის იყო ერისთავი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი კ ა ხ ი, დიდად სახელგანთქმული მამულიშვილი, იმჯერად 85 წლის მოხუცი. კონსტანტისთან ერთად შეპყრობილ იყო მისი ვაჟი თ ა რ ხ უ ჯ.

ორივენი ხალიფას გაუგზავნა ბუღა თურქმა, ბაღდადს.

ხალიფა მუთავაქილმა ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადის სჯულზე მოქცევა უბრძანა კონსტანტის.

მოხუცმა ქართველმა ცივი უარი სთქვა.

ხალიფა დაემუქრა:

„უკუეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისაითა, და ხორცნი შენნი მივსცნე საშმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ხელთაგან ჩემთა!“

შენს ხელთ მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული, — უპასუხა ქართველმა, — ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილის და, როგორც გენებოს, ისე მომექეციო.

განრისხებულმა მუთავაქილმა კონსტანტი კახი საპყრობილეში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი შეუჩინა: იქნებ თქვენ შეასმინოთ და დაიყოლიოთ მაჰმადიანობაზე კონსტანტიო. მაგრამ ვერც ქრისტიანი რენეგატები გახდნენ ვერაფერს. ვერც ცემამ და გვემამ გასჭრა.

853 წლის 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს, ხალიფას ბრძანებით კონსტანტი ქართველს მის ვაჟთან ერთად თავი გააგდებინეს.

იმდროინდელმა ქართველმა და სომეხმა ქრისტიანებმა კონსტანტი კახი „წმიდა მოწამეთა“ სიაში ჩარიცხეს.

ხოლო ბუღა თურქი კვლავ მძვინვარებდა საქართველოში.

კახეთიდან მთიულეთში ავიდნენ არაბები. ცხავატამდის მიაღწიეს.

მთიულთაგან ბუღამ სამასი მძევალი აიყვანა და არაგვის კარის გახსნა მოითხოვა, რადგან ოვსეთში გადასვლასაც აპირებდა იგი.

მაშინ აშოტ კურაპალატის უმცროსმა ვაჟმა გვარამ მამფალმა, რომელიც ძმა-ხელმწიფის საწინააღმდეგოდ, ბუღა თურქის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოითხოვდა, მთიულებს შეუთვალა, არც დარიალი გაეღოთ და მტერსაც მედგრად შებრძოლებოდნენ.

იმავ დროულად ქართველ მთიულებს იგივეს უთვლიდა აგრეთვე სომეხთა ერისთავი აბულაბაზი.

მთიულებმაც „გაწირნეს მძევალნი“ და მათთვის ჩვეული შემმართებლობით შეებნენ მტერს.

ადამიანთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჰიდილში ბუნებაც ჩაერია. დიდი თოვლი მოვიდა. ქართულმა მთებმა ყინვიანი საგები დაუგეს მტერს. სიცივისაგან სახსარდალეწილ სარკინოზებს ცხენებიც დაემშათ და დაეყინათ. ცხენები იელს დაეტანენ და დაწამლულნი იხოცებოდნენ.

გაჩანაგებული და ჯანგატეხილი ჯარებით ბუღა თურქი მთიდან ბარში ჩამოიხვეწა.

საქართველო მიატოვა და ალბანეთში გადავიდა. ბარდავში გამოიზამთრა. გაზაფხულზე გარდაბანში შემოიჭრა და ააოხრა. მერე ისევ ალბანეთს გავიდა და კასპიისკენ გაეშურა. აიღო დარუბანდი, გავიდა ხაზარეთში. იქიდან სამასი ხაზარელი ოჯახი წამოასხა და შამქორს დაასახლა, ხოლო ოვსეთიდან ასი კომლი ქვემო ქართლში, დმანისს ჩამოასახლა.

ბოლოს, სარკინოზთა შლეგიანმა მხედართუფროსმა ტფილისში ახალ ამირად მოჰამედ ხალიდის ძე დატოვა და თვითონ ამიერკავკასიიდან წავიდა.

### ისევ კლარჯეთში

აშოტ კურაპალატის უფროსი ვაჟი, ადარნასე, ენერგიულად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, ხოლო უმცროსი, გვარამი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ძალზე აქტიურობდა და თავისი ძმა-ხელმწიფის, ბაგრატ კურაპალატის ორჭოფულ პოლიტიკას არაბებთან დამოკიდებულებაში, დიახაც, მკაცრად იწუნებდა.

გვარამი ტიტულ-თიკუნად ქართულ „მ ა მ ფ ა ლ ს“ („მამაუფალი“) ატარებდა და, როგორც ეტყობა, ბერძნულ „კურაპალატზე“ ნაკლებადაც არ აფასებდა.

ერთი სიტყვით, გვარამ მამფალს თავი თითქოს დამოუკიდებლადაც ეჭირა.

ბაგრატ მეფე დიდსულოვნად ეპყრობოდა ძმის რადიკალიზმს. მას, შესაძლოა, კიდეც მოსწონდა (ან იქნებ შეთანხმებულიც იყვნენ), რომ უმცროსი ძმა არაბთა წინააღმდეგ მახვილკვეთებით გამოდიოდა, ხოლო თვითონ ვითარცა ხელმწიფე ამ საქმეში „ხელს იბანდა“ და, პირიქითაც, არაბთა ყოველი ახალი სარდლის „კავშირსა და მეგობრობას“ თითქოს „გულმხურვალედ“ ღებულობდა.

მოკლედ, არტანუჯის სამეფო კარი დიპლომატიური ორლესულით მოქმედებდა.

ვითომ ბუღა თურქის მოკავშირე ბაგრატ კურაპალატმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ქართველი მთიულები არაბებს სწორედ მისმა უმცროსმა ძმამ მიუსია თოვლით შემოსილ მთიანეთში.

თითქოს არც ის გაუგია ბაგრატ კურაპალატს, რომ გვარამ მამფა-

ლმა აღმოსავლეთ მესხეთიდან და ქვემო ქართლიდან სარკინოზებს კუდით ქვა ასროლინა და ეს ქართული პროვინციებიც კლარჯეთის ტახტს შემოუერთა.

ერთი სიტყვით, ბაგრატ მეფეს, „არაბთა მოკავშირეს“, სახლში ამიერკავკასიის ხალხთა ანტიარაბული ფრონტის ყველაზე დიდი მეთაური ჰყავდა და ეს მან „არ იცოდა“.

თვითონ ბაგრატ ხელმწიფე „ორნაირი არაბობის“ მიხედვით აწყობდა თავის პოლიტიკურ განასაჯს: არაბთაგან ერთნი ტფილისში ისხდნენ, მეორენი სამხრეთიდან, ბაღდადიდან მოდიოდნენ მარბიელად ჟამიდან ჟამზე. „ტფილისელი არაბები“ ბაგრატს საქართველოს გათავისუფლებასა და გაერთიანებაში უშლიდნენ ხელს. ამიტომ მას ტფილისელ ამირასთან გამუდმებული მტრობა ჰქონდა. ქართველი მეფისთვის მთავარი ის იყო, რომ, რაკი ამირა დღენიადაგ ხალიფასგან დამოუკიდებლად აცხადებდა თავს, „ბაღდადელი არაბები“ „ტფილისელ არაბებზე“ საიერიშოდ მოდიოდნენ, ამიტომ ბაგრატიც, ვითარცა „ტფილისელ არაბთა“ მოსისხლე მტერი, „ბაღდადელ არაბებს“ ყოველთვის „მოკავშირედ“ ერგებოდა.

ასე იყო თუ ისე, IX საუკუნის 60-იანი წლებისათვის აშოტ კურაპალატის მემკვიდრეებმა, ტფილისის გამოკლებით, სავსებით დაიბრუნეს „ნაქონები იგი მამისა მათისა“.

ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ბაგრატ კურაპალატმა აფხაზთა მეფეს წაართვა არგვეთი.

ამგვარად, სამხრეთულ-ქართულ სახელმწიფოს საზღვრებში იმჟამად გაერთიანებული იყო მესხეთი (ჯავახეთი, არტაანი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი აჭარა, ტაო, სპერი, პარხალი), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და ლიხთიმიერი ქართლი (არგვეთი — ლიხის მთიდან შორაპან-სკანდემდე).

ტაო-კლარჯეთის სახელმწიფო პოლიტიკურად მძლავრდებოდა.

ეკონომიურად ივსებოდა.

მორალურად მაღლდებოდა.

კულტურულად მშვენდებოდა.

როცა გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატ აშოტის ძეს გამეფება მიულოცა და „ტკბილსასაუბროდ“ გვერდით დაისვა, ისიც მოაგონა, რომ მამამისმა აშოტ კურაპალატმა ხანძთის მონასტერს აგარაკად შატბერდი აჩუქა.

ბაგრატმა დიდის თავაზით დაადასტურა მამის ანდერძი.

ახლა შატბერდისა და მისი „ქუეყნის“ აღმშენებლობას შეუდგა გრიგოლ ხანძთელი.

სამონასტრო მშენებლობა ახალ-ახალი ძალებით ფართოვდებოდა. მრავალი სასულიერო მოღვაწე და „მეუდაბნოე ქალაქმყოფელი“ გაზარდეს გრიგოლ ხანძთელის სავანეებმა.

ამათგან შემდგომში ყველაზე დიდნი შეიქნენ არსენ და ეფრემ, პირველი — ქართლის (მცხეთაში) კათალიკოსი, მეორე — სამცხის (აწყურში) ეპისკოპოსი.

უთვალაე „სასწაულებს“ ახდენდა „მამაჲ გრიგოლ“.

მის დროს ერთჯერ კიდევ შეახსენეს მეფეს, რომ სასულიერო მეუფება საეროზე მაღლა დგასო.

ისე მოხდა, რომ გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატ მეფესთან საუბარში საბა იშხნელი ახსენა. ხელმწიფემ მაშინვე საბას წერილი მისწერა და სასახლეში შიიწვია. საბა არ მოვიდა. მეფე მიხვდა, „განუგებლად ექმენიო“, და გრიგოლს სთხოვა, ახლა შენ მისწერეო „ვითარ წეს არსო“. თვითონაც ხელახლა დაწერა და ორივე ეპისტოლე ერთად გაგზავნა. საბა მოვიდა.

მეფე პატივით შეეგება და უთხრა:

„ჯერ-არს ხელმწიფეთა მორჩილებაჲ, რაჲსათვის არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“

საბამ უპასუხა:

„დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ. შენ წარმაჲალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფეი და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფეჲ ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროჲს შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერ-ვის ხელ-ეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“. არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძუღვრისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

ყველაფერი ნათლად იყო ნათქვამი.

(ასე იყო, მაგრამ ეს მაინც არ ყოფილა „კანოსაში წასვლა“).

861 წელს აღესრულა გრიგოლ ხანძთელი, 102 წლის ასაკში.

ხოლო 90 წლის შემდგომ მისი იშვიათი ცხოვრება და ღვაწლმოსი-

ლება შესაფერისად იშვიათი სიტყვახელოვნებით აღწერა გიორგი მერჩულემ.

ზეცად წავიდაო გრიგოლ ხანძთელის სული, ამბობდნენ.

ამ ჰიპერბოლიდან რეალური ის იყო, რომ სწორედ ზეცად მიისწრაფოდნენ გრიგოლ ხანძთელის, მის წინაპართა და მიმდევართა უბრწყინვალესი ქმნილებანი: ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მინძაძორი, წყაროსთავი, ბარეთელთა, მერე, დაბა, ჯმერკი, ბერთა, პარეხნი, დოლისყანა.

876 წელს გარდაიცვალა მეფე ბაგრატ პირველი კურაპალატი.

დარჩა სამი ვაჟი: დავითი, ადარნასე და აშოტი.

მეფედ გამოცხადდა უფროსი, დავით პირველი კურაპალატის სახელწოდებით (876—881 წწ.).

მაგრამ დავით პირველი არც ისე ძლიერი ფეხით ასულა ტახტზე.

მეფობისკენ არც ისე მორცხვად თვალი ეპირათ გვარამ მაჰფალს და მის ვაჟს, ნასრის.

ბაგრატ პირველის უფროსი ძმა ადარნასე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ იმასაც სამი ვაჟი დარჩა — გურგენი, აშოტი და სუმბატი, რომლებიც აგრეთვე ხარბად უცქერდნენ სამეფო ინსიგნიებს.

სამხრეთული მიწებისკენ ენერგიულად მოიწევდნენ აგრეთვე იმჟამად გამძლავრებული „აფხაზეთის მეფენი“.

მაგრამ სწორედ ამ დროს პოლიტიკურ სარბიელზე განიერი ნაბიჯით შემოაბიჯა დიდმა ფეოდალმა ლიპარიტ ბაღუაშმა. იგი არგვეთიდან, კაცხიდან ჩამოსახლდა თრიალეთში. აქ, შიდა ქართლისა და ჯავახეთის გზასაყარზე, კლდე-კარად წოდებულ ვიწრობში, ლიპარიტმა აღაშენა დიდი ციხესიმაგრე და მითვე საფუძველი დაუდო შემდეგში დიდად სახელგანთქმულ კლდეკარის საერისთავოს.

ჩამოსახლებისთანავე ლიპარიტ ბაღუაშმა თავის პატრონად გამოაცხადა მეფე დავით პირველი.

ეს გვარამ მამფალის დაცემას მოასწავებდა.

მალე ორი პოლიტიკური დაჯგუფება აშკარად დაუპირისპირდა ერთურთს.

გვარამ მამფალი, მისი ძე ნასრი, ადარნასეს ვაჟები და დასავლეთ საქართველოს მეფენი ერთ ბანაკში მოექცნენ, ხოლო დავით მეფე,

მისი ძმები და ლიპარიტ ერისთავი იმჟამად სომხეთში გაძლიერებულ აშოტ ბაგრატუნს შეუკავშირდნენ.

როგორც ეტყობა, პოლიტიკური ბრძოლის სასწორი დავით მეფის მხრისკენ იხრებოდა.

დავით პირველი კურაპალატი პოლიტიკურ ბრძოლას თითქოს მაინც ინერტულად ეკიდებოდა და უფრო კულტურული საქმიანობით ერთობოდა. მან აღაშენა ხახულის ტაძარი. მეფის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. მისი სულიერი ცხოვრება და საერთო დიდსულოვნება ხალხში დიდი პატივისცემის გრძნობას აღვივებდა.

მოპირდაპირეთა ბანაკი ამოქმედდა.

881 წელს ნასრი გვარამის ძემ რაღაცნაირი მუხანათობით მოახერხა დავით მეფის მოკვლა. ეს ისე მომხდარა, გვარამ მამფალსაც არ შეუტყვია შვილის განზრახვა.

მოკლული მეფის ძმა აშოტი, ლიპარიტ ერისთავი და აშოტ ბაგრატუნი მკვლელსა და მის მომხრეებს შეებნენ და დაამარცხეს. ნასრი გვარამის ძე კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა. ერთი წლის შემდგომ გვარამ მამფალიც გარდაიცვალა.

დავით პირველს ერთი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა, სახელად ადარნასე.

ათი წელი (881-891 წწ.) არტანუჯის ტახტზე იჯდა მოკლული მეფის ბიძაშვილი (ადარნასეს ძე) გურგენ პირველი კურაპალატი.

გაქცეულ ნასრი გვარამის ძეს კონსტანტინოპოლში შეხვდა ბავრატი, აფხაზთა მეფის დემეტრეს ვაჟი. ამ შეხვედრიდან შვიდი წლის შემდგომ (888 წ.) ბაგრატ დემეტრეს ძე ბიზანტიური ფლოტით და ჯარით მოადგა აფხაზეთს, ტახტიდან გადმოაგდო და მოკლა მაშინდელი მეფე აფხაზეთისა ადარნასე. ბაგრატმა ქუთათისის ტახტიც დაიჭირა და მოკლული მეფის მეუღლეც ცოლად დაისვა. ეს მეორედ გადედოფლებული ქალი გვარამ მამფალის ასული და ნასრის დაი იყო.

უკვე „აფხაზეთის მეფე" ბაგრატმა ცოლისძმა კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანა, აფხაზთა და ოვსთა ლაშქარი მისცა და მესხეთის მესვეურთა წინააღმდეგ გამოუშვა.

სამცხეში ჩამოვიდა დიდძალი ლაშქრით ნასრი. ჩამოვიდა და მაშინვე სამი ციხე დაიპყრო: ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანთა (ეს ციხეები მამამისის გვარამ მამფალის აგებული იყო).

ნასრისაგან მოკლული დავით პირველის ვაჟი ადარნასე უკვე სიჟაჟკაცეში იყო ფეხშედგმული. სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში მამის

მკვლელის საწინააღმდეგო საომარ ძალებს. გურგენ კურაპალატიც ბრძოლაში გაჰყვა თავის შვილებით. სომხეთიდანაც მიიღო მაშველი ჯარი ადარნასე დავითის ძემ.

მტკვრის პირას შეიბნენ მოპირდაპირენი. ნასრი დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. გამოედევნენ ადარნასეს მომხრენი, სოფელ ასპინძასთან წამოეწივნენ და შუბებით დაცხრილეს. ბრძოლაში დაიღუპნენ ოვსთა და აფხაზთა ერისთავებიც.

ეს ამბავი 888 წელს მოხდა.

ამავე წელს არტანუჯის ტახტზე ავიდა ადარნასე დავითის ძე. მისი სრული ტიტულატურა შეიქნა ადარნასე მეორე ქართველთა მეფე და კურაპალატი („პირველ ადარნასედ“ ითვლება ბაგრატიონთა მამამთავარი, აშოტ პირველის მამა, რომელსაც მეფობა არ რგებია).

ახალმა მეფემ გურგენ პირველ კურაპალატს ერთგულებისათვის არტაანი უბოძა. ერთ ხანს ადარნასესა და გურგენს შორის კარგი ურთიერთობა ძალაში რჩებოდა, მაგრამ შემდეგ „შეიმტერეს ურთიერთას“. გურგენმა იარაღის ძალით სცადა პირველობის დაბრუნება არტანუჯის სასახლის კარზე. არტაანის ხეობაში გამართული ბრძოლისას გურგენი დამარცხდა და გაიქცა. შორიდან ნასროლი ისარით ძირს დასცეს და შეიპყრეს. იგი ჭრილობითვე გარდაიცვალა ტყვეობაში (891 წ.).

იმავე წელს სომხეთში გარდაიცვალა აშოტ ბაგრატუნი. იქ ტახტისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ აშოტის ვაჟი სუმბატი და ძმა აბასი.

ადარნასე ქართველთა მეფე სუმბატს უჭერდა მხარს. იგი სომხეთში წავიდა, რომ სუმბატისთვის თანალმობა გამოეცხადებინა მამის. გარდაცვალების გამო. გზაზე, ქალაქ კარში, ადარნასე აბასს ეწვია სადარბაზოდ. აბასს ეშვები ჰქონდა, რომ ქართველთა მეფე მის ძმისწულს მიემხრობოდა. ამიტომ შეეცადა, სუმბატთან სულაც არ გაეშვა სტუმარი. ადარნასე გაჯავრდა. აბასმა დათმო. ადარნასე სუმბატთან მივიდა, მიუსამძიმრა, მერე სამგლოვიარო ძაძა გახადა და სამეფო ტანსაცმლითა და სამკაულებით მოკაზმა.

ამით ქართველთა ხელმწიფემ ყველაფერი აშკარად განაცხადა, მაგრამ არც აბასს ეძინა. უკან დაბრუნებულ ადარნასეს ჩაუსაფრდა, შეიპყრო და დაამწყვდია. სუმბატ მეფემ მძიმე გამოსასყიდი გაიღო ქარ-

თველი მოკავშირის გამოსახსნელად: გაავებულ ბიძას მძევლებად გაუგზავნა შვილი და ძმისწული (აბასის კიდევ ერთი ძმისაგან).

ადარნასესა და სუმბატის კავშირი და მეგობრობა გრძელდებოდა.

904 წელს კონსტანტინე „აფხაზთა მეფემ", ადარნასე მეორის სიძემ, „დაიპყრა ქართლი".

ადარნასე და სუმბატი ქართველ-სომეხთა ჯარებით შეებნენ და დაამარცხეს „აფხაზთა მეფე". კონსტანტინემ მტრადგადაკიდებულ მოუცარეს გვერდი აუქცია და სუმბატს დაზავება სთხოვა. მოლაპარაკების დროს სომეხი დიდებულები ქართველთა მეფის ბრძანებით კონსტანტინეს მიცვივდნენ და ხელ-ფეხი შეუკრეს. იგი ანისში გაგზავნეს დატყვევებული.

ასეთმა მუხანათობამ სასტიკად აღაშფოთა „მეგრელები". მათ გადაწყვიტეს ქუთათისის ტახტზე დაესვათ კონსტანტინეზე უფრო ძლიერი პიროვნება, რომელიც „სამხრეთელ მეფეებს" აზღვევინებდა ასეთი ვერაგობისთვის.

სუმბატმა იმ საჭარაუდო ძლიერი მეტოქის შეყრას ისევ კონსტანტინეს გათავისუფლება ამჯობინა. სუმბატი და კონსტანტინე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთურთს.

ამ ამბავმა საშინლად განარისხა ადარნასე ქართველთა მეფე. სომეხ და ქართველ გვირგვინოსნებს შორის მტრობა ჩამოვარდა.

ასე მოიშალა უაღრესად საჭირო და სასურველი კავშირი ისედაც შინაგანად დაშლილი ორი მოძმე ქვეყნისა სწორედ იმ დროს, როცა სამხრეთიდან ისევ მოჰქროდა ალმაჭურად აღჭურვილი უზარმაზარი ურდო ჰაოსიან-ქართლოსიანთ მოსისხლე მტრისა.

### აბულ კასიმი. გობრონი

ეს იყო არაბთა უკანასკნელი დიდი ლაშქრობა სომხეთსა და საქართველოში.

იდგა 914 წელი.

ხალიფას უზარმაზარ ლაშქარს მოუძღოდა სარდალი აბულ კასიმ აბუსაჯის ძე.

ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ არაბები სომხეთს. მეფე სუმბატი მარტო შეება მტერს. ადარნასე ქართველთა მეფე აღარ მიეშველა ძველ მოკავშირესა და მეგობარს. ის კი არა და, თვით სომეხთაგან ვას-

პურაკანის მთავარი გაგიკ არწრუნი და მეფე სუმბატის ძმისწული აშოტი არაბთა მხარეს გადავიდნენ.

დამარცხებულმა სუმბატ მეფემ დასავლეთ საქართველოს მთებს მოაშურა თავშესაფარებლად.

ბოლოს, კაპოეტის ციხეში შეიპყრეს სარკინოზებმა სუმბატი და ქალაქ დვინს მიიყვანეს. მას თავი მოჰკვეთეს და უთავო გვამი შუა ქალაქში ძელზე ჩამოჰკიდეს.

მანამდე საქართველოში შემოიჭრა აბულ კასიმი „სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“.

ჯერ აბულ კასიმი ტფილისს მივიდა, სადაც მას შემოეგება ამირა ჯაფარ ალის ძე.

ტფილისიდან კახეთისკენ წამოემართნენ სარკინოზები.

მოადგნენ უჯარმის ციხეს. სამასი ქართველი მეციხოვნე იცავდა უჯარმას. დღე და ღამე მიჰქონდათ იერიშები არაბებს, მაგრამ უშედეგოდ. მერე თვითონ მიატოვეს უჯარმა მისმა დამცველებმა, რაკი შეატყვეს დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდნენ ურიცხვ მტერს.

უჯარმიდან ბოჟორმას მივარდნენ არაბნი.

ბოჟორმის დიდი ციხე მიტოვებული დახვდათ. ეს ძალიან გაჰკვირვებიათ არაბებს და ერთ მათგანს უხუმრია კიდეც:

„რომელიც ბაკი იყო (უჯარმას გულისხმობდა), მუნ შინა ფიცხლად შეგვებნენ, ხოლო რომელიც ნამდვილი ციხე ყოფილა (ბოჟორმას გულისხმობდა), იგი უკაცურად დაუგდიათო“.

მაშინ კახეთის ერისთავი იყო კვირიკე ქორეპისკოპოსი.

კვირიკე აბულ კასიმთან გამოცხადდა და დაზავება შესთავაზა.

„ვინ გაწვია მოსვლად ჩემთანა?“, — ჰკითხა აბულ კასიმმა.

„ღმერთმა დედამან ჩემმან“, — მიუგო კვირიკემ.

ჩაფიქრდა აბულ კასიმი. მერე ეს უპასუხა რაღაცნაირი სიმძიმილით შეპყრობილმა:

„უკეთუ გაწვია დედამან, არა ვატკინო გული მას დედასა“.

აბულ კასიმმა უეჭველად იცოდა, რაც დაემართა ბუღა თურქს კახეთის მთიანეთში და კვირიკეს შემოთავაზება სიამოვნებით მიიღო.

კახეთიდან ისევ ქართლს შემოესია სარკინოზი. უფლისციხის მიმართულებით წამოემართნენ. ქართველებმა დაასწრეს და უფლისციხის სიმაგრეები, მტერს რომ არ ჩავარდნოდა, თვითონვე დაანგრიეს.

უფლისციხიდან სამხრეთისკენ დაეშვნენ და სამცხეს შეესივნენ არაბები.

თმოგვის ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ უსაზღვროდ შეიჭირვნენ. ვერაფერი დააკლეს ცადაზიდულ თმოგვს და უკუიქცნენ.

ჯავახეთს ამოუყვნენ ძარცვა-რბევით და ყუელის ციხეს შემოადგნენ გარს. „ვითარცა თოვლი“, ურიცხვი არაბული თეთრი კარვებით დაიფარა ყუელის ციხის შემოგარენი. მრავალი საიერიშო ფილაქავანნი, იარაღით დატვირთულნი აქლემნი იდგნენ ბანაკად სარკინოზთა. ხოლო, „სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართაი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა“.

მოსახლეობა შავშეთსა და აჭარაში გახიზნულიყო. დამშეულნი ლტოლვილნი ხის ფოთლითა და ბალახეულით იკვებებოდნენ. მინდვრად სამუშაოდ გასულთ არაბები სდევდნენ და ხოცავდნენ.

ოცდარვა დღე იგერიებდნენ სარკინოზთა გაეშებულ იერიშებს ყუელის ციხის დამცველნი.

მეციხოვნეებს სათავეში ჩასდგომოდა ახალგაზრდა მხედარი გობრონ. მტერიც და მოყვარეც განეცვიფრებინა გობრონის სიმამაცეს და სიმხნევეს. ციხის გარეთ გამოიჭრებოდნენ ხოლმე ქართველები გობრონის მოთავეობით, ხელჩართულში ჩაკაფავდნენ მტერს და ისევ კედლებს შიგნით გაუჩინარდებოდნენ.

მერე, არაბებმა „განხურიტნეს კლდე და განარღვიეს ზღუდე“ და შეიჭრნენ ციხის შუაგულში.

ისევ წინ გამოიჭრა გობრონი. ფიცხელი შეტევით უკუაქციეს და კვლავ ციხის გარეთ გამოდევნეს მტერი ქართველებმა.

არაბთა გვამებით გაივსო ციხე.

მცირე იყო მსხვერპლი ქართველთა.

გარნა ეს „მცირე“ უმძიმესი იყო ისედაც მცირეთათვის.

იერიშები განაახლეს არაბებმა.

აუარება ისართა ტყორცნამ კვლავ დააბნელა ზეცა.

ერთი მუჭა ქართველობა უკანასკნელად შეება ნიაღვრად მოვარდნილ მტერს.

აბულ კასიმის ბრძანება იყო: მხოლოდ ცოცხლად მომგვარეთო გობრონი.

უკანასკნელი ქართველთაგანნი, ვინც სიკვდილს გადარჩენოდა, სულ 133 კაცი, ცოცხლად შეიპყრეს სარკინოზებმა.

მათ შორის იყო გობრონი.

იგი ცალკე გაიყვანეს.

დანარჩენები წინ დაიყენეს ჩამწკრივებულმა არაბებმა.

წინ დაიყენეს და დათქმულ ნიშანზე ერთბაშად მიცვივდნენ. ზოგი მახვილით, ზოგი შუბით, ზოგი ისრით, ზოგიც დანით — ჩაჰკლეს, ჩაჰხოცეს, ჩაანაკუწეს.

მაგრამ საწადელს ვერ ეწივნენ სარკინოზები: არც ერთ ქართველ ჟამსა სიკვდილისასა პირზე ღიმილი არ მოშორებია.

ხოლო გობრონი აბულ კასიმს წარუდგინეს.

და შეუჩნდა სარკინოზ-მაჰმადიანი ქართველ-ქრისტიანს:

მებრალებაო შენი სიჭაბუკე, მენანებაო შენებრ მამაცი მხედრის სიკვდილი და როგორც საყვარელ შვილს, გირჩევ დატოვო უგუნური, ქრისტიანობა, რომელმაც შენს მოძმეებს ვერაფერი სარგებელი ვერ მოუტანა. მიიღეო ჩვენი მაჰმადიანობა, რომელსაც ყველა მორჩილებს ამ ქვეყანაზე. თუ დამიჯერებ და ისე მოიქცევი როგორც გეუბნები, მე შენ მოგაგებ ყოველგვარ პატივს: სარდლობას, სასახლეებს, დარბაზებს, ქარვებს, მონებს, ტაძრებს, აქლემებს, ნაირ-ნაირ საჭურველს და იქნები უსაყვარლესი და უსაჩინოესი მთელს ჩემ ლაშქარში.

ქართველმა გადაჭრით თქვა უარი:

მე ქართველად და ქრისტიანად დავიბადე და აღვიზარდეო; ამიტომ იცოდეო, რომ ვერც შენი უხვი დაპირებებით და ვერც ნელ-ნელი წამებით ვერ მაიძულებო ვუღალატო ჩემს სამშობლოს და ჩემს სარწმუნოებას.

გარეთ გაიყვანეს გობრონი. ერთდროულად აჩვენეს დაჩეხილი თანამოძმენი და აღთქმული სიმდიდრენი. იქნებ „შიშმან სიკვდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი“, — უთქვამს აბულ კასიმს.

როცა უკანვე კარვად შეიყვანეს, ჰკითხა აბულ კასიმმა:

„რაი გამოირჩიე თავისა შენისა?“.

„მე პირველადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“, — მტკიცე სიმშვიდით უპასუხა გობრონმა.

უკანასკნელ ღონეს მიმართა არაბთა სარდალმა ქართველი გმირის გასატეხად. მისი ბრძანებით გობრონი გაიყვანეს და საგანგებოდ შემონახულ ქართველ ტყვეებს მის თვალწინ ჟლეტა დაუწყეს.

ეცემოდნენ და ეხლებოდნენ განგმირულ თანამოძმეთა გვამები გობრონს, ქართველთა თავები გორავდნენ მის ფეხებთან, დახოცილთა სისხლი ენთხეოდა მის სახესა და ტანს.

მაგრამ იდგა ვითარცა ქანდაკი. შეგრძნებული და განლიგებული, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერშეუცვლელი.

მერე თმაში ჩაავლეს ხელი. ქედი დააღრეკინეს და ორჯერ მსუბუქად სცეს მახვილი.

სისხლმა ითქრიალა გობრონის კისრიდან.

უცებ ხელი შეიღება თვისსავე სისხლში და სისხლით შუბლზე ჯვარი გამოისახა.

გაოცებულმა და გაოგნებულმა სარკინოზებმა ისევ მიჰგვარეს თავის მბრძანებელს გაკერპებული ქართველი.

უკანასკნელად მიმართა აბულ კასიმმა, დამიჯერე, თავს ტყუილუბრალოდ ნუ იკლავ, მაგ წყლულთაგანაც გაგკურნავ და აღთქმულ პატივსა და სიმდიდრესაც მოგაგებ, ოღონდ ქრისტიანობას გადაუდექიო.

„იქმოდე, რაიცა გნებავს. მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანადვე დავრჩები აწ და მარადის!“ — უკანასკნელად თქვა გობრონმაც.

გაიყვანეს და თავი გააგდებინეს.

სამი დიდი სამარე გათხარეს.

სამ ნაწილად ჩააწვინეს დახოცილი ქართველები

ერთ მათგანში იწვა გობრონი.

იყო 914 წლის 17 ნოემბერი.

გობრონის გმირობის ამბავი აღწერა მისმა თანამედროვე სტეფანე მტბევარმა, ტბეთის ეპისკოპოსმა.

### ერთიანობის კარიბჭეებთან

არაბებმა საბოლოოდ ამოიკვეთეს ფეხი საქართველოდან.

მხოლოდ ტფილისელი ამირა ჩაკეტილიყო და ჩაკუმშულიყო ტფილისს არაბული სამყაროისგან სავსებით მოწყვეტილი, შორიელი და ქართული სამყაროით გარშემორტყმული.

აბულ კასიმის წასვლიდან „გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქუეყანა“.

მაგრამ „დროი მოშენებისა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველი მეფე-მთავრები კვლავ დაერივნენ ერთიმეორეს ჰეგემონობისათვის, არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა მსგავსი ქუჯისა და ფარნავაზისა, რომელთაც ოდესღაც უომრად, თანამოძმეთა სისხლის დაუღვრელად, ლეგენდარული დიდსულოვნებით, ჰეშმარიტი მამულიშვილობითა და

ძმურ-ნათესაური სიყვარულით, გააერთიანეს სრულიად ქართული მიწა-წყალნი.

არტანუჯის ტახტზე ისევ ადარნასე მეორე ქართველთა მეფე იჯდა.

ქუთათისში — კონსტანტინე.

კახეთში — კვირიკე ქორეპისკოპოსი.

ჰერეთში — ადარნასე პატრიკი.

საქართველოს გაერთიანების საზორველზე უმთავრესი ზვარაკი ისევ ქართველი კაცის სისხლი უნდა ყოფილიყო.

ჯერ კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ კონსტანტინე აფხაზთა მეფე მიიწვია და ერთიანი ძალებით დალაშქრეს ჰერეთი. შეშინდა ჰერეთის ერისთავი ადარნასე პატრიკი, ჯვარით ხელში მიეახლა ვეჟინის ციხესთან დაბანაკებულ მოწინააღმდეგეებს და ზავი შესთავაზა. ზავის ძალით კონსტანტინემ არიშისა და გავაზის ციხეები მიიღო, ხოლო კვირიკემ — ორჭობის ციხე.

ამგვარად, ქუთათისელი მეფეები ქართლის გარდა, ჰერეთშიც გაბატონდნენ.

მალე კონსტანტინე მოკვდა და ქუთათისის ტახტისათვის მისი ორი ვაჟი დაერია ერთიმეორეს — უფროსი გიორგი და უმცროსი ბაგრატი. ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ბაგრატი მოკვდა. დასავლეთ საქართველოს ტახტზე ავიდა გიორგი, რომელიც იყო „სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა“. მან ააშენა ჭ უ ო ნ დ ი დ ი ს ტაძარი და გამოაცხადა იგი ახალი საეპისკოპოსოს ცენტრად.

იმ ხანად კვირიკე ერისთავიც მოკვდა და კახეთის ქორეპისკოპოსად დაჯდა მისი ძე ფ ა დ ლ ა.

გიორგისა და ფადლას შორის მათი მამებისდროინდელი კავშირი გრძელდებოდა, რაიც მალე პრაქტიკულად გამჟღავნდა კიდეც.

გიორგიმ თავისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე ქართლის მეფედ დასვა. შვილმა მალე მამის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა ქუთათისის ტახტის წასართმევად. კონსტანტინეს ძალიან ბევრი ქართლელი აზნაური უჭერდა მხარს. გიორგიმაც ფადლას მოუხმო კახელთა ჯარით და თავს დაესხა უფლისციხეში გამაგრებულ შვილს. მძიმე ბრძოლები გიორგის გამარჯვებით გათავდა. მამამ შვილს ღალატი არ აპატია: თვალები დათხარა და დაასაჭურისა. გიორგიმ ქართლი სამმართველოდ გადასცა თავის მეორე შვილს, ლ ე ო ნ ს.

მალე ფადლა ქორეპისკოპოსიც გარდაიცვალა და კახეთის ერისთავის ტახტზე მისი ვაჟი კ ვ ი რ ი კ ე დაჯდა.

კახეთის ახალ ბატონს გარდაბნელი აზნაურები აუჯანყდნენ და დასახმარებლად გიორგი აფხაზთა მეფეს მოუხმეს.

გიორგიმ თავისი იდუმალი ზრახვა გაამჟღავნა. მას თურმე კახეთის დაპყრობაც სურდა და ახლა საამისოდ დრო ხელსაყრელად ჩათვალა.

ჯერ თვითონ შეესია და აოხრა კახეთი გიორგიმ. მერე თავისი ვაჟიც, ქართლის მთავარი ლეონი აიყოლია. კვირიკე შეიპყრეს. მისი სახლობის დატყვევებაც სურდათ, მაგრამ წინასწარი გაფრთხილების წყალობით მთებში გახიზნულა ჭორეპისკოპოსის ოჯახი.

ძმაც გადასდგომია კვირიკეს, სახელად შ უ რ ტ ა, რომელსაც უჯარ-ის ციხე გადაუცია გიორგისათვის.

კვირიკეს ისღა დარჩენოდა, ტყვეობიდან თავის დახსნის საფასუ-ად კახეთი ქუთათისელი მეფისათვის გადაეცა.

მერე ქართლის აზნაურებმა კვირიკე წააქეზეს და აფხაზთა მეფის წინააღმდეგ კახელი აზნაურებიც აიყოლიეს: „გოდერძიანი მგდეური, ყანჩაელი მამა, დაჩი კორინთალი, დაჩი და იოანე სხუილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხვენელნი და მათ თანა ორმეოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვირიკეს და უწყეს ბრძოლად ციხეთა და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი“.

ინანა კვირიკეს ცოცხლად გაშვება გიორგიმ. მაგრამ რაღა გაეწყობოდა. მაშინვე ლეონი გაგზავნა კახეთის ხელახლა დასამორჩილებლად. შეევიდა და შეუდგა ლეონი კახეთის აოხრებას. და უცებ მამის გარდაცვალების (957 წ.) ამბავი მოუტანეს მალემსრბოლებმა ქუთათისიდან. ლეონმა კვირიკე იხმო მოსალაპარაკებლად.

ბაზალეთის ტბის პირად შეხვდნენ თითო ცხენოსნის თანხლებით. მთელი დღის თათბირი დაზავებით და დამოყვრებით დამთავრდა. კახეთი ისევ კვირიკეს რჩებოდა; კვირიკეს ვაჟი ცოლად ირთავდა ლეონის ასულს.

აფხაზეთის ახალმა მეფემ, ლ ე ო ნ მესამემ (957—967 წწ.), მაინც ბოლომდე ვერ შეინარჩუნა ზავი კახეთთან. მისი ასული, კახეთის სასახლის დედოფალი, მალე გარდაიცვალა და ლეონმა ისევ შეუტია კახეთს, არაგვისპირები აოხრა, მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი იავარჰყო.

ლეონ მესამეს სიკვდილის შემდგომ ორი ვაჟი დარჩა, დემეტრე და თეოდოსი. თეოდოსი მამის სიკვდილის დროს კონსტანტინოპოლში იყო. „აფხაზთა სამეფოს“ ტახტი დაიჭირა დ ე მ ე ტ რ ე მ (967—975 წწ.).

თეოდოსი ბიზანტიიდან წამოემართა ქუთათისის ტახტის სახიებლად.

სამცხეში ჩამოვიდა და მესხ აზნაურებს მოუხმობდა დასახმარებლად. აქ მას „უგრძნეულად“ (მოულოდნელად) თავს დაესხა დემეტრესაგან სასწრაფოდ გაგზავნილი ლაშქარი და გააქციეს კიდეც.

სამცხიდან ქართლს ჩამოვიდა თეოდოსი და ძამის ციხის ძლიერ ფეოდალს ადარნასეს შეეხიზნა. სამი თვე ადგა დემეტრე მეფის ლაშქარი ძამის ციხეს. მერე თეოდოსი სიცოცხლის გარანტიით ძამადან გამოვიდა და ისევ სამხრეთ საქართველოში გადაიხვეწა.

მაინც არ იქნა და არ შეურიგდა თეოდოსი თავის უიღბლო წილხვედრს. ერთჯერ კიდევ ცადა ბედი. ამჯერად იგი კახეთში ჩავიდა კვირიკე ჭორეპისკოპოსთან.

მაშინ დემეტრემ შეუთვალა კვირიკეს: რაკი ჩემი ძმა ბიზანტიიდან ჩამოვიდა, ჩვენს შორის ბრძოლა არ დაილევა ავ კაცთა ავი სიტყვებისგანო. ამიტომ გთხოვ, ჩემი ძმა შენი შუამდგომლობით მე მომანდეო და სიტყვას გაძლევ, ჩვენ თვითონ თანასწორად გავიყოფთ ჩვენს სამეფოსო.

კვირიკემ შუამდგომლობა იკისრა. თეოდოსის უთხრა, „მე ვიყო მეძიებელი შენი სისხლისაო“, და გადასცა იგი დემეტრეს.

ორივე მხარემ საჯაროდ დაიფიცა მცხეთაში, სვეტიცხოველის წინაშე, კათალიკოსის, მღვდელმთავართა და წარჩინებულთა საკრებულოს თანდასწრებით.

ძველი ბერძენი (სპარტელი) პოლიტიკოსი ლისანდრე ამბობდა: ბავშვებს სათამაშოებით ატყუებენ, ხოლო დიდებს — ფიცითო. იგივე შეეძლო ეთქვა დემეტრეს. რაკი საშიში მეტოქე ხელში მოიგდო, მან ფიცის გატეხვა არაფრად ჩააგდო და თეოდოსის თვალები დათხარა.

ამის შემდგომ დიდხანს არ გაუვლია და დემეტრეც მოკვდა (975 წ.). იგი ისე გადაეგო, არც შვილი დარჩენია და არც ძირი.

„აფხაზეთის სამეფო“ უსინათლო და უმწეო თეოდოსის დარჩა (975—978 წწ.).

ამგვარად, საქართველოს გაერთიანება-გამთლიანების ბრძოლის დროშა ქუთათისის ტახტს იმჯერად ხელიდან გაუვარდა.

იგი ისევ სამხრეთის, არტანუჯის ტახტს უნდა აეღო ხელში.

### დავით მესამე მეფეთამეფე

არტანუჯელი ხელმწიფე, ადარნასე მეორე ქათველთა მეფე 923 წელს გარდაიცვალა. მას ოთხი ვაჟი დარჩა: დავითი, აშოტი, ბაგრატი და სუმბატი.

ერთმა ბიზანტიელმა მოხელემ ადარნასე მეორის სიკვდილით ისარგებლა და არტანუჯის ციხეზე ბიზანტიური დროშა ააფრიალა.

ადარნასეს ვაჟებმა მაშინვე ბიზანტიის კეისარს, რომანოზ პირველ ლაკაპინს აღშფოთებითა და მუქარით სავსე წერილი გაუგზავნეს: ახლავე არტანუჯიდან თქვენი დროშა მოხსენით, თორემ დაუყოვნებლივ საომრად მოვდივართო.

კეისარი დაფრთხა და მაშინვე ბოდიშის წერილი აფრინა: მე არაფერი ვიცოდი, ჩემს დაუკითხავად მომხდარა ეს ამბავიო, მე ასეთ განკარგულებას როგორ გავცემდიო, სულ ჩემი მოხელის ბრალიაო. თან იმ მოხელეს ცალკე ბრძანებით უთვლიდა, ახლავე ჩვენი დროშა ჩამოხსენიო არტანუჯს.

ამას კონსტანტინოპოლიდან კეისრის მიწვევა მოჰყვა. ერთ-ერთი უფლისწული კეისართან უნდა ჩასულიყო და მისგან კურაპალატობა მიეღო.

კონსტანტინოპოლს გაეშურა აშოტი. ბიზანტიის სატახტო დიდის ინტერესით შეხვდა ქართველ ბატონიშვილს. ქალაქი საგანგებოდ მოერთოთ და მოეკაზმათ. ცნობისმოყვარე კონსტანტინოპოლელნი გუნდგუნდად დასდევდნენ აშოტს. სასახლის კარის საგანგებო ამალა დააცილებდა მას. საგანგებოდ მორთეს და მოჩითეს სახელგანთქმული აია სოფიას ტაძარი, რომლის ხილვამ აღტაცებაში მოიყვანა სიმშვენიერის მოტრფიალე ბაგრატიონი.

აშოტი „კურაპალატის“ ტიტულით დაბრუნდა საქართველოში.

მეფედ ადარნასეს უფროსი ვაჟი გამოცხადდა, დავით მეორე ქართველთა მეფის სახელწოდებით. მეფობდა 923 წლიდან 937 წლამდე და გადაეგო უძეოდ.

აშოტ კურაპალატიც უძეოდ მოკვდა 954 წელს.

შვილები დარჩათ ადარნასე მეორის ორ მომდევნო ვაჟს — ბაგრატს და სუმბატს.

ბაგრატს „მაგისტროსის“ ტიტული ჰქონდა (923—945 წწ.)

სუმბატს — „კურაპალატის“ ტიტული (954—958 წწ.).

ბაგრატ მაგისტროსისგან წარმოსდგა ორი ხელმწიფე: ჯერ, მისი ძე, ადარნასე მესამე კურაპალატი (958—961 წწ.), მერე შვილიშვილი, ადარნასე მესამის ძე, დავით მესამე, დიდი, მეფეთა-მეფე დაკურაპალატი (961—1001 წწ.).

პარალელურად, სუმბატ კურაპალატისგან: ჯერ მისი ძე, ბაგრატ მეორე ქართველთა მეფე (937—994 წწ.), შემდეგ შვილიშვი-

ლი, ბაგრატ მეორის ძე, გურგენ მეორე მეფეთამეფე (994—1008 წწ.) და ბოლოს, გურგენის ძე ბაგრატ მესამე (975—1014 წწ.).

ბაგრატ მაგისტროსის შთამომავალნი მეფობდნენ კლარჯეთში.

სუმბატ კურაპალატის შთამომავალნი — ტაოში.

სწორედ ბაგრატიონთა ამ ორმა ოჯახმა აღმართა დროშა საქართველოს ხელახალი გაერთიანებისა.

მათი სამფლობელო სამხრეთით უკვე მდინარე არაქსამდე აღწევდა.

X საუკუნის უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეს სათავეში ედგა ჭეშმარიტად დიდი ხელმწიფე და მამულიშვილი დავით მესამე მეფეთამეფე კურაპალატი, მთელ მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული გვირგვინოსანი სიბრძნით, სიქველით, „ღმრთის-მოყუარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი შვილი და ძვირ-უხსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთ-მოყუარე, ყოველთათვის კეთილის-მყოფელი და საკსე ყოვლითა კეთილითა“.

სწორია სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი:

„დავით დიდი კურაპალატი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერობა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფეთქდებოდნენ ყოველის მხრიდან და გაიმარჯვა გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხზე. ასე, რომ ყველა ხელმწიფე თავისი ნებით დაემორჩილა დავითს“.

ქართველები და სომხები X საუკუნის დასაწყისიდანვე „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის იმპერიის როგორც აარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“, ხოლო X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“ (გერმანელი გელცერის სიტყვებია).

მსოფლიო კრიზისთა დამხსნელი იყო დავით მეფეთამეფე.

976 წელს გარდაიცვალა კეისარი რომანოზ მეორე, რომელსაც დარჩა ქვრივი დედოფალი თეოფანო და მცირეწლოვანი ვაჟები ბასილი და კონსტანტინე. ტახტის სისუსტით ისარგებლა კეისრობის მაძი-

ებელმა მცირეაზიელმა დიდმა ფეოდალმა ბარდა სკლიაროსმა, რომელიც აჯანყდა, მთელი მცირე აზია დაიპყრო და პირდაპირ კონსტანტინოპოლისკენ დასძრა ლეგიონები.

უეჭველი დაღუპვის პირად მისულმა საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა დახმარება-დახსნა ეთხოვა ქართველი გვირგვინოსნისთვის.

მოციქულიც შესაფერისი შეარჩიეს: იმ ხანად ათონში საეკლესიო მოღვაწენი ცხოვრობდნენ — იოანე ბერი და სახელოვანი ქართველი დიდებული, ახლად ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი. დედოფალმა ავგუსტამ სწორედ თორნიკეს სთხოვა შუამდგომლობა დავით შეფესთან დახმარებისთვის.

დავითმა ეს საპატიო სალაშქრო წვევა მიიღო. შეჰყარა 12 000 ქართველი მეომარი. მთავარსარდლობა თვითონ თორნიკე ერისთავს ჩააბარა და თანაშემწე სარდლად ჯოჯიკი დაუნიშნა.

მდინარე ღალისის პირს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ქართველებმა ბარდა სკლიაროსს. საოცარი სიმამაცითა და გონმჭვრეტელობით წარმართა ბრძოლა ქართველმა სარდალმა და ბერმა-მხედარმა. ქართველებმა სკლიაროსი გაანადგურეს და ბრძოლიდან გაქცეულს დიდხანს მისდიეს. კონსტანტინოპოლი სამარცხვინო დაცემას გადაურჩა.

კეისრის ტახტზე მკვიდრად დაჯდა ბასილი მეორე (976—1025 წწ.). დედოფალმა თეოფანომ დიდძალი საჩუქრები შესთავაზა ქართველ სარდალს, მაგრამ თორნიკემ საჩუქრებზე უარი სთქვა. კეისარმა მაინც გაიღო წყალობა ქართველთა დიდი ღვაწლისათვის. 980 წელს მისი ნებართვით და დახმარებით, იოანემ და თორნიკემ ააშენეს და განასრულეს სახელოვანი ათონის ქართული სავანე. აქ დიდ ქართულ ლავრაში დიდხანს ინახებოდა თორნიკე ერისთავის ხმალი, მუზარადი, ჯაჭვნი და აბჯარნი.

ამას გარდა, აღფრთოვანებულმა ბასილი კეისარმა დავით ქართველთა მეფეს რამდენიმე „ქუეყანა“ აჩუქა მცირე აზიისა და საქართველოს შესაყარში: კარინი (ერზერუმი), ბასიანი, ჰარქი, აპაპუნიქი, ხალდო-არიჭის ციხე, სევუკის ციხე, კლისურას ციხე (ავრზერუმ-ტრაპიზონის გზაზე).

80-იან წლებში დავით მეფე სამხრეთისაკენ გაეშურა, აიღო ქალაქი მანაზკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), იქიდან განდევნა არაბები და მათ ნაცვლად სულ ქართველები და სომხები ჩაასახლა.

ქართველი მეფის სითამამით აღშფოთებულმა ამირებმა შემოთვალეს, ან მანაზკერტი დასცალე, ან სალაშქროდ მოვდივართო.

დავითმა პასუხიც არ აღირსა და დიდი ომის მომლოდინემ თვითონაც შემოიკრიბა თავისიანნი: ბაგრატ მეორე (სუმბატ კურაპალატის ძე) და სომეხი მთავრები — გაგიკ და აბას.

წამოვიდა ამირების ნაერთი, უზარმაზარი ლაშქარი. ადარბადაგანის (ირანის აზერბაიჯანი) ამირა უდგათ სათავეში — მ ა მ ლ ა ნ ი.

ქალაქ ვალაშკერტთან დაუხვდათ დავით მეფე.

მაჰმადიანებმა შებრძოლება ვერ შებედეს და უკან გაბრუნდნენ.

997 წელს კიდევ ერთი ქალაქი აიღეს ქართველებმა ვანის ტბის პირას, ქალაქი ხ ლ ა თ ი.

100 000-იანი არმია შეჰყარეს ირანელმა ამირებმა. წინ ისევ მამლანი მოუძღოდათ, შურისგებით გაცეცხლებული.

ღრმა მხცოვანებამ აღარ გაუშვა დავითი ბრძოლად. გ ა ბ რ ი ე ლ ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე ს ძ ეს ჩააბარა მთავარსარდლობა. გურგენ მეორე ქართველთა მეფემ (სუმბატ კურაპალატის შვილიშვილმა) 6 000 რჩეული მეომარი აახლა ფ ე რ ი ს ჯ ო ჯ ი კ ი ს ძ ის მეთაურობით.

998 წელს გამართულ დიდ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს რიცხობრივად დიდად უპირატესი მტერი. ბევრმა ქართველმა ისახელა ამ დღეს თავი.

მაგრამ განსაკუთრებით — მესხმა გმირებმა, ძმებმა გ ა მ რ ე კ ე ლ ე ბ ი ა.

გაქცეულ მამლანსა და მის ლტოლვილ ლაშქარს ქართველებმა ხლათიდან არჭეშამდის ჩეხვით სდიეს. მერე მობრუნდნენ და მტრის ბანაკსა და დიდძალ ნადავლს დაეპატრონენ.

დავით მეფის სამეფოს სამხრეთის საზღვრები ვანის ტბისა და ქალაქ ე რ ზ ი ნ კ ა ს (ერზინჯანი) გასწვრივ დამკვიდრდა.

მაჰმადიან დამპყრობთა ფეხი ამოიკვეთა მათგან მრავალტანჯულ ქრისტიანული მიწა-წყლიდან.

მაგრამ დავითს ერთის წუთითაც არ ავიწყდებოდა მისი უმთავრესი მოწოდება: გაერთიანება სრულიად საქართველოსი.

დავითი მარტო არ იყო ამ სამამულიშვილო საქმისათვის ბრძოლაში. მას გვერდში ედგნენ პროგრესული გონგამჭრიახობით და პატრიოტული გულმხურვალებით მოღვაწე ქართველნი.

ამათგან დიდებული მაგალითია ი ო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ს ძ ე, ქართლის ერისთავი, „კაცი ძლიერი და ერმრავალი". იგი დავით მეფეში საქარ-

თველოს გამაერთიანებელს ხედავდა და მასთან საამისო თანამშრომლობას ესწრაფოდა.

თვითონ დავით მეფე უძეო იყო, მაგრამ შვილობილი აეყვანა და ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა. ეს იყო მისი ნათესავი, გურგენ მეორის ძე, ბაგრატი (პაპის — ბაგრატ მაგისტროსის ძმის, სუმბატ კურაპალატის შვილთაშვილი).

საინტერესო ის იყო, რომ ყრმა ბაგრატის ძარღვებში ბაგრატიონთა სისხლს დასავლეთ საქართველოს სამეფო-საგვარეულოს სისხლიც ერთვოდა: დედამისი გურანდუხტი (გურგენ მეორის ცოლი) ქუთათისელი ხელმწიფის გიორგის ასული იყო.

იოანე მარუშისძის მსგავს ქართველებს კარგად შეეძლოთ დაენახათ, რომ ბაგრატისთანა უფლისწული, ერთდროულად მემკვიდრე ქართლისა, ტაო-კლარჯეთისა და „აფხაზეთისა“, ყველაზე უკეთესი კანდიდატი უნდა ყოფილიყო საქართველოს ერთიან ტახტზე.

დროც დამდგარიყო.

ქუთათისის ტახტი უსინათლო და უსასოო თეოდოსის ხელში, დღეს სათამაშო, ხოლო ხვალ სისლსათხევ საგნად უნდა ქცეულიყო.

ამიტომაც „ესევე იოანე მარუშისძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“.

იმ ხანად კახელი აზნაურები შემოიჭრნენ ქართლში და უფლისციხეს მოადგნენ.

მარუშისძემ მაშინვე აფრინა კაცი დავით მეფესთან და შეუთვალა: მოდი და ქართლი ჩაიბარეო; ან შენ თვითონ დაიჭირე, ან ბაგრატს, მიუბოძეო ქართლი, გურგენის ძეს, გიორგი მეფის ასულის წულს, რომელსაც დედულად ქართლიც ეკუთვნოდა და აფხაზეთიც.

თითქოს ამას უცდიდა დავით მეფეთამეფე. მაშინვე წამოემართა ქართლისაკენ ჯარით. თან იახლა გურგენ, გურანდუხტ და ბაგრატ.

კახელებმა შებრძოლება ვერ გაბედეს და ქართლი მიატოვეს.

გამოეგება იოანე მარუშისძე სანატრელ სტუმრებს.

უფლისციხე მიუბოძა მეფეს, ვითარცა სრულიად ქართლიც მიუბოძა.

დავითმა უფლისციხეში ბაგრატი ჩააყენა, ვითარცა ქართლის მეუფე, ხოლო მამამისი გურგენი მზრუნველად დაუდგინა ჯერ ისევ მცირეწლოვან ბაგრატს.

საგანგებოდ შეკრებილ ქართლელ აზნაურებს მეფემ ბაგრატზე მიუთითა და დაბეჯითებით თქვა:

„ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გა-

ზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისა და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით უველანი".

ორი-სამი დღის შემდგომ დავითი ტაო-კლარჯეთს გაბრუნდა.

მაინც თავისი არ დაიშალეს ქართლის თავკერძა აზნაურებმა. ახალ მზაკვრული ხვანჯები გააბეს, „შეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა", იყვე გამოიწვიეს ჯარი კახეთით, მიუხდნენ უფლისციხეს, გამოიყვანეს გურგენ, გურანდუხტ, ბაგრატ და სამივენი ტყვედ გაუყვანეს კახეთისაკენ.

საშინლად აღშფოთდა დავით მეფე ამ ამბის შემტყობარე. მაშინვე ჯარით დაიძრა კახეთისკენ გამძვინვებული.

მეფეს თრიალეთში შეეგებნენ დამფრთხალი შეთქმულნი, ტყვეებს გამოუშვეს, ქართლზე ხელი აიღეს და პატიება ითხოვეს.

ისევ დაჯდა ქართლის ტახტზე ბაგრატ.

ამჯერად მკვიდრად, საბოლოოდ.

ეს ამბავი 975 წელს მოხდა.

სამი წლის შემდგომ სავსებით აირია და აიწეწა საქმენი ქუთათისის ტახტის გარშემო.

ახლა ქუთათისში გაჩნდა იოანე მარუშისძე.

ახლა ქუთათისიდან მოუვიდა აჯა დავით მეფეს:

„აფხაზთა სამეფო" გულმხურვალედ ითხოვდა მეფედ ბაგრატს.

დავითი „როგორც იქნა" დათანხმდა.

978 წელს ბაგრატი ეკურთხა ქუთათისის ტახტზე.

ქართლი და დასავლეთ საქართველო გაერთიანდა.

დასაწყისშივე ბაგრატს ორჯერ ზედიზედ მოუხდა „მახვილის წარმართვა" ერთიანობის მტერთა მიმართ.

ჯერ ისევ ქართლელმა აზნაურებმა განაახლეს მტრობა ბაგრატისადმი. ქავთარ ტბელი ჩასდგომოდა სათავეში შეთქმულებს.

ბაგრატმა არაფერი იცოდა. გულდანდობილად მიდიოდა ქუთათისიდან ქართლისაკენ. მოღრისთან, ლიხის მთის ხევხუვებში, ქავთარ ტბელმა და მისმა თანამოლაშქრეებმა გზა გადაუჭრეს, ქართლისაკენ აღარ უშვებდნენ.

გაფიცხდა ბაგრატ, „აღუზახნა სპათა თვისთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართლელნი, რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდახუეწნეს და დაიფანჩნეს".

მეორედ კლდეკარის გაზულუქებული ერისთავი გაუურჩდა, რატი ლიპარიტის ძე.

ბაგრატი ძლიერი ლაშქრით დაიძრა სამხრეთისაკენ.

ამ „სამხრეთულმა ლაშქრობამ“ დასაწყისში დიდად სახიფათო გაუგებრობა გამოიწვია. „ბოროტმა ენებმა“ დავით მეფეთამეფეს არტანუჯში ამბავი მიუტანეს, შენი შვილობილი და შენგან აღზევებული ხელმწიფე სწორედ შენს წინააღმდეგ მოდის აქაური ტახტის წასართმევადო. მოხუცი მეფე ეჭვმა დასძლია და სასწრაფოდ ლაშქარი აწვიო. ჯერაც ცოცხლები იყვნენ ბაგრატის მამა გურგენ მეორე და პაპა ბაგრატ მეორე, ამათაც აისხეს იარაღი: გურგენი შვილს მიემხრო, ხოლო ბაგრატ მეორე დავით მეფეს შეუერთდა.

დავითმა ჯერ შვილის მისაშველებლად ამხედრებულ გურგენს დაადევნა ჯარი. ბრძოლა მოხდა გ ა რ დ ა თ ხ რ ი ლ თ ა ნ, შავშეთის თავზე. გურგენი დამარცხდა, გაიქცა და წ ე ფ თ ი ს ციხეში ჩაიკეტა.

მერე წამოვიდა დავით მეფე დიდი ლაშქრით შვილობილთან შესახვედრად. მოვიდა ჯავახეთში და დადგა დ ლ ი ვ ს.

ბაგრატ მეფე უკვე თრიალეთში მოსულიყო და კ ა რ უ შ ე თ შ ი ბანაკად დამდგარიყო.

ტრაგიკული შერკინება უნდა დაწყებულიყო.

საქართველოს ერთიანობის მტრები საზეიმოდ ემზადებოდნენ.

მაგრამ კვანძი ისევ ბაგრატმა გახსნა.

მან თავისი ლაშქარი მიატოვა და საავსებით მარტოდმარტო ეახლა დავითს, თავის მამობილსა და დიდ კეთილისმყოფელ ხელმწიფეს.

ყველაფერი აუხსნა. მე შენს წინააღმდეგ როგორ აღვმართავდიო შენგანვე სიქველისა და სიკეთისათვის აღზრდილ ხელს. მე მხოლოდ ურჩი ქვეშევრდომის, რატი ერისთავის დასასჯელად წამოვემართეო ლაშქრით.

გული აუჩქროლდა მოხუც ხელმწიფეს: „მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ, არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა — დაიმორჩილე ვითარცა სახედ გწადიანო“.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაშორდნენ.

კლდეკარს დაეცა ბაგრატ მეფე.

დაზაფრული გამოვიდა რატი ერისთავი.

ხელში მცირეწლოვანი ძე ეჭირა, პაპის თანამოსახელე — ლიპარიტი.

თვალცრემლიანი მიეახლა მეფეს, მუხლებში ჩაუვარდა, შენდობა ითხოვა, ყრმა ლიპარიტი შეავედრა, კლდეკარიც მას დაუტოვა და მთე-

ლი სიცოცხლის მანძილზე მემკვიდრის ერთგულება აღუთქვა. ხოლო თვითონ არგვეთს გაბრუნდა და კაცხის მამულში ჩაიჩუმქრა უჩინოდ.

. . .

ახალი საუკუნის პირველი წელი დადგა — 1001 წელი.

500 წელი დიდი ვახტანგ გორგასალის აღსასრულიდან.

1001 წელი, და მიიცვალა დავით მესამე დიდი მეფეთამეფე კურაპალატი.

მთელი სამხრეთულ-ქართული მემკვიდრეობაც, ვითარცა კანონიერმა მემკვიდრემ, ქუთათისში მჯდარმა ხელმწიფემ შეიერთა.

ცოტა კიდევ და, ბაგრატი კახეთ-ჰერეთსაც შემოიერთებს.

ახალი საუკუნე იწყებდა სიცოცხლეს.

ერთიანი საქართველოს საშესთან ერთი ხელმწიფე იდგა:

ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი.

### მინაწერი X საუკუნისა

გასულმა X საუკუნემ, მრავალ შინაგან და გარეგან პოლიტიკურ მეხთატეხის გვერდით, ბევრი სიკეთით დაივანა საქართველოს ისტორიაში.

წარმატებით დასრულდა „ახალშენება“ საქართველოსი.

გაერთიანდა საქართველო გორგასალის აღსასრულიდან 500 წლისთავზე.

აშენდა (ან ხელახლა აშენდა):

ოპიზა,

ხანძთა,

შატბერდი,

პარეხი,

ბერთა,

მიძნაძორი,

წყაროსთავი,

ანჩი,

იშხანი,

ოშკი,

ხახული,

პარხალი,

ბანა,
კალმახი,
ტბეთი,
აწყური,
საფარა,
ზარზმა,
თმოგვი,
კუმურდო,
კაცხი,
მარტვილი,
წალენჯიხა,
ხობი,
მოქვი,
ბედია.

აშენდა ქართველთა ახალი დიდებული სავანე საბერძნეთს, ათონის მთაზე.

კვლავ დიდებულ კულტურულ ცენტრებად იდგნენ ქართული სავანეები პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე.

სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ქართველები საქართველოში და საქართველოს გარეთ.

თარგმნიდნენ მსოფლიო ლიტერატურისა და მეცნიერების შედევრებს (ითარგმნა გრიგოლ ნოსელის „შესაქმისათვის კაცისა“).

იწერებოდა ორიგინალური ქართული შაირნი და იამბიკონი.

თხზავდნენ ჰიმნებს მიქაელ მოდრეკილი და იოანე მინჩხი.

დაიწერა ქართული სიბრძნისმეტყველების დიდებული ძეგლი „სიბრძნე ბალავარისა“.

გიორგი მერჩულემ დაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ბასილი ზარზმელმა — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“.

სტეფანე მტბევარმა — „გობრონის წამება“.

ხოლო იოანე-ზოსიმემ გასაოცარი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“:

„დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“, —

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა: — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაითა.


და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტესის სხუათა ენათა ქრისტეის მოსლვითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

ხუთასი წელი დალეწილიყო გორგასალის აღსასრულიდან.
ახალი საუკუნე იდგა.
საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა:
ერთიანი ენით,
ერთიანი დროშით,
ერთიანი ხმალით,
ერთიანი ჯვარით,
ერთიანი კალმით,
ერთიანი ყალმით,
ერთიანი საჭრეთლით.
ძლიერი ცეცხლი ენთო ქართულ კერაზე.

ხმალი და სახნისი მძლავრი მარჯვენით იკვერებოდა ქართულ გრდემლზე.

უკვე მოჩანდნენ ათინათური სხივთაცემით გეორგიადის მწვერვალები.



# კარი მეოთხე

ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა წეულნი.

გრიგოლ ბაკურიანისძე.

და გამოვედით, რომ გვეხილა აწ ვარსკვლავეპი.

დანტე.

## აზმა პირველი

### ხელმწიფობა ბაგრატ მესამისა

შემდგომად დიდისა ეახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოლითა გონებითა.

მატიანე ქართლისაჲ.

**ხმალთაკვეთება ტაო-კლარჯეთში**

იდგა 1001 წელი — პირველი წელი მრავლისაღმთქმელი XI საუკუნისა.

ჯერ არ გაცივებულიყო დავით მესამე მეფეთა მეფის საგოდებელი.

ბაგრატ მესამე ახალი მობრუნებული იყო ქუთათისს, როცა შეატყობინეს: ბიზანტიის კეისარი ბასილი მეორე მხედრობით მოსდგომია

ქართულ სამანებს და ტაოელ აზნაურებს ციხეები ჩაუბარებიათ მისთვის.

ბაგრატი ფრთამალე სვლით ქუთათისიდან კლარჯეთს ჩავიდა, მამამისი გურგენ მეორე აიყოლია და ტაოს საზღვრებთან შეეგება კეისარს.

ნაძალადევ-ნაჯახირევი წუხილით სახედაღრეჯილმა ბასილიმ თანალმობა მიუგო გვირგვინოსან მამა-შვილს ბიზანტიის დიდი მეგობრის დავით მეფეთამეფე კურაპალატის გარდაცვალების გამო.

საქმემ აჩვენა, რომ გულზვიადი კეისარი მხოლოდ სამძიმრის სათქმელად არ მოსულა ქართულ მიწებთან ესოდენ ძლიერი მხედრობით.

ქართველი მეფეებიც არ იყვნენ ხელცარიელნი. ამიტომ ბუნებით ისედაც სიტყვამოძულე და ენამოტეხილმა კეისარმა ძლივს ამოაჯახირა თავის სათქმელი: დავით კურაპალატმა ტაო-კლარჯეთი ანდერძით მე დამიტოვაო.

ქართველებმა ნივთიერად მოითხოვეს საანდერძო საბუთი, მაგრამ რაც არ არსებობდა, კეისარიც რას გააჩენდა. სიტყვიერი ანდერძი ანდერძი ვერ იქნებოდა. ის კი არა და, ყველამ კარგად იცოდა, რომ დავით მესამემ ტაო-კლარჯეთი ქართლის აზნაურთა საკრებულოზე თავისი შვილობილისა და აღზრდილის, ბაგრატ მესამის მემკვიდრეობად გამოაცხადა.

ბასილი თავისას არ იშლიდა. არც ბაგრატი იხევდა უკან.

ხოლო ომი არც ერთ მხარეს არ სურდა.

კარგა ხნის ბჭობა-ჭრის შემდგომ იმიერ ტაო და ბასიანი კეისარს დარჩა. სამაგიეროდ ბასილიმ ბაგრატს კურაპალატობა მიუძღვნა, გურგენს — მაგისტროსობა.

ბასილის ეგონა, კურაპალატობაზე ნაკლები ტიტული — მაგისტროსობა — გურგენს შვილის მიმართ შურს აღუძრავდა და მამა-შვილს მტრად გადაჰკიდებდა, მაგრამ გურგენს საკმაო დიდსულოვნება აღმოაჩნდა და შვილისადმი სიყვარული სიკვდილამდე შეურყეველად შეინახა.

იმ დღეს, როცა ბიზანტიელი და ქართველი ხელმწიფეები ერთმანეთს სრული სიმშვიდითა და რიდით უნდა დაშორებოდნენ, სავსებით მოულოდნელად მაინც მოხდა მახვილთა კვეთება.

შემთხვევით, ცხენის დასაპურებელი თივის ძებნის დროს, თითო მეომარი ბიზანტიელთა და ქართველთა ბანაკიდან ერთმანეთს გადააწყდნენ და საჩხუბრად შეიმართნენ. ორივემ საშველად თავისიანებს მოუხმო. ორივე მხრიდან დაიძრა ჯარი.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

ბიზანტიელთა ლაშქარში რუსი მეომრებიც ერივნენ, კიევის მთავრის ვლადიმერ სვიატოსლავის ძის (ეს ის ვლადიმერია, რომელმაც 988 წელს ქრისტიანობა შეიტანა კიევის რუსეთში) მიერ თავისი ცოლისძმის, ბასილი კეისრის დასახმარებლად წარმოგზავნილნი.

სწორედ იმ დროს, როცა ბიზანტიელებმა ქართველთა მძაფრ შეტევას ზურგი აქციეს, ბასილი კეისარმა მოკავშირეებსა და მოყვრებს უბრძანა სასწრაფოდ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში.

სხვა გზა არ იყო. ჩრდილოელი მოკავშირეებიც გავიდნენ ბრძოლად.

ამ უაზრო ხოცვა-ჟლეტას ბევრი წარჩინებული ქართველი შეეწირა. ბრძოლაში დაიღუპნენ: ცნობილი სარდალი გაბრიელ ოჩოპინტრესძე, მისი ძმა იოანე, დიდებული ჩორდვანელი და ჰერეთელი მთავარი პატრიკი.

ბიზანტიელები ხარობდნენ, რომ ამჯერად ისინი ბრიყვული ფორტუნის ნებით იწირავდნენ ქართველთა სისხლს.

დრომდე უნდა დაეთმოთ კეისრის ჯავრი ქართველებს.

**კახეთ-ჰერეთისათვის**

1008 წელს გურგენ მეორე გარდაიცვალა და სამხრეთ საქართველოც ბაგრატ მესამემ დაიმკვიდრა.

ჯერი კახეთ-ჰერეთზე მიდგა.

კახეთში ერისთავ-ქორეპისკოპოსად იმჟამად იყო დავითი.

ბაგრატმა დავითს შეუთვალა, ქართლის ციხეები რაც დაგიპყრია, უსისხლოდ უკანვე დამიბრუნეო. დავითმაც ამაყად უპასუხა:

„უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი დრომი. ხოლო მე მოგეგებო ქსანსა ზედა“.

გულმწყრალად დაიძრა ბაგრატ მეფე დიდძალი ლაშქრით, ჯავახეთ-თრიალეთი გადმოლახა, მცხეთა გაიარა, თიანეთს შევიდა და კახე-

ის ციხეებს შეუდგა. დავით ერისთავმა არამც თუ ქსანზე „შეგებება“, საკუთარ კახეთში შებრძოლებაც ვერ შებედა გამძვინვარებულ მეფეს.

ბაგრატმა მთელი ჰერეთი დაიპყრო და თავისი ერთგული კაცი დასვა მის ერისთავად, სახელად ა ბ უ ლ ა ლ.

შემობრუნდა ბაგრატ მეფე, მაგრამ ქუთათისს არ იყო მოტანებული, რომ ამბავი დააწიეს: აბულალს ჰერნი გადასდგომიან და ისევ დავითი დაუფლებიაო ჰერეთს. ბაგრატი მსწრაფლ გაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოსკენ, დავითი აღარ დახვდა ცოცხალი. მისი ძე კ ვ ი რ ი კ ე გამხდარიყო კახეთის ქორეპისკოპოსი.

ბაგრატმა ხელახლა დაიპყრო ჰერეთი, ტყვედ წამოიყვანა დ ი ნ ა რ დედოფალი. მერე კახეთს მისდგა, კვირიკე ბოქორმის ციხეში ჩაიკეტა. ერთი წლის თავზე ბოქორმაც დაეცა, კვირიკე ტყვედ ჩავარდა და კახეთიც მღლიანად ბაგრატ მესამის მბრძანებლობას დაემორჩილა.

მაშ, 1010 წელს კახეთ-ჰერეთიც საქართველოს ერთიანი ეგიდის საზღვრებში მოექცა.

### „დარბაზობა“ ფანასკერტის ციხეში

მხოლოდ ტფილისი უცდიდა მშობლიურ სამანებში დაბრუნებას.

წელმაგრად და გულმყარად იჯდა ერთიანი საქართველოს ხელმწიფე ქუთათისში, ძველთაძველ ქართულ სატახტოში.

ქარქაშში ესვენენ მანამდე ერთურთზე სამტროდ მისეული ქართული ხმლები.

ჩაჩუმებულიყვნენ მუდამ განკერძოებისა და პირადი განდიდების მოსურნე გულზვავიანი აზნაურები.

მაგრამ უტყუარი ალღოთი გრძნობდა ბრძენი ხელმწიფე, რომ სადღაც მაინც ისევ შიგნიდან უნდა დაწყებულიყო ერთიანი საქართველოს კარიბჭის მსხვრევა. ყველაზე უფრო მოსალოდნელი სამხრეთიდან უნდა ყოფილიყო. უბრალო არითმეტიკით უნდა ეანგარიშა მეფეს:

აშოტ პირველ კურაპალატს, პირველ ბაგრატიონ ხელმწიფეს, ხომ სამი ვაჟი დარჩა: ადარნასე, ბაგრატი და გვარამი. ამ 150 წლის მანძილზე (აშოტის სიკვდილიდან ბაგრატ მესამის გამეფებამდე) სამივე ძმისაგან სულ წარმოსდგა 40 ბაგრატიონი, აქედან: ადარნასესგან — 22, ბაგრატისგან — 16 და გვარამისგან — 2. იგივე 150 წლის მანძილზე იმ 40 პრეტენდენტიდან ხელმწიფობას მიაღწია 10 კაცმა, საიდანაც

9 გვირგვინოსანი აშოტის შუათანა ძის, ბაგრატ პირველის შთამომავალი იყო, ხოლო ადარნასეს შთამომავალთაგან, ესე იგი პრეტენდენტთა უმრავლესი წრიდან (22 კაცი), მხოლოდ ერთს შეხვდა გვირგვინოსნობა.

ახლა, 1010 წლისათვის, ადარნასეს შთამომავალთაგან კიდევ ცოცხლობს „ძველი და ახალი თაობა“ ხელმწიფობის მაძიებლებისა: კლარჯელ-არტანუჯელი ძმები — სუმბატ და გურგენ და მათი ვაჟები — ბაგრატ სუმბატის ძე და დემეტრე გურგენის ძე... მათ გარდა კიდევ მათი დისწულნი და სხვა მისთანანი სისხლიერნი...

ბაგრატ მეფემ მოჭრით გადაწყვიტა:

მესხეთში ჩავიდა და ფანასკერტის ციხეში სადარბაზოდ მოიწვია სუმბატ და გურგენ კლარჯელნი. „დარბაზობა“ იმით გასრულდა, რომ მეფის ბრძანებით ორივე ძმა შეიპყრეს და თმოგვის ციხეში ჩაამწყვდიეს. მაშინვე მათი ციხე-ქალაქებიც დაიჭირეს. სუმბატი და გურგენი თმოგვის ციხეშივე ჩაიხოცნენ, ხოლო უმცროსებმა, ბაგრატ სუმბატის ძემ და დემეტრე გურგენის ძემ, სიკვდილს გაასწრეს და კონსტანტინოპოლს გადაიხვეწნენ.

ბაგრატ მესამეს ახლა შეეძლო „ბაგრატიონული საფრთხეებისგან“ მშვიდად ყოფილიყო...

## ფადლონი

იმ ჟამად რანში, მის სატახტო ქალაქში, განძაში, ძლიერი და კადნიერი ხელმწიფე იჯდა — ამირა ფადლონი.

კახეთი და ჰერეთი ადრიდანვე აკლებული ჰყავდა ფადლონს. არც ახალ, ერთიან ქართველთა ხელმწიფეს დაჰრიდებია იგი. ისევ მოილტვოდა აღმოსავლეთ საქართველოზე, „ჟამითი-ჟამად მეკობრეობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი ადგილად“.

ბაგრატმა გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ფადლონი. მან ჯარები შეჰყარა რანის დასალაშქრავად და მოკავშირედ გაიწვია სომეხთა მეფე გაგიკ პირველი, რომელიც აგრეთვე ფრიად შევიწროებული ჰყავდა ამირას. ამიტომაც გაგიკმა ქართველი მეფის წინადადებაზე „განიხარა სიხარულითა დიდითა“, სომეხთა ლაშქარი სასწრაფოდ შეჰყარა და ზორაკერტთან შეუერთდა ბაგრატ მესამეს.

1011 წელს ქართველ-სომეხთა ჯარები რანში შეიჭრნენ.

ფადლონი შეშინდა და შამქორის ციხე-ქალაქში ჩაიკეტა.

ბაგრატმა რანი მოარბია, შამჭორს საიერიშო მანქანები მიაყენა, რამდენიმე დღეში მისი კედელ-ზღუდენი დაანგრია და ის იყო ქართველ-სომეხთა ლაშქარი ქალაქშიც უნდა შეჭრილიყო, რომ ფადლონმა ბაგრატს მოციქული აახლა; ამირა შენდობას ითხოვდა, ხოლო სამაგიეროდ „დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა“ სამსახურის, ხარკის გადახდისა და სამხედრო თანადგომის პირობას იფიცავდა.

ბაგრატმა თანამებრძოლ დიდებულთა სათათბირო შეჰყარა და ფადლონის აჯა განსასჯელად წარადგინა. დიდებულთა „საბჭომ“ დაზავება ურჩია მეფეს. ბაგრატმაც ფადლონს „აუწყა ზავის დასტური“.

„მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრულა ყოველი იგი, სიტყვით აღთქმული, საქმით“.

ძლევამოსილი მეფე სამშობლოში დაბრუნდა (1012 წ.).

მალე ისევ გაშორდა ქართულ სამანებს ქართველთა მეფე. ამჯერად იგი დიდი ვახტანგ გორგასალის „ჩრდილოურ ნაკვალევს“ გაუყვა და დაიმორჩილა კავკასიონს გადაღმა ქვეყნები „ჯიქეთიდან ვიდრე გურგანადმდე“ (კასპიის ზღვამდე).

## „ოდეს განემტკიცნა“

შეუსვენებლივ იღვწოდა ბაგრატ მესამე „წვრილი ერისათვის“; წერილობითი სამართლის კოდიფიცირებას ახდენდა „გლახაკთა მოწყალე და სამართლის მომქმედი ყოველთა კაცთათვის“; ტაძრებსა და სავანეებს აგებდა დიდ-გონიერი, განათლებული ხელმწიფე.

აღაშენა ეკლესია მოწამეთისა, სადაც დაასვენა მოუსვენარი ძვლები სახალხო გმირთა — ძმათა მხეიძეთა, დავითისა და კონსტანტინესი.

აღაშენა ტაძარი ბედიას, და „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა (ბაგრატისა), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.

აღაშენა ტაძარი ერთიანი საქართველოს სატახტოში — ქუთათისში — სახელგანსმენილი „ბაგრატის ტაძარი“. 1003 წელს, „ოდეს განემტკიცნა იატაკი“, ბაგრატმა მის სახილველად კურთხევაზე მოიწვია ქრისტიანული კულტურის ყოველი დამფასებელი — ქართველებიც და არაქართველე-

ბიც, შინაურებიც და უცხოელებიც, მეფეებიც და მდაბიოებიც, საჩღედელონიც და ერისკაცებიც.

და ქვეყანამ იხილა ერთიანი საქართველოს საოცარი სამეუფეო პასტოფორიონი;

ქვა-ჩუქურთმათა კოსმიური სიმფონია;

სიმბოლო „ნათესავ-ქართველთა“ ერთიანობისა, სულიერ-სხეულებრივი სიმშვენიერისა და სიმტკიცისა, მარადჟამეულ უძლეველობისა და უკვდაებისა...

სულ მალე, 1010 წელს, ბაგრატ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძრის ახალი აღმშენებლობა მიანდო დიდებულ ხუროთმოძღვარს — ა რ ს უ კ ი ს ძ ე ს*.

დადგა 1014 წელი.

ბაგრატ მესამეს 51 წელი შესრულებოდა.

ახოვან, სახიერ ხელმწიფეს საოცრად ამშვენებდა ჯერ კიდევ ნაადრევი მხცით განსპეტაკებული თმა-წვერი.

იმ წელს, აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის მოვლის შემდგომ, სამხრეთ საქართველოში მისულიყო, ტაოში, ფანასკერტის ციხეში.

ზვიად ერისთავთერისთავი ახლდა თან.

მეფე უეცრად გახდა ავად.

ჩაწვა და მიიცვალა, — 1014 წლის 7 მაისს, პარასკევს.

აღესრულა გვირგვინოსანი, რომელმაც გორგასალიდან 500 წლის შემდგომად გაამთლიანა და განამტკიცა საქართველო.

ხელმწიფე, რომელიც „წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა“.

ხელმწიფე, რომლის „შემპოვნედ და მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი“.

ხელმწიფე, რომელსაც „დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინაალმდგომნი“.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, იცოცხლა 51 წელიწადი.

ზვიად ერისთავმა ფანასკერტიდან წამოასვენა საყვარელი მეფის ცხედარი და განსვენებულის მიერ აგებულ ბედიის ტაძარში დაკრძალა.

---

* ავტორი ფიქრობს, რომ არსუკისძე უნდა ყოფილიყო აღმშენებელი აგრეთვე სვეტიცხოვლის წინარე ძეგლებისა — მოწამეთის, ბედიისა და ქუთათისის ბაგრატის ტაძრებისა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ.; 23 VIII).

## „ᲣᲨᲘᲨᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲣᲡᲝᲠᲪᲝ“

*Breves et infausti populi Romani amores.*

**(დღემოკლენი და უბედურნი იყვნენ რჩეულ-საყვარელნი რომაელი ხალხისა.).**

**ტაციტუსი.**

**თორმეტი წლის გვირგვინოსანი**

ბაგრატ მესამეს მხოლოდშობილი ვაჟი დარჩა.

სახელად — გიორგი.

..სავსე ყოვლითა სიკეთითა“.

მაგრამ — თორმეტი წლისა.

უმძიმესი იყო სამეფო გვირგვინი ერთიანი საქართველოისა.

მაგრამ უძლიერესი აღმოაჩნდა ქედი თორმეტი წლის „ყმაწურილს“.

ყრმობიდანვე გულუძვრელი იყო გიორგი, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში ვითარცა უხორცო“.

ხანმოკლე, მძიმე, გაუხარელი ცხოვრება ელოდა ჰაბუკ ხელმწიფეს.

ის იყო დამთავრდა გიორგის მეფედ კურთხევა ქუთათისის „ბაგრატის ტაძარში“, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან პირველი უსიამო ამბავი მოიჭრა:

„განდგა ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველად აქუნდა იგი“.

ჩვეულებრივი ბუნებით, თორმეტი წლის ბავშვმა წყენა ბავშვური ცრემლით უნდა განიქარვოს, მაგრამ გიორგის ხელმწიფური ინსიგნიები უკრძალავდა თავისუფალი ბავშვის გულწრფელ ტირილსაც და სიცილ-კისკისსაც.

ბრაზით შესჭამა ჯავრი ყმაწვილმა. კახეთ-ჰერეთის საქმე უნდა გადადებულიყო: ძმათაშორისი ომით არ უნდა დაეწყო მეფობა ყრმა ხელმწიფეს.

ჯერ მას სამხრეთულ-ქართული მიწები ეძახდნენ, ტაო-ბასიანი, რომლებიც იქაურ აზნაურთა „ღადრობის“ წყალობით აგერ თოთხმეტი წელი ეპყრათ ბიზანტიელებს.

ხოლო ბიზანტიის ტახტზე ისევ ბასილი მეორე იჯდა, უძლიერესი ხელმწიფე, ბუნებით სასტიკი, ფუფუნებისადმი გულგრილი, ჭკვიანი, აგრესიული ქოლერიკი, ენაბრგვილი და გულღვარძლიანი, — სწორედ ის ბასილი, რომელიც დავით მესამე კურაპალატმა და თორნიკე ერისთავმა ჰაბუკობისას აშკარა სიკვდილისგანაც იხსნეს და მსოფლიო იმპერიის ტახტზეც დააბრძანეს და დაამაგრეს.

ახლა ისე გამოდიოდა, გიორგის და მის ქართველობას მძიმე სისხლად უნდა დასჯდომოდათ მათი დიდი წინაპრების ეაჟკაცური ქველმოქმედება.

### შერკინება „ბულგართმჭლეტელთან“

იმ წელს, რა წელსაც საქართველოს ტახტზე თორმეტი წლის ბიჭი მეფობას იწყებდა, ბასილი კეისარს უკვე ოცდახუთწლიანი სისხლნათხევი გზა ჰქონდა განვლილი. სწორედ იმ ხანად — 1014 წლის ზაფხულში — როცა გიორგი სამხრეთისაკენ სალაშქროდ ემზადებოდა, საქართველოში შემზარავი ამბავი მოვიდა: ბასილი კეისარს მისი ყველაზე დიდი მტრები, ბულგარელები დაუმარცხებია, 14000 (თუ 15 000) ბულგარელისათვის თვალები დაუთხრია, ყოველ 100 დაბრმავებულზე ერთი ცალთვალმოთხრილი გაუმძღვარებია და ამნაირად, ბრმა-კოლონებად ასხმულნი, მათი მეფისთვის, ს ა მ უ ი ლ ი ს თ ვ ი ს გაუგზავნია. ათასეულობით თვალდაშრეტილ თანამემამულეთა ხილვით ელდაცემული სამუილი ლოგინად ჩავარდნილა და რამდენიმე დღეში კიდევაც მომკვდარა.

ახალი თიკუნიც შერჩმევია იმ დღიდან ბასილი კეისარს — „ბულგართმჭლეტელი“.

არც ამას შეუშინებია გიორგი.

სამხრეთისკენ მიდიოდა ქართველთა ლაშქარი, ქართული მიწების დასაბრუნებლად და საპატრონოდ.

ყრმა ხელმწიფეს გამოჩენილი სარდლები მიჰყვებოდნენ: ზ ვ ი ად ერისთავი, რ ა ტ ი ლიპარიტის ძე და ხ უ რ ს ი.

ქართველებმა ზედიზედ განდევნეს ბიზანტიური ციხოვანნი ტაოდან და ბასიანიდან.

ჯერ ისევ ტაოში იყო გიორგი, როცა კეისრის ფიცხელი პატრუცაგი მიიღო კონსტანტინოპოლიდან: ახლავე დასცალე, რაც დაგიპყრია, და მამიშენის მემკვიდრეობით დაკმაყოფილდიო.

გიორგიმ საპასუხო ეპისტოლედ უარი ბრძანა: ტაო და ბასიანი სწორედ მამაჩემს ეკუთვნოდა, ხოლო მამაჩემის საკუთრებიდან ერთ ქოხსაც კი ვერავის დავუთმობო. თან ქართველი მეფე მოკავშირის ძებნას შეუდგა კეისრის წინააღმდეგ გარდუვალად მოსალოდნელ ომში. მან ელჩები გაუგზავნა ეგვიპტის მაშინდელ ხალიფას ალ-ჰაქიმს; კავშირს სთავაზობდა და საომარ გეგმასაც უთელიდა: ჩვენ-ჩვენი ქვეყნიდან ერთდროულად შევესიოთ ბიზანტიის სამანებსო.

ბასილი კეისარმა გიორგისა და ალ-ჰაქიმის მიმოწერის ამბავი შეიტყო და რისხვით აღვსილმა გადაწყვიტა სამაგალითო სისასტიკით დაესაჯა ქართველი მეფე.

მაგრამ რამდენიმე წელი ვერ შეძლო შურისგების განსრულება ჯერ ისევ ბულგარელებთან ბრძოლით დაკერილმა „ბულგართმჭვლეტელმა“.

კეისარმა იცოდა, მძიმე იქნებოდა ქართველებთან ჭიდილი და ამიტომ საიდუმლოდ ამზადებდა საქართველოზე დაცემას. 1021 წელს, გაზაფხულზე, ბასილიმ ხმა დააგდო, მესოპოტამიაში ვაპირებო გალაშქრებას, და საომარი სურსათიც კი, ქვეყნის თვალის ასახვევად, ანტიოქიაში გაგზავნა. თვითონ კეისარიც სირია-მესოპოტამიის გზით მიდიოდა მრავალრიცხოვანი, ალმაშურად აღჭურვილი ლეგიონებით, მაგრამ ერთბაშად ხელმარცხნივ შემობრუნდა და საქართველოსკენ წამოვიდა.

გიორგიც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად.

ბასიანში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა.

დიდხანს, „მრავალდღე“, ზომავდნენ ერთმანეთს თვალით, შერკინების დაწყებას თითქოს ვერც ერთი მხარე ვერა ბედავდა.

არავინ იცის, რა მოხდა ქართველთა ბანაკში: გიორგიმ ერთბაშად ჯარი აჰყარა და ოლთისისკენ წამოვიდა.

ბიზანტიელები ფეხდაფეხ გამოუდგნენ.

გიორგიმ ოლთისიდან მოსახლეობა გაიყვანა, ჯარიც გააფრთხილა — ხალხზე ეზრუნათ, და თვითონ ციხე-ქალაქი, მტერს რომ არ ჩავარდნოდა, ცეცხლს მისცა. მერე კოლასაკენ წამოვიდა გიორგი.

ისევ კვალდაკვალ მოსდევდნენ ბიზანტიელები.

თვითონ მეფე და ზვიად ერისთავი ქართველთა წინაკერძს მოუძღოდნენ, ხურსი და რატი ლიპარიტის ძე უკანაკერძში იდგნენ.

სოფელი შ ი რ ი მ თ ა გამოჩნდა.

გიორგიმ და ზვიადმა ჩამოიტოვეს სოფელი.

ხოლო ხურსი და რატი ის იყო შირიმთას მიეახლნენ, რომ კეისრის მეწინავე კოჰორტები წამოეწივნენ.

ქართველები შემოუბრუნდნენ და შეებნენ მტერს.

სასტიკი ხმალთაკვეთება გაჩაღდა.

შედრკნენ და უკუიქცნენ ბიზანტიელნი.

გულდაგულ მიჰყვნენ რატი და ხურსი.

მაგრამ თვითონ კეისარმა მოუსწრო ბრძოლას მთავარი ძალებით.

ხოლო „გვიანად ეწია ხმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანა-მავალთა ზედა". მაშინ „აღბორგნეს" მეფე და „უბრძანა სპათა თვისთა და აღიჭურნეს მსწრაფლ".

მის მოსვლამდე აკავებდნენ კეისრის ლეგიონებს ხელჩართულში თავდავიწყებით ჩათრეული ქართველები.

ისევ შედრკნენ და გასაქცევად აიშალნენ ბიზანტიელნი.

სწორედ მაშინ შორიდან ნაძგერალმა მაზრაკმა ძირს დასცა ხურსი ერისთავი.

გულშეძრულნი შედგნენ ქართველნი.

გულმოცემულად შემოუტიეს ბიზანტიელებმა.

რატი ლიპარტის ძემ კვლავ დასძრა წინ თავისიანნი.

თავდავიწყებით შეიჭრა ქართველი ერისთავი ბიზანტიელთა მჭიდრო რიგებში.

გიორგიმ და ზვიადმა მოუსწრეს ბრძოლას.

მაგრამ რატი ლიპარიტის ძეს ვეღარ მოუსწრეს ცოცხალს: შუბებით დაეცხრილათ და მახვილებით დაეჩეხათ ბიზანტიელებს.

გავეშებით შეუზახა და შეუტია გიორგიმ მტერს.

ქართველები თითქოს ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

კეისარმაც ბრძოლად ჩააბა სამარჭაფო ლეგიონები.

დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

ბოლოს, როცა „მოისრნეს ბერძენნი დიდნი და ფრიადნი", მარცხს შერიგებულმა კეისარმა ბრძოლის ველს ზურგი აქცია.

მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი", ნადავლს დაეტანენ და ბრძოლას განრინებულ მტერს ბოლომდე აღარ მისდიეს.

სამაგიეროდ, როცა ქართველები ნადავლით დატვირთულნი წამო-

ვიდნენ, ბიზანტიელებმა მოსდიეს ხელახალ კოჰორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა.

ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ ზტერს.

შეხვდნენ და იძლივნენ.

ბიზანტიელები არტაანში შევიდნენ და საშინლად იავარჰყვეს — გაძარცვეს, გადასწვეს და მცხოვრებთაგან ვინც სიკვდილს გადაურჩა, ბორკილდებული წაიყვანეს.

### ახალი ხმალთაკვეთებანი

გიორგი სამცხეში გადავიდა ნიალის გზით, იქიდან თრიალეთს მიაშურა: გზადაგზა ჯარებს კრებდა.

ბასილი კეისარი ფეხდაფეხ მოსდევდა, ყველას და ყველაფერს სპობდა და აოხრებდა. ბრძანება გაეცა „ბულგართმჭლეტელს“: „აღრ დაზოგონ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ჩვილი, არც სრულწლოვანი, არც ქალი, არც კაცი“. ასე გაანადგურეს ბიზანტიელებმა ჯავახეთი და თრიალეთსაც შემოუდგნენ.

მაგრამ კეისარმა შეიტყო, რომ თრიალეთში მდგარ ქართულ ბანაკს წანართა და შაქელთა ლაშქარი შეერთებია მეშველ ძალად. ბასილი მაშინვე მსწრაფლ გაბრუნდა ჯავახეთ-არტაანის გზით და ისევ „უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრნა ქუეყანანი იგი“.

ახლა გიორგი მისდევდა ფეხდაფეხ კეისარს, შერკინებაც გულით სწყუროდა, „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.

ნაადრევმა ზამთარმაც ჩოუსწროთ მორკენალთ.

კეისარი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა „ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ტრაპიზონთასა“, საიდანაც იგი მომავალი წლისთვის საზღვაო ლაშქრობას გეგმავდა დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად. გეგმავდა, მაგრამ გამარჯვების რწმენა ძალზე შერყეოდა კეისარს. ქართველთა მეფეს ხელუხლებელი ჯარები ჰყავდა მომავალი წლისთვის. შირიმთის ბრძოლის შედეგიც, მართალია, თავის სასარგებლოდ ჰქონდა გამოცხადებული კეისარს, მაგრამ საკუთარ თავთან ბჭობისას, არც ამაში იყო მაინცდამაინც დარწმუნებული. ალბათ, თავის მხრივ, ის „ცხრამეტი წლის ბიჭი“ თავის თავს თვლის გამარჯვებულად შირიმთის ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, უგემურად ელოდა კეისარი გაზაფხულებას „ქუეყანასა ხალდისასა“. ზავი სწყუროდა ბასილის. იქნებ „იმ ბიჭსაც“ სურდეს ზავი!

თითქოს გიორგი მართლა მიხვდა ბასილის გულისწადილს და დიპლომატიური ელჩობა გაუგზავნა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.

სიხარულით შეხვდა კეისარი ქართველთა მეფის წინადადებას. და მთელი ზამთარი „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულის თვის“.

შეთანხმდნენ და დაწერეს კიდეც საზავო გარიგება (1022 წ.).

და სწორედ მაშინ იმპერატორმა შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ აჯანყდნენ მისგან წინა წელს განპატიჟებული სარდლები — ნიკიფორე ქსიფე და ნიკიფორე ფოკა. ამასთან ისიც გამოირკვა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი არისტოკრატებიც, მათ შორის — გამოჩენილი ტაოელი ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ფ ე რ ი ს ჯ ო ჯ ი კ ი ს ძ ე, რომელმაც ჯერ კიდევ 998 წელს თავი ისახელა მამლანის სარდლობის ქვეშ მყოფი ასიათასიანი არაბული არმიის განადგურებისას.

ისე ეტყობოდა, გიორგი პირველსაც ჰქონდა კავშირი ბასილი კეისრის წინააღმდეგ აღძრულ აჯანყებასთან.

მაგრამ ბასილის სწორედ ბედი სწყალობდა: სანამ შეთქმულნი კეისრის წინააღმდეგ რაიმე ქმედითს იქმოდნენ, მათი მეთაურები თვითონ დაეტაკნენ ერთიმეორეს; ნიკიფორე ქსიფემ მოკლა ნიკიფორე ფოკა, ხოლო ქსიფე კეისრის ერთგულმა ქვეშევრდომებმა შეიპყრეს. იგი ბერად აღკვეცეს. შეთქმულების ერთი მოთავე, სასახლის საჭურისი, ლომებს ჩაუგდეს დასაწიწკნად, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს, მათ შორის ქართველ ფერის ჯოჯიკის ძეს, თავები დააყრევინეს.

ქსიფესაგან მოკლულ ნიკიფორე ფოკას ბასილის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს და გიორგი მეფეს გამოუგზავნეს. ამით იმპერატორი ქართველ ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ მისთვის ყველაფერი ნათელი იყო და მათ შორის დავა ერთჯერ და სამუდამოდ მხოლოდ მახვილთა ჯვარედინს უნდა გადაეწყვიტა.

ისევ მოვიდა ბასილი ბულგართმჭლეტელი დიდძალი ლეგიონებით ბასიანს და მოითხოვა იმიერ და ამიერ ტაო. სამაგიეროდ სამარადჟამო მშვიდობასა და კავშირ-მეგობრობას აღუთქვამდა კეისარი ქართველ ხელმწიფეს.

გიორგიმ ლაშქრის ერთი ნაწილი, ცხენ-კაციანად მძიმე აბჯრით

შერკინული მხედრობა, ზვიად ერისთავს ჩააბარა და ბიზანტიელთა ბანაკისკენ გაგზავნა. ზვიადი კეისრის შემოთავაზების პასუხად მასთან საზავო მოლაპარაკებაში უნდა ჩაბმულიყო, ხოლო გიორგი ყოველი შემთხვევისათვის საომრად უნდა გამზადებულიყო.

„უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მის თვის“, ფიქრობდა მეფე გიორგი.

ეტყობა, გიორგის იმჯერად გულწრფელად უნდოდა კეისართან ზავის შეკვრა, მაგრამ დიდებულები აქეზებდნენ ომისაკენ.

ბოლოს და ბოლოს, სისხლისღვრის თავიდან აცდენა აღარ მოხერხდა.

ზვიად ერისთავის ჯავშნოსანი მხედრობა თავს დაეცა ბიზანტიელთა ბანაკს. ქართველებმა „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“.

კეისარმა გაქცეულებს თავი მოუყარა და ლეგიონები მტკიცედ შეაკავშირა მოპირდაპირის უკუსაქცევად. მან არმიის გასამხნევებლად ქართველი მეფის ბეჭდით დაბეჭდილი საზავო წერილი შუბის წვერზე წამოაგო, მაღლა აღმართა, ჯარებს დაანახვა და ზეცას შესძახა:

„იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან“.

მერე ჯვარი მოაღებინა, მიწაზე მანდილი გაშალა, ჯვარი ზედ დადო და დასძახა:

„უკეთუ მიმცე მე ხელთა მტერთასა, არღარა თაყუანი-გცე უკუნისამდე“.

ეს თქვა და მის ნიშანზე რამდენიმე რაზმი გამოეყო ბიზანტიელთა არმიას.

მჭიდრო რიგებად შეყრილიყვნენ დარჩეული ვაჟკაცები, ბრგენი, მაღალტანოვანნი.

მძლავრი ნაბიჯით და იარაღის ზრიალით მოდიოდნენ.

მდუმარედ ელოდნენ ქართველნი.

სავსებით უცხოდ შეიცვნეს ქართველებმა მოახლოებულნი.

გული არ კარნახობდა მახვილის დაძვრას...

უკუიქცა ზვიად ერისთავის ლაშქარი.

მთელის არმიით გამოედევნა ბასილი კეისარი.

გამოჩნდა მეფე გიორგი ქართველთა მთავარი ძალებით.

ისევ დასცეს ბანაკი ორივ კერძო.

ღრმად ჩაეფიქრებინა გიორგი ზვიად ერისთავის თოროსან სპათა მარცხს და კეისრის არმიის სიმრავლეს.

მძიმე საგონებელს მისცემოდა ბასილი კეისარიც, „რამეთუ შიში

აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა“. ამიტომ ისეც აცნობა კეისარმა გიორგი მეფეს: დაე იყოს ჩვენს შორის ზავი და მშვიდობა!

დაზავდნენ (1022 წ.).

ტაო კეისარმა დაინარჩუნა.

დანარჩენი სამხრეთული ციხე-ქალაქები გიორგის დაულოცა.

გიორგის უფროსი ვაჟი, ოთხი წლის უფლისწული ბაგრატი, კეისარმა მძევლად წაიყვანა კონსტანტინოპოლს, მტკიცე ფიცით:

„წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი“.

ბასილი კეისარმა შეასრულა თავისი სიტყვა: ზავის დადებიდან მესამე წელს (1025 წ.) უფლისწული ბაგრატი, მაგისტროსის ტიტულით, მართლაც გამოუშვა კონსტანტინოპოლიდან თავის სამშობლოში.

ქართველ უფლისწულს კონსტანტინოპოლის სასახლის კატაბანი მოაცილებდა საქართველოსკენ. ის იყო, კიდეც შემოდგეს ფეხი ქართულ მიწაზე, რომ სხვა მოხელე-მანდატური წამოეწიათ მოულოდნელი ამბით: უეცრად გარდაცვლილა კეისარი ბასილი მეორე და მის ნაცვლად კეისარ-იმპერატორი შექმნილა მისივე ძმა კონსტანტინე მერვე, რომელიც ფიცხელი ბრძანებით ბრძანებდა, სასწრაფოდ უკანვე, კონსტანტინოპოლს დაებრუნებიათ ქართველი უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე.

ბაგრატმა ფეხად გადმოასწრო ქართულ სამანზე.

ბიზანტიელებიც გავეშებული შლიგინით მოჰყვნენ, მაგრამ ბიზანტიელთა ვერაგობის მცოდნე ხელმწიფეს დროულად უზრუნვია მოსალოდნელი ხიფათისგან შვილის დასახსნელად: უკვე ქართულ მიწაზე გადმოსულ უფლისწულს ეგებებოდნენ ალმაჭურად აღჭურვილი „დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი“.

ბიზანტიელები ერთ ხანს ბრაზიანად ათვალიერებდნენ ბაგრატის უკან კედლად აღმართულ ქართველობას...

მერე ბასილი კეისრის მოხელემ მწარე სიცილით უთხრა კონსტანტინე კეისრის მოხელეს: თუ შეგიძლია, შენ გამოიყვანე უკან ბაგრატ უფლისწული, ხოლო ჩემი იმედი ნუღარ გექნებაო.

ბიზანტიელები ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

ქუთათისის სასახლე დიდის ზარ-ზეიმით შეხვდა „ვერაგთა ქვეყნიდან“ უფლისწულის დაბრუნებას.

## აღსასრული „უხორციოისა“

დიდი სიხარული მალე დიდი მწუხარებით შეეცვალა გიორგის: უმრწემესი შვილი მოუკვდა, ასული — მართა.

ვერ იქნა და ვერ განიქარვა წუხილი შვილმკვდარმა მამამ.

მეფე იყო და ჩვეულებრივი ადამიანური გლოვის ნებაც არა ჰქონდა.

დაუნდობლად არღვევდა მის მძლავრ სხეულს სიმძიმილი ვითარცა ცალკე კაცისა და სიმძიმილნი ვითარცა საზოგადო ქვეყნის პატრონისა.

შეუსვენებელი, მუხლჩაუკრეფელი და თვალმოუხუჭავი შრომით ცდილობდა ჩაექრო საწუხარნი პირადულიც და სახელმწიფურიც.

დადიოდა საქართველოს ყოველ კუთხეში, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, ხალხს ამხნევებდა, ქვრივ-ოხერთა და უპოვართ ეხმარებოდა. წარბგაშლილი, პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა ყველას, თვითონ უჩინო სიმძიმილით გულდალახვრული.

ერთადერთი სიხარული ჰქონდა: სრულდებოდა მამამისის დიდი კულტურული განაზრახი — მესამე ფერისცვალება სვეტიცხოვლისა, არსუკისძის ბრწყინვალე გონებითა და ხელითა.

მაგრამ სვეტიცხოვლის დასრულებამდე ორი წლით ადრე დაასწრო სიკვდილმა.

...1027 წელი იდგა.

მეფე თრიალეთს ჩასულიყო, „ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი“.

და მოკვდა 16 აგვისტოს.

ასე ერთბაშად მოისრა მეფე გიორგი, „სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.

აღესრულა „და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისათვის“.

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა 25 წლისა.

თრიალეთიდან ჩამოასვენეს და ქუთათისის ტაძარში დაკრძალეს.

# ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲐ

## ᲛᲫᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲤᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

გიორგი მეფეს დედოფალ მარიამთან ერთადერთი ვაჟი და ორი ასული დარჩა: ბაგრატი, გურანდუხტი და კატაᲜ.

მეფეს კიდევ ჰყოლია „მეორე ცოლი“, ოვსთა მეფის ასული, სახელად ალდე, რომლისგანაც შესძენიათ დემეტრე.

(დაიმახსოვრე, მკითხველო, დემეტრეს შტოისაგან შემდგომში, მეექვსე მუხლად, წარმოსდგება თამარ მეფის ქმარი დავით სოსლანი).

ალდე და დემეტრე აფხაზეთში, ქ. ანაკოფიას აფარებდნენ თავს.

თვითონ მცირეწლოვნად აღსრულებულ ხელმწიფეს ოჯახიც წვრილშვილიანად დარჩა. ყველაზე უფროსი, ბაგრატი, მამის სიკვდილის ჟამს ცხრა წლისა იყო.

მაშ, საქართველოს ტახტზე მცირეწლოვან ასაკში ავიდა კვლავ დიდი ხელმწიფე ბაგრატიონიანთა საგვარეულოდან — ბაგრატ მეოთხე (1027—1072 წწ.).

ყრმობიდანვე გაუხარელი ცხოვრებით დაიწყო მისი ცხოვრება. მისი მეხსიერების პირველი სტრიქონები უცხოობაში სამწლიანი მძევლობა იყო. მერე, მობრუნდა, მაგრამ მშობლიურ კერასთან ორი წელიც ვერ მოათია გახარებულმა: აღესრულა მისი ვაჟკაცი მამა და ნაადრევმა ობლობამ მძიმე სევდით აუვსო გული; მაშინვე თავზე საქართველოს უმძიმესი გვირგვინი დაადგეს და ბავშვობაზეც ხელი სამუდამოდ ააღებინეს.

ხოლო ქვეყანა იყო დაღლილი და სისხლდადენილი ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლებით. კეისარი კონსტანტინე მერვე განსაკუთრებული მესისხლეობით მტრობდა საქართველოს. ბასილი მეორის დროს წაგლეჯილი ქართული თემებისგან კონსტანტინემ ივერიის საკათᲔბანო შექმნა და ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა მის გაფართოებას, რასაკვირველია, ისევ ქართული ტერიტორიების ხარჯზე, ამისთვის იგი არ ერიდებოდა არც ქრთამსა და მოსყიდვას, არც ვერაგულ ღალატსა და პირისშლას, არც იარაღსა და სისხლს.

ისევ ღალატობდნენ ქვეყანას მეფის მცირეწლოვნებით გათამაშებული აზნაურები. ბაგრატის გამეფების წელსვე ტაოელ დიდებულთა

უმრავლესობა, „რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი“, კონსტანტინოპოლს ჩავიდა, კეისარს ეთაყვანა და თავი ბაგრატ მეფისგან განდგომილად გამოაცხადა. ამ მოღალატე ფეოდალთაგან ყველაზე დიდები იყვნენ ვაჩე კარიჭის ძე და იოანე ბანელი (ბანაის ეპისკოპოსი).

### გასამხედროებული ფიჩორნები

ამას ბიზანტიელთა მორიგი მაოხარი ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში. 1028 წელს კონსტანტინე მერვემ ნიკიტა ჰარაკიმომენი გამოგზავნა „მიუწვდომელისა ძალითა, ლაშქრითა თვისითა და განძითა ურიცხვითა“. ბიზანტიელებმა ხელახლა აოხრეს ბასილი კეისრისგან ნაოხარი და ჯერ ისევ ჭრილობებშეუხორცებელი მესხეთ-ჯავახეთი, ხოლო როცა თრიალეთს შემოუდგნენ, აქ ბაგრატის ერთგული აზნაურები დაუხვდნენ მტერს კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ლიპარიტის ძის მეთაურობით.

კლდეკარიდან მარცხნაჭამი გაბრუნდნენ ბიზანტიელები, მაგრამ მათ კიდევ მოახერხეს ორი ქართველი დიდაზნაურის გადაბირება: ჩანჩახა ფალელმა გარყლობის ციხე გადასცა უცხოელებს, ხოლო არჯევან ჰოლოლას ძემ — წერეფთის ციხე.

მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ სამხრეთელი პატრიოტები. ტბეთის ეპისკოპოსმა, საბა მტბევარმა, ჯვარი და ლოცვანი გადასდო, აბჯარი აისხა და მახვილით ხელში გაუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს. მან ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამაგრებული ბანაკი შექმნა, სახელად „სვეტი“, სადაც მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა. საბას, ერთგულ აზნაურთა და მდაბიოთა გარდა, მარჯვენა ხელად უდგა მისებრ იარაღასხმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი ეზრა ანჩელი. მთელი შავშეთი ფეხზე დააყენეს სამშობლოს საკეთილდღეოდ „გასამხედროებულმა“ ბერ-ფიჩორნებმა.

### ისევ „ზაკვანი“ ბიზანტიელთა

ისევ წამოვიდნენ ბიზანტიელები. წამოვიდნენ უფრო ვერაგი, ცბიერი და ქვეგამხედვარი მიზანდასახვით. თურმე მარტო ზოგიერთი სულმოკლე აზნაურის ღალატი არა ყოფილა საკმარისი. აპლა ხალხის, „წვრილი ერის“ მოღორებაც გადუწყვეტიათ ბიზანტიელ დიპლომა-

ტებს. ამჯერად ბიზანტიურ ლეგიონებს საქართველოს „კანონიერი მეფე“ მოუძღოდა — დ ე მ ე ტ რ ე, ძე გურგენ კლარჯისა, აი, სწორედ ის დემეტრე, რომელიც ადრე, მის ბიძაშვილ ბაგრატ სუმბატის ძესთან ერთად, ბაგრატ მესამეს გაექცა და კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა. კეისარ კონსტანტინე მერვეს „აღმოუჩენია“, რომ საქართველოს ტახტზე ბაგრატ მეოთხის სახით „უკანონო მეფე“ მჯდარა, ხოლო „კანონიერი ხელმწიფე“, დემეტრე გურგენის ძე, თურმე ამდენხანს„ უსამართლოდ ისჯება“. ამიტომ კეისარს „დიდსულოვნური დავალებით“ გამოუგზავნია ახალი ჯარები: ხალხი უნდა დაერწმუნებინათ და მისი მხარდაჭერა მოეპოვებინათ, რათა საქართველოში დემეტრე გურგენის ძის სახით „კანონიერი ხელმწიფობა“ აღედგინათ.

მართლა გაჭრა ბიზანტიელთა ცბიერმა ქადაგებამ, ჭრთამმა და თითლიბაზობამ. „წვრილ ერში“ ბევრი დაიყოლიეს ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ ასამხედრებლად. მაგრამ საბა მტბევარისა და მისი პატრიოტების თავგამოდებული ბრძოლით და შრომით ახალი ბიზანტიური ოკუპაციის საფრთხე უკუგდებულ იქნა.

იმავე 1028 წელს გარდაიცვალა ღორმუცელობით, უძრაობითა და პადაგრით დავრდომილი კონსტანტინე მერვე, რომელმაც თავისი სამწლიანი კეისრობა საქართველოსადმი დაუძინებელ მტრობასა და მესისხლეობაში გაატარა. სიკვდილამდე სამი დღით ადრე მას გაახსენდა, რომ საჭირო იყო ზრუნვა ტახტის მემკვიდრეობაზე. რაკი ვაჟი არ ჰყავდა, სამთაგან ერთ-ერთი ქალიშვილი უნდა გაეთხოვებინა და სიძე კეისრად გამოეცხადებინა. უფროსი ასული, ჩოფურა ევდოკია, უკვე კარგა ხნის მონაზონი იყო; უმცროსმა, თეოდორამ, თვითონ თქვა უარი გათხოვებაზე. ჯერი მიდგა შუათანა ზოიაზე, რომელიც უკვე 50 წლის შინაბერა იყო. კონსტანტინემ დაიბარა დედაქალაქის პრეფექტი-ეპარქოსი, 60 წლის, ცოლშვილიანი რ ო მ ა ნ ო ზ ა რ გ ი რ ო ს ი და უბრძანა, ორში ერთი აირჩიეო — ან ცოლ-შვილთან გაყრა, ზოიაზე დაქორწინება და იმპერატორობა, ან თვალების დათხრა და საპყრობილეში ჩაგდებაო. პრეფექტმა წამებით სიკვდილს იმპერატორობა არჩია.

ახალმა კეისარმა, რომანოზ მესამე არგიროსმა (1028 — 1034 წწ.) მნიშვნელოვნად შეცვალა წინარე იმპერატორის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საქართველოსთან მტრობაც ბიზანტიის სასახლის კარს სამშვიდობო და „სამეგობრო“ ტრადიციით უნდა შეეცვალა.

1030 წელს ბაგრატის დედა, დედოფალი მარიამი, თვითონ ჩაეიდა კონსტანტინოპოლს ბიზანტიასთან მშვიდობისა და მოყვრობის ჩამო-

საგდებად. კეისრის რომანოზ მესამე დიდი პატივით შეხვდა ქართველ დედოფალს. ორივე მხარემ პირობა დასდო სამუდამო მშვიდობაზე, კავშირსა და მეგობრობაზე. კავშირი მტკიცდებოდა ორივე მხარისათვის სასურველი დამოყვრებით: ბაგრატ მეფე ცოლად ირთავდა კეისრის ძმისწულს, ე ლ ე ნ ე ს. რომანოზი სიძე-ხელმწიფეს ახალ ტიტულსაც უგზავნიდა — კურაპალატობას.

ბაგრატი ტაოში ჩაეგება ბიზანტიიდან მობრუნებულ დედას, რომელსაც მშვიდობიანობასთან ერთად თან მოჰყავდა საქართველოს სადედოფლო.

ბანას ტაძარში დაიწერეს ჯვარი ბაგრატმა და ელენემ, 10—11 წლის ბავშვებმა. მერე ქუთათისს მობრუნდნენ, მაგრამ სულ მალე საქორწინო ზარ-ზეიმი მოულოდნელი საგლოველით გასრულდა. ელენე დედოფალი უდღეური აღმოჩნდა. იგი მალე მიიცვალა. ქუთათისისა და კონსტანტინოპოლის სასახლის კართა მოყვრობაც დამთავრდა.

ბაგრატ მეოთხემ მეორე ცოლად შეირთო ოვსთა მეფის უ რ დ უ რ ე ს ასული ბ ო რ ე ნ ა.

ბიზანტიასთან მოყვრობის ასე ერთბაშად წახდენამ გაათამამა მეფისადმი მტრულად განწყობილი აზნაურები. მათ ტახტის ყველაზე რეალური მეტოქე აუმხედრეს ბაგრატს. ეს იყო მისი ნახევარ-ძმა დემეტრე, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი პირველს ოვსთა მეფის ასულისაგან, ალდესაგან ჰყავდა. აზნაურები ანაკოფიას ჩადიოდნენ ალდესთან და დემეტრესთან, და „იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი“. მაგრამ დემეტრემ ვერც მასზე გაცილებით ძლიერი ძმის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა, ვერც მის დიდსულოვნებას ენდო ბოლომდე. ამიტომ დაჰკრა ფეხი და ბიზანტიას გადაიხვეწა. თან, თავშესაფარის საფასურად, ანაკოფიის ციხე-ქალაქიც კეისარს გადასცა. ამნაირად, ბიზანტიელებმა ისევ ჩამოსდგეს ფეხი აფხაზეთს (1032 წ.).

ხოლო ქართველთა მეფეს ჯერ არ სცალოდა ანაკოფიისთვის.

### ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა თ ვ ი ს

გავიხსენოთ რანის მფლობელი, განძელი ამირა ფადლონი, რომელიც ადრე, 1011 — 1012 წლებში, ქართული მიწების შეწუხებისთვის ბაგრატ მეოთხის პაპამ, ბაგრატ მესამემ, სასტიკად დაამარცხა და დახარკა. ახლა, ოცი წლის შემდგომ, იგივე ფადლონი ისევ გამძლავრდა და შემოუტია ქართულ სამანებს.

ბაგრატ მეფემ უბრძანა კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ლიპარიტის ძეს და ასევე ძლიერ დიდებულს იოანე აბაზას ძეს და ამათაც შეჰყარეს ლაშქარნი. ბაგრატმა დამხმარედ მოუხმო კახეთის მაშინდელ მეფეს კვირიკეს. ისიც წამოვიდა კახთა ჯარით. მეფემ ტფილისის მაშინდელი ამირა ჯაფარ ალის ძეც გაიწვია ფადლონთან საომრად. ჯაფარს ქართველ მეფესთან წაკიდება ხელს არ აძლევდა და ისიც გამოვიდა სალაშქროდ.

ბრძოლა მოხდა ეკლეცთან. სასტიკად დამარცხდა განძის ამირა. ქართველებმა „გააქციეს ფადლონ და აუწყვიდეს ლაშქარი, აიღეს ავარი (ნადავლი) და განძი ურიცხვი. ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეჰვიდა (გაბოროტდა) ფადლონ“.

XI საუკუნის 30-იან წლებში ქართველებმა დაიწყეს თავგამოდებული ბრძოლა ტფილისის გასათავისუფლებლად. ტფილისის ამირა ჯაფარი განძელ ამირასთან ბრძოლაში თანადგომისთვის ბაგრატ მეფის „ნოკავშირედ“ ითვლებოდა. ამიტომ ბაგრატისაგან „გვერდისაქცევით“, ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და იოანე აბაზას ძემ მცირე ლაშქარი მიიყვანეს მუხათგვერდს, ამირა ტფილისიდან გაიხმეს, ერთბაშად დაეცნენ და ბორკილებით შეკრეს. მაშინვე ქართველთა ჯარი ბირთვისის ციხეში შევიდა (1032 წ.).

ლიპარიტისა და იოანეს ეს გამარჯვება დანარჩენ აზნაურებს გულზე ეკლად დაესოთ. მათ მოახერხეს, თორმეტი წლის ბაგრატი დაეყოლიებინათ, ჯაფარი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ და ისევ ტფილისის ამირად დაებრუნებინათ. ესღა იყო, რომ ბირთვისის ციხე, ტფილისის ერთ-ერთი მძლავრი გარე-ბურჯი, ქართველთა ხელში დარჩა.

მალე ბაგრატი დარწმუნდა, რომ მოშურნე და თავპატივა დიდებულებმა შეაცდინეს. ხუთი წლის შემდგომ, ჩვიდმეტი წლის მეფემ საბოლოოდ გადაწყვიტა ტფილისიდან უცხოელთა განდევნა. მან ისევ უბრძანა საომარი სამზადისი ლიპარიტ ლიპარიტის ძეს.

კახეთში მაშინ მეფედ იყო გაგიკ, კვირიკეს დისწული. თვითონ კვირიკე უკვე ცოცხალი აღარ ყოფილა. ფადლონის განადგურების შემდგომ, მას პირისპირ შეტაკებაში მოუკლავს ოვსთა მეფე ურდურე (ბაგრატ მეოთხის სიმამრი). სამაჯიეროდ, რომელიღაც „ოვს მონას“ ღალატით, ნადირობის დროს, ზურგიდან მიპარვით მოუკლავს მეფე კვირიკე.

ბაგრატის მოწოდებაზე გაგიკმაც გამოიყვანა კახთა და ჰერთა ლაშქარი.

1037 წელს ბაგრატ მეოთხემ ალყა შემოარტყა ტფილისს.

მტკვრის მარჯვენა მხრიდან ქართლისა და იმერეთის ჯარებმა შემოსალტეს ქალაქი, ხოლო ისნის მხრიდან — კახეთ-ჰერეთის მხედრობამ.

ალყა ორი წელი გაგრძელდა.

ქართლელთა და იმერთა ჯარებმა ზედიზედ აიღეს ორბეთის და ფარცხისის ციხეები. ტფილისი გარე ციხეებისაგან გაშიშველდა. სალტე მის გარშემო უფრორე შეევიწროვდა და შემტკიცდა.

ქალაქი საშინელმა შიმშილმა მოიცვა.

ერთი ლიტრა (300 გრ.) ვირის ხორცი ხუთასი დრაჰმა ღირდა.

ამირა ჯაფარ ალის ძეს მტკვარზე უკვე ტივები და ნავები გაემზადებინა, იღუმალ მტკვარს უნდა გაჰყოლოდა და განძას მისულიყო ფადლონის ძესთან.

### გამოსვლა სელჩუკის მოდგმისა

სწორედ ამ დროს საქართველოში სამხრეთიდან მოიჭრა ცნობა ახალ მრისხანე დამპყრობელთა შესახებ.

ესენი იყვნენ თურქი-სელჩუკიანნი.

თურქ-ოგუზები, ანუ თურქმანები, ადრე კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ უმკვიდრო, მოხეტიალე, მომთაბარე-მესაქონლე ცხოვრებით; მთელ სიცოცხლეს უსახლკაროდ ატარებდნენ, ცხენზე ამხედრებულნი და აგორებულ ჩარდახებსა და კარვებში დედა-წულიანად შეხიზნულნი. იყვნენ საუკეთესო მხედრები და მამაცი მეომრები, აღმოსავლურ მსოფლიოს თურქები მაშინ წაეპოტინენ, როცა არაბთა ხალიფატი დაძაბუნდა და დაიშალა. X საუკუნის მიწურულს მათმა მთავარმა სელჩუკმა სპარსეთი დაიპყრო და თავისი სახელმწიფო შექმნა. აქედანვე დაიწყო მისი მოდგმის — თურქ-სელჩუკიანთა აღზევება. მაჰმადიანობა მიიღეს, დიდ სპარსულ და არაბულ კულტურასაც ეზიარნენ, მაგრამ მთავარ საზრუნავად ომი, დაპყრობა, აოხრება და ჩამორჩენილ მომთაბარული მეურნეობის გავრცელება გაიხადეს. 1038 წელს, მაშინ როცა ბაგრატ მეფე ტფილისს ალყად შემოსდგომოდა, თურქთა სულტანი შეიქნა ენერგიული თოღრულ-ბეგი სელჩუკის შვილიშვილი, რომელმაც ხორასანის სწრაფი დამორჩილების შემდგომ დასავლეთისკენ დასძრა ჯარები.

ძლიერი პიროვნება ყოფილა თოღრული, ძლიერი მორწმუნე — ყოველდღე უნაკლულოდ აღასრულებდა ყურანით მითითებულ ხუთი-

ვე ლოცვას, კვირაში ორ დღეს მარხულობდა, მის მფლობელობაში მოქცეულ ყოველ ქალაქში მეჩეთს აგებდა.

სომხეთის საზღვრებს უკვე მოსდგომოდნენ თურქები. დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო მათი შემოჭრა საქართველოშიც.

ქართველ დიდებულებს დიდი შრომა აღარ დასჭირვებიათ, რომ მეფე ამირასთან დაზავებაზე დაეყოლიებინათ (1039 წ.). ამირა ჯაფარ ალის ძე ტფილისის ამირად დარჩა.

ბაგრატმა ზავი ამირასთან ისევ ლიპარიტ ლიპარიტის ძის დაუკითხავად შეკრა. გულზვიადმა ერისთავთერისთავმა ეს იუკადრისა და „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავისა პატრონისაგან“.

### ისევ ტფილისისათვის

თურქი-სელჩუკები იმჯერად საქართველოსკენ არ წამოსულან და ბაგრატ მეფემ მამამისის დროს განდგომილი კახეთ-ჰერეთის შემოერთება სცადა. მან წინასწარ გადმოიბირა კვირიკე მეფის სიძე (დის ქმარი) აშოტ მარილელი და ხახვილა ჯვარისციხელი. მერე საომრად შეუხდა კახეთს, მიქელ-გაბრიელის მთასთან დაამარცხა მეფე გაგიკი და ტყვედ წამოიყვანა სამი ერისთავი: სტეფანოზ ვარჯანის ძე პანკისელი, ვაჩე გურგენის ძე ხორნაბუჯელი და ჯედი შტორელი.

იქიდან თიანეთს გადავიდა ბაგრატი და დაწვა კვირიკე მეფის დიდებული სასახლე ბოდოჯისა.

კახეთის შემოერთების საქმე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მეფემ ლიპარიტ ერისთავის გამოსვლის ამბავი შეიტყო.

ბაგრატზე გადამტერებულ კლდეკარელ ერისთავს ბიზანტიიდან დემეტრე გიორგის ძე ჩამოუყვანია ბიზანტიური ლეგიონებით, სხვა დიდაზნაურებიც მიმხრობიან საქართველოს „კანონიერ მეფეს“. ბიზანტიელები შემოსევიან ქართლს და მოსდგომიან ატენს.

კახელებიც შეუერთდნენ აჯანყებულ კლდეკარელსა და უცხოური კოჰორტებით მოსულ ტახტისმაძიებელ უფლისწულს.

ატენის კედლებთან ატყდა ბრძოლა (დაახლოებით, 1045 წ.). აქ კიდევ ორმა ერისთავმა უღალატა ბაგრატ მეფეს — ფარსმან თმოგველმა და ბეშქენ ჯაყელმა თუხარისელმა. მაგრამ მტკიცედ იდგნენ და თავგამოდებით ერთგულებდნენ ბაგრატ მეფეს ატენის დამცველები. ბიზანტიელები ვერაფერს გახდნენ და ნაადრევი ზამთრის

მომიზეზებით კონსტანტინოპოლს გაბრუნდნენ. დემეტრეც ისევ თან წაიყვანეს.

ლიპარიტ ერისთავი ფრიად შეაჭირვა მოკავშირეთა წასვლამ. იგი მაშინვე შეურიგდა ბაგრატს. მეფემ ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უბოძა, მაგრამ, სამაგიეროდ, მძევლად მისი შვილი ივანე ჩამოართვა.

1045 წელს ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე IX მონომახოსმა კონსტანტინოპოლს მიიწვია და დაატყვევა სომხეთის ახალგაზრდა მეფე გაგიკ II. ანისის „ბერებმა“, სომხეთის სატახტოს მაშინდელმა მესვეურებმა, ანისი ქუთათისის სასახლეს შესთავაზეს მფარველობისთვის. ბაგრატმა ანისში ქართული ციხოვანი ჩააყენა აბუსერ ერისთავის მოთავეობით.

1046 წლის გაზაფხულზე ბაგრატ მეფე აფხაზეთში გადავიდა და მიადგა ქალაქ ანაკოფიას, რომელიც ადრე მისმა მეტოქე-ძმამ დემეტრემ ბიზანტიელებს გადასცა. ის იყო, მეფემ ანაკოფია უკვე „მისწურა წასაღებად“, რომ ტფილისიდან ბერები ეწვივნენ, ამირა ჯაფარ ალის ძის სიკვდილის ამბავი აუწყეს და სასწრაფოდ ტფილისის დასაპერად გაიწვიეს.. ბაგრატმა ანაკოფიის აღება ერთგულ სარდალს, ოთაღო ჰაჰას ძე ქუაბულელს მიანდო, თვითონ სასწრაფოდ ქუთათისს გაჩნდა და ახალი ლაშქარი შეჰყარა. კვლავ ეახლნენ ტფილისელები და კვლავ აწვიეს ხელმწიფე ტფილისს.

დიღმის ველზე გამოეგება ხალხი ბაგრატ მეფეს. მოდიოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, „ყოველი ერი“, მდაბიონი და წარჩინებულნი, ბერ-ფიჩოსახენი და დარბაზის ერხი, „და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრვოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე გასაკვირველი“.

ფიანდაზად ნაფენი გზით მიიყვანეს ბაგრატ მეფე ტფილისის კარიბჭესთან. აქ „მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი“. შებრძანდა საქართველოს სატახტოში ქართველი მეფე.

შეიყვანეს სასახლეში, სადაც 400 წელი ისხდნენ მუსულმანი დამპყრობელნი.

ტფილისის ციხის ყველა კოშკი და გოდოლი პირადად ჩაიბარა მეფემ, შიგ ჯარები ჩააყენა და ერისთავები უმეთაურა.

მხოლოდ ისანი არ დაემორჩილა ბაგრატს. ხიდი ჩაანგრიეს ისნელებმა.

ბაგრატმა საიერიშო ტარანნი და ფილაკავანნი მიაყენა ისანს და ისრის უხშირესი მერეხით შეუტია. ბრძოლა გაჭიანურდა.

ისანთან ბრძოლის ჟამს ისნის ველზე ბაგრატ მეფეს ეწვია და ეთაყვანა კახეთის მეფე გაგიკ, ერისთავთერისთავი გოდერძისა და კახელთა ბრწყინვალე არისტოკრატიის თანხლებით.

ამრიგად, ბაგრატმა კახელებთან მტრობა თავიდან მოიშორა, მაგრამ ზაფხულის მიწურულს, ისანზე უნაყოფო იერიშის დროს, მაინც მოხდა ის, რაზე ფიქრიც ერთის წუთითაც არ ასვენებდა მეფეს.

თურმე ისევ ამხედრებულა ლიპარიტ ლიპარიტის ძე, ანისს მისულა მუხანათურად, ვითომ სათათბიროდ მიუწვევია ანისის მმართველი (ბაგრატისაგან დანიშნული) აბუსერ არტანუჯელი და მასთან სხვა დიდგვაროვანი წარჩინებულნი — ივანე ერისთავი, ივანე დადიანი, ბეჭის-ციხის პატრონი გვარამ გოდერძის ძე — და ყველანი დაუტყვევებია. ქართველთა ურთიერთ-მტრობით უსარგებლია სომეხთა კათალიკოსს პეტროსს და ანისი ბიზანტიელებისთვის მიუყიდნია.

საშინლად გულშეძრულმა მეფემ ისანსაც თავი მიანება, სრულიად ტფილისიც მიატოვა და თავისი მხედრობით სასწრაფოდ ჯავახეთისკენ გაემართა.

### კლდეკარელის გამოხდომანი

ღრტილას დაიბანაკა ბაგრატმა. მაწყვერელმა მესხთა ლაშქარი აახლა, მაგრამ როგორც კი ლიპარიტი გამოჩნდა, „გამოექცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს“.

კლდეკარის ერისთავს კახელები და სომხები მოსდევდნენ მაშველ ძალებად.

ძმათაშორისი სისხლისღვრა ამჯერად ნაადრევმა ზამთარმა და საშინელმა ქარბუქმა ჩაშალა. გამოსაზამთრებლად მეფე ქართლში ჩავიდა, ლიპარიტი კლდეკარს შეეფარა.

დადგა 1047 წელი.

ლიპარიტ ბაღუაშმა ისევ გამოიხმო ბიზანტიიდან დემეტრე, რომელსაც დიდძალი მხედრობა და მდიდარი განძეულიც ჩამოჰყვა თან. ისევ შეერთებოდნენ კახელები და სომხები ლიპარიტს. ქართველი ფეოდალებიც ორად გათიშულიყვნენ: ერთნი მეფეს უდგნენ მხარს, მეორენი — კლდეკარის ერისთავსა და ტახტისმაძიებელ უფლისწულს.

ისევ აჯობა ცბიერებით ქვეშევრდომმა თავის მეუფეს. რაკი ლიპარიტის მცირეწლოვანი ვაჟი ივანე მეფეს მძევლად ჰყავდა, წინასწარი შეთანხმებით ლიპარიტმა თავის ეზრიე დატყვევებული აბუსერ ერის-

თავი ბაგრატს გაუგზავნა და მის სანაცვლოდ შვილი მძევლობიდან გამოიხსნა.

ბრძოლის დაწყების წინ მოულოდნელად მოკვდა უფლისწული დემეტრე.

ბრძოლა მაინც შედგა, „თავსა სასირეთის ჭალისასა“.

ბაგრატ მეფის ბანაკი დამარცხდა. ბევრი მისი მომხრე დიდებული ტყვედ ჩაიგდო ლიპარიტმა, მათ შორის ისევ აბუსერ ერისთავი.

მეფე დანარჩენ ქვეშევრდომთა გადადგომასაც შეუშინდა და ლიპარიტთან შერიგება სცადა. იგი მცირე ცხენოსანთა რაზმით გაეშურა ხოვლეს, სადაც მაშინ იდგა ლიპარიტი. მაგრამ ზვიადმა ერისთავმა არ ინება მეფესთან შეხვედრა, „არა ნახა, გარიდა მუნით“. ბაგრატსაც ისღა დარჩენოდა, ქუთათისს დაბრუნებულიყო.

იმავე 1047 წელს სულა კალმახის ერისთავმა, გრიგოლ აბუსერის ძე არტანუჯის ერისთავმა და სხვა მესხმა აზნაურებმა მეფე ისევე შეაგულიანეს და ლიპარიტის წინააღმდეგ ახალ ომში გაიწვიეს.

ბაგრატი ქუთათისიდან გაემართა, რკინის ჯვარი გაიარა და ერთგულ აზნაურებს არყის ციხესთან შეხვდა.

უგრძნეულად დაეცა ლიპარიტ ბაღუაში არყის ციხეს.

ბრძოლა ისევ კლდეკარელმა ერისთავმა მოიგო. ბევრი ტყვეც წაიყვანა და მათ შორის ორივე ერისთავი — სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი.

სულას კალმახის საერისთავოს წართმევა დაუპირა ლიპარიტმა, ბაგრატ ვერც თხოვნით და ვერც საშიელი წამებით თახჩობა ვერ დააცდენინა. სამაგიეროდ გრიგოლ აბუსერის ძემ გამოიჩინა სულმოკლეობა: სიკვდილის მუქარის ქვეშ დათმო მან არტანუჯი.

მაღლა და მაღლა მიიწევდა ლიპარიტ ბაღუაში. ბიზანტიის სასახლის კარი ზურგს უმაგრებდა, კეისარი თავის ერთგულ მოკავშირედ და მეგობრად თვლიდა (თითქოს ბაგრატ მეფე აღარც არსებობდა ამ ქვეყნად). იმავე 1047 წელს ლიპარიტმა კეისრის საამებლად დვინი დალაშქრა, მეზობლები ააწიოკა და თანამემამულეთა სისხლისღვრასაც არ მოერიდა.

1048 წელს თურქ-სელჩუკთა სარდალი იბრაჰიმ ალიმიანი წამოვიდა დიდი ლაშქრით. სომხეთი სრულიად დაიპყრო და აოხრა. ბასიანში შეეტაკნენ მას კეისრის ლეგიონები. ლიპარიტ ლიპარიტის ძე აწვია ლაშქრად იმპერატორმა (თითქოს ბაგრატ მეფე აღარც არსებობდა ამ ქვეყნად).

თურქებმა გაიმარჯვეს, კეისრისა და ლიპარიტის ჯარები გააქციეს, თვითონ ლიპარიტს ბრძოლაში ცხენი მოუკლეს, ძირს დაცემული შეიპყრეს და ბორკილგაყრილი ხვარასანს გაუყენეს სულტან თოღრულბეგთან.

ბაგრატ მეფეს ლიპარიტის ტყვეობით დიდი სიხარული ეწვია. სანამ გვიან არ იყო; გაურჩებული აზნაურები სასწრაფოდ დაემორჩილნენ მეფეს. დაასწრეს და მეფის მფარველობა ითხოვეს თვითონ ლიპარიტ ერისთავის ვაჟებმა — ივანემ და ნიანიამ, რომლებიც მაშინ უფლისციხეს იდგნენ. ბაგრატმა უფლისციხე აიღო, ივანე გაათავისუფლა, ხოლო ნიანია მძევლად დაიტოვა.

1049 წელს კეისარმა კონსტანტინე მონომახოსმა აღმოსავლეთში ლეგიონები გამოგზავნა თურქთა ახალი იერიშების აღსაკვეთად. ბაგრატ მეფემ კეისრის თხოვნა მიიღო და ბიზანტიელთა თანადგომა იკისრა. ბიზანტიელებმა და ქართველებმა ძლივს მიუსწრეს თურქთა ალყისგან დაძაბუნებულ და დაცემის პირზე მისულ განძას. თურქები უკუიქცნენ.

იმავე წელს ისევ მიიწვიეს ტფილისელებმა ბაგრატ მეფე ქალაქის დასაკავებლად. ისევ შევიდა ქართველი ხელმწიფე საოცნებო სატახტოში, „და იყო სიხარული და მშვიდობა დიდი“.

დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა ეს „სიხარული და მშვიდობა“. კეისარმა არ მოისვენა, სანამ ლიპარიტ ბაღუაში ტყვეობიდან არ გამოიხსნა. 1051 წელს სამწლიანი ტყვეობის შემდეგ გათავისუფლდა იგი. ის იყო ანისს მოატანა ლიპარიტმა, რომ ბაგრატ მეფე ტფილისიდან სასწრაფოდ გაეიდა, ქართლი გაიარა და ჯავახეთს დადგა. კლდეკარელი ერისთავი მეფესთან არ გამოცხადდა. იგი კონსტანტინოპოლს ჩავიდა და კეისარს ახალი საომარი ძალები გამოსთხოვა ბაგრატ მეფის დასაკნინებლად.

დიდი საფრთხე შეექმნა ბაგრატ მეოთხის ხელმწიფობას. ეტყობა, ქართლი და სამხრეთ საქართველო სავსებით წაურთმევია მისთვის კლდეკარის ერისთავს. რაკი მეტი საშველი აღარ ჰქონდა, ბაგრატი თვითონაც შეუდგა კონსტანტინოპოლის გზას. ტრაპეზუნდს ჩავიდა და კეისარს შეუთვალა შენთან შეხვედრა მსურსო. მაშინვე დასტურიც მიიღო.

ასე, 1054 წელს ბიზანტიის სატახტოში ერთმანეთს შეხვდნენ კონსტანტინე IX მონომახისი და ბაგრატ მეოთხე, რომელსაც ბრწყინვალე ამალასთან ერთად თან ახლდა დედამისი, დედოფალი მარიამი.

ქართველთა მეფემ კეისარს დიდი საყვედური უთხრა: ამოღენა ხელმწიფე ხარ, ჩემთან, ასევე ხელმწიფესთან, მოცემული პირობა დამირღვიე და ვიღაც კერძო კაცი და ჩემი ყოფილი მონა დაიახლოვეო. ეს ცოტა მკაცრად იყო ნათქვამი და იქვე დასძინა, კარგი იქნება, თუ მე და ლიპარიტს შეგვარიგებო.

კეისარმა მართლაც შეარიგა და დააზავა მეფე და მისი ქვეშევრდომი, ლიპარიტს ბაგრატის ხელმწიფობა და სიუზერენობა უნდა ეცნო, ხოლო ლიპარიტი მესხეთის მთავრად ცხადდებოდა სიკვდილამდე. მეფეს, რასაკვირველია, უნდა გაეთავისუფლებინა მძევლად წაყვანილი უმცროსი ძე ლიპარიტისა ნიანია.

კონსტანტინოპოლს წასვლის წინ ბაგრატმა ქუთათისის ტახტზე მეფედ დასვა თავისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი. თვითონ ბაგრატს ეგონა, ბიზანტიიდან მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ ბიზანტიის საიმპერატორო სასახლის კარმა, ისევე ლიპარიტ ბაღუაშისადმი ანგარიშის გაწევით, ბაგრატ მეფე სამი წელი არ გამოუშვა საქართველოში. ჯერ კონატანტინე მონომახოსი უთრევდა ბაწარს, მერე, მისი სიკვდილის შემდგომ, დედოფალი თეოდორა, ბოლოს, ახალი იმპერატორი მიხეილ VI.

### წვევა ათონელი სწავლულისა

ბაგრატ მეფისა და მისი მხლებლებისათვის მაინც დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ეს სამი წელი ბიზანტიაში ყოფნისა. პირველი იყო ბაგრატის, მარიამისა და მათი ამალის შეხვედრა სახელოვან ქართველ მოღვაწესთან, გიორგი მთაწმინდელთან. ეს სწორედ ბიზანტიაში ბაგრატის ჩასვლის წელს მოხდა. გიორგი მთაწმინდელი ათონიდან კონსტანტინოპოლს მოსულიყო კეისარ კონსტანტინე მონომახოსთან აუდიენციაზე (იმპერატორისათვის ტყვია უნდა ეთხოვა ათონის მონასტრის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად) და როგორც კი ქართველთა ჩამოსვლის ამბავი შეუტყვია, მაშინვე მათთან შესახვედრად წამოსულა. შეხვედრა იყო აღსავსე სიხარულით და სიყვარულით. ბაგრატმა, მარიამმა და ქართველთა ამალამ სასიქადულო მამულიშვილის ხილვით „განიხარეს სიხარულითა დიდითა“. ყველანი გულმხურვალედ დალოცა და დამოძღვრა გიორგიმ. ბაგრატი დაჟინებითი თხოვნით მიუდგა ათონელ პატრიარქს, ინებე და საქართვე-

ლოში წამობრძანდიო; ჰყონდიდის ეპისკოპოსობაც მიუძღვნა მაშინვე, მაგრამ გიორგიმ მოკრძალებული უარი ბრძანა, „რამეთუ ყოველითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა“.

მერე, კონსტანტინე მონომახოსი მოკვდა (1055 წ.) და საიმპერატორო ტახტი დაიჭირა ხნიერმა, შინაბერა ქალმა, თ ე ო დ ო რ ა მ, რომელმაც თვალი დაადგა ბაგრატ ქართველთა მეფის ასულს, მ ა რ თ ა ს, საოცრად მშვენიერ გოგონას.

შვილად მომეცითო მართა, ჩააცივდა თეოდორა ბაგრატსა და მარიამს. ესენიც დათანხმდნენ.

მართა ბიზანტიის სასახლის კარზე უპირველესი თაყვანისცემის საგანი შეიქნა, მაგრამ თეოდორას მბრძანებლობაც და სიცოცხლეც ძალიან მალე აღესრულა. მის დაკრძალვას 1056 წლის 30 აგვისტოს ქართველებიც ესწრებოდნენ, მათ შორის გიორგი მთაწმინდელიც. ის იყო დედოფალი თეოდორა სასახლიდან გაასვენეს და უცებ „სამეუფოდ შემოიყვანეს“ მართა.

ყველას დაავიწყდა საგლოველი.

ყველას მზერა ქართველი გოგონასა და აწ ამა ქვეყნიდან და ამა სასახლიდან „განსრული“ დედოფლის შვილობილს შეეყიწა, ანგელოზებრ მშვენიერსა და მომხიბვლელს.

და მაშინ ბრძანა მართას სიმშვენიერით აღტაცებულმა გიორგი მთაწმინდელმა:

„უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“.

ცხრა წლის შემდგომ კიდევაც აღესრულება დიდებული მოძღვრის წინასწარმეტყველება.

### ისევ კლდეკარელი

ხოლო, ბაგრატ მეფის სამწლოვანი „დიდსა დიდებასა და პატივსა შინა“ ბიზანტიაში ყოფნის ჟამს ლიპარიტ ბაღუაში ახალ პოლიტიკურ ხვანჯებს ხლართავდა საქართველოში. მან იცოდა, რომ საქართველოს მეფის გვირგვინს ქართველი ფეოდალები არასგზით არ დაანებებდნენ, ამიტომ მოსისხლე და ენერგიული ბაგრატის ნაცვლად სამეფო ტახტზე ისევ მცირეწლოვანი გიორგი არჩია. არჩია, ისურვა და სურვილიც აღისრულა: მის დაჟინებით თხოვნას ბორენა დედოფალი დაეთანხმა და უკვე მეფედ მირონცხებული უფლისწული გიორგი ქუთათისიდან

რუისს გადაიყვანეს და იქვე ტაძარში საზეიმოდ სრულიად საქართველოს მეფედ აკურთხეს (1056 წ.).

მცირეწლოვან მეფეს, ხალისიან, უზრუნველ და ნებაზე დამყოლ ყრმას, „მზრდელად“ თვითონ ლიპარიტ ერისთავი დაენიშნა, ხოლო „პატრონად“ — ბაგრატის დაი გურანდუხტ.

საეჭვოდ აღარავისთვის დარჩენილა, რომ ლიპარიტ ბაღუაში საქართველოს ფაქტიურ გამგებლად იქცა.

აზვავდა ბაგრატიონთა სასახლის კარი.

აზვავდნენ „თვისწორი“ აზნაურის აღზევებით აღშფოთებული დიდებულები.

გურანდუხტი ჩაუდგა სათავეში გაზულუქებული კლდეკარელის ალაგმვას, ქალი „სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხვითა, ღმრთისმსახურობითა და ყოვლითა სიკეთითა“.

გურანდუხტის მოთავეობით კეისარ მიხეილ VI-ს დაჟინებით გამოსთხოვეს ბაგრატის გამოშვება. კეისარმაც აღარ დააყოვნა და გამოიხსტუმრა (1057 წ.) ბაგრატი „დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა“.

საგანგებოდ აღჭურვილი ლაშქრით გაეგება ქუთათისის სასახლის კარი ქართულ მიწაზე ფეხშემოდგმულ მეფეს, „ზღვის პირსა ხუფათს“.

მტკიცე ფეხით და შეურყეველი ნებით მოვიდა ბაგრატ მეფე „სახლად თვისად ქუთათისს“.

ამჯერად ლიპარიტ ერისთავს ვეღარ უშველა ვეღარც ბიზანტიის კეისარმა და ვეღარც სულტანმა თოღრულ-ბეგმა, რომელთან დამეგობრება ტყვეობის ჟამს მოუხერხებია ხერხიან ერისთავს.

ბაგრატის მობრუნებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ მისი ერთგული ერისთავი სულა კალმახელი მისებრ ერთგული მესხი აზნაურების თანადგომით, თავს დაეცა დლივში მყოფ ლიპარიტსა და მის ვაჟებს. ლიპარიტი და ივანე შეიპყრეს, ხოლო ნიანია გაექცათ, კლდეკარს მივარდა ნიანია, მაგრამ იქ მეციხოვნეებმა არ შეუშვეს და ანისს გადაიხვეწა იქ მდგარ ბიზანტიელებთან.

სულა კალმახელმა ბორკილგაყრილი ლიპარიტი და ივანე კალმახის ციხეში მიიყვანა და სასწრაფოდ ბაგრატსა და მის სახლობას აცნობა მომხდარი ამბავი.

ბაგრატი ახალქალაქს ჩავიდა, სადაც მას გიორგი და გურანდუხტი ელოდებოდნენ.

აქვე მოჰგვარა კალმახელმა მეფეს ძვირფასი პყრობილნი.

მადლიერმა მეფემ უხვად დააჯილდოვა ერთგული ერისთავი. „უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთ-მოძღურონი, და რაცა უნდოდა“.

სულა კალმახელმა მეფეს გადასცა ლიპარიტისგან ჩამორთმეული კლიტენი არტანუჯისა, ყველის-ციხისა, უფლისციხისა და ბირთვისისა, ხოლო კლდეკარმა უარი სთქვა დანებებაზე.

კლდეკარის დაცვას სათავეში ედგა ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი, მამაცი მხედარი ანამორი. რაკი ანამორმა დანებებაზე მტკიცე უარი შემოთვალა, მეფის ბრძანებით კლდეკარელთა თვალსახილველად მათი ბატონი ლიპარიტი და ძე მისი ივანე ძელებზე გაჰკიდეს და „განწირნეს სასიკვდილოდ“. მაშინ ანამორმა განწირულთა სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა და სანაცვლოდ ციხესიმაგრის ჩაბარების პირობა დასდო.

დასძლია ბაგრატ მეფე მისმა დიდსულოვნებამ და დათანხმდა, ლიპარიტი და ივანე ძელებიდან ჩამოხსნეს. ანამორმა კლდეკარის კლიტენი მოართვა მეფეს.

ლიპარიტმა შეჰფიცა მეფეს, რომ ამიერიდან სიკვდილამდე მისი ერთგული იქნებოდა; თან შეჰვედრა ძე თვისი ივანე. მეფემაც არგვეთი უბოძა ივანე ლიპარიტის ძეს, ბაღუაშთა საგვარეულო მამული. თვითონ, ძლეულმა ერისთავმა, ისევ მეფის დიდსულოვანი დასტურით, კლდეკარის ხაზინიდან „გამოიღო თავისი ხუასტაგი, ჩაიცუნა ჩოხანი“ და ვითარცა ბერი და მონაზონ-ფიჩოსანი, სამუდამოდ გაშორდა მისგანვე ეგრერიგად აშლილ-დაშლილ პოლიტიკურ სასპარეზოს.

ბერადაღკვეცილმა ერისთავთერისთავმა დაირქვა ანტონი და ბიზანტიას წავიდა.

ივანე ბაღუაშიც ვეღარ დადგა არგვეთს და ისიც ბიზანტიას გაიპარა მამასთან. მერე ნოსტალგია მოეძალა ახალგაზრდა ბაღუაშს. ახლა უკვე მშობლიურ მიწაზე თუნდაც მუდმივ შიშქვეშ ცხოვრება ერჩივნა უცხოეთში „თავისუფალ კაცად“ დამიწებას. ბოლოს, მამამისმა, ერისთავყოფილმა „მამა ანტონმა“, ცრემლით დალტობილი აჰა გამოუგზავნა ბაგრატ მეფეს: ჩემი ძე ნიანია უცხოობაში მომიკვდაო, ეს ერთადერთი მემკვიდრე დამრჩენიაო, ამასაც უცხო მიწაში ნუ ჩამიწვენო, დაე შენმა დიდსულოვნებამ ისევ გვაპატიოსო ყველა შეცოდებანი; მიეცით

ჩემს ძეს ივანეს სამშობლოში დაბრუნების ნება; სიკვდილამდე შენი ერთგული ყმა და მსახური იქნებაო იგი.

ისევ მოერია დიდსულოვნება ბაგრატს. ნება დართო ივანე ლიპარიტის ძეს საქართველოში დაბრუნებისა. 1059 წელს ჩამოვიდა ივანე. მეფემ ორივე ერთად უბოძა სამბრძანებლოდ — არგვეთიც და კლდეკარიც. მალე სპასალარობაც ჩააბარა ბაგრატმა ნიჭიერსა და მამაც ბაღუაშს.

ამის შემდგომ კონსტანტინოპოლს გარდაიცვალა უველაზე დიდი ფეოდალი იმჟამინდელი საქართველოსი, ერისკაცობაში — ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღუაში, ბერობაში — ანტონი. სიკვდილის წინ აწყვიტა ძად საქართველოში დამარხვა უნებებია. ასედაც აღუსრულეს „დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“.

ეს მოხდა 1060 წელს.

### ქართველი ქალი — დედოფალი ბიზანტიისა

იმავე წელს ბაგრატ მეფემ, რომელიც უკვე „განძლიერდა უფროს უოველთა მეფეთა“, კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, გარდა ორი ციხისა — კვეტარისა და ნახჭევანისა.

კვლავ იმავე წელს ბაგრატ მეოთხემ, რომელსაც ადრე ბიზანტიიდან „მაგისტროსობა“ და „კურაპალატობა“ ჰქონდა ბოძებული, დამატებით მესამე — „სებასტოსის“ უმაღლესი ტიტული მიიღო კეისრისაგან.

და კვლავ იმავე 1060 წელს ბაგრატ მეფის დაჟინებითი თხოვნით საქართველოში ჩამოვიდა ათონელი მოძღვარი გიორგი მთაწმინდელი. იგი ხუთი წელი დარჩა სამშობლოში, ვითარცა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობათა უანგარო წარმმართველი და ქართველთა შორის უზენაესად სპეტაკი ზნეობის მკაცრი მქადაგებელი. იგი არ დარიდებია თვით ბაგრატ მეფეს, რომელსაც ხშირად თავისუფალი და მსუბუქი ბოჰემური ცხოვრებაც ჰყვარებია, ტრფიალება ღვინისა და სიძვის დიაცის. მით უფრო ვერ მოიწონებდა უფლისწული გიორგის უთავეამო ნადირობას, ნადიმობას და ქალთა შორის „განლაღებას“.

გიორგი მთაწმინდელმა საქართველოში მოსვლისთანავე „პირვე-

ლად ყოველისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწეს̈ოებათათვის უშიშრად და თვალუხვავად... კუალად ეტყოდა მსჯავრთათვის და სამართალთა სამეუფოთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურივთა... რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ გინა მცირისა და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობაი შეიტკბოს“.

როცა 1065 წელი დადგა, კონსტანტინოპოლიდან მოციქულები ესტუმრნენ ბაგრატ მეფეს. კეისარი კონსტანტინე X დუკა ბაგრატის ასულს, მართას ითხოვდა რძლად — თავისი ვაჟის, უფლისწულ მიხეილის საცოლედ.

ყველა გიორგი მთაწმინდელს შეაცქერდა გაოცებით. ყველას ახსოვდა ცხრა წლის წინანდელი მისი ნათქვამი კონსტანტინოპოლის სასახლეში: დედოფალი (თეოდორა) გაბრაზდაო და დედოფალი (მართა) შემოვიდაო.

მარიამმა მაშინვე შეპლაჟადა მოძღვარს:

„მამაო, აღსრულა წინასწარმეტყველება შენი, რა-იგი ოდესმე იწინასწარმეტყუელე მართასათვის“.

დიდი ძღვენითა და დიდი სიხარულით გაისტუმრეს მართა კონსტანტინოპოლს. საპატიო ამალას მიუძღოდა თვითონ გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც საქართველოში თავისი მისია დაესრულებინა და ახლა ისედაც ათონს უნდა გამგზავრებულიყო.

თან 80 უდედმამო და უპატრონო ქართველი ბაეშვი მიჰყავდა დიდ მამულიშვილს საბერძნეთს სასწავლებლად და აღსაზრდელად.

ქართველი მეფის ასული კონსტანტინოპოლს მიიყვანეს და უფლისწულ მიხეილ დუკაზე აქორწინეს. იგი სულ მალე, მარიამის სახელით, მსოფლიო იმპერიის ბასილიდა (დედოფალი) უნდა შექმნილიყო.

იმავე 1065 წელს, პეტრე-პავლობის დღეს, 29 ივნისს, კონსტანტინოპოლს მიიცვალა გიორგი მთაწმინდელი. ქართველებმა იგი დიდი გლოვით და პატივით გადაასვენეს ათონს, მთაწმინდაზე, ქართველთა დიდებულ ლავრაში.

### ალფ-არსლანი

1064 წელს თურქებმა ისევ დაიპყრეს და ააოხრეს სომხეთი. ანისში ალფ-არსლანმა, სულტნის ტახტზე ახლად აღზევებულმა გულჯაგრიანმა მიზანთროპმა, „მამაცმა ლომმა“, დიდი ორმო ამოათხ-

რევინა, ათას ქრისტიანს ყელები დასჭრა, ის ორმო მათი სისხლით აავსო და შიგ საბანაოდ ჩაეშვა. სისხლში ბანაობდა და ავზნიანად იძახდა: ესე შემიწირავს ჩემი მკვდრებისთვისო.

1065 წელი პირველი წელი იყო საქართველოში თურქთა ლაშქრობისა.

ალფ-არსლანი უზარმაზარი ურდოებით „უგრძნეულად" შემოიჭრა და ააოხრა თრიალეთი. იქიდან მარბიელი ჯარებით დალაშქრა სამცხე, შავშეთი და კლარჯეთი.

ბაგრატ მეფე ტაოში იყო და იქიდან მოდიოდა დედის, დისა და ძის თანხლებით. მტრის შემოსევის შესახებ მან მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა ხეკრებულთას შესასვენებლად დამდგარს, მტრის ლაშქარი „წარმოადგნეს ქედსა ზედა".

მეფემ და მისმა ოჯახმა ძლივს გადმოასწრეს ქართლში.

თრიალეთში სამი დღის ყოფნის შემდგომ, ალფ-არსლანი ჯავახეთს დაესხა და ახალქალაქს მივარდა. ჯერ კიდევ სუსტი, მოუთავებელი კედელ-ზღუდეებით დაცული ქალაქი მაინც ძლიერად დახვდა მტერს. მესხები თავგანწირვით იცავდნენ ქალაქს. სამი დღე გაგრძელდა მომხდურთა იერიში და დამხდურთა კონტრიერიში. ბოლოს ქართველები დარწმუნდნენ, რომ კედლებმორღვეული ქალაქი ალყასა და იერიშს დიდხანს ვეღარ გაუძლებდა, ამიტომ მტერთან ხელჩართული ბრძოლა არჩიეს და ქალაქის კარი თვითონვე გააღეს.

თურქები ნიაღვარივით შეიჭრნენ. ქართველები ჩეხვა-კვეთით შეეჭრნენ. ხოცვა-ჟლეტა დიდხანს გაგრძელდა. მრავალი მოისრა „პირითა მახვილისათა". მტკვარი სისხლით შეიღება. ბოლოს, ისევ რიცხვით უპირატესმა მტერმა იძალა. თურქებმა ახალქალაქი გაძარცვეს, ააოხრეს, მოსახლეობა დედაწულიანად წარტყვევნეს.

დიდი წუხილით შეპყრობილი ბაგრატი სახელდახელო ძალებს კრებდა ქართლში.

მოულოდნელად, მტრად მოსულმა თურქთა სულტანმა მოყვრობა შემოსთავაზა ქართველ მეფეს: შენი დისწული მომათხოვეო ცოლად. ეს შემოუთვალა ალფ-არსლანმა და სანამ ბაგრატი პასუხს გადაწყვეტდა, საქართველოდან სომხეთს გადაიჭრა, ანისი ბიზანტიელებს წაართვა, გაძარცვა, აიკლო, ასწყვიტა და წარტყვევნა. ბაგრატ მეფის პასუხსაც იქვე დაელოდა.

ქართველთა სამეფო სახლისათვის უთვალავი მომთაბარე-მხედრო-

ბის სათავეში მდგარ მბრძანებელთან დამოყვრება ხელსაყრელი იყო და თანხმობის გაგზავნაც უკვე გამზადებული ჰქონდა სასიძოსათვის.

მაგრამ ქორწინებაზე მარტო ბაგრატის თანხმობა საკმარისი არ აღმოჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ ბაგრატ მეფის უმცროსი დაი, სახელად კატაჲ ცოლად ჰყავდა სომეხთა მეფე კვირიკეს, და სწორედ ამათ ასულს ითხოვდა ცოლად ალფ-არსლანი. მაგრამ კვირიკემ უარი სთქვა ალფ-არსლანისთვის მიეცა შვილი.

ბაგრატმა კვირიკესთან მოციქულად გაგზავნა ერისთავი ვარაზბაკურ გამრეკელი, რომელმაც სომეხი დიდებულები გადმოიბირა და მათი დახმარებით სამშვილდეს მიმავალი მეფე კვირიკე მის ძმა სუმბატთან ერთად შეიპყრეს და კლდეკარში ბაგრატ მეფეს შიჰგვარეს.

ბაგრატმა კვირიკეს სამშვილდეც ჩამოართვა და ალფ-არსლანისთვის ქალიშვილის მითხოვებაზეც დასტური ათქმევინა.

მაგრამ ამ დამოყვრებამ არც ქართველებს და არც სომხებს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა.

სამი წელი გასულიყო თურქი სულტანისა და ქართველ-სომეხი ასულის ქორწინებიდან.

იდგა 1068 წელი.

წელი — თურქთა მეორე ლაშქრობისა საქართველოში.

ბაგრატ მეფე, აღმოსავლეთ საქართველოს ერთგულ ერისთავებზე დაყრდნობით, კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით იყო გართული. დამარცხებულ კახთა მეფე აღსართანს ყველა ციხე დაეყარა და, ის იყო, თვითონ ჩრდილო კავკასიაში აპირებდა გაქცევას.

სწორედ მაშინ, მოულოდნელად, „უგრძნეულად" შემოიჭრა ისევ ალფ-არსლანი. რანი აეოხრებინა და ახლა ჰერეთს შემოსეოდა მისი მხედრობა.

ბაგრატ მეფე ისევ ქართლს გადმოვიდა.

აღსართან კახთა მეფე ალფ-არსლანს შეეგება, დიდძალი ძღვენი მიართვა, ქრისტიანობა უარყო, წინადაიცვითა და ხარაჯის გადახდა დაიკისრა. ალფ-არსლანმა აღსართანს ასეთი მონად-დავრდომის საფასურად კახეთ-ჰერეთი სამმართველოდ მისცა.

სამი კვირა დარჩა ალფ-არსლანი კახეთში. მერე ქართლისაკენ დაიძრა, ბაგრატ მეფესთან შესახვედრად. სულტანს მოკავშირე ძალებად ახლდნენ: აღსართან კახთა მეფე, კვირიკე სომეხთა მეფე (ალფ-არსლანის სიმამრი და ბაგრატ მეფის სიძე) და ტფილისის ამირა.

1068 წლის 10 დეკემბერს, შაბათ დღეს, თურქები და მათი მოკავშირენი ქართლში შემოიჭრნენ.

ბაგრატს არ შეეძლო გამკლავებოდა მტერთა ესოდენ სიმრავლეს და აფხაზეთისკენ გაეშურა.

თურქები მარპიელ ჯარებად ჩამორიგდნენ და ცეცხლითა და მახვილით მოედნენ საქართველოს „მთავარ ქვეყანას" — არაგვიდან არგვეთამდე. აყვავებულ, პურ-ღვინით ყელამდე სავსე ქვეყანას მოუსწრო მგლის მადით აშლილმა 50 000-მა მომთაბარემ. მოუსწრო და...

„და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი. და დაყო ექუსი კვირა, და იწყო ოხრებად და ხოცად კაცისა... და მოიცრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი... და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შესაძრწუნებელი, და არე-არე სისხლის წვიმა ეხილვა კაცთა".

ზამთარიც დადგა უაღრესი მკაცრი, ყინვიან-ნეფხვიანი. ბევრიც ყინვისგან დაიღუპა მთასა და მაღნარს გახიზნული ქართველთაგანი.

თურქებსაც მძაფრად მოუჭირა ყინვამ და ბუქმა.

გაიხარა ალფ-არსლანმა, როცა ბაგრატ მეფის ელჩი ეახლა აფხაზეთიდან—ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე ბაღუაში.

შერიგებას და მშვიდობას სთავაზობდა მეფე.

სასწრაფოდ ზავზე დასტურით უკანვე აახლა ივანე ბაღუაში ალფ-არსლანმა ბაგრატს. ოღონდ ხარაჯა მომეციო და სამუდამო მშვიდობას აღგითქვამო, სთხოვდა და უმტკიცებდა სულტანი მეფეს.

მაგრამ ყინვისაგან ისე შეწუხდა ალფ-არსლანი, ბაგრატის პასუხს ვეღარ დაუცადა, ქართლიდან აიყარა და აღმოსავლეთისკენ გაეშურა. გზად მიმავალმა ტფილისი და რუსთავი ფადლონს მიუძღვნა, ქართველთაგან მრავალგზის ძლეულ განძის ამირას.

ზამთარიც გაჰყვა თოვლის ღნობით საქართველოდან სისხლისთხევით გასულ თურქობას. დიდროობა დადგა 1069 წლის გაზაფხულის დადგომისთანავე. თოვლისა და ყინვის ნადნობით აზვავებულმა მდინარეებმა დალაშქრეს თურქთაგან ნალაშქრევი ველ-მინდვრები. მტკვარმა გადმოლახა და გადმოლეკა მისი მიმდგომი „ქუეყანანი". ბევრი

ჩამორჩენილი და ძარცვა-რბევას თავმიცემული თურქი იმსხვერპლა წყალდიდობამ, მაგრამ სტიქიამ მძიმედ დააზიანა ქართული დასახლებანიც.

### ისევ ფადლონი

გათამამდა განძის ამირა ფადლონი. იფიქრა და ირწმუნა, ახლა დამიდგაო დრო, ერთჯერ და სამუდამოდ ვაზღვევინო ქართველობას მრავალგზისი მარცხისჭაშა და თავლაფდასხმაო. ყოვლად კადნიერად შეუდგა იგი ქართლის მიწების აოხრებას.

სასწრაფოდ გადავიდა ბაგრატ მეფე აფხაზეთიდან ქართლს და დადგა დიდგორს, ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას.

ფადლონმა აინუნშიაც არ ჩააგდო ქართველთა ხელმწიფის ასე რიგად მოახლოება. 33 000 მეომრით მოადგა ტფილისს. ისნის მინდორზე დაიბანაკეს ათასეულ კარვებად. აქედან, ღამით, მუხნარისკენ აუყვნენ ძარცვა-რბევით.

მაშინ გამოჰყო ლაშქართაგან რჩეულნი ბაგრატ მეფემ, უსარდლა სამი ერისთავი — ივანე ლიპარიტის ძე, ნიანია ქვაბულის ძე და მურვან ჯაყელი ყუელისციხელი და სასწრაფოდ წარგზავნა ფადლონის დასადევნებლად.

გაესწრო ფადლონს. გამოეწონენ ერისთავები. წილკნის კართან წამოეწივნენ მტრის „უკანაკერძს" (რა დიდებული სინონიმია „არიერგარდისა"!). წამოეწივნენ და დაერივნენ გავეშებულად. „პირველსავე ხრმლისა მოკიდებასა" გაიქცა ფადლონ. ფეხდაფეხ მიმდევარი ქართველები „მიჰხოცდეს და იპყრობდეს" ოტებულ მტერს.

შობოს ტყესთან, ნარეკვავის ხევში აუარებელი მუსულმანი ჩახოცეს შურისგების ცეცხლით სისხლადუღებულმა ქართველებმა. ხევი პირთამდე ამოივსო დახოცილ კაცთა და ცხენთა გვამებით. ჩაქლეტილ მეწინავე მაჰმადიანთა გვამებზე, ვითარცა ხიდზე, გადარბოდნენ „უკანაკერძნი".

თავგზააბნეულად, ანგარიშმიუცემლად, ვისაც საით მოუხდებოდა, ტყეებში, ბუჩქებში, ძეძვნარებსა და ქვაბულებში, მიილტვოდნენ და მიძვრებოდნენ მაჰმადის რაინდები, მძარცველები და მკვლელები კაცთა, ქალთა და ძუძუთა ბავშვთა.

გამგელებული მისდევდნენ ქართველები და „ვითა ჴუისა მართვე-

თა“ (როგორც ჰილყავის ბარტყებს) იჭერდნენ ტყე-მაღნარებსა და ძეძვნარებში შეჩუმჭრულ მოსისხლეებს.

ღართის ვიწროებში ისევ წამოეწივნენ ქართველები, გზა ჩაუჭრეს და „მცირედნი ვინმე გაესწრნეს“ ფადლონისანი. იმ გაქცეულებსაც ხერკის მთამდე მისდიეს, „მოსრეს და ტყუე ყვეს“.

თვითონ ფადლონმა ძლივს გაასწრო 15 კაცით. მიჰქროდა ანგარიშმიუცემლად, სიკვდილთან წილყრით. წილკნის გზა გაიქროლა, არაგვი გადალახა, ნარღვევთა გზით ერწომდე ირბინა.

გზადაგზა გაოცებულ და ცნობისწადილით აღძრულ შემხვედრ ადამიანებს შეუყენებელი სრბოლით შეჰყვიროდა ფადლონი: მე ფადლონის მოციქული ვარ და აღსართან მეფესთან მივრბივარ მახარობლად, რამეთუ ფადლონმა ბაგრატ მეფე დაამარცხა და გააქცია თავისი ლაშქრითო.

მაგრამ ერწოზე შეხვდა კაცი, რომელიც მას იცნობდა და ავად უთხრა იმ კაცმა:

„არა ხარ შენ მოციქული, არამედ ხარ ამირათ-ამირა ფადლონი“.

ქენებით უთხრა იმ კაცს მოულოდნელი მეხდაცემით დაშლილმა ამირამ:

„მიიღე ჩემგან ოქრო და ვერცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ (ნუ გამამჟღავნებ); გარდამიყვანე მინდორად და წამომყევ თანა.“

კახელს ფიქრადაც არ შეეძლო ეღალატა თავის ქვეყნისთვის და ასედაც უპასუხა მტრის მუდარას:

„ვერ ვიქმ საქმესა მაგას, რამეთუ მკვიდრი ვარ ამის ქუეყანისა“.

მაგრამ არც იმდენად „სრულიად ქართულ შეგნებამდე“ მდგარა ის ქართველი კაცი, რომ სრულიად საქართველოს დაუძინებელი მტერი სწორედ სრულიად საქართველოს ხელმწიფისათვის ჩაებარებინა. ისე რომ ბაგრატ მეფე არც გახსენებია, ტყვექმნილი ფადლონი ჟალეთს მიჰგვარა ვინმე მესხ აზნაურს, ისაკ ტოლოშელის ძეს.

ხოლო ისაკ ტოლოშელის ძე ხარბი ანგარი და ბაგრატ მეფის ბოროტი მოძულე აღმოჩნდა. ავმა აზნაურმა არც კი გაამხილა, რომ წარმოშობით მესხი სწორედ ბაგრატ მეფის ქვეშევრდომი იყო. მან ჯერ მხარგაკრული ამირა მისი მხლებლებითურთ ცხენებიდან გადმოყარა, სრულიად გაძარცვა და გააშიშვლა, მერე ფადლონი ჯორზე შესვა და სასწრაფოდ თელავში აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარა, ბაგრატ მეოთხის მოსისხლე მტერს.

აღსართანმა ბაგრატის შემოტევის შიშით, ფადლონი სასწრაფოდ თელავიდან ხორნაბუჯს ჩაიყვანა და იქ საგულდაგულო დაცვით ჩააყენა.

როცა ბაგრატ მეფემ ესოდენ დიდებულად წარმართული ძლევის შემდგომ ასეთი სამწუხარო ფინალი შეიტყო, იფიქრა, აღსართანი ფადლონს ბოლოს კიდევაც გაათავისუფლებსო და მასთან მოლაპარაკება გამართა. მოლაპარაკება იმით გათავდა, რომ ბაგრატმა აღსართანს ფადლონში ორი ციხე გაუცვალა — ბოჭორმა და უჯარმა.

ყველა ეს ამბავი 1069 წელს დატრიალდა.

ახლა ბაგრატ მეფე ისევ ტფილისის დასაპყრობად მიეშურებოდა. წინ მიუძღოდათ ბორკილდებული განძის ამირა ფადლონ, რომელსაც წინა წელს აჩუქა ტფილისი სულტანმა ალფ-არსლანმა.

განძელმა მეციხოვნეებმა არ ინებეს უსისხლოდ დაეთმოთ ქართველი მეფისთვის ქართული სატახტო. მაშინ ბაგრატის ბრძანებით ფადლონი ძელზე გააკრეს და „მიუპყრეს ტფილისსა“.

არც ამან გაჭრა, რადგან ქალაქის ციხიონის უფროსს თვითონ სდომებოდა ტფილისის ამირას ტახტი და ფადლონის სიკვდილი კიდევაც გაახარებდა. ამიტომ ისევ ხმლით, „ჭირვეულად“ მოუხდათ ქართველებს ტფილისის ხელახალი აღება.

ბაგრატმა განსაზღვრა, რომ ტფილისის დაკარგვას მთელი თურქული და მუსლიმურ-ისლამური სამყარო უნდა დაეყენებინა ფეხზე. ამიტომ მან ვითომ „თვისად“ როდი დაიჭირა ტფილისი, არამედ იქ ძველ არაბ ამირათა შთამომავალი დანიშნა მმართველად, ვინმე სითლა არაბი, მანამდე დმანისს განდევნილი, დანიშნა და ყოველწლიური ხარკი დაადო გადასახდელად — 44 000 დრაჰკანი. ამასთან მძევლებიც აიყვანა მეფემ — სითლა არაბის ძმისწული და სამი განძელი წარჩინებულის ვაჟები.

იმავ ჟამს ბაგრატმა ციხიონები ჩააყენა რუსთავში, ფარცხისში, აგარანში, გრიგოლწმიდაში და ქავაზინში.

ბოლოს, თვითონ ფადლონის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიც დადგა. მხსნელიც მაშინვე გამოუჩნდა შლეგიან მაოხარს, დიდმა სულტანმა ალფ-არსლანმა სარანგი ალხაზი გაშოგზავნა ბაგრატ მეფესთან ფადლონის გათავისუფლების თხოვნით და შუამდგომლობით, რომ ამიერიდან აღარ შეაწუხებდა განძის ამირა ქართულ სამანებს. სამაგიეროდ გაგის „ქუეყანას“ სთავაზობდა თურქთა სულტანი ქართველ ხელმწიფეს.

ბაგრატი დათანხმდა. ფადლონი განუტევა მისსავე განძას, ხოლო თვითონ გაგის ციხეში ქართული ციხიონი შეიყვანა.

თითქოს უნდა დაესვენა ქვეყანას, მაგრამ არ იქნა და არ დაისვენა ისევ ფადლონ განძელმა, რომელმაც „გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი“. ბაგრატ მეფე ქუთათისს იყო, როცა შეატყობინეს, რომ განძელი ამირა ისევ შემოიჭრა და „მოიპარა ქავაზინი“; მერე აგარანს მოსდგომია და აქაურ ციხისთავსაც უბრძოლველად მიუცია აგარანი.

სასწრაფოდ დაბრუნდა მეფე ლაშქრით აღმოსავლეთ საქართველოში, მოულოდნელ დაეცა მტერს და უკანვე გამოსტაცა აგარანი.

თან ჩრდილოეთით, ოვსეთში, მალემსრბოლი აფრინა თავის ცოლისძმასთან, ოვსეთის მეფე დ ო რ ღ ო ლ ე ლ თ ა ნ (ურდურეს ძე), მაშველი ჯარის თხოვნით. 40 000-იანი ლაშქრით გადმოვიდა დორღოლელი საქართველოში. ბაგრატმა ქართველთა და ოვსთა გაერთიანებულ მხედრობას უფლისწული გიორგი კურაპალატი უსარდლა და ფადლონის დასასჯელად გაგზავნა.

გიორგი რანს შეესია, განძა დასცა და დაარბია. აურაცხელი ნადავლი და ნატყვენავი აიღო და საქართველოში გამოგზავნა (1070 წ.).

დიდი იყო გამარჯვება და სიხარული. სიხარულითვე დასცა დასტური ბაგრატ მეფემ ცოლისძმის თხოვნას სადარბაზოდ შეხვედრაზე. ჯერ ქუთათისს ეწვია ოვსთა მეფე ბრწყინვალე ამალით, დიდი სიყვარულით მოიკითხეს ერთიმეორე და-ძმამ — ბორენამ და დორღოლელმა. აქედან ქართლს გადავიდნენ და ნაჭარმაგევს, ტინისხიდის ჭალას მიიღო ბაგრატ მეფემ ძვირფასი მოყვრები და მოკავშირენი. თორმეტი დღე იზეიმეს „და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარულითა“. ზამთრის მოახლოებამ გაჰყარა მოყვარენი. ბაგრატმა „მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა“.

ფადლონ განძელის მორიგმა გამოხდომამ და ქართველთაგან სასტიკმა განადგურებამ ფრიად ჩააფიქრა და დათრგუნა თურქთა დიდი სულტანი ალფ-არსლანი, სწორედ ფადლონის თავმდები და მფარველ-პატრონი. ქართველთა თვალში მისმა სიტყვამ ფასი დაკარგა, მისი რისხვეული მბრძანებლობაც გაწბილდა და დაკნინდა. ამიტომაც ქართველი უფლისწულისაგან ფადლონის განადგურების შემდგომ ალფ-არსლანი საქართველოში მოციქულს მოციქულზე აგზავნიდა, უხვი ძღვენ-საბოძვარითა და ბოდიშებით დატვირთულს. თან ბაგრატ მეფეს

„ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა“. თავის მხრივ, ბუნებით ჭრდილმა ქართველმა სელმწიფემ კრძალული სიდინჯით უარი თქვა თურქთა წინაშე რაიმე ვალდებულებაზე. „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა“ და ვითარცა სწორი სწორს, „აველენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყუარული“ (ჰმ, სიტყვით სიყუარული!).

### აპოლოგეტნი ქართველი ქალისა

1071 წელს ბაგრატ მეფისა და მისი სახლეულისათვის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

და იგი მოხდა საქართველოს გარეთ, „მსოფლიოს ცენტრში“, კონსტანტინოპოლში.

სწორედ იმ წელს იმპერატორის ტახტზე ავიდა მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, ცოლად ჰყავდა ბაგრატ მეოთხის ასული მართა, ანუ მარიამი.

ქართველი ქალი, მსოფლიო იმპერიის ბასილიდა-დედოფალი, უპადლო ყოფილა სულიერი სისპეტაკით და სხეულებრივი სიმშვენიერით.

ამბობდა და წერდა მის შესახებ მისი მხილველი მიქელ პსელოსი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, მრავალმხრივი მეცნიერი და პოლიტიკოსი:

„რომ დეღოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმღიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, მის საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე, მისი სახის სიმშვენიერე; თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისთვის ყოველგვარ სამკაულზე უფრო უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ გააცნობდა. და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

ამბობდა და წერდა მისი უახლოესი ადამიანი, სასახლის სეფე-ქალი ანა კომნენე:

„მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. აბლა თვალების ბრწყინვალებას აღარ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის ხელი

ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სათნოება — ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია მარიამის დარი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა: ხოლო ვინც შემთხვევით დაინახავდა მარიამ დედოფალს, როცა იგი სეირნობდა, ან უცაბედად სადმე შეხვდებოდა, საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, ის გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა მას, თითქოს წართმეოდა სულიც და გონებაც. ასეთი თანაზომიერება ასთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასდროს არავის არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰომეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე".

საქართველოში შეეძლოთ 1071 წელი საზეიმო წლად ჩაეთვალათ.

მაგრამ მომდევნო წელს დიდი საგლოველი მოჰქონდა ქართველთათვის.

### „უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა"

ბაგრატ მეფე 1072 წლის ზაფხულს სამშვილდის ტბებთან იდგა.

უფლისწული გიორგიც თან ახლდა დიდებულთა ამალით.

უცებ მეფეს „დაეცა სალმობა მუცლისა".

გიორგის მკლავზე დაეცა საშინელი ტკივილებით მოცელილი.

სასწრაფოდ მარაბდაში ჩაიყვანეს და აქიმნი დაახვიეს.

მაგრამ უარესად გაუმძაფრდა მუცლის ტკივილი.

მარაბდიდან „ტახტით" წამოიყვანეს მეფე. უფლისციხემდე ძლივს მიატანეს. უკვე აღარ შეეძლო მგზავრობა მეფეს.

ქუთათისიდან სასწრაფოდ გადავიდნენ მეფესთან დედა მარიამ-დედოფალი, მეუღლე ბორენა-დედოფალი და ასული მარიამი, დედოფალი ბიზანტიისა.

ყველა დარწმუნდა: მეფეს სააქაო პირი აღარ ჰქონდა.

უპირველესად თვითონ ირწმუნა, რომ სამუდამოდ მიდიოდა ასერიგად შფოთიანი, მაგრამ მაინც საყვარელი საწუთროსაგან.

დინჯად მოიხმო გიორგი, დიდებულთა საკრებულოს მიუბრუნდა და წუნარი, მაგრამ შეუვალი ხმით გამოაცხადა გახელმწიფება გიორგი ბაგრატის ძისა.

დალოცა ახალი მეფე საქართველოსი.

დალოცა ყველა დამსწრე მისი სიკვდილისა.

ყველას ჩამოატარა მზერა.

დედის სახეზე გაუშტერდა თვალი.

გამშრალ კერპად იდგა მარიამი, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერ-შეუცვლელი.

აღარც ერთი შვილი აღარ დარჩენია ცოცხალი, ქმრით ადრე დაქვრივებულ მარიამს: მკვდარი იყო გურანდუხტი, მკვდარი იყო კატაჲ, კვდებოდა ბაგრატ.

მეფეს მწარე სინანული აღებეჭდა ქვაღქცეული დედის ხილვისას, და უთხრა მას:

„დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენი წარგვიქციე წინა და ეგრეთღა შენ მოჰკუდები“.

კვდებოდა ბაგრატ მეფე.

და მან არ იცოდა, სწორედ იმ ჟამს სამარყანდის მისადგომთან სიცოცხლეს ეთხოვებოდა მისი დიდი მეტოქე აზიაში პირველობისა, სულტანი ალფ-არსლან: სამარყანდზე მოლაშქრე სულტანს ვიღაც თურქი უსუფი კარავში შეხტომია და სასიკვდილოდ დაუკრავს იატაგანი.

და ისე კვდებოდა ალფ-არსლანი, არც მან იცოდა სიკვდილთან წილყრა მისი დიდი მეტოქისა, მამაცი და დიდსულოვანი ქართველი ხელმწიფისა.

ხოლო დღე ბაგრატ მეოთხის აღსრულებისა იყო 24 ნოემბერი 1072 წლისა.

აღესრულა „კაცი უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა“.

ხელმწიფე — „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა“.

კაცი, რომელსაც ასწავლა ავი ცხოვრების სიდუხჭირემ: „ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა ვიწამო“.

უცხო მძევლობაში წაიყვანეს 4 წლისა, მობრუნდა 7 წლისა, გამეფდა 9 წლისა, იმეფა 45 წელიწადი, იცოცხლა 54 წელიწადი.

საფლავი თვისი თვითონვე წინასწარ განემზადებია, ჰყონდიდის ტაძარში.

# ᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲘᲡᲐ

**ქუეყანა თქუენი ოხერ, ქალაქნი თქუენი ცეცხლითა მომწუარ, სოფელსა თქუენსა წინაშე თქუენსა უცხო თესლნი მოსჭამდნენ, და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთასა.**

ᲔᲡᲐᲘᲐ, I, 7.

## ᲣᲡᲐᲖᲛᲜᲝ ᲓᲘᲓᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

საქართველოს ტახტი დაიჭირა ბაგრატ მეოთხის მხოლოდშობილმა ძემ, გიორგიმ.

გიორგი მეორე არ ყოფილა საქართველოს მძიმე გვირგვინისათვის შესაფერისად სრულქმნილი პიროვნება.

იგი იყო უმამაცესი რაინდი, „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული“, ბუნებით კეთილი, გულმოწყალე და დიდსულოვანი, მაგრამ სწორედ მისი დიდსულოვნება აღეირახსნილ მოღალატე ფეოდალებისადმი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ყოველთვის საზიანო შედეგს იძლეოდა. მეტყევე ხასიათი ჰქონდა, დამთმობი და ბოლომდე ლელოგაუტანელი. იყო „განმკითხველი გლახაკთა“, მაგრამ ასევე გულმოწყალე მოსისხლე მომტერეებისადმი. იყო „პურად უკეთესი ყოველ კაცთასა“, თავდავიწყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და წადირობა. უებრო მხედარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდ-ისარი ერჩივნა.

ხოლო ქვეყანას სალხინო და სამეჯლისო ჰქონდა კი არა, შიგნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ელოდა.

გიორგი მეორის გამეფებიდან ხუთი თვე („ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარი“) ძლივს გაიტანა სიმშვიდეში თავი ქართველმა ხალხმა.

1073 წლის შუა ზაფხულში ერთდროულად სამი დიდი ფეოდალი აუჯანყდა გიორგის: ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი. ადრე სამივე ნებით თუ უნებლიეთ ერთგულებ-

და ბაგრატ მეოთხეს. ახლა, როგორც ეტყობა, გიორგის სისუსტე იგრძნეს და კიდევაც „აუშალეს ქვეყანა“.

ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მეშველ ძალად მოირთო და ქსნის ხეობა დაიჭირა. ნიანია შიგ სატახტო ქუთათისში შეიჭრა, საჭურჭლეები ხელთ იგდო და იქვე ჩადგა ბასაკად. ვარდან ერისთავმა სვანები სამეგრელოს შემოუსია და საშინლად აოხრა.

გაუხდა ახალგაზრდა ხელმწიფე აჯანყებულებს და სამივე დაამარცხა ზედიზედ, მაგრამ სამივესადმი არამცთუ სასჯელი, უბრალოდ „ძვირუხსენებელი იქმნა“. უფრო მეტიც, კადნიერი მოჯანყენი უხვადაც დააჯილდოვა: ივანე ლიპარიტის ძეს რუსთავი გამოართვა და აღსართან კახთა მეღვინეობა მისცა, სამაგიეროდ, ივანეს სამშვილდე და ლოწობანი მიართვა, ნიანია ქვაბულის ძეს — „თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი“, ხოლო ვარდან ერისთავს ასკალანა აჩუქა.

გიორგის ბავშვური გულწრფელობით სჯეროდა, რომ დიდსულოვნებით „დაიწუნარა მეფობა თვისი“.

მაგრამ იმ წელსვე ისევ განუდგა კლდეკარის ერისთავი. გიორგი ქუთათისიდან სასწრაფოდ სამცხეს გადავიდა, მესხთა ჯარიც აიყოლია და სამშვილდეს მიადგა. აქვე მას შეუერთდა აღსართან კახთა მეფე, რომელსაც ამჯერად ივანესთან კავშირს გიორგის თანადგომა უმჯობინებია.

ივანე ლიპარიტის ძემ შეტაკება უიმედოდ ჩათვალა, ციხიდან იდუმალ გაიპარა და სამხრეთისკენ მთებს შეეხიზნა. გიორგიმ ადრე გაჩუქებული ლოწობანიც დაიჭირა და ჯავახეთს გადავიდა. აქ, ეკრანთის ციხეში, ივანე ლიპარიტის ძე თავის ფეხით მოვიდა და მეფეს შენდობა და შერიგება სთხოვა. ისევ უმტყუნა ნებისყოფამ მეფეს. კადნიერი აზნაურისგან მხოლოდ ფიცი იკმარა და ისევ დაუმტკიცა კლდეკარი და სამშვილდე.

### ფ ა რ ც ხ ი ს ი

არ გასულა დიდი დრო და ამჯერად კიდევ უარესი კადნიერება ჩაიდინა ივანე ლიპარიტის ძემ: გაგის ციხე გიორგი მეფის მეციხოვნეებს გამოსტყუა და განძის ამირას მიჰყიდა, ფადლონს, ქართველთა დაუძინებელ მტერს.

გიორგიმ გათავხედებული ქვეშევრდომის წინააღმდეგ გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ საქართველოს სამხრეთ სამანებს მ ა ლ ი ქ-შ ა ჰ ი მოადგა, თურქ-სელჩუკთა დიდი სულტანი. ივანე ბაღუაშმა სულტანს

მაშინვე თავისი ვაჟი ლიპარიტი შეაგება და ქვეშევრდომობა შესთავაზა. მალიქ-შაჰი დიდად ნასიამოვნები დარჩა და ახალგაზრდა ლიპარიტ ივანეს ძე თავისთან დაიტოვა. ეს უკვე მძეელობას ნიშნავდა. ლიპარიტიც ხერხიანი გამოდგა და მალიქ-შაჰს გამოეპარა.

გაჯავრებული მალიქ-შაჰი სამშვილდეს ანაზდაითად დაეცა და ივანე ლიპარიტის ძე თავისი ცოლით, შვილიშვილითა და ქვეშევრდომ აზნაურთა სახლეულობით, ყველანი ტყვედ წაიყვანა. სამშვილდიდან თურქები ქართლის სოფელ-ქალაქებს მოედვნენ, გაძარცვეს, აოხრეს, წარტყვევნეს და წავიდნენ.

საქართველოდან მალიქ-შაჰი განძას მიადგა, აიღო და მის გამგებლად ერთი თავისი სარანგი დატოვა 48 000 მეომრით.

სარანგმა განძის ამირა ფადლონს ბორკილები დაადო და 1074 წლის ადრიან გაზაფხულზე თავისი მხედრობა ისევ საქართველოს შემოუსია.

გიორგიც ფრთამალედ გაეშურა მტერთან შესახვედრად.

ბრძოლა მოხდა ფარცხისს.

ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და საქართველოს სამანებიდან განდევნეს. ეს იყო ჭეშმარიტად „დიდი ძლევა“ გიორგი მეორისა.

ამ გამარჯვების შემდგომ გიორგი ტაოს ჩავიდა და ბანას დადგა.

ბანაში მეფეს ეწვია გრიგოლ ბაკურიანის ძე, დიდად სახელგანთქმული ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ბიზანტიის იმპერიაში, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი და „ზორავარი აღმოსავლისა“. შემდგომში პეტრიწონის ქართული სავანის დამაარსებელი. კეისრისაგან გრიგოლ ბაკურიანისძეს ბოძებული ჰქონდა ქალაქები: ოლთისნი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარსი). ახლა, სასურველი და სასიხარულო შეხვედრა იმით აღინიშნა, რომ გრიგოლმა „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მის მიმდგომი ქუეყანა“.

გიორგიმ ქალაქ კარში შავშელი აზნაურები ჩააყენა და ჩრდილოეთისკენ წამოვიდა.

### „აჰა, ქუეყანა საქართველო!“

მაგრამ გიორგის დიდხანს არც გრიგოლ ბაკურიანისძისგან ბოძებული ქალაქები შერჩენია და არც საკუთარი ქვეყნის გადარჩენის იმედი.

თურქებმა მოიცვეს მთელი შუა და წინა აზია: ბიზანტიას წაართვეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლია.

ამრიგად, ახლა უკვე სამი მხრიდან ერტყა თურქული საფრთხე საქართველოს — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.

ამიერიდან მსოფლიოს ყველა დიდი მნგრეველები „მეზობლობით მოეახლნენ საზღუართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჰირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა“.

1079 წელს თურქთა ურდომ, აჰმად ამირას სარდლობით, ქალაქი კარიც დაიჭირა და ტაო-კლარჯეთსაც შემოესია. გიორგი ყუელის-ციხეს იდგა, როცა მტერი „უგრძნეულად“ დაეცა თავს. მეფემ მოღალატე თავისიანიც ბევრი შენიშნა მტრის ბანაკში.

გიორგი ბრძოლის ველს დამარცხებული გაშორდა და აჭარის გზით აფხაზეთისკენ წარემართა, ხოლო თურქებმა ხელთ იგდეს „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი“.

დიდძალი ნადავლით დატვირთული აჰმად ამირა უკვე გაშორებული იყო საქართველოს საზღვრებს, როცა მას წინ შემოეყარა თურქთა ორჯერ უმეტესი ურდო, რომელსაც სათავეში ორი ამირა ედგა—ი ა ს ი და ბ უ ქ ღ უ შ.

—საიდან მოდიხართო,—ჰკითხეს აჰმადს იასმა და ბუქღუშმა და თან შურით აღვსილი თვალებით ხარბად დაუწყეს ჭამა საქართველოდან გამოტაცებულ სიმდიდრეს.

— თქვენ საით გაგიწევიათო, — კითხვა შეუბრუნათ აჰმადმა.

— საბერძნეთს მივდივართო სალაშქროდ, — იყო პასუხი.

მაშინ აჰმადს უთქვამს იასისა და ბუქღუშისათვის:

„რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა, ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“.

საქართველოს დამაქცევარი აღმოჩნდა ველურის მიერ ნათქვამი ეს ლაკონიკური სიტყვა. უსაზღვრო ძარცვა-გლეჯისა და სისხლისთხევის ჟინით აღვსილი უზარმაზარი თურქობა ბიზანტიის გზიდან საქართველოსკენ შემოტრიალდა. ჯგროდ და ხვივილად მოვარდნილნი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღიესო თურქითა. მო-

ისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვამდე თოელისა, მოჰამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ჭუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა". ვინც მთაში გახიზვნა მოასწრო, იმათ თითქოს საგანგებოდ დამდგარმა საასტიკმა ზამთარმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ქართველი ხალხის ეს უმძიმესი ტრაგედია მოიხსენიებს ვითარცა „პირველი დიდი თურქობა" (1080 წ.).

ამიერიდან ყოველ გაზაფხულს იწყებოდა „დიდი თურქობა". ადრიან გაზაფხულიდან დაზამთრებამდე ძარცვავდნენ, აოხრებდნენ და წყვეტდნენ ქვეყანას თურქები. ზამთარს სამხრეთში ატარებდნენ, გაზაფხულზე ისევ მოდიოდნენ... ისევ და ისევ... მოსაჭმელად, მოსაწყვეტად, მოსაძარცვავად, მოსაოხრებლად...

„და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა".

ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს ფეხზე მდგარს.

ეკლესიებში ცხენები ებათ.

საეკლესიო მოწესეებს საკურთხეველებზე ყელებსა სჭრიდნენ.

მოხუცებულთ თავებს აყრევინებდნენ.

ქალწულთ აუპატიურებდნენ.

ჰაბუკებს ჰკოდავდნენ.

ჩვილ ბავშვებს იტაცებდნენ.

იწვოდა „შენებული ყოველი".

შოედინებოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი".

აღარსაიდან ხსნა აღარ ჩანდა.

იქნებ ბიზანტია?

თვითონ უაღრეს მისჭირვებოდა თურქთაგან.

1078 წელს ახალი იმპერატორი ავიდა კონსტანტინოპოლის ტახტზე. ნიკიფორე III ბოტანიატე, რომელმაც ცოლად შეირთო წინა კეისრის, მიხეილ VII დუკას მეუღლე, ბაგრატ მეოთხის ასული და გიორგი მეორის დაი — დედოფალი მარიამი.

კეისარი მარიამის სიმშვენიერით ჰკუიდან იყო გადასული, მაგრამ

უნებო და მოხუც ხელმწიფეს მაინც არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო ცოლისძმისათვის.

გიორგიმ დიდებულთა სათათბირო შეჰყარა და ბჭობა გამართა. გადაწყდა—თვითონ მეფე უნდა ჰხლებოდა სულტან მალიქ-შაჰს ზავის ჩამოსაგდებად.

წავიდა გიორგი მეფე ისპაჰანში, თურქთა მაშინდელ სატახტოში. დიდი პატივით მიიღო სულტანმა მალიქ-შაჰმა ქართველი მეფე და „შეწყნარებულ იქნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი".

მალიქ-შაჰმა გიორგის პირობა დაუდო, რომ აძიერიდან შეწყდებოდა თურქთა მაოხარი ლაშქრობები საქართველოში. ამას გარდა, კახეთ-ჰერეთის შემოერთების ნებაც მისცა და საამისოდ ჯარიც გამოუყო დასახმარებლად. სამაგიეროდ, ყოველწლიური ხარაჯის გადახდა ეკისრებოდა ქართველ ხელმწიფეს.

გამოისტუმრა მალიქ-შაჰმა ქართველი მეფე „განდიდებითა დიდითა", თან „წამოაყოლნა სპანნი დიდნი".

გიორგი ქართველთა და თურქთა ჯარებით კახეთს შეიჭრა და ვეჟინის ციხეს ალყად შემოეწყო.

ვეჟინის ალყა დაიწყო „ჟამსა სთვლისასა"; მთელი შემოდგომაც მიიწურა, ზამთარიც დადგა და ალყაც მხოლოდ ალყად დარჩა.

თოვა დაიწყო თუ არა, გიორგი მეორემ მთელი თანამედროვე და მომავალი ისტორია გააკვირვა უცნაური ახირებულობით:

რაკი მოეხსენა აჯამეთის ტყეში ნადირობის ჟამი დადგაო, ახლავე სანადიროდ უნდა წავიდეო აჯამეთს!

თქმა და ქმნა ერთი იყო: ვეჟინს ალყა მოხსნა, თურქთა ჯარი ივრის ხეობას საძარცვავად მიუსია და თვითონ იმერეთს გადავიდა სასწრაფოდ, აჯამეთის ტყეებში სანადიროდ.

თურქებმა საშინლად მოაოხრეს და „მოსპამეს" ივრის ხეობა.

ახლა, აღსართან კახთა მეფემ — მტრის ხელით მტრობა აგრე არ უნდაო და—თვითონაც ეწვია სულტან მალიქ-შაჰს, ქრისტიანობა მოიშორა, მუსულმანობა მიიღო და კახეთიც ისევ თურქთა ძალებით დაიბრუნა.

მეფე გიორგის შეჰირვებამ ღალატის გუნებაზე განაწყო ძლიერი ფეოდალი ძაგან აბულეთის ძე, არაგვის ერისთავი, რომელმაც ირწმუნა, რომ მეტოქეობის სასწორი საბოლოოდ კახთა მეფისკენ გადაიხარა, გიორგისგან ნაბოძები ციხეები — მუხნარი და ზედაზენი — აღსართანს გადასცა და თვითონ მის ბანაკში გადაბარგდა.

ქვეყანა საშინელ აგონიას მისცემოდა.

ანაზღაურებით ბუნებაც საოცარი სისასტიკით შემოსწყრა ადამიანთაგან ამოგდებულ ქართველთა ქვეყანას: 1088 წელს მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო.

მთელი წლის მანძილზე ირყეოდა და ირღვეოდა დედამიწა.

იქცეოდა და მტვრად მიდიოდა უზარმაზარი მთანი და კლდენი.

ინგრეოდნენ და საფლავდებოდნენ სოფლები, ქალაქები, ეკლესიები, სრა-სასახლენი.

ჩამოქცეულ თმოგვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერთად, ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

იმ წელს კიდევ სახელოვანი ქართველი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანისძე პაჭანიკებთან შეტაკებაში დაღუპულიყო გმირის სიკვდილით.

თურმე მოადგილე სარდალი, ვ რ ა ნ ი, ჩასცივებოდა გრიგოლს, დაუყოვნებლივ შევებათო პაჭანიკებს. გრიგოლი ურიცხვი მტრის აშკარა უპირატესობას ხედავდა და ბრძოლის გადადებას აპირებდა, მაგრამ ვრანი არ ისვენებდა, ბოლოს, რაკი ვრანი ბერძენი იყო, გრიგოლს უფიქრია, ბიზანტიელთათვის მე უცხოელი ვარ, ლაჩრობა არ დამწამონო და მაშინვე ბრძოლად გაუყვანია ლაშქარი. შეტაკების დაწყებისთანავე ნათელი გამხდარა ქართველი მხედართმთავრის სიმართლე, მაგრამ უკვე გვიან იყო: ბიზანტიელები განადგურდნენ. გმირის სიკვდილით დაეცა გრიგოლ ბაკურიანისძე. მოიკლა ვრანიც. კონსტანტინოპოლმა თალხი ჩაიცვა გრიგოლ ბაკურიანისძის დაღუპვის გამო. კეისარმა ალექსი კომნენოსმა ცხარედ დაიტირა დიდი მხედართმთავარი.

ხოლო, საქართველო აგონიას მისცემოდა.

თითქოს და, მართლა „ღმერთიც გასწყრომოდა“ ისედაც კაცთაგან სისხლდადენილ და ამოწყვეტილ ქვეყანას.

ნუთუ მართლა სამუდამოდ აღმოსაფხვრელად გაიწირა ქართველი ხალხი?!

არა.

გიორგი მეორემ 1089 წელს გადადგა ნაბიჯი, ყველაზე ჭკვიანური მთელს მის უბედურ ხელმწიფობაში:

საქართველოს სამეფო ინსიგნიები მოიხსნა და გადასცა თავის 16 წლის ერთადერთ ძეს — დავითს.

**მინაწერი XI საუკუნისა**

XI საუკუნე ქართველი ხალხის ისტორიაში უმძიმესი სისხლთადენითა და უმძაფრესი კონვულსიებით ჰბადებდა უდიდესსა და უბრწყინვალეს მემკვიდრეს — ქრისტეს შემდგომ XII ასწლეულს.

XI საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 18 დიდი ბრძოლა. აქედან მოიგეს 11, წააგეს 7.

იყო მწვერვალები.

მაგრამ იყო ისეთი მომენტებიც, როცა კვლავ ყოფნა-არყოფნის საზღვარზე ვარდებოდა „ნათესავი ქართველთა".

უმამაცესი გვირგვინოსნები მიუძღოდნენ უმამაცეს ხალხს შინაურ და გარეშე მტერთა შემოტევის აღსაკვეთელად.

უმძიმესი სისხლთათხევის ხანაშიც დიდი კულტურის შემოქმედად რჩებოდა ქართველი კაცი, ხელითაც და გონებითაც.

სწორედ XI ასწლეულში აღიმართნენ ხელთუქმნელი ნივთიერი ძეგლები, ტაძრები, სავანეები:

ალავერდი — კახეთში,
ბაგრატოვანი — ქუთათისში,
ზარზმა — მესხეთში,
სვეტიცხოველი — მცხეთაში,
სამთავისი — ქართლში.
ბედია — სამეგრელოში,
ნიკორწმინდა — რაჭაში,
კაცხი — არგვეთში,
სამთავრო — მცხეთაში.

ქართული სული მძლავრობდა საქართველოს გარეთ:
კონსტანტინოპოლში
ათონის მთაზე
პეტრიწონში
შავ მთაზე
პალესტინაში
სინას მთაზე.

ითარგმნებოდა ბერძნულიდან ქართულად.
ასევე — ქართულიდან ბერძნულად.

მსჯელობანი, რკვევანი, კომენტარები, ორიგინალური თვალთახედვანი და განასაჯნი:

ფილოსოფიაში
თეოსოფიაში
თეოლოგიაში
ფილოლოგიაში
იურისპრუდენციაში
ისტორიაში.

სწორედ XI საუკუნეს განეკუთვნებიან მფლობელნი ქართული „აზრის სიმამაცისა“:

იოანე მთაწმინდელი
ექვთიმე მთაწმინდელი
გიორგი მთაწმინდელი
ეფრემ მცირე კარიჭისძე შავმთელი
იოანე პეტრიწონელი.

ხოლო, უცხოეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე:

თორნიკე II პროტოსპათერი, ელადის სტრატეგოსი.
ფარსმან იბერი, იერაპოლისის ცისრონის უფროსი.
მარიამ დედოფალი.

გრიგოლ ბაკურიანისძე, სებასტოსი, აღმოსავლეთის ზორავარი, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, პეტრიწონის სავანის დამაარსებელი,

აბაზ ბაკურიანისძე, გრიგოლის ძმა, აღმოსავლეთის დიდი მაგისტროსი.

იმუსრებოდა XI საუკუნე.

ხოლო, ქართველი ხალხი, ფიზიკურად დიდად შემუსვრილი, მაგრამ სულით შეუმუსვრელი, ეგებებოდა „აღმოცისკრებას“.




კარი მეხუთე

ცაზე მოჩანს ყველა ვარსკვლავი.

პომეროსი.

ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის გაწევა სუსტებისათვის — ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს.

ი. სტალინი.

## აზმა პირველი

### ღიგნი დავით აღმაშენებლისა

Igneus est ollis vigor et coelestis origo.
ცეცხლოვანია ძალა მისი და ზეციური თესლი მისი.
ვერგილიუსი.

**ხიბრძნე-სიქველე სიჭაბუკისა**

მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს დიად შემქმნელს,
მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმორჭმულების,
უმაღლეს სიბრძნის და პირველი ხიყვარულისა.

დანტე

1073 წელს, ქუთათისში, მეფე გიორგი მეორის სასახლეში, დაიბადა ყრმა, რომელსაც გასაოცარი სულიერ-სხეულებრივი სიდიადისთვის,

უზენაესი ხელმწიფური სიბრძნისათვის და იგავმიუწვდომელი რაინდული სიქველისათვის საისტორიო ფორტუნისაგან სამარადჟამო უკვდავება ელოდებოდა.

ძეობა აღმოჩნდა უაღრესად ფეხბედნიერი საქართველოსთვის:

დაიბადა უველაზე დიდი გვირგვინოსანი საქართველოს ხელმწიფეთ შორის.

სახელად დაარქვეს დავითი, მეფობის. რიგით — დავით მეოთხე.

ხოლო ქართველი ხალხი შემდგომში, ჟამსა ხელმწიფობისასა, მას შეამკობს მსოფლიოში უმშვენიერესი და უსაჩინოესი თიკუნით:

„აღმაშენებელი“.

ბავშვი ბავშვად არ დაიბადა.

ყმობა მისი იყო დუხჭირი და გაუხარელი. სწორედ ჟამსა მის ყრმობისასა უწყალოდ და უსაშველოდ ირღვეოდა და ირღვნებოდა კუნთოვანი სხეული მისი სამშობლოისა.

კვლავ უწყვეტად მოდიოდნენ და მოედინებოდნენ თურქნი ქოჩინი-მომთაბარენი, მხოლოდ „მოქცევისა“ და „უკუქცევის“ დროთა განრიგება შეუცვლიათ ქვეყნის „მომჭმელებს“: ახლა შემოდგომაზე მოდიოდნენ, „სთვლობის“ ჟამს, რჩებოდნენ ზამთარს, გაზაფხულს და მხოლოდ ზაფხულის პაპანაქებას ატარებდნენ არარატის მისადგომებთან. ყოველწლიურად ცხრა თვე იყო ავსებული აუზნი მტკვრისა და იორისა, მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო ტფილისიდან ბარდავამდის, თურქთა კარვებით, ხარგებით, საბარგულ-საზიდარებით, ჩარდახებში დედაბუდიანად შეხიზნული ქალით და ბავშვით, უთვალავი ცხენით, ჯორით, ცხვრით და აქლემით.

ეამებოდათ დამადნობელი უდაბნოებით განაწამებ, დამშეულ და გამხეცებულ მომთაბარეებს ღვთაებრივი სამოთხენი საქართველოსი, სადაც თურმე ზამთარშიც ბიბინებს სიმწვანე, „ითიბება თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვითოფერი და საშუებელი ყოველი“.

მოდიოდნენ, რამეთუ მხოლოდ აქ „აქუნდათ ცხოვრება სანატრელი: ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან. და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თვისთა ქალაქთა ეაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყვითა და ალაფითა სავსეთა“.

მოდიოდნენ, რამეთუ ეამებოდათ ქართულ მიწაზე „შუება და გან-

სუენება, თივათა და ველთა შუენიერებითა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა“.

მოდიოდნენ, დგებოდნენ და ქართულ მიწებს „სჭამდნენ“ იმდენნი, რომ ამის მხილველი კაცი იტყოდა:

„ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო.“

ქვეყანა მთიდან დაქანებული ზავივით შეუკავებლად მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

და სწორედ რომ დროზედ „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“.

1089 წელი დადგა.

დავითი 16 წლისა გახდა.

და მეფე გიორგი მეორემ საქართველოს სამეფო გვირგვინი, რომლის ტარებაც მის ქედს ჩვიდმეტი წლის მანძილზე ეგრერიგად შესჩვეოდა, თავს დაადგა თექვსმეტი წლის მხოლოდშობილ ძეს თვისას.

ჰაბუკმა მეფემ გონსაწიერში მოიქცია საქართველო, რომელსაც თითქოს სავსებით დაშრეტოდა ნიშანი სიცოცხლისა. ხალხი, თურქთაგან აკლებული და დაშინებული, ტყე-მაღნარებსა, კლდე-ნაპრალებსა და ხევხუვებში გადახვეწილიყო; ვის მოესწრო და ციხეებში შეკეტილიყო. ხოლო სოფელი აღარსად იყო ქართლში. აღარავინ ხნავდა და თესავდა. მეურნეობა სავსებით მოშლილიყო. სამიწათმოქმედო სავარგულები ტყეებსა და ეკალ-ძეძვნარებს მოეცვა და კაცთა ნაცვლად ნადირი გამრავლებულიყო.

საქართველოს სამეფო სახლეულს ქუთათისიდან მხოლოდ „მცირე ლიხამდე“ შეეძლო ფეხის გადგმა. აქ იყო წაღვლისთავი, მათი მცირე რეზიდენცია. ხოლო ლიხს აღმოსავლეთით მთელი ქართლი თურქთა და ნადირთა სათარეშოდ ქცეულიყო.

სამეფო სახლეულთ რომ ქართლის ჭალაზე ან ნაჭარმაგევს ფეხის დადგმა დასჭირვებოდათ, ჯერ წინასწარ შეიარაღებული მხედრობა უნდა გაეგზავნათ, თურქები დაეზვერათ, ნადირთა ჯოგები დაეფრთხოთ და გზა იაე „გაეწმინდათ“.

მოდიოდნენ და მოედინებოდნენ თურქები ფალანგებად, დედაწულიანად, ჩარდახებით, ხარგებით, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთა ჯოგებით. მოვიდოდნენ, მოეფინებოდნენ სახადივით, „სჭამ-

დნენ და სძოვდნენ საქართველოს მადლიან ქვეყანას მთელი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული.

დავითი ამოქმედდა.

თავისთან მოუწოდა ყველას, ვისაც ჯერ კიდევ გული სავსებით არ გასცივებოდა და იმედიც არ გაჰქრობოდა სამშობლოს ხსნისა.

მართლაც ყოფილან ჭეშმარიტი პატრიოტები მსგავსნი ნიანია კახაბერისძისა, (შვილი იმ კახაბერისა, რომელიც თავისი ცოლით მიწისძვრის დროს თმოგვის ჩამოქცეულ კედლებში ჩაინთქა), რომლებიც სასწრაფოდ შეიყარნენ ახალგაზრდა მეფის გარშემო.

დღე და ღამ სჭედდნენ საჭურველს.

იქურვებოდნენ.

იწრთვნებოდნენ.

გადიოდნენ მხედრულ რაზმეულებად.

თარეშობდნენ მოთარეშე თურქებზე.

მოულოდნელად ესხმოდნენ, ანადგურებდნენ, ერთბაშად გაუჩინარდებოდნენ; კვლავ ელვასავით გამოსხლტებოდნენ და დაესხმოდნენ.

ხალხი გამოჰყავდათ ციხეთა და ტყე-ღრეთა სამალავთაგან, ამხნევებდნენ, საომარ და სამეურნეო სულს უბრუნებდნენ, ისევ სოფლად აბრუნებდნენ, ასახლებდნენ, ამკვიდრებდნენ, მამაპაპეულ გუთანს აჩვევდნენ და თვითონაც გუთნისდედობდნენ.

გავიდა ოთხი წელიწადი.

ქართველი ხალხი ფეხზე წამოაყენა „ღმრთივ-განბრძნობილმა“ ჭაბუკმა.

მოკვდა თურქთა სულტანი მალიქ-შაჰ.

ქართველებმა გაიმძლავრეს იმედი თავისუფლების დაბრუნებისა.

მაგრამ ჯერ ისევ მოდიოდნენ თურქნი საქართველოს „მოსაჭმელ-მოსაძოვად“.

მაგრამ ერთი იყო უმძიმესი მტრობა თურქი-მომთაბარისა, ხოლო არა უმცირეს — ბოროტება შინაური აზნაურისა.

მაშინ კლდეკარის ერისთავი იყო ლიპარიტ ივანეს ძე ბაღუაში, გულზვავიანი ფეოდალი, რომელიც მამაპაპეულ ტრადიციას არ ღალატობდა და თავგამოდებით მტრობდა მეფესაც და საქართველოსაც.

დავითმა „ინება გაწურთა მისი“, კლდეკარს მიუხტა, ლიპარიტ ივანეს ძე შეიპყრო და ბორკილგაყრილი ჩააგდო ციხედ. ერთხანზე ასე ჰყავდა საპყრობილეში, მერე მისი ვედრება შეიწყალა, ერთგულების ფიცი ჩამოართვა და გაათავისუფლა.

მაგრამ მაინც არ იქნა და თავისი არ დაიშალა ლიპარიტმა. „იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“.

დავითიც საბოლოოდ დარწმუნდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. ხელმეორედ შეიპყრო ლიპარიტი, ორი წელი საპატიმროში იყოლია, მერე ბიზანტიას გააძევა და იქვე, უცხოობაში აღესრულა მოუსვენარი ერისთავი.

რაკი ყველაზე ძლიერი ფეოდალის თავხედობა ახალგაზრდა მეფისაგან ასეთი შეურიგებლობით აღიკვეთა, ბუნებრივია, სხვანი აზნაურთაგანნი მსგავსი განდგომის სურვილსა და ჟინს ჩაიცხრობდნენ.

თურქთა შემოტევებიც სამხრეთიდან ვეღარ იყო ისე გამუდმებული.

ევროპასაც უკვე დაეწყო (1096 წ.) „ჯვაროსნული ომები“ თურქთა წინააღმდეგ, პალესტინის წმიდა ადგილთა „გასათავისუფლებლად“.

1099 წელს ჯვაროსნებმა სელჩუკიანებს გამოჰგლიჯეს იერუსალიმი, რომელიც მაშინვე აზიაში ახალი ევროპულ-ქრისტიანული სახელმწიფოს — იერუსალიმის სამეფოს სატახტო ქალაქად გამოცხადდა.

მაშინვე დავით მეფემ ხარაჯის ძლევა შეუწყვიტა თურქთა სულტანს.

„მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“.

სულტანმა ბარქიაროკმა, რომელმაც უკვე კარგად იცოდა ქართული სამეფო ტახტის მაშინდელი სიმტკიცის ამბავი, ჯერჯერობით დუმილით უპასუხა დავით მეფის ესოდენ თამამ გამოსვლას.

საქართველოს „მომშმელი“ თურქობა უფრო შიშრეულად მოიწევდა „სთელობისას“ და გამოზამთრებასაც ვეღარ ბედავდა ქართულ მიწაზე.

რაოდენ მაღლა შემართულა მხნეობა მისი.
შ ე ქ ს პ ი რ ი.

რაკი საქართველო სასულტნოსგან დამოუკიდებელი გახდა, ახლა მთავარი საზრუნავი შეიქნა ქართულ ძალთა სრული გაერთიანება საქართველოში ჩამომდგარ თურქულ ურდოთა გასანადგურებლად.

უპირველესად საჭირო იყო, სრულიად საქართველოს ეგიდას ერთხელ და სამუდამოდ დაბრუნებოდა მისი სისხლხორცეული ნაწილი — კახეთ-ჰერეთი.

კახეთის მაშინდელი მეფე იყო კ ვ ი რ ი კ ე.

1101 წელს დავითმა არაგვი გადალახა და ჯიქური იერიშით აიღო ზედაზნის ციხე.

ზედაზენიდან გამობრუნებულ მეფეს მოულოდნელი ამბავი დაახვედრეს გზაზე: მომკვდარიყო კლდეკარის უკანასკნელი ერისთავი ბაღუაშთა საგვარეულოდან — რ ა ტ ი ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძე, ფარვით და პარვით მომტერე დავით მეფისა, „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“.

მაშინვე დავითმა კლდეკარი ჩააბარა თავისი მოძღვრისა და თანამოღვაწის, გიორგი შყონდიდელის დისწულს თ ე ვ დ ო რ ე ს.

მოჰდევნო 1102 წელს კვირიკე მოკვდა და კახეთის ტახტზე დაჯდა მისი ძმისწული ა ღ ს ა რ თ ა ნ, „რომელსა არა რა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო“.

1103 წელს დავითს რუის-ურბნისის საეკლესიო ყრილობა ახალი დასრულებული ჰქონდა, როცა ჰერეთის დიდებულებმა — ა რ ი შ ი ა ნ მ ა, ბ ა რ ა მ მ ა და ქ ა ვ თ ა რ მ ა — აღსართანი შეიპყრეს და ბორკილგაყრილი მოჰგვარეს მეფეს.

მაშინვე დავითმა კახეთ-ჰერეთი სრულიად ქართველთა სამეფოსთან შემოერთებულად გამოაცხადა. მაგრამ ეს დიდი საქმე უსისხლოდ მაინც არ ჩათავდა.

უზარმაზარი მხედრობა შეიყარა დავითის წინააღმდეგ:

სულტან ბარქიაროკისგან წარმოგზავნილი ლაშქარი;

მტკვრისა და ივრის ხეობებში მოთარეშე თურქთა „ურიცხუნი სპანი“;

განძელები მათი ათაბაგის სარდლობით;

კახელები შინაგამცემ აზნაურთა მეთაურობით.

დავით მეფე, თავისი „მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა“, ე რ წ უ ხ ს შეეგება ერთიან მტერთა უზარმაზარ მხედრობას.

ეს მოხდა 1104 წელს.

დავით მეფე პირველად გამოდიოდა თარეშული ბრძოლის ტაქტიკიდან; პირველ დიდ გენერალურ ბრძოლას იხდიდა იგი.

შემზარავი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა.

ორივე მხარე იბრძოდა გამარჯვების დიდი რწმენით:

ქართველები — მათი მშობელი ქვეყნისა და გმირი ხელმწიფის იმედით;

ქართველთა მტრები — აღმატებული რიცხვმრავლობით.

სძლია პირველმა — მშობელი ქვეყნის სიყვარულმა და წინამძღოლის სწორუპოვარმა ვაჟკაცობამ.

იბრძოდა დავით მხოლოდ წინ, მხოლოდ იქ, სადაც უფრორე მისჭირდებოდა მის „განწირულ ერს“, „ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა“.

თითქოს ომის ღმერთი ჩამოჭრილიყო ბრძოლად ზეციდან ადამიანთა შორის.

პირდაპირი ძგერებით აძგერებდა დავითი მახვილს.

აძგერებდა და მაღლა აიქნევდა მარჯვენას მახვილიან-კაციანად.

კაციც მსუბუქად მიჰყვებოდა მძლავრი ხელით აქნეულ მახვილს, თვითონ ძრწოლით და ტკივილით ატყორცნილი.

ზურგისკენ ისროდა განგმირულთ მეფე.

სისხლი მკლავ-იღლიე თბილ ნაკადად მოჰყვებოდა ფოლადის მარჯვენს.

ვერ კი გრძნობდა, როგორ ევსებოდა უბე ზოსტერს ზემოთ, მტრის თბილი სისხლით.

სამი ცხენი გამოუკლეს მეფეს.

ახლა მეოთხეზე ამხედრებული ასრულებდა ბრძოლას.

მტერთაგან ბევრი გაწყდა, ბევრი ტყვედ ჩავარდა, ბევრმაც გაქცევით დაიხსნა თავი.

გამარჯვებული დავით მეფე ცხენიდან გარდახდა და ზოსტერი მოიხსნა წელიდან.

სისხლი ერთბაშად მოწყდა და თჭრიალით დაეცა დედამიწას.

ზარგანხდილი მიცვივდნენ მეფეს მისიანები.

მძიმედ დაჭრილი ეგონათ, ამდენი სისხლის დამაქცევარი.

იღიმებოდა დავითი. მისი სისხლი არ ყოფილა მისი სხეულიდან „ქუეყანაზე" დაქცეული სისხლი, მტრის სისხლი ყოფილა.

კახეთი და ჰერეთი „ნებიერად" დაიპყრო მეფემ.

ტბილად დაუყვავა იქაურ ქართველობას და „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ამა ქუეყანისათა".

**განპატიჟება „ავაზაკთა ქვაბისა"**

ჩვენ კანოსაში არ წავალთ.
ბისმარკი.

ერწუხის გამარჯვებისა და კახეთ-ჰერეთის შემოერთების მიუხედავად, დავით მეფის სახელმწიფოს მაინც ვერ დაერქმეოდა „ერთგვაროვანი საქართველო". ჯერ კიდევ მის გარეთ უცხოელ მომთაბარეთაგან „მოსაშველად" დარჩენილიყუნენ ტფილისი, რუსთავი, სომხითი (ქვემო ქართლი), სამშვილდე და აგარანი.

მაშ, დავით მეფეს ყველაზე დიდი საბრძოლო გზა ამიერიდან ჰქონდა გასავლელი. ხოლო, ერწუხის ბრძოლაში მის წინააღმდეგ კახელ აზნაურთაგან ამხედრებულ თანამოძმეთა გამოსვლამ მეფე ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მის ქვეყანას ტრადიციული შინამესისხლური სისუსტე ჯერ კიდევ მძაფრად აწუხებდა. საჭირო იყო სწორედ საქართველოს ამ უბოროტესი ბოროტების, შინაგანკერძოებულობისა და შინასისხლთადენის წყაროთა სამარადჟამოდ დახშობა.

ეს დიდი საქმეც უკვე დაწყებული ჰქონდა დავით მეფეს.

ერწუხის ბრძოლამდე ორი წლით ადრე სამეფო ტახტს განუდგა არაგვის ძლიერი და ავგული ერისთავი ძაგან აბულეთის ძე, რომელსაც ადრე გიორგი მეორისაგან ბოძებული ჰქონდა მუხრანისა და ზედაზნის ციხეები. მეფის საწინააღმდეგო გამოსვლაში ძაგანს მხარში ამოუდგა მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტოს.

ნიშანდობლივი აქ მათი სისხლიერი ძმობა კი არ იყო, არამედ წოდებრივ-სოციალური ინტერესები:

საერო-აზნაურობა და სასულიერო-სამღვდელოება, ვითარცა ორი დიდი ფეოდალური ნაკადი, ერთიან მძლავრსა და მტრულ ბანაკს ქმნიდ-

ნენ მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასამხობად, ან დასაკნინებლად.

დავითი ყრმობიდანვე იცნობდა ამ მოურჩენელ წყლულს საქართველოს ათლეტურ სხეულზე.

ეკლესიის პირველმოძღვარნი და მესვეურნი თვითონ იყვნენ დიდგვარიანი აზნაურები და უმდიდრესი ფეოდალები. სამღვდელონი მღვდელთმთავრობას მხოლოდ გვაროვნულ-წოდებრივი და მატერიალური მემკვიდრეობით ღებულობდნენ. დაწინაურებისას არ იყო გათვალისწინებული არავითარი პირადი ღირსება— ნიჭიერება, პატიოსნება, მამულიშვილობა, თუ ზნეობრიობა.

წოდებრივი დიდგვაროვნობით დაწინაურებული გაზულუქებული მღვდელმთავარნი, რასაკვირველია, საეკლესიო იერარქიის ქვემდგომ საფეხურებზეც უღირსსა და „მათსავე მსგავს“ ადამიანებს ნიშნავდნენ.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია თვითნება, ზნედაცემულ და ქვეყნის მოღალატე „ავაზაკთა ქვაბად“ გადაქცეულიყო. ეკლესიებიდან და სამღვდელოებიდან „გამოვიდოდა ყოველი უსჯულება და ცოდვა“.

ძაგან ერისთავმა ხელში ჩაიგდო მცხეთის, წილკნისა და შიო-მღვიმის საეკლესიო მამულები და მათ ეპისკოპოსად დასვა თავისი ძმა მოდისტოს.

მოდისტოსის მსგავსი ეპისკოპოსები იყვნენ სწორედ ის „ავაზაკნი“, რომლებიც ქვეყნისა და მეფის მოღალატეებს „ღვთის თანადგომით“ მფარველობდნენ.

დავითმა ძაგანი და მოდისტოსი შეიპყრო, ორივეს მამულებიც ჩამოართვა და ყოველგვარი პატივი და ღირსებაც აჰყარა.

მაგრამ ეს მხოლოდ ებრალო დასაწყისი იყო. მთავარი აწი უნდა გადაჭრილიყო.

1103 წელს, ერწუხის ბრძოლამდე და კახეთ-ჰერეთის შემოერთებამდე ერთი წლით ადრე, დავით მეფემ რ უ ი ს ს ა დ ა უ რ ბ ნ ი ს შ ი მოიწვია ს ა ე კ ლ ე ს ი ო კ რ ე ბ ა, რომელსაც ესწრებოდნენ არა მარტო სამღვდელონი ყველა რანგისა, არამედ „ერი მრავალი“, საერო „მოძღვარნი და მეცნიერნი“.

ყრილობა მიმდინარეობდა „ღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა“.

ძალზე ძნელი აღმოჩნდა ბრძოლა „უღირსად გამოჩინებულთა“ წი-

ნაღმდეგ, რადგან ისინი „იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი“.

მაგრამ კვლავ უმტკიცესი და განურღვეველი აღმოჩნდა დავით მეფის ნება. რუის-ურბნისის მღელვარე საკრებულომ მტკიცედ დაადგინა დიდად რადიკალური ხასიათის საეკლესიო რეფორმა:

საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს ყველა „უღირსად გამოჩინებულნი“. ამიერიდან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობისა და მემკვიდრეობის მიხედვით. თანამდებობებზე, ინიშნებიან მხოლოდ ღირსეულნი — ნიჭიერნი, განსწავლულნი, პატიოსანნი, ქვეყნის და მეფის ერთგულნი—მიუხედავად მათი სოციალური, წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობისა.

საეკლესიო არისტოკრატია ნადგურდებოდა და მის ადგილს საეკლესიო დემოკრატია იჭერდა.

ეს რეფორმა იმას მოასწავებდა, რომ „მამულობითი“ და წოდებრივი მემკვიდრეობა არა მარტო საეკლესიო ცხოვრებაში უქმდებოდა, არამედ მათი მოსპობისა და პირად ღირსებათა მიხედვით ადამიანთა დაწინაურების პრინციპი საზოგადო-საერო სახელმწიფოებრივ სისტემაშიც მტკიცედ ისადგურებდა.

დავითს ისიც კარგად სცოდნია, რომ საეკლესიო-რელიგიური სამყარო, როგორი „დემოკრატიულიც“ პრინციპების მიხედვითაც არ უნდა გარდაიქმნას, თავისი შინაგანი ბუნებით, ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ ასცდებოდა ქონებრივ დაყოფასა და ზნეობრივ დაცემას. ამიტომ მას ეკლესიის საქმეებში მუდმივი ჩარევა სჭირდებოდა, ხოლო ამის უფლება მეფეს საერთოდ არ ჰქონდა: ეკლესია, ვითარცა „ღვთის მოადგილე“ დედამიწაზე, თავის თავს საერო-სამეფო ხელისუფლებაზეც მაღლა აყენებდა (გაიხსენეთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ — რას ეუბნება საბა ბერი ბაგრატ I კურაპალატს).

მაგრამ დავითს როგორმე უნდა მოეხერხებინა, საეკლესიო სამყაროს შიგნით მუდმივი თვალი ჰყოლოდა მასში ჩარევისა და რაიმე არასასურველ ცვლილებათა აღკვეთისათვის. ასეთ საშუალებასაც მიაგნო მეფემ.

ადრიდანვე საქართველოს სამეფო კარზე სახელმწიფო მართვა-გამგეობის, „სავაზიროს ანუ „მთავრობის“, სათავეში იდგა მწიგნობართუხუცესი („კანცლერი“, გინა „პრემიერ-მინისტრი“), რომელიც მეფის შემდგომ პირველ კაცად ითვლებოდა სახელმწიფოში. მწიგნობართუხუცესის თანამდებობა წმინდა საერო ხასიათის მაგის-

ტრატურა იყო, და, რასაკვირველია, იგი რელიგიის საქმეებში ვერ ჩაერეოდა. მაგრამ დავით აღმაშენებელმა დაადგინა, რომ ამიერიდან მწიგნობართუხუცესი იმავე დროს აუცილებლად ჰყონდიდის (მართვილის) მთავარეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო. ჰყონდიდის საეპისკოპოსო ერთი უდიდესი სამწყსოთაგანი იყო მთელ საქართველოში და მისი მღვდელმთავარიც უდიდესი გავლენით სარგებლობდა ქართულ სამყაროში. ამიტომ დავით მეფის განზრახვა ნათელი იყო:

ამ ორი უმაღლესი მაგისტრატურის — საერო მწიგნობართუხუცესისა და სასულიერო ჰყონდიდელისა — გაერთიანებით მეფეს შეეძლო საეკლესიო საქმეებში მუდმივი ჩარევისა და მეთვალყურეობის საშუალება ჰქონოდა.

ასეთი „ორმხრივი" უფლების მქონე უზენაესი მაგისტრატურის სათავეში დავითმა დააყენა მისი უახლოესი და უერთგულესი ადამიანი, მისი აღმზრდელი და ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე — გიორგი ჰყონდიდელი. მას, თვითონ ბერს, უქონელსა და უმემკვიდრეოს, შეეძლო არ დაეშვა არც ერთი სამღვდელოს მომხვეჭელობა, გამდიდრება და გაზულუქება. ასევე, ვითარცა სავსებით უქონელი პრემიერი, მთავრობის თავმჯდომარე, იქნებოდა სავსებით მიუკერძებელი, სამართლიანი და პირნათლად შემტევი ყოველნაირ მოსალოდნელ ფეოდალურ „საერო" დაჯგუფებათა წინააღმდეგ.

ამიერიდან დავით აღმაშენებლის ხელში, უზენაეს საერო ხელისუფლებასთან ერთად, მტკიცედ მოექცა უზენაესი სასულიერო ხელისუფლებაც.

ასეთი მიღწევა უცხო იყო ევროპაში, სადაც კათოლიკურმა ეკლესიამ და მისმა მეთაურმა პაპებმა ქუსლ-ქვეშ მოიქციეს რელიგიური ფანატიზმით გონდაბნელებული ევროპელი გვირგვინოსნები (სამაგალითოდ, მარტო 1077 წელს კანოსაში მომხდარი ფაქტი რად ღირს: მიხრწნილმა პაპმა გრიგოლ VII-მ სამი დღე-ღამის განმავლობაში, თოვლსა და ყინვაში, მიღების მოლოდინში, ფეხშიშველი და დაჩოქილი ამყოფა გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ IV).

### საკაზირო დავით მეფისა

იმავე ხანებში დავით აღმაშენებელმა ცალკეული რეფორმატორული გარდაქმნებით საბოლოოდ ჩამოაყალიბა მტკიცედ ფორმულირე-

შული უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა — **სავაზირო**, რომელიც მთლიანად ექვემდებარებოდა მეფეს.

ხოლო, შესდგებოდა სავაზირო რვა **ვაზირისაგან**:

1. **მწიგნობართუხუცესი**, იგივე **პირველი ვაზირი** (გინა „პრემიერ-მინისტრი"). მეფის ყველაზე ახლოპელი პირი, „ვითარცა მამა". არა საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებოდა. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე, უმაღლესი „მართლმსაჯული". იგივე, ვითარცა **ჟონდიდელი**, ფაქტიურად განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც. მასვე ეკითხებოდა მოაჯეთა ყოველი თხოვნის, საჩივრისა და მატერიალურად თუ სულიერად გაკითხვა-განჩინების საქმენი. საჩივართა და სათხოვართა გასარჩევად მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელს დანიშნული ჰქონდა ყოველი ორშაბათი დღე.

2. **მანდატურთუხუცესი**, შინაგან საქმეთა ვაზირი. მას ემორჩილებოდა მთელი საპოლიციო სამსახური და დავითისაგან ახლახან შემოღებული **მსტოვართა** (მზვერავთა) მრავალრიცხოვანი, შტაცე ორგანიზაცია. ამათ არაფერი დაემალებოდათ „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული". მანდატურთუხუცესს მეორენაირად სახლთუხუცესსაც უწოდებდნენ.

3. **ამირსპასალარი**, სამხედრო საქმეთა ვაზირი და სარდალი, „სპასალართუხუცესი" და „თავადი ლაშქართა".

4. **მეჭურჭლეთუხუცესი**, ფინანსთა გამგე-ვაზირი.

5. **მსახურთუხუცესი**, სამეფო სასახლის კარის შინა სამსახურთა გამგე-ვაზირი. პირველ ხანებში მსახურთუხუცესი უმცროს ვაზირად ითვლებოდა და სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა, შაგრამ შემდგომ იგიც სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი ხდება, გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6. **ამირახორი**, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე; უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

7. **მეჯინიბეთუხუცესი**, ამირსპასალარის თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

8. **ჩუხჩარხი**, მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთუხუცესი, „მონა-სპის" სარდალი, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

მეფის კურთხევის დროს სავაზირო ასეთი „ჯვარისახოვანი" განრიგებით დაეწყობოდა:

მთელ საზეიმო პროცესიას წინ მიუძღოდა მანდატურთუხუცესი, ხელში სამანდატურო ოქროს არგანით.

შემდგომ მოდიოდა თვითონ მეფე.

მეფის მარჯვნივ — ამირსპასალარი, რომელსაც ორივე ხელზე ეტვირთა სამეფო ხმალი. ამირსპასალარს თავის მხრივ მოჰყვებოდნენ მისი თანაშემწენი — ამირახორი და მეჯინიბეთუხუცესი.

მარცხენა მხრიდან მეფეს მოაცილებდნენ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი და მეჭურჭლეთუხუცესი.

ხოლო, უკან მეფეს მოჰყვებოდა ჩუხჩარხი-მეაბჯრეთუხუცესი, დატვირთული სამეფო ფარით, ლახტით და ქარქაშით.

### ბრძოლანი „უგრძნეულნი"

1110 წელს, დიდ რეფორმატორულ გარდაქმნათა და კულტურულ აღმშენებლობათა „ხუთწლეულის" შემდგომ, დავით აღმაშენებელმა ისევ განაახლა ბრძოლები ქართლში ჩამომდგარ თურქთა წინააღმდეგ. დაიწყო სამშვილდით. ქართველებმა ხერხს მიმართეს. თვითონ მეფე ქუთათისს გაემგზავრა, ვითომც შინაურ საქმეთა გასარჩევად, თურქებმა გული მოიცეს და „უმცროსი ეშინოდა", რაკი მეფე შორს გაიგულეს. მაგრამ სანამ ისინი უზრუნველობას მისცემოდნენ, გიორგი ჰყონდიდელმა მტრისთვის უგრძნეულად ჯარით შეჰყარა კლდეკარის მაშინდელი ბატონი, თავისი დისწული თევდორე და ერისთავი ივანე ორბელი და უგრძნეულადვე დაეცა სამშვილდეს. თურქმა მეციხოვნეებმა ხმლის მოუქნევლად ჩააბარეს ქართველებს ქართული ციხე-ქალაქი.

იმ ღამითვე ქართველებმა სამშვილდის ახლოს ციხე ძერნაც დააგდებინეს თურქებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებებს. ქართველთა შორის „იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა". საქართველოს დროშას დაუბრუნდა დიდი ქართული ციხესიმაგრე, უაღრესად მნიშვნელოვანი საქარავნო და სამხედრო გზაკვანძი. ამით ტფილისში მდგარ უცხოელებსაც მოერღვათ და მოუშიშვლდათ თავდაცვითი კედელნი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

სამშვილდის დაკარგვამ ქვემო ქართლში ჩასახლებულ თურქობას ისეთი თავზარი დასცა, აქაური ციხეების უმრავლესობა ერთ ღამეში მიატოვეს და ქართლის სომხითიდან გადაიხვეწნენ. ქართული ციხიონებიც სასწრაფოდ შევიდნენ თურქთაგან დაცლილ სიმაგრეებში.

თურქთა მაშინდელმა სულტანმა, მ უ ჰ ა მ ე დ მ ა, არ დათმო ესოდენი მარცხი და იმავ 1110 წელს 100 000-იანი არმია აფრინა საქართველოსკენ.

თრიალეთს მოადგნენ ქართველთათვის უგრძნეულად.

დავით მეფე ნაშარმაგევს იდგა მაშინ ტაძრეულით.

საღამო ჟამს შეატყობინეს მსტოვრებმა მტრის შემოსევა.

ფიცხლავ ჯარი მოიკითხა დავითმა.

მხოლოდ 1 500 კაცი აღმოჩნდა საომრად გამზადებული.

მაშინვე ამხედრდა მეფე, ეს მცირე ლაშქარი აიყოლია და მთელი ღამის შეუსვენებელი ჭენებით მიიჭრა თრიალეთს.

ცისკრის სისხამზე თვალი ჰკიდეს ერთიმეორეს თურქთა და ქართველთა.

შეიბნენ.

აისიდან დაისამდე გაგრძელდა „ბრძოლა ფიცხელი“.

კვალად მტერთა ძლევით დააქანა დავით მეფემ ბრძოლის სასწორი.

თურქებს არც კი უგრძვნიათ რიცხვით სიმცირე საოცარი მხნეობით მოიერიშე ქართველებისა.

ბრძოლის ველიდან გარბოდნენ თურქნი, „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად“, ყველაფერი ქართველთა ხელს შეატოვეს და უგზო-უკვალოდ „განიბნივნეს თვისთა ქუეყანათა“.

მცირერიცხოვანი ჯარისაგან ესოდენ დიდი მხედრობის ძლევა, სწორედ რომ საოცარი იყო. ამიტომ დავითი და მისი თანამებრძოლები კარგა ხანს დაეჭვებულნი — მტერი ხაფანგს რასმე არ გვიგებდესო — ფრთხილი დევნით მისდევდნენ ოტებულ თურქობას და სდიეს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მტერი საესებით იყო გადახვეწილი.

1115 წელს, დავით მეფის მუხნარს დგომის ჟამს, გიორგი ჭყონდიდელმა, ისევ „უგრძნეული თავდასხმით“, თურქებს ხელიდან გამოჰგლიჯა რუსთავი.

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც მოეჭრა გზა ტფილისს.

იმ წელსვე თვითონ დავითი თავის „მონა-სპით“ ხან სად დაეცა

მტერია ბანაკს და ხან სად. „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვედნის, და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ქვემო ქართლის გზებს დაუშინდნენ თურქები და ახლა საქართველოში სალაშქროდ სამხრეთ-დასავლურ გზებს დაუწყეს სინჯვა.

1115 წლის დეკემბერში თურქთა უზარმაზარი ლაშქარი ტაოს შემოვიდა დედაწულიანად, ხარგებით, საქონელ-ხვასტაგიანად და გამოსაზამთრებლად იქვე დაიბანაკა.

დავითმა ისევ „უგრძნეული“ ტაქტიკა აირჩია. იდუმალ ქართლელთა და მესხთა ჯარებს საომრად „მზაობა უბრძანა“ და თვითონ, მტრის თვალის ასახვევად, ისევ ქუთათისს გადავიდა „უზრუნველად“.

ახალი, 1116 წელი დადგა, იანვარიც მიიწურა და თებერვლის დამდეგს დავითმა ქართლელებსა და მესხებს პაემნის დღე და ადგილი აცნობა, თვითონაც იმიერ-ქართველთა ლაშქრით, ხუფთისა და ჭოროხის გზებით, გაეშურა კლარჯეთისაკენ, სადაც პაემნად უნდა შეხვედროდა ქართლელებსა და მესხებს.

დავითი გაერთიანებული ქართული მხედრობით უგრძნეულად თავს დაეცა კარნიფორისა და ბასიანის მთებში გულდანდობილად ჩაბანაკებულ თურქობას.

ისევ დიდი იყო გამარჯვება დავით აღმაშენებელისა. ქართველებმა „მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი, და აღიღეს დედა-წული მათი. ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა“.

1117 წელს დავითმა კიდევ ერთჯერ ილაშქრა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მან აიღო ჰერეთის უკანასკნელი დიდი ციხესიმაგრე გიში და შეიპყრო აქაური დიდებულები — ძმები ა ბ ა თ და შ ო თ ა გრიგოლის ძენი.

ამავე დროს, დავითს თავისი ვაჟი დ ე მ ე ტ რ ე შირვანში ჰყავდა გაგზავნილი სალაშქროდ. დემეტრემაც „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი“. მან აიღო ციხე-ქალაქი ქალაძორი და დიდძალი ნაალაფევითა და ნატყვენავით დაბრუნდა მამასთან.

არც ერთი წელი აღარ მიდიოდა დავით აღმაშენებლისგან ნიშანდაუსმელი.

1118 წელს იგი ნახიდურში იდგა, რახსის პირას, და აღდგომის დღესასწაულს იხდიდა. ინახად მჯდარ ხელმწიფეს მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და ბ ე შ ქ ე ნ ჯ ა ყ ე ლ ი მოუკლავთ,

თუხარისის ერისთავი. მაშინვე წამოიჭრა მეფე. ნუ ინებებო ასე ერთბაშად გალაშქრებას, — შემოეხვივნენ მისიანები. მაგრამ მაშინვე ამხედრდა. მონა-სპა აიყოლია და მტერს მიაშურა. რახსის პირზე იპოვნა თურქნი ბანაკად მდგარნი. ელვასავით დაეცა თავს, „მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვი".

იმავე 1118 წელს, ივლისში, კიდევ ორი დიდი გამარჯვება იზეიმეს ქართველებმა ზედიზედ. დავითმა ჯერ აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი ლორე, ხოლო მეორე დღეს, დილით, ცისკარზე — ციხე აგარანი.

### ახალი ჯარი

ყიეჩაღი შემომეყარა
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ეურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ეურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ეურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმეუანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მიეცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოკხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა;
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი, ცოლს ცუდი ყმისასა!"

მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა,
მაგრამ დაუცდა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა.
ახლა მე შემოვუქნივე,
ვენდე მადლს ლაშარისასა.
გაეჭერი ცხენი და კაცი,
წვერი ვუწვდინე ქვეშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის კი იქა ჭამს ქვეშასა.

ხალხური.

გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, მაგრამ დავით მეფე იმასაც კარგად ხედავდა, რა ძვირისისხლიანი იყო ყოველი ბრძოლა, რა ძნელი იყო აღებულ ციხესიმაგრეთა შენარჩუნებაც და რა დიდ ძალას მოითხოვდა ჯერ კიდევ ფეხშეუდგმელი უმძიმესი საბრძოლო გზის გავლაც. ყოველი ახალი ბრძოლა ახალ, ბრძოლისუნარიან საომარ ძალას მოითხოვდა. დავითი ბევრს ზრუნავდა ჯარისათვის, მისი სულიერი სიმტკიცისა და საბრძოლო დისციპლინის ამაღლებისათვის. მან საომარ ბანაკიდან გააძევა ღვინო და ქალი, ეს ორი შემპარავი და დამამხობელი ბოროტება ყოველი დროისა და ყოველი სახის საჯარისო ორგანიზაციისა. მეფემ აკრძალა ჯარისკაცთა შორის ბილწსიტყვაობა, ჯა-

მბაზობა და ლაზღანდარობა. დავითი, თვითონ დიდებული მაგალითი მხედრული სიმამაცისა და სივაჟკაცისა, ამხნევებდა და განადიდებდა გულადსა და თავდადებულ ჯარისკაცებს. მაგრამ ამდენადვე სასტიკი იყო სულმოკლეთა და ჯაბანთა მიმართ. იყო შემთხვევა, როცა ასეთ გულჩუკენ მეომარს მეფის ბრძანებით იარაღს აჰყრიდნენ, ტანზე ქალის კაბას გადააცმევდნენ და „ვითარცა დიაცს“ ჯარის წინაშე ჩამოატარებდნენ.

ბევრს ზრუნავდა მეფე ჯარისთვის, მაგრამ მაშინდელი ქართული ჯარი მაინც ფეოდალურ-პატრონყმური ლაშქარი იყო. ყოველ ფეოდალს „თავისი საკუთარი“ საბატონო ლაშქარი ჰყავდა და, თუ თვითონვე არ ინებებდა, იმ „თავის ჯარს“ ბრძოლაში არც კი გამოიყვანდა. ან შეიძლება „იმ ჯარით“ თვითონ მეფის წინააღმდეგაც კი გამოსულიყო საომრად, ხოლო მეფეს მარტო თავისი „მონა-სპა“ თურქთა სამუდამოდ გასადევნად და ქვეყნის გასათავისუფლებლად და გასაერთიანებლად, რასაკვირველია, არ ეყოფოდა.

ერთი სიტყვით, დავითს „სამი რიგის“ ჯარი სჭირდებოდა: ერთი — დაპყრობილ ციხე-ქალაქთა დასაცავ ციხიონებად, მეორე — პირად გვარდიად, და მესამე — მუდმივ, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად“ მოლაშქრედ. ასეთი მრავალმხრივი სამსახურისთვის ქართველთა ჯარები, თუნდაც ფეოდალთა განდგომაც რომ არ მომხდარიყო, მათი რიცხობრივი სიმცირისა გამო („რამეთუ არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა“) არასაკმარისი იყო.

მაშ, დავითს სჭირდებოდა არმია მრავალრიცხოვანი, მუდმივი (რეგულარული) და საკუთარ (არა ფეოდალურ-პატრონყმურ) გამგებლობაში.

და აი, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ქართულ ჯარებთან შესაერთებლად და მუდმივ სამხედრო სამსახურად, ჩრდილოეთიდან ყივჩაყები გადმოესახლებინა.

დავითი და მისი თანამემამულე-თანამდგომელნი კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს, იცოდნენ, რომ ურიცხვი იყო მათი მოდგმა. იყვნენ თავზეხელაღებული მეომრები, მსუბუქი მხედრები, ფიცხელური შემტევნი, მეთაურის მორჩილნი და ადვილად „შესანახავნი“.

ისედაც, აგერ რამდენიმე წელი იყო, დავითს მოყვრობა ჰქონდა ყივჩაყებთან: მას ცოლად (მეორე ცოლი) ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის,

ათრაქა შარაღანის ძის ასული, „განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი“.

1118 წელს დავითმა „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“.

ათრაქა შარაღანის ძე დიდი სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შემოთავაზებას საქართველოში მის ქვეშევრდომთა გადასახლების შესახებ. ისედაც, ყივჩაყები ჩრდილოეთიდან რუსთაგან შევიწროებულნი, სამხრეთისაკენ მოიწევდნენ, მაგრამ აქ ოვსები უდგნენ ძლიერ მტრულ ძალად. ამიტომ ათრაქამ დავითს ოვსთაგან სამხრეთული გზის გათავისუფლება სთხოვა.

დავითმა გიორგი ჰყონდიდელი წაიყვანა, სასწრაფოდ ოვსეთს გადავიდა და სწრაფადვე დაიპირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისასა და კავკასიის მთისათანი“. ოვსთა მთავრებიც მოეახლნენ დავითს და „ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“.

აქვე მოვიდნენ ათრაქა შარაღანის ძე და მისი ვაჟები. დავითმა ორივე მხარეს, ოვსებსაც და ყივჩაყებსაც, მძევლები ჩამოართვა და ერთმანეთს შეარიგა.

ამის შემდგომ დავითმა სიმამრისა და ცოლისძმებისაგან ჩაიბარა ყივჩაყთა „სიმრავლე ფრიად დიდი“. სულ 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

არაგვ-დარიალის კარი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიდი შემაერთებელი მაგისტრალი, დავითმა დიდ „მშვიდობის გზად“ აქცია. სწორედ იმ ხანად უნდა გაება ქართველ ხელმწიფეს ურთიერთობა კიევის რუსეთის დიდ მთავართან — ვლადიმერ მონომახთან, რომელსაც მანამდე ყივჩაყებთან შეურიგებელი მტრობა ჰქონდა.

მოდიოდა დავით მეფე, მოუძღოდა დედაწულიანად მომდინარე უცხო ხალხს. სასიხარულოდ განესრულებია მეფეს თავისი განაზრახი, მაგრამ მოდიოდა მაინც დიდი წუხილითა და ჭმუნვით დამძიმებული, სამგლოვიარო თალხით შემოსილი: მოასვენებდა მამის ტოლ გამზრდელს — ოვსეთში გარდაცვლილიყო გიორგი ჰყონდიდელი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“. ახლად მშენებარე გელათის მონასტერში დაკრძალეს ღვთაებრივი მოხუცი. ორმოცი დღე და ღამე გაუხდელად ემოსა თალხი მეფეს.

სწორედ მეორმოცე დღეს უფლისწული გახტანგი (ცვატა) შეეძინა დედოფალ გურანდუხტს და „ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

დავითმა ყივჩაყები ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში განასახლა. ყოველ ოჯახს მუდმივ სამხედრო სამსახურად ერთი კაცი უნდა მიეცა ქვეყნისათვის. ამრიგად, მეფემ 40 000 ყივჩაყი „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“. ახლა მეფეს საკუთარი გვარდიის, „მონა-სპის“ ჩათვლით, 45 000 მეომარი ჰყავდა „იარაღ-ჭვეშ“. ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში იგულისხმებოდა „ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი“.

ყივჩაყები ჩამოსახლებისთანავე დედაწულიანად გაქრისტიანდნენ და მალე სავსებით გაქართველდნენ. დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ გამრავლებული და გამძლავრებული „სრულიად ქართული“ საომარი ძალები იდგნენ, საერთო ანგარიშით დაახლოებით, 60—70 ათასი ჯარისკაცი და მოლაშქრე. ამას გარდა, დამატებით ძალად, მეფეს შეეძლო ჩვეულებრივი ფეოდალური დროის წესით, გამოეყენებინა „როქის სპა“ — დაქირავებული მეომრები მეზობელი ქვეყნებიდან.

ასე აღესრულა სამხედრო რეფორმა დავით აღმაშენებლისა. ასე გადაიქცა საქართველო წინა აზიის დიდ სამხედრო სახელმწიფოდ.

### ახალი ურთიერთობანი

ისევ ალაპარაკდა მსოფლიო ქართველთა სიძლიერესა და აღზევებაზე. ლაპარაკობდნენ მტრები — სიძულვილით, შიშით და ძრწოლით, მოყვრები — კრძალვით, პატივით, აღტაცებით. ეძებდნენ სიახლოვეს, კავშირს, მეგობრობას, მოყვრობას საქართველოს სამეფო სახლეულთან.

შირვანის ძლიერმა შაჰმა მანუჩეჰრ II-მ მოწიწებით სთხოვა დავითს, ცოლად მიეცა მისი უფროსი ასული თამარი. დამოყვრება მოხდა. თამარი „აღმოსავლეთის დედოფალი“ შეიქნა.

1071 წლიდან, მანაზკერტის დიდ ბრძოლაში თურქთაგან განადგურების შემდგომ, ბიზანტიელები მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე აზიაში ერთადერთ სამოკავშირეო ძალად ერთმორწმუნე ქართველობას თვლიდნენ. ქართველი პოლიტიკოსებითა და მოღვაწეებით ავსებული კონსტანტინოპოლის სასახლის კარი ახალ-ახალ გზებს ეძებდა საქართველოს ტახტის მფლობელებთან დასაახლოებლად. ბიზანტიის კეისრებს განსაკუთრებით დიდი სურვილები აღმოაჩნდათ დავით აღმაშენებელთან მე-

გობრობა-მოყვრობის გასაბმელად. ქართველი მეფეც ცდილობდა თავისი პოლიტიკური გავლენა დაემკვიდრებინა საქრისტიანო სამყაროს ცენტრში.

1118 წელს დავით აღმაშენებლის მეორე ასული, კ ა ტ ა ჲ ცოლად შეირთო ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის უმცროსმა ვაჟმა ი ს ა ა კ მ ა.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ასულნი, „ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“.

„ჯვაროსნული ომებიც“ აგერ 22 წლის დაწყებული იყო. მოდიოდნენ ევროპელები ჯვრით და მახვილით ურჯულო თურქთაგან პალესტინის „წმინდა მიწათა დასახსნელად“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვა, ხოლო საქმე — აზიურ მიწათა და დასახლებათა დაპყრობა, დამორჩილება, ძარცვა და რბევა, ხოცვა და ყლეტა. 1098 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, 1099 წელს — იერუსალიმი. დაარსდა იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფო.

დავით აღმაშენებელი, იერუსალიმის ქრისტიან ხელმწიფეთაგან განსხვავებით, თავის წინაპარ გვირგვინოსანთა მსგავსად, საქართველოს საზღვრებს შიგნით არაქართულ მოსახლეობას, მათ შორის მუსულმანებს, არამცთუ არ ებრძოდა და სპობდა, არამედ ქართველთაგან განუსხვავებელი პატივითა და შემწყნარებლობით ექცეოდა და პატრონობდა, მაგრამ ჯვაროსნებთან ერთად მას მაინც ჰქონდა უაღრესად მნიშვნელოვანი ერთი საერთო მიზანი: შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობელ თურქთა წინააღმდეგ. ამიტომ ბუნებრივად უნდა დამდგარიყო საკითხი ევროპელ ჯვაროსანთა და ქართველთა შეკავშირების შესახებ. „ფრანგებმა“ (ასე უწოდებდნენ ქართველები ჯვაროსნებს) კარგად იცოდნენ, რომ საქართველო ძველთაგანვე აღმოსავლეთიდან დაძრულ მიდიელთა, სპარსელთა და სხვა „უსჯულოთა“ შემაკავებელ „წინარე ბურჯს“ წარმოადგენდა. მით უფრო უნდა სცოდნოდათ დავით აღმაშენებლის მძლავრი გამოსვლები, რომლებიც სწორედ ჯვაროსანთა პირველი აზიური ლაშქრობების პარალელურად მიმდინარეობდა. არის ცნობები, რომ ფრანგ რაინდთა თხოვნით დავით აღმაშენებელს თავისი ჯარები პირველ ლაშქრობაშივე მიუშველებია თურქთა ხელიდან სირიისა და პალესტინის ქალაქთა გამოსატაცებლად.

1118 წელს (იმ წელს, როცა დავითმა თავისი ასული კატაჲ ბიზანტიაში გაათხოვა) იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ტახტზე ავიდა ნი-

ჰიერი, მამაცი და გამოცდილი რაინდი ბალდუინ II. იმავე ხანებში თურქ ხელმწიფეთაგან გამძლავრდა ბაღდადის, მარდინის, ალეპოსა და მაიფარაკინის მფლობელი ამირა ნეჯმ ად-დინ ილღაზი, რომელმაც დიდი „საღვთო ომი“ გამოუცხადა ჯვაროსნებს. 1119 წელს ილღაზმა სასტიკად გაანადგურა ანტიოქიის მთავარი როჟერი. მხოლოდ ოცი ჯვაროსანი გადაურჩა „სისხლიან ველს“. ბრძოლაში დაეცა თვითონ როჟერი, მამაცი და ნიჭიერი რაინდი. ბალდუინი იერუსალიმიდან სასწრაფოდ გავიდა და უპატრონოდ დარჩენილ ანტიოქიას დაეპატრონა. ილღაზიც დაუყოვნებლივ დაიძრა ბალდუინისაკენ. სასტიკი ხოცვა-ჟლეტა ამჯერად უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა ორივე მხარე ცალ-ცალკე თავის თავს თვლიდა გამარჯვებულად.

ილღაზი ახალი გადამწყვეტი ლაშქრობის სამზადისს შეუდგა გამალებული.

ხოლო ბალდუინი, როგორც მტერთაგან, ასევე მოყვარეთაგან საესებით საიდუმლოდ, საქართველოში ჩამოვიდა.

კარგა ხანს ბჭობდნენ ქართველი და ფრანგი გეგუთის სასახლეში.

მერე ისევ იდუმალ გაუჩინარდა ფრანგი რაინდი და გვირგვინოსანი. ეს ამბავი 1119 წლის მიწურულს მოხდა.

დავითი მომავალი წლისათვის თურქთა წინააღმდეგ გაშლილი გადამწყვეტი შეტევებისათვის ემზადებოდა. ეს მისი უმთავრესი განაზრახის განხორციელებაც იქნებოდა და მოკავშირე ჯვაროსანი ხელმწიფისათვის მიცემული პირობის აღსრულებაც.

### ახალი ბრძოლები

1120 წლის თებერვლის დამდეგს დავით მეფე გეგუთიდან ხუფათს ჩავიდა ლაშქრით. აქვე მსტოვრებმა შეატყობინეს, რომ თურქები თვითონ წამოსულან მტკვრის ხეობისკენ დავითის „შორს ყოფნით“ გათამამებულნი. მოსულან და ბორტიას დაუბანაკებიათ.

მეფე სასწრაფოდ შემობრუნდა, შეუსვენებლივ, მუხლჩაუკრეფლად და თვალმოუხუჭავად „გარდამოიფრინა“ და 14 თებერვალს „უცნაურად“ თავს დაეცა მტრის ბანაკს. თურქთაგან მხოლოდ ის გადარჩა, ვინც დროზე ისაზრა ამხედრება. ქართველებმა „აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვი“.

ბორტიადან დავითი ღანუხს მივიდა, ხოლო აქედან შირვანს ჩავიდა და წინა ბრძოლიდან მეშვიდე დღეს აიღო ქალაქი ყაბალა. აიღო და

ისევ „აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოველითა სიმდიდრითა“.

ყაბალადან მეფე ქართლს ჩამოვიდა, სასწრაფოდ ახალი ჯარი შეკრიბა და სწრაფადვე შირვანს გაბრუნდა. 7 მაისს ქართველებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთ ტერიტორიებზე. აქ მათ აიღეს ყველა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე, მათგან უმთავრესნი — ლიზანი, ქურდევანი, ხიშტალანთი. ქართველები შირვანიდან „სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს“.

იმავე 1120 წელს, ზაფხულსა და შემოდგომაზე ქართველებმა კიდევ რამდენჯერმე დაამარცხეს თურქები ირანსა და სომხეთში.

ნოემბერში დავითი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაეშურა. მის შეტევას უნდა აღეკვეთა ალეპოელი სულტანის, ილღაზის განაზრახი ლაშქრობანი ბალდუინის ჯვაროსნულ სამფლობელოთა დასაპყრობად. ქართველები მიადგნენ ა შ ო რ ნ ი ა ს, საიდანაც სულ ახლოს იყო ილღაზის საბრძანებლონი — მარდინი და მაიფარაკინი.

აშორნიაში დიდძალი თურქობა იდგა ბანაკად. ქართველებმა მისვლისთანავე მიიტანეს იერიში. მძვინვარე ხოცვა-ჟლეტა თურქთა განადგურებით გათავდა.

აშორნიადან ქართველები სირიის საზღვრებში შეიჭრნენ და თურქული ბანაკები დაიფრინეს. დავითი ალეპოსკენ მიიწევდა, ილღაზის რეზიდენციისაკენ, მაგრამ მსტოვრებმა აცნობეს — ზურგიდან თურქთა ურდო შემოჭრილიყო და საჭირო იყო სწრაფად უკან გამობრუნება.

გამობრუნდა დავითი, ს ე ვ გ ე ლ მ ე ჯ თ ა ნ წამოეწია საქართველოსკენ მომავალ თურქებს. წამოეწია და ისე ასწყვიდა, „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

ასე განესრულა 1120 წელი, ქართველთა ათზე მეტი ძლევამოსილი ბრძოლით.

1121 წელი მძიმე ზამთრით შემოვიდა. განუწყვეტლივ თოვდა, „გარდანაკუეთსა თოვლისას აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“.

დავითი ბიჭვინთას ჩასულიყო და აფხაზეთის საქმეებს განაგებდა: „ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“. ისევ მოიჭრნენ მსტოვრები და ფაიქები: თურქებს უფიქრიათ, სანამ დავითი შორსაა და აფხაზეთიდან ესოდენ დიდ თოვლში ჩამოგვისწრებდეს, მანამ ქართლის აოხრებას მოვასწრებთო და „გულდებით“ წამოსულან მტკვრის ხეობისკენ. „მაგრამ ლომსა მოხელოვნე-

ბულსა არა სცონოდა, არცა ჰრულოდა ომისათვის, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა“.

სასწრაფოდ წამოვიდა „ლომი იგი“ აფხაზეთიდან „თოვლთა საშინელთა“. ლიხის მთაზე თვითონ გაუძღვა ნიჩბით ხელში ჯარსა და ხალხს, თოვლი გადათხარა, გზა გადაიკვალა და ქართლს გადავიდა. აქ უკვე გამზადებულ ქართლელთა ჯარი შეიერთა და ფრთამალედ გაეშურა ხუნანისაკენ. აქ, ხუნანის გარშემო, ალგეთის, ბერდუჯისა და მტკვრის შესაყარი აუზი სრულიად აღევსო თურქთა კარვებს. ისევ დაეცა დავით მეფე მტერს მძვინვარედ. ქართველებმა თურქები ისე „მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“.

ღიდმა ზამთარმა გაზაფხულზე დიდროობა დააყენა მტკვარზე. მდინარე „ნადინებსა ვერ დაეტია“ და კალაპოტი გადმოლახა. თურქებმა ისევ იფიქრეს, დავით მეფე მტკვარს ვერ გადმოვა, ან სანამ გადმოვა, მანამ ჩვენს საქმეს ვიქმთო და ახლა ბარდავს შემოესივნენ „გულდებითა“.

მაგრამ ისევ ტყუილი ფიქრი მოუვიდათ ქვეყნის მაოხართ. ისევ წარუძღვა დავითი ლაშქარს. მტკვარი გადასცურეს და ბარდავს მიეპრნენ. თურქები ისევ განადგურდნენ ქართულ მახვილთაგან. ორი დღის შემდგომ დავითი „ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა“.

1120 — 1121 წლებში ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქრობებმა ხელი გაუხსნეს თურქთაგან დაშინებულ ჯვაროსნებს. ბალდუინმა სამხრეთიდან, პალესტინიდან, წარმატებით წამოიწყო შეტევები ნეჯმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებზე.

თურქთა მძლავრობის ხანა თითქოს უნდა დამხობილიყო.

სელჩუკიანთა მსოფლიო ბატონობის დამამსობელი მთავარი ძალა, როგორც ეტყობოდა, საქართველოდან მოდიოდა.

## დ ი დ გ ო რ ი

ციურ მშუელობას მოიპოვებს იკი, ვინც მახვილს აღმართავს ასეი მართალსა და სამაღლო ომში.

შ ე ქ ს პ ი რ ი.

ჰამადანში, ერაყ-ირანის სულტანატის სასახლის კარზე, ერთმანეთს ცვლიდნენ მოაჯე თურქთა ბრბოები. მოდიოდნენ „ყოველი თურქობის“ წარმოგზავნილნი: ამიერკავკასიის, მცირე აზიის, მესოპოტამიის და ახ-

ღო აღმოსავლეთის ქალაქებიდან. ტანზე შავი, სამგლოვიარო სამოსი ჩაეცვათ, მოშვლეპილი თავები, პირი-სახე და ხელები შავადვე შეემურათ, ისტერიულად ჰკიოდნენ, სხეულს იკაწრავდნენ და სულტანთან შეხვედრას ითხოვდნენ.

სულტანიც ღებულობდა ალლაჰის მონა-მორწმუნეებს, სულტანი მაჰმუდ, ძე მუჰამედისა.

ძირს ემხობოდნენ მოაჯენი, ბღავილით, ღნავილით, ცრემლთა თხევით და სხეულის ხოკვით. როცა ისტერიით გულს იჯერებდნენ, საჩივარს აღავლენდნენ.

ხოლო, საჩივარი — ქართველებზე და ქართველთა მეფეზე.

მზრს ქვეშეთში აღარ დაედგომებაო ალლაჰის მოდგმას ქართველების გადამკიდე; თვით საქართველოს ვინღა დაეძებს, როცა ველარც შირვანში და ველარც სომხეთში ფეხი ველარ ჩაუდგამთო ქართველებისგან ზარგანხდილ თურქებს; უწყალოდ იჟლიტებაო თურქობა, თვითონ თურქთა მიწა-წყალზე; ტფილის-დმანის-განძის საქარავნო-სავაჭრო გზებიც ქართველთა ხელშიაო; თვითონ ტფილისის მუსულმანური ხელისუფლება დიდ ხარკს უხდისო დავით მეფეს — ყოველწლიურად 10 000 დინარს; დღეს თუ ხვალ თვითონ ტფილისსაც დაიპყრობსო ქართველთა მბრძანებელი, რომელსაც დღემდე, ღმერთის და ქვეყნის გასაოცრად, ამდენი ბრძოლა გადაუხდია და ყველა უკლებლივ მოუგია; ბალე თურქთა სახსენებელიც სრულად გაქრებაო, თუ „ყოველი თურქობა“ დიდი სულტანის ნებით არ გაერთიანდება მათი ყველაზე დიდი მტრის, ქართველობის ერთხელ და სამუდამოდ გასანადგურებლად.

მართლაც „უკვე დრო დამდგარიყო“, „ყოველ თურქს“ მახვილი აღმოეხდინა საქართველოს აღსაგველად პირისაგან მიწისა.

იმედაც, აზიაში ჩამომკვიდრებულ ევროპელ ჯვაროსანთა განადგურებაც მხოლოდ დავით აღმაშენებლის მოსპობის შემდეგ შეეძლოთ თურქ ხელმწიფეებს.

და სულტანმა მაჰმუდმა სრულიად თურქულ სამყაროს მოუწოდა საქართველოს წინააღმდეგ „საღვთო ომის“ საწარმოებლად.

სულტანის მოწოდებაზე და ბრძანებაზე თავიანთი მხედრობით მოვიდნენ:

ნეჯმ ად-დინ ილღაზი, ბაღდადის, მარდინის, ალეპოს და მაიფარაკინის მბრძანებელი, ჯვაროსანთა წინააღმდეგ ომებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ზვიადი და ამპარტავანი, „კაცი დაჰმანი (მოხერხებული) და მრავალღონე“;

დურბეიზ სადაყას ძე, ევფრატის ჭალაჭ ჰილას მბრძანებელი, ეთიოპიის, ბაღდადის, სპარსეთისა და ინდოეთის ლაშქრობებში სახელგანსმენილი სარდალი, ილღაზის სიძე (ცოლად ჰყავდა ილღაზის ასული გოჰარ-ხათუნი);

თოღრულ მუჰამედის ძე, ყაზვინის, ზენჯანის, გილანისა და განძის ამირა, სულტან მაჰმუდის ძმა (უფრო გვიან თვითონაც შეიქნება სულტანი);

თუღან არსლან კუზიანი, ბითლისისა და არზანის ამირა;

ქენ-თოღდი, განძის ათაბაგი;

სომხეთის ამირები.

უზარმაზარი არმია შეიყარა — 400 000 თურქი მეომარი.

სულტანმა ამ უზარმაზარ სპას უსარდლა ყველაზე მამაცი და გამოცდილი ნეჯმ ად-დინ ილღაზი.

დავით აღმაშენებელიც ელოდა მტერს, ელოდა დაახლოებით, 55—56 ათასი მეომრით: 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალან-ოვსი და 100 ფრანგი-ჯვაროსანი.

იდგა 1121 წლის ზაფხული.

ოთხასათასიანი თურქული არმია მოისწრაფოდა საქართველოს ამოსაგდებად. სწორედ რომ „დიდი პატივი“ იყო ქართველთათვის: მათ წინააღმდეგ მოდიოდა მთელი წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ისლამურ-დელიბაშური მხედრობა; მაჰმადის მიმდევართა ყოველი და ყოველნაირი ძალა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურ სამყაროს კარგა ხანია მოძალვით უტევს სხვა დიდი საფრთხე — ევროპული ჯვაროსნობა.

მაშ, ამ ორ „მსოფლიო ქრისტიანულ საფრთხეთაგან“ (ჩრდილო-ურ-ქართული და დასავლურ-ევროპული) იმ დროის უპირველეს საფრთხედ მაჰმადის მონებს მაინცდამაინც საქართველოს აღზევება და გამძლავრება მიუჩნევიათ.

მაშ, მოდიოდა „ყოველი თურქობა, მხედრობად შემძლებელი, ყოველი ჭუეყანისა“. მოვიდნენ „სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ჭუეყანა... თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“.

სწორედ დიდგორი შეიქნა დიდი საომარი თალპიონი. ასე ისურვა, გადაწყვიტა და განასრულა დავით აღმაშენებელმა. მას სწორედ აქ, ტფილისიდან ნახევარი დღის სავალზე, დიდგორის ვიწრობებსა და მიმრეც-მომრეც სანახებში უნდა ჩაეჭედა რიცხვით ათ-

ჯერ უპირატესი მტრის ურდო, ვინძლო ველად გაჰრის, გაშლისა და ფართო მანევრირების საშუალება არ მიეცა მისთვის.

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ბრძოლის სასწორი, რომელზეც ოთხასი ათასი თურქმანისა და ორმოცდათხუთმეტი ათასამდე ქართველის სიკვდილ-სიცოცხლე ჭანაობდა.

„მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, წინა განაწყო სპა მისი, ყოველი საქმე შეუნიერად და ღონიერად ჰყო, ყოველი წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“.

ბრძოლის წინ დავითმა სიტყვით მიმართა ჯარს:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს ალთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევაც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება საიერიშოდ, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“.

ასეც მოიქცნენ.

ბრძოლა მოხდა 1121 წლის 12 აგვისტოს.

იმ დღეს თურქები ბრძოლის დაწყებას თითქოს არც ელოდნენ. ხოლო, მაინც დაიწყო სავსებით უცნაური პროლოგით: ქართველთა ბანაკს 200 მეომარი გამოეყო და თურქთა ბანაკისკენ გულდაგულ გაეშურა. რაკი იმათგან უმრავლესობა თურქებმა ყივჩაყებად შეიცვნეს, ქართველთა მოღალატეებად და მათგან გამოქცეულებად ირწმუნეს და თავის შუა განლაგებაში დანდობილად შეუშვეს. აქ ნოსულებმა უეცრად იარაღი გამართეს და თურქებს გასაოცარი თავზეხელაღებულობით დაერივნენ (დავით აღმაშენებლის ეს საომარი მანევრი თავისებური „პერიფრაზით“ 530 წლის შემდგომ გაიმეორა ერეკლე მეორემ აზატ-ხანთან შეტაკების დროს). სანამ თურქები გონს მოვიდოდნენ, თვითონ დავითმა ფიცხელ იერიშზე აფრინა ქართველთა ძირითადი ძალები.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევამაუწყებლობით წარიმართა. გადამწყვეტ ჟამს ბრძოლას ჩაეჭრა ქართული მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ვაჟი, უფლისწული დემეტრე მოუძღოდა.

დიდგორის მძიმე ბატალია ქართველთა ძლევამოსილებით დამთავრდა. დავით მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ გამარჯვებათა ინსიგნიებს შორის უბრწყინვალესი საომარი კვერთხი. თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სრულიად გაწყდა. „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“. ხოლო, ვინც გაქცევა მოასწრო, იმათ რვა დღეს სდიეს ცხენოსანმა ქართველებმა. მანამ სდიეს, სანამ საქართველოსა და სომხეთის საზღვრებიდან არ გადარეკეს.

სიკვდილს ძლივს გადაურჩა თვითონ თურქთა მთავარსარდალი ნეჯმ ად-დინ ილღაზი. იგი თავში მძიმედ დაჭრილი, თვითონ გაქცეული და თაცლაფდასხმული სიძის, დურბეიზის დახმარებით, დიდის ვაი-ვაგლახით გაიყვანეს სამშვიდობოს. იმ ჭრილობამ იგი ერთ წელიწადში კიდევაც მოინელა (ეს უფრო მართალი უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ ილღაზი ფლავისა და ნესვის უზომო ჭამისას მუცელს გადაჰყვაო).

ქართველებს, დიდი გამარჯვების გარდა, ხელთ დარჩათ აურაცხელი ნადავლ-ნაალაფარი: „სპანნი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, ქარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითო-სახეთათა, ქოსთა და ფილაქავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად“.

ნადავლის საუკეთესო ნაწილი, „ყოვლად დიდებული“ და „ძნელად საპოვნელი ნივთები“, „დიდთა და ხორასანთა მეფეთა ტახტნი, საყდარნი (სავარძელნი), კედელნი ფერად-ფერადნი და კვალად გვირგვინნი“ და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს მანიაკი, რომელიც თურქთა სარდალ დურბეიზ სადაყას ძეს ქართველმა მეომრებმა მკერდიდან ჩამოგლიჯეს — დავით აღმაშენებელმა შესწირა გელათის მონასტერს.

დიდგორი შეიქნა პროლოგი მომდევნო ფეხბედნიერი მოვლენისა »გეორგიადაში“ — ტფილისის დახსნისა და საქართველოს სრული გათავისუფლება-გაერთიანებისა.

დიდგორი ისტორიაში დარჩა, ვითარცა უზენაესი აზმაიფარი ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვდავებისა.

დიდგორიდან შორს გაიწიეს ქართულმა სამანებმა, დიდგორიდან შორს გადიშალა თვალსამზირი საქართველოსი.

850 წელიწადია გასცქერის სამყაროს დიდგორი, ვითარცა დიდებული თანამონაწილე და თანადამსწრე ქართული ილიადის უმშვენიერესი საომარი სიმფონიისა.

დიდგორი ქართველი ხალხის სალოცავ მოვლენად იქცა.

დიდგორის უმაღლეს მთას ხალხმა „დავითის მთა“ დაარქვა, ხოლო დიდგორის ველის ხელოვნური ტაგრუცის მსგავს ერთ ბორცვს — „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარე“. ხალხი დღემდე დაბეჯითებით ამბობს: როცა დიდგორის ომში დაღუპული ქართველი გმირები საერთო სამარეში ჩააწვინეს, რიგად ჩამდგარმა ლაშქარმა აუარ-ჩაუარა და ზოგმა მუჭა-მუჭა, ზოგმაც კალთა-კალთა მიაყარა დიდგორის მიწა—და ასე აღიმართაო ეს ბორცვი ძმათა საფლავზე...

ყოველწლიურად ზეიმობდა ქართველი ხალხი „დიდგორობას“...

### ტფილისი — საუკუნოდ სახლად თვისად

დასრულდა დიდგორის ბრძოლა.

განესრულა ორება, დევნა, განდევნა და განადგურება თურქთა.

დავითმა შემოაბრუნა დიადი ძლევით გალაღებული ქართველობა.

და პირდაპირ მიადგა ტფილისს.

სწორედ რომ დრო დამდგარიყო.

დრო — საქართველოს სატახტოს ოთხასწლოვანი „უცხოობიდან“ თავისდახსნისა და მშობლიურ წიაღში დაბრუნებისა.

ქალაქის მუსულმანურმა ხელისუფლებამ უარი თქვა დანებებაზე.

ქართველები ალყად შემოადგნენ.

ტფილისი შიმშილმა შეიპყრო.

უხმლოდ მაინც არ მოხერხდა ქართველთა შესვლა ქართულ ქალაქში.

და 1122 წლის დამდეგს ტფილისი იერიშით აიღო დავით აღმაშენებელმა.

მუსულმან მესვეურთა უგუნური სიჯიუტით გაავებულმა მეფემ ტფილისის ხუთასი ხელისუფალი სიკვდილით დასაჯა. მერე, ჩვეული

დიდსულოვნებით გული დაიცხრო, დამშეული და დაშინებული მოსახლეობა დააპურა, დაამშვიდა და დააბრუნა თავის ფუძეზე.

ქალაქის მოსახლეობა ჭრელი იყო ეროვნულად და სარწმუნოებრივად. უპირველესად სწორედ ამას მიაქცია ყურადღება გასაოცრად „ინტერნაციონალური“ ბუნების მქონე დავით აღმაშენებელმა (ანდა, რომელ ქართველ მეფეს ან, საერთოდ, ქართველ კაცს, აკლდა ეს „საოცარი ინტერნაციონალიზმი!“) უფლებრივად ყველამ ერთნაირად იცხოვრეთო. რაკი ერთ დროს მუსულმანები ქრისტიანებს სტანჯავდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, ახლა ქრისტიანებმა სტანჯონ და აბუჩად აიგდონო მუსულმანები. პირიქით, ახლა დამარცხებულებმა უკეთესად უნდა იგრძნონო თავი გამარჯვებულთა შორის. მუსულმანთა უბნებში ქრისტიანებმა ღორი არც უნდა დაკლან, არც უნდა იყოლიონ, არც მათ აბანოებში შევიდნენ, არც აზანსა და ხუტბაზე შეუშალონ ხელი. მუსულმანებს ნება მიეცეთ ყოველ პარასკევ დღეს ილოცონ არა ქართველ მეფეზე, არამედ ხალიფასა და სულტანის სახელზე. ყოველწლიური გამოსაღებიც — ქრისტიანმა 5 დინარი გადაიხადოს, ებრაელმა — 4, ხოლო მუსულმანმა — 3. თვითონ დავითიც, უფლისწულ დემეტრეს თანხლებით, ყოველ პარასკევს მეჩეთში შედიოდა, ხუტბასა და ყურანის კითხვას ისმენდა. მუეძინებს ყურანის ცალკეულ დოგმათა ანალიზში ეხმარებოდა, უსწორებდა, ასწავლიდა, აქეზებდა და ოქროთი აჯილდოებდა. ასეთი პატივით ცხოვრება მუსულმანებს „მშობლიურ მბრძანებელთა“ ქვეშევრდომობაშიც არ ჰღირსებიათ.

1123 წელს დავითმა აიღო ქალაქი დმანისი და ამით საქართველოს გაერთიანება სავსებით დასრულდა.

ყველა ქართული მიწა უკვე საქართველოს საზღვრებში იყო.

ერთიანი საქართველოს სამეფო რეზიდენცია დავით აღმაშენებელმა ქუთათისიდან ტფილისში გადაიტანა.

ამიერიდან (1122 წლიდან) ტფილისი სამარადჟამოდ დარჩა სატახტოდ ერთიანი საქართველოსი.

### ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა

იმავე 1122 წელს განძის თურქობამ სცადა რევანშის აღება ქართველთა ზედა. დავით მეფემ მაშინვე შეუსია ჯარები საქართველოს უძველეს სამტრო-საბუდარს. მრავალი თურქი მხარგაკრული დაყარეს ურმებზე და, ურიცხვ ნადავლთან ერთად, „ცხვრის ფარასავით“ გა-

მოირეკეს ტფილისისაკენ. ამ ლაშქრობას დიდი მიწისძვრაც დაესწრო განძაში. ქალაქი ძლიერ დაზიანდა და დაზარალდა.

სულტანი მაჰმუდ მუჰამედის ძე, დიდგორის კატასტროფით შეძრწუნებული, არ შეურიგდა ქართველთაგან სირცხვილისჰმევასა და ნაცარსხმევას. ჯერ საქართველოზე პირდაპირ წამოსვლა ვერ გაბედა და საქართველოს ქვეშევრდომთა აოხრებით დაიწყო.

1123 წელს სულტანი დიდი მხედრობით შირვანს შეესია, ქალაქი შემახია აიღო, დავითის ერთგული შირვანშაჰი ტყვედ აიყვანა და თვითონ დავით მეფეს ასეთი მუქარა შემოუთვალა: შენ ტყეთა მეფე ხარ და ველად გამოსვლას ვერ ბედავო, შენი უმადნაფიცი შირვანშაჰი ტყვედ მყავს, მისგან ხარაჯასაც ვღებულობ, ხოლო შენ ორში ერთი აირჩიე — ან ჯეროვანი ძღვენი გამომიგზავნე, ან სამალავიდან გამოდი და პირადად შემხვდიო.

გარისხდა დავითი. ისევ აიშალა და აზვავდა საომრად. 50000 მეომრით წარემართა შირვანისაკენ.

როგორც კი მაჰმუდ სულტანმა ქართველთა მოახლოება სცნა, საშინლად დაფრთხა, შემახიის ველად გაშლილი ბანაკიდან აიყარა და სასწრაფოდ ქალაქში შევიდა და შეიკეტა. ქართველთა მხედრობა გარს შემოადგა შემახიას.

„მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღუენთა და მუდარითა შეთულილობათა, ვითარცა მონამან ჰირველსმან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარი, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწროებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე“.

თითქოს ფეხის ჭუსლებში გაჰპარვოდა მკვეხარა სული თურქთა მეუფეს.

სანამ დავითი სულტანის სასოწარკვეთილსა და მონურ ვედრებას პასუხს მისცემდა, რანის ათაბაგი ა ღ ს უ ნ ღ უ ლ ი გამოჩნდა თურქთა „ძალითა მრავლითა“. იგი შემახიაში ჩაკეტილი მაჰმუდის დასახსნელად მოეშურებოდა.

ქართველები აღსუნღულს შეეგებნენ, შეებნენ და სასტიკად გაანადგურეს. ოთხი ათასი თურქი მოისრა. ხოლო თვითონ ათაბაგმა მარტოდმარტომ ძლივს სულტანთან შეაღწია და საშინელი მარცხის ამბავიც „მიახარა“.

შიშით ჭკუიდან გადასულმა მაჰმუდ სულტანმა უკეთესი ვერაფერი მოიგონა — სასდუნში („მწვირის გასადინარი ნახურეტი“, საბა)

ჩაძვრა და შმორითა და ზინზლით ამოლართხულმა დააღწია თავი ტყვეობას.

ეს ამბავი 1123 წლის მაისში მოხდა, ხოლო ივნისში, საშინელ სიცხე-პაპანაქებაში, დავითმა ისევ ილაშქრა შირვანს, აიღო გულისტანი და „აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი". ამჯერად მეფემ შირვანი საბოლოოდ შემოერთებულად ჩათვალა და გეგუთს გადავიდა, „ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი", მაგრამ მალე ისევ გაეშურა აღმოსავლეთისაკენ.

იმავე 1123 წლის ზაფხულის მიწურულს, დმანისის აღების შემდგომ დავით მეფე ისევ შევიდა შირვანს. ამჯერად დარუბანდის მმართველი გამოსულიყო ქურთთა, ლეკთა და იქაურ ყივჩაყთა მხარდაჭერით ქართველთა წინააღმდეგ. ქართველებიც „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვიდნენ ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისი ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა".

იმ წელსვე მოძმე სომეხთა საბოლოო გათავისუფლების საკითხი დადგა ქართველთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც კი დავითი დარუბანდიდან მობრუნდა, „მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან", სომხეთში გაჩნდა და გაათავისუფლა და შემოიერთა იქაური ციხე-ქალაქები: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი.

სომხეთიდან ჯავახეთს ჩამოვიდა დავითი, იქიდან კოლას, კარნიფორას, ბასიანსა და სპერს. ყველგან, სადაც კი თურქთა ნარჩენები მოიხილა, მოსწყვიტა ან ტყვედ აიყვანა. ბუიათყური ჩამოიარა, ოლთისი გადასწვა და თრიალეთს მოვიდა იმ წელს „ბრძოლაგანსრულებული".

ჯარიც დაშალა თრიალეთს, მაგრამ განუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცული ქართველი მოლაშქრენი სახლად ძლივს იქნებოდნენ მიტანებულნი, რომ ისევ საომრად წვევის ბრძანება მიიღეს მეფისაგან.

დიდი სომხური ქალაქიდან, ანისიდან, სომეხი თავკაცები ხლებოდნენ დავით მეფეს, ანისის მაჰმადიან (წარმოშობით ქურთი) მფლობელს უჩიოდნენ, აბულ-სოვარს, სომეხ ქრისტიანთა მოსისხლეს, რომელსაც ამ ბოლო ხანს ანისის მთავარი ტაძარი მიზგითად გადაუქცევია, გუმბათიდან ჯვარი მოუგლეჯია და მის ნაცვლად ვერცხლის „უზარმაზარი ნალი" (თურქული ნახევარმთვარე) აღუმართნია. უარესი ის იყო, აბულ-სოვარს ანისი კარის ამირასთვის მიუყიდნია 60 000

დინარად. შველას თხოვდნენ სომეხი პატრიოტები მოძმე ქართველთა ხელმწიფეს, ქალაქის ქვეშევრდომობასა და ჩაბარებას სთავაზობდნენ.

სამ დღეში 60 000 ქართველი მეომარი გამოცხადდა მეფესთან. სამ დღეში ჩავიდა და მისვლისთანავე აიღო ანისი, მისი ციხენი და „ქუეყანანი ანისისანი“. დავით აღმაშენებელმა შეიპყრო აბულ-სოვარი, კაცი ქალთამოლალე და ბრძოლის ველზე გულჩუკენი, შეიპყრო და მისი რვა ძით და მთელი სახლობით აფხაზეთს „გადაასახლა“. მაშინვე ანისის ლაერის გუმბათიდან ნახევარმთვარე ჩამოაგდებინა მეფემ, ჯვარი აღმართა და მიზგითად ქცეული ტაძარი ისევ სომხურ-ქრისტიანულად აკურთხებინა სომხეთის კათალიკოსს.

ანისის ტაძარში დედოფალი კატრონიკე ემარხა — სწორედ ამ ტაძრის აღმშენებელი ბერძენი ქალი. დავითი ქართველთა და სომეხთა ამალით იმ საფლავს მიადგა და სამგზის ჩასძახა:

„გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

მაშინვე ხმა გავარდა ხალხში: დედოფალმაც ამოსძახაო სამჯერ მიწიდან: „დიდებააა ღმერთსა!“

აღტაცებული წერდა შესანიშნავი სომეხი მემატიანე:

„განთავისუფლდა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი“.

„და იქმნა სიხარული ყოველსა სახლსა სომეხთასა“

„და იყო დავით მეფე წმინდა და სათნო ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს“.

„დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

ანისის დასაცავად დავითმა „დაუტევნა აზნაურნი მესხნი“. ქალაქისა და მისი მიმდგომი ქვეყნების გამგებლობა ჩააბარა ქართველ დიდებულებს — ა ბ უ ლ ე თ ს ა და მის შვილს ი ვ ა ნ ე ს.

დავით მეფე იმავე 1123 წელს, ანისის აღებისა და შემოერთების შემდეგ, გაეშურა სამხრეთ სომხეთში, თურქთაგან გაათავისუფლა და თავის სამფლობელოებს შემოუერთა ვანანდის, არარატის, ხაბანდისა და არცახის ქვეყნები.

ამგვარად, ქართველ-სომეხთა ტრადიციული ძმობითა და თანადგომით კვლავ ერთიან საძმო-სამეზობლო საცხოვრებელში მოექცა ეს ორი ძველთაძველი, ცივილიზებული ერი.

სომხეთის შემოერთების შემდგომ ისევ დაისვა შირვანის საკითხი.

დავითი დარწმუნდა, რომ მარტო ყმადნაფიცობის სტატუსი არ კმაროდა ამ ქვეყნის შემოსამტკიცებლად. ისევ მძლავრობდა თურქული ორიენტაცია შირვანში. ამიტომ დავითმა ისევ დასძრა ლაშქარი ყასპიისაკენ (1124 წ.). ქართველებმა აიღეს შირვანის სატახტო შემახია, მერე ციხესიმაგრე ბირიტი და, ბოლოს, კავკასიის უკიდურესი აღმოსავლური პუნქტი — დარუბანდი. სრულიად შირვანი თურქთაგან განიწმინდა და საქართველოს შემოუერთდა. დავითმა შირვანის ციხეებსა და ქალაქებში კახთა და ჰერთა ძლიერი ციხიონები ჩააყენა, ხოლო „განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა“, მეფემ ჩააყენა საქართველოს მაშინდელი მწიგნობართუხუცესი ს ვ ი მ ო ნ ჰ უ ო ნ დ ი დ ე ლ ი და ბედიელ-ალავერდელი, სახელოვანი გიორგი ჰყონდიდელის დისწული, მისი „მიმსგავსებული“, „კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“. დავითმა „აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ჭურდნი, ლეკნი და თარასნი“ და ქართლში დაბრუნდა.

ამიერიდან ქართველი ხელმწიფის ტიტულატურას — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა და სომეხთა“ — ემატებოდა „შირვანშაჰი“.

უფრო ადრე დავითმა, ვითარცა აღმოსავლეთის უმძლავრესმა ხელმწიფემ, ქართულ ტახტს სამუდამოდ მოაშორა ბიზანტიელ კეისართაგან მოძღვნილი, გაცვეთილი და „უღირსი“ ტიტულები — მაგისტროსისა, სებასტოსისა, კურაპალატისა და მსგავსთა მათთა...

დავით აღმაშენებლის მოთავეობით წარმოებული ოცწლიანი ომები დიდი შედეგებით განესრულა. ქართველი ხალხის წინამძღოლობით შეიქმნა კავკასიელ ხალხთა („იმიერ“ და „ამიერ“) ერთიანი მძლავრი სახელმწიფო, გაშლილი „ნიკოფსიითგან (დაახლოებით, ტუაპსე) დარუბანდამდის (დერბენტი) და ოვსეთიდან (ჩრდილოეთ ოსეთი) არეგაწამდე (სამხრეთ სომხეთი)“.

საბოლოოდ დაიდრიკეს ქედი ქართველი მეფის წინაშე წინა აზიის მაჰმადიანმა მბრძანებლებმა. „არავინ წინააღუდგა მას, რამეთუ თვით სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თვით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, აგრეცა ეოცებოდა (ეჩვენებოდა) მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკუდილი“. რაკი საქართველოს მოსისხლე მაჰმადიანი გვირგვინოსნები დავით აღმაშენებელთან იარაღით ვერარას გახდნენ, ისღა დარჩენოდათ, რომ ისინი „ზედას ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა.

რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებდა მშვიდობასა და სიყუარულსა“ დავით აღმაშენებლისა. ერთი სიტყვით, ყოველ მაჰმადიან ამირებს, ბეგებს, თუ ათაბაგებს რომ თავი დავანებოთ, — დავითმა თვით მუსულმანური სამყაროს უმაღლესი მეუფე „სულტანი დასუა მოხარკედ თვისა“.

### თვითონ აღმაშენებელი

თავით და თვალით იგი ჰგავდა ზეუსს ელვისმტყორცნელს,
ტანით — არესს, ხოლო მკერდით — პოსეიდონს, ზღვათა მეუფეს.

ჰ ო მ ე რ ო ს ი.

მეფის ხვედრია, კარგის ქმნისთვის ავი იხმინოს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი.

ახოვანი იყო დავით მეფე, ათლეტურად ტანაშვეტილი გოლიათი („შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა“), სხეულით განურღვეველი, სახით სახიერი, წყობილ-ნაკვთიანი, თვალით ძლიერი, შუქმოსიერი, ხმით ლომებრ ზახიანი და გულით „უშიშო, ვითარცა უხორცო“. სახე მისი იყო „საწადელ ღიმილითა, უსაწადლეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა“.

ეს იყო გმირი აქილევსის შემმართებლობით და ჰექტორის რაინდული კეთილშობილებით.

მძლავრი იყო მისი სხეული.

მძლავრი იყო მისი გონება.

ორი რამ, ერთმანეთისგან განუყრელად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია დავით აღმაშენებელს — ხ მ ა ლ ი და წ ი გ ნ ი.

თვითონ მოკრძალებით ამბობდა ხოლმე: მე უსწავლელი ვარო და მხოლოდ „მხედრობათა შინა აღზრდილი“. მაგრამ სინამდვილეში ყველამ იცოდა ხელმწიფის მრავალმხრივი განათლებულობა და განწყობა.

წიგნის გარეშე თვით სიცოცხლეც უსაგნოდ და უსიხარულოდ მი-

აჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა მისი სულის ზეიმი იყო. წიგნები „იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და ჰაჭადელ: იგინი — შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“. წიგნებს აგროვებდა, ყოველგვარს, თარგმნილსაც და ორიგინალურსაც; წიგნს კითხულობდა ინახის და სერობის შემდგომ, წიგნს კითხულობდა ყოველ საქმეთა განსრულების ჟამს. წიგნს კითხულობდა გზად მიმავალი, ამხედრებული, წიგნი თან ჰქონდა ნადირობისას, წიგნებით დატვირთული ჯორები, ცხენები და აქლემები მისდევდნენ მეფეს ბრძოლად მიმავალს. როცა კითხვით თვალი მოეღლებოდა, საგანგებო მკითხველთ ხმამაღლა აკითხებდა და თვითონ უსმენდა. უყვარდა წაკითხულის განსჯა, რკევება და კამათი. ჩვეად ჰქონდა — წიგნს რომ წაიკითხავდა, ბოლოში ნიშანს დაუსვამდა. ამ ნიშანთა მიხედვით არკვევდნენ, რამდენჯერ წაეკითხა მეფეს ესა თუ ის წიგნი. თურმე დავითის ისტორიკოსს „სამოციქულოს“ ბოლოში დასმული ნიშნები დაუთვლია და გამორკვეულა, რომ ეს წიგნი ერთი წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ წაეკითხა მეფეს.

თავდავიწყებამდე იცოდა კითხვა მეფემ. ერთხელ, როცა ტფილისი ჯერ კიდევ არ შემოეერთებინა, მის დასაზვერად გასულიყო სამასი მხედრით. თხუთმეტი კაცი ლოჭინისაკენ გაეგზავნა ნახირის გამოსარეკად, დანარჩენებით ავჭალის ხევში ჩამდგარიყო თვითონ. სანამ გაგზავნილები მობრუნდებოდნენ, მეფე წიგნისა და ხმლის ამარად ვაშორდა თავისიანებს. თან დაიბარა, ხელი არ შემიშალოთ, სანამ მე თვითონ არ მოვალო თქვენთან. დავითი „შეექცა კითხვასა და ესოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა“, რომ არც კი გაუგია, როგორ დასცემია თავს მისგან წარგზავნილ თხუთმეტ ქართველს ქალაქიდან გამოჭრილი ასი თურქი. საომარმა ყიჟინამ და იარაღის ზრიალმა გამოაფხიზლა მეფე. სასწრაფოდ ამხედრდა, მანძილი ფიქრზე უმალეს გაზომა: ავჭალის ხევში დატოვებული მეომრების გამოყვანა დააგვიანებდა, ამიტომ თვითონ მარტოდმარტომ გაქუსლა ბრძოლის ველისკენ, „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი“ და თურქები „დაჰბნივნა ვითარცა კაკაბნი“. ბევრი კიდევაც „მოსწყვიდნა“, დანარჩენმა თურქებმა ზურგი აჩვენეს და ტფილისის კედლებს შეეფარნენ. ეს უნებლიე შერკინება ასე იღბლიანად გათავდა. დავითმა ნაომარი ხმალი აიღო ქარქაშში ჩასაგებად, მაგრამ მტრის თორ-ბექთარზე და ფარ-შუბზე გამალებული ცემისაგან ხმალი დაღვლარჭნილიყო და ქარქაშშიც აღარ

ჩაეგო („ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი“).

ეს საოცარი გმირობა წიგნის კითხვით თავდავიწყებამ არგუნა მეფეს!

თვითონ იტყოდა ხშირად დავითი:

„კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“.

უბრწყინვალესად იცოდა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა, სასულიეროც და საეროც, წარმართულიც, ქრისტიანულიც, მაჰმადიანურიც. ვითარცა ისლამის დიდი მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმოშობაზე ეკამათებოდა დავით მეფე. ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს, განსაკუთრებით ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას და პოეზიას. თვითონვე იყო მემატიანეც, სიბრძნისმეტყველიც, ვარსკვლავთმრიცხველიც და პიიტიკოსიც. ისტორიის საგანიც სწორედ ისე ესმოდა, როგორც ანტიკური დროის მოაზროვნეებს: „ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო“. დავითიც მთელ თავის დაუცხრომელ მოღვაწეობაში სწორედ იმას ცდილობდა, რომ „გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი“ გაენეჭვრიტა, კაცობრიობის საისტორიო გამოცდილებით თავისი ხალხის წარსული შეეფასებინა და მომავალი სწორი გზით წარემართა.

ასეთ გონებაგრცელსა და განსწავლულ გვირგვინოსანს მართლაც შეეძლო ისეთი გაოცებისა და აღტაცების გამოწვევა, რაც მას თავისი მაღალნიჭიერი სიტყვით მოუხდენია ქართველ და სომეხ საეკლესიო და საფილოსოფოსო შეკრებაზე.

ხელმწიფე, თვითონ უზენაესი კულტურის მეუფე, საქართველოს მთელი კულტურული ცხოვრების დაუღალავი მზრუნველი, მფარველი და წარმმართველი იყო.

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული მოღვაწეობის სიმბოლო შეიქნა მისგან აშენებული გელათის სავანე.

1106 წელს დაიწყო მისი მშენებლობა — ქუთათისის მახლობლად, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი... აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატებს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა“.

განათლებულსა და განმანათლებელ გვირგვინოსანს კარგად სცოდნია, რომ საერთოდ რელიგიას არასოდეს არ შეეძლო „თავი დაეღწია“

მეცნიერებისაგან და ჩინური კედლით გამოჰყოფდა მას. თეოლოგია და თეოსოფია, ნება-უნებლიედ, ზედმეტნაკლები სისუსტითა და სიმტკიცით ფილოსოფიის ჭიპზე იყო მიბმული. ამიტომაც ყველა დიდ საქრისტიანო-სატაძრო-სასულიერო სავანეებთან საერო-სამეცნიერო-სახელოვნებო სავანეები არსებობდნენ. მით უფრო საქართველოში, სადაც ყოველთვის უცხო იყო ბნელთაბნელი ევროპული ინკვიზიციისა და სამარცხვინო „კანოსაში წასვლის“ რანგში აყვანილი ფანატიზმი, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველი „მეორე იერუსალემის“ (რელიგიური ცენტრი) გვერდით „მეორე ათინა“ (სამეცნიერო-სახელოვნებო ცენტრი) არ ყოფილიყო.

მთავარიც სწორედ ეს იყო: დავითმა გელათში ერთდროულად მთავარი ტაძარი-პასტოფორიონიც აღაშენა და სამეცნიერო აკადემიაც. დავითის ღვაწლით გელათი „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა“.

მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხუროთმოძღვარიც, უპირველესი ქვისოსტატიც და ოფლადდაღვრილი ქვათამტვირთველიც.

იმთავითვე ითხზვებოდა ლეგენდები მეფე-ტიტანის გასაოცარ შრომასა და ოფლისთხევაზე, ღვთაებრივ ძალღონესა და შრომით განსპეტაკებულ ზნემაღალ სულზე. თითქოს ღმერთები — აპოლონი და პოსეიდონი მიათრევდნენ მეგალითებს ტროას კედლებზე. ხმა დადიოდა ქვეყანაზე:

მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის ფუძის ყურეში რომ ორი უზარმაზარი (თითო არანაკლები ორ-ნახევარი ტონა) ქვაა ჩატანებული, ის ქვები მდინარე წყალწითელიდან ტაძრამდე დაკიდულ აღმართზე თვითონ დავითმა ამოიტანაო თავისი ზურგით.

ეშმაკი უშლიდაო ხელს დავით მეფეს გელათის მშენებლობაში; ამიტომ ერთ ღამით დავითი ეშმაკს დაუდარაჯდა და დაიჭირაო; ეშმაკი ჯორად იქცაო; დავითმაც ლაგამი ამოსდო, ზედ მოახტა და სამუდამოდ დაიურვაო ეშმაკი.

უფრო გვიან, ხალხს უნდოდა, ყოველი დიდი მშენებლობა სამი დიდი მნათობიერი ხელმწიფის — ვახტანგის, დავითისა და თამარის — სახელებთან დაეკავშირებინა. ერთი ლეგენდა დავითს გელათის, მცხეთისა და მარტვილის ერთდროულ აშენებას მიაწერდა. მფრინავი რაში

ჰყავდაო დავითს, ელვასავით დაჰქროდა და დაჰფოფინობდა სამივე დიდ პასტოფორიონს; ერთს დაიძახებდა მეფე: „ჰეეო!“ — და სამგონივე ერთად დაიდგმებოდა თლილი ქვები თავის ადგილზე...

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, გელათურ ანსამბლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა, ნაშენები დავითისაგან, ვითარცა ჰეშმარიტი განსახება „კაცთმოყუარებისა თვისისა“. ეს იყო ქ ს ე ნ ო ნ ი, სამკურნალო-საავადმყოფო (გინა „კლინიკა“) სნეულთა და დავრდომილთათვის, რომელთაც განსაკუთრებული გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობოდა გულმოწყალე ხელმწიფე. ყველაფერს „უნაკლულოდ და უხუებით“ გაიღებდა მეფე, რაიც კი ტანგანრღეულთა და სულით დაცემულთა ფეხზე დასაყენებლად იყო საჭირო. თვითონ მიდიოდა მეფე ავადმყოფთა მოსახილველად, ყველას სათითაოდ მოჰკითხავდა, ყველას გადაჰკოცნიდა, ყველას „აფუფუნებდის მამებრ“, გაამხნევებდა. მსწრაფლ გამომთელებას უნატრიდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა ყველა ავადმყოფის სამოსელს, საგებელს, პინაკ-ჭურჭელს და ყოველი სახმარი ნივთის ვარგისიანობას.

დიდი კულტურის ცენტრად იქცა გელათი.

დავითმა გელათს „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“.

მაგრამ გელათს მოჰყავდა არა მარტო ქართულ „სამეფოთა შინა პოვნილნი“ მოღვაწენი, არამედ სადაც კი საქართველოს გარეთ პატიოსნებით, ნიჭიერებითა და ღვაწლმოსილებით სახელმოხვეჭილი ქართველი შეიტყო და შეიგულა, სუყველა „მოიყვანნა და დაამკვიდრნა“ გელათს.

საკმარისია ითქვას: დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ მოიყვანა და „დაამკვიდრა“ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნენი — ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ო ნ ე ლ ი და ა რ ს ე ნ ი, შემდგომში ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი.

რამდენიმე წლის შემდგომ დავითმა არსენი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში გაგზავნა. აქ, იყალთოში, არსენმა დავითის მფარველობით და მზრუნველობით აღაშენა ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი — ი ყ ა ლ თ ო ს ა კ ა დ ე მ ი ა.

ხოლო ქართლში შიო-მღვიმის სავანე გააძლიერა და მესამე დიდ კულტურულ ცენტრად აღამაღლა დავითმა.

დავითი ძალიან ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სავანეებზე. მან „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი

არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი. მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა". ქართულ სავანეთა გარდა, დავით მეფეს დიდძალი საბოძვარი გაუღია იერუსალიმის „წმიდა ადგილთა" შესაწირად.

დავითმა სინას მთაზე „აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიათა სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა".

ყოველივე ამათ გარდა, დავით მეფემ „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი ეკლესიანნი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმინდა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნაძესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა".

ზემოთაც ითქვა, რომ დავით მეფე მარტო ქრისტიანთა მფარველი არა ყოფილა. იგი დიდი შემწყნარებლობით ეპყრობოდა ყველა ერის შვილს. განსაკუთრებით მფარველობდა, ამხნევებდა, ეხმარებოდა და წყალობდა მაჰმადიან სწავლულთ და ხელოვანთ. მუსულმანი პოეტებისა და სუფიებისთვის ტფილისში საგანგებო სახლიც აუგია ქრისტიან მეფეს. მათთან მიდიოდა, პოეტურ და ფილოსოფიურ მეჯლისებში მხურვალედ ებმებოდა და მადლიერებით წყალობას გასცემდა.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდისათვის. ჟამიდან ჟამზე ჰაბუკ ქართველებს აგზავნიდა უცხოეთის კულტურულ ცენტრებში სასწავლოდ და „საწურთნელად".

ჟამიდან ჟამზე დავითი სამართლის განსაჩინებლად გავიდოდა გზა-შარაზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის"; იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა სამფარველოდ და სამწყალობლოდ. ადიოდნენ ბორცვებზე, ხეებზე, კლდეებზე და იქიდან „ჰვრეტდნენ" გზას, რომელზეც უეჭველად გამოიცლიდა „მათი მეფე", მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მჩაგვრელთა დასაჩაგრავად.

ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით საკუთარი (არა სახაზინო) ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად გაიტანდა. თუკი ქისას საღამომდე დააცარიელებდა, სასახლეში ბრუნდებოდა „მხიარული სულით და პირით", ხოლო თუ ნახევარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარედ იტყოდა: დღეს ვერ გავეცი ჩემი ცოდვებით დამ-

ძიმებულმაო და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისას დაამატებდა, რომ მომდევნო დღეს როგორმე ყველა ერთად გაეცა წყალობად.

სწორედ რომ ჰეშმარიტს ბრძანებს სულკურთხეული მემატიანე დავით მეფისა: „ჩუენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიე ესე“.

ხოლო მე ეს გამახსენდა, კეთილო მკითხველო:

ძველი საბერძნეთის შინაგანად ამყვავებელი, უდიდესი დემოკრატი-რეფორმატორი და უზენაესი კულტურული აღმშენებელი იყო პერიკლე, ხოლო საგარეო მსოფლიოურ სარბიელზე უპირველესი, „მსოფლიოური ავტორიტეტის“ მომხვეჭელი — ალექსანდრე მაკედონელი.

და კადნიერი არ უნდა იქნეს დასკვნა ასეთი:

ის, რაც ბერძნული (ელინურ-ელინისტური) სამყაროსათვის ერთდროულად იყვნენ პერიკლე და ალექსანდრე მაკედონელი, საქართველოსთვის იგივე იყო მთლიანობაში დავით აღმაშენებელი.

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი!

ვინ მოთვლის, ისტორიის ჟამსაბრუნავში რამდენ დიდსა და მცირე გვირგვინოსანს მოუჭამია და მოუთელია თავის წილხვედრი წუთისოფელი და ვის რა ტიტულ-თიკუნი აუჩემებია და დარჩენია მისი სახელის უკვდავსაყოფად: „დიდი“ და „მცირე“, „ბრძენი და „შეშლილი“, „გრძელი“ და „მოკლე“, „სქელი“ და „თხელი“, „მრისხანე“ და „გულმოწყალე“, „ლამაზი“, „შავი“, „მამაცი“, „წმინდანი“, „ლომგული“, „ფრინველმჭერელი“ „ამაყი“, „მელოტი“, „წვეროსანი“, „ჩექმოსანი“ და კიდევ რამდენი და რანაირი!

მაგრამ, რომელი მათგანი შეედრება „ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ს“, რაიც მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ დავით ქართველთა მეფეს ამშვენებდა, ვითარცა მისი მადლიერი ერისაგან ნაძღვნევი ნათელიერი და ყოველისმეტყველი სამკაული!

„აღმაშენებელი“ იყო იგი არა მარტო ქართველთათვის, არამედ მის მიერვე დაარსებულ „კავკასიურ სახელმწიფოში“ შემავალი ყველა ხალხისთვის. განსაკუთრებით ბევრს ზრუნავდა იგი ქართველთა მარა-

დიული მოძმე სომხებისათვის. სამაგალითოდ ესეც კმარა: დაეითმა ქალაქი გორი დააარსა, შიგ მრავალი სომეხი დაასახლა დედა-წულიანად, ეკლესია-მონასტრებიც მრავლად აუშენა გრიგორიანულ-ქრისტიანული.

ჰეშმარიტად დიდი იყო დავით აღმაშენებელი — ერთდროულად პერიკლე და ალექსანდრე საქართველოისა.

მაგრამ დიდთა მოღვაწეთა მტერნი არასდროს დაელევიან.

ყოველ მტერთაგან უარესნი — შინაგამცემნი და შინაგამტეხნი.

ყრუდ, შეფარვით, ბრაზითა და ბოღმით გატენილნი დრტვინაკღნენ მეფის რკინის მარჯვენითა და რისხვეული ბრძანებით განპატიჟებული დიდებულნი, მსგავსნი აწ აღკვეთილი ლიპარიტისა და ძაგან ერისთავთა.

სწორედ ასეთი გაზულუქებული ფეოდალების თავხედობამ ათქმევინა დავით აღმაშენებლის მემატიანეს ეს სასტიკი სიტყვა:

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე ოვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“.

სწორედ ამნაირ „განსუქებულ ბოროტთაგან“ გაჩდნენ „მაბრალობელნი მეფისანი“.

მეფის ყურამდეც აღწევდა მსტოვართაგან მოტანილი შიშრეული „ბრალობანი“ მის მისამართით: ვისაც შეიყვარებს, იმას განადიდებსო, ვისაც შეიძულებს, იმას დაამდაბლებსო; სულ ომსა და შრომაში გვატარებინებსო, მოუსვენარი ცხოვრებით გვაცხოვრებსო და სხვა მისთანანი.

ერთი სიტყვით, ლომს ბრალად სდებენ, რატომ მაიმუნივით არ იმანჭება, რატომ კვერნასავით არ ცახცახებსო („ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკაცლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“).

ხოლო ლომის სმენას თითქოს არც მისწვდომოდეს წკავწკავი მჭეცთა ქვემდგომთა და ქვეგამხედვართა.

ვიდოდა იგი მხოლოდ ლომის გზით.

მეძნელებოდა დაჯერება, სიკვდილმა ქვეყნად
ნუთუ ოდესმე ესოლენი მსხვერპლი მოიმკო?
დ ა ნ ტ ე.

წუხილი დაამსობს სრულყოფილების მწვერვალზე
მყოფ კაცს.
ხ ა ი ნ ო ზ ა.

მაგრამ ქვეყნად მაინც მძლავრობდა ძალა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ, ისევე როგორც ალექსანდრე მაკედონელის ძარღვებში, დაკით აღმაშენებლის ძარღვებშიც მხოლოდ მოკვდავი ადამიანის სისხლი დაედინებოდა და არა ღვთაებრივი იქორი*.

ეს ძალა იყო სიკვდილი, უძლეველი და მარადიულად ყოვლისმმუსვრელი.

დავით აღმაშენებელსაც დასდევდა სიკვდილი.

დასდევდა ფეხდაფეხ, წამწამისად, თითქოს სურვიელი ტრფიალებით, ხან შიშრეულად, ხან გაბედულად, ზოგჯერაც სულ ახლოს მიბრჯნით, თვალში თვალის განწონვით.

სამოც ბრძოლაში შეხვდა დავით მეფეს სიკვდილი პირდაპირ, თვალდათვალ, მაგრამ სამოცჯერვე უკუიქცა მისი საოცარი სიმამაცით განმკრთალი და გაფითრებული.

მერე სიკვდილმა ბრძოლის ველს თავი მიანება და აღმშენებელს ჟამსა აღმშენებლობისასა მოუნდომა „ანგარიშის გასწორება“ და უკვე გუმბათს აღწეული გელათის ტაძრიდან ჩამოაგდო და მიწას დაანარცხა. ხალხში ხმა გავარდა მაშინ: სამას ხუთი აჭიმი დაადგაო თავზე სიკვდილის ხელში მოქცეულ მეფეს, სამასხუთიე უძლური აღმოჩნდაო და სიკვდილიც მაშინ იზეიმებდაო, გარნა გამოჩენილა სამასმეექვსე მკურნალი, გვარად ავშანდაძე, რომელსაც თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩაუწვენია მეფე და ესრეთ განუგდია სიკვდილი მისი სხეულიდან.

აგრე არ უნდაო, და ახლა უფრო ბოროტი გზით მოინდომა სიკვდილმა ამა ქვეყნიდან განპატიჟება ამა ქვეყნის უპირველესი კაცთაგანისა.

* იქორი — ღმერთთა სისხლი (ჰომეროსი).

ამჯერად მან შინაგამცემთა ხელით სცადა ბუმბერაზი გმირის მოცელვა. „და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ერთხელ, ქართლის რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის ჟამს, შუადღის სიცხეში, მეფე პერანგის ამარად გამოვიდა კარვიდან.

მკერდზე მცირე ოქროს ხატი უკრთოდა მთავარანგელოზისა.

ზედ ქართული ასომთავრულით ეწერა: „ღმერთო ყოელისა დაშბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე — მზე ქრისტიანობისაჲ. ამინ“.

კარებთან შედგა და უეცრად ციხის კოშკიდან მძლავრად ნასროლმა ქვიბურმა გაიზუზუნა.

მეფის შიშველ მკერდს წივილით დააცხრა ისარი და... თითქოს ბიტალო მკერდმა არ დაიშირაო, ძირს დაეცა ჭვინტმოქცეული.

ისარი სწორედ იმ ხატს მოხვედროდა.

ისევ მოსცარვოდა ხელი სიკვდილს.

მერე სანადირო ველზე გაჰყვა სიკვდილი ნადირობის მოტრფიალე მეფეს.

მუხნარის სანახებს მიჰყვებოდა ამხედრებული მეფე, წიგნის კითხვას ჩაღრმავებული. ძაღლების ყეფამ გაჰყარა წიგნს. ტყიდან ირემი გამოიშრა. დავითმა მშვილდ-ისარი გამართა და ცხენი მოსხლიტა. სწორ მინდორზე მუხანათად ჩაკვეთილი ხრამი ვერ შენიშნა კენტაურივით გაფრენილმა, და კენტავრი ერთბაშად ორად განიპო: ცხენი ხრამის კბოდეს შეასკდა, ხოლო უნაგირის ძარძაყიდან ასხლეტილი მხედარი შორს დაენარცხა „და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად“. სამი დღე სისხლს აღებინებდა მკერდიდან (რა გაეწყობა, არც ალექსანდრე მაკედონელის ძარღვებში დაედინებოდა იქორი—ღმერთთა სისხლი—და არც დავით აღმაშენებლის ძარღვებში).

მაგრამ მაინც ძლეულ წავიდა სიკვდილი.

ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს საარაკო გმირთან თამაში და მასთან მივიდა სულ უბრალო, უთვალავჯერ ნატკეპნი გზით და ნაცადი წესით. იქ მიაკითხა, სადაც სიკვდილს მიელის ყოველი ჩვეულებრივი კაცთაგანი. შინ, სახლსა შინა, ჩვეულებრივ მოკვდავთა სარეცელზე...

1125 წლის დამდეგს დავით მეფე ტფილისის სასახლეში იყო. საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განზრახვათა განსჯას მოანდომა. რომელიღაც დიდი საომარი ლაშქრობებისათვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

სწორედ ამ „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა უეცრად ფიქრი შეიბრუნა და მის აზრსაბრუნავში სულ სხვა რამ საფიქრალი შეიჭრა.

ა ნ დ ე რ ძ ი!

ხოლო ანდერძი და სიკვდილი მარადჟამეულ ერთ საფიქრალში ექცევიან.

ანდერძზე ფიქრს მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილზე ფიქრი აღძრავს.

ოჯახის წევრებს გადასწვდა გონებისთვალით მეფე.

პირველი ქორწინება ჰაბუკობის ჟამს — სავსებით „ყმაწვილს“ შერთეს ცოლი, სომეხი ქალი.

ამისგან შეეძინა პირმშო უფლისწული დ ე მ ე ტ რ ე, ახლა სავსებით დასრულებული ვაჟკაცი, ტანით და სულით ღირსი მემკვიდრე დიდი ხელმწიფისაგან ე!სოდენ აღზევებული ქართული ტახტისა.

მეორე ქორწ•ნება — დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული.

ამისგან, ჯერ ორი ასული — თამარი და კატაჲ, შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, ხოლო 1118 წელს, გიორგი ჰყონდიდელის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, მეფე-დედოფალს შეეძინათ უფლისწული ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, ანუ შინაურ სახელით — ც ვ ა ტ ა.

ძალიან უყვარდა უმრწემესი ვაჟი დავით მეფეს. მიტომაც არ სურდა სამეფო ტახტის უწილადოდ დაეტოვებინა იგი.

ხოლო, ტახტისმემკვიდრეობის წესი პირმშოობის პრინციპს ემყარებოდა: ტახტი ეკუთვნოდა მეფის უფროს ძეს, მერე ისევ ამ უკანასკნელის უფროს ძეს და ა. შ.

მაგრამ ახლა დავით აღმაშენებელს საწერანი მოემარჯვებინა და ტახტის მემკვიდრეობის ძველ წესს „ასწორებდა“:

საქართველოს მეფე შეიქნება დემეტრე (ეს—„ძველი წესით“), ხოლო დემეტრეს ევალება თავისი უმცროსი ძმა (ნახევარ-ძმა) ცვატა-ვახტანგი სამეფოდ აღზარდოს და თავის შემდგომ „მეფე ჰყოს მამულსა ზედა“ (ეს — „ახალი წესით“).

ცვატა-ვახტანგის შემდგომ კიდევ ერთი ასული შესძენია მეფეს — ისიც თამარი, დემეტრემ უმრწემეს თ•მარზედაც უნდა იზრუნოს, ვითარცა საკუთარ დაზე და მამის „შვილსა საყუარელზედა“.

ანდერძი მზად იყო.

იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე, საკუთარი ხელით „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატი-

ოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა, რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანთა, და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით".

იმავ დღეებში განასრულა დავით მეფემ „გალობანი სინანულისანი", გასაოცარი აღსარება, ზენაარ სულის პოეზია და ფილოსოფია.

ბუნებისაგან მონიჭებული ძალები „სჯულთაებრ" ვერ გამოვიყენეო და მრავალი ბოროტება „დაჰბადეო" (ალბათ, ამას ეძახდა „ბოროტებას": მისი ერისა და ქვეყნის მტრებს ბოროტებისთვის „ბოროტებით" რომ უხდიდა და არა „სიკეთით").

თვალხილულ „გემოვნებას" და გრძნობებს კარები ფართოდ გავუღეო, ენებების მონა შევიქენიო, „ხორცთა შჯულს" დავემონეო (უეჭველად, საყვარელი ქალისადმი ტრფიალებაც „იმონებდა" სხეულით სრულქმნილ ვაჟკაცს. ამავე „სისუსტეებს" უჩიოდა ალექსანდრე მაკედონელი, როცა ამბობდა: ძილმა და ქალისადმი ლტოლვამ ყველაზე მეტად დამარწმუნა, რომ მეც ადამიანი ვარო).

ციურ ძალებს ვეთაყვანებოდიო, ვარსკვლავთა და ცთომილთა ვსწავლობდი და ვუკვირდებოდიო, საღვთო საქმეებში ვიჩქურებოდიო — ვეჯვობდიო (მეცნიერებას „სწუხდა" ხელმწიფე).

საღვთო წიგნთა სჯულნი დავთრგუნეო და მათ ნაცვლად „სჯული გონებისაჲ" ვიწამეო (ისევ მეცნიერულ „ცოდვას" მიანიშნებდა მეცნიერი გვირგვინოსანი).

„სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდიო დასაპყრობლად" (დიახაც, „ცოდვილი" იყო მშობლიური ქვეყნის სამტრო ქვეყანათა დალაშქრა-დაპყრობაში).

„მარტოჲ ემკვიდრობდიო ქუეყანასა ზედა" (დიახაც, მარტო იყო, ერთადერთი, დავით აღმაშენებელი).

„ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა" (რა სიმძიმილია ამ ძუნწ სიტყვებში; არკი გაგვიმხილა, რა „ხენეში" სულთა-ძვრანი წაჰკიდებოდა მის ხელმწიფურ სარეცელს. ორცოლიანობა? ან რა იყო, რა ნებითა და უნებობით პირობაქმნილი მისი ორივე ქორწინება? ან იქნებ სხვა რამე „მძლავრობა" მოეხდინოს ეფემერად გრძნობას აყოლილ მეფეს მისი საქორწინო სარეცლის მიღმა?!).

ასე დაწერა და დაუტოვა შთამომავლობას დავით აღმაშენებელმა

„გალობანი სინანულისანი“, მსგავსად დავით წინასწარმეტყველისა, გასაოცარი და შემაზრზენი, ავტორის სასტიკი სულიერი თვითგვემით...

ასე განარიგა დავითმა უკანასკნელი დღენი ამქვეყნიური წუთისოფლისა.

და შევიდა სახლად, საიდანაც უნდა შეერთებოდა სამყაროს, „რომლისა შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა“.

სიკვდილიც შეჰყვა რკინის ფეხით „სახლსა სადავითოსა“.

შეჰყვა, რადგან სწამდა: არც დავით მეფის ძარღვებში ჩქეფდა იქორი — ღმერთთა სისხლი.

იდგა 1125 წელი, 24 იანვარი, დღე შაბათი.

საღამო, სიკვდილის ფერი.

და საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი.

ტფილისის სასახლეში „ჰრულითა რათამე შუენიერითა დაიძინა“ მან.

იწვა ვაჟკაცი თვალდაწუხვილი, რომელმაც მანამდე „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა“.

იწვა „სახლსა სადავითოსა“ დავით აღმაშენებელი.

უპირველეაი, სვემაღალი და ჯავარსრული ხელმწიფე-ერისიონი.

„მესიის მახვილი“.

საქართველოს პერიკლე და ალექსანდრე მაკედონელი.

ქვეყნის გამათავისუფლებელი ღა გამაერთიანებელი.

მრავალმხრივი რეფორმატორი და უბრძენესი სჯულმდებელი.

უბწყინვალესი ზორავარი და სწორუპოვარი მხედარ-მეომარი.

„მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“.

სამოცი ძლევამოსილი ბრძოლის კავალერი.

გონებავრცელი პოლიტიკოსი და შორსმხედველი დიპლომატი.

უანგარო მამა და პატრონი ერისა თვისისა.

დიდსულოვანი „ინტერნაციონალისტი“ და შემწყნარებელი მოყვასთა ყოველთა, განურჩევლად ყოველი ეროვნული წარმომავლობისა, „სომეხი ერის გამათავისუფლებელი, მფარველი და მეგობარი“.

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვან-

შაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმფლობელობით ბატონი".

კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებელი.

უგანათლებულესი მწიგნობარი.

ბრძენთაბრძენი ,პიიტიკოსი.

დიდმეცნავი ფილოსოფოს-თეოსოფოსი.

კაცი, რომელშიც ენთო ყველაზე დიდი ქართული სინათლე.

კაცი, რომელმაც ისეთი შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო. (მართლაც ძლიერი ყოფილა სიკვდილი, რომელმან შეძლო შემუსვრა დავით აღმაშენებლისა!)...

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელი, აღესრულა 52 წლისა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი შერჩა მისგანვე სვეამაღლებულ ქართველ ჯავარდნებს — დ ა ვ ი თ ფ ე რ ულ ი.

მისი სახელი უმშვენიერეს თიკუნად დაებეჭდა მისგანვე აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას — დ ა ვ ი თ ი ა ნ ი (ამიერიდან— გორგასლიან-დავითიანი).

ტფილისიდან გელათს წაასვენეს მისგანვე აშენებულ სავანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის გზა-ბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენეს მისი ცხედარი.

(მაშინვე გავრცელდა ლეგენდა: მეფემ დაიბარა, გზაზე დამმარხეთ, რამეთუ ჩემმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო...).

უზარმაზარ, გოლიათური ცხედრის ტოლ ქვაზე ამოკვეთეს ეპიტაფია:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო რაჲთუ მთნავს ესე".

ხოლო ქართველმა ხალხმა სამარადჟამოდ მკერდზე დაიწერა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ლექსი-ეპიტაფია:

„ვის ნაუარშაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თეზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს".

# შეძლებად აღმაშენებლისა

## დეპეტრე პირველი

ჯერ კიდევ თბილოდა უზენაესი მამულიშვილური გზნებით, დანავლებული გვირგვინოსანის სამარტვილეში.

ქვრივი დედოფალი გურანდუხტ მონაზონთა ამალით, თვითონ მონაზვნის ჩოხით შემოსილი და თმაგადაპარსული, იერუსალიმს მიეშურებოდა.

შავოსან-ფიჩოსანთა ამალას წინ მიუძღოდა უბრწყინვალესი ქართული ჯვარი ოქროისა, უძვირფასესი ქვებით მოოჭვილი, „ჯვარი — ვერავითარი ფასის შესადარი“.

იერუსალიმს მივიდა გურანდუხტი და იქ დაემკვიდრა სამუდამოდ, ქრისტეს მსახურად, რათა მისი „ამქვეყნიური საცხოვრისი“ სამარადჟამოდ დასრულებულიყო ღვთაებრივი მეუღლე-მეუფის აღსრულებასთან ერთად.

მალე ქართველთა მონასტრის საჭიროებისათვის გურანდუხტმა იმ საოცარი ჯვარი გაჰყიდა. ფრანგმა ბერმა ანსელუსმა იყიდა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირა. თან ასეთი წერილიც გააყოლა ანსელუსმა ქართულ ჯვარს: „ამ ჯვარს დიდ თაყვანს სცემდა საქართველოს მეფე დავითი, სანამ იგი ცოცხალი იყო; ეს ის დავითია, რომელიც თავის წინაპართა მსგავსად, ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულ ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი, რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასე ვთქვათ, ჩვენი წინა-ბურჯი მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ...“.

ხოლო, საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა დემეტრე პირველი.

დემეტრეს თავიდანვე მიიჩნევდნენ დავითის ღირსეულ მემკვიდრედ. თვითონ დავითიც ფრიად აქებდა თავის პირმშოს, დემეტრე მე მჯობსო „სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნითა“. ეს დიახაც გადაჭარბება იყო საკუთარ ღირსებათა კრძალული მოხსენიებით ცნობილი დიდი ხელმწიფისაგან, მაგრამ საქართველოს ახალი მეფე მაინც ემსგავსებოდა „ძირსა კეთილსა დავითიანსა, ძესა ღმრთივ-დანერგულსა და ცხებულიანსა“.

დავითი ყრმობიდანვე აჩვევდა პირმშოს საომარ ველს და საბოქაულაქო მეუფებას. ზემოთაც ითქვა, რომ დავითმა 1117 წელს ჯაბუკი დემეტრე გაგზავნა შირვანს სალაშქროდ. დემეტრემაც შირვანს „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევა-მოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა სავსე ალაფითა და ტყვეთა ურიცხვითა“.

### ანისისათვის

მეფედკურთხეული დემეტრესათვის მთავარი საზრუნავი დიდებული მამისაგან დატოვებული მემკვიდრეობის მოვლა და შენარჩუნება იყო. 1125 წელსვე ირანელებს დავით აღმაშენებლის სიკვდილი ხელსაყრელ დროდ ჩაუთვლიათ და დმანისსა და ხუნანს შემოსევიან. დემეტრე მეფეც ფიცხლავ გაიჭრა ქართველთა ჯარით, მტერს ორივე ციხე დააგდებინა და საქართველოს სამფლობელოთაგან გადარეკა.

განსაკუთრებით ქალაქ ანისის საკითხი დაისვა მწვავედ დემეტრეს საპოლიტიკო ცხოვრებაში. გავიხსენოთ, რომ 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისში მესხი აზნაურები ჩააყენა და სამმართველოდაც ქართველ დიდებულს, აბულეთსა და მის შვილს ივანეს ჩააბარა, ხოლო ანისის მანამდელი მაჰმადიანი მმართველი აბულ-სოვარი თავისი რვა ძითურთ აფხაზეთს გადაასახლა. აბულ-სოვარის შვილები დავით აღმაშენებლის სიკვდილისთანავე შეუდგნენ ანისის დაბრუნებისათვის ბრძოლას. მათ უკან თურქთა დიდი ძალები იდგნენ. აბულეთმა ბრძოლაზე ხელი აიღო და ანისი დათმო. დემეტრე მეფემ აბულ-სოვარის შვილებისგან ყმადნაფიცობისა და სამარადისო ერთგულების ფიცი მიიღო და ანისიც მათ ჩააბარა სამმართველოდ. იმათაც ქართველი მეფის ქვეშევრდომობისათვის სიკვდილამდე არ უღალატნიათ.

1130 წელს დემეტრემ დაასრულა მამისაგან დაწყებული გელათის მთავარი ტაძრის მშენებლობა და საზეიმოდ აკურთხა იგი.

### დემეტრეს სახლეული

საზეიმო განწყობილება მალე ჩაშხამდა მეფეს. მის დასამხობად ძლიერი შეთქმულება ყოფილა გამართული. მისი ერთ-ერთი მოთავე აბულეთის ვაჟი ივანე აღმოჩნდა. ივანე შეიპყრეს და გამოსტეხეს: შეთქმულებს განზრახული ჰქონიათ, დემეტრე ჩამოეგდოთ და მისი

ძმა ვახტანგი (ცკატა) გაემეფებინათ. რისხვით ატანილ დემეტრეს მამის ანდერძი დააივიწყდა და ძმას, „სამეფოდ აღზრდის“ ნაცვლად, თვალები დათხარა, ხოლო ივანე აბულეთის ძეს თავი გააგდებინა.

1138 წელს დემეტრემ განძაში ილაშქრა, ქალაქი აიღო, მისი ალაყაფის კარები ბჭეთაგან ჩამოხსნა და გელათს ჩამოიტანა. იგი დღემდე ინახება გელათში.

1150 წლის მახლობლად ისევ მოეწყო შეთქმულება დემეტრეს დასამხობად. ამჟამად მისი უფროსი ვაჟი დავითი მოქმედებდა მამის წინააღმდეგ. დავითი ასეთ სასტიკ გზას იმიტომ დასდგომია, რომ დემეტრეს უფროს ვაჟზე მეტად უმცროსი — გიორგი შეჰყვარებია და ტახტის მემკვიდრედაც გიორგის ამზადებდა. დავითს გადაუწყვეტია ტახტიდან ჩამოეგდო მამა, „მარჩეველი ძისა უმცროსისა“, და შეთქმულებაში ბევრი დიდებულიც ჩაუთრევია. დემეტრემ დროზე შეიტყო, შეთქმულები გამოააშკარავა, შვილს აპატია, ხოლო დანარჩენთაგან ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც პატივი აჰყარა და სამშობლოდან გააძევა.

იმავე ხანებში დემეტრემ ოვსეთის მეფეს, დავითს (გიორგი პირველისა და ალდეს შვილიშვილს), ცოლად შერთო თავისი ნახევარდა, თამარ უმრწემესი (დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული) რომელმაც აღაშენა მონასტერი თიღვაში (ამ ქორწინებამ წარმოშვა ათონი, დავით სოსლანის პაპა).

1153 წელს კარნუ-ქალაქის (არზრუმი) ამირა სალდუხი ანისს შეესია თურქთა უზარმაზარი მხედრობით. დემეტრეც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესასვედრად. ქალაქის კედლებთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველთა ძლევამოსილებით გათავდა. აუარება თურქი გაწყდა, ან ტყვედ ჩავარდა. ქართველებმა დაატყვევეს თვითონ ამირა სალდუხი. ერთხანს ტფილისის ციხეში ჰყავდა ჩაწყვდეული თურქთა მეუფე დემეტრე მეფეს. მერე დიდსულოვნად შეიწყალა და გაათავისუფლა.

დემეტრე გარეშე მტრებს ყოველთვის მამაცური მხნეობითა და შემართებლობით სჯაბნიდა, მაგრამ შინაური, სასახლის კარზე აშლილი ვნებათა ღელვანი მაინც ვერ იქნა და ვერ დააცხრო მეფემ. მაინც არ ისვენებდა უფლისწული დავითი, ავადმყოფური ეჭვიანობით განიცდიდა მამის „გამორჩეულ სიყვარულს“ უმცროსი ძისადმი და დაუოკებელი გზნებით ეტანებოდა სამეფო ინსიგნიებს.

1155 წელს სრულიად მოულოდნელად დემეტრე მეფემ საქართვე-

ლოს ტახტ-გვირგვინი დავითს მიუგდო, თვითონ სამეფო სამოსი განიძარცვა და ბერის ჩოხითა და სქემით შემოსილი სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა.

ახლად გვირგვინნაკურთხმა დავით მეხუთემ იმით დაიწყო, რომ დემეტრეს მოღალატე და ღალატისათვის სიკვდილით დასჯილი ივანე აბულეთის ძის შვილი თირქაში საპყრობილიდან გამოუშვა და ამირსპასალარად დანიშნა.

ახალი მოულოდნელობა ის იყო, რომ იმავე 1155 წელს, გამეფებიდან მეექვსე თვეს, გარდაიცვალა დავით მეხუთე.

დავითს დარჩა მცირეწლოვანი ძე — დემეტრე, ანუ შინაური სახელით — დემნა.

შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, ისევ მოუბრუნდა გული მეფობისკენ დემეტრე მეფედყოფილს. ბერული ანაფორა გაიძრო, კელაე სამეფო ტახტს დაუბრუნდა და თანამესაყდრე ხელმწიფედ დაისვა თავისი რჩეული შვილი გიორგი.

## აღსასრული დემეტრე პირველისა

ამის შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლია დემეტრე პირველს. 1156 წლის დამდეგს ბელტის-ციხეს იყო და იქ მიიცვალა ღრმადმოხუცი მეფე „სვიანი და გამარჯუებული, სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა ძლაბალი, და გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქურიეთა განმკითხველი, მაშენებელი საყდართა და ეკლესიათა... ტკბილად მოუბარი, უხვი და მბრძებელი“.

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თეით-ხელმწიფობით მპყრობელი“.

დარჩა ორი შვილი: ასული — რუსუდან, ძე — გიორგი.

წამოიყვანეს და მისგანვე ნაკურთხ გელათის ტაძარში დაკრძალეს.

დავით აღმაშენებლის უზარმაზარი მემკვიდრეობა სრულად ჩააბარა თავის შვილს, საქართველოს ახალ ხელმწიფეს — გიორგი მესამეს.

დემეტრე იყო დიდად ნიჭიერი და განათლებული პიიტიკოსი. ბრწყინვალედ ფლობდა ბერძნულ, სომხურ, არაბულ და ასურულ ენებს (1148 წელს არაბულ და ასურულ ენებზე მიწერ-მოწერა ჰქონდა სელჩუკიანთა დიდ სულტანთან, სანჯართან).

დემეტრესთვის მიუძღვნია დიდი ისტორიული პოემა იოანე პიმჭიშელს, სახელოვან ფილოსოფოსსა და პოეტს.

დღემდე ცოცხლობს დემეტრე მეფის უბრწყინვალესი სიმღერა-საგალობელი, განრისებული ხელმწიფისა და პოეტის იდუმალი სულის ნაყოფი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღუაეებული,
ნორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
აღვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული.

## ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე

## „ლოცთა უმცნესი და არწივთა უმაღლესი“

ვითარ ცამთა და ცამთა ზეკარდმო ჩინებითა
აღმონათდებიან ქუეყანის მფლობელნი.

ი ს ტ ო რ ი ა ნ ი და ა ზ ი ა ნ ი
შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ თ ა ნ ი.

### გამოსვლა გიორგი მესამისა

საქართველოს ტახტზე კვლავ ძლიერი მბრძანებელი დაჯდა, გიორგი მესამე, ღირსეული ნაშიერი დიდი დავით აღმაშენებლისა, მამამისზე, დემეტრეზე, დიახაც უფრო აღმატებული ენერგიისა, გმირული სულის რაინდი, მტკიცე ნებიანი, შინა და გარე მტერთა მიმართ შეუპოვარი, ბრძოლასა შიგან უმამაცესი მეომარი, საომარ განაგისში უნაჭიერესი ზორავარი, ნადირობის მოტრფიალე, უბადლო ჩუბინი-მოისარი.

დემეტრე უმეტესად აღმაშენებლისგან მიღებული მემკვიდრეობის შენახვაზე ზრუნავდა, ხოლო გიორგიმ ისევ განაგრძო თავისი დიდი პაპის ფართო შეტევითი პოლიტიკა საქართველოს საბრძანისის გასაფართოებლად.

სამხრეთით, სომხეთისა და რანის საზღვრებთან, ისევ მძლავრობდნენ თურქული სასულტნოები და საამიროები. მათ შორის უძლიერესი იყო ხლათის სასულტნო, ანუ შა-ჰ-არ-მ ე ნ-თ ა სახელმწიფო.

პირველად მეფე გიორგიმ კაღზევანს მოაწყო დიდი ლაშქრო-

ბა, შაჰ-არმენი სასტიკად დაამარცხა და „წარმოტყუენა ყოველი ხევნები კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა“. ეს ამბავი გიორგის გამეფების წელსვე (1156 წ.) უნდა მომხდარიყო.

**ისევ ანისისათვის**

როგორც ეტყობა, გიორგის არ მოსწონდა, რომ ქალაქი ანისი მამამისმა აბულ-სოვარის ნაშიერთ ყმადნაფიცობის ფორმით ჩააბარა. ამიტომ იგი 1161 წელს, აგვისტოში, ანისის სავსებით შემოსაერთებლად და შემოსამტკიცებლად გაემართა. ქალაქს ორშაბათ დღეს მიადგნენ ქართველები და დასასვენებლად დაიბანაკეს. სამშაბათ დილით მეფემ იერიში ბრძანა. სასტიკი ბრძოლა და „ძგერა ჰუნეთა“ მუსულმანური მხედრობის განადგურებით გათავდა. გიორგიმ ანისში ციხოვნად ორი ათასი ქართველი ჩააყენა. ქალაქი სამმართველოდ თავის ამირასპასალარს — ი ვ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ს ჩააბარა, ხოლო თანაშემწედ ს ა რგ ი ს მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი დაუნიშნა.

ანისიდან გიორგი მეფე ნადირობით გამოუყვა მთასა და ბარს. მაგრამ განცხრომისათვის დიდი დრო არ დარჩენია. ქართველების ახალი წარმატებით შეშფოთებული და ზარდატეხილი მუსულმანური სამხრეთი ალმაჭურად აღიჭურვა ჩრდილოეთის დასალაშქრავად.

მოდიოდნენ სულტნები, ამირები, ათაბეგები, სარანგები. 80 000 მუსულმანურ მხედრობას მოუძღოდნენ: შაჰარმენი სულტანი ნ ა ს ი რ ად-დ ი ნ ს უ კ მ ა ნ II, დიარბეკრის ამირა კ უ ტ ბ ად-დ ი ნ ი ლ ღ ა ზ ი და არზრუმის ამირა ალ-მ ე ლ ი კ ს ა ლ ი კ-ს ა ლ ტ უ ხ ი.

გიორგი იმ დღეს, — როცა მტრის აღძვრის ამბავი აცნობეს — ნაჭარმაგევს იყო ჯირითითა და ისრის სროლით გართული. მეფემ სასწრაფოდ „იხმნა დასნი და დასნი“ ქართველთა მხედრობისა. რაკი ძალზე ეჩქარებოდა, ლაშქრის სრულ წვევასაც აღარ დაუცადა, — აღარ დაელოდა „სახელგანთქმულ ჰაბუკთა ლიხთიმერეთით“,— უკვე გამზადებულ ქართლელთა ჯარი იკმარა და მისი თანხლებით, სულ 9 000 კაცით, ფრთამალედ გაემართა სამხრეთისაკენ.

მეფეს თანამოლაშქრეობდნენ: მწიგნობართუხუცესი ი ო ვ ა ნ ე, ს უ მ ბ ა ტ „ს ვ ი მ ო ნ-ჭ მ ნ ი ლ ი“, ამირახორი ლ ი პ ა რ ი ტ ს უ მბ ა ტ ი ს ძ ე, ბ ე ქ ა ს უ რ ა მ ე ლ ი და ქ ი რ ქ ი შ ა ბ უ ლ ე თ ი ს ძ ე.

სულტნები და ამირები „დიდითა და მიუწვდომელითა ძალითა და

უჰამრავითა ლაშქრითა" უკვე ანისს მოსდგომოდნენ და იერიშებიც წამოეწყოთ ქართულ ციხოვანზე.

გიორგიმ ჯარი მტრის თვალდათვალ შეაყენა, საომრად განარიგა, ჩამოუვლა „მტკიცედ აზევებულმან ჰუნესა ზედა" და მძლავრი, ზახიანი ხმით შეუძახა:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თქვენ კარგად იცით, რაზომ დიდად კეთილ არს სიკვდილი ქრისტესათვის და სამშობლოსათვის, გამორჩეული სიკვდილი თვით ბუნებითა მკვდართა სხეულთაგან. კარგად იცით, რაოდენ უფრო სასახელო არს მხნეობრივ სიკვდილი, ვიდრე სიკვდილი სენითა განდნობითა განლეულებასა შინა. მხოლოდ გმირული სიკვდილი არგუნებს ვაჟკაცს უკვდავებას. ჩვენ ხომ აქამდე გვესმის ძველთა მომთხრობელთაგან, რაოდენი კვეთებანი თავს ისხნეს სალმრთოთა სჯულთათვის ტომმან ებრაელთამან, ანდა ძველ ჰელინ-ბერძენთა, რომელთაც წინამძღოლობით უცთომელი სპასპეტის, თემისტოკლე ათენელისა, — ვინაც ზღვაც კი მტკიცე ჰყო მტერთან საომრად — სძლიეს ქსერქსე, რომელიც მისი უთვალავი მხედრობით უკუნრღვეულ იქმნა ათენელთა ერთისსა ოდენ ქალაქისაგან.

„აწ ღირსთა ანდა ლომნო ჩემნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და ჰოროლნი და ვუკმირნოთ ურწმუნოთა!"

სიტყვა განასრულა და სამ ნაწილად გაჰყო ლაშქარი — თითოეულში 3 000 მეომრით. ერთი ნაწილი ამილახორ ლიპარიტ სუმბატის ძეს ჩააბარა, მეორე — ბექა სურამელს, მესამე თვითონ დაიანარჩუნა და „ღიმილითა და სიცილით მლაღობელმან" შეუძახა ლიპარიტსა და ბექას: ჩვენ სამთაგან მჯობნი ის იყოს, ვინც პირველმა უხეთქოს და ძირს დასცესო მტრის დროშა.

სამი მხრიდან, მჭიდროდ შეკრული შუბების „ჯაგრისით" გამართულნი, მიეტევნენ ქართველები უთვალავ მტერს.

ბრძოლა მძიმე იყო და სისხლდამდინარი.

გიორგიმ გაარღვია მტრის შუაგული, ფართო წიაღსვლით შეიჭრა მასში, თვითონ მიეჭრა გულდაგულ და ხმალი „უხეთქნა" მედროშეს. დროშის დაცემამ შეაძრწუნა მუსულმანთა მხედრობა. ბრძოლის სასწორი ისევ ქართველთა ძლევამოსილებით შექანდა. უწესრიგოდ გაქცეულ მტერს მზის ჩასვლამდე სდიეს. მერე შემოჰრუნდნენ და იხილეს მტრის გვამებით დარეცილი საომარი თალპიონი: მაჰმადის 7000 მეომარი ესვენა განგმირული; 2000 ტყვედ ჩავარდნოდათ ქართველებს; ტყვეობის ბორკილები დაედოთ 6 მთავარ-სარანგს

და 150 დიდ ამირას. აურაცხელი ნადავლიც ერგოთ გამარჯვებულებს: „სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეული“.

ანისის მცხოვრებნი დიდხანს, მრავალ ათეულ წელთა მანძილზე, მათი ქალაქის მისადგომებთან მოიძევებდნენ ქართველთა ხელით დამიწებულ თურქულ საომარ აღჭურვილობას და ჟანგით დაგესლილ საჭურველით შეჭურვილ ადამიანთა ჩონჩხებს.

სამი დღე დაჰყო გიორგი მეფემ ანისში. ქალაქის მცხოვრებლები დააწყნარა და დააშოშმინა. ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიური რწმენისა, დიდძალი საბოძვარი გაიღო, სულ — 40 000 დრაჰკანი. ტყვეობიდან გამოიხსნა და მშობლიურ კერას დაუბრუნა სამშობლოდან ფეხამოკვეთილი ყველა ანისელი, ისევ განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა.

ანისიდან გიორგი არზრუმ-კარნუქალაქისაკენ წარემართა. ქართველებმა არზრუმელთა ლაშქარიც სავსებით გაანადგურეს, ხოლო მათი ამირა სალიკ-სალტუხი ტყვედ წამოიყვანეს. მერე სალტუხის დამ, შაჰ-ბანუ ვარმა (რომელიც ხლათის სულტანს ჰყავდა ცოლად) გიორგის ძვირფასი ძღვენი გამოუგზავნა და ძმის გათავისუფლება სთხოვა. რაინდმა მეფემაც აღასრულა თურქთა დედოფლის საჭმელებელი.

### დვინთან და გაგთან

მომდევნო 1162 წელს, ზაფხულში, გიორგიმ ახალი დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთისაკენ, დიდი სომხური ქალაქის, დვინისაკენ, სადაც მაშინ მუსულმანთა საომარი ძალები შემომდგარიყვნენ.

ბრძოლა ქალაქის მისადგომებთან გაიმართა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მოპირდაპირე. მაჰმადიანთაგან, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ქალაქს მიაშურა თავშესაფარებლად, ქართველები ლტოლვილ ბუტერს მიჰყვნენ და თვითონაც ქალაქში შეიჭრნენ. დვინის ქრისტიანი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა გამათავისუფლებლებს. გიორგი სასტიკი წინააღმდეგობისათვის სასტიკადვე გაუსწორდა მაჰმადიან დამპყრობლებს.

ქართველები დიდძალი ტყვითა და ნადავლით დაბრუნდნენ ტფი-

ლისში. „სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა“.

ქართველების ახალმა დიდმა გამარჯვებებმა მთელი მუსულმანური სამყარო შეარყია და ფეხზე დააყენა. შეიყარა უზარმაზარი კოალიციური მხედრობა ხვარასნის, ერაყის და ირანის მუსულმანთაგან.

მანამდე გიორგის ერაყის სასულტნო კართან მოყვრობა ჰქონდა, სულტან სულეიმან-შაჰს ცოლად ჰყავდა გიორგის და რუსუდანი. მაგრამ ეს მოყვრობაც მაშინ მოიშალა, როცა სულეიმან-შაჰი მოკვდა (1161 წ.) და ქვრივი რუსუდანი საქართველოში მობრუნდა. ერაყ-ირანის ახალი სულტანი, არსლანი, სამტროდ მოემართებოდა ამიერკავკასიისაკენ. მუსულმანურ ურდოს სულტან არსლანთან ერთად მოუძღოდა სპარსელი ათაბაგი ელდიგუზ. წამოემართნენ, სომხეთს შემოესივნენ, ქალაქ გაგს მოადგნენ, აიღეს და ააოხრეს.

„ცნა ესე სახელგანთქმულმან და უძლეველმან მხედარმან და უებრომან ჰაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავი ლაშქრითა“.

როგორც კი ფრთამალედ მომქროლავი ქართული ლაშქრობა გამოჩნდა, გული შეუდრკათ სულტან არსლანს, ათაბაგ ელდიგუზს და „ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა“, და თქვეს:

„არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ!“

თქვეს და ქალაქი გაგი საკუთარ ბანაკთან ერთად დააგდეს და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იოტნეს. ქართველებმა ერთხანს სდიეს მტერს, მდინარე ეკლეცზე კიდევაც წამოეწივნენ, უკანაკერძონი ცხენებიდან ჩამოყარეს და მდინარეში ჩახოცეს. აქ ქართველი დიდებულები, განსაკუთრებით ჰერეთის ერისთავი ვარდან კოლონკელის ძე, შეუჩდნენ მეფეს, გაქცეულ მტერზე უფრო შორს გამოდევნება ღვთის მიმართ „აღზუავებულობა“ იქნებაო, და იერიშზე ხელი ააღებინეს.

მეფე შემოიქცა, ლაშქარი განუტევა და თვითონ მცირე ამალით დმანისისა და ლორეს მთებს მიმართა სანადიროდ. აქ მას ხლათის სულტანის, შაჰარმენ იბნ სოკმან ალხოტბისაგან ელჩი

შოუვიდა, ვითომ მშვიდობიან-მეზობლური ურთიერთობის ჩამოსაგდებად, ხოლო სინამდვილეში „მოციქული სულტანისა, კაცი მოგვი და ტრელი“ (მზაკვარი), ქართველთა დასაზვერავად მოსულიყო.

„არს ჟამი...“

არც ეს სცოდნია გიორგი მეფეს: გაგიდან გაქცეული არსლან სულტანი და ელდიგუზ ათაბაგი გელაქუნს ასულან, იქ ახალი ძალები შეგროუკრებიათ, მარაღას მთავარი ა ღ ს ა ნ კ ო რ ი ც და სხვა მრავალი ამირა და ათაბაგი შემოუერთებიათ. გელაქუნიდან მუსულმანთა ურიცხვი მხედრობა ქალაქ ანისს შემოსევია. ანისის მმართველი თ ო რ ე ლ ი, „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“, მედგრად დახვედრია მტერს.

ყოველივე ამის შესახებ გიორგიმ არც მაშინ იცოდა არაფერი, როცა შაჰარმენის ელჩი ლორეს მთებიდან გაისტუმრა. ხოლო ის ელჩი-მსტოვარი სულტნებს ეახლა, ქართველი მეფის ადგილსამყოფელი და მისი ბანაკის მცირერიცხოვნება აუწყა და ზედ დაურთო: ახლა დაგიდგათ ჟამი ქართველთა მეფის ხელთგდებისა და უკეთუ იგი ხელიდან გაუშვით, სამარადჟამოდ ფუჭი იქნებაო ყოველი ცდა მის წინააღმდეგ.

შუაღამე გადასული იყო. ღრმად ეძინა სანადირო კარავში მეფეს, ნადირთა დევნით დაღლილ-დაქანცულს. უგრძნეულად მოეჭრა მტერი. მონადირეები ფეხზე წამოიჭრნენ და ძილ-ღვიძილიდან თავდაუხსნელნი ეკვეთნენ იარაღს. გიორგიმაც ძლივს მოასწრო აღჭურვა და ამხედრება. ფიქრიდან თავდაუღწევლად და ფიქრზე უმალესად შეება მომხდურთ ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“. ფიცხელი ხმალთაკვეთებით მისდევდნენ ქართველები წინ გაჭრილ მეფეს. რიყრაჟის ციაგზე საცნაური გახდა მაჰმადიანთა მხედრობასთან ერთნუჭა ქრისტიანთა ბრძოლის უსაზღვროობა. ამირსპასალარი ივანე ორბელი პირველი მიეჭრა მეფეს და უკან გამობრუნება ეაჯა. სხვებიც ძიცვივდნენ და ძალით, თითქმის „შეპყრობისა სახედ“, გამოიტაცეს მეფე უეჭველი სიკვდილის გარემოდან.

ერთხანს მოსდიეს მაჰმადის მხედრებმა, მაგრამ როცა ბევრმა მათგანმა გახელებით შემობრუნებულ ქართველებს თავი უსაზღვროდ შეაკლა, დევნას თავი გაანებეს და უკან გაბრუნდნენ.

„ნუ უკუე, მეფეო, ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს, რამეთუ ოდესმე ალექსან-

დრეცა იძლივა დედაკაცისა მიერ, და ეგრეთვე სამსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან", — ანუგეშებდნენ გზაზე მხლებლები ჯავრით გულდამძიმებულ გიორგის.

მაჰმადიანი მბრძანებლები მიხვდნენ, რომ ასეთი მუხანათი გზით შპობილი წარმატება სრულ გამარჯვებას არ ნიშნავდა და არც ქართველი მეფე შეარჩენდათ მზაკვრულ თავდასხმას. ამიტომ, სანამ ვეიან არ იყო, არსლან სულტანმა ელდიგუზ ათაბაგი გიორგი მეფეს ელჩად აახლა და შერიგება სთხოვა. დიპლომატიური წიაღსვლები დიდხანს გაჭიანურდა. სულტანი ქალაქ ანისის დაბრუნებას ითხოვდა და სამაგიეროდ ამიერკავკასიის მიწა-წყალთა შეწუხებაზე სამარადჟამოდ ხელისაღებას აღუთქვამდა. გიორგი არ თანხმდებოდა: არც ანისის დათმობა სურდა და არც მომავალ „სამსრეთულ ლაშქრობებზე" ხელის აღება. ბოლოს, იძალა გიორგის დამ, რუსუდანმა, „სულტნის ცოლყოფილმა", ძმა მცირედ დათმობაზე დაითანხმა და ზავიც ასეთი პირობით გაფორმდა: ქალაქი ანისი სამმართველოდ გადაეცა ბაჰმადიან არსლან ბაჰმუდის ძეს, მაგრამ იგი მაინც საქართველოს მეფის ყმად-საფიცად და ქვეშევრდომად დარჩა. ეს ამბავი 1165 წელს მოხდა.

### „სუფევითა ულუმპიანითა"

ომები ერთ ხანად შეწყდა. გიორგი მეფე „დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად". მთელი ამიერ და იმიერკავკასია ზღვიდან ზღვამდე მოიარა და მოინადირა. ერთი სიტყვით, „სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა". მავრამ, „სუფევა და განსუენება" რაღაცნაირ უცნაურ მოვლენად მოევლინა მარადჟამეულ ომსა და სისხლისთხევას შეჩვეულ ქართველობას. ქართულმა ლაშქარმაც თითქოს ბაბუნად იგრძნო თავი. ბოლოს, შეუჩნდნენ მეფეს სახელისა და ქონების ხვეჭას დახარბებული დიდებულები: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო". გიორგიც დათანხმდა და ჯარები სალაშქროდ იმისდა კვალად განაწესა, თუ რომელ მხარეში, რა საფრთხე იყო მოსალოდნელი ქართული სუვერენობის საპირისპიროდ.

ეს უცნაური, „უცხო ლაშქრობანი" 1166 წელს მოხდა:

ტაოელებმა, კლარჯელებმა და შავშელებმა დაარბიეს ოლთისი და ბანა;

მესხებმა და თორელებმა — კარი და აშორნი;

სომხითარებმა — რანი განძამდის;
იმერლებმა და ქართლელებმა — განძა და ხლათი;
კახელებმა და ჰერებმა — შირვანი.

პირდაპირ რომ ითქვას, ამ ლაშქრობათა „უცნაურობა“ (ქართული ხასიათისათვის სწორედ რომ უცნაური) მათ მძარცველურ ბუნებაში გამოიხატებოდა.

1167 წელს მეფე გიორგი გეგუთში იყო. აქ მას ოჯახითა და ამალით ესტუმრა ბიზანტიის კეისრის მანუილ I კომნენოსის ბიძაშვილი ანდრონიკე (შემდგომში თვითონ კეისარი და იმპერატორი). სწორედ ანდრონიკეს დედა იყო კატაჲ, დავით აღმაშენებლის შუათანა ასული, დემეტრეს დაჲ. ამასადამე, გიორგის მამიდაშვილი იყო ანდრონიკე. გიორგიმ სელმწიფური სტუმარმასპინძლობით და ძმური სიყვარულით ბრიელო საპატიო სტუმარი, მაგრამ საჩეიმო განწყობილებას ისევ საომარი აღკაზმულობა შეერთო, შირვანიდან მოიპრონენ მალემსრბოლნი.

შირვანს ბაშინ განაგებდა გიორგის მამიდაშვილი (დავით აღმაშენებლის ასულის, თამარის შვილი) აღსართანი (ახსიტან). იგი გიორგის, მამიდაშვილობის გარდა, „უჩნდა ვითარცა შვილ-ყოფად, ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი“. ახლა ხაზარები და ყივჩაყები შემოსეოდნენ შირვანს დარუბანდის კარით, და შველას ითხოვდა აღსართანი ბიძაშვილი-ხელმწიფისაგან.

მეფის ბრძანებით „შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით“. თვითონ წარუძღვა გიორგი, ანდრონიკეც თან წარიყვანა სალაშქროდ. ქართველებმა კასპიას მიაშურეს და ჯიქურ აიღეს შირვანის „ჭუეყანა მუსკურისა და შარაბამისა“, ქალაქები შაბურანი და დარუბანდი, უკუაქციეს და შორს ჩრდილოეთით განავლტოლეს ხაზარნი და ყივჩაყნი. გიორგიმ შირვანი ისევ თავის ქვეშევრდომ მამიდაშვილს დაუმკვიდრა და საქართველოსკენ გამობრუნდა.

ამის შემდგომ გიორგიმ ზედიზედ „უცხო ლაშქრობით“ ალაშქრა ჯარი ბასიანს, ნახჭევანს, მასისს, ღაღუას, ბარდავს და ბელაყანს. უამრავი განძი დააგროვა გიორგიმ უჯარმას, რომელიც აღაშენა და სადაც აღესრულა დიდი ვახტანგ გორგასალი, „ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.

ბიძელოს, გიორგი ისევ ანისის საქმეს დაუბრუნდა. მას გული ესაკლისებოდა, რომ ადრე მუსულმან სულტნებს დაუთმო და ანისში მათი სიხლის კაცი დასვა მმართველად. 1173 წელს გიორგი ანისს დაეცა,

ბიღო და მისი მმართველი არსლან მაჰმუდის ძე ბორკილდადებული წამოიყვანა. ანისი ქართველთა მეფემ, სომეხი ეპისკოპოსის ბასილის თხოვნით სამმართველოდ მის ძმას აპირატს ჩააბარა.

ისევე შეიყარა და წამოემართა საქართველოსკენ თურქთა მხედრობა. შირაკს შემოესივნენ და ააოხრეს. გიორგიმ მეტი აღარ აცალა, ჭრთამალედ ჩაუხტა, დაამარცხა და ისევ სამხრეთისკენ აოტა მტერი.

ქართველთა მრავალმა ძლევამოსილებამ მათ მეფეს მაშინდელ აზია-ში საბოლოოდ დაუმკვიდრა უპირველესი ხელმწიფის სახელი. მაჰმადიანის მბრძანებლები, „შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“.

დიდი დავით აღმაშენებლის უბრწყინვალესი ნამუშაკევი — სრულიად კავკასიური სახელმწიფო — კვლავ პირველობდა აზია-ევროპის შესაყარში.

ქვეყნის შიგნითაც გიორგის თითქოს სიმშვიდე დაემყარებინა, — „ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“.

მაგრამ, საგარეო სარბიელზე სწორუპოვრად აღზევებული კაცის ხელმწიფობას სწორედ საკუთარი ქვეყნის შიგნით გამოუჩნდა დამბობის მომასწავებელი საფრთხე.

### დემნა ბატონიშვილი

გავიხსენოთ: გიორგის უფროს ძმას, დღემოკლე მეფეს, დავით მეხუთეს, დარჩა ძე — დემეტრე, ანუ დემნა, ამჯერად უკვე 23—25 წლის ვაჟკაცი, „სახე-კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“.

მეფობა სურდა დემნა ბატონიშვილს.

დავით აღმაშენებელზე ადრინდელი ტახტისმემკვიდრეობის წესით კიდევაც ეკუთვნოდა ტახტი დავით V-ის პირმშოსა და იამავარ ძეს.

მთავარი მაინც ის იყო, რომ საქართველოს გულზვავიან დიდებულებს ისევ გაცოცხლებიათ ატავისტური ვნება განკერძოებისა და განდგომისა. დავით აღმაშენებლის მძლავრი ხელით დარტყმული ლახვარი არ აღმოჩნდა მომაკვდინებელი. საქართველოს დიდაზნაურნი ისევ ანახლებენ ბრძოლას ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების დასამხობად. თავკერძა ფეოდალები ვერ შერიგებიან გიორგი მესამის მტკიცე,

ასტიკსა და განუყოფელ, სწორედ ფეოდალებთან წილდაუდებელ ებრძანებლობას.

მოტივიც ძლიერი ჰქონდათ. ტახტისმემკვიდრეობის ძველი წესით, მეფობა ეკუთვნის გარდაცვლილი მეფის უფროს ვაჟს და არა ძმას. მაშასადამე, ამდენ ხანს, — მთელი 22 წელიწადი — საქართველოს „უკანონო მეფე“ ჰყოლია—გიორგი III, დავით V-ის ძმა; ხოლო „კანონიერი მეფე“, დემნა-დემეტრე, დავით V-ის პირმშო და იამავარი ვაჟი, ამდენ ხანს „იჩაგრება“, რაკი მას „კუთვნილ“ ტახტ-გვირგვინს არ აძლევს უკანონოდ გახელმწიფებული ბიძა.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომლის ასულიც ცოლად ჰყავდა დემნა ბატონიშვილს. სიძე-სიმამრს შიემხრნენ ყველა ორბელის გვარისანი, სამცხელნი, ჰერნი, კახნი და „სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“. ამათ გარდა შეთქმულებს შეუერთდნენ: ქართლის ერისთავი და ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, ივანე ვარდანის ძე, გრიგოლ ასათის ძე, შოთა ძე ართავაჩოსძისა, კახა ჯავახი შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემწა ჯაყელი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და ძმები სარგის და ვარამ მხარგრძელნი თავიანთი ვაჟებით (სარგისის ძენი — ზაქარია და ივანე, ვარამის ძენი — ზაქარია და სარგისი).

ასე დაიწყო 1177 წელს დემნა ბატონიშვილის ამბოხი.

მეფე მაშინ სახატეს იდგა არხეინი „განსუენებით“. აქვე შეიტყო ავი ამბავი შეთქმულებისა. სასწრაფოდ ტფილისს მივიდა და ლაშქრის შეყრას შეუდგა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეფე. განდგომილნი, რომლებიც ქვემო ქართლში, ლორეში გამაგრებულიყვნენ, 30 000-ზე მეტ მეომარს მიითვლიდნენ. ხოლო მეფეს ჯერჯერობით მხოლოდ მცირე ამალა ახლდა. მაინც ჩვეული სიმტკიცით, გულუძვრელობითა და წინდახედულობით შეხვდა გიორგი უმძიმეს განსაცდელს. სასწრაფო წვევაზე 500 მხედრით პირველი მოიჯრა ყუბასარ ნაყივჩაყარი. მას ძლიერი ჯარით მოჰყვა ახალგაზრდა ჭიაბერი.

მეფის ფიცხელმა საომარმა სამზადისმა დააბნია შეთქმულთა მეთაურები. ზოგიერთებმა, სანამ გვიან არ იყო, განდგომილთა ბანაკი კიდევაც მიატოვეს და სინანულის ცრემლთათხევით მეფეს ეახლნენ.

ასე მოიქცა ჯერ დიდი გამრეკელი, შემდეგ — გრიგოლ ანელი და ყველა მხარგრძელი*.

მეფემ ყველა დიდსულოვნებით შეიწყნარა და უხვადაც დაასაჩუქრა.

როცა შეთქმულთა ძალა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მეფის ბანაკი გამძლავრდა, გიორგი ტფილისიდან ჯიქურ გავიდა, განდგომილი ტაშირი მოარბია, მეამბოხენი „აოტნა, გააქცივა, შეიხვეწნეს ციხესა ლორისასა“. მეფემ აგარას დაიბანაკა და ლორეზე საიერიშოდ პიაბერი გაგზავნა. ლორედან ლიპარიტ სუმბატის ძე, ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი შაჰარმენთან და ელდიგუზის შვილებთან გაქცეულიყვნენ შემწეობის სათხოვრად. მათ ახლა მუსულმანთა მხედრობით მოსურვებიათ გიორგი მეფის დამხობა და საქართველოს აკლება.

მაგრამ დაასწრო გიორგიმ. ახალი ძალები მოირთო ჰერეთიდან, ლეკეთიდან და „სხვანი კავკასიითა“ და ფიცხელი „კუეთარ-კუეთებით“ ერთჯერ კიდევ დაამარცხა მეამბოხენი. ამ შეტაკებისას წეთქმულთაგან დაიღუპა გრიგოლ ასათის ძე, ხოლო ივანე ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოსძისა გიორგის მეომრებმა ტყვედ წამოიყვანეს. მეფის ბრძანებით ორივეს თავები გააგდებინეს.

დემნა ბატონიშვილი და ივანე ორბელი გადარჩენილი ძალებით ისევ ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მეფე უმტკიცეს სალტედ შემოერტყა მოღალატეთა თავშესაფარს. მალე სასო წარეკვეთათ და სრულებით „დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი“. ვეღარ გაუძლო თვითონ მთავარმა გმირმა — დემნა ბატონიშვილმა. ღამით, სიმამრისა და სხვათაგან იდუმალ, დემნა თოკით ჩამოეშვა ციხის კედელზე, ბიძა-ხელმწიფეს მიეახლა, მუხლებზე დაეცა და საწყალობლად აქვითინებულმა

---

* მკითხველს ვთხოვ, აქედანვე გულდასმით მიადევნოს თვალი მხარგრძელთა საგვარეულოს პოლიტიკურ კარიერას. როგორც ეხედავთ, ისინი თავიდახე იწყებენ ღალატთა სერიით: სანამ გიორგი მესამის სიმძლავრეში ეჭვი არ ეპარებოდათ, მას ეფიცებოდნენ ერთგულებას და ყურმოკრილ ყმობას; მერე, როცა მომავლის სასწორი თითქოს დემნა ბატონიშვილისკენ გადაქანდა, მაშინვე მეფეს უღალატეს და „მომავალ მეფეს“ მიემხრნენ, მაგრამ როცა „პოლიტიკური სასწორი“ ისევ გიორგისკენ „გაღმოქანდა“, მხარგრძელებმაც „ისევ გადმოქანებან“ აღარ დააყოვნეს და ისევ გიორგის წინაშე დაემხნენ სინანულისა და „კელავ-ერთგულების“ ცრემლთა თხევით. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ მხარგრძელთა, ვითარცა ქართველ ფეოდალთა „ქართული ღვაწლი“, მთელი მათი საგვარეულო ისტორიის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ამინდთა ცვალებადობაზე აყოლილ-ასხმული უპრინციპო კარიერიზმი იყო.

პატიება და სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა. მეორე დღეს ივანე ორბელი მისი უკანასკნელი თანამებრძოლებით ბორკილდადებული გამოიყვანეს ციხიდან.

გიორგიმ სასტიკი განაჩენი განაჩინა: ივანე ორბელს ჯერ თვალები დათხარა, მერე თავი გააგდებინა, ასევე დანარჩენ განდგომილ ორბელთაგან ყველა სიკვდილით დასჯა, ზოგიერთი მოღალატე სამშობლოდან გააძევა.

ავად მოეპყრო გიორგი ძლეულ ძმისწულს. ერთ ხანს კლდეკარის ციხეში იყო ჩაკეტილი დემნა. მერე ჯალათები მიადგნენ. ერთმა თვალები დაუშრიტა, მეორემ ლაჯებში დანა დაადო და... დაასაჭურისა. დემნა ჭკუაზე შეცდა. დიდხანსაც აღარ უცოცხლია. უფრორე სირცხვილით სიმძიმილმა მოინელა ზრო-შვენიერი ჭაბუკი. გელათის საშეფო საგოდებელი არ აღირსეს და მცხეთას დაფლეს მისი ცხედარი.

გიორგიმ დასჯილ ორგულთა ადგილებზე ერთგული, თუმცა „უგვარო“ ადამიანები დაწინაურა. მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ყუბასარ ნაყივჩაყარს მისცა, მსახურთუხუცესობა — აფრიდონს, მეჯურჭლეთუხუცესობა — ყუთლუ-არსლანს, მეჯინიბეთუხუცესობა — ჭიაბერს. იმ ხანად სამღვდელოების თხოვნაც დააკმაყოფილა და ეკლესია გაათავისუფლა „ყოვლისა ბეგარისაგან“.

### ასული — თანამოსაყდრე

შინაურ მტერთა ძლევით მაინც ვერ გაიხარა მეფემ. ჯერ თავის სისხლიერთა ღალატმა და მერე მათთან სასტიკმა ანგარიშსწორებამ დაანაღვლიანა და დაზაფრა ბუნებით ხალისიანი გიორგი მეფე.

ადრეც აწუხებდა, მაგრამ ახლა, სამეფო ტახტისათვის სისხლის დაღვრის შემდგომ, საბოლოოდ ჩააგდო საგონებელში ტახტისმემკვიდრეობაზე ფიქრმა.

ცოლი გიორგის ჭაბუკობის ასაკშივე შერთო მამამისმა დემეტრე ნეფემ, ოვსთა მეფის, ხუდანის ასული, სახელად ბურდუხან, გასაოცრად ლამაზი ქალი („მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ძლიერი სიყვარულითაც უყვარდა თავისი მეუღლე გიორგის, მაგრამ მეფეთათვის ყველაზე დიდი სასურველი სურვილი ვერ შეუსრულა ბურდუხანმა გვირგვინოსან ქმარს.

ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ.

1166 წელს პირველი შვილი შეეძინათ გვირგვინოსნებს.

მაგრამ... ქალი.

ქალიო?!

მაგრამ სწორედ ის „პირველი" ქალთა შორის იყო თ ა მ ა რ ი.

მერე, თამარს მოჰყვა მისი და — რ უ ს უ დ ა ნ.

1178 წელს, დემნა ბატონიშვილის ამბოხების ჩაქრობიდან მეორე წელს, გიორგი მეფემ ნაჭარმაგევის სასახლეში შეჰყარა წარმომადგენელნი „შვიდთავე სამეფოთა", სამღვდელონი, საერონი და სამხედრონი — „ყოველნი პატრიაქნი და ებისკოპოზნი, დიდებულნი იმიერთა და ამიერთა, ვაზირნი და სპასალარნი და სპასპეტნი".

გამოვიდა მეფე და „აწვია დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი მისი ბურდუხან".

მერე მეფე-დედოფალმა აწვია „შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, ღა გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა".

მარჯვნივ დაისვა გიორგიმ თამარი და „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ".

თამარი მამა-ხელმწიფის თანამოსაყდრედ და მომავალ ერთხელმწიფედ ცხადდებოდა.

გიორგიმ ფიცი ითხოვა დარბაზის ერისაგან.

მაღალმა საკრებულომ მუხლი მოიყარა ღვთაებრივი ასულის წინაშე, — წარჩინებულნი „ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირისა მისისა".

მაშინ თამარი იყო 12 წლისა.

### აღსასრული „ლომთა უმხნესისა"

ამ დიდ საზეიმო წელს საგლოველი წელი მოჰყვა. გარდაიცვალა დედოფალი ბურდუხან, თანამეცხედრე გიორგი მესამისა, დედა ღვთაებრივი თამარისა.

ამის შემდგომ გიორგი მესამემ კიდევ ხუთი წელი იცოცხლა, ქვეყანას კვლავ მორჭმით განაგებდა, თამარს ხელმწიფობას აჩვევდა, საქართველოს მტრებს შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს ემეგობრებოდა. კვლავ „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა

და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ბაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, ჶრაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე".

ქვეყნის შინაგანი სიმტკიცე და ზნეკეთილობა კვლავაც განავრცო ქველმა ხელმწიფემ. ქურდობისა და ავაზაკობის აღმოსაფხვრელად საგანგებო საკანონმდებლო საკრებულოზე უსასტიკესი სასჯელი დაადგინა — ჩამოხრჩობა. ორივე ეს ბოროტება მოისპო კიდეც საქართველოში.

1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, გიორგი მეფე სტაგირს იყო, კახეთში.

და ამ დღეს მას სიკვდილი ეწვია.

განესრულა მისი 28-წლიანი ხელმწიფობა.

მომკვდარიყო „მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა".

ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი".

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი".

თამარი ტფილისს იყო, ისნის სასახლეში, როცა მამის სიკვდილი შეატყობინეს.

ამის გამგონე „თამარი, პირი იგი ეთეროვანი, და უკიმირო ჰაერი, და უმრუმო ნათელი — შეიზღუდა ბნელითა".

სამი დიდებული ჭალი მიუძღოდა გიორგი მესამის საგლოველ პროცესიას: დაი მისი რუსუდან და ასულნი — თამარ და რუსუდან.

„ჟამისა სიძნელისა" გამო ჯერ მცხეთას დაკრძალეს გიორგი, შერე, იმავე წელს გელათს გადაასვენეს სამეფო საძვალეში.

ქართველთა უზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მრავალი ხალხებით დასახლებული კაეკასიელთა სახელმწიფო ხელთ დარჩა 18 წლის ქალს.

სახელი მისი იყო თ ა მ ა რ...

## ფიგნი თამარ შვიდენათობიერისა

თერძული კეთილი ვთერძოთ და თესლი სიმართლისა ვსთესოთ.

ძველი ქართული მანუსკრიპტი.

ნათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა.
გრიგოლ ხანძთელი.

და თუ ვპპოვებ მიწისა მზესა, არა ვეძებ ცისა მზესა.
„ესრამიანი".

მიხარის — გიმზერ,
ვასწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე.
გრიგოლ ორპელიანი

**„შეიბ მახვილი!"**

თამარი გლოვად იჯდა. „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა".

ხოლო დარბაზი — უზენაესი საკრებულო საქართველოს „შვიდთავე სამეფოთა" — ბჭობად იჯდა უძეოდ გარდასული გიორგი მესამის სამეფო მემკვიდრეობის თაობაზე.

კვლავ მხოლოდ თამარის გამეფება გადაწყვიტა დარბაზის ერმა. ყველამ სცნო, რომ თამარი თუმცა ასაკით ჯერ კიდევ „ყრმა" იყო, მაგრამ „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუენიერებითა" — სავსებით სრულქმნილი სამეფო-სადედოფლო პრინცესა.

შეამავლობა რუსუდანს სთხოვეს, გარდაცვლილი ხელმწიფის დას. შენ ერთადერთი დარჩენილხარო სამეფო სახლის მშობელი, შენი დიდი ხათრი აქვსო თამარს, ამიტომ შენვე ეახელ და სთხოვე, გლოვა იკმაროს და მამაპაპეული ტახტ-გვირგვინი ჩაიბაროსო; მობრძანდეს, „კურთხევითა გვირგვინოსან-ყოფად აღვიდეს", განაგოს „კიდენი ქუეყანისანი და მეფობდეს იგი ზღვითი-ზღუადმდე".

თამარმა შეიწყნარა მამიდისაგან მოტანილი სამოციქულო.

გამოვიდა საგლოველი სენაკიდან.

ძაძა განიძარცვა, სახელმწიფო-სამეფო სამოსით მოიკაზმა და ხელშეორედ, ამჯერად ერთპიროვნულ მბრძანებლად, ავიდა ტახტზე „მზე

ივი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა".

როგორც წესი, დასავლეთ-ქართველ სასულიერო და საერო მესვეურთ უნდა მოერთოთ მეფე ხელმწიფური ინსიგნიებით.

უპირველესად ორი მიეახლა ღვთაებრივ ასულს — ანტონ სალირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, და კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკვერისა. მათ აიყვანეს საქართველოს ტახტზე თამარი და საქართველოს უმძიმესი და უმშვენიერესი გვირგვინი დაადგეს თავზე.

მერე სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს დიდებულებმა: ვარდანისძეებმა, სალირისძეებმა და ამანელისძეებმა.

აიღო ხმალი იგი კახაბერ ერისთავმა, მიეახლა და წელზე შეარტყა გვირგვინოსან ქალს, ვითარცა ლაშქრის მთავარსარდალს.

„შეიბ. მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შვენიერებითა შენითა!"

აღლუმად დარაზმულმა ჯარებმა ერთგულების ფიცი მიუძღვნეს უმშვენიერეს ქალს, ხელმწიფეს და სამხედრო ხელისუფალს: „თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა".

ქალწულის მეფედკურთხევა დიდ სახალხო ზეიმად იქცა: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო ქმნილთა".

ასე შეიქმნა საჭეთმპყრობელი და მეფეთა მეფე საქართველოსი თამარ „შვიდმნათობიერი".

იმავე დღეს თამარმა აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისთვის — ობოლთა, ქვრივთა, უქონელთა და უპოვართათვის.

### მარცხიანი დასაწყისი

„ნეტავ რა არის მისთანა — მეფე თამარ ქალისთანა!", უკვე მღეროდა „წვრილი ერი".

მაგრამ ქალი მაინც ქალია, და ახლა დაგვიდგა დრო, დაკარგული პატივი დავიბრუნოთო, — იფიქრეს დიდგვარიანმა აზნაურებმა და თამარის გამეფებისთანავე „ფიცი ყვეს" და ჯერკვლად განაცხადეს: ადრინდელი ხელისუფლების (გიორგი მესამეს გულისხმობდნენ) დადგენილ „უგვარო და უხმარ" მოხელეთა უფროსობას ვეღარ მო-

ვითმენთო, ისედაც მაგ „უჯიშოთაგან“ ჩვენ, „დიდგვარიან მსახურეულთ“, ბევრი ზიანი და უპატიურობა გვიგემნიაო, ამიტომ დაუყოვნებლივ იმ „უჯიშოებს“ ხელისუფლება უნდა წაერთვათ და უზენაესი საპატიო და სამმართველო „სახელონი“ (თანამდებობანი) ძველ-დიდებულ გვარიშვილთა წარმომადგენლებს დაუბრუნდეთო.

მაშ, ისევ შეექმნა საფრთხე დიდი დავით აღმაშენებლის დროიდან წამოსულ უკეთილშობილეს განასჯს, რომლის ძალით ხელისუფალ თანამდებობებზე დაწინაურება უნდა მომხდარიყო არა შთამომავლობითი გვაროვნულ-წოდებრივი ნიშნეულობით, არამედ პირადი ღირსებებით, ნიჭიერებით, პატიოსნებით, მამულიშვილური თავდადებულობით. გიორგი მესამეც ხომ თავისი დიდებული პაპის მიმდევარი იყო და უმაღლესი „სახელოებიც“ ღირსეულ და ერთგულ „უგვაროებისათვის“ დაერიგებინა. ხოლო, რაც სასტიკსა და გულუძვრელ გიორგის ვერ შევბედეთ, ახლა დრო დაგვიდგა და „სუსტ ქალს“ უნდა დავათმობინოთო, დაადგინეს დიდგვარიანებმა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასაც ფიცხლავ შეუდგნენ.

მათ უპირველეს ყოვლისა „უჯიშო ხელისუფალთაგან“ მიზანში ამოიღეს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ყუბასარ ნაყიჩაყარი და აფრიდონი, ძველად „აზნაურის ყმობაში“ ნამყოფი, შემდგომ გიორგი მეფისგან მსახურთუხუცესის პოსტზე აღზევებული.

თამარს პირველი ყარყაშით აღვსილი მოთხოვნა შეჰბედეს: ყუბასარი და აფრიდონი თანამდებობიდან უნდა გადააყენო და ყოველგვარი ქონება უნდა ჩამოართვაო.

ყუბასარი ისედაც ფილენჯისაგან იყო დავრდომილი — ენა, ხელი და ფეხი დაუქმებული ჰქონდა. ამასაც იმიზეზებდნენ გაფიცხებული დიდგვარიანები: ავადმყოფ კაცს ორი ესოდენ დიდი თანამდებობა — მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა — როგორ უნდა ეჭიროსო.

თამარს მამისეული „გულუძვრელობა“ და სისასტიკე არ აღმოაჩნდა და თავისი დიდი ხელმწიფობის პირველი დღე მოიერიშე მტრის წინაშე დათმობით დაიწყო. ორივე, ყუბასარიც და აფრიდონიც, მამისა და პირადად მისი ერთგული და თავდადებული ადამიანები, თანამდებობიდან გადააყენა, თანაც ორივეს გიორგისაგან ბოძებული ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა: ყუბასარს — ლორე, აფრიდონს — თმოგვი. შემდგომში თამარს ავადმყოფი ყუბასარისათვის სიკვდილამდე ხელმწი-

ფური პატივი არ მოუკლია, მაგრამ აფრიდონი კი დიდგვარიანთა „ნებითა“ სავსებით „მოიშალა და დაიმხო“.

ერთბაშად სამი უმაღლესი სახელო გათავისუფლდა: ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და მსახურთუხუცესობა.

ხოლო, სანამ დიდებულები დაცლილ თანამდებობებზე ერთიმეორეს ეცილებოდნენ და თამარსაც სასურველი კანდიდატების შერჩევა ვერ მოესწრო, უეცრად სატახტოში სავსებით მოულოდნელი ხმა გავარდა.

ეს იყო ვითარცა მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე.

### „ისნის კარავი“

გიორგი მესამის დროიდან დაწინაურებულ „უგვაროთა“ შორის იყო მეჭურჭლეთუხუცესი ყ უ თ ლ უ-ა რ ს ლ ა ნ ი. არავინ იცის, როგორ მოხდა, რომ ყუბასარის და აფრიდონის დამამხობელმა დიდგვარიანებმა „უჯიშო“ და „უაზნო“ ყუთლუ-არსლანი დასამხობად „ვერ გაიმეტეს“, თუ „ვერ გაუბედეს“. ეს კი უეცრად შეიქნა საცნაური: ყუთლუ-არსლანს თავისი საკუთარი პოლიტიკური განაზრახი ჰქონია გამზადებული, საკუთარი და სავსებით განსხვავებული, მანამდე გაუგონარი და მოულოდნელი. მისი პოლიტიკური „ფორმულა“ ასეთი იყო:

ისანში, მეფის სასახლის გვერდით, უნდა აშენდეს საგანგებო სასახლე — „კარავი“, სადაც სწორედ მეფისაგან დამოუკიდებლად და მის დაუსწრებლად გაიმართება საგანგებო უმაღლესი საკრებულო „დასის“ სხდომები; აქ შეკრებილნი იქნებიან „გამგებელნი მიცემი'ა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“, ხოლო ამის შემდეგ, საკრებულოზე მიღებულ გადაწყვეტილებებს „ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულიქმნებოდეს განგებული ჩუენი“

ერთი სიტყვით, სრულიად უმაღლესი პოლიტიკური იმპერიუმი, რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე ხელთ გაბუყოფლად ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გაყოფილიყო: უმაღლესი ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ხელისუფლება „ისნის კარავს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს. სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო რა იცოდნენ ყუთლუ-არს-

ლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი „წინამორბედი“ უნდა გამხდარიყო გეიანეეროპული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, გინა „კონსტიტუციონალური მონარქიისა“.

არასოდეს არც ერთ მონარქს უბრძოლველად არ დაუთმია თავისი „აბსოლუტური იმპერიუმი“. თამარმაც პირველად სცადა ხელმწიფეური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა. მან ძალიან კარგადაც შეაფასა, რასაც ნიშნავდა „ისნის კარავი“: ეს უნდა ყოფილიყო „დასასრული ხელმწიფობისა“ მისისა. ამიტომაც „იწყინა და გაიკვირვა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან“. თან ისიც შეიტყო თამარმა: ყუთლუ-არსლანს თურმე „საკანონმდებლო კარვის“ დაფუძნებისა და მისი მეთაურობის გარდა, გადაწყვეტილი ჰქონია მეპურპურეთუხუცესობასთან ერთად ხელთ ეგდო ამირსპასალარობა და ერისთავობა რეზიდენციით ქალაქ ლორეში.

ძალიან შორს აფრენას ლამობს თურმე ყუთლუ-არსლანი — „ცხოვარი ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელი“

თამარის ფიცხელი ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არა ყოფილა. მას ჰყოლია თავისი „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის „დასი“, რომელიც ისნის კარავში „კანონმდებელ საკრებულოდ“ უნდა დამჯდარიყო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის ქვეთებასაც არ დარიდებოდნენ.

განდგომილებმა იარაღის ავი ჟღრიალით მოითხოვეს ხელაღის გათავისუფლება.

თამარის მომხრეებსაც უკვე ჯავარდნებზე დაედოთ ხელი.

სისხლის სუნი ჩამოწვა.

ხოლო, თამარს ფიქრადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი ხელმწიფობა ძმათაშორისი სისხლისთხევით დაწყებულიყო.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დაჭვეწილი ტაქტი და მომხიბლავი რომანტიკა გამოსჭვივის თვრამეტი წლის ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში ასეთ კრიტიკულ ჟამს. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი — სულ ერთია, მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი — უზენაესი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა კერპს, მის შეუვალ სიტყვას, მის წმინდა მანდილს.

და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები გაგზავნა — ორი მანდილოსანი, კეთილშობილნი, სახით სახიერნი და ზნესრულობით უსპეტაკესნი, ორი „საპატიო დიოფალი“: ერთი, — ხ უ ა შ ა ქ ი ც ო ქ ა ლ ი, ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა; მეორე — კ რ ა ვ ა ი ჯ ა ყ ე ლ ი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (ქართული არისტოკრატიული გვარი იყო სამძივარი).

მანდილოსანმა მოციქულებმა დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყაში. მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არაყის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხუაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანყეები“ თამართან მოიყვანეს. ქალთაგან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადჟამო ერთგულება შეჰფიცეს. თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა.

### დარბაზისერნი თამარ მეფისა

საგანგებოდ მოწვეული დარბაზის დასტურით თამარმა ახალი სავაზირო შეადგინა:

მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი და ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი — მ ი ქ ა ე ლ მ ი რ ი ა ნ ი ს ძ ე. მიქაელი იმავე დროს იყო ქართლის კათალიკოს-პატრიარქი. თამარს არ სურდა „პრემიერ-მინისტრობა“ მიქაელისა, რომელსაც გიორგი მესამის გარდაცვალებისთანავე რაღაცნაირად „მოევერაგა“ ეს დიდი მაგისტრატურა. მაგრამ ჯერხნობით დათმო კათალიკოსის სიძლიერის წინაშე.

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი — ჭ ი ა ბ ე რ ი, თამარის მამის გაზრდილი კაცი. ყუბასართან ერთად ჭიაბერის ერთგულებამ და თავდადებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა დემნა ბატონიშვილის შეთქმულების განადგურებაში.

ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი — ს ა რ გ ი ს მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი, შორეული წარმოშობით ქურთი, სარწმუნოებით გრიგორიანი, აღზრდითა და კულტურით ქართველი. იგი ადრე დემნა ბატონიშვილის მომხრეთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ შეთქმულნი მალე მიატოვა, ისევ მეფის ბანაკს დაუბრუნდა და ამის შემდეგ არც გიორგისთვის და არც მისი

სახლეულისთვის აღარ უღალატნია (უფრო სწორად: ღალატი აღარ გაუბედნია, რადგან საამისო „ამინდი“ აღარ დასდგომია). ამირსპასალარობასთან ერთად თამარმა მას უბოძა ლორე და სომხითი.

მეჯურჭლეთუხუცესი — კახაბერ ვარდანისძე, კაცი „დიდი და გუარიანი“.

მსახურთუხუცესი — ვარდან დადიანი.

ამირახორი — გამრეკელი თორელი, ესეც გიორგი მესამის დროს დაწინაურებული პოლიტიკოსი. გამრეკელმა თორელმა პირველმა მიატოვა დემნა ბატონიშვილის ბანაკი და თავისი ძალებით მეფეს შეუერთდა.

ჩუხჩარხი — მარუშისძე.

ხოლო ერისთავებად თამარმა დაადგინა:

ბარამ ვარდანისძე — სვანეთისა.

კახაბერ კახაბერისძე — რაჭა-თაკვერისა.

ოთაღო შარვაშისძე — აფხაზეთისა.

ამანელისძე — არგვეთისა.

ბედიანი — ოდიშისა.

რატი სურამელი — ქართლისა.

ბაკურ-ყმა ძაგანისძე — კახეთისა.

ასათ გრიგოლისძე — ჰერეთისა.

ბოცო ჯაყელი — სამცხისა.

მალე საეკლესიო საქმეებსაც მიჰხედა თამარმა. თვითონ გულმხურვალე ქრისტიანსა და უზენაესი ზნეობრივი სისპეტაკის მქონე დედოფალს დროზე შეუმჩნევია ზნეობრივი რყევანი ქართული ქრისტიანული ეკლესიისა, რომლის ზედა ფენაში კვლავ გამოჩენილან პატივმოყვარე კარიერისტები, გარყვნილი ვიგინდარა შარლატანები, ფულხარბი ანგარმადევარნი. თვით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიქაელ მირიანისძე ყოფილა „უწესობათა“ მაგალითი, რადგან მან „წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჰყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობართუხუცესობა მოეერაგა უფლისაგან“, თამარს საეკლესიო ღონისძიებით სურდა თავგასული მღვდელმთავრისათვის ერთდროულად ერთიც ჩამოერთვა და მეორეც — მწიგნობართუხუცესობაც და კათალიკოსობაც. ამისთვის და საერთოდ სხვა უპა-

ტიურ საეკლესიო პირთა განსაპატიჟებლად მოიწვია საეკლესიო კრება. იერუსალიმიდან ჩამოიყვანა განთქმული საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელსაც ადრე საქართველოს კათალიკოსობაზე უარი უთქვამს და უბრალო ბერული ჩოხით პალესტინას გადახვეწილა. თამარმა ნიკოლოზ გულაბერისძეს შეახვედრა ანტონ საღირისძე, ქუთათელი ეპისკოპოსი, „დიდად განთქმული სათნოებასა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით".

ეს ორი „წმიდა ბერი" უმეთაურა თამარმა საეკლესიო კრებას, თავგასული მიქაელ კათალიკოსის საპირისპიროდ.

წინასწარ თვითონ დამოძღვრა თამარმა ქრისტიანი მოძღვარნი:

ყოველივე კეთილად გამოიძიეთო, სიმართლე დაადგინეთ და გულბოროტნი განაძევეთო ეკლესიიდან; თუ მართალი არ ვიყო, ნურც მე მომერიდებით, რადგან ეს გვირგვინი მეფობისთვის მაქვს და არა ღმერთმბრძოლობისთვისო; მთავართა წინაშე სიმდიდრისთვის ნუ იმლიქვნელებთ და გლახაკთა ზედა სიმცირისათვის უპატიურად ნუ მოიქცევითო; სიტყვა იყოს თქვენი და საქმე ჩემი; თქვენ გვასწავლეთ, ჩვენ ვისწავლით; ხელი ხელს მივცეთო სჯულიერების დასადგენად „თქუენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, მე ვითარცა ებგური".

ასე თქვა თამარ „ღმრთივ-განბრძნობილმა", მცირე ხანს კიდევ დარჩა მისი სიტყვით მოხიბლული და განლიგებული საკრებულის წინაშე, მერე ადგა, გულაბერიძისგან და ქუთათელისგან კურთხევა მიიღო და „წარვიდა პალატად თვისად".

საეკლესიო კრება შფოთიანად წარიმართა. კათალიკოსი მიქაელი გააფთრებით იცავდა თავსაც და თავისიანთა თავგასულობასაც. ბოლოს, საქმე იმით გათავდა, რომ უღირსი ეპისკოპოსები გადააყენეს, მათ ნაცვლად ღირსეულნი დაადგინეს, მაგრამ თვითონ მიქაელს ვერც კათალიკოსობა დააგდებინეს, ვერც ჭყონდიდლობა და მწიგნობართუხუცესობა...

თამარი ჯერჯერობით „შეზღუდულ მონარქად" რჩებოდა.

ეემოხვიო იმ ხელს, შენ დონემდე მე რომ მამაღლებს.
გოეთე, „ფაუსტი".

რისთვის მაგონებთ იმ ნახევრად-ქვრივობას ჩემსას
და ამ ქვრივობით გამოწვეულ უბედურებას?!
გოეთე, „მშვენიერი ელენე".

18 წლის გოგონას ერთ წელიწადში მოუხდა უმძიმეს საბელმწიფო მოვლენათა მოვლა-პატრონობა: დიდებულთა შემოტევა, ერთგულ თანამოსაგრეთა დაცემა, ყუთლუსიანთა იერიში, ეკლესიის განწირვა, ზვიად კათალიკოსთან და „პრემიერ-მინისტრთან" ბრძოლა.

ახლა თამარი 19 წლისა იყო.

ერთი წელი ძლივს გასულიყო, რაც სახელმწიფო გვირგვინი დაადგეს თავზე.

ხოლო, ხელმწიფე-ქალისთვის მარტო ხელმწიფური გვირგვინი არა ყოფილა საკმარისი. თამარი ქალი იყო და უნდა გათხოვილიყო. საპატარძლო გვირგვინსაც უნდა დაემშვენებინა მისი უმშვენიერესი ბატება.

თვითონ უარს ამბობდა გათხოვებაზე, მაგრამ მას არც ეკითხებოდნენ. თურმე თამარის ქორწინებაც არა ყოფილა „თამარის საქმე". დიახ, იგი უნდა გათხოვილიყო, მაგრამ არა როგორც ქალი კერძოობითი, არამედ როგორც მეფე-ქალი, რომელსაც თავისი ქმარი სახელმწიფოსთვის უნდა მიეძღვნა, ვითარცა ხელმწიფე და მხედართმთავარი. და იგი უნდა გამხდარიყო დედა, მაგრამ არა დედა როგორც კერძოობითი, არამედ როგორც დედა სახელმწიფოს სამეფო ტახტის მემკვიდრეთა და ვითარცა დედა და დედოფალი სრულიად სახელმწიფოსი.

ასეთი უნდა ყოფილიყო „სახელმწიფო ჯვარისწერა" 19 წლის თამარ მეფისა.

და საქართველოს მესვეურებიც უკვე დამსხდარიყვნენ მათი ხელმწიფე-ქალის ქორწინების გადასაწყვეტად.

თამარი საქმროს არჩევისათვის გამართულ ბჭობასაც არ დასწრებია. იგი ისე განაპირებულიყო, როგორც მორჩილი გოგონა ტირანი მამისა, რომელსაც სახლში სასიძოს შემოყვანა თვითონ გასათხოვარი შვილის დაუკითხავად გადაუწყვეტია.

მერე, ვინ უნდა ყოფილიყო ღირსი თამარის ქმრობისა?

ქალი — საარაკო სიმშვენიერისა, „უკლებელი გონება და საუნჯე სიბრძნისა“ და მფლობელი აზიაში უმძლავრესი მონარქიისა.

ვინ უნდა გამხდარიყო ასეთ ბედნიერ განძთა მფლობელი, რომელი მეფე, უფლისწული თუ პრინცი?

საქართველოს სატახტოში უკვე მოდიოდნენ უმშვენიერესი და უბრძენესი მეფე-ქალწულის დაუფლების სურვილით „ცოფ-ქმნილი“ სასიძოები, კეთილშობილნი, გმირნი, ნიჭიერნი, სახიერნი, „მიჯნურნი ლომნი და მზენი“, მოდიოდნენ და მოჰქონდათ ძღვენი უთვალაეი, მოჰქონდათ აღთქმა სიყვარულისა, ერთგულებისა, თავგანწირვისა, მორჩილებისა, სულიერ-სჯულიერი თანადგომისა და თანაზრვისა.

„უბრწყინვალესისა და უნათლესის“ — მაძიებელთა შორის პირველობდა ბერძენი უფლისწული ალექსი, ბიზანტიის კეისრის ძმისწული. თამარსაც უკვე აგრძნობინეს, რომ დარბაზის ერის ერთ ნაწილს სწორედ ალექსი მიუჩნევია საქართველოს ღირსეულ სასიძოდ.

მაშინვე ცივი უარი ბრძანა თამარმა: ბიზანტიელი უფლისწული ჩემი ნათესავია და მისი ქმრად შემოთავაზება უკადრის საქმედ მიმაჩნიაო.

უარი ბრძანა და საერთოდ, „უწადინელმან ქორწინებისამან“ ერთჯერ კიდევ „იაჯა ხსნა ქმროსნობისაგან“.

მაგრამ მაინც განაგრძობდა ბჭობას სამეფო დარბაზი — საერონი, სამღვდელონი, სამხედრონი.

ღირსი სასიძო კი არ ჩანდა.

ოვსთა მეფის ორი ვაჟი ბრწყინავდა თამარის მთხოვნელთა შორის — „შუენიერნი და სახე-კეთილნი მოყმენი, მოჰაჯენი და მთხოვნელნი, ღირსნი და მონდობილნი ჰაბუკობისანი“.

მაგრამ არც მათ გაუღიმათ ბედმა.

თითქოს-და მართლაც ქვეყნად „აღარ დაებადა ღმერთსა სწორი თამარისი“.

მთავარი მაინც ის იყო, რომ სამეფო კარს თამარის გათხოვება უფრო თავისთვის უნდოდა, ვიდრე ქვეყნისათვის.

ბოლოს და ბოლოს, უნდა თქმულიყო, თუ ვინ იქნებოდა სიძე საქართველოსი.

და ითქვა.

თქვა აბულასანმა, ქართლისა და ტფილისის ამირამ:

„მე ვიცი ღირსი საქმრო თამარისა — ესაა რუსი უფლისწული, სახელად გიორგი, გინა იური, შვილი ნოვგოროდის ხელმწიფის ან-

დრია ბოგოლიუბსკისა, იმ ანდრია დიდისა, რომელსაც მონებდნენ სამასი მთავარნი რუსთანი. ანდრია რომ მომკვდარა, გიორგი მცირეწლოვანი დარჩენილა და ბიძას გამოუდევნია ნოვგოროდიდან; ამჯერად გიორგი ყივჩაყეთში აფარებს თურმე თავს, ქალაქ სუნჯაში.

ეს მოახსენა აბულასანმა დარბაზის ერს და მაშინვე ყველა სხვა სასიძო ჩაიჩრდილა და ჩაიფერფლა. ძლიერად აქებდა „რუსი უფლისწული“, „ძე დიდი ხელმწიფისა“, „დიდი, ერთმორწმუნე ქრისტიანი ხალხის შთამომავალი“.

მაშინვე კაციც მონახეს, რომელმაც კარგად იცოდა ყივჩაყეთის გზები. ეს კაცი იყო მკვიდრი ტფილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. დარბაზმა მას ფიცხელი ბრძანება მისცა, სასწრაფოდ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო, რუსი უფლისწული მოეძებნა და საქართველოში ჩამოეყვანა.

შეუსვენებლივ მიქროდა ზანქან ზორაბაბელი, დღეღამსწორებით, ცხენთა გამოცვლით. ქალაქ სუნჯას მივიდა, რუსი სასიძო მონახა და ქართველ მესვეურთა სურვილი და გადაწყვეტილება მოახსენა.

მოულოდნელმა სიხარულმა დაიპყრო გული დევნილი უფლისწულისა.

ძალზე მომხიბლავად ჟღერდა: თამარი და საქართველო!.

ზანქან ზორაბაბელმაც ფიცხლავ გამოუყენა რუსი სასიძო საქართველოსკენ.

თამარმა არც ახალი სასიძოს არჩევის შესახებ იცოდა რაიმე, არც მის მოსაყვანად კაცის გაგზავნა აუწყეს მას, ისე შემოიყვანეს რუსი უფლისწული ტფილისში.

„სამგზის სანატრელი“ თამარის საქმროს ხილვის მოსურნე ხალხი გამოეგება უცხო უფლისწულს.

სამეფო დარბაზიც გამოვიდა, კათალიკოს-პატრიარქი, ვაზირნი, მთავარნი და დიდებულნი.

ყველა მოიხიბლა.

მოვიდა სასიძო, „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“.

ბოლოს, თამარისთვისაც ხომ უნდა მოეხსენებინათ და მოახსენეს კიდეც: სასიძოც მოვიყვანეთ და ქორწილიც ახლავე უნდა გადავიხადოთო.

თამარი გააოგნა და აღაშფოთა ახალმა მოულოდნელმა კადნიერებამ.

ეს რა საკადრისიაო, კაცნო, ჩემს შეუტყობინებლად ასეთი საქმის გადაწყვეტა? ანდა, რა ვიცით ამ უცხო კაცის ხასიათი, საქმე და საქციელი? არა ვიცით რა მისი — არცა მხედრობა, არცა ბუნება, არცა რა ქცევა. მანამ მაინც მაცალეთო, სანამ მის სიკეთეს თუ სისუსტეს რასმე შევიცნობდეთ და შევიტყობდეთო, — ბორგნეულად იძახდა თამარი.

მაგრამ არ ეშვებოდნენ, ჭირვეულად ეტანებოდნენ და ეძალებოდნენ. წინ რუსუდანი გაემძღვარებინათ, მისი მამიდა, რომლისადმი, ვითარცა დედისადმი, ესოდენი ხათრი და რიდი ჰქონდა თამარს. ჩასჩიჩინებდნენ: სამეფო სახლი უნაყოფოდ გარდაეგებაო, თუ ტახტის შემკვიდრე დროზე არ მოგვევლინებაო, მხედრობა მხედართუფროსს საჭიროებსო და სხვა მისთანანი.

ბოლოს და ბოლოს, „რასაღა მრავალს ვიტყოდით? შემდგომად მრავლისა ცილობისა“, გატყდა თამარი.

ამგვარად, „თვინიერ ნებისა თამარისა ყვეს ქორწილი“.

ხოლო, ქორწილი იყო „სახედაუდებელი და იგავმიუწვდომელი: სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი, მსგეფსამდე სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემანი“.

ასე განესრულა თამარ მეფის პირველი „სახელმწიფო ჯვარისწერა“ 1185 წლის მიწურულს.

საქორწინო ნადიმ-ღრეობის მეშვიდე დღეს უსიამო ამბავი მოვიდა სასახლეში: ტფილისიდან წასულ, იმედგაცრუებულ ოვს უფლისწულთაგან უმცროსს თამარისადმი „მოუთმენელი სურვილითა და სიყვარულით“ გზაზედ ბნედა შეჰყრია და ნიქოზის ტაძართან აღსრულებულა. იქვე დაუკრძალავთ, რაჟდენ პირველმოწამის ტაძარში, თამარის ტრფიალით სიცოცხლეწართმეული უფლისწული...

### „დროშითა სვეიანითა“

თამარისა და გიორგის ქორწინების წინარე ხანს ქართველებს ორჯერ მოუხდათ დიდი ბრძოლა სამხრეთიდან შემოსეულ დიდძალ მტრებთან.

ჯერ არანისა და გელაქუნის გზებით შემოიჭრნენ თურქნი „ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის-ხვედ წოდებულსა“. გზა გადაუჭრა თამარის ლაშქარმა ძარცვა-რბევით მომდინარე ურდოს. გ ა მ რ ე კ ე ლ ი

ჯახას ძე მიუძღოდა ქართველობას. სასტიკ ხელჩართულში „სვი-
საგან თამარ უძლეველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს“. მრავლად
გაწყდნენ თურქნი. დიდხანს სდიეს ქართველებმა გაქცეულებს. დიდ-
ძალი ნადავლით წარსდგნენ გამარჯვებულნი „წინაშე თვითმპყრობე-
ლისა“.

იმავე ჟამს კარნუ-ქალაქიდან, შამიდან (სირიიდან) და გარმიანიდან წამოვიდა უთვალავი თურქობა. მათმა მხედრობამ და ქვეითმა ჯარებმა გაავსეს კლარჯეთისა და შავშეთის ქვეყნები. გაუხდნენ მოიერიშე მტრებს გუზანაბულასანისძე ტაოელი და ბოცობოცოს ძე ჯაყელი. „თამარის ბედზე და სახელზე“ საარაკო გმირობით შეებნენ თურქებს ტაოელთა და მესხთა ჯარები. ისევ „სძლია ბედმან და სვემან თამარისამან“ — უამრავი თურქობა ჩახოცეს ქართველებმა შავშეთის, კლარჯეთის, ტაოსა და ბასიანის ხევებში. კვლავაც დიდძალი ნადავლ-ნაალაფევი და ტყვე-მომტერენი აახლეს ქართველებმა თამარ „ღმრთივ-გვირგვინოსანს“.

1186 წლის ადრიან გაზაფხულზე თამარმა ლაშქარი შეჰყარა სამხრეთ-დასავლეთ თურქთა დასალაშქრავად და დასაშინებლად. სარდლობა თანამეცხედრეს ჩააბარა. თამარის ბრძანებით „ააბეს ღრუშა სჳიანი და ხმარებული“, წინ წაიძღვარეს ჯვარი ძელიცხოვლისა, „ჴცეველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“.

თამარმა მხურვალედ დალოცა ჯარი და მეუღლე-სარდალი.

პირველად მიუძღოდა გიორგი რუსი ქართულ მხედრობას.

ქართველებმა ზედიზედ დალაშქრეს კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ისევ „გამარჯუებულნი და აღსებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონსა მას ღმრთივ-განათლებულსა“.

დიდი სიხარული ჰქონდა ქართველობას.

დიდი სიხარული უნდა ჰქონოდა სამეფო სახლობასაც, რამეთუ თამარის „სახე-კეკლუცი“ მეუღლე საომარ საქმეებში ფრიად გაწაფული აღმოჩნდა.

ამის შემდგომ სამხრეთით, დვინის მიმართულებით გაგზავნა თამარმა ლაშქარი. ამჯერად ქართულ მხედრობას მხარგრძელები სარდლობდნენ — „ძენი სარგისისნი“ (ზაქარია და ივანე) და „ძენი ვარამისნი“ (ზაქარია და სარგისი). ქართველებმა დვინიც დალაშქრეს, მტერნი აოტნეს და ისევ „გამარჯუებულნი და აღსებულნი და სახელოვანი მოვიდეს წინაშე მეფეთა“.

მერე, ზედიზედ, ერთმანეთის მიჯრით აეწყო ლაშქრობანი: „ლაშ-

ქრობდეს ქუემონი ქუემოთ, და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ, და ყოველგან ძლევა-შემოსით და გამარჯუებით“.

1187 წლის აღრიან გაზაფხულზე თამარმა შორეული ლაშქრობისათვის გააწყო ლაშქარი. ამჯერად ერანის შუაგულის გავლით, პართიისაკენ უნდა აეღო გეზი ქართველობას. ამ დიდი, საპასუხისმგებლო ლაშქრობის უფროსობა ისევ თავის მეუღლეს, გიორგის ჩააბარა თამარმა. გიორგი რუსმა ისევ ისახელა თავი. მისი მოთავეობით ქართველებმა ეს შორეული ლაშქრობაც დიდი წარმატებით განასრულეს, იქაური ქალაქები აიღეს, ნადავლი და ტყვეები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუე-სრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე“.

პართიაში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდგომ თამარი და მისი სახლობა იმერეთს გადავიდა „განსასვენებლად“. მერე იქიდან გამობრუნდნენ და შირვანს გაემართნენ ბრწყინვალე ამალით. შემოეგებათ შირვანშაჰი „დიდითა ნიჭითა და ძღუენითა“. რამდენიმე დღის ბჭობის, ნადირობისა და „განსუენების“ შემდგომ ქართველთა ხელმწიფეებმა შირვანშაჰი დატოვეს „პატივითა ძმებრივითა“ და ისიც ქართულ სამეფო კარს კვლავ „მონებდა და მსახურებდა მორჩილითა ყმებრივითა“.

ტფილისს მობრუნებულმა თამარმა შეიტყო, რომ კვლავ დამდგარიყო გელაქუნს თურქმანთა ურდო, სიმრავლით „ზღვის ქვიშა საბეობითა“. ისევ წარგზავნა თამარმა გიორგი ლაშქრით. ქართველები გელაქუნს ჩაიჭრნენ, თურქებს „დაესხნეს, ამოწყვიტეს და აღიღეს დიდძალი ნატყუენავი და იავარი“. უკან, საქართველოსკენ გამობრუნებულთ, უეცრად ახალი ურდო შემოესიათ — „ყოველი თურქმანობა“, რომელთაც შამელი დიდებულები მოუძღოდნენ — რ ი ს ტ ო მ და ი ა ლ ღ უ ზ-ა ლ ფ ე ს ი. ესენი თურმე ყ ი ზ ი ლ-ა რ ს ლ ა ნ ათაბაგს დაუქირავებია საქართველოს ასაოხრებლად.

შეუტრიალდნენ და შეებნენ მტერსა ახალსა „მოყმენი თამარისანი“. ისე შეებნენ, შეუტიეს და გააქციეს, რომ თურქთაგან ერთმანეთს „უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“.

ისევ „დიდი ძლევით“ შემკული საომარი დროშებით წარდგა ქართული მხედრობა „წინაშე მეფისა და დედოფლისა ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.

1187 წლის მიწურულს კიდევ ერთი დიდი ბრძოლა გადაიხადეს

ქართველებმა. ამჯერად ჰერეთის ერისთავმა ასათ გრიგოლისძემ მეფე-დედოფლისგან განძის დალაშქვრა ითხოვა. თამარმა დასტური ბრძანა. ისევ გიორგი რუსი წარუძღვა ლაშქარს; თან ახლდნენ შხარგრძელები და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი. განძა ჰოლეს, დაარბიეს და მერე ბელაყნამდის აუყვნენ ლაშქრობით. შემდეგ რახსის ნაპირებს შეუდგნენ და მასისამდე მოარბიეს. ამ ლაშქრობებში დიდი რაინდული სიმამაცით თავი გამოიჩინეს ვარდან დადიანმა და თვითონ სარდალმა გიორგი რუსმა.

1187 წელი მიიწურა, დიდ ძლევამოსილებათა წელი.

ამ წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: გარდაიცვალა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი. მის ნაცვლად თამარმა დანიშნა ამირახორი გამრეკელი თორელი.

შეორე საქორწინო გვირგვინი

ქალო თამარო,
მინდორს გეძინა,
ზედ რა გეზურა?
— ზარი ზარბაბი...
— მოველ, აგხადე,
სამი გაკოცე,
სამმა კოცნამა
ფერი გიცვალა,
ფერმა ნაცვალმა
წიგნი დაწერა...

ახ, ვის მისწერა?
— დავით მეფესა,
— რითი დაწერა?
— ბროლის თითითა.
— შიგ რა ჩასწერა?
— დიბა, ატლასი...
— რითი ეაგზავნა?
— ნიავ-ქარითა.
— რით წაიკითხა?
— სისხლის ცრემლითა...

ხალხური.

და იყო საქართველო „ამას ესევითარსა მშვიდობასა, გამარჯუებასა და ზეობასა".

და უეცრად, ასეთი „ზეობის ჟამს", სავსებით მოულოდნელად, დამანგრეველი მეხის სიმძლავრით გავარდა „უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან".

თამარის ქმარს ყოვლად შეუწყნარებელი ჩვეები აღმოაჩნდა.

განუზომლად სვამდა, უზომოდ მთვრალი მეფისათვის უკადრის ზედ ლაზღანდარობდა და ჯამბაზობდა, შფოთსა და აყალმაყალს სტეხდა, შიმუნვარ ქალებს ებღლარძუნებოდა და ელაციცებოდა.

ყველაზე უარესი მაინც მისი სოდომური სენი ყოფილა. ბოლო, ამის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელი იყო.

თამარი ორწელიწადნახევარს იბრძოდა ნაძალადევი მეუღლის „გამოსასწორებლად“ და გასაკურნებლად.

ეს იყო ბრძოლა იდუმალი და თავგანწირული.

ითმენდა თამარი, „ვითარცა გურდემლი“.

ყველაფერი ამაო გამოდგა.

ორწლინახევრის შემდგომ გიორგის უმძიმესი მანკიერების ამბავი მეფე-დედოფლის მტკიცედ დაგმანული სანთიობოს კარებიდან გამოიპრა და ყველასათვის საცნაური შეიქნა.

სასახლის კარს თავზარი დაეცა, ატყდა ყრუ დრტვინვა, მოთქმა-მოთქმა და მიეთ-მოეთი. სირცხვილით ალანძული დაბობტებდნენ სადარბაზოში თამარის უიღბლო ქორწინების მოთავენი.

ახლა აშკარად, პირდაპირ მიუჩინა თამარმა გიორგის მკურნალნი და მწვრთნელნი. გიორგი არავის იკარებდა, არავის უსმენდა, მოჯალებულ „მწურთნელებს“ ლანძღავდა, სცემდა და „ასოთა აღმოგდებით“ სტანჯავდა.

ბოლოს, ბიბლიური იერემიას სიტყვებით ამცნეს თამარს უკურნებლობა გიორგისა:

„ვკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა“.

თამარსაც უკვე აღარ შეეძლო მეტის დათმენა.

დარბაზის ერი შეჰყარა, ტახტზე დაბრძანდა და მის წინ მდგარ გიორგის საჯაროდ განუცხადა:

„თუმცა საღმრთო სჯული გვასწავლის, არა განვეშოროთ პირველსა საწოლსა, მაგრამ რაკი მე არა მიძლავს განმართვა მრუდე ხის აჩრდილისა, უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მე შენ მიერ“.

ეს ბრძანა, მაშინვე ფეხზე წამოდგა და სადარბაზოდან გავიდა.

ვაზირები, ერისმთავრები და ეპისკოპოსები კარგა ხანს მდუმარედ შესცქეროდნენ გიორგის, რომელსაც თითქოს სავსებით გასცლოდა სიცოცხლის ნიშატი.

ბოლოს, რუსუდან დედოფლის წარდგინებით, დარბაზის ერმა გადაწყვიტა გიორგის განპატიჟება საქართველოდან.

საქართველოს მეფეთამეფე ქალი იყო და, ვითარცა ქალმა, „ცრემლმდინარებასა შინა“ გამოიტირა თავისი უიღბლო ჯვარისწერა.

მისმა მცირე ამალამ მიაცილა გიორგი შავი ზღვის პირამდე. ჩაჰვეს ხომალდში, რომელიც თამარის ბრძანებით აღრევე აევსოთ „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“.

გიორგი კონსტანტინოპოლისაკენ მიცურავდა. უკან დარჩა ორივე საყვარელი ქვეყანა — რუსეთი და საქართველო.

წავიდა „უბედური გიორგი“ და დარჩა „უბედური თამარი“.

დარჩა, ვითარცა ათენა, სიბრძნისა და მეომრული რომანტიკის მეუფე ღმერთ-ქალი, მარად ქალწული პართენოს...

ასევე დაიძრნენ „უზენაესი სასიძოები“ საქართველოს სატახტოსაკენ. მოდიოდნენ ქრისტიან და მუსულმან სამეფო ინსიგნიათა მფლობელნი, შემკვიდრენი, თუ ხელმწიფური მემკვიდრეობის მაძიებელნი.

მოდიოდნენ „მეტრფენი მეფეთა მეფე თამარისა“, შორეულ-უცხოელნი და შინაურ-კავკასიელნი.

მოდიოდნენ „აღმოსავლით დასავლეთამდი“.

მოდიოდნენ თამარის „სახებრწყინვალეობით გახელებულნი“, დიდძალი ძღვენით, ხანგრძლივი დროით, მშობლიური ქვეყნისა და სჯულის „შეწირვით“, ოღონდ კი ეპოვნათ ხელი თამარ „შვიდმნათობიერისა“.

უკვე ძალიან ფრთხილობდნენ საქართველოს მესვეურნი. აკი მათი შიზეზით, ნასწრაფევი დაუკვირვებლობით და სიჯიუტით, ესოდენ დაისაჯა მეფე-ქალი.

უარი უთხრეს ბიზანტიელ უფლისწულს.

უარი უთხრეს ასურასტანის, მესოპოტამიის, ერაყისა და სირიის ტახტის მემკვიდრეებს.

უარი უთხრეს იკონიის (რუმის) სულტანის ყიზილ-არსლანის ძეს, რომელიც მამამ ციტადელში ჩაპყრა, ისლამიტური სჯული რომ არ დაეგდო და ველად არ გაჭრილიყო თამარის სიმშვენიერით „ხელქმნილი“ მემკვიდრე.

მერე, 1188 წლის შემოდგომაზე კარნუ-ქალაქიდან (არზრუმი) მოვიდა „სალდუხის ძის ძე, მ უ ტ ა ფ რ ა დ ი ნ“. ყველაფრის შეწირვისთვის მზად იყო მუტაფრადინი, ოღონდ კი თამარის ქმრობას ღირსებოდა. იგი მოვიდა „დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ზოკაებითა და საჭურისითა, მონებითა და მხევლითა, ბარგითა და სიმდიდრითა, სახელმწიფოთა ძღუნითა კმასაყოფინელითა, თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა ჩინრავალითა“.

ქართველებიც „წესისაებრ სახლისა სახელმწიფოსა მიეგებნეს“. არც ის გაუხსენებია ვისმეს მუტაფრადინისთვის, რომ მისი პაპა სალდუხ-ამირა ანისზე შემოსევისას თამარის პაპამ, დემეტრე მეფემ, სას-

ტიკად გაანადგურა, კიდევაც დაატყვევა და მერე ტყეობიდან განუტყვა დიდსულოვნებით...

აუდიენციაც „წესისაებრ“ ჩატარდა თამარის სადარბაზოში. სტუმარი აღმოსავლური წესით ეთაყვანა საოცნებო მეფე-ქალს. ეს იყო და ეს. ამის შემდგომ მხოლოდ „რამინისებრი ცრემლთა ნაკადთ-მრავლობა“ შერჩა მუტაფრადინს. თამარს აღარ უნებებია მასთან შეხვედრა, ხოლო ქართული სასახლის კარი დიდის პატივით ართობდა სტუმარს, რომელსაც თითქოს აღარც კი სურდა საქართველოდან წასვლა. გაუთავებელ ღრეობა-ნადიმობასა, ზმა-სმასა და ნადირობაში გავიდა შემოდგომა და ზამთარი. თამარმა ზამთარი ქვემო ქართლში გაატარა. ღანუყობის (გაზაფხულის) დამდეგს თამარი ტფილისს დაბრუნდა და მუტაფრადინსაც იმედი მიეცა, იქნებ ახლა მაინც ვიხილოო „ამაყი და ლაღი“ დედოფალი. მაგრამ ქართველმა დიდებულებმა, „შესატყვისობისად თამარისა“, სასიძოს სულიც არ მოათქმევინეს, ისე გაიჭანჭ ტფილისიდან. ამჯერად ქვემო კახეთისა და რანის სანადირო მინდერებსა და ტყე-მაღნარებს შეუყენეს, აქაური დიდკაცობის შეხვეღრებითა და თანხლებით.

როცა ტფილისს მობრუნდნენ, დედოფლის ხილვის უსაზღვრო ლოდინითა და უთავეამო ნადიმობა-ნადირობით დაქანცულ მუტაფრადინს უარი ათქმევინეს „მიუწედომელი“ თამარის ხელის ძიებაზე. საშაგიეროდ აღუთქვეს, რომ ცოლად მაინც თამარის მამის ასულს შერთავდნენ (?!).

თურმე გიორგი მესამეს ხარჭისგან ნაშობი ასული ჰყოლია ერთი, სწორედ ის შესთავაზეს მუტაფრადინს. რაც უნდა ყოფილიყო, მაინც თამარის „სისხლისად“ ითქმოდა ეს ქალი და რაკი „სხვა მხრივ“ საშველი აღარ იყო, მუტაფრადინმა ესეც დიდ პატივად ჩასთვალა და „თამარის სიძობას“ დასთანხმდა. ქორწილიც ტფილისში გადაიხადეს. მერე დიდძალი მზითევით, ძღვენითა და საბოძვარით დატვირთული სიძე-დედოფალი არზრუმს გაისტუმრეს.

ბოლოს, კიდევ ერთი „მაღალი სასიძო“ მოვიდა ტფილისს. ეს იყო შირვანშაჰი ა ღ ს ა რ თ ა ნ, „მიხდილ ცნობათა სიყუარულისაგან“ თამარისა. გარეგნულად, ვითომც სტუმრად და „რეცა დარბაზობის სახედ“ მოსულიყოს შირვანშაჰი საქართველოში, მაგრამ ნამდვილი ამბავი ძალიან მალე გამჟღავნდა: თურმე ისიც „სჯულის დაგდებას“ აპირებდა, ოღონდ კი თამარის ქმრობას ჰღირსებოდა. პირადად თამარისთვის ვერ გაებედნა და დიდი საგანძურის გაღებითა და ხვეწნა-ქენე-

ბით მასთან დაახლოებულ დიდკაცობას სთხოვდა შუამდგომლობას. განსაკუთრებით ქრთამის მოყვარე მიქაელ კათალიკოსზე მიუტანია იერიში აღსართანს. თამარმა ყველა შუამავალი გაკიცხა, შეარცხვინა და ბოლოს მკაცრად ბრძანა: კვლავ აღარავინ გამიბედოსო ამ საქმეზე თქმა რაიმესი.

ასე რომ, შირვანშაჰიც დაბრუნდა შირვანს დიდად მჭმუნვარე, თუმცა უხვი ძღვენით ჯორკიდებული.

მოდიოდნენ და მიდიოდნენ სასიძოები.

ერთი წელი კი გავიდა გიორგი რუსის განტევებიდან. საქართველოს სამეფო ტახტს უმემკვიდრეობა ემუქრებოდა. ამიტომ „მოეცვა შვიდივე ესე სამეფო შეუპირველებასა“.

მაგრამ, გამოჩნდა ღირსეული საქმრო თამარ „სუე-სვიანისა ხელმწიფისა“.

ეს იყო დავით სოსლანი, ოვსთა მეფის, ჯადრონის ძე.

წარმოშობით დავით სოსლანი ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. გაიხსენე, მკითხველო, — მეფე გიორგი პირველს, დედოფალ მარიამის გარდა, „მეორე ცოლიც“ ჰყავდა — ალდე, ოვსთა მეფის ასული, რომლისგანაც დაიბადა დემეტრე. ალდე და დემეტრე გიორგის სიკვდილის შემდგომ აფხაზეთში აფარებდნენ თავს, ქალაქ ანაკოფიაში. დემეტრე ერთ ხანს, ბიზანტიის კეისრისა და ლიპარიტ კლდეკარელის დახმარებით, ამაოდ ცდილობდა საქართველოს ტახტის დაუფლებას. მას სიკვდილის შემდგომ მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა, სახელად დავითი. ჯერ კიდევ ცოცხალმა ალდემ თავისი შვილიშვილი აფხაზეთიდან ოვსეთს გადაიყვანა, თავისსახლობაზე. დავით დემეტრეს ძე ოვსთა მეფის კარზე გაიზარდა, მეფის ერთადერთი ასულიც შეირთო და სიმამრის სიკვდილის შემდგომ ოვსეთის სამეფო ტახტიც ჩაიბარა. დავითის შემდგომ ოვსეთს (რასაკვირველია, საქართველოს მეფის ხელქვეით) განაგებდა მისი ძე, სახელად აგრეთვე დავითი. სწორედ ამ დავით დავითის ძეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული — თამარ მრწემი. ამ ქორწინებამ წარმოშვა ათონი, ხოლო ათონის შემდგომ ოვსეთის ტახტზე დაჯდა ძე მისი ჯადრონ. სწორედ ამ ჯადრონის, გიორგი პირველის მეექვსე შთამომავლის ვაჟი იყო დავით სოსლანი.

ისედაც, დავით სოსლანი თამარის მამიდას, დედოფალ რუსუდანს ჰყავდა ნაშვილები, რუსუდანის სახლში იყო აღზრდილი, იქვე ვითარცა

თვითონ თამარიც დიდად იყო დავალებული მამიდის ღვიძლი მზრუნველობისაგან.

მომხიბლავი ვაჟკაცი იყო დავით სოსლანი, „ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა“, „ფერ-ნაკუთად კარგი, ბეჯ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“.

ეს, რაც შეეხება გარეგნობას და გვარიშვილობას. ხოლო, საომარ ხელოვნებაში იყო ნამდვილი „ჯაბუკი და ლომი მისათხრობელი... შემმართებელი, მოლაშქრე მკვირცხლი“, სწორუპოვარი მშვილდოსანი-მოისარი, „რაინდობითა უსწორო“ ცხენოსანი, დაუღალავი მცურავი და მოასპარეზე.

ბოლოს, „ზრდილობითა კეთილად წურთილი“, დიდად განსწავლული მწიგნობარი, მეცნიერი და მორალისტი ყოფილა ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე აღზრდილი უფლისწული.

სხვა მხრივაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო თამარის საქმროდ დავით სოსლანის მინიშნება. ესაა ტრადიციული მოყვრობა ქართულ და ოსურ სამეფო სახლეულთა შორის. სომეხთა შემდგომ, არავისთან ისეთი ხშირი მოყვრულ-ნათესაური ურთიერთობა არ ჰქონიათ ქართველ მეფეებს, როგორც ოვსეთის სამეფო კართან (მანამდელ ისტორიას გადავხედოთ: ოვსთა მეფეს ცოლად მისცა ფარნავაზმა თავისი ერთერთი დაი; გიორგი პირველს „მეორე ცოლად“ ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ალდე; ბაგრატ მეოთხეს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ბორენა; ოვსეთის მეფეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული; გიორგი მესამეს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ბურდუხანი).

მაშ, გადაწყვიტა სამეფო დარბაზმა დავით სოსლანი მეფეთამეფე თამარის საქმროდ. ისევ დედოფალ რუსუდანს აცნობეს და შუამავლობაც მასვე სთხოვეს თამართან. რუსუდანმაც ფრიად გაიხარა და მაშინვე გაეშურა სასახლისაკენ.

მშვიდად მოისმინა თამარმა მამიდის რჩევა და შუამდგომლობა. ფიქრს ჩაეღრმავდა მეფეთამეფე. იგი კარგად იცნობდა დავით სოსლანს, ამიტომ ყოყმანიც არ უნდა დასჭირვებოდა, ისე უნდა ეთქვა ან „ჰო“, ან არა“. ბოლოს, ხანგრძლივი ფიქრის დასკვნა ასე ბრძანა თამარმა:

ღმერთი არის მოწამე, არასოდეს ჩემი გული ქმროსნობის მოწადინე არა ყოფილაო, არც პირვანდელი ქორწინება მსურდა, არც ახ-

ლანდელი მომსურვებიაო, მაგრამ, რაკი ღმერთსა და მშობლებს ჩემთვის სამეფო ტახტი მოუნდვიათ, მე იძულებული ვარ, სწორედ ტახტის საწალმართოდ ამ თხოვნას დავთანხმდეო.

განსაკუთრებით „მეცნიერებისათვის“ მოიწონა თამარმა დავით...

ასე გადაწყდა და „წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი“ და მოიყვანეს დავით სოსლანი.

დიდუბის სასახლეში შეხვდნენ ერთმანეთს სადედოფლო და სასიძო.

ჯვარისწერაც დიდუბეში შესდგა, ქორწილიც დიდუბეში, — „ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“; ქორწილი, რომლითაც „მშუებელნი იხარებდეს, გლახაკნი განდიდრდებოდეს; იყო ზმა მგოსანთა (იქნებ, მათ შორის ჰაბუკი შოთა რუსთაველისაც?) და მუშაითთა, სახიობათა მჯურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა“.

წელი იყო 1189.

თამარი — 23 წლისა.

იგი მეორედ თხოვდებოდა.

შემდგომად ქორწილისა, „შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი. ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განიხარა დიდითგან მცირედმდე ყოველმან ერმან“.

## გამოსვლა „სარგებლისა მოწადინეთა“

და ვთქუ განკურვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს.

ფსალმუნი, 115,2.

1189 წელი მიქაელ კათალიკოს-ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სიკვდილით დასრულდა, „და არავინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“.

მაშინვე თამარმა გარეჯიდან გამოიწვია ანტონი გლონისთავისძე, „ნამდვილად კაცი ღირსი ქებისა, ჰეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მღაშალი, პატრონისა ერთგული უზომოდ“, ეკლესიათა და სავანეთა დაუცხრომელი მაშენებელი. ანტონი გიორგი მესამის დროსვე იყო საქართველოს კათალიკოსი და ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი,

მაგრამ გიორგის სიკვდილისთანავე მიქაელ მირიანისძეს რაღაც ხრიკებით მოუხერხებია მისთვის ამ უმაღლეს თანამდებობათა წართმევა. ახლა თამარმა ხელახლა დასვა ანტონ გლონისთავისძე ჰყონდიდელად და მწიგნობართუხუცესად.

კათალიკოსობა თ ე ო დ ო რ ე ს მიუგო თამარმა.

მაგრამ ამა ქვეყნიდან ერთი გულგესლიანი მიქაელის წასვლა არ ყოფილა საკმარისი „ამა ქვეყნის“ დასაწყნარებლად. ბევრი ყოფილან თამარის კარზე „სარგებლისა მოწადინენი“, რომელთაც თურმე გულზე ლახვრად დასცემიათ საქართველოს სამეფო ტახტთან დავით სოსლანის ძლიერი პიროვნების გამოჩენა.

ერთი წელი ძლივს შეინახა თავი ფარულმა შურმა, პატივმოყვარეობამ და გულღვარძლიანობამ. და სავსებით მოულოდნელად მოიხსნა თავი ბოროტების გუდამ.

1191 წლის დამდეგს თამარ მეფემ კარნუ-ქალაქს (არზრუმს) „წარავლინა საქმისა რასათვისმე“ მოადგილე მეჭურჭლეთუხუცესისა. ეს კაცი (რომლის სახელიც ისტორიამ არ შემოგვინახა) ყოფილა „სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“.

არავინ იცის, შემთხვევით თუ წინასწარი გარიგებით, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი კარნუ-ქალაქში შეხვედრია გიორგი რუსს, რომელიც აქ კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულა საქართველოს ტახტ-გვირგვინისა და დედოფლის კვლავ დაბრუნების განზრახვით. გიორგიმ ყოველივე სრულად გაანდო ტფილისიდან ჩამოსულ მოხელეს და თან ქართველ ერისმთავრებთან შუამდგომლობაც დაავალა დახმარების თხოვნით.

ერთი შეხედვით ამ უცნაურ და პერსპექტიულად უნიათო განაცხადს უეცარი აფეთქება მოჰყვა. ერთბაშად აიწყვიტა ლაგამი ფეოდალურმა შინამავნეობამ.

გიორგის პირველი მიემხრო გ უ ზ ა ნ, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი. მას მიჰყვა სამცხის ერისთავი და სპასალარი ბ ო ც ო ჯ ა უ ე ლ ი, მათვე მიერთო მსახურთუხუცესი ვ ა რ დ ა ნ დ ე დ ი ა ნ ი, მთელი თავისი დასავლურ-ქართული სამფლობელოებით, „ლიხთიქით ნიკოფსიამდის“. ასევე დადიანმა დასავლეთ საქართველოს ყველა საერისთავოთა მფლობელნი დააფიცა გიორგი რუსისადმი ერთგულებასა და თანადგომაზე.

ამგვარად, მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო გიორგი რუსის საომარ ბანაკში აღმოჩნდა.

საომარი ძალები გეგუთში შეჰყარა დადიანმა. აქედანვე ტაოსაკენ აფრინა ლაშქარი გუზანთან შესაერთებლად. გიორგი და გუზანი გამოუძღვნენ იმერთა, ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა ლაშქარს და მოვიდნენ სამცხეს. აქ მათ შეუერთდა ბოცო ჯაყელი. სამცხიდან ყველა ერთად, „მგლური მარშით“, წამოემართნენ და მოვიდნენ გეგუთს, სადაც მათ ვარდან დადიანი ელოდებოდათ იმერთა მთავარი ძალებით.

რაოდენ მოულოდნელი, საოცარი და საკვირველი შეიქნა თამარისათვის მისგან დიდსულოვნებით განტევებული ნაქმრევის გამოხდომა და, განსაკუთრებით, სამტრო ბანაკში ნახევარი საქართველოს ჩადგომა!

მაგრამ მალე გამოერკვა ადამიანთა უმადურობითა და მზაკვრობით გულშეძრული მეუფე-ქალი. სასწრაფოდ უხმო „ყოველთა ერისთავთა ერთგულთა“. ფრთამალედ მოიჭრნენ: ამირსპასალარი გამრეკელი თრელი, ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლისძე, კახეთის ერისთავი ბაკურ-ყმა ძაგანისძე, ქართლის ერისთავი რატი სურამელი და ქვემო ქართლიდან ოთხი მხარგრძელი — ზაქარია და ივანე სარგისის ძენი და ზაქარია და სარგისი ვარამის ძენი (მხარგრძელებმა იცოდნენ, რომ „პოლიტიკური ამინდი“ ისევ თამარისთვის იდგა). სამცხიდანაც მოვიდნენ მოლაშქრენი, რომელნიც მათ ხელისუფალს, ბოცო ჯაყელს, არ გაჰყოლიან თამარის სამტრო ბანაკში. ყველამ ერთგულება და თავდადება შეჰფიცა თამარს მოღალატეთა დასათრგუნავად.

თამარმა მაინც სცადა ძმათაშორისი სისხლისღვრის თავიდან აცილება. ჯერ კათალიკოსი თევდორე და ანტონ ქუთათელი („ერთადერთი ერთგული ლიხთ-იმერით“) მიუგზავნა „გეგუთის ბანაკს“, მერე კიდევ, ზედიზედ, სხვა ეპისკოპოსები, ეჯიბნი და მესტუმრენი, მაგრამ ვერაფერს გახდა თამარი. უსისხლოდ საქმის გათავება არ მოხერხდა.

ეს „დიპლომატიური წიაღსვლები“ ჯერ არ დასრულებულიყო, რომ „გეგუთის ბანაკი“ საომრად აღემართა. მისი ერთი ნაწილი, რომელსაც თვითონ გიორგი რუსი, „მეფე-საგონებელი“, მოჰყვებოდა, ლიხზე გადმოიჭრა. გორამდის და ნაჭარმაგევამდის ქართლის დასახლებანი სრულიად გააოხრა და გაატიალა. მეორე ნაწილი, დადიანისა და ბედიანის წინამძღოლობით, სამხრეთით წარემართა; გაიარეს რკინისჯვარი, ციხისჯვარი და გადასწვეს ქალაქი ოძრხე.

ოძრხეში ისევ შეიყარნენ საომარ ბჭობად დადიანი, ბედიანი, ბოცო ჯაყელი და გუზან ტაოელი. დაადგინეს — ზედიზედ აეღოთ ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალაქი, თრიალეთი და სომხითი. აქ, სომხითში, დიდი

იმედები ელოდათ: თამარს გადასდგომიან გაგის პატრონი ივანე ვარდანისძე და კაეწონის პატრონი მაყა.

მეტის დათმენა სწორედ შეუძლებელი იყო.

თამარმა უბრძანა ამირსპასალარ გამრეკელ თორელს, და იმანაც დასძრა ლაშქარი. ჯავახეთისკენ გაეშურნენ გულდაგულ. თამარის ლოცვა მიჰყვებოდათ, „ხელი საუფლო და სიტყვა ოქრო-ნექტარი". ჯავახეთს ერთგული მესხები შემოეგებნენ და შეუერთდნენ.

მტკვარს მიადგნენ მარცხენა მხრიდან, ხიდს მიაშურეს და ხიდის მეორე მხარეს მოწინააღმდეგის ბანაკიც გამოჩნდა. ისინიც აიშალნენ და წამოვიდნენ.

ზედ ხიდზე ეძგერნენ ერთურთს. ხიდი გაიჭედა და გაიზნიქა. საჭურველ-კვეთებისა და ხელდახელ-შეხეთქებისგან მეომრები მდინარეში ცვიოდნენ და ტალღებისგან მუხლმოკვეთილნი განაგრძობდნენ რკენას.

დაღამდა.

მტკვრის ცივ წყალს წელს ქვემოთ დაედუნებინა სხეული მეომართა.

ბრძოლა შეწყდა.

ისევ ხიდის ორივე მხარეს ჩაიკრიფნენ მოპირდაპირენი.

მთელი ღამე ბჭობდნენ სარდლები ორივე მხრისა.

გული შედრკომიათ მეამბოხეებს, თამარის მოყმეთა თავზეხელაღებული შემოტევით დამფრთხალთ უთქვამთ: აღარ ძალგვიძსო წინაღუდგეთ „მხეცქმნილობასა" თამარის ლაშქრისას, ამიტომ „მივიდოთ სიმაგრისაკენ" და იქედან ვეცადოთო „ღალატსა და ძლევასა".

დილით გამრეკელმა თორელმა მგლური სრბოლით გადაუყვანა ლაშქარი ხიდზე. მეამბოხეებიც სასწრაფოდ აიყარნენ და სირბილით მიაშურეს „მთასა ტორნაძიად სახელდებულსა, ღონედ სიმაგრისა საძებნელად". მაგრამ ვერც იქ შეიმაგრეს კვალდაკვალ მომდინარე ლაშქარი თამარისა და მდინარე ხინგრისაკენ გაუტიეს.

აქ, თმოგვსა და ერუშეთს შორის, მდინარე ხინგრის ბეობაში, ნიალის ველზე, ისევ შეიბნენ ორ მოპირდაპირე ბანაკად გაწყობილი თანამოძმენი. თავგამეტებით სცემდნენ ერთმანეთს ძმანი-მოყმენი „ერთანი და ამერთანი". მათი ომი „კმა იყო ძუელთაცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მოვიდოდეს ქუეითთა სიმწუაესნი და მოკუეთილებანი ისრისანი, მფეთებანი ხრმალთანი და მხეთქებლობანი ჰოროლთანი".

ბრძოლა დასრულდა თამარის დროშის გამარჯვებით.

საქართველოს ტახტის მაძიებლის ბანაკში ბევრი ქართველი გაწყდა.

გუზან ტაოელის, ბოცო ჯაყელისა და ვარდან დადიანის კისერზე იწვა ქართველთა ხელით დაქცეული ქართველთა სისხლი.

თამარის სარდალთაგან მხოლოდ ივანე მხარგრძელი დაიჭრა მსუბუქად.

გამარჯვებულნი აღარ გამოედევნენ დამარცხებულთ: თამარს არ ესიამოვნებოდა ძმათა შორის უსაზღვროდ თხევა სისხლისა.

გამარჯვების ამბავი სარგის ვარამის ძე მხარგრძელმა უმახარობლა თამარს, მაშინვე ბჭობად დასვა თამარმა მასთან იმჟამად მყოფი მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ჰერი და კახი დიდებულები. ახლა საჭირო იყო ქართლში მოთარეშე მეამბოხეთა მეორე ნაწილის განადგურება, ამჯერად თამარმა ლაშქარს უსარდლა დავით სოსლანი.

მტკვარზე და ნიალის ველზე მომხდარ ბრძოლათა ამბავი უკვე შეეტყოთ ქართლში მოთარეშე მეამბოხეებს. ამიტომ ისინი დავით სოსლანთან შეხვედრას სულაც აღარ დაელოდნენ, ისე გაიქცნენ და გაიფანტნენ.

თამარი ნაჭარმაგევს იდგა. აქ ეახლა მას დავით სოსლანი და აჯანყების სრული აღკვეთის ამბავი მოახსენა.

მალე თვითონ მეამბოხენი გამოჩნდნენ. ყელზე თოკშებმულნი მოდიოდნენ, თამარს ფეხებში უცვივდებოდნენ და შეწყალებას ევედრებოდნენ.

უფრო მძიმე დამნაშავენი, განსაკუთრებით ლიხთ-იმიერი დიდებულები, პირადად წარდგომას ვერ ბედავდნენ და თამართან შესარიგებლად შუამდგომლობას დედოფალ რუსუდანს, კათალიკოს თევდორეს, მანდატურთუხუცეს ჭიაბერს, ან ყველაზე გავლენიან ეპისკოპოსებს ევედრებოდნენ. არც ამჯერად გაცუდებულა იმედი თამარის დიდსულოვნებისა. მან პირობა ბრძანა: არავის სიცოცხლეს, მათ შორის „მთავარი გმირის“ გიორგი რუსის სიცოცხლეს, არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. მაშინ კი გაბედეს მოღალატეებმა თამარის წინაშე გამოცხადება. გიორგი რუსიც წინ გაიძღოლეს და ისე ეახლნენ ნაჭარმაგევს მეფეთამეფეს.

თამარმა პირობისამებრ ყველას სიცოცხლე აჩუქა.

თავისი „უბედური ქმარყოფილი“ ისევ გაუშვა კონსტანტინოპოლს, „მისსა სუე-უბედურსა გზასა“.

თამარმა არც ერთი მეამბოხე სიკვდილით არ დასჯა, მაგრამ ზოგიერთ ორგულ დიდებულს უმაღლესი „სახელონი“ მაინც დააგდებინა. ვარდან დადიანს მსახურთუხუცესობა ჩამოართვა და ერთგულ ივანე სარგისის ძე მხარგრძელს გადასცა. ამასვე საპატრონოდ მისცა „კაენი და კაეწონი გელაქუნით და სხვათა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“. ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს თამარმა სამმართველოდ მისცა ქვეყანა გაგიდან განძამდე. მის ძმას სარგის ვარამის ძეს თმოგვი უბოძა. ჭიაბერმა მიიღო „ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“. ამათ გარდა, „შეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“.

იმ წლის (1191 წ.) მიწურულს გარდაიცვალა გამრეკელი თორელი და მის ნაცვლად თამარმა ამირსპასალარად დანიშნა ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი, რომელიც მანამდე ლორეს განაგებდა. ახლა, ლორესთან ერთად, რუსთავიც მიიღო საპატრონოდ ახლადაღზევებულმა ზაქარიამ.

## „ერთადერთი დასჯილი“

რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართებიჲ, არცა კირჩხიბი მართლად ვალს.
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

თითქოს ყოველივე მიწყნარდა, მაგრამ სამხრეთიდან ისევ მოიშვრა ღალატის ხმა. არ იქნა და არ დაისვენა გულგესლიანმა გუზან ტაოელმა: ტაოსკარი, ვაშლოვანი და „სხუა ციხენი მრავალნი“ საქართველოს მოსისხლე შაჰარმენს გადასცა, ხოლო თვითონ, მისებრ მოღალატე აზნაურებით, კოლას მთებში გაიქცა და იქიდან „ავაზაკობდა მალვით“.

ნასწრაფევად ფეხამოკვეთილ მოღალატეს ცოლ-შვილი ტაოში დარჩა. შაჰარმენს ლაშქარი გამოართვა, თავის ვაჟს ჩააბარა და ტაოსკენ გამოუშვა. გუზანის ძეს ტაოს ციხეებში თურქთა ციხიონები უნდა ჩაეყენებინა და ოჯახიც როგორმე საქართველოს საზღვრებიდან გაეტაცნა.

თამარის ბრძანებისთვისაც არ დაუცდიათ, ისე აღეკაზმნენ ფანასკერტის პატრონი ზაქარია ასპანის ძე, კახა სამძივარი და პატრიოტი კალმახელი აზნაურები.

ბრძოლა უთანასწორო იყო. დიდძალი თურქობა ახლდა გუზანის ძეს. „დიდად დაჭირვებული ომი“ გადაიხადა მცირერიცხოვანმა ქართულმა მხედრობამ. ბოლოს, მაინც გასტეხეს მტერი ქართველებმა. მრავალი თურქი გაწყდა, მრავალი ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს თვითონ გუზანის ცოლ-შვილი. მერე გუზანისგან გაყიდულ ციხეებს შემოუბრუნდნენ და ყველგან თამარის ერთგული ციხისთავები აღადგინეს.

თამარის წინაშე წარდგნენ გამარჯვებულნი.

თამარმაც „მიჰფინა ნათელი წყალობისა“ ერთგულ მოყმეებს.

ხოლო, კოლას სამხრეთით, ტაოსა და კარნიფორის განსადრეკელზე, მთიან საძოვრებზე მთიბავმა გლეხებმა თვალი დაადგეს სამხრეთისკენ გამალებით მიმლტოლვარე კაცს, საეჭვო კაცად მიიჩნიეს, შეიპყრეს.

გუზან ტაოელი აღმოჩნდა.

მაშინვე ფანასკერტისკენ გაუყენეს და ზაქარია ასპანის ძეს მიჰგვარეს მხრებგაკრული მოღალატე.

ფანასკერტელმა ცხენზე შემოიგდო ძვირფასი დავლა და საქართველოს სატახტოსაკენ გაქუსლა.

კარგად იცოდა ზაქარიამ თამარის გულმოწყალების ამბავი. ვაითუ, ახლაც აპატიოსო გაუსწორებელ მოღალატეს თამარმა ქვეყნის ღალატი, ამიტომ პირდაპირ დავით სოსლანს მიჰგვარა ტყვე გუზანი.

დავითსაც კარგად სცოდნია, რომ თამარი კვლავ დიდსულოვანი პატიებით შეეცდებოდა მარად გაუმართავი ძაღლის კუდისა და უკუღმართად მავალი კირჩხიბის „განმართვას“.

ამიტომ ისწრაფა დავითმა: სანამ თამარი შეიტყობდა, მანამ ბრძანა თვალების დათხრა საქართველოს გაუსწორებელი მოღალატის...

და გუზან ტაოელი, მარად ღალატსა და მზაკვრობასთან ერთად, ისტორიაში შევიდა ვითარცა ერთადერთი დასჯილი კაცთაგანი თამარის დროისა.

ერთადერთი და ისიც არა ნებითა თამარისა.

### „საზეიმო ლაშქრობანი“

1193 წელს, ტაბახმელას სასახლეში, თამარს შეეძინა ვაჟი. დაარქვა გიორგი, „სახელი ახოვნისა მის მამისა თვისისაჲ“. გასაოცარი სილამაზისთვის — რამეთუ „იშვა დახატული ბუნები-

საგან“ — ახალშობილ უფლისწულს ზედნადებ სახელად უწოდეს ლ ა შ ა — „განმანათლებელი“, გინა „ქვეყნისა მანათობელი“.

ლაშა-გიორგის დაბადება დიდის ზარ-ზეიმით აღინიშნა. მეფემ და დედოფალმა დიდძალი წყალობანი გაიღეს. ეკლესიები შესაწირავებით აღავსეს. ქვრივ-ობოლნი, უქონელნი და უპოვარნი გაამდიდრეს. ტყვეები გაათავისუფლეს.

დიდძალი ძღვენი მოართვეს ახალშობილ ტახტისმემკვიდრეს ქვეშევრდომთა „შვიდსავე სამეფოთა“.

ასევე — „მცნობთა გარეთ ბერძენთა მეფეთა, სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სპარსეთისათა წარმოავლინეს ნიჭნი დ განძნი კმასაყოფელნი“.

ბარე ათი ლაშქრობა მოაწყვეს ქართველებმა იმ წელს „სხივოსანი“ უფლისწულის „ბედისა და სუეს“ ასამაღლებლად.

ჯერ ბარდავს გაემართნენ, აიღეს, დიდძალი ნადავლი გამოიღეს და მრავალი ტყვე წამოასხეს. მაგრამ მაშინვე ტყვეები, სულ 3000 („სამ-ბევრობა“) კაცი, გაათავისუფლეს „დღეგრძელობისათვის თამარისა და ძისა მისისა“.

ბარდავის დალაშქვრიდან ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ქართული მხედრობა მეფე დავითის მთავარსარდლობ.თ არზრუმისაკენ (კარნუ-ქალაქი) გაემართა. არზრუმელებს მოეშველნენ „სურმანელი, კარელი და სალდუხის ძე ნასრ-ადინ და ორნი ძენი მისნი ლაშქრისა სიმრავლითა, ქუეთისა და ცხენოსნისათა, უამრავითა“. ცისკრის ჟამს დაწყებული საშინელი ბრძოლა, „წყობა ჰუნეთა და ხეთქება აბჯართა“, გვიან დაღამებამდე გაგრძელდა — „ღამისა ბინდმან ულხინა გაყრად“. არზრუმის მცხოვრებლები „კბილთა ღრჭენითა და წვერის ფხურვით“ ხედავდნენ ქართველთა გამარჯვებას, ალაფის აღებასა და მუსულმანთა დაბორკილებას. ჰხედავდნენ და ბოღმიანი ცრემლით იტყოდნენ: როგორ ვიძლიეთო ქართველთაგან, როცა დიდმა მაჰმადმა ჩვენ აღგვითქვაო ძლევის მახვილი! მეორე დღეს, „ვითარცა განთენდა“, ისევ ჰკრეს საომარ ბუკთა და დაფდაფთა. არზრუმის ქარი გაიღო და ქალაქის ციხიონები გამოიჭრნენ, გარეთ მდგარ თავისიანთა ბანაკს შეუერთდნენ და ერთიანი ძალებით გაეწყვნენ საომრად. ქალაქის კედლებზე და სახლთა სახურავებზე მოისარნი და მოშურდულენი გადმომდგარიყვნენ ქართველთა „დასასეტყველად“.

დავითმა მტრის საომარი განლაგებანი თვალსაწიერში მოიქცია, თავის მხედრობას მხედრული ნავარდით ჩამოუქროლა და იერიში

ბრძანა. ქართველები მიეჰრნენ და „მისლვასავე დასტეხეს საჯდ მეხის-ტეხისა“. მუსულმანთა ლაშქარი დასაწყისშივე გატყდა და აირია. უწესრიგოდ უკუქცეულებმა ქალაქის კარები ბჭეთაგან ჩამოაგდეს და თავდასახსნელად შიგ შეცვივდნენ, პანიკით მოცულნი, ურთიერთ-მთელავნი და ურთიერთ-მმუსვრელნი. ძრწოლამოსილ მეომრებს ვეღარ აკავებდა ვერც ქალაქის შიდა-მცხოვრებთა ხვეწნა-მუდარა, ვეღარც ქალთა ცრემლი და კიცხევა, ვეღარც ხოჯა-მოლათა „სჯულისმიერი“ მუქარა.

ისევ ძლევამოსილი დაბრუნდა ქართველთა მხედრობა.

თვითონ აახლა დავით სოსლანმა მეფეთამეფეს ძლევის ამბავი, გამარჯვებულმა მხედართმთავარმა, ბედნიერმა მამამ და მეუღლემ.

კარნუ-ქალაქზე გამარჯვებას ისევ მოჰყვა ახალი ლაშქრობა. ამჯერად გელაქუნისკენ წარუძღვა ჯარებს დავით სოსლანი. ქართველებმა „ჩაიარეს ხაჩიანი, და ჩავიდეს ქუეყანად ყარყარისად და მიუწიეს ბელაყნამდის, და მოარბიეს ყოველი არეზი“. არეზიდან განძას მოადგნენ. სასტიკი შეტაკების შემდგომ განძაც აიღეს. შამქორი გამოიარეს და ტფილისს დაბრუნდნენ.

დაბრუნებისთანავე დავითმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებს უბრძანა ლაშქრობა სამხრეთით, რახსისაკენ (არაქს-არეზი). ლორედან გავიდნენ მხარგრძელნი. შუა გზაზე ამბერდის, ბიჯნისისა და გარნისის თურქთა ერთიანი მხედრობა შემოეფეთათ, სამეკობრეოდ და საძარცვავად წამოსულნი. შუა გზაზედ ეკვეთნენ ერთურთს მოპირდაპირენი. ქართველებმა ისევ სასტიკად დაამარცხეს მტერი. ისევ „ავსებულნი, სახელოვანნი მოვიდეს წინაშე დავით სუე-ამაღლებულისა და თამარ ღმრთივ-დამყარებულისა“.

მალე ამის შემდგომ მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი კაენიდან ჩამოვიდა, დავითს წარუდგა და ახალი დიდი ლაშქრობა შესთავაზა. ამჯერად მეფემ ჯარები წარმართა „მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსი-ბაზრისა და გორალაუჭისა“. კვლავ დიდი იყო ქართველთა გამარჯვება. ისევ ხელთ იგდეს დავლა და ხვასტაგი, სიმრავლით „შემსგავსებული ქვიშათა“. ძლევამოსილების აღსანიშნავად, დავითის ბრძანებით ქართველებმა სპარსი-ბაზრის სასულტნო-საასპარეზო მოედანზე იზეიმეს და იასპარეზეს.

ბოლოს, იმავე 1193 წლის შიწურულს, ისევ გამოჩნდა გაიორგი რუსი: კონსტანტინოპოლიდან წამოსულა, ჯერ საქართველოს საშინაო-თული საზღვრების გასწვრივ უვლია, მერე სპარსეთის ათაბაგს მიკე-

დლებია, ათაბაგისგან ჯარები მიუღია, ირანში მოსულა და აქეღან კამბეჩოვანში შემოუვლია მაოხარი ლაშქრობით. დროზე შეიტყო ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლისძემ, თავის სამ ძესთან ერთად სახელდახელოდ მცირე ლაშქარი შეჰყარა და მგლურით გამოეღეენა დიდძალი ნაძარცვითა და ნატყვენავით გაბრუნებულ მტერს. ხორნაბუჯელები მრავალრიცხოვან მტერს „მიეწიენეს და გააქცევნეს. ჩამოყარნეს და დახოცნეს".

თამარის ნაქმრევი საბოლოოდ გადაიხვეწა...

ახალი ძლევამოსილების ამბავი თამარს შეატყობინეს.

იჯდა დედოფალი, მის კალთაზე ლომს დაედო თავი (ეს ლომი შირვანშაჰს გამოეგზავნა ძღვნად. თამარს ისე შესჩვეოდა, კალთაში უჯდებოდა და ხელებს ულოკავდა, ხოლო, როცა განარიდებდნენ, ცრემლებს ღვრიდა დ მწუხარედ ღმუოდა).

იჯდა თამარი, მდუმარედ ისმენდა ახალ ბრძოლათა გარდახდის ამბავს, ლომს უსრესდა ყურებს, არ უკვირდა თვინიერება ნადირისა, მაგრამ უკვირდა მარადიული მტრობა ადამიანთა...

## შამქორი

1194 წელს, ლაშა გიორგის დაბადებიდან ერთი წლის შემდგომ, თამარს და დავითს მეორე შვილი შეეძინათ, ასული, რუსუდან. სიმშვენიერით „შემსგავსებული თვისი" დეღისა.

ხოლო, მომდევნო წლისთვის დიდი ხმალთაკვეთება ელოდა ნავარდო გამარჯვებებით" გალაღებულ ქართულ მხედრობას.

საომარი საფრთხე ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთით წამოეწერა, ერანიდან, სადაც ამ სამი წლის წინათ (1191 წ.) თავზეხელაღებულ მკვლელებს, მულიდებს, მოუკლავთ სულტანი ყიზილ-არსლანი. ხოლო ყიზილ-არსლანის მემკვიდრეობა მის სამ ძმისწულს გაუნაწილებია: უფროსს, ხუტლუ-ინანჩის ერგო „ერაყი ხუარასნამდის და ბაბილონამდის"; მომდევნო ძმას, ამირა აბუბაქარს — „ადაბადაგანი სომხეთამდის"; ხოლო მესამე ძმას, ამირ-მირანს — „არანი გურგანის ზღვით გელაქუნის ზღუამდე".

გაჩაღდა ბრძოლა ძმებს შორის ერაყ-ერანის სასულტნოში პირველობისათვის. დაწინაურდა აბუბაქარი, რომელმაც ჯერ უფროსი ძმა დაამარცხა და გააქცია, მერე მომდევნო ძმასაც გამოენთო. მაგრამ ამირ-მირანმა დაასწრო და შირვანს გაიქცა. აქ ივი შირვანშაჰს კიდევაც

შეეფარა და კიდევაც დაუსიძევდა. აბუბაქარიც არ დაერიდა, რომ შირვანშაჰ აღსართანი თამარ მეფის ნათესავი და ყმადნაფიცი იყო და შირვანს შეიჭრა დიდძალი მხედრობით. ბელაყანს მდგარი აღსართანი და ამირ-მირანი სასტიკად დამარცხდნენ და შამახიისკენ გაიქცნენ. მაგრამ ვერც დევნილებმა და ვერც მდევრებმა შამახიას ვეღარ მიასწრეს: საშინელმა მიწისძვრამ დააქცია შირვანის სატახტო ქალაქი. თვით აღსართანის ცოლი და შვილები სასახლის ნანგრევებში ჩაიღუპნენ.

თავზარდაცემულმა შირვანშაჰმა და ამირ-მირანმა საქართველოსკენ აფრინეს ეჯიბნი დახმარებისა და დახსნის სათხოვრად.

თამარმა შირვანის შველა ბრძანა და მაშინვე „წარავლინა შიკრიკნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით“.

როგორც კი დახმარების სასიხარულო ამბავი შეიტყვეს, აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირანი თვითონ წამოემართნენ საქართველოსკენ თავისი ამალით, შირვანისა და რანის ლტოლვილი დიდებულებითა და სახლეულებით.

თამარი და დავითი მაშინ ბრძანდებოდნენ „ჭალასა აგართასა“. აქვე შეყრილიყო დიდძალი მხედრობა, „ვითარცა გროი შავარდენთა“ სრულიად საქართველოს ყოველი კუთხიდან.

ქართველთა საომარი ძალები საზეიმო აღლუმად შეხვდნენ შირვანიდან მოსულ სტუმრებს:

ჯერ შეეგებნენ ოვსნი და ყივჩაყნი;
შემდგომად — ჰერნი და კახნი;
შემდგომად — ქართლელნი;
შემდგომად — მესხნი, თორელნი, შავშელნი, კლარჯნი, ტაოელნი,
შემდგომად — სომხითარნი;
შემდგომად — აფხაზნი, სვანნი, მეგრელნი, გურულნი, რაჭველნი, თაკვერელნი, მარგველნი.

ბოლოს „ხელისუფალნი და შინაურნი“ მიეგებნენ და სამეფო კარავში შეუძღვნენ სტუმრებს.

ხოლო, კარავში ისხდნენ „ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თვით თამარ, დავით და ძე მათი გიორგი“. ყრმა უფლისწულს გვერდით უჯდა დედოფალი რუსუდან, მამიდა თამარისა, გამზრდელი დავით სოსლანისა.

პირველი მიეჭრა და ეთაყვანა საქართველოს სამეფო სახლეულს აღსართანი, „ვინათგან შინაური და თვისი იყო“ იგი. მას ამირ-მირანი და რანელ-შირვანელი დიდკაცობა მიჰყვნენ სათაყვანოდ.

ერთი კვირა გაგრძელდა დარბაზობა, პურობა, ნადიმობა და საომარი აღკაზმულობა.

აბუბაქარსაც არ გამოჰპარვია ქართველთა საომარი სამზადისი და მთელი ერანულ-მუსულმანური სამყარო მოიხმო შემწედ და მოკავშირედ. ბაღდადის ხალიფამაც გამოგზავნა ლაშქარი, ოქრო-ვერცხლიც უხვად გაიღო, „რათა შეკრიბონ ყოვლით-კერძო ლაშქარი ურიცხვი“ და ყოველივესთან ერთად სახალიფოს დროშაც წამოუმძღვარა ისლამიტთა გასამხნევებლად და ქრისტიანთა ზარდასაცემად.

მართლაც, საქართველოს სამტროდ „შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვი იცოდეს, ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს“.

თამარის გამეფებიდან ათი წლის მანძილზე ქართველობას ოცზე მეტი ლაშქრობა ჰქონდა გარდახდილი და მოგებული. მაგრამ ყველაზე დიდი ბრძოლა, მუსულმანურ-კოალიციურ არმიებთან, სწორედ ახლა ელოდათ ქართველ მხედრებს.

სალაშქრო აღლუმზე იდგა მხედრობა.

გამოვიდა თამარი და წყნარად მიმართა მისი ხილვით და კრძალვით განლიგებულ ჯარებს:

„ძმანო ჩემნო, ვიცი კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. მაშ, შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა ძალითა ჯვარისათა, მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა!“

მერე, მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავითს, მეუღლეს, მეფეს და მხედართმთავარს.

მთავარსარდალს გვერდით დაუყენა ანტონ ჭყონდიდელი გლონისთავისძე.

თამარმა დალოცა ჯარი.

დალოცა დროშა.

დალოცა ხმალი.

ლაშქარი საომარი სიმღერით გაეშურა.

ხოლო თამარმა „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და ფერხიც შიშულითა ფერხითა“ მეტეხის ტაძარს მივიდა ლოცვად — ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისათვის.

ქართველთა ლაშქარმა გარდაბანი გაიარა, მდინარე ეკლეცი გადალახა, რანს მიუახლოვდა და მზვერავებმა ამბავი შემოაგებეს დავით სოსლანს, ჩვენის თვალით ვიხილეთო მტერნი, „ათასჩი ათასთანი და ბევრნი ბევრთანი, უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვი-

თარცა ქვიშა ზღვისა“, შამქორიდან ვიდრე განძის კარამდე გადაშლილანო ბანაკნი მტერთა.

დავითმა სასწრაფოდ დასძრა ლაშქარი შამქორისაკენ.

15 ივნისი იდგა 1195 წლისა, ხუთშაბათი. დღის მიწურულს ქართველებმა შამქორს მიატანეს და მტრის პირისპირ დაიბანაკეს.

მთელი ღამე ესმოდათ ქართველებს მოლა-მუყრთა და მუეძინთა კივილი შამქორის მინარეთებიდან.

ის ღამეც განესრულა. პარასკევი თენდებოდა, 16 ივნისი.

დავით სოსლანს უკვე განეწყო ჯარი საომრად.

თვითონაც მძიმედ აღჭურვილიყო მთავარსარდალი, დიდებულ ზერდაგზე ამხედრებულიყო.

მოკლე სიტყვით მიმართა ჯარებს. მოაგონა „სიმხნე და მარჯუებულობა პაპათა და მამათა“, გმირობანი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

მერე დავითმა ჯარი სამ ნაწილად გაჰყო: ორი მოიერიშე რაზმი (მარჯვენა და მარცხენა) და ერთიც თადარიგი, თადარიგი ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ჩააბარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს წაუძღვარა ანტონ გლონისთავისძე, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შეხახედაეთაცა ჭაბუკი“, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცვლად ხმალი ეჭყრა ხელთ, და პირდაპირ შამქორის მთავარ კარიბჭისაკენ წარგზავნა მოიერიშოდ.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან და მტრის ზურგიდან შემოსავლელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუბაქარის ლაშქარი. „შეიქმნა ომი და კუეთება“, ისე რომ ხიდისა და გზის სივიწროვისაგან მხოლოდ მოწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს. როგორც იქნა, ქართველებმა მდინარე და ხიდი დიდი სისხლის ფასად უკან მოიტოვეს და ციხესიმაგრის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ურიცხვი მხედრობა შეახვედრა თავაწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამხეცებულნი ასკდებოდნენ და აკვდებოდნენ ერთიმეორეს. მისჩირდათ ქართველებს. „მოუკლეს ცხენი ზაქარიას ვარამის ძესა, და დაუკოდნეს სხუათა მრავალთა დიდებულთა“. აგვიანდებოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანის შემოვლით მანევრს: აქ ქართველებს გზა შეხვდათ უვალი, ღირღოლოვანი, ფლატე-

ჭარაფოვანი და კაპან-ქვაღოჯიანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. კვლავ წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტლივ მოჰყავდა ახალ-ახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ გაიმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“. უკვე მთელის ძალებით იბრძოდა აბუბაქარი. მას საეშვოდ აღარ დარჩენოდა, რომ სულ მალე ბრძოლა მისი ძლევამოსილებით აღესრულებოდა. ქართველთათვის გულდამგესლავად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასაგან „ღაზოდ წარმოგზავნილი“ დროშა სრულიად მუსლიმთა.

და უეცრად შამქორის ჩრდილო მხრიდან გრიგალივით მოიჭრა დავითი და მისი მხედრობა.

წინ, ამაყი ფრენით მოუძღოდათ „დროშა იგი გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა“ (შვიდასწლოვანი გამოძახილი ინდოეთს ვახტანგ გორგასალის ლეგენდარული ლაშქრობისა!).

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა მუსულმანებს, — „რაჟამს იხილეს მეფე, დაეცათ რისხვა ღმრთისა უხილავი“.

ქართველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა აბუბაქარს იგი დასასრულის პირს ეგონა.

მიეტევა დავითი „მსგავსად აჭილევისა“.

მეფის მხედრობას მოწყდა მხედარი და ხალიფას დროშისკენ გაქანდა ხმალაღმართული. ეს შალვა ახალციხელი იყო. მედროშეთაგან მოწინავე ალმედად* გაჰკვეთა რაინდმა. დაფრთხნენ და უკუიქცნენ დანარჩენი მედროშეები. მარცხენა ხელით დაითრია შალვამ ხალიფას დროშა.

სავსებით გატყდნენ ალაჰის მხედრები.

მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს“.

ორად „განსქდა“ მუსულმანთა ლაშქარი და ორი მხრისკენ გაიქცა — განძისკენ და გელაქუნისკენ.

პირველი გაექცა ბრძოლას თვით ამირთ-ამირა აბუბაქარი და „მიწევნულმან ხნარცესა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“.

---

* ალმედად — მხარიღლივ.

ხოლო ქართველები მისდევდნენ გაქცეულ მტრებს, სდიეს და „დაათვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჰამდეს ხორცთა მტერთა მათთასა“.

განძამდე და გელაქუნამდე სდიეს და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. მეფესთან შეიყარნენ, ნაომარ ველზე. არც ერთი მეომარი არ დაბრუნებულიყო ხელცარიელი. ვის დიდი რანგის მტრის მეთაური მოჰყავდა მხარგაკრული — ამირა, ათაბაგი თუ სხვა სარანგი, ვის კიდევ ერთი ან რამდენიმე მუსლიმი მეომარი.

თვალით გადაზომა მტრის გვამებით დარეცილი ბრძოლის ველი დავით სოსლანმა.

მოგებული იყო დიდი ომი.

პირველი მიეახლა ანტონ გლონისთავისძე ჭყონდიდელი, მიულოცა, ხოტბა შეასხა და გადაეხვია.

ეახლნენ მეფეს მისი „მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპეტნი“.

„პირითა მხიარულითა“ მიეჯრნენ შირვანშაჰ აღსართან და ამირ-მირან, „თაყუანისცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და პემბერაზთა მისთა“.

შერცხვენილნი იდგნენ მხარგრძელნი, რამეთუ მაინცდამაინც ვერ ისახელეს თავი, რამეთუ თავის წილ შეტევისას ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“...

დაღამდა. იქვე დაიბანაკეს.

მთელი ღამე შამქორის მინარეთებიდან, წინაღამინდელ მუყრ-მუეძინთა ყივილის ნაცვლად, ქრისტიანული საგალობლები ესმოდათ ქართველებს.

მეორე დღეს, 17 ივნისს, შაბათის სისხამზე, შამქორის კარიბჭენი ყურთამდე განიხვნა, ციხიონის მეთაურები გამოვიდნენ, დავითს მიეახლნენ და ქალაქის კლიტენი მიართვეს წელში მოღაულებმა.

იმ დღესვე ქართველ მთავარსარდალს ჩაბარდნენ შამქორის ახლო-მახლო სხვა სიმაგრენი.

დავითმა ამირ-მირანი „ითაყვანა“ და შამქორი მას უწყალობა. აღტაცებულმა ამირ-მირანმა სიკვდილამდე საქართველოს ყმადნაფიცად იფიცა თავი.

შამქორიდან განძას მიადგა დავით სოსლანი თავის მხედრობით. ხმალზე ხელის მოვლებაც არ დასჭირვებიათ, ისე „გამოეგებნეს დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი. დავრდომით მიწა-ქნით

თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქცენეთა შეავედრნეს თავნი თვისნი და შვილნი; განახუნეს კარნი ქალაქისანი, და მიუფენდეს სტავრასა კართა-სრამდი სულტნისა, და გარღაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვეცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა".

და დავით სოსლანი „შევიდა სრად, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტანისასა".

ეს იყო უაღრესად საზეიმო წუთები: ქართველთა მეფე იჯდა საქართველოს მოსისხლე სულტანთა ტახტზე!

(მანამდე, 1525 წლის წინათ, ასეთივე საზეიმო წუთები თავის თანამებრძოლებს განაცდევინა ალექსანდრე მაკედონელმა, როცა იგი ბერძენ-მაკედონელთა მარადიულ მოსისხლე სპარსელ-აქემენიდთა ტახტზე დაჯდა პერსეპოლისში).

დაჯდა სულტანის ტახტზე დავით სოსლანი და თავისი თანამებრძოლი „ვაზირნი" ქართული სახელმწიფო კარის გარიგებით დაისვა თავის სიახლოვეს.

გაიმართა „ზარი და ზეიმი". მერე „შეიქნა პურობა და ნადიმობა შესატყვისი ჟამთა და მის დღისა".

ბოლოს, დავითმა, განძიდან გამგზავრების წინ, თამართან მახარობლად აფრინა მანდატურთუხუცესი ჭიაბერი.

მეფეთამეფე ტაბახმელას იდგა, როცა ჭიაბერი მოიჭრა სასიხარულო ამბით. დიდი წუხილის მსგავსად, დიდი სიხარულის მოსმენაც აუღელვებლად და „აღუზავებლად" შეეძლო თამარს. შამქორთან გამარჯვების ამბავიც ასე მოისმინა: „აღუზავებელითა და წყნარითა ტკბილითა სულითა და ლმობიერითა გულითა".

დავითიც გამოჩნდა ძლევამოსილი მხედრობით და აღლუმად დადგა დიდუბეს.

გაეგება თამარი. ცისკროვან სახით შეხვდა ერთგულ მოყმეებს. მადლობით და სიყვარულით სავსე მზერა მიუძღვნა ყველას, ღირთეულად, სწორპატიობით.

მის წინ გამოატარეს ბრძოლის ველიდან მოღებული ნაალაფევი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი, საომარი აღჭურვილობა, 12 000 ტყვე-მუსულმანი, 40 ავაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი.

მოიღო შალვა ახალციხელმა ხალიფას დროშა და ფერხთა წინაშე დაუდო თამარს. მას სხვა დროშებიც მოაყოლეს, წართმეული ათაბაგთა და სხვა სარანგთაგან.

თამარმა მაშინვე ხალიფას დროშა აარჩია და ძვირფას მანიაკთან ერთად ხახულს გაგზავნა იქაურ სახელგანთქმულ ლავრაში შესაწირავად.

შამქორული ძლევის აღსანიშნავი ტრიუმფი დასრულდა. ღ:მარმა, „მადლისა და წყალობისა გარდამხდელმან გაჰყარნა ლაშქარნი“.

### შამქორიდან ბასიანამდე

მაინც ცოცხლობდა და არა ცხრებოდა აბუბაქარი. როცა შამქორსა და განძას ქართველთა ცხენების თქარათქური მიწყდა, აბუბაქარი იმ „სამალავი ხნარცვიდან“ ამოძვრა და ნახიჭევნისკენ გაქუსლა. აქ ხელახლა დაიწყო ჯარების შეყრა სამუსლიმო სამეფოთაგან. თან განძა-შამქორში ქართველთაგან დასმულ მეტოქე-ძმას, ამირ-მირანს, მკვლელები მიუჩინა აბუბაქარმა. იმათაც „მისცეს წამალი სასიკუდინე და დასნეულდა“ ამირ-მირანი.

ტფილისს მოვიდა ამირ-მირანის ავადმყოფობის ამბავი. დავით სოსლანი მცირე ამალით აღიკაზმა და განძისაკენ გაემართა. მაგრამ ვეღარ მიუსწრო: ამირ-მირანიც მომკვდარიყო, აბუბაქარიც მოსულიყო, ძმის მომხრეებიც დაემარცხებინა და განძელებიც ეროგულებაზე დაეფიცებინა.

განძიდან ფეხად გაასწრო რისხვით ატანილ დავით სოსლანს აბუბაქარმა. დავითს ისღა დარჩენოდა, ტფილისს მობოუნებულიყო. თამარი ბაღზე შეაწუხა ამირ-მირანის სიკვდილმა და აბუბაქარის კადნიერებამ. შავით შეიმოსა, ცრემლიც დაღვარა და სასწრაფოდ საომარი სამზადისიც ბრძანა.

მანამდე ივანე მხარგრძელი განძიდან მომავალ აბუბაქარს დახვდა გელაქუნთან და დაამარცხა. იმავე 1196 წელს ივანემ გელაქუნთან ერთად ამბერდიც შემოუერთა საქართველოს, ხოლო, ახალი საუკუნის დამდეგს, 1201 წელს, ივანე მხარგრძელმა ბიჯნისიც მოაქცია ქართულ სამანებში.

1202 წელს თამარ მეფემ აბუბაქარისა და მის მიმდევაროა დასასჯელად შეყრილი მხედრობა („იმიერთა და ამიერთათა“) ორ ნაწილად გაჰყო. ერთს სათავეში დავითი ჩაუყენა და განძისაკენ გაგზავნა, მეორეს თვითონ უწინამძღვრა ამხედრებულმა და დვინისაკენ გაემართა.

სწორედ დვინში გამაგრებულიყო ამირა აბუბაქარი.

თამარმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ლეგენდარული დედოფლის მოსვლამ შიში და სასოწარკვეთა დაასადგურა დვინის ციხიოსში. თვითონ აბუბაქარმა, სავსებით დაბნეულმა და დაფანტულმა, ლოთობას მისცა თავი. მაგრამ რაკი ქალაქმა კლიტეთა წარმოგზავნა მაინც დაიგვიანა, თამარმა იერიში ბრძანა. ქართველებმა დვინის მაღალი კედლები გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. მუსულმანთა ციხიონი ერთხანს უსაზღვროდ ეჭლიტებოდა მოიერიშე ქრისტიანთა მახვილს, ხოლო, როცა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, ქართველებმაც იარაღს ხელი შეუშვეს და ქალაქის მოსახლეობას, განურჩეველად ეროვნული და სარწმუნოებრივი წარმომავლობისა, შეწყალება და პატივი მიუგეს. ასეთი იყო ნება თამარ მეფეთამეფისა, რომელიც, მის დიდ წინაპარ ხელმწიფეთა მსგავსად, რელიგიურ, „საღვთო ომებს“ როდი აწარმოებდა „უსჯულო არაქრისტიანეთა“ წინააღმდეგ. იგი მხოლოდ ქართველთა და მათ მოძმე-მეზობელთა დაუძინებელ მოსისხლეებს ებრძოდა თავგამოდებით.

თამარი დვინის აღების შემდგომ საქართველოში დაბრუნდა და „დადგა აღარაჟა მორჭმითა და სუფევითა“.

ამასობაში დავით სოსლანმა განძა ხელახლა აიღო, აბუბაქარის მოშხრენი ამოწყვიტა და ოცდახუთი დღის შემდგომ მდიდარი ალაფით დატვირთული ტფილისს დაბრუნდა.

იმ ზაფხულს მეფე-დედოფალი იმერეთს გადავიდა. ერთ ხანს ქუთათისს, გელათსა და გეგუთს ისვენებდნენ, მერე შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გაუყვნენ.

საქართველოს მეუფეთა „განსუენებით“ უსარგებლიათ სამხრეთელ მოსისხლეებს და „ქუეყანა არტაანისა, ძაღინის ხევისა, პალაკაციო წაეღო თურქთა“.

ისევ შეჰყარა თამარმა ლაშქარი, ისევ უსარდლა დავით სოსლანი და აფრინა სამხრეთისაკენ. ქართველებმა თურქები ქართული მიწებიდანაც გადარეკეს და თურქული სამანებიც რბევითა და ტყვეებით გადალახეს.

1203 წელს დავით სოსლანმა ისევ დალაშქრა ადარბადაგანისა და სომხეთის მიწებზე შემოსახლებული თურქული ციხიონები. ორჯერ აიკლეს ქართველებმა ხლათის შაჰარმენთა სასულტნო და აიღეს ქალაქები: არჭეში, მანასკერტი და ატ-ტინი. აქედან მათ უშუალო საფრთხე შეუქმნეს კარნუ-ქალაქის საამიროს.

რაკი ცალ-ცალკე ვერაფერს გახდნენ, ხლათის სულტანმა და არ-

ზრუმის (კარნუ-ქალაქის) ამირამ თავიანთი საომარი ძალები შეაერთეს, იკონიის (რუმის) სულტნისგანაც დამხმარე მხედრობა მიიღეს და ჩრდილოეთისკენ გამოეშურნენ.

ქართველთა ლაშქარი, რომელსაც ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი („უმცროსი ზაქარია") სარდლობდა, დამარცხდა. თვითონ ზაქარია ბრძოლაში დაეცა.

ახლა ამირსპასალარი ზაქარია სარგისის ძე წარემართა რევანშისა და ბიძაშვილის სისხლის ასაღებად, მაგრამ თურქებმა ერთ ჩაგში დაბანაკებულ ქართველობას ხევიდან გასასვლელები ჩაუკეტეს და ყოველის მხრიდან იერიში მიიტანეს. ქართველებმა ბრძოლის ველს დიდის მსხვერპლის ფასად დააღწიეს თავი. ხლათი თურქებმა დაიჭირეს.

ეს, ზედიზედ, მეორე დამარცხება იყო თამარის დროის ქართული მხედრობისა. მორალურადაც ავი პერსპექტივა ამოიმართა „უძლეველად" სახელგანსმენილი ქვეყნის წინაშე. საჭირო იყო დაუყოვნებლივ აღდგენილიყო ქართველთა სწორუპოვარი სიმძლავრის აწ შერყეული ავტორიტეტი.

ამ აუცილებლობის სასწრაფოდ აღსრულებას ქართველობასთან ერთად ითხოვდნენ ერთმორწმუნე — მოძმე სომხებიც.

სასწრაფოდ ამოქმედდა საქართველოს სახელმწიფო კარი.

1204 წლის გაზაფხულზე კვლავ გამოიყვანა და დალოცა ლაშქარი თამარმა. ამჯერად ისევ დავითი უსარდლა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაისტუმრა.

ქართველები შეიჭრნენ ხლათში, იქ მდგარი თურქობა გაანადგურეს და ქალაქ კარისაკენ (ყარსი) წარემართნენ. კარი დიდი ქალაქიც იყო და დიდი თურქული ციხიონიც იცავდა. დავითმა ძლიერი ალყა შემოარტყა კარს. ქალაქი გაძალიანდა. მეციხოვნენი უშვერი ღანძღვა-გინებით გადმოჰყიოდნენ მოალყეებს. ხოლო, როცა ალყაში მოქცეულებს საშველ-სასმელი გაუთავდათ, სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად იარაღის დაყრა გადაწყვიტეს. მაგრამ რაკი „ეშინოდათ სიტყუათა მათთათვის გინებისათა", ვაითუ დავითმა არ გვაპატიოსო, შემოთვალეს: იარაღს დავყრით, თუ ქალაქის ჩასაბარებლად თვითონ თამარი ინებებსო მობრძანებას.

თამარიც კარისაკენ გაეშურა. თან ლაშაც წარიტანა. მეციხოვნეებმაც მაშინვე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა 11 წლის ლაშა გიორგი და ჩაიბარა კარი და მისი ციხე-კოშკები.

ამგვარად, თურქებმა დაკარგეს კიდევ ერთი დიდი სტრატეგიული ციხე-ქალაქი, საიდანაც ისინი მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ ქართულ სამფლობელოთა სიმშვიდეს.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა ივანე ახალციხელს (შალვა ახალციხელის ძმა).

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატივს ახალი გაშარჯვებებით უპასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც" გასცდა და „წარუღო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე". თამარმაც ახლად დაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამპყრობელს" უბოძა.

ერთი სიტყვით, ახალ, XIII საუკუნეშიც ქართველებმა საერთაშორისო ასპარეზზე მძლავრი ნაბიჯებით შემოსდგეს ფეხი.

XII—XIII საუკუნეთა განსადრეკელზე, აზიისა და ევროპის გზასაყარზე, კვლავ მსოფლიო ძალისხმევით გუგუნებენ ქართული ზარები.

იმხანად სომეხ და ქართველ თეოლოგთა პაექრობაც მოხდა. ქართველი ხელმწიფის ბევრმა ქვეშევრდომმა გრიგორიანობა მიატოვა და მართლმადიდებლობა მიიღო („მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად"). ასევე მოიქცა ივანე მხარგრძელი. იგივეს ურჩევდა თავის უფროს ძმას — ზაქარიას: ქართველებსო „მართალი სარწმუნოება უპყრიეს" და შენც, ვითარცა ისედაც ჭეშმარიტი ქართველი, სარწმუნოებაც ქართული მიიღეო. თავის მხრივ კი ზაქარიას ეს უპასუხნია: „ვუწყი ძმაო, რამეთუ მართალი სჯული არს ქართუელთა", მაგრამ მაინც გრიგორიანობა დაუნარჩუნებია ზაქარიას.

ასე ერჩია ზაქარია მხარგრძელს. შორს უმიზნებდა ცბიერი პოლიტიკოსი: იგი საქართველოს ხელმწიფეთაგან სომხური პროვინციების მმართველობას გამოელოდა...

## პონტოელ ქართველთათვის

ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანია;
ხალხური.

გაიხსენე, მკითხველო, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორიები ძველთაგანვე ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ამ ქვეყნის უძველესი სახელიც მოიგონე — პ ო ნ ტ ო. იგივე სახელწოდების სახელმწიფო ხომ დიდხანს რომის მსოფლიო იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების მოთავე იყო.

ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის ზრუნავდნენ „პონტოელ ქართველთა“ შემოერთება-შემომტკიცებისათვის. ეს საზრუნავი არც თამარისთვის ყოფილა უცხო.

პონტოს ქვეყანა იმჟამად ბიზანტიის სამფლობელოთა საზღვრებში შედიოდა. თამარს საბაბი უნდოდა, ლაზებითა და შანებით დასახლებული ქართული მიწები კეისრისათვის წაერთმია და საქართველოს კარისათვის დაექვემდებარებინა. ასეთი საბაბიც გამოჩნდა.

1203 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ქართულ სავანე-მონასტერთა მოღვაწენი. თამარმა დიდის ამბით მიიღო ისინი, „მრავალ დღე არა გაუშვნა“, ხოლო როცა გაუშვა, ყოველ მათგანს „მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა ეანსაყოფელად“.

როცა ასე უხვად დასაჩუქრებული სამღვდელონი გაელით კონსტანტინოპოლს მივიდნენ, მოხდა სავსებით მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი: ისინი გაძარცვა... თვითონ კეისარმა, ბოროტმა და ანგარმა ალექსი III ანგელოსმა, ეს თვით კონსტანტინოპოლში არაეის გაჰკვირვებია, რადგან კეისარი „ანგელოსი“, რომელსაც ძმისთვის თვალები დაეთხარა და იმპერატორობაც წაერთმია, მიცვალებულ კეისართა საფლავებსაც თხრიდა და იქიდან ოქროს იღებდა.

ხოლო თამარი გააოცა და უზომოდ განარისხა ბიზანტიელი ხელმწიფის ესოდენ ამკარა ავაზაკობამ.

მაშინვე „სხვა უფროსი“ ოქრო გაუგზავნა კეისრისაგან გაძარცვულ ბერებს, ხოლო, რაც მთავარია, სასწრაფოდ ჯარი შეჰყარა იმერთაგან და პონტოსაკენ აფრინა.

სწორედ ამ ჯარმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა „ლაზია, ტრა-

პიზონი. ლიმანი, სამისნი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი".

ქართველები 200 კილომეტრზე იდგნენ კონსტანტინოპოლიდან.

ალექსი III-ს ქართველებისთვის აღარ სცხელოდა: ჯვაროსნები თვითონ კონსტანტინოპოლს მოსდგომოდნენ იერიშით.

თამარმა ბიზანტიისაგან გათავისუფლებული „პონტოს ქვეყანა" ცალკე ვასალურ, საქართველოს ყმადნაფიც სამეფოდ გამოაცხადა, ხოლო მის მმართველად დასვა ა ლ ე ქ ს ი ანდრონიკეს ძე კ ო მ ნ ე ნ ო ს ი, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, საქართველოს მეფეთა ნათესავი (გაიხსენე, მკითხველო: ალექსის მამა ანდრონიკე, თამარის მამის, გიორგი მესამის მამიდაშვილი იყო) და საქართველოში შემოხიზნული უფლისწული.

თამარის ბრძანებით ალექსი ტფილისიდან გაეიდა და ტრაპიზონს დაჯდა. თანამოსაყდრედ თამარმა ალექსის დაუნიშნა მისი ძმა, დავით კომნენოსი.

ჰეშმარიტებას წერს აკადემიკოსი კუნიკი:

„კომნენოსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხვდნენ საქართველოში, სადაც მიიღეს კიდევაც აღზრდაც. მათი დედაენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის (თამარ მეფის) კარზე ღებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ". სამი წლიდან ოც წლამდე საქართველოში იზრდებოდნენ. ბიზანტია აღარც ახსოვდათ და ბერძნულ ენასაც ისე „უცხო ენად" სწავლობდნენ, როგორც ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ, ოცი წლის ასაკში ალექსი და დავით კომნენოსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

ასევე წერს გამოჩენილი ბიზანტინოლოგი უსპენსკი:

„შავი ზღვისპირეთზე კომნენოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლებისა... კომნენოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, იგი არის გაგრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ჯარები აღწევდნენ ერზერუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე". და კომნენოსები იყვნენ „იარაღნი თამარის პოლიტიკისა". ისევ უსპენსკის მართებული აზრით, ტრაპიზონის იმპერიის ბუნება უპირველეს ყოლისა უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელი-

ნიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს, პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულდაგებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თბილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულისკვეთება, რაც მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული".

„ტრაპიზონის იმპერიაც" ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი" და ისეთივე „ყმადნაფიცი", როგორც შირვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ქაშაგეთი და კარნუ-ქალაქი.

**ბასიანი**

მკვდრებით მოფენილ მინდორზე სიო არ ჰქროდა არსაით,
მუშარადი და ჩაჩქანი ეყარა რიყის ქვასავით.
ლადო ასათიანი.

თითქოს ქართველთაგან სამუდამოდ დაშინდა თურქული სამყარო. ქართულ მახვილთა განურღვეველი შეტევებისაგან „მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანებდეს კიდით კიდემდე".

თითქოს სამუდამოდ „დაშრტა სასოება ბუსურმანთა".

ისღა დარჩენოდათ „ყოვლითურთ უღონოთა", როგორმე ხარკისა და ძღვენის ძლევით მოეგოთ გული „წყალობის-მოყუარე თამარისა". თურქი სულტნები, ამირები თუ ათაბაგები ფაიქს ფაიქზე* აგზავნიან საქართველოს სასახლის კარზე, ძღვენითა უთვალავითა, მრავალფერითა და უცხოფერითა, მუდმივი ხარკისა და მორჩილების აღთქმითა, ოღონდ კი ქართველებმა „დააყენონ მახვილი მსვრელი და ჯაჭვი შემკვრელი".

მაგრამ იყო მათ შორის ერთი, რომელიც თამარის წინაშე „იჩემებდა ზაკვით სიყუარულსა, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის; მრავალჟამ, და ძღუენთა შუენიერთა მრავალთა".

* ფაიქი — შიკრიკი.

ეს იყო რუქნ ად-დინი, სელჩუკიან ხელმწიფეთაგან ყველაზე მძლავრი მბრძანებელი, იკონიის (გინა კონიის, გინა რუმის) სულტანი.

რუქნ ად-დინი არ ჯერდებოდა, რომ მცირე აზიის ორი მესამედი მისი სასულტნოს საზღვრებში იყო მოქცეული. მას შავი ზღვის სანაპიროების დახელთება უნდოდა, მაგრამ ქართველებმა უკვე გადაუჭრეს გზა „ტრაპიზონის იმპერიის“ შექმნით, მას სომხეთის დამონებაც სურდა, მაგრამ ისევ ქართველები გადასდგომოდნენ წინ. და, საერთოდ, სანამ საქართველო ფეხზე იდგა, არც იკონიელ სულტანს და არც სხვა რომელიმე მაჰმადიან სკიპტროსანს წელში გამართვა და ქართველთა მახვილით დატეხილი შიშიდან თავის დაღწევაც არ ეღირსებოდა.

და საქართველოსთან გადამწყვეტი ომისათვის რუქნ ად-დინმა ფეხზე დააყენა მთელი ქვეყანა. „არა დაუტევა თვინიერ დედაკაცისა სოფელთა შინა, არამედ ყოველნი აამხედრა“. არც ოქრო-ვერცხლი დაუზოგნია მოკავშირეთა მისამხრობად და საომარ ხარჯად: „განაბუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მხედრობისა“.

რუქნ ად-დინის მოწოდებაზე თავიანთი საომარი ძალებით მოვიდნენ: აბულასტანის მბრძანებელი მუღის ედდინ თოღრულ შაჰი, ეზინკის (ერზინჯანი) ამირა და რუქნ ად-დინის სიძე მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰი, შამის (ასურეთის) სულტანი და ბირიტის ამირთ-ამირა.

მხოლოდ არზრუმის ამირამ, ალა ედდინ სალიყმა შემოუთვალა რუქნ ად-დინს უარი საომარ ძალთა გამოყვანაზე. მაშინ განრისხდა რუქნ ად-დინ, ალა ედდინი ამირას ტახტიდან გადააგდო და არზრუმის საამირო მუღის ედდინ თოღრულ შაჰს გადასცა. ამნაირად არზრუმელი მუსულმანობაც შეუერთდა საქართველოს დასამხობად აღმართულ მაჰმადის დროშას.

უზარმაზარი ურდო შეიყარა, 40 000 თურქი მეომარი.

მაშასადამე, მასშტაბი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის-დროინდელი დიდგორის ომისა.

მაშ, ისევ მოდიოდა „ყოველი თურქობა“ საქართველოს წასახდენად.

უზარმაზარ, „მთასავით მაღალ“ ცხენზე ამხედრებული მოუძღოდა რუქნ ად-დინი „ვარსკვლავთაებრ ურიცხვ“ მხედრობას.

ბასიანს მოვიდნენ და დაიბანაკეს.

წინასწარ ფაიქი აფრინა რუქნ ად-დინმა ტფილისისაკენ. სულტანი წერილს უგზავნიდა საქართველოს მეფეთამეფეს.

წერილში გაუგონარი თავხედობა ეწერა:

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, ჭოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათვის ხრმლისა აღებად და მუსულმანთა ხოცად. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი, რამეთუ ვეღარასოდეს გაბედოთ აღება ხრმლისა, რომელიც მაჰმად მოციქულსა მხოლოდ თვისი ერისათვის უბოძებია, მოვდივარ, რათა სამაგიერო მოგიზღო სპარსთა და თურქთა ესოდენი აკლებისათვის, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი მხოლოდ იგი დავტოვო, რომელი წინა მომეგებოს, თაყუანი სცეს ჩათრსა (ქარავსა) ჩემსა, სასოებდა იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს“.

დიდსულოვნებით დაითმინა თამარმა ეს ყოვლად უზრდელი და უგუნური პატრუქაგი რუქნ ად-დინისა. მხოლოდ ეს იყო, „სულთითქუნა სიღრმით გულისათ“.

სანამ რუქნ ად-დინის კადნიერი წერილით რისხვამორეულ დარბაზში თამარის პასუხი იწერებოდა, მანამ თურქმა მოციქულმა დარბაზისერთა წინაშე კიდევ უარესი, გასაოცრად ბრიყვი და უზრდელი სიტყვა ამოაყრანტალა:

„უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!“

ასეთი გაუგონარი თავხედობა სწორედ აღარ შეიძლებოდა უპასუხოდ დარჩენილიყო.

ყველას დაასწრო ზაქარია მხარგრძელმა, მოციქულს მიეჭრა და ისე „უხეთქა ხელითა პირსა“, რომ თურქი იგი უგრძნობლად, „ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა“.

როცა გონს მოიყვანეს და ფეხზე წამოაყენეს, ზაქარიამ უთხრა გალახულ ფაიქს: შენ რომ მოციქული არ ყოფილიყავ, ჯერ ენის ამოკვეთა და მერე თავის გაგდებინება იქნებოდაო შენი სამართალი.

მაშინვე მხედრობის წვევა ბრძანა მეფეთამეფემ. „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“. ჯავახეთს მოეყარეს თავი ჯარებმა, ხოლო თამარი ვარძიას მიბრძანდა.

ფეხშიშველი შევიდა თამარი „ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შეაეედრა ხოსლან დავით და სპა მისი; დროშა მისი სვიანი“.

გამოვიდა, დროშა დავითს გადასცა. ლაშქარი დაიძრა.

სამხრეთისკენ მიდიოდა ქართული მხედრობა.

წინ თამარი მიუძღოდა, ქვეითად, ფეხშიშველი, ლოცვით და ცრემლით.

ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ ქალაქ კარს, რომელიც ამას წინათ დაიხსნეს ქართველებმა თურქებისაგან.

შედგნენ. თამარმა რუქნ ად-დინის მოციქულის მოყვანა ბრძანა, მოიყვანეს. თამარის ბრძანებითვე მდიდრულად შემოსეს, დიდძალი ოქრო უბოძეს. თურქს გვერდით ქართველი ფაიჩი დაუყენეს თამარის საპასუხო წერილით სულტანისადმი. ორივე ერთად გაუშვეს რუქნ ად-დინთან.

თამარის წერილი რუქნ ად-დინისადმი ასეთი იყო:

„ძალსა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ეცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენდა თაყუანისცემად, არამედ დამხობად შენდა სიზუავისა მაგის და აჰპარტავნისა გულისა შენისა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი. ნუ შენი! ხოლო მე ვუწყი გახრწნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილ სპათა ფერხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან“.

თამარმა ამხედრება ბრძანა.

თვითონ მაღლობზე ავიდა, მუხლებზე დაემხო და დიდხანს ილოცვიდა ცრემლთა თხევით.

მერე, წამოიმართა მეფეთამეფე და ჯვარიცხოველის მოღება უბრძანა ჯვარისმტვირთველს. წამოეშველა ბასილი ეზოსმოძღვარი. ჯვრის ერთი მხარე დაიჭირა თვითონ თამარმა, ხოლო მეორე — ბასილიმ და ჯვარისმტვირთველმა.

სარდლებს და ერისთავებს უბრძანა დედოფალმა და ისინიც რიგად წამოემართნენ ამბორსაყოფად ჯვარისა და კალთისა მეფე-ქალისა. ჯერ მთავარსარდალი მიეახლა, დავით სოსლანი, მერე მეწინავე სარდლები — ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი. შემდეგ თორელნი, ჭიაბერი და ყოველი ერისთავნი, „იმიერნი და ამიერნი."

ბოლოს, თამარმა ორივ ხელით აღმართა ჯვარი და ლაშქარიც დაი-

და ასე იდგა თამარი, ფეხშიშველი, ტანაშვეტილი, ცრემლით ნაბანი ღვთაებრივი სახით. მანამ იდგა და არწევდა ჯვარს ჯვარსახოვნად, ვიდრე მის წინ უკანასკნელმა მეომარმა არ ჩაიარა.

მიდიოდნენ ქართველები საომარ ველზე, „მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი".

თამარი სამცხისკენ შემობრუნდა, მოვიდა ოძრხეს და კვლავ დადგა ლოცვად. მასთან შემოკრბენ სამღვდელონი და ბრძენი საერონი.

ამათ შორის ორი ყოფილა ყველაზე სახელგანთქმული — ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, „კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული" და მეორე — ე ვ ლ ო გ ი, „სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობლობისა ღირსქმნილი".

მთელი ღამე ლოცვად იდგა თამარი.

„იყვნეს მიმდემნი ღამისთევანი და ლიტანიობანი".

ხოლო დავით სოსლანი თავისი ლაშქრით ბასიანს მივიდა და თვალი დაადგა თურქთა ბანაკს, გაშლილს „ადგილსა ბოლოსციხედ წოდებულსა". ქართველებმა ნახეს, რომ „ბანაკსა სულტანისასა არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა, კარვებისა და სარაფარდაგებისა მათისა, მინდორი იგი ძლივს იტევდა კარვებსა მათსა".

ეტყობოდა, თამარის წერილს გულზვავიანი სულტანი არ შეუშინებია და არც „განკრძალულა" იგი. პირიქით, თურქები „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არა უდგა დარაჯი სულტანსა".

დავითმა ფიცხლავ განაწყო ლაშქარი საომარი წყობით.

მეწინავე, მოიერიშე ჯარს უსარდლა ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი და თორელები, ხოლო ძირითადი ძალები ორად გაჰყო: მარჯვნივ — აფხაზ-იმერნი, მარცხნივ — ქართლელნი, კახნი და ჰერნი.

ჯერ „წყნარად ვიდოდეს" ქართული ლაშქარი.

სულტანის ბანაკიც აიშალა საომრად. მაგრამ როგორც კი ქართვე-

ლებმა ცხენები ააჩქარეს და ერთბაშად ზვავივით იგრიალეს, თურქთა ურდო მოიერიშე „ქაფარის“ (უსჯულო) ხილვით შეძრწუნდა და სასწრაფოდ ამხედრებული გასაქცევად აგორდა.

ქართველები ყიჟინითა და იარაღის ზათქით გამოეწთნენ.

მაგრამ სულტანმა შემოაბრუნა „გაქცეული ტყე-მაღნარი“.

„და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელ-ოდესმე ქმნილ იყო მხნეთაგან ეგევითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად, „მყოვარჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრეოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემხურვალი დააცხრა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასაით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი საჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ ად-დინი გახელებული უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაუხოცეს ქართველ სარდალთა უმრავლესობას: მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიადინ თმოგველს „და სხუათა მრავალთა თავადთა“.

ძალზე მისჭირდათ ქართველებს: „ქნინღა სიცოლოლად მოიდრიკნეს“.

მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ დარჩენილი ქართველი სარდლები. ხოლო, როცა მათმა მხედრებმა ქვეითად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვითონაც დაქვეითდნენ და გაურღვეველ კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთაურებს.

დროზე შენიშნა დავით სოსლანმა: ცხენოსანმა ლაშქარმა მოულოდნელად დაქვეითებული მეომრები არ დამიზიანოსო და სასწრაფოდ თავისი მხედრობა ქვეითებს განარიდა და მაშინვე ღრმა რეიდით მტრის მარჯვენა ფლანგს შეუტია. იგივე უბრძანა ზაქარია მხარგრძელს, რომელმაც თავის მხედრობით თურქთა მარცხენა ფლანგისაკენ გაქუსლა.

პირველი მიეჭრა დავით სოსლანი, „ვითარცა აქილევი“. „მასვე წამსა შინა დავით და სპა მისი მივიდა, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა“.

მაშინვე, დავით სოსლანის მოყმეთაგან „პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრამლთასა“, ქართველთა გამარჯვების მომასწავებლად დაქანდა ბრძოლის სასწორი.

ამირსპასალარიც უკვე მოსწოლოდა სულტანს მარცხენა მხრიდან.

მასვე ჟამს შალვა ახალციხელმა მიატანა რუქნ ად-დინის „მაღალ საჩრდილობელს“ და სასულტნო დროშას. ხმალი უხეთქა ახალციხელმა მედროშეს. ორივ დაეცნენ — დროშა და მედროშე. იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს. მაინც გაასწრო, — გაქუსლა თვისი „მთასავით ცხენით“.

და მასთან ერთად თურქთა ლაშქარის „ეგეოდენი სიმრავლეც განსქდა, იძლია, დაიპანტა“.

დაქვეითებული ქართველებიც მაშინვე ცხენებს მოახტნენ და ხმალაშართული გამოეთხენ.

გარბოდა რუქნ ად-დინის ლაშქარი, ვითარცა „თუალგარდუწდომელი მაღნარი მიწითურთ მოგლეჯილი და დაზულეული“. გარბოდნენ, ერთმანეთს სთელავდნენ, „ურთიერთას დასთრგუნვიდეს“.

ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, სისხამ დილით, ქართველებმა მოიხილეს ბასიანის ველი, „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის მონანი, მათი დალეწილი საჭურველნი და ქართველთა ხელით დაფხრეწილი დროშები.

აურაცხელი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. „აღივსნეს ოქროთა და ვეცხლითა და ჭურჭლითა პატიოსნითა“. ანგარიში არ ჰქონდა ცხენ-ჯორთა, აქლემთა, საჭურველთა, კარავთა და სხვათა მსგავსთა...

ასე განესრულა ბასიანის ომი.

ასე დათრგუნეს ქართველებმა მათი საძმობლოს გასანადგურებლად აღძრული უკანასკნელი „დიდი თურქობა“ სელჩუკის მოდგმისა...

დიდი გამარჯვების ამბავი ოძრხეში აახლეს თამარს. მალე თვითონ ძლევამოსილი მხედრობაც ეახლა სათაყვანო დედოფალს.

ტფილისს მივიდნენ და დიდი ტრიუმფი გადაიხადეს.

რუქნ ად-დინის სახელმწიფო დროშა და მის მოკავშირე სულტანთა და ამირათა დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაჰყარეს.

მერე ძვირფასი ტყვეები მოჰგვარეს თამარს. სარდალთაგან მხოლოდ რუქნ ად-დინსა და მუღის ედდინს გაესწრო სამარცხვინო ტყვეობისაგან. დანარჩენები ბორკილდადებულნი იდგნენ ახლა საქართველოს მეფის წინაშე: მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰ ეზინკელი, შამის სულტანი, ბირიტის ამირთ-ამირა და „სხუა სულტანნი და ამირანი“.

თამარმა ყველა, ერთის გარდა, ერთხანს ციხედ იყოლია, მერე შეიწყალა და გაათავისუფლა.

ხოლო „ის ერთი“, თამარის დიდსულოვანი შეწყალების უღირსი, აღმოჩნდა ეზინკის ბოროტი მბრძანებელი მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰი, რომელიც თამარმა დასაჯა სრულიად „უცხო“ სასჯელით:

გაჰყიდა და... გასაყიდ ფასად აიღო ცხენის ნალი („განყიდა ნალად ცხენთა“)!

იმ წელსვე, როცა დიდი ძლევამოსილებით მოტანილი სიხარული ჯერ კიდევ არ განელებულიყო, ქართველებმა შეიტყვეს სიკვდილი რუქნ ად-დინისა. ბასიანის ჯავრი სამარეში ჩაჰყვა გულზვავიან სულტანს...

### ბასიანის შემდგომ

საზეიმო განწყობილება სუფევდა საქართველოში.

„ამა დღითი-დღე წარმატებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურიეთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა“.

შემოდგომით სამეფო სახლეულნი იმერეთ-აფხაზეთს გადადიოდნენ და „განაგიან საქმენი მანდაურნი“, გეგუთისა და აჯამეთის უღრან-მაღნარებში ნადირობდნენ, მერე ისევ ქართლს ბრუნდებოდნენ, შემდეგ ქვემო ქართლს და კოლა-არტაანს ეწვეოდნენ.

წლის დასასრულს ხარკი და ხარაჯა მოჰქონდათ: განძელთა, „აღმართ-ქალაქელთა“, ნახჭევნელთა, კარნუ-ქალაქელთა და ეზინკელთა.

„იშუებდეს და იხარებდეს“ დიდი და მცირე, გარნა „ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება“.

მიიცვალა დავით სოსლანი, ღირსეული მეუღლე თამარისა და საქართველოს უპირველესი მხედართმთავარი, „კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული, წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი და სიკეთე აღმატებული“.

გელათს დაკრძალეს დავით სოსლანი, ქართველ მეფეთა საძვალეში.

გლოვად დაჯდა თამარი — „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

მაგრამ გლოვა მისი უნდა დარჩენილიყო, ვითარცა პირადი საგლოველი, ხოლო სახელმწიფო კვლავ ხელმწიფურ საქმიანობას მოითხოვდა ხელმწიფისაგან.

და თამარმა მგლოვიარე წელსვე თანამოსაყდრე მეფედ დაისვა ძე თვისი, 12 წლის ლაშა გიორგი.

დავით სოსლანის სიკვდილმა მაინც გაათამამა თურქი მაოხარნი.

ჯერ, მაიაფარაკინისა (ჩრდ. მესოპოტამიაში) და ხლათის სულტანები სომხური მიწებისთვის დაერივნენ ერთმანეთს. ხოლო, სომხეთის მიწა-წყლისთვის ბრძოლის ატეხვა საქართველოსთან ომის განახლებას ნიშნავდა.

1207 წელს, პირველი მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, მაიაფარაკინის სულტანმა ნეჯმ ად-დინ აიუბმა, სასტიკად დაამარცხა ხლათის სულტანი ბალბანი, რომელმაც თავის მხრივ დასახმარებლად მოუხმო არზრუმის გამგებელს მუღის ედდინ თოღრულშაჰს. ხლათელმა და არზრუმელმა შეერთებული ძალებით უკუაქციეს ნეჯმ ად-დინ აიუბი. მაგრამ მუღის ედდინმა მოკავშირე ბალბანი მოკლა და ხლათს თვითონ დაეპატრონა. ხლათის მოსახლეობამ არზრუმელი არ გაიმეფა, იგი გააძევა და ქალაქი ნეჯმ ად-დინ აიუბს გადასცა.

ამას სომეხი ხალხის აჯანყება მოჰყვა. აჯანყებულებმა აიღეს ვანი და არჭეში. სომხებს მიეშველნენ ქართველები, რომლებმაც ხელთ იგდეს თვითონ ხლათი და მაშინვე გადასცეს აჯანყებულ სომხებს. მაგრამ ახალი საომარი ძალებით მოიჭრა ნეჯმ ად-დინ აიუბი, ხლათი აიღო და სომეხი მოსახლეობის დედაწულიან ჟლეტას შეუდგა.

როგორც კი ამ ამბავმა თამარის ყურამდე მოაღწია, მაშინვე საომარი სამზადისი ბრძანა. ლაშქარს მსახურთუხუცესი ივანე უსარდლა და სამხრეთისაკენ აფრინა.

ქართველებმა სომეხი პატრიოტები შეიერთეს და ძლიერი იერიშით არჭეში აიღეს. ნეჯმ ად-დინ აიუბმა, ხლათიდან გამოსვლა და არჭეშის გადარჩენისათვის ზრუნვა ვერ გაბედა.

ივანე მხარგრძელმა იმჯერად არჭეშის აღება საკმარისად ჩათვალა და თურქი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული უკან დაბრუნდა.

ათმდევნო წელს (1208) ისევ გაემართა ხლათისაკენ. ხლათში ამჯერად ახალი ამირა დამჯდარიყო — მ ე ლ ი ქ ალ-ა ვ ჰ ად.

ქართველებმა ალყა შემოარტყეს ხლათს. ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქალაქი დღე-დღეზე უნდა დანებებულიყო, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ერთ დღეს სადილი გაუგრძელდა ქართველთა მთავარსარდალს. ღვინოს მიეძალა ივანე მხარგრძელი. საღამოს ცხენს მოახტა და ხიდზე გადასვლა მოინდომა. თანაშემწენი არ ანებებდნენ, რადგან მდინარის მეორე ნაპირს თურქთა საფრები იყო მოსალოდნელი, მაგრამ უღვინოდაც თავზეხელაღებული იყო ივანე, უშიშარი, გინა „გულმხეცი“. არ დაიშალა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ხიდზე შეაჭენა. რამდენიმე მეომარიც მიჰყვა ასაბიად. ის იყო, სარდალი ხიდის ნახევარს გადაშორდა და ერთბაშად მდინარეში ჩაინთქა: თურმე თურქებს იდუმალ ხიდის ფიცრები აეყარათ და ზედ თივა წაეფარებინათ.

ქართველთა ბანაკში გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ისე დააცხრენენ ჩასაფრებული თურქები წყალში ჩავარდნილ მხარგრძელს, შეიპყრეს და მხარგაკრული ქალაქში შეაქანეს.

მოულოდნელი წარმატებით გახარებულმა ალ-ავჰადმა წინ დაისვა ქართველთა მთავარსარდალი და საზავო პირობები უკარნახა: ივანეს 5 000 თურქი ტყვე უნდა გაეთავისუფლებინა, 100 000 დინარი ფულად გადაეხადა, რამდენიმე ციხეც უნდა დაებრუნებინა და მისი პირმშვენიერი ასული თ ა მ თ ა ალ-ავჰადისთვის ცოლად მიეთხოვებინა. ივანე ტყვეობიდან თავდახსნას ჩქარობდა, ვაითუ ტფილისში ამ უბედურმა ამბავმა ჩამასწროს და მსახურთუხუცესის თანამდებობაც უკვე დაკავებული დამხვდესო, და ამირასაგან ნაკარნახევ ზავს დათანხმდა. ალ-ავჰადმა ქართველ სარდალს მძევლები ჩამოართვა და ტყვეობიდან გამოუშვა. ივანემ ზავის ყველა პირობა აღასრულა, მხოლოდ თამთა არ მისცეს ცოლად ალ-ავჰადს.

თამარმა აპატია ეს „უნებლიე მარცხი“ თავის ერთგულ ყმას.

მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართველებმა ვანის ტბამდე და მანასკერტამდე თურქ-სელჩუკთაგან გაწმინდეს სომხეთის მიწები. სომეხ-ქართველებს ერთი მთლიანი, განუყოფელი მშვიდობიანი ცხოვრება დაემყარებინათ ამ მრავალგზის სისხლნათხევ და ნაწამებ მიწაზე.

საომარი იარაღის ზრიალში კანონის ხმა
არ ისმის.

გაიუს მარიუსი.

მაგრამ თამარის დროს ერთხელ კიდევ სცადეს მაჰმადიანმა დამპყრობლებმა სომხური მიწების შეწუხება.

დიდმარხვა იდგა და თამარი გეგუთს ბრძანდებოდა, როცა სამხრეთიდან მალემსრბოლებმა საშინელი ამბავი მოუტანეს: არდაველის (არდებილის) სულტანი წამოსულა დიდი მხედრობით ადარბადაგანიდან. ჩუმად, ხალხის უწყინრად გამოუვლია რახსისა და სურმარის ხეობანი „და უგრძნეულად მოსულა ანისსა“. სწორედ „დიდ-შაბათის შწუხრს“ იდუმალ დაუბანაკებია ქალაქის ახლოს. ანისელებს, ისე რომ მტრის მოსვლა არც გაუგიათ, ღამეც არხეინად გაუტარებიათ და ცისკარსაც გულდადებული ზეიმით შეხვედრიან. ხოლო, როცა „ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი“, თურქები ანისელთათვის სრულიად მოულოდნელად გრიგალივით შეჭრილან ქალაქში, დედაწულიანად გაუწყვეტიათ უიარაღო ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. გარდა იმისა, რაც ქუჩა-ბანდებსა და ფოლორცებში დაუჟლეტიათ, 12 000 სომეხი მარტო ეკლესიებში დაუკლავთ „ვითარ ცხვარი“. სიკვდილს მხოლოდ ის გადარჩენია, ვისაც ციხეში, გამოქვაბულში ან სხვა რამ სამალავში ჩაჩუმქრა და ჩაკეტვა მოუსწრია.

თანამოძმე სომეხთა მუხანათურმა და მხეცურმა ჟლეტამ შეაძრწუნა და განარისხა თამარი. მაშინვე საომარი მზადება და არდაველის სულტანის სამაგალითო სიმკაცრით დასჯა ბრძანა. ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ბრძოლის გეგმა შესთავაზეს მეფეს. მთავარი იყო, სულტანს ქართველთა მიახლოება არ გაეგო და თავის თურქობასთან ერთად ციხეებსა და სამალავებში თავშეფარება არ მოესწრო. რაკი თურქებმა სომხები დიდ საქრისტიანო დღესასწაულზე ამოწყვიტეს, ჩვენც ქართველები სამაგიეროდ თურქებს მათ დიდ სამუსლიმო დღესასწაულზე, რამაზანობაზე უნდა დავეცეთო. ამიტომ თურქებმა რომ ეს განზრახვა არ შეგვიტყონ, ჩვენ მათ მოსაჩვენებლად მცირე რაზმით მხოლოდ ანისს ჩავიალთ და მთავარ ძალებს რამაზანობის წინა დღის-

თვის დაველოდებითო. ხოლო მთავარ ძალებად მესხეთ-ჯავახეთის, კახეთ-ჰერეთისა და სომხითის ლაშქარი უნდა ვიკმაროთ; ქართლისა და იმერეთის მხედრობა საერთოდ არც უნდა გამოვიყვანოთ, რადგან ქართლელთა ამოძრავება მტერს შეუმჩნეველი არ დარჩება და წინასწარ თავშეფარებას მოახერხებსო.

თამარმა დასტური ბრძანა. მხარგრძელებიც ანისს ჩავიდნენ მცირე რაზმით, ხოლო, როცა რამაზანობა მოახლოვდა, თამარმა „უბრძანა მესხთა, თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა, სომხითართა“ წარგზავნა ანისს. თვითონ მეფე კოლას ჩავიდა და იქ დაელოდა ლაშქრის დაბრუნებას.

ანისიდან მხარგრძელებმა სწრაფი მარშით გაიყვანეს ლაშქარი. „გარდავლეს გელაქუნი და ჩაველეს ისპიანი, გავიდეს ხუაფრიდის ხიდსა“ და ღამით „უგრძნეულად“ მიადგნენ არდაველს.

მიიდრიკა წინაღამე რამაზანისა. „აიდი განთეწდებოდა, რომელ არს აღვსება“ მუსლიმთა. და ის იყო, არდაველის მთავარი მიზგითიდან იყივლა მოლამ და დანარჩენ მუყრ-მუეძინთა გულისწამღები ღნავილიც აჰყვა, რომ ქართველებმა ცხენები მოსხლიტეს და ვრიალით შეცვივდნენ ქალაქში. არდაველი ხელის გაუნძრევლად დანებდა მოულოდნელად მოვარდნილ მტერს. მხარგრძელთა ბრძანებით მიზგითებში ლოცვად დაცემული 12 000 მუსლიმი მოკლეს, სანაცვლოდ იმდენივე სომხის გაჟლეტისათვის ანისის ეკლესიებში. მოკლეს თვითონ სულტანი, მისი ცოლ-შვილი დაატყვევეს. ამას გარდა, „სხუა უმრავლესი ერი მოსწყვიდეს, და სხუა ტყუე-ჰყვეს“. დიდძალი სიმდიდრეც ერგოთ გამარჯვებულებს: „ესრეთ აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელითა, თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა, ჭურჭლითა ოქროსა და ვეცხლისათა, შესამოსლითა, საფენელითა და ყოვლითა სიმდიდრითა ეგოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა, რომელ მოთხრობა ძნელ სადმე არს. აღივსნეს ცხენითა, ჯორითა, აქლემითა, საქონელი მათი თვით მათვე სახედართა ძლით აჰკიდეს და წამოემართნეს“.

იგივე გზით გამობრუნდნენ ძლევამოსილნი. ანისს მოვიდნენ და აქაურებს აღდგომას დაქცეული სისხლის აღება ახარეს.

ანისიდან კოლას მივიდნენ „მეფეთა მეფესა და მზეთა-მზესა და დედოფალთ-დედოფალსა წინაშე....“

ეს ამბავიც — ქართველთაგან სომეხთა სისხლის ზღვევინება — 1208 წელს მოხდა.

ერთ დღეს თამარს ეახლნენ ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი (ზაქარია გაგელის ძე) და მოახსენეს:

„ძლიერო ხელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო! იხილე და განიცადე სამეფო თქუენი და ცან სიმხნე და სიქველე სპათა შენთა; გულისხმა ყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მხნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადმე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამხედროთ ერაყს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსათა — მზა იყუნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყუნენ!“

მაშ, სრულიად სპარსეთ-ერანის დალაშქვრას სთავაზობენ თამარს მისი სარდლები.

დიახაც დრო დამდგარა, ერთხელ ქართველებმაც ილაშქრონ ასწლეულთა მანძილზე საქართველოს წასახდენად მომდინარე ერანის მიწებზე.

თამარმაც აწვია დარბაზი, „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იმერთა და ამერთა“ და გამართა ბჭობა სპარსეთს დიდი ლაშქრობის თაობაზე. დარბაზმაც ერთხმად დაასკვნა გალაშქრება და მაშინვე შეუდგნენ საომარ სამზადისს.

იდგა 1209 წელი. „მოიწია არე სთვლისა“ და ტფილისში დასრულდა ჯარების შეყრა „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“.

თამარმა გულდასმით დაათვალიერა ლაშქარი და „იხილა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოეწონა აბჯარი და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“. მხედრობის „მოხილვის“ შემდგომ თამარმა „მოიღო დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი“, ისევ ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა, ლაშქარი გულმხურვალედ დალოცა და დროშა ამირსპასალარ ზაქარიას გადასცა.

დაიძრა ქართული მხედრობა დიდ ლაშქრად ერანისაკენ.

ჯერ „ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯულას და რახსსა და შევლეს ვიწრო იგი ხევი დარდუზისა“ და აქედან მიადგნენ ადარბა-

დაგანის დიდ ქალაქს მარანდს. მარანდელებს დროზე შეუტყვიათ ქართველთა მოახლოება და მახლობელ მთებში გახიზნულან დიდიან-პატარიანად. ქართველმა სარდლებმაც ასე ივარაუდეს, რომ მარანდელთა ლაშქარი მთებში იქნებოდა ჩასაფრებული. ამიტომ გამოჰყვეს 500 რჩეული მეომარი, ყველა „დიდებული და აზნაური“, უსარდლეს „კაცი ახნე“, თაყაიადინ თმოგველი, და გაგზავნეს ქალაქს ზემოთ წამომართულ მაღლობზე, მტრის დასაზვერავად, თუ იქ მტერი მართლა აღმოჩნდებოდა, თაყაიადინს დაუყოვნებლივ ამირსპასალარისთვის უნდა ეცნობებინა და თვითონ ძირითად ძალთა მოსვლამდე შებრძოლებას განრიდებოდა.

მაღლობს შეუდგა თაყაიადინ თმოგველის რაზმი. პლატოზე ავიდნენ, დადგნენ და მზერა მიაპყრეს „ღირღალთა და კლდეთა მაღალთა“. მარანდელნი მართლაც იქ ყოფილან ჩასაფრებულნი და ქართველთა სიმცირე რომ იხილეს, მაშინვე მთელი ძალებით გამოიჭრნენ ყიჟინით, ხვივილით, ღრიანცელით, თაყაიადინ თმოგველმა დაივიწყა ამირსპასალარის გაფრთხილება, ფიცხლავ შუბი გამართა, რაზმს შეუძახა და იერიშზე გადმოსული მტრისკენ გაქანდა. მამაც მეთაურს მიჰყვა ხუთასი ქართველი მხედარი, შუბგაწვართულნი, მძვინვარე ყიჟინით.

როცა ქართველთა მთავარი ძალები პლატოზე ავიდნენ, ცოცხალთაგან იქ არავინ დახვედრიათ. ბრძოლის ველი ერანელთა გვამებით იყო დარეცილი, ხოლო მათ შორის არც ერთი ქართველი არ აღმოჩნდა. ხუთასი ქართული შუბი იპოვნეს ხუთასი მუსულმანის მკერდში დარჭმული. მაგრამ სადღა იყვნენ თვითონ თაყაიადინ თმოგველი და ძისი მეომრები? აღარ იცოდა რა ექნა გაოცებულ და გაოგნებულ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს. მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია და მთებიდან დაეშვა თმოგველი თავისი ხუთასი მებრძოლით.

ყველაფერი ნათელი გახდა: ქართველებს იერიშზე გადმოსული მტრის ჭარბი ძალები დაუმარცხებიათ, ბრძოლის ველიდან გაუქცევიათ, თვითონაც გამოდევნებიან და ისე თავდავიწყებას მისცემიან, შიგ მთებში შეჰყოლიან გაქცეულ და თავზარდაცემულ მტერს.

როცა საერთო სიხარული და აღტაცება ჩაცხრა, ზაქარია „აბრალებდეს თაყაიადინსა“, და „მჭისედ ეტყოდა სიტყუასა ამბავის უცნობებლად შებმისათვის“.

მარანდის დაჭერის შემდგომ ქართველები გაემართნენ თავრეჟისაკენ (თავრიზი). მოსალოდნელი იყო, რომ ესოდენ დიდი ერანული ქალაქი უომრად არ დანებდებოდა მტერს. მაგრამ „ვითარ ესმა

თავრეჟს მყოფთა მისვლა ქართველთა ლაშქრისა, განკრთეს, და ძრწო
ლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრეჟისანი". მაშინვე ქალა
მესვეურებმა ელჩობა გააწყვეს და ქართველებს შემოაგებეს. შეწ
ლებას ითხოვდნენ, მორჩილების პირობას დებდნენ, დიდძალი ხარკ
სა და ძღვნის გაღებას აღუთქვამდნენ. „განკვირვებულ" ქართველებ
საც ისღა დარჩენოდათ აღეთქვათ „მშვიდობა და უვნებელ განვლა
ჭუეყანისა მათისა". მაშინ „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარეშნი და ყო
ველნი თავადნი თავრეჟისანი, მოიღეს ოქრო და ვეცხლი, ლარი, ცხე
ნები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი
კმასაყოფი ლაშქართათვის".

ქართველებმა თავრეჟში მცირე ციხიონი დატოვეს და სამხრეთი
საკენ გზა განაგრძეს.

ადარბადაგანი ჩაათავეს და მიანას (მიანე) მიადგნენ. მიანის მე
ლიქს უკვე შეეტყო თავრეჟის უბრძოლველი მორჩილება და თვითო
ნაც ქედდადრეკითა და ნებაყოფლობითი ხარკის გაღებით გადაწყვი
ტა საკუთარი თავისა და ქვეყნის გადარჩენა. ქართველებსაც არ სწყუ
როდათ სისხლის დაქცევა და სიამოვნებით მიიღეს მიანელთა შემო
თავაზება. მელიქმაც „სტუმართათვის" მოიღო „ოქრო და ვეცხლი და
ქვანი ძვირფასისანი. აღავსნა მანცა ყოვლითა სიმდიდრითა" ქართვე
ლნი. ამირსპასალარმა მიანაშიც დატოვა მცველი-ციხიონი და ახლა
ზანგანისკენ დასძრა ლაშქარი.

ზანგანი (ზენჯანი) მანამდე „მცირე ქალაქი" იყო, ალიზის კედ
ლებით გარშემორტყმული. მაგრამ მის მესვეურებს ქართველთა ერან
ში შემოჭრის ამბავი რომ შეუტყვიათ, „ქალაქი ძლიერად გაუმაგრე
ბიათ" და როგორც კი მტერი მოადგათ, „იწყეს ფიცხლა ბრძოლა".

ზაქარიამ ზანგანის კედლები ჯარებს უბნებად მიუზომა და უბრ
ძანა, „რათა შესთხარონ". უველაზე უწინარეს მესხმა მეომრებმა „შე
ხურიტეს" და შეანგრიეს ზღუდე და პირველნი შეიჭრნენ ქალაქში.
შეიჭრნენ „შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო", ხო
ლო ქალსა, ბავშვსა და მხცოვანსა ხელსაც არ ახლებდნენ. ამასობაში
ქართველთა სხვა ნაწილებმაც შეანგრიეს თავის „წილხვედრი" ზღუ
დენი და ქალაქში შეიჭრნენ.

ზანგანელებიც დანებდნენ და დიდძალი სიმდიდრეც გაიღეს ხარ
კად.

ქართველები ზანგანს ერთხანს „დადგეს და მცირედ განისუენეს".

მერე გეზი ხორასნისკენ აიღეს. მთელი დღე იარეს. მიმწუხრს ერთ „[illegible]ერესა სოფელ-ქალაქსა მუსულმანსა“ მიაღწიეს, ის „სოფელ-ქალაქ მტრულად შეხვედრისათვის მტრულადვე მიანგრიეს და დაღუპ-დაქანცულნი ისევ დასასვენებლად დადგნენ.

დილით ადრე ისევ განაგრძეს გზა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. უკვე შორს გასცდენოდნენ კასპიის სამხრეთ სანაპიროებს.

გამოჩნდა დიდი ერანული ქალაქი ყაზმინი. ქართველებმა მგლური იერიშით მიაშურეს. ყაზმინელებმაც უიმედოდ ჩათვალეს ყოველგვარი წინააღმდეგობა. ქართველები ქალაქში შევიდნენ და ღიდძალი ალაფი აიღეს. მცხოვრებთაგან არავინ შემოკვდომიათ. მხოლოდ მძევლები აიყვანეს.

ყაზმინიდან აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ მაღალი, თოვლიან-ყინულიანი მთაგრეხილები და თვალუწვდენელი ალმურიანი უდაბნოები (1540 წლის წინათ ამ გზებით მიაქროლებდა თავის მხედრობას ალექსანდრე მაკედონელი).

კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გააღწიეს ქართველებმა და საკუთრივ ხორასანში შეიჭრნენ. აიღეს და დაარბიეს განთქმული ქალაქი გურგანი (გორგანი). დალაშქრეს ქალაქები „უშინაგანესისა რომ-გურისა“ (ავღანეთი).

აქედან სულ რამდენიმე დღის სავალზე იყო ინდოეთი...

უკვე აღარ შეეძლოთ წინსვლა აურაცხელი ალაფითა და ნადავლით დატვირთულთ, ამიტომ „შემოიქცეს გამარჯვებულნი და ძლევაშემოსილნი ქართველნი“. ასე განასრულეს, რომ „ვერვინ წინა-აღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხუარასნისა სულტანი, ვერ ერაყისა და ვერა რომელი თემი“.

ქართველები ხორასანს ჯერ კიდევ არ გამოშორებიან, რომ ჩრდილოეთ ერანში, ქალაქ მიანაში ვიღაცამ ცნობა მოიტანა: ხორასანს მოლაშქრე ქართველებს „დიდი სულტანი“ და გილანელნი გარს შემორტყმიან და ისე გაუწყვეტიათ, ერთი მთხრობელი რა არის, ისიც კი არ გაუშვიათო.

ამის გამგონე მიანის მელიქი და მისი მუსულმანი მოქალაქენი აღტაცებაში მოვიდნენ, მერე მათთან მცველ-ციხიონად დატოვებულ ქართველებს დაერივნენ, ცოცხლად გაატყავეს და ძელებზე გამოჰკიდეს. განწირულთაგან მხოლოდ ერთმა მოახერხა გაქცევა და გადმოსვლა.

მაგრამ გამოჩნდა ხორასნიდან მომავალი ქართველობა. მიანის მე-

ლიქისათვის ეს ზარგაცაა იყო, თუმცა გონი მაინც მოიკრიბა და ქ
ლაქში შემოსულ ქართველებს კვლავ დიდძალი ძღვენი მიართვა.

ზაქარიამ მცველები მოიკითხა.

„თავრეჟს წარვიდენ მუნ დატოვებულთა მცველთა თანა“,—იცრუა მელიქმა.

მაგრამ ვერვინ და ის ერთადერთი გადარჩენილი ქართველი და თავისიანებს აუწყა, რა დღეც დამართეს მუსულმანებმა ამ ქალაქში დატოვებულ ქართველებს. მელიქს და მის ამალას ენა ჩაუვარდათ, ქართველთა სარდლობა უსაზღვრო რისხვამ მოიცვა. მაშინვე მელიქ შვილებითა და მკვლელთა ამალით იქვე დახოცეს; ქართველთა გატყავებისათვის იმათაც ტყავი გახადეს და ქალაქის უმაღლეს „საყივარზე“ — მინარეთზე ჩამოჰკიდეს. „ქალაქი მოაოხრეს, მოწუეს, ტყუეყვეს, ხოლო სიმდიდრე რომელ წამოიღეს, შეუძლებელ სადამე არს აღრიცხვად“.

წამოემართნენ საქართველოსკენ.

ესოდენ ძლევამოსილნი მოდიოდნენ, მაგრამ მთავარსარდალ მაინც გულჯავრიანად მოუძღოდა მხედრობას.

არავის უმხელდა, რომ აგერ მერამდენედ იგრძნო თავი ცუ ეს დასჩემდა ამ ლაშქრობის ჟამს: სვირინგები აყრიდა ჯერ იღ ქვეშ, მერე მთელს ტანზე; ციცი ოფლი ასხამდა ჟამიდან ჟამზ სრებშიც ამტვრევდა. მერე ისევ ქრებოდნენ სვირინგები, ჭრჭოლა და მტვრევაც შეუშვებდა ხელს...

ადარბადაგანს შემოვიდნენ. უ ჯ ე ნ ი ს (უჩენი). მცხოვრებნი შემოხვდნენ დიდძალი ძღვენით, მერე ისევ თავრეჟელნი (თავრიზელნი) გაეგებნენ „ძღუნითა ურიცხვითა, და მოართუეს სიმდიდრე აურაცხლი“.

საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ.

მდიდარი ნადავლიდან წინასწარ უძვირფასესი აარჩიეს და თა გამოუგზავნეს, „თვით მეფეთა მზისა და მზეთაცა მზისათვის წარმოგზავნეს თუალნი დიდ-ფასისანი, ძვირად საპოვნელნი, და ჭურჭელნი უცხონი“.

შემოვიდნენ საქართველოს სამფლობელო საზღვრებში. გადმოიარეს რახსი, ნახიჩევანი.

ტფილისი დიდი ზეიმით შეეგება ძლევამოსილ მხედრობას.

გამოვიდა თამარი.

„მხიარულ იქმნა მეფეთამეფე, მმადლობელი ღმრთისა, მხიარულითა პირითა გაეგება, ზეიმითა და დიდებითა“.

ზეიმი იდგა საქართველოს სატახტოში.

„იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა“.

ისნის სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა თამარმა.

შეიყარა დარბაზის ერი და მეფეთამეფის ტახტის წინაშე ყველანი „დასხდეს წესისაებრ“. გამარჯვებულებმა „მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დადვეს მეფის წინაშე“.

სამაგიერო გაიღო გულუხვმა და გულმოწყალე მეფეთამეფემ: „მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა, და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი“.

ზეიმი დასრულდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ზაქარია მხარგრძელს ისევ გაუხსენა ერანიდან მოყოლილმა უცხო სნებამ. სვირინგებმა დაჰფინა მთელი სხეული, დაუშავდა და დაუჩირქდა. შეუძლებელი შეიქნა განკურნება მისი.

და მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი.

დარჩა ძე ერთი, სახელად შანშე.

როცა ზაქარია მხარგრძელის საგლოველიც განესრულა, მის ნაცვლად თამარმა ამირსპასალარობა ზაქარიას უმცროს ძმას, ივანეს უწყნლობა.

ივანე მხარგრძელი დიდად ნასიამოვნები დარჩა თამარის ესოდენი წყალობით, მაგრამ მცირეოდენი ყოყმანის შემდგომ მაინც შეუბედა მეფეთამეფეს: ესოდენი პატივი ჩემთვის დიდზე დიდია და ღირსიც არ ვარო მისი, მაგრამ რაკი თქვენ ასე გინებებიათ, მე რომ ჩემი ძმის სახელდებისა არ შემრცხვეს, ესრეთ შემეწიე, ამირსპასალარობის სანაცვლოდ ათაბაგობა მიბოძეო, ესეც ვიცი, ათაბაგობა ჩვენში წესად არისო, იგი მუსლიმთა ადათია და მეფეთა გამზრდელად იწოდებისო, მაგრამ მაინც გეაჯები, იქნებ მიბოძოო ათაბაგობა.

თამარს დიდსულოვნად გაეღიმა და ბრძანებით აღასრულა თავისი პატივმოყვარე ყმის თხოვნა.

ეს იყო პირველი ათაბაგი საქართველოში.

ხოლო მსახურთუხუცესობა, რომელიც აქამდე ივანეს ეპყრა, ვარამ გაგელს უბოძა თამარმა.

იმ წელს საქართველოს მთაში დიდოელთა და ფხოველთა რაღაც „განდგომა“ მომხდარა.

თამარმა ათაბაგი ივანე წარგზავნა. ივანემ მთიელები ჩააწყნარა...
იმ წელსვე ივანე ათაბაგმა თავისი მშვენიერი ასული, თამთა ცოლად მისცა ხლათის ახალ სულტანს, ალ-აშრაფს.

## „შვიდმნათობიერის“ სკიპტრის ქვეშ

ოლიმპიური სიმძლავრითა და სიმშვიდით სუნთქავდა საქართველო,

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკითხეს დავით-ფერულმა მახვილებმა.

მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლა.

ბრწყინავდნენ ქართული კალამი, ყალამი და საჭრეთელი.

ზეობაში და მზეობაში იდგა დიდი იმპერია „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა.

მასში შედიოდნენ:

საკუთრივ საქართველო მისი საერისთავოებით: ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჭანეთი, ქუთათისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი.

სომხეთი: ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არწახი).

შირვანი: შირვანი, დარუბანდი.

ჩრდილოეთი კავკასია: ჭაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ლეკეთი.

პროტექტორატები, ვასალები, მოხარკენი: ტრაპეზუნტის სამეფო, კარნუ-ქალაქის საამირო, ეზინკის საამირო, შაჰარმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო.

იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.

მის დროს სრულიქმნა დიდი დავით აღმაშენებლის მიერ საფუძველდებული ეთიკეტი საქართველოს სამეფო კარისა.

და ჩვენც ასე უნდა წარმოვიდგინოთ დარბაზობის ცერემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო კარზე.

მეფეთამეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროჭედილ ტახტზე.

დარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკადემიის მოძღვართ მოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებული ნოხის ნაპირამდე და თავს დაუკრავს მეფეს. მეფე წამოდგება, ნოხს მთლიანად გამოიელის, მოძღვართმოძღვარს ნოხის ნაპირთან შეეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანოსო“. თუ მოძღვართ მოძღვარს რაიმე სათხოვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოდის კათალიკოსი. მის თაყვანს მეფეც თაყვანით უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ მესამედს გადმოიელის.

ახლა მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ეახლება და ორჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოდგამს, საპასუხო სალამს მიუძღვნის და გადაჰკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყვებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვანებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალამის მიცემას ხელების მაღლა აპყრობით დაასრულებს, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თაყვანზე მეფე ასევე მისალმებითა და უფრო „უმდაბლე ხელის აპყრობით“ უპასუხებს.

ერთად შემოდის სამი არქიეპისკოპოსი — ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი. მეფე მათ თაყვანზე ორ-სამ ნაბიჯს გამოიელის და ისე უპასუხებს სალამით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპოსებს, ვაზირებს და ერისთავებს, მეფე სალმით ადგილიდან, ტახტიდანვე უპასუხებს.

მაღალი რანგის მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისათვის დარბაზში ოქროჭედილი სელები და მაგიდებია ჩარიგებული.

პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი.

მეორე მაგიდას — გელათის მოძღვართ მოძღვარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი.

მესამე მაგიდა განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკურ მფლობელობაში მყოფი ოთხი მეფისათვის — ტრაპიზონის მეფე, შირვანშაჰი. შაჰარმენი და ოვსთა მეფე.

მეოთხე მაგიდასთან — ჰყონდიდელი, ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი.

მეხუთე მაგიდასთან — ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

შემდგომ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსნი, ვაზირნი და ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო თვითონ თამარი...

**თვითონ „შვიდმნათობიერი"**

რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთაგან შეუძლებელ არს.

ისტორიანი და აბმანი შარავანდედთანი.

რომლის ხილვითაც მხოლოდ ღმერთნი არ ბრმავდებიან.

გოეთე.

ვითარცა ქალი, იყო ქალთაგან უმშვენიერესი.

ტანად — საშუალოზე უმაღლეს, ნაკვთოვანი, „შუენებითა აფროდიტიანითა".

სახედ — საოცრად სახიერი.

იერსახედ — მომხიბლავი არამიწიერ.

„სატრფო საჭურეტი დაბნედამდის".

ღაწვები — ღვთაებრივ სპეტაკნი, მჭრქალი ვარდისფრით შეფერილნი.

თვალები — გრემან-ზღვისფერი, მსგავსად ღმერთქალი ათენასი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნით და შუქმოსიერებით.

„მორცხვი ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვის სინარნარე".

დადიოდა, ვითარცა „უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი".

ვითარცა — „თუალი უღამო და დღე უუკუნო, და საწადელ და საშუებელ სულისა და ხორცთა"..

ვითარცა — „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“.

სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში, — „ღმრთივ-განბრძნობილი“, გინა „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“.

იყო მოსაუბრე „სიტყვითა-ოქრონექტარითა“.

სიტყვა მისი იყო „ტკბილ და ძვირუხსენებელ“.

იყო უსპეტაკესი ზნეობითა.

ყველა ერთად: სილამაზე, სიბრძნე, სიტყვა და ზნეობა მისი — „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის; კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვის“.

მისთვის მისი სახელმწიფო უნივერსალური მოვლენა იყო.

უნივერსალური იყო მისი ხელმწიფობაც, რამეთუ არარა საქმე, არცა დიდი და არცა მცირე, მისგან დაუკითხავად და მისი სიბძნისაგან განურჩეველად არ განესრულებოდა.

იყო საოცრად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვანი შემწყნარებელი. ჰქონდა „სიმდაბლე (თავმდაბლობა) უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმჭისე (სიმკაცრე) ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე (მოწყალე), მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკველი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგად-ყველასათვის, სიუხვე აღუზუავებელი (უამპარტავნო)“.

გაუსწორებელ გამცემთა და ქვეგამხედვართა მიმართაც მუდამ იყო მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი“. მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა (თვინიერ გუზან ტაოელისა, რომელსაც თამარის შეტყობინებამდე დასწვეს თვალები). არც ტაჯგანაგებით უცემნიათ ვინმე. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუპოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ჯოხებით ცემაც. ასეთ სისასტიკეთა გარეშეც, დიდი კაცთმოყვარეობით, სიბრძნითა და მიუკერძებელი სამართლიანობით შეძლო თამარმა „ესევითარსა კაცისა უვნებლობასა შინა უვნებლად და მშვიდობით დაჭირვა და მოწურვითა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩებისა“. ამიტომაც მის სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკელოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო;

თუ ნაპარევი ვინმე ჰპოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის“.

ჴეშმარიტი პატრონი იყო თავისი ქვეყნისა და ხალხისა, „პატრონი ღმრთივ-განათლებული“, გინა „პატრონი ღმერთ-შემოსილი“.

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის სავსებით უცხო იყო ჩვეულებრივ, დემობორ* მონარქთა „წურბლის მსგავსი ვერ-მაძღრისობა“. ხოლო, ხალხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპოვართათვის, გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“.

თვითონ იტყოდა ღიმილით თამარ:

„მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა“.

ეკლესიებთან „საზრუნველონი“ დააარსა უქონელთათვის, და „განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა“.

მისი ბრძანებით, საგანგებოდ დადგენილი „სარწმუნონი ზედამდგომელნი“ ყოველი წლის შემოსავალს ანგარიშობდნენ და სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდნენ, „ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“. უხვად აჭილდოებდა შეფე ლაშქრად გასულ ყმა-აგრიკოლებს. ამიტომაც მის დროს „აზნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“.

„გლახაკთა და მოჩივართა გამკითხველს“ გულის სიღრმემდე ებრალებოდა უძლურნი და საპყარნი. თავის მახლობლად დააბინავებდა მათ. თვითონ „ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა სახმარითა“, საკუთარი ხელით აჭმევდა, საკუთარი ხელით სარეცელს გაუწყობდა, დააწვენდა, დალოცავდა და გაამხნევებდა.

სამაგალითო ქრისტიანი მოწესე იყო ქრისტიან ხალხთა მეუფე. ვითარცა ზეცა და დედამიწა, ისე შორს იდგნენ ერთმანეთისგან „ქრისტიანულ-ფილანთროპიული“ ზნეობა თამარისა და „ქრისტიანულ-მიზანთროპიული“, ანგარებიანი და სისხლიანი მორალი ევროპის „ჯვაროსანი“ ხელმწიფეებისა. საქართველოში ისევ უცხო იყო სისხლიან ბოროტებამდე აყვანილი რელიგიური ფანატიზმი. თამარმა შესანიშ-

* დემობორი — „ხალხის მჭამელი“. პირველად ჰომეროსმა იხმარა ეს ტერმინი შეფეთა ბუნების გამოსახატავად.

ნაად იცოდა ქრისტიანიზმის, ვითარცა იმდროინდელი „იდეოლოგიური ფენომენის“, პირველთაგანი მნიშვნელობა: რამეთუ მისი ეგიდის ქვეშ შეერთებულ ქრისტიან ხალხებს საკუთარი „ეროვნული სახე“ არ დაეკარგათ. ამიტომაც იყო თამარი უპირველესი, „დაუცადებელი“ ქრისტიანი „მოწესე“, გინა „მორალისტი“. ამიტომაც იყო, რომ მან ყოველთვის, „ვითარ მოწესემან უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიხადა“. ამიტომ იყო, რომ ხალხის, ომში წასული მხედრობისა და სახელმწიფო დროშისათვის ლოცვაში მთელ ღამეებს ქალი-ხელმწიფე შიშველ მუხლებზე დაცემული ათენებდა. ამიტომაც თამარის დროს, თამარის სპეტაკი ცხოვრების შემყურე, ვერავინ, ვერც სასულიეროთაგან და ვერც საეროთაგან, არამცთუ უზნეო ქცევას, უბრალოდ ერთი ბილწიანი და ბიწიანი სიტყვის დაძვრასაც ვერ გაბედავდა.

დიდი დაჟით აღმაშენებლის მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა, თავისი დროის „უგანათლებულესი სამყაროს“ სათავეში მდგარმა სკიპტროსან-გვირგვინოსანმა კარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ ტაძართა მრუმე სენაკებში, ნამსჭვალევი ნაზარეველის ზღაპრული თავგადასავლისა და მისი უსაზღვრო „კომენტარული“ ჩხრეკის გვერდით, იკითხებოდა და იწერებოდა ჭეშმარიტად „ნათელი წიგნები“ — საფილოსოფოსო, სამეცნიერო, სახელოვნებო...

და თამარი შეიქნა ყველაზე დიდი აღმშენებელი და მზრუნველი ტაძართა და სავანეთა. აღაშენა, აღადგინა, გადააკეთა, გადაარჩინა. ან „რომელნიმე დარღვეულნი აღაშენა“, ეკლესიები, ლავრები და სავანეები — პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კურუხეთში და კონსტანტინოპოლში. აღაშენა, მორთო, მოკაზმა და აურაცხელი ოქრო-ვერცხლითა და საბოძვარით აავსო ისინი, მათი ქრისტიანი მოწესენი, მეცნიერნი-ჭიგნობარნი და უთვალავი ქრისტეს-გლახაკნი.

ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა თამარი. იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა“, ადამიანური უქმობისგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არცა თვისთა ყმათა აუქმებდა“.

შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები, ჯებირები, აქვედუკები.

„და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერ-ძნეთს და ყოვლისა ელადას-შინანი მონასტერნი უხუად წყალობად-მოფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“.

აშენებდნენ, სჭედნენ, კვეთავდნენ, წერდნენ, ხატავდნენ.

გაჩნდა მრავალი: „თამარის სასახლე“, „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის წყარო“, „თამარის ეკლესია“, „თამარის სავანე“, „თამარის ხატი“, „თამარის ყელსაბამი“, „თამარის სარტყელი“, „თამარის ქოში...“.

რად ღირს თუნდაც მხოლოდ გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი და... ვარძია.

ვარძია! გასაოცარი ნაშობი ადამიანის გონისა და ხელისა. კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ციხესიმაგრე, პასტოფორიონი, სადარბაზო და სავანე...

ვარძია, გეგუთი, კოლა, აგარნი, ტაბახმელა, დური, ნაჭარმაგევი, ნადარბაზევი — აი, საყვარელი სადგომ-სამყოფელნი თამარ მეფისა.

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი:
მშვილდოსან-მახვილოსნობა,
ნადირობა,
ჯირითობა,
მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი:
მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა,
ქსოვა და ბეჭვა,
ჭრა და კერვა,
ქარგვა და კემსვა მანეულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული ჯუბა ემოსათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელით აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი“ მათხოვრები და მაწანწალები — ბედნიერნი, რამეთუ ემოსათ ნახელავნი თამარ შვიდმნათობიერისა...

## „ან მწუხარებისა მიმართ“

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ, ღამესა ჩვენ უმთვაროსა.
რ უ ს თ ა ე ე ლ ი.

მან, ვინც გასწირა საფლავისთვის ეს სილამაზე.
შ ე ქ ს პ ი რ ი.

და შენი ღმერთთან მსგავსების გამო,
იცოდე, მწარედ დასჯილ იქნები.
გ ო ე თ ე.

„სუემან თამარისამან“ სძლია ყოველ ადამიანურ განსაცდელს. მაგრამ, „წარმდინარე ესე საწუთო და ქვე დამზიდავი“ ბოლოს მაინც თავისას მოითხოვდა.

ასე უნდა ყოფილიყო, რადგან არც თამარის ძარღვებში დაედინებოდა იქორი — სისხლი ღმერთთა.

1210 წლის შემოდგომაზე თამარი ნაჭარმაგევს იდგა.

სათათბიროდ მოეწვია დარბაზისერნი, „ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი“.

თათბირზე არავის შეუმჩნევია, რომ მეფეთამეფე დილიდანვე თავს ცუდად გრძნობდა.

ჩვეულებრივ მშვიდად, ღრმადგონებიერად „იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი“, სადარბაზო ბჭობის დასრულებაც მოასწრო და მერე კი თვალი გაუსწორა მოულოდნელად აჩენილ ტკივილს.

რა იყო ეს?

პირველად მაშინ უნდა მიმხვდარიყო თამარი, რომ იგი მაინც ქალი იყო და „ქალური უმწეობანი“, ბოლოს და ბოლოს, დასჯიდნენ კიდეც „საქმეთა სამამაცოთა“ შებმისა და დაძლევისათვის.

„ზრუნვანი სჭამენ გულს“—ამბობდნენ ძველი ბერძნები. ხოლო, რამდენი ასეთი „გულის შემჭმელი“ საზრუნავი და საფიქრალი უნდა ჰქონოდა ქალს, ჯერ ვითარცა პატრონს ფეოდალური ვნებათ-ჭიდილით აღსავსე ქვეყნისას, რომლის მოვლაც ვაჟკაც-ხელმწიფეთა შორის სწორუპოვარ დავით აღმაშენებელსაც მისჭირვებოდა. მერე, ვითარცა ქალს, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი, პირადი „ქალური სამყარო“. და აქაც რამდენჯერ „შესჭამა“ მისი გული იდუმალ დათხეულმა ცრემლმა, „ღამე-ყოველ მღვიძარებამ“ და „გრდემლის მოთმინებით“ ნაფიქრმა სადარდებელმა.

მერე, ნეტარძი, ლაშქრად გასული მხედრობის, ქართველი ხალხის, ქართული დროშებისა და ჯავარდნების სეებედნიერი, ძლევამოსილი და შეურცხვენელი ტარებისათვის, რამდენი დღე-ღამე უსწორებია ამ საოცარ ქალს, სხეულის განმარღვეველ ბნელსა და ნესტით გატენილ სენაკებში ლოცვად დავარდნილს, რამდენი ღამე თეთრად უცვეთია შიშველ მუხლებზე დაცემულს, ცივი ქვის იატაკზე შილიფად ვანრთხმულს, უძილარს, მარხულს, ცრემლადდათხეულს. გრძელი, მტვრიან-ტალახიანი, ეკალ-ბარდიანი, ქვა-ღოჯიანი და ღირღოლოვანი გზა გადაულახავს საომრად ამხედრებული ქართული ლაშქრის წინ ფეხშიშვლად მიმავალს. ანდა, თვითონ რამდენჯერ ამხედრებული წასძღოლია უმძიმეს ლაშქრობას, ვითარცა ვაჟკაცი მოლაშქრე და მხედართმთავარი...

ბოლოს, თავისი უნდა გაეტანა ვაჟკაცობასთან შებმულ „დედობრივ უძლურებას“, და გაიტანა კიდეც.

თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით:

„დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს-იდვა შეუმთხუეველად მიშუება აგებულებისა“.

მაგრამ ეს ბრძანა გვიან, ვიდრე სენი „დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა“, მანამდე არ ამხელდა საშინელ ტკივილებს, „დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“.

ნაჭარმაგევიდან ტფილისს გადაიყვანეს ტახტრევანდით. კვლავ მდუმრიად ბოჭავდა მისი მძლავრი, განურღეველი სული გზაზედ აშლილ სასტიკ „ტკივნეულობას“ სხეულისას.

ქალაქიდან დასთ („ხშირ ტყედ“) გაიყვანეს, იქნებ ტყე-მაღნარის სიმშვიდემ, სიმშვენიერემ და ჰაერ-სიწმინდემ მისცესო შვება გვირგვინოსანს.

მაგრამ კვლავ უფრო „დიდად განძნელდა სენი იგი უწყალო“.

ისევ ტფილისს მოაბრუნეს, „აგარათა ციხესა“.

ნაადრევად დაზამთრდა.

„და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა ხელოვნებისა“.

სიკვდილის საუფლოში შედიოდა „სამგზის სანატრელი“ თამარი.

ამაოდ ათევდა ღამეს საქართველო.

ამაოდ „იხილვებოდეს ცრემლთა დინებანი მდიდართა და გლახაკთანი სწორებით“.

ამაო იყო ვედრება ღმერთისა და ღმერთმიღმიერისადმი: ოღონდ გადარჩეს თამარი და სანაცვლოდ „ჩუენ ყოველნი მოგუსრენ!“

„განჩინება წინააღუდგომელი იყო“.

„და დღემან იწყო მიდრეკად, და მზემან დასლვად, და ჰაერმან სხუად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შეშოსად ბნელთა ღრუბელთა: ღაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდედ მიმართეს. ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად; და ფერხთა მათ, მარადის ღმრთისათვის მაშურალთა, იწყეს შედრეკად; და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხუად და სხუად ფერად იხილვებოდეს“.

დიდი, მძიმე ზამთარი იდგა.

ძლივს განესრულა ბებერი ღამე „აგარათა ციხესა“.

უკანასკნელმა ცისიერებამ შეანათა თამარის „სასუენებელსა პალატსა“.

ხოლო მზე ამ უკანასკნელ დღესაც ვეღარ უნდა ეხილა მზისდარ მეფე-ქალს: ხვავრიელ თოვლთცვენას სრულიად დაეხშო მზისსამზირი.

უკვე ჩამოერეკა მდუმარე ზარი ყოვლისმსახვრალ ხელს სიკვდილისას, მაგრამ მაინც „მოიღო“ თამარ მეფემ „ბრძენმან ბრძნისა ნეტარება“.

„შემოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისა წინაშე მისსა“.

შეიყარნენ დარბაზის ერნი.

წამოიწია თამარი, წამოეშველნენ ლაშა და რუსუდან. მაგრამ არ ინება მეფეთამეფემ. თვითონ „განიმტკიცა თავი თვისი“, წამოიმართა და „მხნედ მჯდომარემ“, კვლავაც მშვიდად, გონებიერად, მშვენიერი სათნო ხმითა და მკრთალი ღიმილით უკანასკნელად მიმართა საქართველოს მესვეურთა უზენაეს საკრებულოს:

„ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა... თქუენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ ჩემთანა მარადჟამს მჭონდა სიყუარული თქუენი, და ვიდრემდის მე ვიყავ თქუენ ზედა მეფედ, არცა რომელიმე თქუენთაგანისათვის დამიკლია რაიმე პატივი-არზანგი შესაფერისად თქვენივე სათნოებისა. აწ მეცა მივდივარ მამათა ჩვენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა... და გევედრებით ყოველთა, რათა მარადის იყვნეთ კეთილსა შინა და კეთილისვე მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ

რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან; ეგენი მოიხვენით ჩემ წილ, და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

კათალიკოსს ანიშნა და იმანაც წამსვე მოიღო მაცხოვრის ხატი და ჯვარიცხოველი.

საქართველო დალოცა თამარმა.

მშვიდობა უსურვა ყველას, დამსწრეთ მისე სიკვდილისას.

და „აღმოუტევა“. სიტყვა უკანასკნელი:

„ქრისტე, ღმერთო ჩემო, მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყნისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, საქართველოს, პატიჟსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

ამ სიტყვებით მოუკვდა საქართველოს თამარი.

„დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისაჲ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.

„შვიდმნათობიერი“.

„სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“.

„სუე-სრული და ნათელ-ბრწყინვალე“.

„მეფეთა ელვა-ცისკროვნება“.

„მესიის მახვილი“.

„ღმრთივ-გვირგვინოსანი მეფე და მეფეთამეფე“.

„შიში და ზარი ყოველთა სულტანთა ზედა“.

„მეფეთა მზე და მზეთაცა მზე“.

„მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული“.

„მარადღე მახარებელი ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“.

„სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვაჲლესი თამარ“...

ერთმპყრობელი მეფობით გამეფდა 18 წლისა, მეფა 25 წელიწადი, აღესრულა 43 წლისა.

„დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.

„მწუხარება ზოგადი იყო ყოველთათვის“.

თალხი ჩაიცვა კავკასიელთა სახელმწიფომ.

„ყოველნი ფლასითა შეიმოსნეს“.

ტფილისიდან მცხეთამდე ცრემლთა თხევით აკვლია თოვლი „წვრილმა ერმა“.

მცხეთის ლავრაში დაასვენეს „სამგზის სანატრელის“ ცხედარი.

იანვრის მიწურულს, როცა თოვლი მცირედად გაწყდა, მცხეთიდან

გელათს გადაასვენეს და იქ დაკრძალეს ქართველ გვირგვინოსანთა გვერდით გათხრილ სამარტვილეში...

უქმად იყო ხელმწიფური ბეჭედი, უბრწყინვალესი ქალი-ხელმწიფის სახელით ამოტვიფრული:

„დედათა მარიელი ვარ“.

. . . . . .

იალაღზე შეფენილ ძროხათა მროწლეს მწყემსი მიჰყვებოდა სალამურის კვნესით. სალამურზე ამომწვარი ასოებით ეწერა — „თამარ“.

. . . . . .

გზაზე მათხოვარი მიდიოდა. მწარედ ტიროდა, — ტანზე თამარის „ხელნაქმარი“ ემოსა.

. . . . . .

ქართულ მიწად იქცა ქართველი მეფე-ქალის მშვენიერი სხეული. ხოლო სახელი მისი მარადიული სიცოცხლით ცოცხლობდა მადლიერი ხალხის ხსოვნაში. „ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან“.

კაცი სახლს აშენებდა, ზედ „აკროსტიხორად თამარის შესხმათა“ დასწერდა.

ჭაბუკი საქორწინო ბეჭედზე ოქრომჭედელს თამარის სახელს ამოაკვეთინებდა.

მჭედელი იარაღს სჭედდა, ზედ თამარის სახელს კაწრავდა.

მოხუცი არგანს რანდავდა, ზედ თამარის სახელს ბეჭდავდა.

სადღაც უდაბნოში, სანთლის მქრქალი სინათლით განათებულ სენაკში დაცემულ ბერს, ექსტაზში შესულს, ღვთისმშობლის ხატში თამარის ღვთაებრივი სახე ელანდებოდა.

ყველგან, მთასა და ბარში, „თამარის ქებასა მელექსეობდიან“.

ზოგს ისიც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ თამარიც ჩვეულებრივი ადამიანივით მიებარებინოთ მიწისათვის: თამარი გელათს დაკრძალესო, მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მართალი, ცხრა კუბო გამოასვენესო მაშინ სასახლიდან, ერთიმეორეზე უბრწყინვალესნი, სულ ოქროთი და ძვირფასი ქვებით შეჭედილნი და არავინ იცოდაო, რომელში ესვენა თამარი; საქართველოს ცხრა მხარეს წაასვენესო და ცხრა ისეთ ადგილს დამარხესო, ძეხორციელს არავის ეპოვნაო მისი ღვთაებრივი ცხედარი... ცხრა კი არა, თორმეტი კუბო იყოო, — დავობდა ვიღაცა... არც თორმეტი იქნებოდა, შვიდი კი უეჭველად, შვიდი კუბო შვიდმნათობიერი თამარისათვის — თაყვისას იძახდა მესამე, თუ... მეათასე.

ფშაველებს ფერხული ჩაებათ:

„პირველად ღმერთი ვაცნობოთ,
ღმერთი ხომ დიდებულია.
მემრ თამარ მეფე ვახსენოთ,
ის ღმერთთან წილდებულია.

უფლისა იყო ბრძანება,
შეირტყა მამის ხმალიო!
მამის სამეფო აიღო.
თვითონ ბრძანდება ქალიო,
ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვს ძალიო;
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი რკინის სარიო“....

. . . .

თამარი დაძინების წინ გახდილ ტანსაცმელს სარკმელში შემოჭრილ მზის სხივზე ჰკიდებდა..,

. . . . .

თამარ მეფემ შუქურ-ვარსკვლავი დაიჭირა და ყუთში ჩაამწყვდია...

. . . . . .

მთა-რაჭაში კარგი ქალი მოკვდებოდა, ასე დასტიროდნენ:

„ქაი ქალოო, თამარ დედოფლის მგვანოო, ხმა-დაბალოო და საქმე-მაღალოო“...

სადღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმასა მუსიკელობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მის-მიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაც ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“.

მერე, ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თამარ (დინარ) დედოფალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იგი, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა თამარის სახელზე შეთხზული აპოლოგიანი. რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე თამარ ქართველთა დედოფლის გმირული სახელით აღაფრთოვანებდა საომრად

აღკაზმულ რუსულ დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა კეთილ რუსულ ზღაპარში, თქმულებაში, მატიანეში.

შორეულ ინდოეთში გატაცებით, მოწიწებითა და აღტაცებით იხსენიებდნენ საკვირველი სიმშვენიერითა და სიბრძნით შემკობილი ქართველი ქალისა და ხელმწიფის სახელს.

. . . . .

გაშლილი ქართული დროშით, ამაყი მზერით მიაბიჯებდნენ ქართველი მლოცველები იერუსალიმის ქუჩებში.

ქართული ლავრისკენ მიეშურებოდნენ. თამარის პარაკლისზე მიიჩქაროდნენ.

. . .

ილეწებოდნენ საუკუნენი.

ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცოცხლდებოდა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი უმშვენიერეს თიკუნად დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას — თ ა მ ა რ ი ა ნ ი (ამიერიდან — გორგასლიან-დავითიან-თამარიანი)...

## მინაწერი XII საუკუნისა

XII საუკუნე საქართველოსთვის იგივე იყო, რაც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნე საბერძნეთისთვის — ეპოქა „კლასიკური" — ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი აყვავება-აღზევების ხანა.

XII საუკუნის დასაწყისიდან დიდი თამარის აღსასრულამდე (110 წლის მანძილზე) ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 128 ბრძოლა. აქედან: მოიგეს 124, წააგეს 4.

უბრძენესი და უმამაცესი ხელმწიფეები უდგნენ სათავეში ქართველთა და სრულიად კავკასიელ ხალხთა სახელმწიფოს.

სწორედ XII საუკუნის შვილნი არიან უბრწყინვალესი ნიეთიერი ძეგლები:

იკორთა

ქვათახევი

იყალთო

ვარძია
გელათი
გეგუთი
ბერთუბანი
ყინწვისი
ბეთანია
ფიტარეთი
წულრულაშენი
უბისა.

ზენიტში იდგა ქართული სული საქართველოს გარეთ:
სინას მთაზე
პალესტინაში
შავ მთაზე
ისავრიაში
კურუხეთში
კვიპროსზე
ქიოსზე
საბერძნეთში
ათონის მთაზე
პეტრიწონში
მაკედონიაში
თრაკიაში
რუმინეთში
კონსტანტინოპოლში,

სწორედ XII საუკუნეს განეკუთვნება თანავარსკვლავედი ქართული „აზრის სიმამაცისა“:
იოანე პეტრიწი
არსენ იყალთოელი
ეფრემ მცირე
იოვანე ჰიმჭიმელი
იოანე შავთელი
ჩახრუხაძე
ბექა ოპიზარი
ბეშქენ ოპიზარი

მაგრამ XII საუკუნის ყველაზე უნათლესი მნათობი მაინც არის

მსოფლიო პოეზიის ზევსი — შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, მისი „ვეფხის-ტყაოსანი“ — წიგნი-სასწაული.

წარმოიდგინე საოცარი სურათი, კეთილო მკითხველო, — მსოფლიოს უმშვენიერესსა და უბრძენეს ქალ-გვირგვინოსანს ხელთ უპყრია მისივე თანამედროვე მსოფლიოს უპირველესი პოეტის წიგნი!..

რუსთაველი!

რამდენი რამ, „დიდი“ და „მცირე“, დაწერილა მის შესახებ და რამდენჯერ მეტი დაიწერება მომავალში!

ხოლო ამ წიგნის ავტორს „თავისად“ აქვს კნინი სათქმელი:

დიდი ჰომეროსიდან დაწყებული მსოფლიო პოეტურ აზროვნებას ორი ათასი წლის გავლა დასჭირდა, რომ მეორე მისი ბადალი გენია, წარმოეშვა. სწორედ ჰომეროსიდან ორი ათასი წლის შემდეგ დაიბადა შოთა რუსთაველი.

ორი ათასი წელი მარტო იდგა ბერძენი პოეტი პოეზიის მთის, პარნასის უზენაეს მწვერვალზე, მაგრამ დაიბადა ქართველი პოეტი და ჰომეროსის „სოლისტობაც“ დასრულდა მსოფლიო პოეზიის ასპარეზზე.

სწორედ XII საუკუნიდან მხატვრული აზროვნების ორი ღვთაება დაუფლებია სავსებით პარნასს — ჰელინი ჰომეროსი და ქართველი რუსთაველი. ამის წარმოდგენა, მიუხედავად მათ შორის ორი ათასი წლის მანძილისა, ძალიან ადვილია, რადგან „ილიადა“-„ოდისეისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორებს ბევრი რამ აქვთ მსგავსიც და შეპირისპირებულიც. და საოცარიც სწორედ ის არის, რომ ეს „მსგავსებაც“ და „შეპირისპირებაც“ ერთნაირი და ერთიანი ძალით ქმნიან ბერძნულ და ქართულ პოეტურ ქნართა ერთმხრივ სიმფონიას.

ჯერ, პირადი ბიოგრაფიებით ჰგვანან ისინი ერთმანეთს. დღემდე სრულქმნილად არავინ იცის, ვინ იყო ჰომეროსი — როდის დაიბადა და სად? როგორ იზრდებოდა და სად? როგორ ცხოვრობდა და სად? როგორ მოკვდა და სად? როგორ დაასრულა თავისი წუთისოფელი და სად? ან სადაა იგი დაკრძალული?

ვერც რუსთაველის ბიოგრაფები სცემენ პასუხს ამ კითხვებს დღემდე. მხოლოდ ვარაუდით, ჰიპოტეტურად იციან, რომ ჰომეროსი ცხოვრობდა „ქრისტეს წინარე“ IX—VIII საუკუნეთა მიჯნაზე, იციან, რომ შვიდი ქალაქი (სმირნა, კოლოფონი, ქიოსი, სალამინი, ათენი, არგოსი და იოსი) ამაოდ ებრძოდა ერთმანეთს: არა მე ვარ ჰომეროსის სამშობლო და არა მეო.

ისევე, დღემდე „ვერ შერიგებულა“ ორი რუსთაველი: რომელი მათგანია სამშობლო შოთასი!

ერთი სიტყვით, ვერც ჰომეროლოგიამ და ვერც რუსთაველოლოგიამ დღემდე ვერ გაარკვიეს მსოფლიოს უპირველეს პოეტთა პიროვნული ვინაობის საკითხი. აქ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება გადაჭრით: ერთი ჰეშმარიტად ბერძენია, მეორე — ჰეშმარიტად ქართველი. ესაა და ეს...

„ვეფხისტყაოსანი“ არის ქებათა ქება ადამიანის უღირსეულესი თვისებებისა და გრძნობებისა. ბევრი კალამი გაცვდა იმის ცდაში, როგორმე მოეძებნათ პასუხი კითხვისათვის: სწამდა თუ არა რუსთაველს ღმერთი? თეისტი იყო თუ ათეისტი? ან, პოლითეისტი, მონოთეისტი, თუ პანთეისტი? ან, თუ სწამდა, რომელი უნდა ყოფილიყო ასეთი ავტორიტეტული გენიისაგან აღიარებული „ბედნიერი ღმერთი“? მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ასეთი გზით „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-ძიება მაინცადამაინც დიდ შნიშვნელობას ვერც კი მოიხვეჭს, რადგან თვითონ რუსთაველისთვის, სწორედ ძალიან მცირეა და უმნიშვნელო ყოველგვარი „ლოკალური ღმერთი“, თვინიერ ისეთი ყოვლის მომცველი შემოქმედისა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“. თვითონ რუსთაველი შეუდარებლად მაღლა დგას, ვიდრე უბრალო, მოკვდავ, სქოლასტიკოს-თეოლოგთაგან შეთხზული ყოველნაირი „ღვთაებრივი ვარიაცია“.

მაგრამ რუსთაველი მაინც არ არის „უღმერთო“. რუსთაველს სწამს მაინც ერთი ყველაზე დიდი ღმერთი, რომელსაც მან საესებით „ამოშწურავად“ შესწირა თავისი უკვდავი გენია.

ეს „ბედნიერი ღმერთი“ არის ა დ ა მ ი ა ნ ი.

აი, უპირველეს ყოვლისა, აქ შეუპირისპირდა რუსთაველი ჰომეროსს. ეს „შეპირისპირება“ კი ასე უნდა გავიგოთ:

ჰომეროსმა ღ მ ე რ თ ე ბ ი ზეციდან მიწაზე ჩამოიყვანა და ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანებად აქცია. „ილიადა“-„ოდისეის“ ავტორმა მთელი ღმერთთა პანთეონი (ზევსი, ჰერა, ათენა, აფროდიტე, აპოლონი, არესი, ჰეფესტო, პოსეიდონი, ჰადესი და სხვ.) გ ა ა ა დ ა მ ი ა ნ ა. ჰომეროსთან ყოველი ღმერთი შეადგენს ადამიანურ ღირსებათა და სისუსტეთა რაღაც საოცარ ამალგამას. განსაკუთრებით ჰომეროსის ღმერთთა „ანთროპომორფიზმი“ („ადამიანმსგავსეობა“) მკვეთრად ჩანს „ადამიანურ სისუსტეთა“ განფენაში. ჰომეროსის ღმერთები, ადამიანთა მსგავსად, არიან მხდალები, ხარბები, შურიანები, მატყუარები,

გარყვნილები, ანგარების მოყვარენი. ისინი ისეთივე ემოციური სამყაროთი ცხოვრობენ, როგორც რეალური ადამიანები, — ადამიანთაებრ უხარიათ და ჯაერობენ, იცინიან და ტირიან, უყვართ და სძულთ. ისინი ადამიანებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ უკვდავებით და ფიზიკური სიმძლავრით.

და აი, ჰომეროსის „სპირისპიროდ" — როცა მან ღმერთები გაადამიანა და გაამიწიერა—რუსთაველმა ადამიანები გააღმერთა და გააზეციერა (რასაკვირველია, ეს ისე მარტივად არ უნდა გავიგოთ, თითქოს პოეტი თავისი „გაღმერთებული ადამიანით" რელიგიურ სამყაროში გადავიდა). ეს არის იდეალური ადამიანური სამყაროს მხატვრული წარმოსახვა უზენაეს პოეტურ რეგისტრში.

მაშ, ორი მოპირდაპირე (ღმერთთა და ადამიანთა) სამყაროდან მომავალი ორი გენიოსი ერთმანეთს ხვდება ყოველნაირი „მაღალ-დაბალი" პოეტისათვის მიუწვდენელ პარნასზე. აქ ისინი ერთმანეთს ავსებენ; ერთი — გაადამიანებული ღმერთით, და მეორე— გაღმერთებული ადამიანით.

ჰომეროსის და რუსთაველის პოეტური ქმნილებანი ყოვლისმომცველ კოსმიურ ხმათა საოცარ სიმფონიას წარმოადგენენ. ჰომეროსთან სიტყვა „კოსმოს" ერთდროულად „სამყაროსაც" ნიშნავს და „სილამაზესაც". სწორედ რუსთაველი ჰომეროსისებრ „კოსმიურ" სილამაზე-სიმშვენიერეს უმღერის. „ილიადაში" ეს „კოსმიური სიმშვენიერე" განსხეულებულია გაადამიანებულ ღმერთებში, ხოლო „ვეფხისტყაოსანში" — ადამიანებში.

სხვა მრავალთაგან, კიდევ ერთი „შეპირისპირებულობა" მოითხოვს ხაზგასმას: პოეტური ხორცსხმულობა სიცოცხლისა და სიკვდილისა.

„ილიადა" ომის, სისხლისღვრისა და სიკვდილის სამყაროა. პირქუშში, კბილდაღრჭენილი, უბებჩალეწილი დაჰქრის „თანატოს" (სიკვდილი) სკამანდრის ველზე და ტროას კედლებზე, ალმასის ცელით უწყალოდ ცელავს ადამიანებს, შემზარავი მწვანე თვალებით დასცქერის იგი მისგანვე ცხედრად დარეცილ გმირებს. და ეს განწირული გმირები არიან მრავალასეულნი და უმრავლესი მათგანი ასპარეზზე მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ წამსვე სიკვდილის მსხვერპლი გახდეს! მაგრამ მაინც დღემდე სიკვდილი არავის ისეთ პოეტურ სიმაღლეზე (!) არ აუყვანია, როგორც ეს ჰომეროსმა შეძლო. სიკვდილს, სიცოცხლის ამ უძლეველ და „უკვდავ" მეტოქეს, მხოლოდ „ილიადაში" ვხედავთ ერთდროულად თავზარდამცემსაც და მომხიბლავსაც (!). თანაც, ამ უთვა-

ლავ სიკვდილთაგან არც ერთი ერთმანეთს არ ჰგავს. ყოველ სიკვდილში განწირულის ხასიათი ჩანს, ხასიათი „საკუთარი თითის ანაბეჭდით". სწორედ აქვეა განფენილი ჰომეროსის ერთი უმთავრესი მხატვრული კრედო — აპოთეოზი სიკვდილისა.

„ვეფხისტყაოსანი" კი სიცოცხლის ჰეშმარიტი აპოლოგიაა. სიცოცხლისა და სიკვდილის რკენა აქ კეთილისა და ბოროტის ჰიდილშია წარმოდგენილი. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მთავრდება სიცოცხლის აპოთეოზით:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

ჰომეროსისა და რუსთაველის „პარალელები" უაღრესად მომხიბლავი და ამოუწურავი პრობლემაა. საკმარისია აღინიშნოს ორივეს ღვაწლი საკუთარი ხალხისა და საერთოდ კაცობრიობის წინაშე: ისინი საუკუნეთა მანძილზე ერთნაირად ზრდიდნენ როგორც თანამემამულეებს, ისე დანარჩენ ადამიანურ სამყაროს. ასეთივე შემართებით განაგრძნობენ დიდი ჰელინი და დიდი ქართველი ტრიუმფალურ სვლას კაცობრიობის კულტურულ გზაზე...

•

დაიხურა XII საუკუნე — კლასიკური ხანა საქართველოს ისტორიისა.

XIII საუკუნემ განახვნა კარნი ავი ჟღრიალით...

პირველი წიგნის დასასრული

## შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ბ ჯ ე 5

# ·კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფ ე ს ვ ე ბ ი

ა ზ მ ა პ ი რ ვ ე ლ ი — წ ი გ ნ ი ო ქ რ ო ს ა წ მ ი ს ი ხ ა 15
სახლეული აიეტისა 15
არგონავტები 17
მედეა და იასონი 18
მედეა უცხოობაში 20
მედეას დაბრუნება 22
„დიდსა მიემთხვია მაძაგებელსა“ 23
ა ზ მ ა მ ე ო რ ე — წ ი გ ნ ი კ ო ლ ხ თ ა და ი ბ ე რ ი ე ლ თ ა 25
დიაობი, კოლხა, სპერი 25
კოლხეთი და იბერია 27
წიგნი ფარნავაზისა 28
საურმაგ და მირიან 33
ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე — წ ი გ ნ ი პ ო ნ ტ ო ელ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა 34
პირველი პონტოელნი 34
დიდი პონტოელი 36
„პირველი მითრიდატული“ 41
„მეორე მითრიდატული“ 42
„მესამე მითრიდატული“ 42
ა ზ მ ა მ ე ო თ ხ ე — მ ო ს ვ ლ ა „მ ზ ლ ი ს შ ვ ი ლ თ ა“ 49
რომაელები და სომხები 49
რომაელები და ქართველები 53
რომაელები და ალბანელები 57
დიდი პონტოელის აღსასრული 58
ტრიუმფი რომში 64
კეისრულ-პონტოური 67
ძველი ერას მიწურულს 69

# ქარი მეორე

## ქარიბჭენი


ა ზ მ ა პ ი რ ვ ე ლ ი — ახალი ერას დასაწყისი 72
პირველი ქრისტიანული სიზმარ-ცხადი 72
ფარსმან პირველი 75
რადამისტი და ზენობია 80
ა ზ მ ა მ ე ო რ ე — ქართველები, რომაელები, ერანელები 84
„ეს ქედლები განუმტკიცეს“ 84
ფარსმან ქველი 86
„ვაება ვაებისა“ 91
გამოსვლა ლაზეთისა 92
ახალი მტრები ძველი სამტროდან 93
ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე — „მოქცევიდან“ გორგასალამდე 100
წიგნი „მოქცევისა“ 100
შემდგომად „მოქცევისა“ 116
დიდოსტატნი „ლოგოსისა“ და „მუზათა ტაძრისა“ 117
ამბავი კიდევ ერთი ფარსმანისა 125
„საკვირველად სახელგანსმენილი“ 128


# ქარი მესამე

## აღმართი


ა ზ მ ა პ ი რ ვ ე ლ ი — გორგასლიდა 140
ყრმობა და სიჭაბუკე 140
„დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“ 142
ლაშქრობა პონტოს საქართველოში 149
„დურ აზ გორგასარ“ 154
ამბავი რაჟდენ პირველმოწამისა 157
სამთა მტერთა შეთანხმება 162
გორგასალი უცხოეთში 163
არაკი სინდთა მეფისა 166
დაბრუნება გორგასალისა 169
აღმშენებლობა გორგასალისა 173
ვარსქენ და შუშანიკ 174
ღალატიანი ბრძოლა 187
ღალატიანი აღსასრული 189
ა ზ მ ა მ ე ო რ ე — დიდი მეფიდან უმეფობამდე 197
მემკვიდრე გორგასალისა 197
გურგენ მეფე 199

ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე — ლაზები
„სისხლიანი ქვაბები“ 202
ფარსმან კოლხი 202
წათე პირველი, ძე გუბაზ პირველისა 205
„ჭრელი მეფენი“ 206
გუბაზ მეორე, ძე წათე პირველისა 212
ომები... ისევ ომები... 214
აღსასრული გუბაზ მეფისა 222
ორი ლოგოსი მკვლელობის შემდგომ 235
წათე მეორე, ძე წათე პირველისა 239
უცნობი გმირი 246
ბრძოლა ფასისთან 247
მისიმიელთა აჯანყება 248
ზავი და სვანეთი 253
ა ზ მ ა მ ე ო თ ხ ე — ქართლი უმეფობის ხანაში 256
გურგენ მეფის მემკვიდრეები 258
„ცამეტი მამა“ 258
ევსტათი მცხეთელი 263
„ერისმთავრობის“ დასაწყისი 270
ბიზანტიელები, სპარსელები და ხაზარები 272
ა ზ მ ა მ ე ხ უ თ ე — არაბები და ქართველები 275
მსოფლიოს ახალი დამპყრობნი 281
პირველი შეხვედრები 281
დაივიწყა ხმალმა ქარქაში 284
მურვან ყრუ 287
წიგნი ძმათა მხეიძეთა 288
ისევ ყრუ 290
არჩილ, ძე სტეფანოზისა 300
ხაზართა სარძლო 301
ქართველთა და სომეხთა აჯანყებანი 302
მარტვილობა ჰაბო ტფილელისა 304
ა ზ მ ა მ ე ე ქ ვ ს ე — „ახლად შენება“ საქართველოსი 306
ოთხთა სახელმწიფოთა 312
სამხრეთულ-ქართული აღზევების დასაწყისი 312
„სანთელი დაუვსებელი“ 314
მეომარი და მიჯნური გვირგვინოსანი 316
აშოტის მემკვიდრეები 320
ბუღა თურქი. კონსტანტი კახი 325
ისევ კლარჯეთში 326
აბულ კასიმი. გობრონი 329
ერთიანობის კარიბჭეებთან 335
დაცით მესამე მეფეთამეფე 339
მინაწერი X საუკუნისა 342
350
551

# კარი მეოთხე

## ზეგანი


ა ზ მ ა პ ი რ ვ ე ლ ი — ხელმწიფობა ბაგრატ მესამისა 353
ხმალთაკვეთება ტაო-კლარჯეთში 353
კახეთ-ჰერეთისათვის 355
„დარბაზობა“ ფანასკერტის ციხეში 356
ფადლონი 357
„ოდეს განემტკიცნა“ 358
ა ზ მ ა მ ე ო რ ე — „უშიში ვითარცა უხორცო“ 360
თორმეტი წლის გვირგვინოსანი 360
შერკინება „ბულგართმჭლეტელთან“ 361
შირიმთა 363
ახალი ხმალთაკვეთებანი 364
აღსასრული „უხორცოისა“ 368
ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე — ხელმწიფობა ბაგრატ მეოთხისა 369
მძევლობიდან შეფობისაკენ 369
გასამხედროებული ფიჩოსნები 370
ისევ „ზაკვანი“ ბიზანტიელთა 370
ტფილისისათვის 372
გამოსვლა სელჩუკის მოდგმისა 374
ისევ ტფილისისათვის 375
კლდეკარელის გამოხდომანი 377
წვევა ათონელი სწავლულისა 380
ისევ კლდეკარელი 381
ქართველი ქალი — დედოფალი ბიზანტიისა 384
ალფ-არსლანი 385
ისევ ფადლონი 389
აპოლოგეტნი ქართველი ქალისა 393
„უმნიშვნელოესი ყოველთა კაცთასა“ 394
ა ზ მ ა მ ე ო თ ხ ე — ხელმწიფობა გიორგი მეორისა 396
უსაზღვრო დიდსულოვნება 396
ფარცხისი 397
„აჰა, ქუეყანა საქართველო!“ 398
ნაბიჯი — „ყველაზე ჭკვიანური“ 402
მინაწერი XI საუკუნისა 403

# კარი მეხუთე

## მწვერვალები


ა ზ მ ა პ ი რ ვ ე ლ ი — წიგნი დავით აღმაშენებლისა 405
სიბრძნე-სიქველე სიჭაბუკისა 405
„დიდი ძლევა“ 410
განპატიჟება „ავაზაკთა ქვაბისა“ 412
საავაზირო დავით მეფისა 415
ბრძოლანი „უგრძნეულნი“ 417
ახალი ჯარი. 420
ახალი ურთიერთობანი 423
ახალი ბრძოლები 425
დიდგორი 427
ტფილისი — საუკუნოდ სახლად თვისად 432
ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა 433
თვითონ აღმაშენებელი 438
„გალობანი სინანულისანი“ 446
ა ზ მ ა მ ე ო რ ე — შემდგომად აღმაშენებლისა 452
დემეტრე პირველი 452
ანისისათვის 453
დემეტრეს სახლეული 453
აღსასრული დემეტრე პირველისა 455
ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე — „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“ 456
გამოსვლა გიორგი მესამისა 456
ისევ ანისისათვის 457
დვინთან და გაგთან 459
„არს ჟამი... “ 461
„სუფევითა ულუმპიანითა“ 462
დემნა ბატონიშვილი 464
ასული — თანამოსაყდრე 467
აღსასრული „ლომთა უმხნესისა“ 468
ა ზ მ ა მ ე ო თ ხ ე — წიგნი თამარ შვილმნათობიერისა 470
„შეიბ მახვილი“ 470
მარცხიანი დასაწყისი 471
„ისნის კარავი“ 473
დარბაზისერნი თამარ მეფისა 475
პირველი საქორწინო გვირგვინი 478
„დროშითა სვიანითა“ 481
მეორე საქორწინო გვირგვინი 484
გამოსვლა „სარგებლისა მოწადინეთა“ 490
„ერთადერთი დასჯილი“ 495

„საზეიმო ლაშქრობანი“ 496
შამქორი 499
შამქორიდან ბასიანამდე 506
პონტოელ ქართველთათვის 510
ბასიანი 512
ბასიანის შემდგომ 519
მოძმენი მოძმეთა სისხლისათვის 522
დალაშქრა სპარსეთისა 524
„შვიდმნათობიერის“ სკიპტრის ქვეშ 530
თვითონ „შვიდმნათობიერი“ 532
„აწ მწუხარებისა მიმართ“ 537
მინაწერი XII საუკუნისა 543

რედაქტორი რ. სირაძე
მხატვარი ო. ჯიშკარიანი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ლ. არეშიძე, ნ. შველიშვილი
გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 28.IV.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.VIII. 82. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 32,32. საღრ.-საგამომც. თაბახი 29,29. პირ. საღ. გატ. 32,37. ტირაჟი 20 000. შეკვ. № 6267.

ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33

Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33